რიდერი

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მაგისტრანტებისათვის

პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე

ძირითადი ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018

გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა);

თემა 1
სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში

„იმისათვის, რომ სახელმწიფომ იარსებოს, მას უნდა შესწევდეს უნარი დაიცვას წესრიგი და კანონი, აკრიფოს გადასახადები და იყოლიოს არმია. სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალიზებული უნდა იყოს და ეყრდნობოდეს დაქირავებული მოხელეების კეთილსინდისიერ საქმიანობას. სახელმწიფოს აგრეთვე სჭირდება კარგი კომუნიკაციები, რათა მართვა და ტერიტორიის კონტროლი ეფექტიანი იყოს” [Giddens,1991].

ახლო აღმოსავლეთში ზემოხსენებული პირობების დაცვა გარკვეული დროის განმავლობაში ხელეწიფებოდათ მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ წარმონაქნებს, რომლებიც იმპერიის შექმნის მიდრეკილებას იჩენდნენ. რეგიონის ზოგი პატარა სახელმწიფო იმპერიაში გადაიზრდა, როგორც, მაგალითად, ოსმანის ბეილიქი ან სეფიანთა მიერ გაერთიანებული ირანის აზერბაიჯანის ყიზილბაშთა ტომები, რომლებიც, შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიად და ირანის იმპერიად გადაიქცნენ. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, პატარა სახელმწიფოებს იმპერიები შთანთქავდნენ.

ენტონი გიდენსის თანახმად, იმპერიები ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოებია, რომლებიც იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების დაპყრობით ან დაპყრობის მუქარით გაერთიანების გზით. იმპერიის შესაქმნელად საჭიროა, არსებობდეს გარკვეული იდეოლოგიით გაერთიანებული ენერგიული და მიზანსწრაფული ადამიანების ჯგუფი (ხანდახან ეს შეიძლება იყოს დინასტია: საუ-კეთესო მაგალითია ოსმანის დინასტია), რომლის ხელში უნდა მოხდეს სამხედრო გამოცდილებისა და ეკონომიკური (მათ შორის – შრომითი) რესურსების კონცენტრაცია.

იმპერიას რთული სამთავრობო აპარატი ესაჭიროებოდა. შუა საუკუნეების იმპერიის გაფართოებას-თან ერთად მისი მართვა სულ უფრო რთულდებოდა, ვინაიდან გზები და კავშირგაბმულობა სრულფასოვანი არ იყო.

ტრადიციული სახელმწიფოების ტერიტორია ყოველთვის ცუდად იყო შემოსაზღვრული და ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებული კონტროლი სუსტი იყო.

პერიფერია ხშირად უმართავი ხდებოდა, ის გამოდიოდა ცენტრალური აპარატის კონტროლიდან და იქ ახალი სახელმწიფოები ჩნდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ატლანტის ოკეანის ნაპირებსა და პირენეის ნახევარკუნძულზე გასული მუსლიმები (რომელთა შორის ცოტა იყო საკუთრივ არაბი) ვეღარ იმართებოდნენ შორეული დამასკოდან ან ბაღდადიდან და ისინი ცალკე სახალიფოებს ან საამიროებს ქმნიდნენ.

ანალოგიური მაგალითია XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი არაბეთის ნახევარკუნძულის შორეულ სამხრეთში მდებარე იემენი. ის მხოლოდ ნომინალურად რჩებოდა იმპერიის შემადგენლობაში და XIX საუკუნეში სტამბოლს მისი ხელახალი დაპყრობა მოუწია.

ახლო აღმოსავლეთის იმპერიები, იშვიათი გამონაკლისით (ბიზანტია, ოსმალეთი) სამ-ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს ვერ ძლებდნენ და იშლებოდნენ გარეშე თუ შიდა ძალების გავლენით. მათ ტერიტორიაზე კი ჩნდებოდა ახალი იმპერიები.

აი, ზოგიერთი ახლოაღმოსავლური იმპერიის "ხანმედეგობა":

- ირანის აქამანიანთა იმპერიამ სამიოდე საუკუნე გაძლო და დაეცა ალექსანდრე მაკედონელის მცირერიცხოვანი არმიის ძლიერი დარტყმის შემდეგ;
- ოთხ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ირანის სასანიანთა იმპერია, რომელიც გაანადგურა არაბთა სახალიფომ;
- ისლამის ბაზაზე გაერთიანებულმა არაბებმა შექმნეს თავიანთი იმპერია – სახალიფო, რომელმაც სამიოდე საუკუნე გაძლო (VII-X სს);
- სელჩუკიან თურქთა იმპერიამ (რუმის სასულტნომ) საუკუნენახევარი იარსება (XI-XIII სს): ის მონღოლებმა დაშალეს;
- მონღოლ ილხანთა იმპერიამ (XIII-XIV საუკუნის შუა წლები) საუკუნეზე მეტ ხანს ვერ გაძლო;
- თემურ-ლენგის იმპერია მისი დამაარსებლის სიკვდილთან ერთად დაიშალა (XIV-XV სს.).
- სეფიანთა იმპერია ორ საუკუნეზე ცოტა მეტხანს (1502-1722) არსებობდა;

დასავლეთ აზიაში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა ბიზანტიის იმპერიას. ნომინალურად, მან 11 საუკუნე იარსება (IV-დან XV საუკუნემდე), მაგრამ უკვე XI საუკუნის ბოლოდან კონსტანტინოპოლი ვეღარ აკონტროლებდა მცირე აზიის უდიდეს ნაწილს. ფორმალურად არსებობა კი იმპერიამ 1453 წელს შეწყვიტა.

ბიზანტიის ფაქტობრივ "ტერიტორიულ" მემკვიდრედ რეგიონს მოევლინა ოსმალეთის იმპერია, რომელმაც ექვს საუკუნეზე მეტხანს იარსება (XIII-XX სს.).

იმპერია პოლიტიკურად შეიძლება მოკვდეს, მაგრამ მისი სოციალ-კულ¬ტურული და იურიდიული მემკვიდრეობა, ხანდახან – სახელიც კი, დიდხანს ნარჩუნდება ხოლმე.

რომაული სამართლის წესებს და "რომის" სახელს რომის იმპერიის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ (იხ. ჩანართი).

სახელმწიფო მშენებლობაში "რომის" სახელის გამოყენების შესახებ

ევროპის დასავლეთში რომის იმპერია V საუკუნის ბოლოდან რეალურად აღარ არსებობდა, მაგ¬რამ რომის სახელს დიდხანს იყენებდნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთითაc.

"ბიზანტიის" ბერძნული თვითსახელი იყო "ბასილეია ტონ რომაიონ", ლათინურად – "Imperium Romanorum" ("ბიზანტია" XVI საუკუნის შუაგულში, 1557 წელს, გაჩენილი ტერმინია);

სელჩუკიანმა თიურქებმა, რომელთაც ბიზანტიას წაართვეს ანატოლია, იმავე ტერიტორიაზე დააარსეს სასულტნო, რომელსაც *რუმს* (ანუ "რომს") უწოდებდნენ;

XI-XIX საუკუნეებში არსებობდა *წმინდა რომის იმპერია* (Heiliges Römisches Reich), რომელიც ნომინალურად მოიცავდა დასავლეთ ევროპის საკმაო ნაწილს, ძირითადად (თუმცა არა მხოლოდ) გერმანელებით დასახლებულს: ეს იმპერია ოფიციალურად 1806 წელს გაუქმდა;

XV საუკუნიდან მოსკოვის დიდი მთავრები, შემდგომში – რუსეთის ცარები, თავიანთ სამფლობელოს "მესამე რომს" უწოდებდნენ ("მეორე რომი" იყო კონსტანტინოპოლი).

XIX საუკუნეში გაერთიანებულმა ვლახეთმა და მოლდოვამ სახელად Romania დაირქვა: ჩვენ მას რუმინეთად ვიცნობთ.

პოლიტიკური რუკიდან ოსმალეთის გაქრობიდან (ოფიციალურად – 1923 წელს) ერთი საუკუნის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რიგში ოსმალური კანონმდებლობა კვლავაც გამოიყენება მიწათმფლობელობის, პირადი სტატუსის, უმცირესობათა უფლებების განსასაზღვრავად. ისრაელის სახელმწიფოც კი, რომელიც სულ სხვა ცივილიზაციის პროდუქტია, ცნობს მიწის ფლობის ოსმალეთის დროინდელი კანონმდებლობის ელემენტებს.

ისლამის წარმოშობისა და მისი წინსვლის შედეგად ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფოებრიობა დამკვიდრდა. სპარსეთის სასანიანთა იმპერია, რომლის იდეოლოგია (რელიგია იდეოლოგიის ნაირსახეობაა!) ზოროასტრიზმს ეფუძნებოდა, სახალიფომ სრულად შთანთქა, ხოლო ისლამმა ზოროასტრიზმს ხაზი გადაუსვა. თიურქთა მოწოლის გამო ბიზანტიის იმპერია იძულებული გახდა, სულ უფრო დასავლეთით გადაწეულიყო, ვიდრე 1453 წელს ის საბოლოოდ გაანადგურა ოსმალეთმა. ჯვაროსნების ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა არასრული ორასი წელი იარსებეს ლევანტში, პალესტინასა (კერძოდ, იერუსალიმში) და კვიპროსზე.

XV საუკუნიდან არაისლამური სახელმწიფოებრიობა, ქართული სამეფო-სამთავროების სახით, შემორჩა მხოლოდ იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთ ნაწილს – სამხრეთ კავკასიას. ეს პოლიტიკური ერთეულები განუწყვეტელ ზეწოლას განიცდიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით არსებული ისლამური იმპერიების მხრიდან. ისლამურმა იმპერიებმა ვერ მოახერხეს საქართველოს სრულად დაპყრობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი, გარკვეული თვალსაზრისით, იყო დანარჩენი ახლო აღმოსავლეთის მიმართ საქართველოს სამეფოს (XV საუკუნიდან – რამდენიმე ქართული სამეფო-სამთავროს) შედარებით პერიფერიული მდებარეობა: ძირითადი ბრძოლა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის უფრო სამხრეთით მიმდინარეობდა. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ისლამური იმპერიების მოწოლას დიდი გაჭირვებით, ასე თუ ისე გაუძლო: სახელმწიფოებრიობა და საბოლოოდ, იდენტობა, დაკარგა ყველაზე სამხრეთით მდებარე სამთავრომ -- სამცხე-საათაბაგომ.

ბიზანტიური ტიპის მართლმადიდებელი ქრისტიანობა პრაქტიკულად ხელს არ/ვერ უშლიდა ფორმალურად ბიზანტიისავე პერიფერიაზე ან მისი კულტურული გავლენის სფეროში მდებარე, ლინგვისტურად ჰომოგენურ, მხარეებში შუა-საუკუნეობრივი ეთნოსების ჩამოყალიბებას და მათი "ეროვნული"[1] სახელმწიფოების მშენებლობას. სწორედ ამან შეუწყო ხელი ქართველთა, ბულგარელთა, სერბთა, უკრაინელთა (იმავე კიეველ რუსთა), ვლახთა და მოლდაველთა (მომავალ რუმინელთა) და სხვათა *სახელმწიფოების* ფორმირებას. სომხებს ქრისტიანობის საკუთარი მიმდინარეობა აერთიანებდა.

[1] ბრჭყალებს ვიყენებ, რადგან შუა საუკუნეების სახელმწიფო „ეროვნული" ვერ იქნებოდა -- იმ დროს მას აერთიანებდა *ხელმწიფე, რელიგია* და, ხშირად, ოფიციალური (მმართველი ბირთვის) ენა. „ეთნო-ტერიტორიული ნაციონალიზმი" ძირითადად მე-19 საუკუნის მოვლენაა (თუმცა ის მე-18 საუკუნის ბოლო ათწლეულებში ისახებოდა).

იმავეს ვერ ვიტყვით ისლამზე, რომლის დოგმა ეწინააღმდეგება მრავალი ისლამური სახელმწიფოს შექმნას.

დღეს ეს დოგმატური აკრძალვა პრაქტიკულად არ მოქმედებს. მაგრამ ისლამის წინსვლის საწყის ეტაპზე მართლაც მხოლოდ ერთი ისლამური სახელმწიფო იყო, რომელსაც ერთი ხელისუფალი ხალიფა მართავდა. ის, როგორც წინასწარმეტყველ მუჰამმადის ადგილმონაცვლე, განასახიერებდა ერთდროულად სასულიერო და საერო ხელისუფლებას. სახალიფოს პოლიტიკური ერთობა რეალურად საკმაოდ მალე დაიშალა, თეორიულად კი ისლამური სახელმწიფო მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც მომძლავრებული მუსლიმი მმართველი, რომელიც თავს ხალიფას მემკვიდრედ გამოაცხადებდა, ყველა სხვა მუსლიმ მმართველს ან თავის ვასალად მიიჩნევდა ან მეამბოხედ, რომელიც უნდა დაესაჯა (თუკი ამის ძალა შესწევდა!). რეალობაში კი იქმნებოდა ძალთა გარკვეული თანაფარდობა და "მუსლიმთა ერთადერთი ხელმძღვანელის" დოგმა პრაქ¬ტიკაში არასოდეს ხორციელდებოდა.

ცნობილი ბრიტანელ-ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე ბერნარდ ლიუისი გვაწვდის საინტერესო ფაქტს ამასიის ზავთან დაკავშირებით, რომლითაც სპარსეთმა და ოსმალეთმა 1555 წელს დაამთავრეს ომების 41-წლიანი პერიოდი, და რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებად ითვლება:

> "თუკი ოსმალური ხელშეკრულებების საარქივო ან გამოქვეყნებულ კრებულებს გავსინჯავთ, ამასიის საზავო ხელშეკრულების ტექსტს იქ ვერ აღმოვაჩენთ. ეს კრებულები საკმაოდ ახლო პერიოდამდე მოიცავს მხოლოდ ხელშეკრულებებს ოსმალეთის იმპერიასა და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის. ქრისტიანული ქვეყანა ლეგალური ერთეული იყო. სხვა ისლამური სახელმწიფო ლეგალური ერთეული არ იყო. სულტნის პოზიციიდან, შაჰი მეამბოხე იყო; შაჰის პოზიციიდან, მეამბოხე იყო სულტანი, ამიტომაც საზავო მოლაპარაკებისას ეს საკითხი ღიად დატოვეს...
>
> ერთი ოსმალური დამწერლობითი ხელოვნების სახელმძღვანელო ორ შესაბამის დოკუმენტს წარმოგვიდგენს. პირველს მოხდენილად ჰქვია "ვედრების წერილი" და ის თითქოს შაჰისგან უნდა მოდიოდეს, მაგრამ აშკარად შედგენილია ოსმალო მოხელის მიერ. მეორე დოკუმენტში სულტანი სულ¬გრძელად პასუხობს [შაჰის "ვედრების წერილს": რ.გ.], რაც ცალმხრივი განცხადებაა მისი მხრიდან, მაგრამ სინამდვილეში მოიცავს ხელშეკრულების მუხლებს. ეჭვგარეშეა, რომ სპარსეთის მხარესაც უნდა ჰქონოდა ეკვივალენტური დოკუმენტი".

XX საუკუნემდე ახლო აღმოსავლეთში ნომინალურად მხოლოდ ორი სახელმწიფო იყო – ოსმალეთი და სპარსეთი. იყო რამდენიმე ბრიტანული პროტექტორატი. XX საუკუნის ბოლოს კი იმავე ტერიტორიაზე 16 სახელმწიფო არსებობდა.

სპარსეთი (1935 წლიდან ირანად წოდებული) იმავე ტერიტორიას ფლობს, რაც მას 1857 წლიდან დარჩა (დიდ ბრიტანეთთან ავღანეთის გამო ომის შემდეგ).

ომანის სასულტნო ნომინალურ სახელმწიფოებრიობას ფლობდა, თუმცა ისიც ბრიტანული პროტექტორატი იყო ისევე, როგორც ადენი, რომელიც ახლა იემენის ნაწილია. ასეთივე პროტექტორატები იყო დღევანდელი კატარი, ბაჰრეინი, გას-ი. არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა საუდის არაბეთი, რომელიც I მსოფლიო ომის პერიოდიდან 1920-იანი წლების შუამდე სარგებლობდა იმავე ბრიტანეთის ფინანსური დახმარებით.

დანარჩენი 11 სახელმწიფო კი წარმოიქმნა ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე. ესენია თურქეთი, ერაყი, სირია, ლიბანი, ისრაელი, იორდანია, კვიპროსი, ეგვიპტე, იემენი, ქუვეითი და ჯერ სრულად არაღიარებული პალესტინა.

არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და დასავლეთ პერი¬ფე¬რი¬აზე არსებული ყველა არაბული სახელმწიფო, ერაყი, იორდანია და ისრაელი "ბრიტანული ქმნილებაა". ლონდონს არ სჭირდებოდა ახლო აღმოსავლეთში ერთიანი დიდი არაბული სახელმწიფოს წარმოშობა და არ მისცა საშუალება ნახევარკუნძულის შუაგულში დაწყებულ არაბთა გამაერთიანებელ მოძრაობას (რაც პრაქტიკაში წარმოადგენდა საუდიანთა დინასტიის ექსპანსიას) შეეყვანა მთელი ნახევარკუნძული ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

რეგიონში ამჟამად არსებული სახელმწიფოები პოლიტიკური რეალობაა. ისინი ცნო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ და, როგორც 1991 წლის ოპერაცია «უდაბნოს ქარიშხალმა» აჩვენა, მათ ძალისმიერ ურთიერთშერწყმას დანარჩენი მსოფლიო (პრაქტიკულად – ზესახელმწიფოები) აქტიურად შეეწინააღმდეგება, როგორც არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ბა-ლანსის უხეშ დარღვევას.

ახლო აღმოსავლეთში მუდმივობა შეიძინა იმ პოლიტიკურმა სივრცემ, რომელიც XX საუკუნის საზღვრებმა გამიჯნა.

ისევე, როგორც ყველგან თანამედროვე მსოფლიოში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ წესრიგში ძირითად, ლეგიტიმურ და უნივერსალურ ერთეულს ამჟამად წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფო (Nation-state) .

«ეროვნული სახელმწიფო ნიშნავს, რომ აღიარებული სუვერენული უფლებების მოხმობით დემარკირებული ტერიტორიის საზღვრებში არსებობს პოლიტიკური აპარატი, რომელსაც აქვს უნარი დაიცვას თავისი სუვერენიტეტი სამხედრო ძალის მეშვეობით მის მოქალაქეთა უმეტესობას აქვს პოზიტიური გრძნობა იმის გამო, რომ ეკუთვნის ამ სახელმწიფოს ეროვნულ იდენტობას»

სახელმწიფო საზღვრები ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ლანდშაფტის წამყვან ნიშნად იქცა.

რეგიონში არსებობს ერთი ირანული, ერთი თურქული და ერთი ებრაული სახელმწიფო (ყველა მათგანში არის ეთნიკური უმცირესობები). ანკარა ცნობს "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას", მაგრამ დანარჩენი მსოფლიო კვიპროსს განიხილავს ისევ ერთიან ("იძულებით გაყოფილ") სახელმწიფოდ, რომელიც ბერძნულ-თურქული უნდა იყოს.

ახლო აღმოსავლეთის ყველა დანარჩენი ქვეყანა არაბულია.

მსოფლიოში ამჟამად "არაბულ ქვეყნად" მიჩნეულია 22 პოლიტიკური ერთეული – 21 აღიარებული სახელმწიფო და პალესტინის ადმინისტრაცია, რომლის საზღვრები დაუდგენელია, მაგრამ მისი სახელმწიფოებრიობის *de jure* აღიარება აქა-იქ უკვე ხდება. ამ 22 არაბული პოლიტიკური ერთეულიდან 13 მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში.

არაბული სამყარო პოლიტიკურად და სოციალურ-კულტურულად ძალიან მრავალ-ფეროვან და დიდ სივრცეს მოიცავს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამ სივრცის მთავარი გამაერთიანებელი არის ისტორია, თვითსახელი («არაბი") და ლიტერატურული არაბული ენა. მაგრამ ეს არაა საკმარისი ფაქტორები პოლიტიკური ერთიანობისათვის. პოლიტიკური პანარაბიზმი (განსხვავებით კულტურულისაგან), ანუ არაბებით დასახლებული ყველა ტერიტორიის ერთ სახელმწიფოში შერწყმა, განუხორციელებელი რჩება.

1950-1960-იან წლებში იყო არაბული ქვეყნების გაერთიანების რამდენიმე მცდელობა. მაგალითად, 1958-1961 წლებში არსებობდა გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა, რომელშიც ეგვიპტე და სირია შედიოდა; ლიბია, მუამარ კადაფის მმართველობის პერიოდში (1969-2011), ცდილობდა ხან

თუნისთან, ხანაც ეგვიპტესთან გაერთიანებას. მაგრამ ასეთი ცდები მალევე იფუშებოდა: ეროვნულ პოლიტიკურ ელიტებს ძალიან განსხვავებული ინტერესები ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ. თუმცა არსებობს არაბული ქვეყნების ლიგა, არსებობს გარკვეული არაბული სოლიდარობაც, არაბული ნაციონალიზმი, მაინც ჩაკეტილია ქვეყნების პოლიტიკურ საზღვრებში.

რეგიონის პოლიტიკური ერთეულების მართვის სისტემა ამჟამად უფრო რეს-პუბლიკურია (ასეთია ცხრა ქვეყანა, პალესტინის ჩათვლით), ვიდრე მონარქიული (შვიდი ქვეყანა). XX საუკუნის ახლო აღმოსავლეთში მონარქია მყიფე პოლიტიკური სისტემა გამოდგა: 1922 წელს გაუქმდა მონარქია თურქეთში, 1953 წელს – ეგვიპტეში, 1958 წელს – ერაყში, 1962 წელს – იემენში, 1979 წელს – ირანში. მაგრამ არაბეთის ნახევარკუნძულის მონარქიები და იორდანია დღემდე ამჟღავნებს საკმაო სიცოცხლისუნარიანობას.

უფრო მეტიც, ზოგ რესპუბლიკაში მმართველი დინასტიები იქმნებოდა. მაგალითად, სირიაში პრეზიდენტ ჰაფიზ ალ-ასადის შემდეგ მისმა ვაჟმა, ბაშარმა, დაიკავა იგივე პოსტი. ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი თავის ვაჟს ამზადებდა მემკვიდრედ. იმავეს ამბობდნენ რეგიონის ზოგი სხვა ქვეყნის მეთაურზეც (ეგვიპტე, იემენი). ასეთ პრაქტიკას "სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობით" ასაბუთებენ ხოლმე, რაც სრულებით ანტიდემოკრატიულია. 2011 წლის მოვლენებმა თითქოს ხაზი გადაუსვა «მემკვიდრეობითი რესპუბლიკების» პრაქტიკის გაგრძელებას. მაგრამ არავინ იცის, რას მოიფიქრებენ ახალგამოჩეკილი და ძველი დიქტატორები, რომლებიც რეგიონში საკმაო რაოდენობითაა!

თემა 2
საზღვრები ახლო აღმოსავლეთში

საზღვრების აბსოლუტური უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნის ქმნილებაა. გამონაკლისი არაა თურქეთ-ირანის საზღვარიც კი, თუმცა მისი ძირითადი მონახაზი მოდის 1555 წლიდან, როდესაც სპარსეთის შაჰისა და ოსმალეთის სულტნის ელჩებმა ქ. ამასიაში მოუნახეს გარკვეული კომპრომისი საკუთარი მბრძანებლების ტერიტორიულ ამბიციებს.

სინამდვილეში 1555 წელს ქ. ამასიაში ზავის დადებისას დაადგინეს შაჰისა და სულტნის შესაბამის მფლობელობაში მყოფი მიწების სასაზღვრო ზოლი, ანუ ის, რასაც ინგლისურად **frontier** ჰქვია, ხოლო ქართულ შესატყვისად შეიძლება ისტორიული ტერმინი «ნაპირი» გამოვიყენოთ . ოსმალეთ-სპარსეთის ნაპირი ერთადერთი ლეგალური მიჯნა იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში თითქმის სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში. სხვა ნაპირს და, მითუმეტეს, საზღვარს (იმას, რასაც ინგლისურად **boundary/border** ჰქვია) ოსმალეთი და სპარსეთი რეგიონში არ ცნობდნენ. საქართველო მათ მიერ გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი: დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის სულტნის სიუზერენიტეტის ქვეშ იყვნენ, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები – სპარსეთის შაჰისა. სამცხესაათაბაგო და აჭარა უშუალოდ იქნა ინკორპორირებული (შეყვანილი) ოსმალეთის იმპერიაში.

ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრის დემარკაცია (ადგილზე მონიშვნა) მხოლოდ 1913 წელს დამთავრდა: ის ჩაატარეს რუსმა და ბრიტანელმა სპეციალისტებმა. საზღვარი ოფიციალურად

გაფორმდა იმავე წლის სტამბოლის შეთანხმებით. ამ შეთანხმებით დემარკირებული საზღვარი ამჟამად აშორიშორებს ერთმანეთისაგან თურქეთსა და ირანს, ერაყსა და ირანს.

ამრიგად, უძველესი საზღვარი რეგიონში ას წელზე ცოტა მეტი ხნისაა. და-ნარჩენი საზღვრების უმეტესობა კიდევ უფრო გვიანდელია: ისინი ჩამოყალიბდა და გაფორმდა ძირითადად 1920-იანი წლებიდან.

საზღვრების უდიდესი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში ევროპული კოლონიალიზმის (სამანდატო სისტემის, პროტექტორატების) მემკვიდრეობაა. I ტომის მე-10 თავში აღწერილია, თუ როგორ ისაზღვრებოდა მომავალი სახელმწიფოების ტერიტორია ლონდონის კაბინეტებში. სერ მარკ საიქსისა და ფრანსუა ჟორჟ პიკოს ფერადი ფანქრებით გავლებული ხაზებიდან[2] სრული სიზუსტით პოლიტიკურ რუკაზე მხოლოდ მცირე მონაკვეთები აისახა, მაგრამ მათი "სასაზღვრო გარიგების" ძირითადი მონახაზი, როგორც იტყვიან, პრაქტიკაში დაინერგა და შესაბამისი პრობლემებიც წარმოშვა.

თავისი უარყოფითი წვლილი მომავალ სასაზღვრო დავებში შეიტანეს გეოგრაფიულად ბუნდოვანმა *ბალფურის დეკლარაციამ* და გაეროს უშიშროების საბჭოს შეუსრულებელმა რეზოლუციებმა.

ყველა სასაზღვრო პრობლემის შექმნას გარეშე ძალებს ვერ დავაბრალებთ: ადგილობრივმა სახელმწიფოებმა (რომლების «გამჩენი» კი იყვნენ ლონდონი და პარიზი!), დამოუკიდებლადაც შეიქმნეს პრობლემები. ასე მაგალითად ისრაელის სახელმწიფოს სადავო აქვს საზღვარი სირიასთან (სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობი ისრაელს 1967 წლიდან აქვს ოკუპირებული, 1981 წელს კი მისი ცალმხრივი ანექსირება მოახდინა), ლიბანთან (ხარ-დოვის/შებაას ფერმების მომცრო ტერიტორია). გაურკვეველია, თუ სად გადის ისრაელის საზღვარი პალესტინის ადმინისტრაციასთან, ან სად გაივლის საზღვარი მომავალ პალესტინის სახელმწიფოსთან. სამაგიეროდ, ეგვიპტესთან (საბოლოოდ, 1982 წლიდან) და იორდანიასთან (1994 წლიდან) ისრაელმა სასაზღვრო საკითხები მოაგვარა.

თავისებური სასაზღვრო პრობლემა აქვს **კატარს**, რომლის ამირასათვის უსიამოვნო ფაქტი იყო, როდესაც 1974 წელს მან შეიტყო, რომ მის სამფლობელოს აღარა აქვს საერთო საზღვარი გას-თან და ამიერიდან მხოლოდ საუდის არაბეთს ესაზღვრება. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გას-ის ყველაზე დიდი და მდიდარი საამიროს, აბუ-დაბის, მონარქი *შეიხ ზაიედ ბინ სულტან ან-ნაჰაიანი* 1974 წელს 21 აგვისტოს ქ. ჯიდაში ფარულად შეუთანხმდა საუდის არაბეთის *მეფეს ფაისალ ბინ აბდულაზიზ ას-საუდს* და გაუცვალა მას ტერიტორია. შეთანხმების ტექსტი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გამოქვეყნდა. გაცვლის შედეგად აბუ დაბიმ მიიღო ექვსი სოფელი მცირე ოაზისებში, ხოლო საუდის არაბეთმა – 25 კილომეტრი სიგრძის გასასვლელი სპარსეთის ყურეში კატარის სამხრეთით და ამ სახელმწიფოს ერთადერთი მეზობელი გახდა. სხვათა შორის, ეს შეთანხმება დღემდე არაა რატიფიცირებული გას-ის მიერ, მაგრამ საზღვარი რეალობაა.

კატარისათვის კიდევ უფრო უსიამოვნო შედეგი ექნება საუდის არაბეთის მიერ 2018 წელს გამოცხადებულ გეგმას, გაიყვანოს 60 კილომეტრის სიგრძის, 200 მეტრის სიგანისა და 15-20 მეტრის სიღრმის სანაოსნო არხი კატარის საზღვრის პარალელურად, მაგრამ მთლიანად თავის ტერიტორიაზე, ისე, რომ კატარს არავითარი უფლება არ ჰქონდეს მასზე [Saudi waterway, 2018]. თუ ეს

[2]"საიქს-პიკოს შეთანხმება" და „ბალფურის დეკლარაცია" განხილულია წიგნში: გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018

გეგმა განხორციელდა, კატარის ნახევარკუნძული კუნძულად იქცევა. საუდის არაბეთს, მისი ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით, სავსებით შეეძლება ასეთი არხის გაყვანა ამჟამად დაუსახლებელ უდაბნო ტერიტორიაზე.

ამ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორი მოქმედებს – საუდის არაბეთის მმართველი დინასტია ვერ ეგუება კატარის "მეტისმეტად დამოუკიდებელ" ქცევას საერთაშორისო ასპარეზზე.

საზღვრების რამდენიმენაირი კლასიფიკაცია არსებობს. ქვემოთ მოტანილია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, **ბოგსის კლასიფიკაცია** [Boggs, 1940], რომელიც სახმელეთო საზღვრებს ასე აჯგუფებს: ფიზიოგრაფიული, ანთროპოგეოგრაფიული, გეომეტრიული და კომპლექსური.

ფიზიოგრაფიული საზღვრები მიჰყვება ტერიტორიის გამოკვეთილ ფიზიკურ ნიშ-ნებს, მაგალითად, მდინარეს, ქედს, ტბის ნაპირს და ა.შ. ახლო აღმოსავლეთში ასეთი მაგალითებია ირან-ერაყის, ისრაელ-იორდანიის საზღვრების მონაკვეთები.

ანტროპოგეოგრაფიული საზღვრები ადამიანის ხელქმნილ ნიშნებს მიჰყვება. ყველაზე ცნობილი მაგალითია 1920 წლის თურქეთ-საფრანგეთის ხელშე-კრულებით (იხ. ტომი I, თავი 10) დადგენილი სირია-თურქეთის საზღვრის 390-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მიუყვება ასიოდე წლის წინ გაყვანილი «ბაღდადის რკინიგზის» ლიანდაგს.

მაგრამ ანტროპოგეოგრაფიული საზღვარი შეიძლება ეყრდნობოდეს ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ განმასხვავებელ ნიშნებსაც, მაგალითად, ეთნიკურ ან რელიგიურ განსახლებას.

გეომეტრიული საზღვრები მისდევს გრძედს ან განედს, როგორც, მაგალითად, ეგვიპტის დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები, ანდა სწორ ხაზებს, რომლებიც გარკვეულ წერტილებს აერთებს. თუ რუკაზე გავლებული სწორი ხაზი ისეთ უდაბნოში გადის, სადაც მოძრავი ქვიშის დიუნებია, იქ ძნელია საზღვრის დემარკაცია (მონიშვნა).

ახლო აღმოსავლეთის ბევრი სახელმწიფოს საზღვრები (განსაკუთრებით, თუკი ისინი უდაბნოში გადის) სახაზავით იქნა გავლებული უაიტჰოლის კაბინეტებში (სირიის შემთხვევაში – პარიზთან შეთანხმებით). იქ კი არ იცნობდნენ ახლო აღმოსავლეთის სოციალურ გეოგრაფიასა და ტოპოგრაფიას. ამიტომაც საზღვრების დიდი ნაწილი გეომეტრიულია: კარგი მაგალითია იორდანიის საზღვრები სირიასთან, ერაყთან და საუდის არაბეთთან.

1906 წელს ოსმალეთის იმპერიის ნაწილებს – ეგვიპტესა და ჰიჯაზის ვილაიეთს – შორის ლონდონის დაჟინებით გავლებული სწორი ხაზი (იმ დროს – ადმინისტრაციული საზღვარი) საბოლოოდ ისრაელ-ეგვიპტის სახელმწიფო საზღვრად იქცა.

კომპლექსური საზღვრები ზემოაღნიშნული ვარიანტების ნებისმიერ კომბინაციას წარმოადგენს.

ხანდახან ისმის ხოლმე ლაპარაკი «ბუნებრივ საზღვრებზე", რომელიც თითქოს შედარებით ადვილად დასაცავი მიჯნაა. მაგრამ, როგორც ინგლისელი სპეციალისტები აღნიშნავენ:

> "არ არსებობს ის, რასაც «ბუნებრივ საზღვარს» უწოდებენ. ყველა [სახმელეთო: რ.გ.] საზღვარი თვითნებურია. იქნება თუ არა ის კარგი ღობე, დამოკიდებულია მისი განვითარების სტადიაზე და არა ფიზიოგრაფიაზე. «მოწიფული» გეომეტრიული საზღვარი, ანუ ისეთი, რომელიც სათანადოდაა აღიარებული და კარგად იმართება, შეიძლება ბევრად უფრო სტაბილური და საიმედო იყოს, ვიდრე ფიზიკურად მკაფიო, მაგრამ სადავო საზღვარი" [Drrisdale & Blake, 1985, 82].

რაოდენ კარგადაც უნდა იყოს დელიმიტირებული, დემარკირებული და დაცული საზღვარი, არ არსებობს სრული გარანტია, რომ არ წარმოიშობა სახელმწიფო-თაშორისი დავა საზღვრების გამო.

დავა თითქმის გარდაუვალია, თუკი საზღვარი მოუწყობელია, ან ის არ არის მოსაზღვრე ქვეყნების მიერ აღიარებული.

გამოყოფენ ოთხი ტიპის სასაზღვრო დავას [Prescott, 1978]. ესენია: **პოზიციური, ტერიტორიული, ფუნქციური და საზღვარგადაღმა რესურსული დავა.** ყველა მათგანი ახლო აღმოსავლეთშიც ვლინდება.

პოზიციური დავა ეხება ხოლმე საზღვრის ზუსტ მდებარეობას: ის გამომდინარეობს ან იურიდიული დოკუმენტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციიდან, ანდა წარმოიშობა საზღვრის ფიზიკური თავისებურებების ცვლილების შედეგად (მაგალითად, მდინარის კალაპოტის შეცვლის, კუნძულის აღმოცენებისა თუ გაქრობის გამო).

ტერიტორიული დავის საბაბს ქმნის ერთსა და იმავე მიწაზე მეზობელი ქვეყნების პრეტენზია, რაც, ჩვეულებრივ, ეყრდნობა სხვადასხვა პოზიციიდან გაგებულ ისტორიას ან «გეოგრაფიულ აუცილებ-ლობას" (მაგალითად, ჩაკეტილი ქვეყნის მისწრაფებას გავიდეს ღია ზღვაზე, ე.წ. "სასიცოცხლო სივრცის" მოპოვებას, ირედენტიზმს* და ა. შ.). რეგიონში ყველაზე ცნობილი ტერიტორიული დავაა კონფლიქტი პალესტინის მიწის გამო. სამხრეთ კავკასიაში ასეთივე მაგალითია დავა მთიანი ყარაბაღის გამო.

როგორც პოზიციური, ისე ტერიტორიული დავის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე, ჩვეულებრივ, მოითხოვს ხოლმე საზღვრის გადაწევას.

ფუნქციური დავის შემთხვევაში მეზობელი მხარეები ჩივიან, რომ საზღვარი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანების, ტვირთების გადაადგილებაზე, მიწის გამოყენებაზე (მაგალითად, საძოვრად).

საზღვარგადაღმა რესურსული დავა წარმოიშობა, როდესაც ერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ მეორე ქვეყანა მის ხარჯზე იყენებს ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, წყალს. ახლო აღმოსავლეთში ასეთი ტიპის დავა არსებობს ერაყსა და სირიას, ერაყსა და თურქეთს, სირიასა და თურქეთს შორის. ხშირად ჩნდება ასეთი ტიპის დავა სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის ნავთობისა და გაზის წყალქვეშა საბადოების ექსპლუატაციის თაობაზე.

ფუნქციური და საზღვარგადაღმა რესურსული დავის გადაჭრა შესაძლებელია საზღვრის შეუცვლელად, მოლაპარაკების გზით.

თემა 3
საქართველო და ახლო აღმოსავლეთი (მრავალწახნაგოვანი გეოგრაფიული მიდგომა)

სასკოლო ისტორიის ჩვენი სახელმძღვანელოები მუსლიმურ ქვეყნებთან დაკავშირებით მოსწავლეების (მომავალში ისინი შექმნიან საზოგადოებრივ აზრს!) ყურადღებას ამახვილებენ შემოსევებსა და ომებზე, რომლებიც მართლაც ხშირი იყო და დამანგრეველიც.

მაგრამ, შუა საუკუნეების ქართველი მონარქები *ტაქტიკური მოსაზრებით* (იქნებ ელიტის ერთი ნაწილის სურვილის წინააღმდეგაც: ხალხს აზრს არავინ ეკითხებოდა!), პერიოდულად მოკავშირეობდნენ რეგიონის რომელიმე სახელმწიფოსთან მეორეს წინააღმდეგ. კარგადაა

ცნობილი, რომ 1258 წელს ბაღდადის აღებაში მონღოლების მხარდამხარ ქართული ჯარიც იბრძოდა; ზოგიერთი ჩვენი მონარქი ხანდახან სპარსეთს უჭერდა მხარს ოსმალეთის წინააღმდეგ, ან პირიქით და ა.შ.

ჩვენი ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ყოველთვის როდი იყო კონფლიქტური ხასიათისა. არსებობდა კულტურული ურთიერთგავლენის მაგალითებიც. ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებს შორის ყოველთვის უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე შორს მდებარესთან.

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ "პოსტ-რომაულ" ხანაში ევროპა დიდად არ გამოირჩეოდა არც ტექნოლოგიურად და არც პოლიტიკურად. [დასავლეთ] ევროპამ მსოფლიოში დომინირება დაიწყო არა უადრეს ხვი საუკუნისა. მანამდე დასავლეთი აზია (აქ ბიზანტიაც იგულისხმება), სამხრეთი და აღმოსავლეთი აზია ტექნოლოგიურად და, გარკვეული დათქმით, კულტურის განვითარების დონითაც, ევროპას წინ უსწრებდა. XIX-XX საუკუნემდე კულტურული გავლენები (თუ არ ჩავთვლით სასოფლო-სამეურნეო კულტურებს!) არ მოდიოდა "ძველ სამყაროში" იმ დროს უცნობი ამერიკის კონტინენტებიდან (სადაც, სხვა შორის, XVI საუკუნის დამდეგამდე არც რკინის ხანა დამდგარიყო და ბორბლის გამოყენებაც არ იცოდნენ!). ათიოდე საუკუნის წინ კულტურული დონით ევროპასაც კი ჩამორჩებოდა ჩრდილოეთი ევრაზია (დღევანდელი რუსეთისა და მიმდებარე ქვეყნების ტე-რიტორია), რომლის სტეპებსა და ტუნდრაში მომთაბარეები ბატონობდნენ, ან უღრან ტყეებში იშვიათი ტომები მონადირეობდნენ.

ზემოაღნიშნულთან შედარებით, შუა საუკუნეებისა და უფრო ადრეული ხანის ახლო აღმოსავლეთთან საქართველოს მეზობლობა უფრო დადებითად უნდა შეფასდეს, ვიდრე უარყოფი-თად. ისტორიულად სწორედ ამ რეგიონიდან შემოდიოდა ჩვენში ეკონომიკური და კულტურული გავლენები (ქრისტიანობაც დასავლეთ აზიიდან მოვიდა), რომელთა მხოლოდ უარყოფითად შეფასება ცალმხრივი მიდგომა იქნებოდა.

ცალმხრივობა მხოლოდ ჩვენი სენი არაა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი *ედვარდ საიდი* თავის წიგნში "*ორიენტალიზმი*" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დასავლეთში არსებობს ყალბი წარმოდგენა ახლო აღმოსავლეთის შესახებ, დამყარებული ცრურწმენებსა და წინასწარაღებულ აზრზე, რომ აღმოსავლეთი არ იცვლება და ის "უმდაბლესია".

გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ ჩვენს კულტურაზე ახლო აღმოსავლეთს მძლავრი გავლენა ჰქონდა.

ურთიერთობათა ინტენსიობა ნათლად ვლინდება **ლექსიკაში. აღმოსავლური ენებიდან *ნასესხობათა ჩამოთვლა***უამრავ გვერდს წაიღებდა, ამიტომაც მხოლოდ ზოგიერთს ვახსენებ.

ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული სიტყვები ისმის ქართული კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფენომენის – **დროსტარების – დროს** (*სუფრა, ქეიფი, ჭაშნიკი, აზარფეშა, ალავერდი, იახშიოლი, არაყი, ულუფა, ლუკმა, მერიქიფე, მარანი, დუქანი* და *მიკიტანი, ფანდური, თარი* და *საზანდარი, ბაღი* და *ბაღჩა, ვარდი* და *ბულბული, დოლი, ზურნა* და *დუდუკი, ტახტი* და *მუთაქა*), **სამზარეულოშიც** (*ბოზბაში, ჩიხირთმა, ხაშლამა, ბულღამა, ბასტურმა, ტოლმა, ქაბაბი, ჩანახი, აჩმა, ხაში, თათარიახნი, გოზინაყი, ფელამუში*), **დროსტარების ანგარიშსწორებისას** (*ფული,* დიალექტში – *ფარა, ხურდა, 30 წლის წინ ჯერ კიდევ გამოყენებული, ახლა კი ანაქრონიზმად ქცეული თუმანი, მანე-*

თი, აბაზი, შაური). ყველა ეს სიტყვა სპარსულ-არაბულ-თიურქული[3] წარმომავლობისაა.

ახლო აღმოსავლეთის ენებიდანაა ნასესხები ქართულში დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: *ხალხი, ოჯახი, ქალაქი, ქუჩა,შუკა, შარა,მოედანი, ვაჭარი, ბაზარი, სოვდაგარი, დოვ-ლათი, ბეგარა, ხალიჩა, ფიანდაზი, ჯანი, საღი, საბუთი, ოქმი, საბაბი, ეშხი, სპეტაკი, ელჩი, გემი, ტალღა, თოფი, ჩახმახი, კონდახი, ჩაქუჩი, ნალი, უზანგი, მათრახი, ასპარეზი, ქამარი, ხანჯალი, ჩოხა, ახალუხი, ყაბალახი, ფაფახი, შარვალი, უთო, ბარაქა, ბარაქალა, იოლი, ყოჩაღ, ვაშა, დროშა, ალამი, ბაირაღი* და მრავალი სხვა.

ჩვენი "*სალამი*" არაბულიდან მოდის, სადაც ის "მშვიდობას" აღნიშნავს. ჟარგონში დამკვიდრებული "*საღოლ*!" აზერბაიჯანულიდან შემოვიდა, სადაც პირდაპირი მნიშვნელობით არის "კარგად იყავი", მაგრამ "მადლობას" ნიშნავს!

თიურქულ-სპარსულია მეცხოველეობის ჩვენი ტერმინოლოგიის საგრძნობი ნაწილი – *დოლი, თოხლი, იალაღი, ჩობანი, სარქალი, იორღა* და ა.შ. ძველქართულ სიტყვებს ზოგჯერ ჩაენაცვლა აღმოსავლური, მაგალითად, *ყოჩი* (როდესაც გვაქვს ვერძი), *ბატკანი* (კრავი), *ბუღა* (კურო)*და ა.შ.*

ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლისას ჩვენ, ბუნებრივია, უკუვაგდებთ ისეთ აშკარა ბარბარიზმებს, როგორიცაა *ბალკონი, ფანტანი, ბასეინი, ჩაინიკი, პლაშჩი, საროჩკა, ზონტიკი, პრუჟინა, სუმკა, პოლი, აკოშკა, რამკა, ჩაშკა, ვილკა* და მათ ნაცვლად ვამჯობინებთ სიტყვებს *აივანი, შადრევანი, აუზი, ჩაიდანი, ლაბადა, პერანგი, ქოლგა, ზამბარა, ჩანთა, იატაკი, ფანჯარა, ჩარჩო, ფინჯანი, ჩანგალი.* სინამდვილეში ყველა ეს სიტყვა ქართულში შემოვიდა ისევ ძირითადად სპარსულიდან, ზოგი – თურქულიდან.

ახლო აღმოსავლეთიდან, ძირითადად, სპარსული ენიდან შემოვიდა ჩვენში ისტორიულად ცნობილი და დღემდე გამოყენებული საკუთარი სახელები (ისინი იშვიათად მოდის არაბულიდან თურქული ენის გავლით, მაგალითად – *ჯემალი*, ან პირდაპირ თიურქული ენებიდან, მაგალითად – *თემური*[4]და *თენგიზი*). ძირითადად სპარსული (იშვიათად, არაბული) წარმოშობისაა: *ფარნავაზი, მირიანი, ვახტანგი, ვარაზი, ბაკური, რაჟდენი, აშოტი* (კნინობით *შოთა*), *ჯუანშერი, გურგენი, ბაგრატი, როსტევანი, სარიდანი, თინათინი, ნესტანდარეჯანი, ავთანდილი, ტარიელი, შერმადინი, ფრიდონი, რამაზი, ასმათი, ფატმანი, გივი, გოდერძი, ლუარსაბი, მერაბი, ზურაბი, ქაიხოსრო, თეიმურაზი, ლალი* და უამრავი სხვა. ებრაული წარმოშობისაა სახელები: *დავითი* და *თამარი, აბესალომი* და *ეთერი, სუმბატი, სალომე, ანა, საბა, მათე, მარკოზი, იოანე, იოსები, მიხეილი* და სხვ.[5]

კულტურული დიფუზია ვლინდება ხალხურ, განსაკუთრებით ე.წ. ქალაქურ, მუსიკაში და

---

[3]. "თიურქულ"-ში ვგულისხმობ როგორც საკუთრივ [ანატოლიურ] თურქულ, ისე აზერბაიჯანულ ენებს, რომლებიც ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

[4] "თემური" ზოგს მიაჩნია "თეიმურაზის" კნინობით ფორმად. სინამდვილეში, *თეიმურაზი* სპარსულიდან შემოვიდა, ხოლო *თემური* (ვარიანტი *დემური*) თიურქულ ენებში ნიშნავს "რკინას". ის ერქვა შუაზიელ დამპყრობელ *თემურ-ლენგს* (ვარიანტებია თამირლან, თამერლან).

[5]. ამ, აღმოსავლეთმცოდნისათვის სრულებით უწყინარი, ინფორმაციის პირველად მოსმენა რიგით ქართველში რაღაც შოკისმაგვარს იწვევს ხოლმე. მინდა დავამშვიდო ჩემი თანამემამულეები ანალოგიების მოშველიებით: *რუსულში* ნასესხობანი არანაკლებია და მრავალი "ჭეშმარიტად რუსული" სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას ის მონღოლურიდან, თათრულიდან, გერმანულიდან შესული აღმოჩნდება; *ინგლისური* ენის ლექსიკის ლამის ნახევარი ფრანგული ან ლათინური წარმოშობისაა; *ძველთურქული* (ოსმალურის) ლექსიკის ოთხ მეხუთედამდე სპარსული ან არაბული წარმოშობისა იყო, სინტაქსსაც კი სპარსულს იყენებდნენ; XX საუკუნეში თურქული ენის განწმენდის პროცესმა უცხოური ლექსიკის წილი მხოლოდ გაამესამედა: ბევრი სიტყვა ისევ არაბულ-სპარსულია. მაგრამ არც რუს, არც ინგლისელ და არც თურქ ერს ამ ნასესხობათა გამო არ განუვითარდა არასრულფასოვნების კომპლექსი. მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში სიტყვათა (მათ შორის საკუთარი სახელების) სესხება და გათავისება წესია და არა გამონაკლისი. ამით ნებისმიერი ენა მხოლოდ მდიდრდება!

მუსიკალურ ინსტრუმენტებში: დოლისა და ზურნის მეტ-ნაკლებად მსგავსმა მელოდიებმა, რომლებიც მაშჰადიდან კაირომდე ყველგან თან გდევთ, კარგა ხანია შემოაღწია თბილისსა და თელავშიც. აღ-მოსავლური გავლენა ჩანს ზოგიერთ, თითქოსდა ქართულ ხალხურ, სინამდვილეში კი XX საუკუნეში აღმოსავლეთში ნასესხები ილეთებით დადგმულ, ცეკვებშიც კი, მაგალითად, "*ჯეირანსა*" და "*სამაიაში*".

"აღმოსავლეთი" და "აღმოსავლური" სულაც არ ატარებს უარყოფით დატვირთვას და უბრალოდ უნდა გავიგოთ, როგორც "*არადასავლეთი*".

***

აქ ჩვენი დამოუკიდებლობის ეპოქის ერთ მნიშვნელოვან კითხვას მივადექით: **სად მდებარეობს საქართველო: ევროპასა თუ აზიაში?**

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას ეს კითხვა ნაკლებად გვაწუხებდა, რადგან ყველაფერი ნათელი იყო: საქართველოს სსრ განიხილებოდა "საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის" შემადგენლობაში.

ზემოთ დასმულ კითხვაზე განსხვავებული მიდგომა აქვთ ფიზიკურ-, ისტორიულ-, კულტურულ-, პოლიტიკურ გეოგრაფიას. მათგან ჩვენთვის ყველაძე მნიშვნელოვნად *პოლიტიკურ-გეოგრაფიული* მიდგომა მოჩანს.

- რამდენადაც პატარა ევროპა შეზრდილია გიგანტურ აზიასთან, **ფიზიკური გეოგრაფიის** პოზიციიდან მათ შორის საზღვრის დადგენა მხოლოდ მეცნიერთა ურთიერთშეთანხმებითაა შესაზლებელი. მაგალითად, ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი – ურალის ქედი – პირობითად დადგინდა ხვიი საუკუნეში. მაგრამ ის ახლა საყოველთაოდაა მიღებული. უფრო ძნელი აღმოჩნდა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის დადგენა. არსებობს რამდენიმე ვერსია [რადვანი, ბერუჩაშვილი, 2011], თუმცა ყველაზე გავრცელებული ვერსიით *ფიზიკურ-გეოგრაფიული* საზღვარი აზიასა და ევროპას შორის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გადის. ამ ვერსიით სამხრეთ კავკასია აზიას მიეკუთვნება, ხოლო ჩრდილო კავკასია – ევროპას.

კულტურული ან პოლიტიკური გეოგრაფიისათვის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრის გამოყენება სულაც არ არის აუცილებელი: თუკი *ფიზიკურ-გეოგრაფიულ* საზღვარს უნივერსალურად მივიჩნევთ და მას, მაგალითად, კულტურულ გეოგრაფიაზეც განვავრცობთ, მისი ლოგიკით უნდა და-ვუშვათ, რომ კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები ჩეჩნები, ყალმუხები, ნოღაელები, დაღესტნელი ლეკები, აგრეთვე მოხევეები და წოვა-თუშები ევროპელები არიან, თბილისელები კი არა!

- **ისტორიული გეოგრაფიის** თვალსაზრისით, საქართველო დასავლეთ აზიას უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე ევროპას. გვინდა თუ არ გვინდა, წარსული მთელ სამხრეთ კავკასიას ახლო აღმოსავლეთისაკენ ეწევა. იქ იყო ჩვენი კავშირები ათასწლეულების განმავლობაში. სხვათა შორის, ბიზანტიაც არანაკლებ განეკუთვნებოდა დასავლეთ აზიას (ანუ ახლო აღმოსავლეთს), ვიდრე ევროპას.

ის, რომ ტერმინი "აღმოსავლეთი" უცხო არ იყო შუა საუკუნეების ქართველებისთვის (და სულაც არ უვითარებდა არასრულფასოვნების კომპლექსს ჩვენს წინაპრებს!) დასტურდება მრავალი ისტორიული ცნობით. ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს ციტატა აქვს კაცხის მონასტრის XI საუკუნის

წარწერიდან, სადაც ბაგრატ IV მოხსენიებულია *"შეფედ აფხაზთა, ქართველთა და რანთა და კახთა და აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად"*. მსგავსი ისტორიული დოკუმენტი მრავლადაა. კონსტანტინოპოლის პოზიციიდან *ივერები*, ანუ ჩვენ, აღმოსავლეთით ვიყავით.

ორი საუკუნის წინ სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოაბიჯა "ერზაც-ევროპამ" – რუსეთმა: ახლა ის ამჯობინებს, რომ *ევრაზიად* მიიჩნიონ, XIX საუკუნეში კი იჩემებდა მხოლოდ ევროპულ *კულტურტრეგერობას**. რუსეთის იმპერიაშიც მთელ ამიერკავკასიას, საქართველოს ჩათვლით, "აღმოსავლეთად" აღიქვამდნენ. სხვათა შორის, ბოლშევიკებიც ასე მიიჩნევდნენ: თბილისში გამომავალ რუსულენოვან კომუნისტურ გაზეთს "აღმოსავლეთის ცისკარი" (*Заря Востока*) ერქვა.

მაგრამ არც ისტორიულ-გეოგრაფიული მიდგომაა საბოლოო განმსაზღვრელი დღევანდელობისათვის.

- **კულტურული გეოგრაფიის** კუთხიდან *ევროპას* უფრო ხშირად განიხილავენ, როგორც "*მსგავსი კულტურული ფასეულობების შემაკავშირებელ იდეას*" [Heffernan, 1998]. მაგალითად, ევროპა ძალიან ყოყმანობს თავის რიგებში თურქეთის მიღებაზე, რადგან იქ (განსაკუთრებით, მის აზიურ ნაწილში, ანატოლიაში) ევროპისაგან განსხვავებული კულტურული ფასეულობები დომინირებს (თუმცა, ევროპის ლიდერთა თავშეკავებას სხვა მიზეზებიც აქვს). დაკვირვებული უცხოელი, რომელიც საქართველოში პირველად ჩამოდის, თვალნათლივ ამჩნევს ჩვენი ქვეყნის კულტურულ განსხვავებულობას ირანის ან თურქეთისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვაობაზე, მაგალითად, საუდის არაბეთსა და საქართველოს შორის.

ქართველების უმრავლესობას მტკიცედ გვჯერა ჩვენი ევროპელობისა სწორედ კულტურულ-გეოგრაფიული პოზიციიდან გამომდინარე: ჩვენ ხომ ქრისტიანული სამყაროს ორგანული ნაწილი ვართ აგერ 17 საუკუნეა, სამხრეთ კავკასიელებში გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს განლაგებული ევროპასთან და ღია მისი კულტურული გავლენისათვის!

შეგვიძლია ისეთი ავტორიტეტიც დავიმოწმოთ, როგორიც იყო *ვოლტერი*. ამერიკელი მეცნიერის, *ლერი უოლფის* სიტყვებით,

> *"როდესაც 1770 წელს [ვოლტერი]* რუსეთის თვითმპყრობელ ეკატერინე II-ს სწერდა: "თქვენი უდიდებულესობა არმიებს უნდა წარმართავდეს ვალახეთში, პოლონეთში, ბესარაბიაში, საქართველოში; და ამ დროს კი თქვენ პოულობთ დროს მომწეროთ*!"*... [ვოლტერი] აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიის სამშენებლო ბლოკებს აწყობდა განათლებული ხალხის გონებრივ რუკაზე"

გამოდის, რომ უკვე XVIII საუკუნეში საქართველო, ყოველ შემთხვევაში, ვოლტერის მიერ, აღიქმებოდა, ევროპის ბლოკად თუ არა, ერთ აგურად მაინც.

მართლაც, კულტურული ფასეულობების თვალსაზრისით, ურბანიზებული ქართველები ძალიან ახლოს არიან ევროპელებთან. "ვესტერნიზაციის" 2018 წლის ინდექსის თანახმად, რომლითაც ქვეყნის ინტეგრაციას დასავლეთის სამყაროში ზომავენ სხვადასხვა პარამეტრით (პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ენა და კულტურა, ცხოვრების წესი), ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოს წინ უსწრებს მხოლოდ სამი ქვეყანა – ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ესტონეთი, ლიტვა და ლატვია.

მაგრამ "*აღმოსავლეთი*" ("არადასავლეთი") მაინც იგრძნობა ჩვენ თანამემამულეთა არც თუ მცირე ნაწილის სოციალურ მენტალიტეტსა და ქცევის მრავალ დაუწერელ წესში. კლერიკალურ და ფსევდოპატრიოტულ წრეებში სიტყვა "ლიბერალიზმს" უარყოფითი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ როცა თანამედროვე ევროპაში მას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს.

ზოგი დასავლეთელი მეცნიერის აზრით, პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით (რომლის სივრცობრივ სხვაობებსაც სწავლობს *კულტურული გეოგრაფია*), ქართველები ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ "ევროპელობის" მკაცრ მოთხოვნებს.

ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი, საქართველოს საპატიო მოქალაქე *რიჩარდ პაიპსი* XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მიიჩნევდა, რომ საქართველოს კი უნდა ევროპის ნაწილი გახდეს, მაგრამ "დასავლეთის" თვალსაზრისით, ის მაინც ახლო აღმოსავლეთს განეკუთვნებაო: "*ევროპისა და დასავლეთის ცნობიერების ნაწილად საქართველოს გახდომა არარეალურია*".

რიჩარდ პაიპსის მიერ გამოთქმული კერძო აზრი სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მარადიული ადგილი ახლო აღმოსავლეთშია. პოლიტიკური კულტურა შეუცვლელი რამ არაა: ის შეიძლება განვითარდეს, განსაკუთრებით, თუკი ერისა და ბერის საერთო მონდომება იქნება. ეს მონდომება ნელ-ნელა იგრძნობა კიდეც.

კულტურის ზოგადი ამაღლება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებში, მიჩენს ბ-ნ პაიპსის აზრის უარყოფის დიდ იმედს.

- **გადამწყვეტ პასუხს ქვესათაურში დასმულ კითხვაზე იძლევა პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომა.**

ამ მიდგომას კი განაპირობებს საერთაშორისო ორგანიზაციების პრაგმატული, გეოპოლიტიკურად განპირობებული პოზიცია, რომელიც წმინდა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

ამ პოზიციიდან *ნაკლებ მნიშვნელოვანია* ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სტატისტიკურ გამოცემებში სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს, თურქეთსა და კვიპროსს განხილულია დასავლეთ აზიის რეგიონის, ანუ ახლო აღმოსავლეთის, შემადგენლობაში.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ თავად ევროპამ ფაქტობრივად გვცნო თავის ნაწილად, როდესაც 1999 წელს *ევროპის საბჭოს* წევრად მიგვიღო. უფრო ადრე ასე მოიქცნენ *ეუთო*, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები, მაგალითად *სოკ*-ი, *ფიფა, უეფა*. 2001 წელს ევროპის საბჭომ ასევე შეიკედლა კიდევ უფრო სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე სომხეთიცა და აზერბაიჯანიც. გამოდის, რომ ყველა სამხრეთკავკასიელი ევროპელი გახდა!

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ (ანუ ნატო-ს წევრობის) მისწრაფებას ევროკავშირიცა და ნატო-ც საკმაოდ სერიოზულად ეკიდება.

თემა 4
ახლო აღმოსავლეთის წყალსატევებისა და საზღვაო გზების სტატუსი და პოლიტიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობა

სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტით – **არაბეთისა** და **წითელი** ზღვების, **სპარსეთისა**[6] და **ომანის** ყურეების მეშვეობით – რეგიონი გადის ინდოეთის ოკეანეში, ხოლო დასავლეთით მას გასასვლელი

[6]. არაბულ ქვეყნებში არ იყენებენ ტერმინს *"სპარსეთის ყურე"*: მათთვის ეს "*არაბული ყურეა*". ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამ პოლიტიზებული გეოგრაფიული პრობლემის თავიდან ასაცილებლად უბრალოდ "ყურეს" ახსენებენ, რომელსაც მთავრულით იწყებენ (The Gulf). ამ წიგნში ვიყენებ ტრადიციულ ტერმინს "*სპარსეთის ყურე*".

აქვს ატლანტის ოკეანისაკენ – **ხმელთაშუა ზღვისა** და მისი სისტემის (**ეგეოსის, მარმარილოს, შავი**) ზღვების მეშვეობით. ირანი ჩრდილოეთით გადის **კასპიის** ზღვაზე. ყველა ზემოხსენებული წყალსატევი მნიშვნელოვანი სანაოსნო არტერიაა. ორ მათგანზე ცოტა მეტი უნდა ითქვას.

სპარსეთის ყურემ, რომელიც ღრმად იჭრება კონტინენტში, XIX საუკუნის ბოლოდან **მსოფლიო სტრატეგიული მნიშვნელობა** შეიძინა და დღემდე ინარჩუნებს მას. XX საუკუნეში კი აღმოჩნდა, რომ ეს წყალმარჩხი ყურე (სიღრმე იშვიათად აჭარბებს 90 მეტრს) და მისი მიმდებარე ხმელეთი მსოფლიოში უმდიდრეს ნავთობისა და გაზის საბადოებს შეიცავს. 1990-1991 და 2003 წლებში სპარსეთის ყურის ქვერეგიონი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური კრიზისების არენა გახდა, რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდებოდა ბუნებრივ სიმდიდრეებზე კონტროლს.

კასპიის ზღვა, რომლის აუზსაც ეკუთვნის თითქმის მთელი სამხრეთი კავკასია (დასავლეთ საქართველოს გარდა), ჩაკეტილი წყალსატევია, ფაქტობრივად, დიდი ტბა. 1991 წლიდან მასზე გადის ხუთი სახელმწიფო, მანამდე კი მას თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში აკონტროლებდნენ მხოლოდ რუსეთი/საბჭოთა კავშირი და ირანი. ახლა ამ წყალსატევის გაყოფა უნდა მოხდეს ხუთ ქვეყანას შორის. მაგრამ, განსხვავებით ღია ზღვებისაგან, სადაც უნივერსალური საერთაშორისო ნორმები მოქმედებს, კასპიის ზღვის გაყოფა უნდა დადგინდეს მის ნაპირებზე მდებარე ქვეყნების ურთიერთშეთანხმებით. რადგან ზღვის ფსკერქვეშ ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია, მთავარ პრობლემად მისი ფსკერის გაყოფა იქცა. ირანი, რომლის სანაპიროს მიმდებარე ზონაში ნავთობი არ არის, თავიდან ამჯობინებდა კასპიის დაყოფას არა სექტორების მიხედვით, არამედ კონდომინიუმის პრინციპით (რაც გულისხმობს ზღვისა და მისი ფსკერის კოლექტიურ ფლობასა და ექსპლუატაციას). ეს მიუღებელი აღმოჩნდა დანარჩენი ქვეყნებისათვის და ირანმა მოითხოვა "თავისი წილი" – კასპიის ზღვის აკვატორიისა და, შესაბამისად, ფსკერის 20 პროცენტი, რაზეც კასპიისპირა სხვა ქვეყნებმა არ თანხმდებოდნენ.

2003 წლის მაისში რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ კასპიის ზღვის საკუთარი სექტორების გამიჯვნაზე *სანაპიროებიდან თანაბრად დაშორებული ხაზების* მეშვეობით.

2018 წლის 12 აგვისტოს კი კასპიისპირა სახელმწიფოებმა საბოლოოდ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც კასპიის ზღვა გადაიქცევა ხუთი ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილ წყალსატევად. აკვატორია დაიყოფა 12-მილიან ტერიტორიულ წყლებად და სათევზაო ზონებად. ამავე დროს დიდი ფართობი გახდება "საერთო წყლის სივრცე". არაკასპიურ სახელმწიფოებს არ ექნებათ საშუალება იყოლიონ სამხედრო ფლოტი ამ წყალსატევში. თეორიულად, რუსეთი ვეღარ შეაფერხებს ტრანსკასპიური გაზსადენის გაყვანას თურქმენეთიდან აზერბაიჯანში.

აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის ირანული სანაპირო ეკოლოგიურად შედარებით სუფთაა, მაშინ, როცა სხვა ქვეყნების სანაპიროები დაბინძურებულია ნავთობპოდუქტებით. კლიმატური თვალ-საზრისითაც ირანის კასპიისპირა რაიონები უკეთეს პირობებშია, ვიდრე დანარჩენი ქვეყნებისა: იქ მეტია ნალექი, მაშინ, როცა მაგალითად, თურქმენეთისა და ყაზახეთის სანაპიროს უდიდესი ნაწილი უდაბნოა.

* * *

საერთაშორისო თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ახლო აღმოსავლეთში მდებარე სრუტეებს**. ზოგ მათგანზე კონტროლის დასაწესებლად საუკუნეების განმავლობაში დიდი სისხლია დაღვრილი.

შავსა და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებს **ბოსფორის სრუტე,** ხოლო მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს – **დარდანელის სრუტე**. იგივე სრუტეები ერთმანეთს აშორებს ევ-როპასა და აზიას. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიზლია დავინახოთ მკაფიო მიჯნა დედამიწის ხმელეთის ორ სხვადასხვა ნაწილს შორის: სხვაგან გამიჯვნა აზიასა და ევროპას შორის პირობითია.

“ევროპად” და “აზიად” დაყოფა ისტორიულად სწორედ ამ სრუტეების ნაპირებზე გაჩნდა.

კარგა ხანს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვის საერთო სახელად იყენებდნენ ტერმინს “*შავი ზღვის სრუტეები”.* ბოლო პერიოდში თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა, რომ მათ უწოდონ **თურქეთის სრუტეები.** საერთაშორისო დონეზე **ეს**თანდათან მკვიდრდება კიდეც: ინგლისურად მათ თურკისჰ შტრაიგჰტს-ად მოიხსენიებენ.

27კილომეტრის სიგრზის **ბოსფორის სრუტე** საკმაოდ ვიწროა (მინიმალური სიგანეა 640 მეტრი), მაქსიმალური სიღრმე 70 მეტრს აღწევს. მასზე ამჟამად სამი ხიდია გადებული[7], სრუტის ქვეშ კი გაყვანილია სარკინიგზო გვირაბი (Marmaray), რომელიც 2013 წელს გაიხსნა მოზრაობისათვის (გვირაბის მშენებლობა გახანგრძლივდა, რადგან მშენებლობისას სრუტის ევროპულ მხარეს წყალქვეშ მოულოდნელად აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები). 2016 წლის დეკემბრიდან ბოსფორის სრუტის ქვეშ გაყვანილია კიდევ ერთი საავტომობილო გზა “ევრაზიის გვირაბის” (Avrasya Tüneli) გავლით.

ნავიგაციისათვის გარკვეულ პრობლემას ქმნის ბოსფორის სრუტის მიხვეულ-მოხვეული კონფიგურაცია და წყლის სწრაფი დინება (წყლის ზედაპირული, ნაკლებ მარილიანი ფენა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინება, ღრმა, უფრო მარილიანი წყალი კი – პირიქით, შავი ზღვისაკენ). სრუტის ორივე მხარეს მდებარეობს სტამბოლი და მისი აგლომერაცია (14-15 მილიონი მცხოვრებით), რომლის ისტორიული ცენტრი ევროპულ ნაწილშია, ოქროს რქის (თურქულად *ჰალიჩ*-ი) ყურის სამხრეთ ნაპირზე. ბოსფორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. პოტენციურად სახიფათო ტვირთების (ნავთობი, გაზი, ზოგი ტიპის ქიმიკატი) გატანა დიდი სიფრთხილით ხდება, რაც აბრკოლებს ისედაც ინტენსიურ ნავიგაციას სრუტეში, სადაც წლიურად საშუალოდ 56 ათასი გემი გადის, მათ შორის 10 ათასამდე ტანკერი, რომელთაც 145 მილიონი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტი გადააქვთ. სრუტის გასავლელად გემებს რიგში დგომა დღეების და, ხანდახან, კვირების განმავლობაში უწევთ.

ბოსფორის სრუტის განტვირთვის მიზნით თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა, სახელმწიფო სახსრებით გაიყვანოს შავი და მარმარილოს ზღვების დამკავშირებელი 45 კილომეტრის სიგრზის “კანალ ისტანბული” (Kanal Istanbul, ანუ “სტამბოლის არხი”), რომელიც სტამბოლის დასავლეთით უნდა აშენდეს. 10 მილიარდი აშშ დოლარის საწყისი ღირებულების პროექტის მიხედვით 150 მეტრი სიგანისა (ფსკერთან – 120 მეტრი) და 25 მეტრი სიღრმის არხი გავლის საშუალებას მისცემს ყველაზე დიდი წყალწყვის კონტეინერმზიდებს და წყალქვეშა ნავებსაც კი. პროექტის განხორციელება დაწყებულია და მისი დასრულება 2023 წლისათვის იგეგმება ამ არხით სარგებლობა, რასაკვირ-ველია, ფასიანი იქნება, მაშინ როცა, თურქეთის სრუტეებით სარგებლობა უფასოა. ეს უკმაყოფილების საგანი შეიძლება გახდეს, განსაკუთრებით შავი ზღვის ქვეყნებში.

საქართველოსათვის, რომელიც *ანაკლიაში* აშენებს ღრმაწყლოვან ნავსადგურს, “კანალ ისტან-ბული”, სავარაუდოდ, ხელსაყრელი უნდა იყოს: ეს არხი უზრუნველყოფს დიდი წყალწყვის გემების შემოსვლას შავ ზღვაში და მათ ანაკლიაც მიიღებს, თუ, რასაკვირველია, ტვირთბრუნვა დანარჩენ მსოფლიოსთან გაიზრდება.

58 კილომეტრის სიგრძის **დარდანელის სრუტე**, ბოსფორზე უფრო განიერია (მინიმალური სიგანე 868 მ); სიღრმე 50-90 მეტრს შორის მერყეობს.

---

[7]პირველი “*ბოსფორის ხიდი*” (Boğaziçi Köprüsü) გაიხსნა 1973 წელს, რომელმაც სახმელეთო გზით პირველად დააკავშირა ერთმანეთს სტამბოლის ევროპული და აზიური ნაწილები. 2016 წელს მას დაარქვეს “2016 წლის 15 ივლისის წამებულთა ხიდი” იმ წელს მომხდარი სამხედრო პუტჩის დროს დაღუპულთა პატივსაცემად); მეორე – “*სულტან მემედ დამპყრობლის ხიდი*” (Fatih Sultan Mehmet Köprüsü) მოქმედებს 1988 წლიდან: ორივე ხიდი საავტომობილო მოძრაობისათვისაა განკუთვნილი. მესამე, საავტომობილო და სარკინიგზო – “*სულტან სელიმ მრისხანეს ხიდი*” (Yavuz Sultan Selim Köprüsü) ბოსფორის სრუტის ჩრდილოეთ ნაწილში აშენდა და 2016 წლის 26 აგვისტოს გაიხსნა.

რუსეთსა და თურქეთს შავი ზღვის გარდა სხვა ზღვებზეც აქვთ გასასვლელი. შავი ზღვის ნაპირზე მდებარე სხვა ქვეყნებს – უკრაინას, ბულგარეთს, რუმინეთს, საქართველოს კი მსოფლიო ოკეანეში გასვლა მხოლოდ თურქეთის სრუტეების მეშვეობით უწევთ. თუმცა რუსეთს აქვს გასასვლელი სამ – ატლანტის, ჩრდილო ყინულოვან და წყნარ – ოკეანეზე, მისთვის მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასასვლელი შავ ზღვაზე და, შესაბამისად, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე.

სრუტეებზე კონტროლსა და მათი სარგებლობის რეჟიმს ეკონომიკურთან ერთად ყოველთვის ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში *თურქეთის სრუტეებს* ფლობდა მხოლოდ ორი სახელმწიფო თავის სამართალმემკვიდრეებთან ერთად – რომი/ბიზანტია და ოსმალეთი/თურქეთი (XIII საუკუნის პირველ ნახევარში სრუტეებს ხანმოკლე დროით აკონტროლებდნენ ევროპელი ჯვაროსნები).

სრუტეებზე საკუთარი კონტროლის დასაწესებლად რუსეთის იმპერიამ ოსმალეთთან მრავალი ომი გადაიხადა, თუმცა არც ერთი ამ ომებიდან უშუალოდ სრუტეებში არ მომხდარა.

დარდანელის სრუტეში და მის მიდამოებში კი გაიმართა პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა (“*გალიპოლის ოპერაცია*”), როდესაც 1915-1916 წლებში ანგლო-ფრანგულმა ფლოტმა და დიდი ბრიტანეთისა და მისი დომინიონების არმიამ წარუმატებლად სცადა აქედან სტამბოლისაკენ გაჭრა.

1936 წელს მიღებული *მონტრიოს კონვენცია* დღემდე არეგულირებს თურქეთის სრუტეების სტატუსს.

* * *

ომანისა და სპარსეთის ყურეების დამაკავშირებელი 185 კილომეტრის სიგრძის **ჰორმუზის სრუტე** (მინიმალური სიგანე 39 კმ) ამჟამად ატარებს სუპერტანკერებს, რომლების მეშვეობითაც ახლო აღმოსავლეთიდან გადის მსოფლიოს ნავთობმომარაგების თითქმის ნახევარი (იხ. ნახ 1.6).

ჰორმუზის სრუტის კონტროლისათვის სხვადასხვა პერიოდში ერთმანეთს ეჯახებოდა პორტუგალიის, ინგლისის, ირანის, ზოგი არაბული ქვეყნის ინტერესები. სრუტის აღმოსავლეთ ნაწილში მომცრო, მაგრამ სტრატეგიულად განლაგებული სამი კუნძულის – *აბუ მუსას* და *დიდი და პატარა თონბის* – იურიდიული კუთვნილების საკითხი ჯერაც არის გადაუწყვეტელი დავის საგანი გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა (გას) და ირანს შორის. 1971 წლიდან მათ de facto განაგებს ირანი. უშუალოდ სრუტის წყლები ირანისა და ომანის მიერაა გაყოფილი. სანაოსნოდ გამოიყენება უფრო ღრმა, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ომანის ტერიტორიული წყლები.

საზღვაო გზით ნავთობის ექსპორტირებისას ქუვეითს, ბაჰრეინს, გას-ს, ერაყსა და კატარს მხოლოდ ჰორმუზის სრუტით სარგებლობა უხდებათ; ირანი, მართალია, ომანის ყურეშიც გადის, მაგრამ სანავთობო ტერმინალები ძირითადად სპარსეთის ყურეში აქვს. მხოლოდ საუდის არაბეთი არაა ექსკლუზიურად დამოკიდებული ჰორმუზის სრუტეზე: მას წითელ ზღვაზეც აქვს სანავთობო ტერმინალი (*იანბუ*) და დიდი ნავსადგური *ჯიდა*.

* * *

წითელი ზღვისა და ინდოეთის ოკეანის დამაკავშირებელი **ბაბ ალ-მანდაბის სრუტისათვის** (მინიმალური სიგანე 20 კმ, სიგრძე – 65 კმ) თვალყურის სადევნებლად დიდი ბრიტანეთი თითქმის საუკუნე-ნახევარი ვერ ელეოდა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარე *ადენის კოლონიას* თავისი საუკეთესო ნავსაყუდელით, მით უმეტეს, რომ ხიხ საუკუნეში მისმა მეტოქე საფრანგეთმა სრუტის აფრიკულ მხარეს თავისი ფლოტის საყრდენი კოლონია შექმნა, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ იქცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სახელად *ჯიბუტი:* იქ

დღემდე მდებარეობს ფრანგული სამხედრო ბაზა, აგრეთვე ამერიკის, ჩინეთისა და იაპონიის სამხედრო ბაზები (მათ შორის უდიდესია ჩინეთის ბაზა). *ადენიდან* დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ (1967 წ.),"ცივი ომის" პერიოდში, ამ ნავსადგურში დადგა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, თუმცა ის სრულფასოვანი საბჭოთა სამხედრო ბაზა არ გამხდარა.

წითელ ზღვაზე გამავალი სახელმწიფოებისათვის (ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, საუდის არაბეთი) *ბაბ ალ-მანდაბის* სრუტე უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა. ამასთან, XXი საუკუნის დასაწყისში ინდოეთის ოკეანის მიმდებარე აკვატორიაში სავაჭრო გემებზე სომალიელი ზღვის მეკობრეების გახშირებულმა თავდასხმებმა უარყოფითად იმოქმედა ტვირთბრუნვაზე ამ სრუტის გავლით. ბოლო წლებში საერთაშორისო ძალისხმევამ და სამხედრო ხომალდების გამოყენებამ მეკობრეობა შეამცირა.

* * *

წითელი ზღვის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარე აკაბის ყურის შესასვლელს **ტირანის სრუტე** ეწოდება. მისი სიგანეა 5,6 კმ, სიგრძე – 13 კმ. სრუტეს დიდი მნიშვნელობა აქვს ისრაელისა (აკაბის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს მისი ნავსადგური და საკურორტო ქალაქი *ეილათი*) და იორდანიისათვის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი აქვს მხოლოდ აკაბის ყურესთან მდებარე 27-კილომეტრიანი საზღვაო ნაპირის მეშვეობით და იქვეა მისი ერთადერთი საზღვაო ნავსადგური *აკაბა.*

ტირანის სრუტის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ეგვიპტემ სრუტე 1967 წელს ჩაუკეტა ისრაელს ნაოსნობისათვის. ეეს გახდა ისრაელის მიერ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ომის (შემდგომში "*ექვსდღიან ომად*" წოდებულის) წამოწყების მთავარი ფორმალური საბაბი.

2017 წელს ეგვიპტის მთავრობამ საუდის არაბეთს დაუთმო ტირანის სრუტის აღმოსავლეთით მდებარე კუნძულები -- *ტირანი* და *სანაფირი*, თუმცა საზოგადოებრივი აზრი ეგვიპტეში ამ დათმობას ძალიან ეწინააღმდეგებოდა.

* * *

რეგიონის უმნიშვნელოვანესი საწყლოსნო არტერიაა ხელქმნილი **სუეცის არხი** (სიგრძე 193,5 კმ, სიგანე 205 მ, სიღრმე 24 მ), რომელიც 1869 წლიდან ერთმანეთთან აკავშირებს ხმელთაშუა და წითელ ზღვებს. არხის ნაწილი არსებული *დიდი მლაშე ტბის* აკვატორიაზე გადის. არხმა გაანახევრა ადრე აფრიკის გარშემოვლით გამოყენებული გრძელი საზღვაო გზა ევროპიდან ინდოეთამდე. 1967 წელს ისრაელის მიერ *სინას ნახევარკუნძულის* ოკუპაციის შედეგად, სუეცის არხი ფაქტობრივ საზღვრად იქცა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის და ეგვიპტის მთავრობამ შეწყვიტა არხის ექპლუატაცია, რაც 1975 წლამდე გაგრძელდა. იმ პერიოდში ნავთობის ტანკერები ისევ აფრიკის გარშემოვლით დაცურავდნენ.

2015 წელს დასრულდა არხის 35 კმ სიგრძის პარალელური მონაკვეთების მშენებლობა, რამაც გააადვილა ნავიგაცია. ამჟამად სუეცის არხით გადის მსოფლიოს საზღვაო გადაზიდვის 7,5-8 პროცენტი. არხზე გადებულია ორი ხიდი, ხოლო მის სამხრეთ ნაწილში გაყვანილია გვირაბი: ხიდები და გვირაბი სინას ნახევარკუნძულს (ეგვიპტის აზიურ ნაწილს) ქვეყნის აფრიკულ ნაწილთან აკავშირებს. დაგეგმილია არხის ქვეშ კიდევ ექვსი საავტომობილო და სარკინიგზო გვირაბის გაყვანა.

თემა 5

ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური განვითარების რესურსული წანამძღვრები: ნავთობი და გაზი

მსოფლიო ეკონომიკისა და, ამდენად, პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი XX საუკუნის დასაწყისიდანვე გახდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობი.

2016 წელს ანგარიშობდნენ , რომ ამ რეგიონში თავმოყრილი იყო **ნავთობის** დადგენილი მსოფლიო მარაგის 48 პროცენტი და ბუნებრივი **გაზის** დადგენილი მსოფლიო მარაგის თითქმის 44 პროცენტი (*გაზში* იგულისხმება *კონვენციური* – დამოუკიდებელი ბუდობების სახით არსებული, ან ნავთობის *თანმხლები* აირი). ეს რესურსები აქ ათობით, ზოგან ასზე მეტი წლის განმავლობაში არ ამოიწურება. თანაც, ახალი ბუდობების აღმოჩენა აქ იშვიათობა არაა.

ნავთობისა და გაზის მარაგი ძირითადად თავმოყრილია მსოფლიოში უდიდესი – სპარსეთის ყურის ნავთობმომცემ პროვინციაში – ყურის ორივე ნაპირზე და მის ფსკერქვეშ – კონტინენტურ შელფზე.

ნავთობის უდიდესი მარაგი აქვთ *საუდის არაბეთს, ირანს, ერაყს, ქუვეითს, გას*-ს (იხ. ცხრილი 2.1).

მოცულობით ნაკლები, მაგრამ საექსპორტოდ მაინც საკმარისი ნავთობი აქვთ *კატარს, ომანსა* და *იემენს. სირიისა* და *ეგვიპტის* მარაგი რეგიონის ფონზე მცირეა, მაგრამ საკმარისი, რომ ეს ქვეყნები იმპორტზე არ იყოს დამოკიდებული და ცოტაოდენი საექსპორტოდაც ჰქონდეს.

ნავთობის მარაგით ღარიბია *თურქეთი. იორდანიაში, ისრაელში, ლიბანსა* და*კვიპროსში* კომერციული მოპოვებისათვის საკმარისი ნავთობი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

ბაჰრეინში ნავთობის მარაგი ამოწურულად იყო მიჩნეული, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ახლა დადასტურდა გაზისა და ნავთობის საგრძნობი მარაგის არსებობა და ის "განწირულია", გახდეს მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა ერთ სულზე გადაანგარიშებით!

ცხრილ 2.1-ში მოყვანილი მონაცემები ნავთობის დადგენილი მარაგის შესახებ საბოლოო არაა. თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდებით ძებნა-ძიების შედეგად რეგიონის ნავთობის მარაგი ზუსტდება, ძირითადად გაზრდის მიმართულებით. ნახშირწყალბადოვანი რესურსები, მართალია, ამოწურვადია, მაგრამ საკმარისია, რომ XXI საუკუნის განმავლობაში და, იქნებ, მომდევნო საუკუნეშიც მსოფლიოს მოთხოვნილება მათზე დაკმაყოფილდეს.

ცხრილი 2.1 ნავთობის დადგენილი მარაგი, მოპოვება და მისი წილი მსოფლიოში

ქვეყნები	სამრეწველო მოპოვების დაწყების წელი	მარაგი (მლრდ ტ) 2016 წ.	მარაგის წილი (%) მსოფლიოში 2016 წ.	მოპოვება (მლნ. ტ) 1995 წ.	მოპოვება (მლნ. ტ) 2016 წ.	მოპოვების წილი (%) მსოფლიოში 2016 წ.
საუდის არაბეთი	1938	36,6	15,6	438,4	585,7	13,4
ირანი	1912	21,8	9,3	185,5	216,4	4,9
ერაყი	1934	20,6	9,0	26,0	218,9	5,0
ქუვეითი	1946	14,0	5,9	104,9	152,7	3,5
გას	1963	13,0	5,7	111,5	182,4	4,2
კატარი	1949	2,6	1,5	21,1	79,4	1,8
ომანი	1967	0,7	0,3	42,8	49,3	1,1
ეგვიპტე	1911	0,5	0,2	46,6	33,8	0,8
იემენი	1985	0,4	0,2	16,7	0,8	0,02
სირია	1968	0,3	0,1	29,6	1,1	0,05
რეგიონის სხვა ქვეყ.		0,01	0,02	2,4	10,2	0,2
მთელი		110,6	47,9	1024,5	1530,7	35,0

რეგიონი						

ახლო აღმოსავლეთის წილი ნავთობის მსოფლიო მარაგში ბოლო წლებში ერთგვარად შემცირდა (2001 წელს 64 პროცენტი იყო, 2016 წელს _ 48 პროცენტი), რადგან ბოლო ათწლეულში აღმოჩნდა ახალი რესურსები ვენესუელაში (იქ მსოფლიო მარაგის 15 პროცენტს ვარაუდობენ), ანგოლაში, ყაზახეთში, კანადაში და სხვ. მაგრამ ახლო აღმოსავლეთი დღემდე ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის ნახევარს, თანაც მისი ნავთობი ხარისხით უკეთესია, ვიდრე, მაგალითად, ვენესუელის ან ყაზახეთისა. მოპოვებაც ახლო აღმოსავლეთში უფრო იაფი ჯდება.

ახლო აღმოსავლეთს გააჩნია უპირატესობა მსოფლიოს სხვა ნავთობმომპოვებელ რეგიონებთან შედარებით:

✓ ძირითადი ნავთობმომცემი ფენები ძალიან დიდია და არც ისე ღრმად განლაგებული მიწის ზედაპირიდან;

✓ ხმელეთზე მდებარე ბევრ საბადოში ნავთობი იმყოფება დიდი წნევის ქვეშ, ამოღებული ნავთობის ადგილს დაუყოვნებლივ იკავებს თანმხლები გაზი, რაც აადვილებს ნავთობის მოპოვებას;

✓ ჭაბურღილის გაყვანის შემდეგ თავიდან ზოგან საჭირო არაა სატუმბი მოწყობილობა – ნავთობი შადრევნად ამოდის და საკმარისია მილსადენების სისტემასთან მისი მიერთება (თუმცა, მერე წნევა ეცემა და ტუმბო მაინც საჭირო ხდება).

✓ ზოგან, განსაკუთრებით სამხრეთ ირანში, სადაც ნავთობსარეწები უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობჩამომსხმელი ნავსადგურები, ნედლი ნავ-თობი, ნაწილობრივ მაინც, თვითდინებით მიედინება;

✓ მოპოვება ხშირად ხდება დაუსახლებელ ადგილას, უდაბნოში.

✓ მილსადენის მშენებლობა არ მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ანდა განაშენიანებული ადგილების გადაკვეთას;

✓ რეგიონი საკმაოდ ახლოსაა მსხვილ მომხმარებლებთან – შორეულ აღმოსავლეთთან, სამხრეთ აზიასთან და დასავლეთ ევროპასთან;

✓ მნიშვნელობა ენიჭება იაფ მუშახელსაც – აზიის ქვეყნებიდან მოსული მუშები აქ ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე მენავთობეები აშშ-სა ან დასავლეთ ევროპაში.

რეგიონის ნავთობმომცემი რაიონები არაჩვეულებრივად დიდია და მოპოვების ზონაში ცოტაა ფუჭად გაყვანილი ჭაბურღილები. მაგალითად, საუდის არაბეთში 1948 წელს აღმოჩენილი *გაუარის* ნავთობის ბუდობი (Ghawar Oilfield) ადრე ხუთ დამოუკიდებელ ბუდობად ითვლებოდა, მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ეს არის 200-კილომეტრიანი უწყვეტი ნავთობმომცემი ზოლი, სადაც 170 მილიარდი ბარელი[8] ნავთობის მარაგი დაადგინეს (100 მილიარდი უკვე ამოღებულია).

საუდის არაბეთში კიდევ ათი ბუდობია, სადაც თითოეულში 7-30 მილიარდი ბარელი ნავთობია. ქუვეითის *ბურგანის* ბუდობში 60-72 მილიარდი ბარელია. სამხრეთ ერაყის *რუმაილას* ბუდობში 17 მილიარდი, ხოლო ჩრდილოეთ ერაყის *ქირქუკის* ბუდობში 16 მილიარდი ბარელი ნავთობია. ირანში 10-18 მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგის მქონე ხუთი საბადოა. რეგიონში მდებარეობს 24 *სუპერგიგანტური საბადო* თითოეულში 5 და მეტი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგით.

ყველა ამ ფაქტორმა ერთად განაპირობა სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე ნავთობის დაბალი თვითღირებულება. XX საუკუნის ბოლოს თითო ბარელის მოპოვება აქ საშუალოდ 1-3 დოლარი ჯდებოდა, მაშინ, როცა ნავთობის ყველაზე იაფად მოპოვება, მაგალითად, აზერბაიჯანში,

[8]. ბარელი (barrel – ინგლისურად"კასრი") მოიცავს დაახლოებით 159 ლიტრს და ტრადიციულად გამოიყენება ნავთობის საზომ ერთეულად. ერთი მეტრული ტონა ნავთობი საშუალოდ 6,29 ბარელს მოიცავს. ნავთობის ფასს ტრადიციულად ანგარიშობენ აშშ დოლარებში ერთი ბარელისათვის.

6-7 დოლარი, ხოლო ჩრდილოეთ ზღვაში – 15 დოლარზე მეტი. განვლილ წლებში ეს მაჩვენებლები გაიზარდა, მაგრამ პროპორცია მათ შორის იგივეა.

ახლო აღმოსავლეთში **ნავთობის მოპოვების მოკლე ისტორია**, რომელიც მჭიდროდ გადაეჯაჭვა გეოპოლიტიკას, ასეთია:

1908 წელს სამხრეთ ირანში, *მასჯედ-ე-სოლეიმანის* მახლობლად, ჭაბურღილიდან პირველად ამოხეთქა ნავთობმა. მაშინვე შეიქმნა "ანგლო-სპარსული სანავთობო კომპანია" (1935 წელს მას "ანგლო-ირანული სანავთობო კომპანია" ეწოდა; 1954 წლიდან ესაა "*ბრიტიშ პეტროლიუმი*"). ამ კომპანიის მთავარი აქციონერი 1914 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების იმდროინდელი მინისტრის *უინსტონ ჩერჩილის* დაჟინებული მოთხოვნით, გახდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა. 1910-13 წლებში კომპანიამ ააგო ნავთობსადენი სპარსეთის ტერმინალ *აბადანამდე*, სადაც 1913 წელს გაიხსნა ახლო აღმოსავლეთში პირველი და, დიდხანს, მსოფლიოში უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 1934 წელს დაიწყო ნავთობის სამრეწველო მოპოვება და ექსპორტი *ერაყიდან*. 1932 წელს აღმოაჩინეს ნავთობი *საუდის არაბეთში*: 1938 წელს იქ მისი სამრეწველო მოპოვება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომამდე ნავთობის ძირითადი მწარმოებლები ამ რეგიონში მხოლოდ *ირანი* და *ერაყი* იყვნენ. 1940-იანი წლების დასაწყისში მთელი რეგიონი მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის სულ 5 პროცენტს აწარმოებდა. 1946 წლიდან დაიწყო ნავთობის მოპოვება *ქუვეითში*. მალე აღმოჩნდა, რომ ნავთობით ასევე მდიდარია უდაბური და ხალხმცირე საამიროები *აბუ-დაბი* და, ნაკლებად, *დუბაი* (მომავალი *გაერთიანებული არაბული საამიროების* წევრები).

ამ პერიოდიდან მოყოლებული "ახლო აღმოსავლეთი" სულ უფრო მეტადაა გაიგივებული "ნავთობთან".

1920-1940-იან წლებში არაბულ ქვეყნებში გაიცა დიდი კონცესიები ნავთობის ზიებისა და მოპოვებისათვის. მთავარ კონცესიონერებად იქცა შვიდი უმსხვილესი სანავთობო კომპანია, რომელთაც ირონიულად "შვიდ დას" უწოდებდნენ. ეს კომპანიები იყო შტანდარდ ოილ ოფ ნეწ ჟერსეყ (1972 წლიდან– Exxon, ევროპაში მარკეტინგისას – Esso); royal dutch Shell Group; Texaco, Standard Oil of California (ასევე ცნობილი, როგორც Sokal, ხოლო მარკეტინგისას – როგორც Chevron); Mobil; Gulf; British Petroleum. მეოცე საუკუნის ბოლოს ერთმანეთს შეერწყა *ექსონი* და *მობილი* (შექმნეს Exxonmobil) და *შევრონი* და *ტექსაკო* (Chevron Texaco).

გარდა ჰოლანდიურ-ბრიტანული *როიალ დაჩ შელისა* და ბრიტანული *ბრიტიშ პეტროლიუმისა,* სხვა ხუთი კომპანია ამერიკული იყო. ეს გარკვეულად განმარტავს გეოპოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში.

ამ კომპანიებმა 1930-იან წლებში შექმნეს *კარტელი,* პრაქტიკულად მოსპეს კონკურენცია და ადგილობრივ მთავრობებს თავს მოახვიეს თავისთვის ხელსაყრელი შემოსავლის განაწილებისა და დაბალი ფასების რეჟიმი. ასეთმა მდგომარეობამ 1970-იან წლებამდე გასტანა.

კონცესიებთან დაკავშირებული სიტუაცია ამჟამად შეცვლილია. ყოფილი "შვიდი დის" გვერდით რეგიონში ნავთობის ძირითადი მომპოვებლები XXI საუკუნეში ხდებიან ადგილობრივი, აგრეთვე ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, იტალიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების კომპანიები.

საინტერესო მაგალითია ერაყის სამხრეთ ნაწილში მდებარე "დასავლეთ კურნას" ბუდობი, რომლის ნაწილს (West Kurna-1, 8,6 მლრდ ბარელი მარაგით) 2018 წელს ექსპლუატაციას უწევდნენ ამერიკული Exxonmobil, ბრიტანული BP, იტალიური Eni Spa და ჩინური Petrochina, ხოლო უფრო დიდ ნაწილს (West Kurna-2, 13 მლრდ ბარელი მარაგით) – რუსული Lukoil.

1950 წელს ახლო აღმოსავლეთის რეგიონი აწარმოებდა მსოფლიო ნავთობის 15 პროცენტს, 1960 წელს – 25 პროცენტს. წარმოების უმაღლესი წილი მიღწეულ იქნა 1979 წელს, როდესაც

რეგიონში მსოფლიო ნავთობის 40 პროცენტი მოიპოვეს. მაგრამ შემდგომში მისმა წილმა დაიკლო და 2000-2018 წლებში ის საშუალოდ 32-35 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეტი ნავთობი მოიპოვება, ვიდრე ცალკე საუდის არაბეთში, ან ირანსა და ქუვეითში ერთად. ჩინეთის ნავთობის მარაგი მეტია, ვიდრე სირიის, ეგვიპტის, ომანისა და იემენის ერთად აღებული მარაგები. ჩინეთი წლიურად იმდენივე ნავთობს მოიპოვებს, რამდენსაც ირანი, მაგრამ ხალხმრავალ და სწრაფად განვითარებად ჩინეთს ეს არ ჰყოფნის!

ნავთობის მოპოვების მოცულობა და მსოფლიო ბაზარზე მისი მიწოდება მჭიდროდაა დაკავშირებული ფასების პოლიტიკასთან.

ასი წლის განმავლობაში, 1870-იანი წლებიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე, ნავთობის საშუალო მსოფლიო ფასი არასოდეს გადასცილებია 2 (ორ!) აშშ დოლარს ბარელისათვის. XX საუკუნის პირველ ნახევარში ბარელი ნავთობის ფასი სულ 1 (ერთი) დოლარი იყო: მასზე არ ზემოქმედებდა არც მსოფლიო, არც ლოკალური ომები და არც ეკონომიკური კრიზისები.

ფაქტობრივად, ინფლაციის გათვალისწინებით, ნავთობი იაფდებოდა კიდეც, რადგან ბარელი ნავთობისათვის, მაგალითად, 1910 წელს გადახდილი ერთი დოლარი, ასი წლის შემდეგ, 2010 წელს მსყიდველობითი უნარის პარიტეტით 20 დოლარს უდრიდა. 1950-1960-იანი წლების განმავლობაში ბარელი ნავთობი სტაბილურად ღირდა 1,8 დოლარი, რასაც ზემოხსენებული კარტელი უდგა გარანტად.

ხელოვნურად შენარჩუნებული ნედლი ნავთობის დაბალი ფასების პოლიტიკასთან საბრძოლველად 1960 წელს საუდის არაბეთმა, ქუვეითმა, ერაყმა, ირანმა და ვენესუელამ შექმნეს *ნავთობის ექსპორტერი ქვეყნების ორგანიზაცია* (Organization of Petrol Exporting Countries, შემოკლებით OPEC). შემდგომში *ოპეკ*-ს შეუერთდნენ კატარი, გას-ი, ხოლო რეგიონს გარედან – ლიბია, ალჟირი, ნიგერია, ინდონეზია, ეკვადორი, ანგოლა, გაბონი. ოპეკის 14 ქვეყანა ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის 73 პროცენტს და 2016 წელს ამ ქვეყნებში განხორციელდა მსოფლიო მოპოვების 44 პროცენტი. დანარჩენი 56 პროცენტი სხვა, არა-ოპეკის, ქვეყნებში მოიპოვეს, რომელთა შორის ყველაზე დიდი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა არის რუსეთის ფედერაცია.

1965 წლამდე რეგიონში მიღებული იყო მოგების გაყოფის პარიტეტული სისტემა: კომპანიები უხდიდნენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მთავრობებს ექსპორტიდან მიღებული მოგების ნახევარს. *ოპეკ*-ის წევრებმა თავისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები მოითხოვეს და მოიპოვეს კიდეც.1970-იან წლებში დაიწყო ნავთობის საბადოების ნაციონალიზაციის პროცესი და შემოსავლების განაწილების ახალი სისტემის დამკვიდრება.

1973 წლიდან ნედლი ნავთობის ფასმა მატება დაიწყო. იმ წელს მოხდა ე. წ. "*ნავთობის ფასის რევოლუცია*", როდესაც ისრაელისა და არაბული ქვეყნების მორიგმა ომმა ("*იომ-ქიფურის ომი*") გამოიწვია არაბული ქვეყნების ემბარგო "პროისრაელურ" აშშ-სა და ნიდერლანდებში ნედლი ნავთობის გატანაზე. ამ ემბარგოს მოჰყვა პანიკა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე და, შესაბამისად, ფასის უკონტროლო ზრდა. 1974 წლის ბოლოსათვის ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 1970 წლის დონესთან შედარებით თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და 11,58 აშშ დოლარს მიაღწია (2010 წლის ფასებით ეს 51 დოლარს უტოლდებოდა). შემდეგ ნედლი ნავთობის ფასი მეტნაკლებად დასტაბილდა და ახალ პიკს მიაღწია მხოლოდ 1980 წელს, როდესაც ირანის ისლამური რევოლუციისა და მალევე დაწყებული ერაყ-ირანის ომით გამოწვეულმა პანიკამ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 36,83 დოლარამდე აიყვანა (2010 წლის ფასებით ეს 96 დოლარს უტოლდებოდა). ნედლი ნავთობის ფასი კარგა ხანს აღარ გაზრდილა, ხოლო 1980-იანი წლების მეორე ნახევარში 16-18 დოლარამდეც კი ჩამოვიდა, რამაც, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტზე ორიენტირებული საბჭოთა ეკონომიკის კრახს, გორბაჩოვისეული "*პერესტროიკის*" ჩავარდნას და,

საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაშლას.

დაბალი ფასი ნედლ ნავთობზე 1990-იან წლებშიც შენარჩუნდა, ხოლო 1998 წელს 12,72 დოლარამდე დაეცა (ამას რუსეთში მოჰყვა დეფოლტი და ეკონომიკური კრიზისი).

მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისიდან ნავთობის ფასმა ისევ დაიწყო ზრდა და 2008 წლის ივლისში მოხსნა ყველა რეკორდი – ბარელის ფასი 147 დოლარი გახდა! იმავე წელს დაწყებულმა მსოფლიო საბანკო-საფინანსო კრიზისმა, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა მკვეთრად დაასუსტა, ნავთობის ფასიც დასცა. მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ ფასმა მაინც აიწია და 2011 წლის სექტემბრისათვის 115-120 აშშ დოლარს მიაღწია.

2014 წლის შემოდგომიდან ნავთობის ფასმა ისევ დაიწყო კლება, რისი ძირითადი მიზეზი გახდა აშშ-ის ნავთობის ინდუსტრიის სწრაფი წინსვლა; კერძოდ, იქ დიდად გაიზარდა თიხაფიქლებში მოპოვებული ნავთობისა და გაზის მოცულობა. ამერიკამ დაიწყო ნახშირწყალბადების მსხვილ ექსპორტიორად გადაქცევა. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდებამ მკვეთრად გადააჭარბა მოთხოვნილებას და მისი ფასი დაეცა. ერთდროულად, საუდის არაბეთმა გადაწყვიტა დაესუსტებინა სერიოზულ კონკურენტად ქცეული ამერიკის ნავთობის მრეწველობა და არ შეამცირა საკუთარი ნავთობის მოპოვება, იმ იმედით, რომ თიხაფიქლებიდან ძვირადღირებული მოპოვება ამერიკაში არარენტაბელური გახდებოდა და კომპანიები გაკოტრდებოდნენ.

ამის შედეგად 2015-2016 წლებში ბარელი ნავთობის ფასი 45 დოლარს არ ასცილებია. მაგრამ დაბალმა ფასებმა დააზარალა იგივე საუდის არაბეთი, რომ არაფერი ვთქვათ ნავთობის სხვა ექსპორტიორებზე, მათ შორის ძირითადად ნავთობისა და ნავთობის ფასზე მიბმული გაზის ექსპორტზე ორიენტირებულ რუსეთზე, რომლის ეკონომიკამ მძიმე რეცესია განიცადა.

ცხრილი 2.2 გვიჩვენებს, რომ საუდის არაბეთის წლიური ნეტო შემოსავალი ნავთობის იმპორტისაგან 2011-2014 წლებში 300-350 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მაგრამ 2016 წელს ის 133 მილიარდამდე შემცირდა. ასევე შემცირდა ოპეკ-ის სხვა წევრების შემოსავალი.

ოპეკ-ის წევრმა ქვეყნებმა, იმავე საუდის არაბეთის მეთაურობით, მონახეს გამოსავალი: ისინი შეუთანხმდნენ ნედლი ნავთობის სხვა უდიდეს ექსპორტიორს – რუსეთის ფედერაციას – და ყველამ ერთად შეამცირა ნავთობის მოპოვება. კარტელური გარიგების (ე.წ. OPEC+) წყალობით მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების ხელოვნური დეფიციტი შეიქმნა და 2017 წლიდან მისმა ფასმა ზრდა დაიწყო. 2018 წელს ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 70-75 დოლარის ირგვლივ ტრიალებდა. ერთდროულად, აღდგა აშშ-ის ნავთობმოპოვების რენტაბელობაც. ასე რომ, არ არის გამორიცხული ნავთობის სიჭარბის ხელახალი წარმოქმნა და ფასის ისევ დავარდნა, თუმცა ბევრია დამოკიდებული სპეკულაციურ მოქმედებებზე, რაც მსხვილ კომპანიებსა და ნავთობექსპორტიორ ქვეყნებს ხელეწიფებათ.

საერთო ჯამში კი, XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ნავთობის ფასმა მოიმატა (გავიხსენოთ, რომ 1970-იან წლებამდე ბარელი ნავთობი ორი დოლარიც არ ღირდა!). XX საუკუნის ბოლოდან გაძვირდა გაზიც. ამის შედეგი გახდა მსოფლიო ისტორიაში **სიმდიდრის ჯერ არნახული გეოგრაფიული გადანაწილება**: სპარსეთის ყურის უდაბური, ხალხმცირე, ღარიბი საშეიხოები და საამიროები მოულოდნელად თავს დატეხილმა შემოსავალმა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებად აქცია.

მაგალითად ავიღოთ მსოფლიოში ნავთობის უდიდესი მარაგის მქონე *საუდის არაბეთი*. ნავთობის ექსპორტმა ქვეყანას1962 წელს მოუტანა 410 მილიონი აშშ დოლარი, 1972 წელს – 2,7 მილიარდი. 1974 წელს, ფასის მკვეთრი ნახტომის წყალობით, შემოსავალმა 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1981 წელს 113 მილიარდი შეადგინა. 1984 წლიდან დაიწყო საკმაოდ ხანგრძლივი სტაგნაცია, როდესაც ნავთობის ფასი შედარებით დაბალი იყო. მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისში ფასმა ისევ მოიმატა და საუდის არაბეთის საექსპორტო შემოსავალმაც იმატა.

მას შემდეგ, რაც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები დაეჩვივნენ დიდ შემოსავლებს და შესაბამის დიდ ხარჯებს, მრავალმილიარდიანი შემოსავლის ერთგვარი შემცირებაც კი იწვევს სოციალურ უკმაყოფილებას და აჩენს კრიზისის მოლოდინს.

ცხრილი 2.2 გვიჩვენებს რეგიონის წამყვანი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების საექსპორტო შემოსავლების დინამიკას XXI საუკუნის აქამდე განვლილ წლებში.

ცხრილი 2.2

ოპეკ-ის წევრი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნეტო შემოსავალი ნავთობის ექსპორტისაგან

(მილიარდი აშშ დოლარი, მიმდინარე ფასებით)

ქვეყანა	2000	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
გას-ი	21,1	43,9	62,0	99,0	107,3	104,4	96,7	55,7	46,8
ერაყი	19,1	23,3	49,2	74,9	87,3	85,8	86,4	57,2	53,5
ირანი	23,1	46,1	68,3	92,8	65,3	47,4	50,0	29,0	36,2
კატარი	8,0	21,1	44,2	65,5	66,4	64,9	58,0	30,0	24,0
საუდის არაბეთი	76,2	169,9	228,6	335,9	352,9	334,4	297,0	157,3	133,0
ქუვეითი	18,9	42,2	55,9	86,4	93,3	90,6	79,4	43,7	37,5

გეოგრაფიული სხვაობა სიმდიდრის განაწილებაში უფრო თვალსაჩინო იქნება, თუკი საექსპორტო შემოსავალს ქვეყნის ერთ მცხოვრებზე გადავთვლით. ასე მაგალითად, 2015 წელს (რომელიც არ იყო საუკეთესო წელი შემოსავლის თვალსაზრისით) ერთ მცხოვრებზე გადაანგარიშებით ნავთობის საექსპორტო შემოსავალმა პატარა და ხალხმცირე *კატარში* შეადგინა 13,4 ათასი აშშ დოლარი, *ქუვეითში* – 11,2 ათასი, *გას*-ში – 6 ათასი, *საუდის არაბეთში* – 5 ათასი, *ერაყში* – 1,6 ათასი, ხოლო ბევრად უფრო ხალხმრავალ ირანში – მხოლოდ 367 დოლარი. რეგიონის სხვა ქვეყნებს, რომელთაც ნაკლები რესურსი აქვთ, შემოსავალიც ნაკლები ჰქონდათ და ისინი ცხრილში არცაა მოყვანილი.

ფაქტია, რომ ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები უჩვეულოდ გამდიდრდნენ და თვითონ იქცნენ მსხვილ ინვესტორებად, მათ შორის მაღალგანვითარებული ქვეყნების – ყოფილი მეტროპოლიების – შედარებით მდგრად ეკონომიკაში.

* * *

რეგიონის **ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების** წილი მსოფლიოში დიდი არაა (სულ 9 პროცენტამდე), მაგრამ ისინი იზრდება. უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები (ნგქ), სადაც დეღეში 120 ათას ბარელზე მეტს ამუშავებენ, მდებარეობს საუდის არაბეთში (*რას-ტანურა, რაბიგი, იანბუ, ჯუბაილი, არ-რიადი*), ქუვეითში (*მინა ალ-აჰმადი, მინა აბდულა, შუაიბა*) ერაყში (*ბაიჯი, ბასრა*), გას-ში (*რუვაისი, ჯებელ ალი*), კატარში (*რას ლაფანი, მესაიდი*), ბაჰრეინში (*სიტრა*), სირიაში (*ბანიასი*), ეგვიპტეში (*კაირო, ალექსანდრია, სუეცი*), იემენში (*ადენი*). ირანში ოცამდეა ნგქ.

რეგიონში მოპოვებული ნედლი ნავთობის უდიდესი მომხმარებლები მსოფლიოს სხვა რეგიონებია: აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები (იაპონია, ჩინეთი, სინგაპური, კორეა, ავსტრალია და სხვ.), სადაც მიემართება რეგიონის ნედლი ნავთობის 56 პროცენტი, ინდოეთი – 14, დასავლეთ ევროპა –13, აშშ – 9 პროცენტი.

თუმცა ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ რეგიონში იზრდება მოთხოვნილება ადგილობრივ მინერალურ ნედლეულზე, მათ შორის საწვავზე, ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული ნავთობის შედარებით მცირე ნაწილი მოიხმარებოდა რეგიონშივე. მისი მთავარი იმპორტიორი რეგიონის ქვეყნებიდან არის თურქეთი, რომელსაც საკუთარი ნავთობმოპოვება უმნიშვნელო მასშტაბით აქვს.

მილსადენი ტრანსპორტი რეგიონში ფართოდაა გავრცელებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *საერთაშორისო ნავთობსადენებს,* რომლებსაც რამდენიმე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა უხ-

დებათ. ეს ყოველთვის უკავშირდება განსხვავებულ პოლიტიკურ ინტერესებს. ამ მხრივ საინტერესოა სირიის, იორდანიის, ერაყის მაგალითები.

იორდანიისა და სირიის ტერიტორია გამოიყენებოდა ნავთობის ტრანზიტისათვის. 1950 წელს ექსპლუატაციაში შესული საუდის არაბეთის აღმოსავლეთ რაიონიდან წამოსული 1700 კილომეტრის სიგრზის ტრანსარაბეთის მილსადენი თავიდან გადიოდა *სირიის გოლანის მაღლობზე*, რომელიც 1967 წლიდან ისრაელის მიერაა ოკუპირებული. შემდეგ ის ლიბანის ნაპირისაკენ გადაამისამართეს. ამ მილსადენის გამოყენება შეწყვეტილია.

ერაყი, რომელსაც ვიწრო გასასვლელი აქვს ზღვაზე (ის სულ 58 კილომეტრის მანძილზე გადის სპარსეთის ყურეში) დიდადაა დამოკიდებული ნავთობის ტრანზიტზე სხვა ქვეყნების ტერიტორიის გავლით. 1934 წლიდან მცირე დიამეტრის მილსადენი მიდიოდა ერაყის *ქირქუკიდან პალესტინის ხაიფაში* და *ლიბანის ტრიპოლიში.* 1948 წელს ისრაელთან არაბული ქვეყნების ომის დაწყებისთანავე ამ მილსადენის ხაიფას განშტოებამ მოქმედება შეწყვიტა.

1970-80-იან წლებში სირია პერიოდულად უქმნიდა პრობლემებს თავის ტერიტორიაზე ერაყის ნავთობის ტრანზიტს (სირიისა და ერაყის მთავრობებს მაშინ რთული ურთიერთობა ჰქონდათ). ამიტომაც ჩრდილოეთ ერაყიდან ნავთობის ექსპორტისათვის 1975-1977 წლებში ააშენეს 980 კმ სიგრძის მილსადენი თურქეთის ტერიტორიაზე: ნავთობმა იქ დინება დაიწყო 1977 წელს. 1980-იანი წლების შუაგულიდან თურქეთში მოქმედმა ქურთმა სეპარატისტებმა ეს მილსადენი რამდენჯერმე დააზიანეს, ხოლო 1991 წელს, გაეროს მიერ ერაყისათვის დაწესებული სანქციების გამო, ის საერთოდ დაიხურა. 2003 წელს ამერიკის დახმარებით მილსადენი აღდგა.

მეტოქეობა ნავთობის კონტროლისათვის რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

სანავთობო ინტერესების გავლენა რეგიონისა და მსოფლიოს გეოპოლიტიკაზე შეიძლება რამდენიმე მაგალითით ვაჩვენოთ:

- სამხრეთ სპარსეთში 1908 წელს აღმოჩენილმა ნავთობმა, რომელიც 1913 წლიდან მდ. *შატ ალ-არაბზე* მდებარე აბადანის ნავსადგურიდან გაჰქონდათ, განაპირობა დიდი ბრიტანეთის მიერ სამხრეთ ერაყის ოკუპაცია 1914 წლის ბოლოს.
- იმავე სამხრეთ სპარსეთის ნავთობის საბადოებზე რუსეთის იმპერიის მიერ სრული ბრიტანული კონტროლის აღიარების სანაცვლოდ 1915 წელს ბრიტანეთმა "დაუთმო უფლება" კონსტანტინო-პოლსა და შავი ზღვის სრუტეებზე. სხვა საქმეა, რომ ასეთი გეოპოლიტიკური ძვრა ვერ განხორციელდა პეტროგრადში 1917 წელს მომხდარი რევოლუციების გამო;
- სწრაფვა ბაქოს ნავთობსარეწების დაუფლებისაკენ I მსოფლიო ომის ბოლო წელს ოსმალეთის, გერმანიისა და ბრიტანეთის ინტერესების განსაკუთრებული შეხლის მიზეზი იყო. საბჭოთა რუსეთი 1920 წელს სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდა უპირველესად "ბაქოს ეშხით", რადგან ნავთობის სხვა წყარო რუსეთში მაშინ აღმოჩენილი არ იყო. მოსკოვს სჭირდებოდა ბათუმიც, როგორც ბაქოს ნავთობის მთავარი საექსპორტო ნავსადგური.
- სამხრეთ სპარსეთში 1908 წელს აღმოჩენილმა ნავთობის საბადომ იმოქმედა I მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით ბრიტანეთის პოლიტიკაზე: ლონდონმა დაკარგა ინტერესი ბაქოს ნავთობის მიმართ და ადვილად შეეგუა [საბჭოთა] რუსეთის დაბრუნებას აზერბაიჯანსა და საქართველოში 1920-1921 წლებში;
- მოსულის ვილაიეთში დაზვერილმა ნავთობის დიდმა მარაგმა განაპირობა დიდი ბრიტანეთის დაინტერესება, რათა ეს პროვინცია მის სამანდატო ერაყში დარჩენილიყო და არ გადასცემოდა თურქეთის რესპუბლიკას, რაც 1926 წელს იურიდიულადაც გაფორმდა და ამიტომაც მოსულის რაიონი ერაყში შედის.

- 1973 წელს არაბული ქვეყნების ემბარგო აშშ-სა და ნიდერლანდისათვის ნავთობის მიწოდებაზე იყო მათი რეაქცია "იომ-ქიფურის ომში" ისრაელისათვის გაწეულ დახმარებაზე. ამას მოჰყვა ნავთობის ფასის უპრეცედენტო მომატება. ნავთობზე ფასის ზრდამ განაპირობა საბჭოთა კავშირის საექსპორტო შემოსავლის ზრდაც და პოტენციური ეკონომიკური კრიზისისათვის იმ პერიოდში თავის დაღწევა (თუმცა, საბოლოოდ, "ნავთობდოლარებზე" მძიმე დამოკიდებულებამ საბჭოთა ეკონომიკას ფატალური შედეგი მოუტანა);
- 1990-1991 წლების "სპარსეთის ყურის კრიზისი" გამოწვეული იყო ერაყის მცდელობით, დაუფლებოდა ქუვეითის (და, შესაძლოა, საუდის არაბეთის) ნავთობის უდიდეს მარაგებს. *სტატუს ქუო*-ს აღსადგენად ამერიკის ხელმძღვანელობით დარაზმულმა კოალიციამ სამხედრო ძალის გამოყენებით გაათავისუფლა ქუვეითი;
- 2003 წლის ერაყის ომის მიზეზებს შორის არცთუ უკანასკნელი იყო სანავთობო ინტერესები;
- ნავთობის ექსპორტის მიზნით ფართოდ გამოყენებული მილსადენი ტრანსპორტი ასევე არის ხოლმე პოლიტიკის იარაღი. მაგალითად, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ (1948 წ.) ჩრდილოეთ ერაყიდან ისრაელის ნავსადგურ ხაიფაში მიმავალი მილსადენს ტერმინალი შეუცვალეს და ლიბანში გადაიტანეს.

მსოფლიო ეკონომიკა ჯერაც დიდადაა დამოკიდებული ახლო აღმოსავლურ ნავთობზე, ხოლო რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის raison d'etre* მხოლოდ ნავთობით მისი სიმდიდრეა.

***

რაც შეეხება **გაზის** *მარაგსა და მის მოპოვებას* **რეგიონის ქვეყნებში**, მონაცემები მოყვანილია ცხრილში 2.3.

კონვენციური გაზის (ბუნებრივისა და თანმხლების) ყველაზე *დიდ მარაგს* რეგიონში ფლობენ ირანი (მსოფლიო მარაგის 18 პროცენტი) და მცირე ნახევარკუნძულოვანი სახელმწიფო *კატარი* (13 პროცენტი): მათ საზიაროდ აქვთ კონტინენტურ შელფზე მდებარე "*სამხრეთ პარსის*" უდიდესი საბადო, რომლის დიდი ნაწილი კატარის მხარეს მდებარეობს. გაზის მარაგის მოცულობით ეს ორი ქვეყანა მხოლოდ რუსეთის ფედერაციას (23,9 პროცენტი) ჩამორჩება.

გაზის მოპოვებით გამოირჩევიან ირანი, კატარი, საუდის არაბეთი, გას-ი და ეგვიპტე.

გაზის ექსპორტის მასშტაბით ახლო აღმოსავლეთი ვერ ახდენს ისეთივე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას მსოფლიოზე, როგორსაც იგი ახდენს თავისი ნავთობის ექსპორტით. მოპოვებულ გაზს ძირითადად ქვეყნების შიგნით მოიხმარენ, ან ის გათხევადებული სახით გააქვთ ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთსა და ევროპულ კავშირში. ამერიკამ გაზის იმპორტი საერთოდ მკვეთრად შეამცირა, რადგან იქ გაიზარდა საკუთარი *არაკონვენციური შეილგაზის* მოპოვება.

ბოლო პერიოდში გაიზარდა გათხევადებული ბუნებრივი გაზით მსოფლიო ვაჭრობა: ის გაზით ვაჭრობის 30 პროცენტს შეადგენს. ამ მხრივ რეგიონში გამოირჩევა კატარი, რომელიც 2006 წლიდან LNG-ის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია და, შესაბამისად, უზარმაზარი შემოსავალი აქვს.

ცხრილი 2.3 გაზის მარაგი, მოპოვება რეგიონში და მისი წილი მსოფლიოში

ქვეყნები	დაზუსტებული მარაგი (ტრლ. კუბ. მ) 2016 წ.	მარაგის წილი (%) მსოფლიოში 2016 წ.	მოპოვება (მლრდ კუბ. მ) 1995 წ.	მოპოვება (მლრდ კუბ. მ) 2016 წ.	მოპოვების წილი (%) მსოფლიოში 2016 წ.
ირანი	33,5	18,0	20,3	202,4	5,7
კატარი	24,3	13,0	2,0	181,2	5,1
საუდის	8,4	4,5	2,7	109,4	3,1

არაბეთი					
გას-ი	6,1	3,3	1,7	61,9	1,7
ერაყი	3,7	2,0	–	1,1	0,02
ეგვიპტე	1,8	1,0	–	41,8	1,2
ქუვეითი	1,8	1,0	3,2	17,1	0,5
ომანი	0,7	0,4	–	35,4	1,0
იემენი	0,3	0,2	–	0,7	0,01
სირია	0,3	0,2	–	3,6	0,1
ბაჰრეინი	0,2	0,1	2,1	15,5	0,4
ისრაელი	0,1	0,1	1,4	...	...
სხვა ქვეყნები	...	...	...	9,7	0,3
მთელი რეგიონი	81,2	43,5	33,3	689,6	19,2

... მონაცემი არ არის

მილსადენებით ბუნებრივი გაზის საზღვარგარეთ მიწოდება ძირითადად გეოპოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამას ადასტურებს XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის ფედერაციის "გაზის პოლიტიკა".

ბოლო დრომდე ახლო აღმოსავლეთში "გაზის პოლიტიკის" მაგალითი იყო საწვავის დიდი მომხმარებელი ისრაელისა და ნედლეულით მდიდარი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობა. ეგვიპ-ტე აწვდიდა გაზს ისრაელს, რასაც აფერხებდნენ ხან ტერორისტები, ხანაც ეგვიპტის შიდა პოლიტიკა. ისრაელი ვერ ღებულობდა გაზს იმ არაბული ქვეყნებიდან, რომლებთანაც დიპ-ლომატიური ურთიერთობა ჯერაც არა აქვს და, მით უმეტეს, მტრულად განწყობილი ირანიდან.

2009-2010 წლებიდან ხმელთაშუა ზღვის შელფის *ისრაელის* სექტორში აღმოჩნდა გაზის საკმაოდ დიდი რესურსები (საბადოები "თამარი" და "ლევიათანი", მოგვიანებით – "კარიში" და "თანინი") და ის პირველად გახდა ენერგეტიკულად თვითუზრუნველყოფილიქვეყანა. უფრო მეტიც, მან დადო 15 მლრდ დოლარის ღირებულების შეთანხმება ეგვიპტეში (რომელსაც თვითონაც აქვს გაზის საკმაოდ დიდი მარაგი) გაზის გატანაზე: ეგვიპტეს სურს, რომ გახდეს გაზმომარაგების მსხვილი საერთაშორისო ჰაბი.

მოქმედი "არაბული გაზსადენის" მეშვეობით *ეგვიპტე* გვერდს უვლის ისრაელს და სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე *ალ-არიშის* გაზის საბადოდან საწვავს აგზავნის სამხრეთით, ისრაელთან საზღვრის გასწვრივ, ქ. *ტაბას* მიმართულებით. იქიდან წყალქვეშა მილსადენით (ისევ ისრაელის გვერდის ავლით!) გაზი მიეწოდება იორდანიის ქ. *აკაბას.* შემდეგ მილსადენი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით და ისრაელის აღმოსავლეთი საზღვრის პარალელურად იორდანიის ტერიტორიაზე მიემართება ქ. *ამანის*, სირიის ქქ. *დამასკოსა* და *ჰომსის* და ლიბანის ქ. *ტრიპოლისაკენ.*

"გაზის პოლიტიკის" სხვა მაგალითია ირან-თურქეთის ურთიერთობა გაზმომარაგების სფეროში. დიდი მომხმარებელი და სატრანზიტო ქვეყანა – თურქეთი – ბოლო დრომდე შეზღუდული მოცულობის გაზს ღებულობდა ირანიდან, ვინაიდან გარკვეული რიდი ჰქონდა თავისი უმთავრესი მოკავშირის, შეერთებული შტატებისა. ამერიკას კი 1979 წლიდან არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და დაჟინებით სთხოვს თავის მოკავშირეებს თავი შეიკავონ ეკონომიკური კავშირურთიერთობისაგან ანტიამერიკულად და ანტიისრაელურად განწყობილ სახელმწიფოსთან. ბოლო პერიოდში კი თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობა აღარ

გამოირჩევა ძველი გულითადობით. თურქეთი ეკონომიკურ კავშირებს დამოუკიდებლად ამყარებს. თურქეთს შეუძლია ირანიდანაც მიიღოს ქვეყნისათვის საჭირო გაზის ნაწილი.

თემა 6
ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სოციო-კულტურული წანამძღვრები: ლინგვოგეოგრაფია

ადამიანთა საზოგადოება შედგება უამრავი ჯგუფისაგან, რომლებიც სხვადასხვა პრინციპით იქმნება.

ყველაზე ხშირია ***ენის*** მეშვეობით შექმნილი ადამიანთა ჯგუფები. საერთო ენა, როგორც კომუნიკაციის ძირითადი საშუალება, ძლიერი გამაერთიანებელია.

არანაკლებ ძლიერი გამაერთიანებელია ***რელიგია*** – საერთო რწმენა ზებუნებრივი, უხილავი, უზენაესი ძალისა, რომელიც ზრუნავს მის მიმდევარ ადამიანთა ჯგუფზე. იმავე ძალას მიეწერება ამ ჯგუფის "სამართლიანი დასჯა", თუკი მას თავს დაატყდება, ან თვითონ დაიტეხავს თავს რაიმე უბედურებას. დაყოფა "ჩვენ და ისინი" ძალიან მკაფიოდ ჩანს რელიგიურ სხვაობებში.

ყველაზე გვიანდელია ადამიანთა ჯგუფების იდენტობის ჩამოყალიბება ***ეროვნული*** ნიშნით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ერი სოციალურ-პოლიტიკური კატეგორიაა და არა მხოლოდ ლინგვისტური.** არსებობს ჩამოყალიბებული ერები, რომლებიც რამდენიმე ენაზე მეტყველებენ: მაგალითად, *შვეიცარიელი ერი* ოთხ ენაზე საუბრობს; *ირანელი ერი* ათზე მეტ ენაზე მეტყველ ჯგუფს მოიცავს; *ჩინელები* ათიოდე ურთიერთგაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ და საერთო ეროვნულ იდენტობას მათ უნარჩუნებს ჰიეროგლიფური დამწერლობა და ერთიანი სახელმწიფო; *ქართველი ერის* შემადგენლობაშიც შედიან [სამწიგნობრო] ქართულ და აგრეთვე მეგრულ, ლაზურ, სვანურ, ბაცბურ ენებზე მეტყველი შედარებით მცირე ჯგუფები, რომელთაც საერთო-ქართული იდენტობა აქვთ. მაგალითები სხვაც მრავლადაა.

ხდება პირიქითაც: ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე არაბები ახლა პრაქტიკულად სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესის მქონე ჯგუფებს – *არაბულენოვან ერებს* – ქმნიან.

ენა და პოლიტიკა

ენობრივი ნათესაობა რეგიონში არც თუ იშვიათად დიდ პოლიტიკურ დატვირთვას იზენს. საკმარისია გავიხსენოთ XX საუკუნის პირველი ათწლეულების *პანთიურქიზმი,* რომელიც მკაფიო ენობრივი (და ნაკლებ მკაფიო – სისხლით) ნათესაობის იდეაზე იყო დაფუძნებული. მისი უკიდურესი გამოვლინება, *თურანიზმი*, ყველა *თიურქულენოვანი*[9] ხალხის ერთ სახელმწიფოში (თურანში) გაერთიანებას ისახავდა მიზნად.

---

[9]. რამდენადაც "*თიურქულენოვნების*" მოხსენიება წიგნში არაერთხელ მომიწევს და ამ მიზნით ვერ გამოვიყენებ ქართული ანბანიდან (ვფიქრობ, უსამართლოდ!) ამოგდებულ "იოტას", ამ ტერმინით ვასხვავებ [ანატოლიურ] "*თურქულ*" და სხვა "*თიურქულენოვანი*" ხალხების ენებს. ინგლისურად ასეთი განსხვავება კეთდება "turkic"-ისა და "turkish"-ის, რუსულად – "тюркский"-ისა და "турецкий"-ის, გერმანულად türk-ისა და turk-ის მეშვეობით.

მაშინ როცა "*თურქები*" და "*თურქული*" გამოყენებულია ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობისა და მისი ენის სახელად, *"თიურქები"* და "*თიურქული ენები*" არის კრებითი სახელები "*თიურქულენოვანი*" ხალხებისა (თურქები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები, უზბეკები, თათრები, ჩუვაშები, გაგაუზები, ბალყარელები, ყარაჩაელები, იაკუთები და სხვ.) და მათი ენებისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, თურქეთის რესპუბლიკამ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა დაიწყო სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დამოუკიდებელი, ენობრივად მონათესავე *თიურქულენოვანი* ქვეყნების – აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის – მიმართ. მაგრამ თიურქული სახელმწიფოების სამიტებზე Lingua franca ყველაზე ხშირად რუსულია: მხოლოდ თურქეთის პრეზიდენტისათვისაა საჭირო თარგმნა!

რეგიონში არსებობს *პანარაბიზმის* იდეაც, რომელიც არაბულენოვან ქვეყნებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს. რეალობაში ეს მოწოდება "*არაბული ქვეყნების ლიგის*" შექმნას ვერ გასცდა, სადაც არაბულად კი საუბრობენ, მაგრამ პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა დიდი პრობლემაა ხოლმე.

პანთურქიზმისა და *პანარაბიზმის* აპოლოგეტების მიერ დასახული საბოლოო მიზნების მიღწევა თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაში არარეალურია. *თიურქულენოვანი* და *არაბულენოვანი* ქვეყნების მმართველ ელიტებს იმდენად ფესვგადგმული ადგილობრივი ინტერესები აქვთ, რომ ისინი არავითარი "ზეეროვნული იდეისათვის" ნებით არ დაუთმობენ ძალაუფლებას თავიანთ თანამოძმეებს რომელიმე ლინგვისტურად მონათესავე ქვეყნიდან. მაგალითად, წარუმატებელი აღმოჩნდა 1958 წელს დაწყებული და სამ წელიწადში დამთავრებული *არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის* შექმნა ეგვიპტისა და სირიის მიერ.

1990-იან წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ *ჰეიდარ ალიევის* მიერ წამოყენებული, ჯერაც პოპულარული, ლოზუნგი – "*ერთი ერი, ორი სახელმწიფო*" – თითქოს უნდა მიანიშნებდეს *აზერბაიჯანელებისა* და *თურქების* ეთნიკურ ერთგვაროვნებაზე, მაგრამ, ერთდროულად, სხვადასხვა სახელმწიფოში მათ ცხოვრებასაც ნიშნავს. იმავე მოხდენილ ლოზუნგს იყენებს თურქმენეთის პრეზიდენტი თავის თურქ კოლეგასთან შეხვედრების დროს.

ამ ლოზუნგში მთავარია განტოლების მეორე ნაწილი – "ორი სახელმწიფო": არც ბაქოს და არც აშგაბათის ავტორიტარული მმართველები *თავიანთ* სახელმწიფოს არავის დაუთმობენ!

თეორიულად რომ დავუშვათ რომელიმე თიურქულ ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება, არც ხალხის მიერ არჩეული ლიდერები წავლენ ასეთ მსხვერპლზე.

სინამდვილეში თურქები, აზერბაიჯანელები, თურქმენები სამი სხვადასხვა ერია, რომლებიც ახლო მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ენებზე საუბრობენ. მსოფლიოში მრავლადაა მაგალითები, როდესაც ჩამოყალიბდნენ პრაქტიკულად ერთ ენაზე მეტყველი სხვადასხვა ნაციები (ერები): საკმარისია გავიხსენოთ ინგლისურენოვანი *დიდი ბრიტანეთი, აშშ, ავსტრალია* და *ახალი ზელანდია*, ან ოციოდე *ესპანურენოვანი* სახელმწიფო, ან გერმანულენოვანი *გერმანია, ავსტრია* და *შვეიცარია*.

გარდა ამისა, ასეთი "ლინგვისტური ზესახელმწიფოების" შექმნა ეწინააღმდეგება მსოფლიოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური წესრიგის შენარჩუნების მომხრეთა ინტერესებს. 1990 წელს არაბულენოვანი ერაყის მიერ არაბულენოვანი ქუვეითის ანექსირების წარუმატებელი მცდელობა ამტკიცებს იმას, რომ მსოფლიო არ დაუშვებს რომელიმე "პანმოძრაობის" აღზევებას.

მართალია, არაბები და ებრაელები მონათესავე სემიტურ ენებზე მეტყველებენ, *პანსემიტიზმის* იდეა არასოდეს წარმოშობილა! პირიქით, რეგიონის უმძაფრესი პოლიტიკური კონფლიქტი განვითარდა "ენობრივ ძმებს" – არაბებსა და ებრაელებს – შორის[10].

ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ენები ძირითადად სამ ენობრივ ოჯახს, **სემიტურს**, **ალთაურს** და **ინდო-ევროპულს**, განეკუთვნება. გარდა ამისა, წარმოდგენილია სხვა ენობრივი ოჯახების მცირე ანკლავებიც.

---

[10]. არაბებსა და ებრაელებს თავი მიაჩნიათ ერთი წინაპრის შთამომავლებად: ებრაულად ამ წინაპრის სახელი ჟღერს როგორც *აბრაჰამი*, ხოლო არაბულად – *იბრაჰიმი*. ებრაელები აბრაჰამის მეორე ვაჟის (ებრაელი ცოლის, *სარას*, შობილი), *იცხაკის* შთამომავლობად მიიჩნევენ თავს, არაბები კი – იბრაჰიმის პირველი ვაჟის (თორას თანახმად, დიდხანს უშვილო *სარას* თანხმობით მისივე ეგვიპტელ მხევალ *ჰაგარის* მიერ შობილი) – *ისმაილის* (ებრაულად – *იშმაელის)* შთამომავლობად. ამის გამოა, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში არაბებს *აგარიანებად* მოიხსენიებენ.

ყველაზე ახლოს ერთმანეთთან არიან ალთაური ენობრივი ოჯახის ენების *თიურქული ჯგუფის* ენები. მაგალითად, თურქულ, აზერბაიჯანულ, თურქმენულ ენებზე მეტყველთ მეტნაკლებად შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ. ეს იმის გამო ხდება, რომ ოღუზი თიურქების (იხ. ქვემოთ) ფუძე-ენა შედარებით ახალი გაყოფილია: "ახალი" აქ ნიშნავს, რომ გაყოფა ათასიოდე წლის წინ დაიწყო!

სემიტური ენობრივი ოჯახის ენები შედარებით ახლოსაა ერთმანეთთან, თუმცა ისინი ურთიერთგასაგები არაა. ისინი, როგორც ჩანს, 4-5 ათასწლეულის წინ დაშორდნენ ფუძე-ენას.

ყველაზე დაშორებულია ერთმანეთისაგან *ინდოევროპული ოჯახის* ფართოდ გავრცელებული და მრავალრიცხოვანი ენები. მაგალითად, მხოლოდ მშობლიურ სპარსულ, სომხურ ან ქურთულ ენებზე მეტყველნი ვერც ერთმანეთს გაუგებენ და ვერც რუსებს ან ინგლისელებს, თუმცა ცალკეული სიტყვები მსგავსია და სპეციალისტი ენათმეცნიერი ადვილად აღმოაჩენს ყველა ამ ინდოევროპული ენის საერთო ძირებსა და გრამატიკულ ნორმებს. ამ ენობრივი ოჯახის ენები დიდი ხნის წინ გამოეყო ერთმანეთს. მაგალითად, დადგენილია, რომ *ხეთების* ინდოევროპული *ენა*, რომელიც სამ ათასწლეულზე მეტია აღარ გამოიყენება, გარკვეულად ენათესავება ისე შორს გავრცელებულ ენებს, როგორებიცაა, მაგალითად ირლანდიური, ბენგალური, ესპანური ან ფუშთუ (ავღანელთა უმეტესობის ენა).

სემიტური ენები

რეგიონში ყველაზე ფართო გავრცელება აქვს **სემიტურ ენობრივ ოჯახს**, განსაკუთრებით **არაბულ ენას.** ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოში, კვიპროსის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მაინც სახლში არაბულად მეტყველებს. არაბული ენა მშობლიურია რეგიონის 12 ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის, რომელთაც *არაბულ ქვეყნებად* ვიცნობთ. გარდა ამისა, არაბულენოვანი უმცირესობებია ისრაელში, ირანსა და თურქეთში.

არაბული სახალიფოს პერიოდში (და საკმაოდ დიდხანს, მომდევნო ხანაშიც) არაბული იყო რეგიონის lingua franca. ამ ენის დიდი გავლენა შემორჩა სპარსულსა და თურქულს[11].

აღსანიშნავია, რომ ყველა არაბულ ქვეყანაში საკუთარი არაბული დიალექტი ან დიალექტები ჩამოყალიბდა, რომლებიც სხვა არაბული ქვეყნის მოქალაქისათვის შეიძლება გაუგებარიც კი იყოს.

არაბული ქვეყნების ნამდვილი გამაერთიანებელი არის ლიტერატურული არაბული, "***ლუღათუ-ლ-ფუსხა***" – სუფთა, სწორი ენა, რომელიც *წმინდა ყურანის* ტექსტს ეფუძნება. ლიტერატურულ არაბულს ფლობს კულტურული და პოლიტიკური ელიტა და მას იყენებს რადიო და ტელევიზია.

არაბულის შემდეგ ყველაზე მეტად (თუმცა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში) გამოყენებული სემიტური ენა ამჟამად არის **ებრაული**. მას მშობლიურად მიიჩნევს ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობა, ექვს მილიონ ადამიანზე მეტი. მსოფლიოში გაბნეულ ებრაულ თემებში ამ ენას სწავლობენ და მასზე ოჯახებშიც კი მეტყველებენ.

XX საუკუნემდე ებრაული (რომელსაც მაშინ "ძველ ებრაულად" იცნობდნენ) *მკვდარ ენად* იყო მიჩნეული. ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი: როგორც *"თორას ენას"* ებრაულს იყენებდნენ იუდაისტური რიტუალების აღსრულებისას და ასწავლიდნენ ებრაულ სკოლებში (*ხედერებსა* და *იეშივებში*). როგორც "*ძველი აღთქმის ენას*", ებრაულს ასწავლიდნენ ევროპის კლასიკურ გიმნაზიებში.

მაგრამ ებრაული არ იყო სალაპარაკო ენა, ვინაიდან ებრაული დიასპორა ამჯობინებდა თავის

[11]. ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ ენაში, რომელსაც ამჟამად "ძველ", ან "ოსმალურ თურქულად" ვიცნობთ, ლექსიკის 4/5-მდე არაბული ან სპარსული წარმოშობისა იყო. მაგრამ მორფოლოგია ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს თიურქულ ენათაგანია. თურქული ენის რეფორმამ 1930-იანი წლებიდან მკვეთრად შეამცირა არაბული ლექსიკის ხვედრითი წონა, მაგრამ თანამედროვე თურქულში არაბიზმები მაინც საკმაოდ შემორჩა.

უფრო მრავალრიცხოვან მეზობლებთან კონტაქტის დამყარებას იმავე მეზობლების ენაზე და ოჯახშიც ამ ენაზე საუბრობდა. ამის გამო სალაპარაკოდ, არსებითად – დედაენად, დიასპორის ებრაელობისათვის ყველგან იქცა მისი ახალი საცხოვრისის ენა.

ესპანეთში ეს იყო *კასტილიური*, რომელიც ესპანეთიდან განდევნის (1492 წ.) შემდეგ ებრაელებმა ოსმალეთშიც შეინარჩუნეს "ლადინოს" სახელწოდებით. ამ XV-XVI საუკუნეების ენას "იუდეო-ესპანიოლსაც" უწოდებენ. XXI საუკუნის დასაწყისში ისრაელში მას 100 ათასამდე ადამიანი ასე თუ ისე ფლობდა, მაგრამ ის სწრაფად იკარგებოდა. არაბულ სამყაროში (მაროკოში, იემენში, ერაყში და სხვა) – ებრაელების სალაპარაკო ენა გახდა *არაბული* დიალექტები, ცენტრალურ ევროპასა და გერმანიაში – ძირითადად *იდიში*[12], აღმოსავლეთ ევროპაში – *რუსული*, ირანში – *სპარსული*, დაღესტანში (დერბენტის მთიელ ებრაელებში) – *თათური* (სპარსულის მონათესავე ენა), შუა აზიაში – "*ბუხარული*" (რეალურად სპარსულის დიალექტი – ტაჯიკური), საქართველოში – *ქართული*.

როდესაც სიონისტურმა იდეამ ფართო გაქანება პოვა, ხიხ საუკუნის ბოლო ათწლეულებში ოსმალეთის იმპერიაში შემავალ პალესტინაში გაჩნდა ებრაულის ცოცხალ ენად აღორძინების ტენდენცია. ამ მოძრაობამ პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა, ვინაიდან ეს ხდებოდა ოსმალეთის პალესტინის ტერიტორიაზე, სადაც აღორძინებადი ენის მატარებლები უნდა გამხდარიყვნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ამოსული რეპატრიანტები. მათთვის მშობლიური ენა უპირატესად იყო იდიში,ზოგისათვის კი – რუსული.

პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის – წარმოშობისთანავე, პირველ სახელმწიფო ენად ებრაული გამოცხადდა (მეორე სახელმწიფო ენა იქ არაბულია). ყველაზე აქტიური ბრძოლა პალესტინის ებრაულ საზოგადოებაში *იდიშს* გამოეცხადა, რადგან იდიშზე შექმნილი დიდი ლიტერატურა, მრავალრიცხოვან იდიშურენოვანთა (ცენტრალური ევროპის ებრაელთა) მაღალი კულტურა ებრაული ენის გავრცელებას კონკურენციას უქმნიდა. ამ კამპანიის შედეგად იდიში ისრაელში თითქმის მკვდარ ენად იქცა.

დღეისათვის სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულ ებრაელთა დედაენა (რუსულიც კი, რომელსაც ისრაელში მილიონზე მეტი ადამიანი ფლობს) ვეღარ უქმნის რეალურ საფრთხეს ამ სახელმწიფოში სრულად გაბატონებულ ებრაულ ენას, რომელზეც ბოლო საუკუნის განმავლობაში შეიქმნა მდიდარი საერო ლიტერატურა და ყველა დარგის ტერმინოლოგია. ისრაელის ხელისუფლება სხვა ენების, მათ შორის იდიშის, გამოყენებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ახლა აღარ კრძალავს, მაგრამ განათლების მიღება ამ სახელმწიფოში შეიძლება მხოლოდ ებრაულ (ან არაბებისათვის – არაბულ) ენაზე.

სხვა სემიტური ენებიდან რეგიონში წარმოდგენილია **არამეული** (იგივე *ასირიული*, ან *აისორული*) ენა. არამეულს ფართო გავრცელება ჰქონდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში. *თანახის* რამდენიმე პასაჟი არამეულადაა დაწერილი. ამჟამად ამ ენის გავრცელების არეალი მკვეთრად შემცირებულია და შემორჩენილია მცირე ჯგუფების სახით ჩრდილოეთ ერაყსა და ირანში.

ალთაური ენები

ალთაური ენობრივი ოჯახის **თიურქულ ენათა ჯგუფი** ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილია **თურქულით** [ანატოლიური თურქულით], რომელიც თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, და მეზობელ ქვეყნებში (ირანი, ერაყი,სირია) გავრცელებული *თიურქულიენებით.* გარდა თურქულისა,

[12]. *იდიში* არის ებრაული და სლავური სიტყვებით ერთგვარად შეზავებული გერმანული ენის დიალექტი, რომელიც დამწერლობად ებრაულ აბჯადს იყენებს. გერმანულად *იდიში* [Yiddisch] "ებრაულს" ნიშნავს. ამის გამო რუსულად Еврейский язык აღნიშნავს "იდიშს", ხოლო ნამდვილ ებრაულს რუსულად Иврит-ს უწოდებენ. აქედან მომდინარეობს ქართულში შემოსული და არასწორად დამკვიდრებული "*ივრითული*".

მონათესავე თიურქულ ენებზე ლაპარაკობენ ყარაფაფახები (თურქეთში), აზერბაიჯანელები, ყაშ-ყაელები, ავშარები, ყაჯარები (ირანში), თურქმენები (ჩრდილოეთ ერაყსა და სირიაში). ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილი თიურქული ენები **ოღუზურ ენობრივ ქვეჯგუფს** განეკუთვნება და ისინი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან.

თიურქული ენების შემთხვევაში გარკვეულ პოლიტიკურ საკითხად *ენისა და ენათა ჯგუფის სახელი* გვევლინება. საქმე ისაა, რომ თუ რუსულად თურქეთის რესპუბლიკის [ანატოლიელ/ოსმალო] თურქებს (турки) განასხვავებენ დანარჩენი თიურქებისაგან (тюрки), ნორმატიული ქართული ფონეტიკის გამო ამის გაკეთება შეუძლებელია (*სწორედ ამ შეზღუდვის დასაძლევად ვიყენებ დამატებით ნიშნად).* ბევრ სხვა ენაშიც ასეთი განსხვავების გაკეთება ჭირს. თურქეთში კი ამ ტერმინების განსხვავებას არც ცდილობენ

ზემოაღნიშნული "ლინგვისტური თავისებურება" ერთგვარ უხერხულობას თითქოს მხოლოდ მეცნიერებს უნდა უქმნიდეს. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თურქეთის რესპუბლიკის დომინანტი ერის თვითსახელი – türk, თურქულად ზუსტად ისევე იწერება და გამოითქმის, როგორც დანარჩენი "თიურქულენოვანი ხალხებისა". სხვანაირად რომ ვთქვათ, ანკარელისა ან სტამბოლელისათვის Türk (მრ. Türkler) აღნიშნავს როგორც მისივე სახელმწიფოს მოქალაქეს, ისე, გეოგრაფიული დაზუსტებით, აზერბაიჯანელებსაც (Azeri Türkler), თურქმენეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა ან უზბეკეთის მოქალაქეებსაც, თათრეთის, ბაშქორთოსტანის, იაკუტიის, სინძიანისა და სხვა ეთნო-ადმინისტრაციული ერთეულების მკვიდრ მოსახლეობასაც. შესაბამისად, თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ყველა "Türk"-ს ერთი ერის ნაწილებად შეიძლება აღიქვამდეს[13].

ეს "ლინგვისტური თავისებურება" პოლიტიკურ პრობლემად შეიძლება გადაიქცეს, თუკი ფართო მასშტაბს შეიძენს თურქეთის რესპუბლიკის ცალკეული წრეების გადაჭარბებით პატერნალისტური დამოკიდებულება თიურქულენოვანი სახელმწიფოებისა და თიურქულენოვანი ხალხების მიმართ, რაც მეზობელმა, *არათიურქულმა*, სახელმწიფოებმა და ხალხებმა (მაგალითად ირანმა, სომხეთმა, საქართველომ) შეიძლება საკუთარი თავისათვის საზიანოდ აღიქვან. მაგრამ, როგორც ამ თავის შე-სავალში ითქვა, *პანთიურქიზმის პოლიტიკური საფრთხის გაზვიადება არ ღირს (თუმცა უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლება).*

სავსებით შესაძლებელია ენობრივი ნათესაობის გამოყენება პოლიტიკურ ფაქტორად. პოლიტი-კურ-გეოგრაფიულად საინტერესო მაგალითია ჩრდილოეთ ერაყში ქურთებს შორის შერეულად მცხოვრები ლინგვისტური უმცირესობა – თიურქულენოვანი *თურქმენები.* სარწმუნო მონაცემებით, XXი საუკუნის დასაწყისში ისინი იქ ნახევარ მილიონამდე იყვნენ. მაგრამ ანკარაში მათ რაოდენობას ოთხჯერ მეტად, 2 მილიონად, აფასებდნენ, ისე რომ თურქმენები ადგილობრივ 5 მილიონ ქურთთან შედარებისას რაოდენობრივად არც თუ მცირედ გამოჩენილიყვნენ. XXI საუკუნის დამდეგს, როგორც კი ხელახლა წამოტივტივდა "ქურთების პრობლემის გადაჭრის" ვარიანტები, რომელთა შორის იყო ერაყის ქურთისტანის ავტონომიის შექმნა, თურქმენების მფარველობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა. ერაყის ქურთი ლიდერები კი თვლიან, რომ თავისი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად ანკარა ხელოვნურად მანიპულირებს "თურქმენული პრობლემით" .

ჩრდილოეთ ირანში მცხოვრები მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელების ენა არ განსხვავდება მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გავრცელებული ენისაგან. ეს ხელს უწყობს ბაქოს ინტე-

[13]. ასე მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი წიგნის [Erol, 1999] დასახელებაში ჩნდება "Tűrk Birleşik Devletler" (რაც ითარგმნება, როგორც "თიურქთა შეერთებული სახელმწიფოები"), მაშინვე იბადება ასოციაცია " Amerika Birleşik Devletler"-თან (რაც თურქულად "ამერიკის შეერთებულ შტატებს" ნიშნავს). აშშ კი უნიტარული სახელმწიფოა.

ლიგენციის (ხანდახან – პოლიტიკური ელიტის) ირედენტისტული განწყობის შექმნას, რაც არც თუ უმნიშვნელო პოლიტიკური პრობლემაა ირანისათვის.

ინდოევროპული ენები

ინდოევროპულ ენობრივ ოჯახს რეგიონში წარმოადგენს **ირანული ჯგუფის ენები** – ირანში გავრცელებული **სპარსული, რომელსაც მოსახლეობის 51 პროცენტი მშობლიურად მიიჩნევს, გილანური** და **მაზანდარანული** (ჯამში 8 პროცენტი). ამ ორ უკანასკნელს ცალკე ენებად განიხილავენ, თუმცა თანამედროვე ირანში მათ სპარსული ენის დიალექტებად მიიჩნევენ, რაც ასევე მიუთითებს ლინგვისტიკის კავშირზე პოლიტიკასთან. **სპარსულის მონათესავე ენებია ირანში წარმოდგენილი თალიშური, ბელუჯური, ავღანური (ფუშთუ), თათური.**

ირანულ ენათა ჯგუფში ასევე შედის **ქურთულ-ლურული ქვეჯგუფი**. ყველაზე გავრცელებული მათგან არის **ქურთული ენა**, რომელიც წარმოდგენილია ოთხ ქვეყანაში – თურქეთში, ერაყში, ირანსა და სირიაში. ქურთული ენის ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული დიალექტებიდან ბოლო პერიოდში ლიტერატურულ ენად ყალიბდება *ქურმანჯი*. ირანში გვხვდება ამავე ქვეჯგუფის ენები – **ლურული** და **ბახთიარული**. ლურული ენა ქურთულის მონათესავეა, ოღონდ მისი მატარებლები, სეფიანთა ეპოქიდან მოყოლებული, შიიტები არიან, განსხვავებით სუნიტი ქურთებისაგან. მათ ცალკე ეთნო-ლინგვისტური იდენტობა გამოიმუშავეს.

სხვა ირანული ენების უმრავლესობისაგან განსხვავებით, **ქურთული ენა** სერიოზული პოლიტიკური პრობლემების ეპიცენტრშია მოქცეული რეგიონის ზემოხსენებულ ოთხ ქვეყანაში.

რეგიონში გაფანტულადაა წარმოდგენილი ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში შემავალი **სომხური ენა**. ამ შემთხვევაში ენა, ეროვნება და, მნიშვნელოვანწილად, რელიგია ერთმანეთს ემთხვევა: სომხურ ენაზე (*ჰაიკაკან*) მეტყველებს ეთნიკური *სომეხი* (*ჰაი*), რომელიც რელიგიურადაც *სომეხი ქრისტიანია* (*ჰაი*). მოზრდილი სომხური თემებია ლიბანში, სირიასა და ირანში. ოსმალეთის იმპერიის დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობიდან შემორჩენილია მხოლოდ სტამბოლის თემი.

თემა 7
ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სოციო-კულტურული წანამძღვრები: რელიგიების გეოგრაფია

რელიგია ახლო აღმოსავლეთში დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკა საკუთარ იარაღად იყენებს რელიგიას და ორივე მათგანი – რელიგია და პოლიტიკა – თავისებურ ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეზე. თავის მხრივ, სივრცეც ახდენს უკუქმედებას რელიგიის თავისებურებებზე. მაგრამ მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორები ვერ განგვიმარტავს რელიგიების გავრცელებასა და მათ განსხვავებულ როლს საზოგადოების განვითა-რებაში.

ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე *რელიგიას ერწარმომქმნელი ფუნქციაც* ეკისრებოდა. მაგალითად, ადრეული შუა საუკუნეებიდან მან შეუწყო ხელი ქართველი და სომეხი ერების კონსოლიდაციას. ამჟამად რელიგიას ეს ფუნქცია თითქმის დაკარგული აქვს ახლო აღმოსავლეთშიც კი. მაგალითად, ეგვიპტელებს, ერაყელებსა და სირიელებს შორის სხვადასხვა რელიგიის (ან მათი მიმართულებების) მიმდევარი მრავალი ჯგუფია, ეგვიპტელის, ერაყელის,

სირიელის ეროვნული იდენტობა კი ახლა ძირითადად *მოქალაქეობით* განისაზღვრება.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ამ რეგიონში ერწარმომქნელ ფუნქციას რელიგია ჯერაც ასრულებს. მაგალითად, მრავალ ენაზე მოლაპარაკე *იუდეველების/ებრაელების* (ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ორივე ცნება ებრაულად ერთი სიტყვით აისახება) ისრაელში შეგროვება, რაც სიონისტური მოძრაობის მიზანი იყო, დასრულდა იმით, რომ მათ შექმნეს *ისრაელელი ერი.*

რელიგიურ საფუძველზე შექმნილი ერებია *დრუზები* და *იეზიდები*, თუმცა პირველები არაბულად ლაპარაკობენ, მეორენი კი – ქურთულის ქურმანჯის დიალექტზე

ახლო აღმოსავლეთი ცნობილია, როგორც მონოთეისტური რელიგიების სამშობლო, რომელთაც ამჟამად კაცობრიობის თითქმის ორი მესამედი მისდევს.

რეგიონში მდებარეობს იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის[14] **წმინდა ადგილების უმრავლესობა.**

სახელმწიფოში მონოთეისტური რელიგიის შემოღების ერთ-ერთ პირველ ცდად ითვლება *ეხნათონის* რეფორმები ძველ ეგვიპტეში (ძვ.წ. XIV ს.), როდესაც მრავალი ღმერთის ნაცვლად ფარაონმა ბრძანა ერთი ღმერთის – *ათონის* თაყვანისცემა. მაგრამ ეხნათონის სიკვდილისთანავე ეგვიპტე მიუბრუნდა თავის მრავალ ღმერთს. ამის მთავარი მიზეზი იყო ქურუმთა ჩამოყალიბებული კასტის ძლიერი წინააღმდეგობა: ღმერთების რაოდენობის შემცირებით ქურუმთა ეკონომიკური ინტერესები ილახებოდა!

ზოგი ფიქრობს, რომ ეგვიპტის მონოთეისტურ ექსპერიმენტს შეეძლო გავლენა მოეხდინა *მოსეზე,* რომელიც, ბიბლიის თანახმად, დაიბადა ეგვიპტეში და იქიდან გამოიყვანა თავისი მრავალრიცხოვანი თანატომელი. უფრო სავარაუდოა, რომ *მოსეს* არც დასჭირვებოდა ეგვიპტური გავლენა. საკუთარი და ერთადერთი ღმერთის თაყვანისცემა სავსებით ლოგიკურია ერთი წარმოშობის ტომისათვის: ის შეკრული უნდა იყოს, რათა ყველა მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს საერთო ძალით გაუმკლავდეს.

მხოლოდ "*თავის რჩეულ ხალხზე მზრუნველი ერთადერთი ღმერთის*" რწმენა პოლიტიკური მონოლითის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

ბევრ სხვა ტომსაც ჰყავდა ერთი საკუთარი ღმერთი, მაგრამ ვის ახსოვს ისინი?

მოსეს მიმდევრების გენიალურობა გამოიხატა მონოთეიმმის იდეის წერილობით ჩამოყალიბებაში. **წიგნს** (ებრაელთა შემთხვევაში – **თორას***) განსაკუთრებული სიწმინდე ენიჭება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ებრაელთა წმინდა წიგნების კრებულს – *თანახს** (რომლის ძირითადი ნაწილია *თორა*) წერდნენ ნიჭიერი და კარგი ლიტერატურული გემოვნების მქონე ადამიანები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ სხვა ინფორმაციაზეც: მათ მიერ შექმნილ ტექსტში, მაგალითად, იგრძნობა შუამდინარეთის მითოლოგიის, ზოროასტრიზმის გავლენები. ამის გამო ებრაული *თორას* ქართულ ენაზე ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი, *შალომ დავიდი* სამართლიანად წერს:

> "ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა თანახისეულ წიგნთა კრებული, რომელიც შეიცავს **არა მარტო ნაირგვაროვან ენობრივ და სტილისტიკურ ფენებს, არამედ განსხვავებულ, ხოლო ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივ და სასულიერო ტენდენციებსაც** ".

ბაბილონში ებრაელთა დეპორტაციის პერიოდში (ძვ. წ. VI ს.), სადაც იხვეწებოდა *თორა*, სალაპარაკო ენად მათთვის უკვე *არამეული* ქცეულიყო. *თორა* (და მთელი *თანახი*) კი დაწერილია იმ დროს ნაწილობრივ დავიწყებულ *ებრაულ* ენაზე, რომელიც სრულყოფილად მხოლოდ რაბინებმა იცოდნენ. მათ უნდა აეხსნათ წიგნის არსი დანარჩენი ებრაელებისათვის. **წიგნის** წაკითხვისა და კომენტირების უნარი ისეთი ძალაა, რომელიც მცოდნეების მიმართ უცოდინარების, მათ შორის უცხოტომე-

[14]. ამ სამ რელიგიასა და ინდუიზმს *ემანუელ სივანი* უწოდებს "ძლიერ რელიგიებს". მათ აგრეთვე უწოდებენ "დამკვიდრებულ, ტრადიციულ, მსოფლიო" რელიგიებს.

ლების, პატივისცემას იწვევს, შესაძლოა, საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსსაც კი აღვივებს.

ძვ. წ. III-II საუკუნეებში, ეგვიპტეში, რომელსაც ბერძნული წარმოშობის *პტოლემაიოსები* მართავდნენ, ებრაული თანახი ბერძნულ ენაზე ითარგმნა. თარგმანს იცნობენ "***სეპტუაგინტას***" (სამოცდაათის) სახელით, რადგან მისი შესრულება დაევალა 70 (ან 72) ებრაელ სწავლულს. ამ თარგმანს იყენებდნენ ალექსანდრიელი ებრაელები, ე.წ. "ელინისტური იუდაიზმის" მიმდევრები. შემდგომში კი იგივე ტექსტი "ბერძნული ძველი აღთქმის" სახელით კანონიკურ ტექსტად იქცა ქრისტიანებისათვის, საიდანაც ის ითარგმნა ქრისტიანად მოქცეული სხვა ხალხების ენებზე, მათ შორის ქართულადაც.

ლათინურ ენაზე ბიბლიის თარგმანი IV საუკუნის ბოლოს უშუალოდ ებრაულიდან შეასრულა წარმოშობით ილირიელმა *წმ. იერონიმემ* (Hieronimus). კათოლიკური ეკლესია XVI საუკუნიდან 1979 წლამდე კანონიკურად მიიჩნევდა სწორედ ამ თარგმანს,ე.წ. "ვულგატას", იმ წლის შემდეგ კი – ისევ ებრაულიდან ახალთარგმნილ ბიბლიას.

ჩვ. წ. VII-X საუკუნეებში ებრაელმა რაბინებმა ჩამოაყალიბეს თანახის ტექსტის დაყოფის, მისი წაკითხვის, ხმოვანთა გამოთქმის დღემდე გამოყენებული წესები (ე.წ. "მაზორეთული ტექსტი"). ხვიი საუკუნეში სწორედ ამ ტექსტიდან ინგლისურად ითარგმნა ე.წ. "*მეფე ჯეიმზის ბიბლია*". საერთოდ, XVI საუკუნის რეფორმაციის შედეგად წარმოქმნილი პროტესტანტული ეკლესიების დიდი ნაწილი უშუალოდ ებრაულიდან ეროვნულ ენებზე თარგმნილ "ძველ აღთქმას" ამჯობინებს.

მონოთეისტური რელიგიების, განსაკუთრებით ქრისტიანობის, ფართო გავრცელებამდე რეგიონში წარმოდგენილი იყო პოლითეიზმი. პოლითეისტური რწმენის მქონე დამპყრობელი, ჩვეულებრივ, უფრო ადვილად ეგუებოდა ადრე დამკვიდრებულ კულტებს, შეეძლო გაეთავისებინა კიდეც ზოგიერთი ადგილობრივი ღვთაება და "ჩაეჩოჩებინა" საკუთარი ღმერთები ძველ პანთეონში. მაგალითად, რომაელებმა გაითავისეს ეგვიპტური ღვთაება *ისიდა*, სირიული – *ადონისი*, ირანული – *მითრა*. მაგრამ ასეთი "ტოლერანტობა" ზოგ პოლითეისტურ რელიგიას (მაგალითად, ინდუიზმს) სულაც არ ახასიათებს.

რომაული პოლითეიზმი არ ებრძოდა ადგილობრივ კულტებს. რომი ძირითადად ტოლერანტული იყო ყველა რწმენის მიმართ, თუკი იგი მისი პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ არ რაზმავდა ხალხს. ოთხივე სახარების მიხედვით, *იესო* შედიოდა რომის მმართველობის ქვეშ მყოფ იერუსალიმში თავისუფლად მოქმედ იუდეველთა ტაძარში, ხოლო იუდეის რომაელი მმართველი (პროკურატორი) ებრაელ მღდელმთავარს, უხუცესებსა და ხალხს ეთათბირებოდა, თუ რომელი პატიმარი შეევრდომებინა იუდეველთა დღესასწაულთან – *ფესახთან* – დაკავშირებით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვერაფერი გააწყო მათთან,

> "როდესაც იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლში. თქვენ იკითხეთ" [მათე 27:24].

როდესაც *რომის იმპერია ებრძოდა* რადიკალ იუდეველებს – *ზელოტებს*, მოგვიანებით კი – პირველ *ქრისტიანებს*, იგი უფრო პოლიტიკური, ვიდრე იდეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე მოქმედებდა. რომი მიიჩნევდა, რომ ეს ადამიანები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო წესრიგს – Pax Romana-ს. მათი რელიგიური რწმენის საკუთარით შეცვლა რომს არ აინტერესებდა.

პოლითეიზმისგან განსხვავებით, მონოთეიზმი არ უტოვებს ადგილს სხვა ღმერთებს და აგრესიულად იცავს თავის ექსკლუზიურ ადგილს ადამიანის სულში. თავისთავად, მონოთეიზმი არ ნიშნავს, რომ ის უფრო აახლოებს ჭეშმარიტებასთან ადამიანს, ვიდრე პოლითეიზმი, რომლის შემთხვევაშიც რელიგიური სისტემის შემქმნელი ადამიანები ღმერთის ფუნქციებს ანაწილებენ რამდენიმე ღვთაებაზე და მათ იერარქიას ქმნიან. ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა იცის და

არა იმ ადამიანებმა, რომლებიც მისი სახელით ქადაგებენ საკუთარი წინაპრების მიერ გამოგონილ დოგმებს, რომელთაც "ერთადერთ ჭეშმარიტებად" მიიჩნევენ.

მოსეს სჯულის (იუდაიზმის) შემთხვევაში მთავარი ის იყო, რომ რელიგიის საფუძვლები დამწერლობის მეშვეობით გრაგნილზე აისახა და ურყევი ჭეშმარიტების მნიშვნელობა შეიძინა არა მარტო ებრაელთათვის, არამედ სხვა მონოთეისტური რელიგიების მიმდევართათვისაც, უპირველესად ქრისტიანებისათვის, რომლებიც, არსებითად, ებრაელთა ღმერთს (*იაჰვეს*) სცემენ თაყვანს. უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტი იუდეველი არასოდეს ახსენებს ღვთის სახელს: მისთვის ის არის "სახელი" (ებრაულად, არტიკლით "*ჰა-შემ*"), ლოცვისას კი ახსენებს "*ადონაი*"-ს, რაც *უფალს* ნიშნავს.

მიუხედავად თვალსაჩინო განსხვავებებისა, ახლოაღმოსავლური მონოთეისტური რელიგიები საკუთარი ფესვებით საკმაოდ მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. აშკარაა, რომ ისლამი თაყვანისცემისას იმავე ღმერთს გულისხმობს, რომელსაც იუდაიზმი: *"ალლაჰ"-ი* – არაბულად და *"ელ"*-ი – ებრაულად ზოგადად "ღმერთს" ნიშნავს.

ისლამი ცნობს წინასწარმეტყველებად იმავე პირებს, რომლებსაც იუდაიზმი და ქრისტიანობა. არაბულად *ნუხი* იგივეა, რაც ებრაულად *ნოახი,* ხოლო ქართულად – ნოე; ისლამისათვის ასევე წინასწარმეტყველებია *იბრაჰიმი* (აბრაჰამი, აბრამი), *ისხაკ*ი (იცხაკი, ისაკი), *იაკუბი* (იააკობი, იაკობი), *იუსუფი* (იოსეფი, იოსები), *ისმაილი* (იშმაელი), *მუსა* (მოშე, მოსე), *ჰარუნი* (აჰარონი, არონი), *აიუბი* (იობი), *დაუდი* (დავიდი, დავითი), *სულეიმანი* (შლომო, სოლომონი), *ილიასი* (ელიაჰუ, ილია), *იუნუსი* (იონა).

მუსლიმებისათვის წინასწარმეტყველია *ისა ბინ-მარიამ* (იესო მარიამის ძე), რომელიც ქრისტიანებისათვის არის *იესო ქრისტე* (ებრაულად – იეჰოშუა). იშვიათი ქალი, რომელსაც *ყურანი* მოწიწებით ახსენებს, *არის მარიამი,* წინასწარმეტყველ *ისას* დედა.

გარდა ამისა, *ყურანი* წინასწარმეტყველებად (ასეთად იქ 28 პირია მოხსენიებული) მიიჩნევს *ადამს* და *ისქანდარს* (ალექსანდრე მაკედონელს). მაგრამ ყველაზე მაღლა *ყურანი* აყენებს ისლამისათვის უდიდეს წინასწარმეტყველს – *მუჰამმადს.*

ქრისტიანებმა იუდაიზმისაგან თავიანთი გამოყოფა **წიგნის (ახალი აღთქმის***)* სახით დააკანონეს; მათთვის ებრაელთა წმინდა **წიგნი – თანახი** – ძველ აღთქმად იქცა.

მუჰამმადის მედიტაციები ჯერ ზეპირად გადაეცემოდა, მისი სიკვდილის შემდეგ **წიგნის** (**ყურანის)** სახით ჩამოყალიბდა და დაკანონდა.

მუჰამმადი ცნობდა წიგნის დიდ მნიშვნელობას: ის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა **ბიბლიას** (ძველ და ახალ აღთქმას) და "წიგნის ხალხის" მიმართ შემწყნარებლობას მოითხოვდა.

არცთუ იშვიათად **რელიგია ეთნიკურობას ენაცვლებოდა და სათანადო პოლიტიკურ როლს ასრულებდა**. ყველაზე ცნობილი მაგალითია ებრაელობა, რომლის, როგორც ერის, გამაერთიანებელი რელიგიაა. ასევე ძნელია განიხილო *დრუზები,* როგორც მხოლოდ რელიგიური და არა ეთნიკური ჯგუფი.

ლიბანში, სადაც თითქმის ყველა მოქალაქისათვის მშობლიური ენა არაბულია, საკმაოდ მკვეთრი თემობრივი გამიჯვნა რელიგიის საფუძველზე ხდება: XX საუკუნის ლიბანის ხანგრძლივ სამოქალაქო ომში ერთ ენაზე მოლაპარაკე მოწინააღმდეგე ძალები უპირატესად რელიგიურ საფუძველზე ჯგუფდებოდნენ.

სამხრეთ ლიბანის 18-წლიანი ოკუპაციის დროს (1982-2000 წწ.) ისრაელმა შექმნა მხოლოდ არაბულენოვანი დრუზებითა და ქრისტიანებით დაკომპლექტებული მარიონეტული "*სამხრეთ ლიბანის არმია*". ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ლიბანელი შიიტების პოლიტიკური პარტია, ცნობილი "*ჰეზბოლას*" სახელით.

თუმცა პალესტინელები, ფაქტობრივად, ერად ჩამოყალიბდნენ, შიდა რელიგიური სხვაობა

თვალსაჩინოა და ეს პოლიტიკაზეც ახდენს გავლენას. ისრაელთან კონფლიქტში პალესტინის ქრისტიანი არაბები შედარებით უფრო ნეიტრალური პოზიციის დაცვას ამჯობინებენ, კონფრონტაციაში ძირითადად მუსლიმი პალესტინელები არიან ჩართული. სხვათა შორის, ეს გარემოება ქრისტიან არაბებს გარკვეულ ორაზროვნებას უქმნის: მუსლიმი თანამოძმეები მათ ნაკლებად ენდობიან და არც ისრაელი იჩენს მათ მიმართ რაიმე თანაგრძნობას. ამიტომაც ქრისტიანი პალესტინელები ემიგრაციაზე ფიქრობენ და მიდიან კიდეც.

შიდარელიგიური სხვაობები საკმაო როლს თამაშობდა და თამაშობს საერთაშორისო და შიდა-პოლიტიკურ საკითხებში. მაგალითად, სირიის მმართველი რეჟიმი უპირატესად ეყრდნობა ისლამის შიგნით არსებულ განსხვავებულ სექტას – *ალავიტებს*. სადამ ჰუსეინის დროის ერაყის მმართველი ელიტა თითქმის უკლებლივ *სუნიტი მუსლიმი* იყო, მაშინ როცა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა – *შიიტი მუსლიმი*.

ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988 წწ.) ირანის მმართველ შიიტურ წრეებში იმედი ჰქონდათ, რომ ერაყის შიიტი არაბები ირანის მხარეს გამოვიდოდნენ. თუმცა ეს იმედი არ გამართლდა: აქ ჩანს რელიგიური ფაქტორის პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთი რელიგიური დაპირისპირების ასპარეზი იყო: ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც ქრისტიანობასა და ისლამს შორის, ისე ქრისტიანობისა (კათოლიკე დასავლეთევროპელი ჯვაროსნები მართლმადიდებელი ბიზანტიელების წინააღმდეგ) და ისლამის შიგნითაც (სუნიტები შიიტების წინააღმდეგ) და ა.შ.

ცალკეული წრეები დღემდე ცდილობენ და ახერხებენ რელიგიური საბურველით დაფარონ წმინდა პოლიტიკური მიზნები.

მართალია, ზოგიერთ ქრისტიანულ მიმართულებას აქვს პოლიტიკაში ჩარევის გარკვეული ტენდენცია, მაგრამ დღევანდელ ახლო აღმოსავლეთში, სადაც სახელმწიფოთა უმრავლესობაში ისლამი დომინირებს, ასეთ ტენდენციას გასაქანი არ ექნება: გამონაკლისია კვიპროსი, სადაც პრეზიდენტად დიდხანს იყო მართლმადიდებელი არქიეპისკოპოსი, და ლიბანი, სადაც პარტიები რელიგიურ საფუძველს ეყრდნობა.

ქრისტიანობაში გამიჯვნა საერო და სასულიერო სფეროებს შორის საკმაოდ მკაფიოა – *"მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმერთისა – ღმერთსა"* [მათე, 22, 21]. ეს ბუნებრივია, რადგან ადრეული ქრისტიანობა ვრცელდებოდა უკვე არსებული ძლიერი საერო ხელისუფლების მქონე სახელმწიფოში, რომის იმპერიაში. თანამედროვე საერო (სეკულარულმა) სახელმწიფომ ჩამოყალიბება დაიწყო ქრისტიანული სამყაროს წიაღში.

ქრისტიანობისაგან განსხვავებით, **იუდაიზმი და ისლამი საერთოდ არ მიჯნავს საერო და სასულიერო სფეროს**. *იუდაიზმი* გაჩნდა მომთაბარე ტომში, როგორც მისი შინაგანი სიმტკიცის საფუძველი. *ისლამი* ჩაისახა სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებაში და თავიდანვე შეუწყო ხელი თეოკრატიის ჩამოყალიბებას.

იუდაიზმის ნორმები პრაქტიკულად ბატონობს ისრაელში, სადაც ჯერაც არა აქვთ წერილობით ჩამოყალიბებული კონსტიტუცია (თუმცა პერიოდულად მიმდინარეობს მუშაობა კონსტიტუციის ტექსტზე) და ფორმალურად რელიგია არაა გამოყოფილი სახელმწიფოსაგან. რელიგიურ პარტიებს ისრაელში საკმაო გავლენა აქვთ. განათლების სერიოზული სეგმენტი რელიგიურ სკოლებს უჭირავს. სიონიზმი, მართალია, ძირითადად *სეკულარული მოძრაობაა,* მაგრამ მისი საფუძველი იუდაიზმშია, რადგან ის ებრაელებს მოუწოდებს დაბრუნებისაკენ „აღთქმულ მიწაზე", რომელიც განსაზღვრულია რელიგიური წიგნის, *თორას*, მეშვეობით.

რაც შეეხება **პოლიტიკურ ისლამს,** ან **ისლამიზმს**, ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც რწმენა, რომ *ყურანსა* და *ჰადისებში* მოცემულია ყველაფერი მნიშვნელოვანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა

მოეწყოს საზოგადოება და მმართველობა. ისლამიზმი თანდათანობით ყალიბდება ახლო აღმოსავლეთში მძლავრ იდეოლოგიურ ძალად.

უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით, 1970-იანი წლების ბოლოდან, ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო მეტ ძალას იძენენ **ისლამზე ორიენტირებული მოძრაობები**, რომლებიც ადგილობრივ სეკულარულ ხელისუფალთ უკიჟინებენ მორალის დეგრადაციას, ისლამისათვის მიუღებელ დასავლურ ფასეულობათა დანერგვას. მაგალითად, საუდიანთა მმართველი დინასტიის მიმართ ისლამიზმის მთავარი პრეტენზიაა რეჟიმის კორუმპირებულობა, ხალხის ინტერესების უგულებელყოფა, ამერიკის არმიის (თუნდაც ხანმოკლე დროით) შემოშვება "ისლამის წმინდა მიწაზე". ისლამის როლის გააქტიურებაზე მეტყველებს ის, რომ მაგალითად პალესტინელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში სეკულარულ "*ფათჰ*"-ზე უფრო მეტ გავლენას ფლობს ისლამისტური პარტია *ჰამას*-ი.

1920-იანი წლებიდან რეგიონში სეკულარიზმის ძლიერი ზრდა აღინიშნებოდა, მაგრამ მის პარალელურად არსებობდა ანტისეკულარული განწყობაც. სეკულარული ძალები და მათი ლიდერები -- *ათათურქი* და მისი მიმდევარი *ქემალისტები* – რესპუბლიკურ თურქეთში, *მოჰამად რეზა შაჰი* – ირანში, *გამალ აბდელ ნასერი* – ეგვიპტეში, *ჰაფიზ ასადი* – სირიაში, *სადამ ჰუსეინი* – ერაყში იმდენად მტკიცე ძალაუფლებას ფლობდნენ, რომ კლერიკალური ოპოზიციის დათრგუნვა შეეძლოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ლიდერი (მაგალითად, სადამ ჰუსეინი) საჭიროების შემთხვევაში რელიგიას თავის სასარგებლოდ იყენებდა.

1979 წელს ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ და შაჰის დამხობამ რელიგიურ პარტიებს ფრთა შეასხა სხვა ქვეყნებშიც.

ისლამიზმის გააქტიურების ახსნა მხოლოდ ერთი ფაქტორით – როგორც რეაქცია ისლამური სამყაროს შუაგულში ებრაული სახელმწიფოს შექმნაზე და ამ უკანასკნელის პოლიტიკაზე პალესტინელთა მიმართ – საკითხის ძალიან გამარტივებული ახსნა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ ფაქტორს საერთაშორისო ტერორიზმი ხანდახან თავის გასამართლებლად იყენებს. მაგალითად, ტერორისტული ქსელის "*ალ-კაიდას*" ვებ-საიტზე 2002 წლის ნოემბერში გაჩნდა მტკიცება, რომ მისი ანტიამერიკული მოქმედება ძირითადად "*განპირობებულია ამერიკელების მხრიდან ისრაელის მხარდაჭერით, რომელიც ჩაგრავს პალესტინელებს*". სხვათა შორის, ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება ასეთი არგუმენტაციის მიმართ თვით პალესტინელთა ხელმძღვანელობამ დაიჭირა, რომელსაც სულაც არ აძლევს ხელს, რომ ანტიამერიკული ტერორიზმის მიზეზად წარმოჩინდეს.

სინამდვილეში, ისლამიზმის აღზევება მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორისაა ძველი კოლონიური ჩაგვრა, დასავლური ფასეულობების აგრესიული შეჭრა უცხო კულტურულ გარემოში და არანაკლებ აგრესიული უკურეაქცია ამაზე.

სამწუხაროდ, XXI საუკუნის დამდეგიდან **დასავლეთის ქვეყნების *თეორიულად* გამართლებულმა პოლიტიკამ ისლამურ აღმოსავლეთში დემოკრატიის ხელშესაწყობად და ტირანული რეჟიმების დასამხობად (ავღანეთი, ერაყი, ლიბია, სირია და სხვ.) *პრაქტიკაში* უკუშედეგი მოიტანა და გააძლიერა ისლამიზმი**.

***

ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა რელიგიის პოლიტიკური როლი და გავლენა მკვეთრადაა შეცვლილი ადრეულ შუა საუკუნეებთან შედარებით, როდესაც რეგიონში დომინირებდნენ ქრისტიანული ბიზანტია და ზოროასტრული ირანი.

კარგა ხანია, პოლიტიკაზე გავლენით რეგიონში პირველ ადგილზეა ისლამი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გავლენით *მეორე ადგილზე გადაინაცვლა იუდაიზმმა*, რომელიც იქამდე პოლიტიკური თვალსაზრისით სულ უმნიშვნელო როლს თამაშობდა: ამჟამად ის რეგიონის ერთი პატარა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი, სახელმწიფოს, გაბატონებული რელიგიაა.

ქრისტიანობის პოლიტიკური გავლენა რეგიონში მკვეთრად შემცირდა.

ქვემოთ მოტანილი დამკვიდრებული ანუ ძლიერი რელიგიების გეოგრაფიის მიმოხილვისას შევეცადე გადმომეცა თითოეული მათგანის ის თავისებურებანი, რომლებიც ზემოქმედებს თანამედროვე მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურაზე, ცხოვრების წესზე და, შესაბამისად, ასრულებს პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის როლს.

რელიგიების განხილვის თანამიმდევრობა ქრონოლოგიურია: უძველესიდან უახლესისაკენ.

იუდაიზმი

იუდაიზმის, რეგიონის ერთ-ერთი უძველესი (მასზე ძველია ზოროასტრიზმი) მონოთეისტური რელიგიის, გავრცელების გეოგრაფიული არეალის შემოხაზვა მარტივი საქმეა. **იუდაიზმი** ისრაელის სახელმწიფოს დომინანტი მოსახლეობის რელიგიაა; მისი ანკლავებია "დასავლეთ ნაპირის" ებრაული ახალშენები.

მეზობელ არაბულ ქვეყნებში ადრე მრავალრიცხოვანი ებრაული დიასპორა ახლა პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. მაგრამ ირანსა და თურქეთში ადგილობრივი ებრაული თემები არსებობს და სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებს: ირანის ებრაული თემი ლოიალურია ამ სახელმწიფოს მიმართ, მას არ სდევნიან და პატივითაც კი ეპყრობიან, თორემ ის აქამდე მოახდენდა *ალიას** ისრაელში. ირანის მეჯლისში (პარლამენტში) თითო ადგილია დარეზერვებული ებრაელის, ქრისტიანისა და ზოროასტრელისათვის. რასაკვირველია, ამას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: რეალურ პოლიტიკურ წონას ეს სამი პირი არ ფლობს.

იუდაიზმი ეროვნული რელიგიაა. ებრაელი ადამიანი საკუთარ ენაზე თავისი ეთნიკურობისა ("ებრაელი") და რელიგიის ("იუდაისტი") აღსანიშნავად ერთ სიტყვას იყენებს – "*იუდი*" [ყეჰუდი][15]. სეკულარულად განწყობილი ან ათეისტი ებრაელიც კი იუდაისტურ რელიგიასთან უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებითაა მიბმული. უფრო მეტიც, ქრისტიანად მონათლული ებრაელი სხვა ებრაელების თვალში დაგმობას იმსახურებს, თუმცა მაინც თავისიანად რჩება. ისეც ხდება, რომ ასეთ ადამიანს ქრისტიანებიც ვერ ითავისებენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია დედოფალ ვიქტორიას ეპოქის ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი პრემიერ-მინისტრი, ლორდი *ბენჯამინ ბიკონსფილდი*, რომელიც 13 წლის ასაკში მოანათვლინა მამამ – *აიზეკ დ'იზრაელიმ*, მაგრამ ის არც თვითონ გაემიჯნა ებრაელობას და არც გარშემომყოფებმა დაუვიწყეს წარმოშობა

არსებობს იუდაიზმში მოქცევის პრაქტიკა, რაც *გიურის* საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურის შედეგად ხდება. მაგრამ, განსხვავებით ქრისტიანობისა და ისლამისაგან, იუდაიზმი მასობრივ პროზელიტიზმს არ ეწევა, ანუ არაა განსაკუთრებით დაინტერესული, გაზარდოს მიმდევართა რიცხვი "*გოი*"-ის (არაებრაელთა, მრავლობითში – "*გოიმ*") ხარჯზე.

შვილის რელიგიისა და/ან ეროვნების მამით განსაზღვრის წესისაგან განსხვავებით, რაც ყველა

[15]. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში გვაქვს უნიკალური მაგალითი, როცა ერის, ენისა და სახელმწიფოს სახელი სულ სხვადასხვაა. ებრაელთა ეთნო-რელიგიური თვითსახელია ***იუდი***: აქედან მომდინარეობს, მაგალითად, თურქული – *yehudi*, გერმანული – *Jude,* პოლონური, ჩეხური და სლოვაკური – *žid*); ებრაელები თავიანთ ენას უწოდებენ ***ივრით***-ს (ძველი გამოთქმით – *ყივრი*): აქედან მომდინარეობს რუსული – *еврейский*, ინგლისური – *Hebrew,* იტალიური – *ebraico*, *ქართული – ებრაული* და ა. შ. 1948 წელს თავიანთ სახელმწიფოს ებრაელებმა უწოდეს ***ისრაელი***, რაც თორას თანახმად თავიდან იყო პატრიარქ იაკობის მეტსახელი, შემდეგ ეწოდა მის შთამომავლობას და საბოლოოდ გადატანილი იქნა იმ *მიწაზე* (ებრაულად *ha-aretz*, რაც ისრაელის სინონიმად ითვლება), სადაც XX საუკუნეში აღდგა ებრაული სახელმწიფოებრიობა.

ძირითადი სარწმუნოებისა და ცივილიზაციის მიერ აღიარებული ტრადიციაა, ებრაელის რელიგია/ეროვნება დედის მიხედვით დგინდება.

ჰალახას თანახმად, ებრაელად ითვლება ებრაელი დედის შვილი, მამის სარწმუნოების/ეროვნების მიუხედავად (იხ. ჩანართი).

ეთნიკურობის დადგენის ებრაული წესის შესახებ

ებრაული სამართლის – ჰალახას – ნორმების კოდიფიკაცია დასრულდა ახ. წ. II-III საუკუნეებში, რომის იმპერიის ბატონობის ხანაში. სწორედ ამ პერიოდისათვის დადგინდა *ებრაელობის დედით განსაზღვრის წესი* (ბევრად ადრე შექმნილ *თორაში* ეს წესი არ იხსენიება: იქ ყველგან "მამა შობს ძეს"). ებრაელებს რომაელთა უღლის ქვეშ და დიასპორაში ცხოვრება მოუხდათ, სადაც მათი ქალები უცხოტომელი მოძალადის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყვნენ. ამიტომაც ებრაელობის დედით განსაზღვრის წესი სავსებით პრაგმატული აღმოჩნდა (*დნმ*-ის ანალიზის გზით მამობის დადგენა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოსათვის გახდა შესაძლებელი).

ბოლო პერიოდში ისრაელელმა ექსპერტებმა თითქოს შეძლეს დაემტკიცებინათ ებრაელების გენეტიკური ერთიანობა, და კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს ჟურნალ Nature-ში.

მაგრამ საკუთარ დასკვნებზე, მგონი, კვლევის ავტორებიც კი ერთგვარად ეჭვობენ, რადგან ებრაელთა გენეტიკური ერთიანობა არ დასტურდება, უბრალოდ, ვიზუალურად.

შერეული ქორწინებებისა და ეროვნება/რელიგიის დედით განსაზღვრის წყალობით სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელების ანთროპოლოგიური ტიპაჟი ძალიან მრავალფეროვანი გახდა: სფარადი* ან მიზრახი* ებრაელი შავგვრემანია, აშკენაზი* შეიძლება მაღალი და ქერათმიანი იყოს, ეთიოპიელი ებრაელი მუქკანიანი იქნება, შორეული აღმოსავლეთიდან ამოსული კი – ვიწროთვალება.

ამიტომაც შეიძლება ისრაელში შეხვდეთ რეპატრიანტს (*ოლე*-ს) ისეთი მოულოდნელი გვარით, როგორიცაა *აბესაძე* ან *ივანოვი*: პირველის დედა რაბინოვიჩი იყო (ასეთია ისრაელის ქნესეთის ყოფილი წევრი *ნინო აბესაძე*), ხოლო მეორის ბებია (დედის მხრიდან) *შაპირო* იქნებოდა. ქრისტიანი მამაკაცი, ვინც ებრაელ ქალს ირთავს, დიდი ალბათობით უნდა ელოდეს, რომ მისი მოზრდილი შვილები თავს ებრაელებად მიიჩნევენ. ისლამი თითქოს უფრო მტკიცედ გამოიყურება "პატრიარქალურობის" თვალსაზრისით: თეორიულად მუსლიმი მამის შვილი მუსლიმია, მიუხედავად დედის რელიგიისა. მაგრამ მაინც უცნობია, რა ეთნიკური პრეფერენცია და პოლიტიკური ლოიალობა ექნება მუსლიმი მამისა და ებრაელი დედის შვილს, როდესაც ის წამოიზრდება[16].

1950 წელს ისრაელში მიღებული "დაბრუნების კანონი" 1970 წლის მეორე შესწორების მიღებამდე გარკვეულად არ ეთანხმებოდა *ჰალახას.* კანონის პირველ პუნქტში ეწერა: "*ყველა ებრაელს აქვს უფლება შემოვიდეს ამ ქვეყანაში, როგორც* ***ოლე*** (რეპატრიანტი)". მაგრამ დაზუსტებული არ იყო, თუ ვინაა ებრაელი. სეკულარული კანონის ეს თავისებურება იმით იყო გამოწვეული, რომ ნაცისტები ებრაელად (რომელსაც საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრა და იქ დაღუპვა ელოდა) მიიჩნევდნენ მამით ებრაელსაც, თუნდაც დედა მას გერმანელი ჰყოლოდა. "დაბრუნების კანონმა" შეღავათი მისცა ყველას, ვისაც ნაციზმი ჩაგრავდა.

1970 წელს იმავე კანონში რელიგიური პარტიების დაჟინებით ასეთი შესწორება იქნა შეტანილი:

> "ამ კანონის მიზნებისათვის "ებრაელი" ნიშნავს პირს, რომელიც შობილი იქნა ებრაელი დედის მიერ, ანდა მოიქცა იუდაიზმში და არ განეუთვნება სხვა რელიგიას".

[16]. როგორც ღია წყაროებში წერენ, *მოსადი* (ისრაელის საგარეო დაზვერვა) თავის პოტენციურ აგენტურას არაბულ და სხვა ქვეყნებში ეძებს სწორედ დედით ებრაელებს შორის, რომლების ჩანერგვაც ამ ქვეყნების მმართველ ორგანოებში, არმიაში, მეცნიერებაში, რელიგიურ სფეროშიც კი შედარებით ადვილად შეუძლია.

ამრიგად, სეკულარული კანონი რელიგიურ წესთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი.

არსებობს იუდაისტური რელიგიური წესის აღსრულების ორნაირი ტრადიცია – *აშკენაზური* და *სფარადული*, რომლებიც ერთმანეთს *არ უპირისპირებს* თავის მიმდევრებს – *აშკენაზიმს**, ევროპელ ებრაელებს (მხოლობითში – *აშკენაზი*) და *სფარადიმს*,* უპირატესად ჩრდილოეთ აფრიკის ებრაელებს (მხოლობითში – *სფარად/სეფარდ,* რაც სიტყვასიტყვით *ესპანელს* ნიშნავს). *მიზრახიმი** (მხოლობითში – მიზრახი; აღმოსავლეთის ებრაელები, რომელსაც განეკუთვნებიან ქართველი, შუაზიელი, ირანელი ებრაელებიც) ასევე სფარადულ წესს იცავენ.

1810 წელს გერმანიაში დაიწყო იუდაიზმის რეფორმა – ორთოდოქსული ტრადიციის თანამედროვეობასთან მისადაგების ცდა. ამჟამად იუდაიზმის შიგნით არსებობს *ორთოდოქსული, რეფორმისტული, კონსერვატიული* და *რეკონსტრუქტივისტული მიმდინარეობები.* ძირითადად ამერიკის ებრაულ თემებშია გავრცელებული იუდაიზმის სხვა მიმდინარეობები, რომლებიც უფრო ღიაა გარეშე გავლენებისათვის: მაგალითად, *რეკონსტრუქტივიზმი* ეჭვქვეშ აყენებს მოსეს მიერ თორას მიღებას სინას მთაზე და ებრაელი ხალხის ღვთივრჩეულობას. ამ მიმდინარეობებს შორის დაპირისპირებას არასოდეს მიუღია ისეთი სისხლიანი მტრობის სახე, როგორიც შიდაქრისტიანულ ან შიდაისლამურ კონფლიქტებს ახასიათებდა: ისინი ერთიმეორესთან, ასე ვთქვათ, მწყრალად არიან.

ისრაელში ორთოდოქსული იუდაიზმი დომინირებს (ქართველი ებრაელებიც მას მისდევენ).

ორთოდოქს ებრაელებს შორის არიან ე.წ. "ულტრაორთოდოქსული" მიმართულების მიმდევრებიც – ებრაულად *ჰარედი* (მრ. ჰ*ჰარედიმ*) ჰქვიათ. ისინი ატარებენ შავი ფერის ტანსაცმელს, ზოგჯერ გამოირჩევიან (ძირითადად, აშკენაზი ჰარედიმი) – *პეისებით* ("კულულებით" საფეთქლების გაყოლებაზე). *ჰარედის* ოჯახი მრავალშვილიანია, ვინაიდან შობადობის რეგულირება მათ წრეში აკრძალულია, მაშინ როცა სეკულარულ ებრაელებს, ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობას, მცირერიცხოვანი ოჯახები აქვთ. *ჰარედიმის* უმრავლესობა არ მუშაობს და სახელმწიფოს კმაყოფაზეა, ვინაიდან მათი ძირითადი საქმეა რელიგიის შენახვა – *თორის* შესწავლა და ქადაგება დანარჩენი ებრაელებისათვის. ამასთან, ბევრი მათგანი არ ცნობს ისრაელის ჰიმნს, დროშას, საერო დღესასწაულებს და არც ადამიანთა მიერ შექმნილ სახელმწიფოს, ისრაელს, რომელიც, მათი რწმენით, თურმე "მაშიახმა (მესიამ) უნდა აღადგინოს" და არა ადამიანებმა.

წინააღმდეგ XX საუკუნემდე გავრცელებული ზედაპირული აზრისა, თითქოს იუდეველებს "არ შეუძლიათ დაიცვან თავი", იუდაიზმი ძლიერი რელიგიაა. ის ზრდის თავის ხალხს იმის რწმენით, რომ ის არის "ღვთის რჩეული ხალხი", რომ მან არავის არაფერი უნდა დაუთმოს და ყველას, ვინც მას რამეს დაუშავებს, ნებისმიერი გზით უნდა გადაუხადოს სამაგიერო. ქრისტიანობისაგან განსხვავებით, იუდაიზმი არ ცნობს მიტევებას.

ამ თვალსაზრისით, თორაში არის ნიშანდობლივი ამბავი იაკობის ასულ დინაზე, რომელსაც ვინმე შექემმა პატივი აჰხადა. მაგრამ შექემს ძალიან შეუყვარდა დინა, ეცადა ცოდვის მონანიებას და მამამისის მეშვეობით დიდძალი ურვადისა და ძღვენის ფასად, იუდეველებს დინას ხელი სთხოვა. იაკობის ვაჟები კი შექემს და მის მამას

> "მზაკვრულად ელაპარაკნენ… უთხრეს: ვერ ვიზამთ ამ საქმეს, წინადაუცვეთელ კაცზე ვერ გავათხოვებთ ჩვენს დას... მხოლოდ მაშინ მოგცემთ დასტურს, თუ ჩვენსავით წინადაიცვეთს თქვენში ყოველი მამაკაცი" (დაბადება, 33, 13-15).

შექემის ქალაქის მოსახლეობა დასთანხმდა ამ პირობას, ყველამ წინადაიცვითა. როდესაც აწუხებდათ ჭრილობა და უძლურნი იყვნენ, იაკობის ორმა ვაჟიშვილმა მახვილით ამოხოცა ქალაქის ყველა მამაკაცი. ქალაქი გაძარცვეს, ნადავლად წამოიღეს მთელი ქონება, ტყვედ წამოასხეს ქალები და ბავშვები.

ბიბლიის მორალია, რომ ძმებმა ვერ აიტანეს, თუ როგორ მოექცნენ მათ დას.

არ დაგვავიწყდეს, რომ ბიბლია დაახლოებით 35 საუკუნის წინანდელ ამბავზე გვიამბობს. მაგრამ დღევანდელი ისრაელიც შეუბრალებლად უსწორდება ყველა ტერორისტს, რომელმაც იუდეველის სისხლი დაღვარა.

ქრისტიანობა

ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი ქრისტიანობა, რომელიც ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული რეგიონში წინაისლამურ ხანაში, ახლა მხოლოდ ანკლავების სახითაა შემორჩენილი და მის მიმდევართა რაოდენობა მცირდება.

საკმაოდ დიდხანს XX საუკუნეში, როდესაც ახლო აღმოსავლეთის ზოგი ისლამური ქვეყნის პოლიტიკაში სეკულარული იდეოლოგიები დომინირებდა, ნიჭიერი კაცის ქრისტიანობა არ იყო ხელშემშლელი პირობა მისი პოლიტიკური აღმასვლისათვის.

ქრისტიანი იყო ანტიკოლონიალისტური ბრძოლის მრავალი ლიდერი, მათ შორის, *"არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის"* (*ბაას*) ერთ-ერთი დამაარსებელი (ამ პარტიის მეტოქე ფრაქციები კარგა ხანი მართავდნენ ერაყსა და სირიას), *პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის* შემქმნელები.

ქრისტიანები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებაშიც იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი, მანამდე ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი, *ბუტროს ბუტროს ღალი* ქრისტიანი კოპტია; ასევე ქრისტიანი იყო *ტარიკ აზიზი*, ერაყის ვიცე-პრემიერი სადამ ჰუსეინის ერაყში. ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი მუბარაქი იყენებდა თავის კონსტიტუციურ უფლებას დაენიშნა პარლამენტის წევრებად კოპტი ქრისტიანები, რათა ფორმალურად გაეზარდა ქრისტიანთა წარმომადგენლობა; დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ლიბანში პრეზიდენტი აუცილებლად ქრისტიანი-მარონიტი უნდა იყოს. კულტურის სფეროში, ხელოვნებაში, ბიზნესში ადგილობრივ ქრისტიანთა როლი მათ რაოდენობრივ წილთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია.

მაგრამ ისლამიზმის გააქტიურების კვალდაკვალ ასეთი ტენდენცია იცვლება. ეს არ ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთის "ნორმალურ ქვეყნებში" ქრისტიანების პირდაპირი დევნა დაიწყო ("ანორმალური", ე.წ. "ისლამური სახელმწიფო" ქრისტიანებს პირდაპირ დევნიდა). მაგრამ, ისლამურ ქვეყნებში ისლამის (ისრაელში – იუდაიზმის) პოლიტიკური უპირატესობის განმტკიცებას თან სდევს დემოგრაფიული შედეგი: ქრისტიანები გრძნობენ თავიანთ "უადგილობას" ისლამურ და ებრაულ სახელმწიფოებში და ამას მიგრაციული ქცევით პასუხობენ. ისინი მიდიან ძირითადად ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში, ევროპაში.

რეგიონში არის ერთადერთი, ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანებით დასახლებული, ქვეყანა – კვიპროსის რესპუბლიკა (კუნძულ კვიპროსის სამხრეთი ნაწილი).

ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ქრისტიანული მოსახლეობის დაახლოებითი ხვედრითი წონა ასეთია (ცხრილის მონაცემები XXI საუკუნის პირველი ათწლეულებისა, სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა და ისინი მიახლოებითია).

ქრისტიანული მოსახლეობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

ქვეყანა	ქრისტიანი (მლნ)	% მთელ მოსახლეობაში
ეგვიპტე	5,7	7,0
სირია	1,5	10,0
ლიბანი	1,3	34,0
კვიპროსის რესპ.	0,8	90,0

ერაყი	0,7	3,0
იორდანია	0,3	4,0 (?)
ირანი	0,2	0,1
ისრაელი	0,15	2,0
პალესტინური ტერიტორიები	0,05	1,5

ოფიციალური მონაცემებით, იორდანიაში 2017 წელს ქრისტიანები შეადგენდნენ 4 პროცენტს (რაც დიდ ეჭვს იწვევს); სირიაშიც მათი რიცხოვნობა მკვეთრად უნდა იყოს შემცირებული.

ფორმალურად ჯერაც ითვლება, რომ ლიბანში მოსახლეობის უმეტესობა (60 პროცენტამდე) 14 სხვადასხვა მიმდინარეობის (ეკლესიის) მიმდევარი ქრისტიანია. მაგრამ ეს მონაცემი 1932 წლის აღწერის შედეგებს ეყრდნობა, რომლის საფუძველზეც დადგინდა კონფესიათა წარმომადგენლობის პროპორცია ქვეყნის ხელისუფლებაში. მას შემდეგ ლიბანში მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა. 1943 წლის დაუწერელი "ეროვნული პაქტის"თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს ქრისტიანი-მარონიტი, პრემიერ-მინისტრი – მუსლიმი-სუნიტი, პარლამენტის თავმჯდომარე – მუსლიმი-შიიტი, თავდაცვის მინისტრი – დრუზი.

თანამედროვე შეფასება კი გვიჩვენებს, რომ *ლიბანში* მცხოვრებ ქრისტიანთა ჯამური მაჩვენებელი დღეისათვის მუსლიმებზე გაცილებით ნაკლებია და მთელი მოსახლეობის 35 პროცენტსაც არ აღწევს. ამის ძირითადი მიზეზია ემიგრაცია. ლიბანელ ქრისტიანებში, ევროპასთან ტრადიციული კონტაქტების გამო, მუსლიმებზე უკეთესი განათლების მიღების ტენდენცია შეინიშნება, რაც ემიგრაციას აადვილებს. იგივე ითქმის სირიის ქრისტიან მოსახლეობაზე.

საკუთარი თავის რეალიზაციას უცხო რელიგიურ გარემოში ან შედარებით მცირე ქვეყნებში ქრისტიანები სრულად ვერ ახერხებენ. ეს უბიძგებს ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქრისტიანს ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში ემიგრაციისაკენ, რადგან იქ მათ საკმაო შანსი უჩნდებათ ბიზნესში წარმატების მისაღწევად ან პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად. ასე მაგალითად, არგენტინის რესპუბლიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის – *კარლოს მენემის* – წინაპრები იყვნენ ქრისტიანები სირიიდან.

ემიგრაციის გამო აღმოსავლურ-ორთოდოქსული *კოპტური ეკლესია,* რომელიც ეგვიპტეში დაახლოებით 6 მილიონამდე ადამიანს მოიცავს, სისტემატურად კარგავს მრევლს. მაგალითად, იერუსალიმში 1948 წლამდე 20 ათასამდე კოპტი სახლობდა, XXი საუკუნის დასაწყისში კი მათი რაოდენობა 2 ათასამდე შემცირდა. ასეთივე ტენდენცია აქვთ ეგვიპტელ კოპტებს. თუ 1975 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში კოპტურ საარქიეპისკოპოსოს სულ 14 მღვდელი ჰყავდა, 2018 წელს აშშ-ში მოქმედებდა 84 კოპტური ეკლესია, კანადაში კი – 26, ორივე ქვეყანაში იყო მრავალი კოპტური ახალგაზრდული და საქველმოქმედო ორგანიზაცია, რაც არაპირდაპირ გვიჩვენებს კოპტების რაოდენობის ზრდაზე აშშ-სა და კანადაში.

პალესტინელ არაბთა შორის ყველა მიმართულების (მართლმადიდებელ, კათოლიკე, კოპტ, პროტესტანტ) ქრისტიანთა ხვედრითი წილი ბოლო ნახევარ საუკუნეში 15 პროცენტიდან 2-ზე ნაკლებ პროცენტამდე დაეცა: ქალაქები *ბეთლემი* და *ნაზარეთი*, რომლებიც 1948 წლამდე ძირითადად ქრისტიანული იყო, ახლა უპირატესად მუსლიმებითაა დასახლებული.

ერთი მაგალითი გარკვეულ მოდელად შეიძლება გამოდგეს: XXI საუკუნის დასაწყისში, "ალ-აკსას ინთიფადას" დროს, ქ. იერუსალიმის სამხრეთში მდებარე ებრაული ახალშენის, *გილოს* მისამართით მეზობელი ქრისტიანული (უპირატესად, მართლმადიდებელი) დასახლება *ბეით-ჯალა*-დან დაუდგენელი რელიგიის ტერორისტების მიერ ავტომატიდან პერიოდული სროლის საპასუხოდ

ისრაელის რეგულარული არმიის ტანკებმა, მძიმე არტილერიამ და შვეულმფრენებმა თავიანთი ზუსტად მართული რაკეტებით დაანგრიეს და საცხოვრებლად უვარგისი გახადეს მრავალი სახლი და სარისკოდ აქციეს ცხოვრება ბეით-ჯალაში. ამიტომაც ამ დასახლების ქრისტიანული არაბი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამჯობინა საერთოდ გასცლოდა პალესტინასა და ისრაელს.

რეგიონიდან ემიგრაციის გარდა, ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა რაოდენობის შემცირების მიზეზია მუსლიმებთან შედარებით დაბალი შობადობა.

ქრისტიანობა რეგიონში წარმოდგენილია მრავალი მიმდინარეობით.

ეგვიპტეში არსებობს მონოფიზიტური **კოპტური ეკლესია**. ***რეგიონის ქრისტიანების უმრავლესობას სწორედ კოპტები შეადგენენ.***

საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს რეგიონში ქრისტიანობის ძირითად შტოს – ბიზანტიური ტიპის **მართლმადიდებლობას.** [სამხრეთ] კვიპროსი თითქმის მთლიანად ბერძენი მართლმადიდებლებით არის დასახლებული. მართლმადიდებლები ცხოვრობენ აგრეთვე ლიბანში, ისრაელსა და პალესტინის "დასავლეთ ნაპირზე", ეგვიპტეში, სირიაში. ძალიან ცოტა დარჩა მართლმადიდებელი სტამბოლში (თურქეთში), სადაც ზის *კონსტანტინოპოლის პატრიარქი*, რომელიც უპირველესია მართლმადიდებელ იერარქებს შორის.

კათოლიციზმი ლიბანის, ისრაელისა და პალესტინის არაბულ, აგრეთვე სომხურ მოსახლეობაში აქა-იქ არის წარმოდგენილი. ლიბანში გავლენიანი **მარონიტული** ეკლესია *უნიატურია,* ანუ თავის უზენაეს მეთაურად ცნობს რომის პაპს. ამიტომაც იყო, რომ საფრანგეთის "მეორე იმპერია" (1850-1870 წწ.), რომელიც იმ დროს ახლო აღმოსავლეთში "კათოლიციზმის მფარველად" აცხადებდა თავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მარონიტობის მიმართ, ეხმარებოდა მათ. XIX საუკუნის შუაწლებიდან მარონიტობა ლიბანში ყველაზე გავლენიანი ქრისტიანული თემი გახდა.

სომხურ სამოციქულო (ე.წ. "გრიგორიანულ" ან "მონოფიზიტურ") ეკლესიას თავისი მიმდევრები (შეფასებით – 60 ათასზე მეტი) ჰყავს ლიბანში (ბეირუთში), აგრეთვე თურქეთში (სტამბოლში – 100 ათასამდე), ისრაელში (იერუსალიმში) – 1-2 ათასი; სირიაში ისინი დაახლოებით 150 ათასს ითვლიდნენ, მაგრამ 2011 წელს იქ დაწყებული სამოქალაქო ომის გამო ბევრი გაეცალა სირიას; რამდენიმე ათასი სომხეთის რესპუბლიკაში წავიდა, როგორც ჩანს, დროებით. ირანის ქრისტიანების უმეტესობა (სავარაუდოდ 60-70 ათასი) სომეხი გრიგორიანია.

გარდა სომხურისა, რეგიონში არსებობს სხვა "მონოფიზიტური" ეკლესიებიც: **სირიული** (ანუ იაკობიტური) **ორთოდოქსული, ეთიოპური ორთოდოქსული, ასირიული ორთოდოქსული** ეკლესიები და სხვები, რომელთაც შედარებით მცირე რაოდენობის მრევლი ჰყავთ.

რეგიონში ცოტა მიმდევარი ჰყავს ევროპელი მისიონერების მიერ შემოტანილ **ანგლიკანურ, ლუთერანულ** და სხვა პროტესტანტულ ეკლესიებს.

არც თუ იშვიათად ქრისტიანობის მიმართულებანი ერთმანეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილი. დაპირისპირების ძირითადი მიზეზია ქონებრივი დავა. ეს განსაკუთრებით ეხება იერუსალიმსა და წმინდა მიწის სხვა წმინდა ადგილებს.

რეგიონში ჯერაც არ განელებულა XI საუკუნეში კულმინაციას მიღწეული ისტორიული ქიშპობა კონსტანტინოპოლისა და რომის ქრისტიან იერარქებს შორის, რომელიც 1054 წელს "დიდ სქიზმაში" გამოიხატა: ამ დაპირისპირების შედეგად დასავლეთის (კათოლიკური) და აღმოსავლეთის (მართლმადიდებელი) ქრისტიანობა ერთმანეთს გაემიჯნა. შუა საუკუნეებში ამ განხეთქილების სამწუხარო გამოხატულება იყო ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, 1204 წელს, "ლათინების" (კათოლიკე ჯვაროსნების) მიერ კონსტანტინოპოლის აღება და გაზარცვა. მართალია, მართლ-მადიდებლებმა ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიბრუნეს ქალაქი, მაგრამ ბიზანტიის იმპერია მას შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა.

ისლამი

თეორიულად ყველა მუსლიმი ეკუთვნის ერთ თემს (არაბულად – *უმმა*), მიუხედავად მისი ეთნიკური, რასობრივი წარმოშობისა ან მოქალაქეობრივი კუთვნილებისა. ასევე *თეორიულად*, მუსლიმებს მეტი პოლიტიკური ერთიანობაც ახასიათებთ, ვიდრე ქრისტიანებს.

პრაქტიკულად, ისლამში არსებობს ბევრი ურთიერთდაპირისპირებული მიმართულება.

მუსლიმები არასოდეს უწოდებდნენ თავს მაჰმადიანებს. ეს ქრისტიანების მიერ გამოგონილი ტერმინია. ამ **მცდარი ტერმინის, "მაჰმადიანის"**, გამოყენებით ჩვენ ფაქტობრივად ვახდენთ ქრისტესა და მუჰამმადის გათანაბრებას – თითქოს მუჰამმადი (მაჰმადი) იგივე იყოს მუსლიმებისათვის, რაც იესო ქრისტე – ქრისტიანებისათვის. სინამდვილეში ქრისტიანებისათვის *იესო* არის ძე ღვთისა და მაცხოვარი, მაშინ როცა მუსლიმებისათვის *მუჰამმადი* მხოლოდ ღვთის (ალაჰის) მოციქული და წინასწარმეტყველია.

ისლამი ამჟამად თითქმის მთლიანად დომინირებს ახლო აღმოსავლეთში. **ისლამი ოფიციალურად ან ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიაა ახლო აღმოსავლეთის 12 ქვეყანაში**, გარდა კვიპროსის, ისრაელის, ლიბანისა და თურქეთისა: ეს უკანასკნელიც, პრინციპში, ისლამური ქვეყანაა, თუმცა ოფიციალურად სეკულარული, მიუხედავად იმისა, რომ მისი ამჟამინდელი მთავრობა ხელს უწყობს ისლამის აღორძინებას.

საუდის არაბეთსა და ომანს არა აქვთ დაწერილი კონსტიტუცია; ***ქუვეითის, ბაჰრეინის, კატარისა*** და ***გას***-ის კონსტიტუციებში არაფერია ნათქვამი რელიგიაზე, მაგრამ ამ ექვსივე სახელწიფოს ისლამური ხასიათი აშკარაა. ***სირიის*** 1973 წლის კონსტიტუცია არ ახსენებს ისლამს, როგორც სახელმწიფო რელიგიას, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი მუსლიმი უნდა იყოს, ხოლო კანონმდებლობის წყაროდ მიჩნეულია ისლამური კანონი – *შარიათი*. ***ეგვიპტეში, იემენში, იორდანიაში, ერაყში*** ისლამი ოფიციალურადაა გამოცხადებული სახელმწიფო რელიგიად. ***ირანში*** სახელმწიფო რელიგია შიიტური მიმართულების ისლამია.

შარიათს – ისლამურ რელიგიურ კანონსა და ქცევის წესებს– ეყრდნობა სასამართლო პრაქტიკა საუდის არაბეთში, ბაჰრეინში, კატარში, გას-ში, ქუვეითში, ომანში, იემენში, ირანში. ეს ნიშნავს, რომ შუა საუკუნეებში შექმნილი *შარიათის* წესების მიხედვით ქვებით უნდა ჩაიქოლოს მრუშობაში ბრალდებული ქალი, უნდა მოხდეს ხელის მოკვეთა – ქურდობისათვის, თავის მოკვეთა – უფრო სერიოზული დანაშაულისათვის, რომელთა შორისაა მკვლელობა, გაუპატიურება, მამათმავლობა, ნარკოტიკების გავრცელება, ალაჰის გმობა, ჯადოქრობა და სხვ.

ყურანში (5:45) დადგენილია:

> "სული სულის წილ, და თვალი თვალის წილ, და ცხვირი ცხვირის წილ, და ყური ყურის წილ, და კბილი კბილის წილ, და ჭრილობები – შურისგებაა".

ასეთი რამ ისლამის "გამოგონება" რომ არ გვეგონოს, დავძენ, *ყურანში* გამეორებულია ის, რაც ბევრად ადრე ჩაიწერა *თორაში* (გამოსვლა, 21:23-25):

> "თუ უბედურება მოხდა, სული სულის წილ უნდა ზღო, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ფეხი ფეხის წილ, დამწვრობა დამწვრობის წილ, ნატკენი ნატკენის წინ".

შეგვიძლია კიდევ უფრო ღრმად შევიდეთ ისტორიაში და ძვ.წ. XVIII საუკუნის *ჰამურაბის* კანონები გავიხსენოთ, სადაც დაახლოებით იგივე წესებია. უბრალოდ, ჰამურაბის და, ნაწილობრივ, თორას კანონების პრაქტიკაში გამოყენება შეწყდა, შარიათისა – არა.

საუდის არაბეთში, სადაც შარიათს მკაცრად იცავენ, 1985-2008 წლებში დაახლოებით 1750 ადამიანს საჯაროდ მოჰკვეთეს თავი.

სხვა ქვეყნებში, იქაც კი, სადაც თეოკრატიაა, შარიათის ყველა წესს მკაცრად აღარ იცავენ: მაგალითად ირანში საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით 2003 წლის დასაწყისიდან შეაჩერეს ქმრის ღალატისათვის ბრალდებული ქალის ქვით ჩაქოლვის წესის გამოყენება.

შარიათი ებრძვის ლოთობასა და ნარკომანიასაც, თუმცა ყოველთვის შედეგიანად არა.

აღსანიშნავია, რომ ისლამში (ისევე, როგორც იუდაიზმში) არაა სასულიერო პირების ერთიანი იერარქია. ისლამს (კერძოდ, მის სუნიტურ მიმართულებას: იხ. ქვემოთ) არა აქვს ისეთივე იერარქია, როგორიც ახასიათებს, მაგალითად, კათოლიციზმს ან მართლმადიდებლობას. სუნიტ მუსლიმებს კი ჰყავთ ხელმძღვანელი თავთავის ქვეყნებში, მაგრამ ავტორიტეტით ის ახლოსაც ვერ მივა ქრისტიანთა *პაპთან, კათოლიკოსთან ან პატრიარქთან.* ირანის შიიტებს რელიგიური ავტორიტეტი ჰყავთ.

ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, დაშლილია მრავალ მიმართულებად, მათ შორის ძირითადია ორი – **სუნიტობა** და **შიიტობა** (რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ მიმდინარეობას აერთიანებს).

ს უ ნ ი ტ ე ბ ი, რომლებიც მსოფლიოს ყველა მუსლიმის თითქმის 90 პროცენტს შეადგენენ, მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, გარდა ირანისა, ერაყისა და ბაჰრეინისა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია. იემენში მოსახლეობის ნახევრამდე შიიტია.

სუნიტური ისლამი დომინირებს ეგვიპტეში, თურქეთში, სირიაში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, გას-ში (დუბაის გარდა), კატარში, ქუვეითში, პალესტინელთა შორის.

ომანში ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა *იბადიიას* სექტას ეკუთვნის, რომელიც თავს სუნიტურად მიიჩნევს, თუმცა სხვა სუნიტებს ამაში ეჭვი ეპარებათ და *იბადიიას* მიმდევრებს შიიტებს მიაკუთვნებენ.

***

ერაყის სამეფოს შექმნის დროიდან (1920 წ.) და რესპუბლიკურ პერიოდშიც (1958 წლიდან), მათ შორის *სადამ ჰუსეინის* ხანაშიც, ამ ქვეყანას მართავდა სუნიტი არაბების უმცირესობა (მთელი მოსახლეობის 25-30 პროცენტი). ასევე ძირითადად სუნიტია ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრები ქურთი მოსახლეობა. ჯამში კი ერაყის ყველა სუნიტს რაოდენობრივად სჭარბობენ ქვეყნის სამხრეთსა და ცენტრში მცხოვრები შიიტები.

სუნიტურ ისლამში ვიიი-იხ საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა ოთხი *მაზჰაბი* (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა), რომელთა შორის განსხვავებაა *შარიათის* ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია მხოლოდ *ულამასათვის** და ოთხივე მაზჰაბი თანაბრად ორთოდოქსულად ითვლება.

საჭიროდ მივიჩნიე *მაზჰაბების გეოგრაფიაზე* ორიოდე სიტყვის თქმა: ამის მეშვეობით შეგვეძლება განვმარტოთ ისლამური საზოგადოების განსხვავებული მიდგომა ინოვაციების (სიახლის დანერგვის) მიმართ.

ოთხი სუნიტური მაზჰაბი ასეა გავრცელებული: *ჰანაფიტური* წარმოდგენილია თურქეთში, სირიაში, ერაყში, პალესტინის ქალაქებში; *შაფიიტური* მაზჰაბი – ქვემო ეგვიპტეში, პალესტინის სოფლებში, ქურთებს შორის, იემენში, საუდის არაბეთის დასავლეთ პროვინციებში – ჰიჯაზსა და ასირში; *მალიქიტური* – ზემო ეგვიპტეში, სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე; *ჰანბალიტური* – საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

ყველაზე მოქნილი სიახლეების (მათ შორის დასავლეთიდან შემოსულის) დანერგვის მიმართ არის ჰანაფიტური მაზჰაბი. შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ თურქეთი, სირია და ერაყი კულტურულად ყველაზე წინწასული მუსლიმური ქვეყნებია.

ყველაზე კონსერვატიულია ჰანბალიტური მაზჰაბი. ჰანბალიტურმა სკოლამ მისცა დასაბამი ფუნდამენტალისტურ-პურიტანულ მოძრაობას, რომელიც *უაჰაბიიას* (ვაჰაბიზმის) სახელითაა ცნობილი.

რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროიდან (1994-1996) და ისლამური ტერორიზმის გავრცელების კვალდაკვალ, **ვაჰაბიზმი** გადაიქცა რუსეთისა და დასავლეთის მასმედიის მიერ გამოყენებულ მთავარ საფრთხობელად. ზოგი დასავლეთელი და რუსი პოლიტიკოსი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს "მთავარი საფრთხე ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ვაჰაბიტური მოძრაობიდან მოდის". ეს აშკარა გადაჭარბებაა.

მაგრამ ვაჰაბიზმი სავსებით რეალური ძალაა, რომელზეც რამდენიმე სიტყვა დამატებით უნდა ითქვას.

1740-იან წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე, ნაჯდის მხარეში *მუჰამად იბნ-აბდალ-უაჰაბმა (ვაჰაბმა)* შექმნა ულტრაკონსერვატიული ისლამური მოძღვრება, რომელიც უარყოფდა ყველანაირ სიახლეს და მოუწოდებდა ცხოვრების ისეთი ნორმების აღდგენისაკენ, რომლებიც *ყურანსა* და ადრეული *სუნას* პრაქტიკას დაეყრდნობოდა. ვაჰაბის მოძღვრება განსაკუთრებით ეწინააღმდეგება მისტიციზმს, წმინდანების, წმინდა შენობებისა და საფლავების თაყვანისცემის ხალხურ ტრადიციას, მეჩეთების დეკორირებას, ყველანაირ ფუფუნებას, მათ შორის თამბაქოსა და ყავის მოხმარებასაც კი. ყველა მუსლიმს, ვინც მათ მოძღვრებას არ მისდევს, ვაჰაბიტები მწვალებლად მიიჩნევენ.

პოლიტიკური ძალა ამ მოძღვრებას შესძინა 1745 წელს დამყარებულმა კავშირმა *ანაიზას* ტომის ბელადთან – *მუჰამად იბნ-საუდთან*, რომლის შორეულმა შთამომავალმა, *აბდალაზიზ ას-საუდმა*, თანდათან დაიპყრო ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და 1932 წელს შექმნა *საუდის არაბეთი*, სადაც ვაჰაბიზმი ფაქტობრივ სახელმწიფო რელიგიად იქცა.

ვაჰაბიზმის მიმდევრები არ იყენებენ თვითსახელად "ვაჰაბიტს" (ეს ევროპელების მიერ შექმნილი სიტყვაა): ისინი თავს *მუვაჰიდუნ*-ს უწოდებენ, რაც *ერთიანობის მომხრეს* (*უნიტარისტს*) ნიშნავს.

ვაჰაბის მოძღვრება დღეისათვის რამდენადმე დაკნინებულია მოდერნიზაციითა და ტექნოლოგიური განვითარებით. საუდის არაბეთში, მაგალითად, არსებობს ტელევიზია, მოქმედებს ინტერნეტი, თუნდაც *ულამა* ამის წინააღმდეგი იყოს; ზოგი საუდიანი უფლისწულის სასახლეში ზღაპრული სიმდიდრეა თავმოყრილი; ბევრი მათგანი საზღვარგარეთ განავარდებისას არ იკლებს ფუფუნების საგნებსა და უმაღლესი დონის მომსახურებას.

ამასთან, ვაჰაბის მოძღვრების ერთგულება ხანდახან აბსურდული ვანდალიზმის ფორმას იღებს. ჯერ კიდევ ხიხ საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვაჰაბიტებმა პირველად დალაშქრეს *ჰიჯაზი* და, განმეორებით, 1925 წლიდან, როდესაც *აბდალაზიზ ას-საუდმა* საბოლოოდ დაიპყრო ის, ვაჰაბიტები ანგრევდნენ ისლამის ისტორიულ ნაგებობებს და საფლავებს იმ საბაბით, რომ "*მართლმორწუნე მუსლიმებს მათთვის თაყვანისცემა არ მოსვლოდათ აზრად*".

ხიხ საუკუნის დასაწყისში ვანდალიზმი სამხედრო ძალის გამოყენებით აღკვეთა ოსმალეთის სულტანმა: ვაჰაბიტებს მუსრი გაავლეს. მაგრამ XX საუკუნის ბოლოს ასეთი ძალა აღარ არსებობდა.

საუდის არაბეთის მეფე *ფაჰდის* (1982-2005) ბრძანებით აღგავეს დედამიწის პირიდან 13 საუკუნის განმავლობაში შემონახული სახლი მექაში, სადაც *მუჰამმადი* დაიბადა და სახლი მედინაში, სადაც ის მუჰაჯირობისას ცხოვრობდა, აგრეთვე მისი პირველი ცოლის, *ხადიჯას*, სახლი; გაანადგურეს მექასა და მედინას ძველი სასაფლაოები, მუჰამმადის დედის, *ამინა ბინთ უაჰბის*, და მამის საფლავები და ა.შ. დაანგრიეს სულ ცოტა თერთმეტი ძველი მიზგითი მექასა და მედინაში. ყველაფერ ამას ვაჰაბიტი კლირიკები იმით ამართლებდნენ, რომ "*სუნა არ ახსენებს მათი მოლოცვის საჭიროებას".* მექაში ისტორიული სახლების ნგრევას ქალაქის კეთილმოწყობის საჭიროებითაც ამართლებენ!

რამდენიმე გადარჩენილ ნაგებობას შორის მუჰამმადის დროინდელია (მაგრამ საკმაოდ

გადაკეთებული) მუსლიმთა მთავარი სალოცავი – მექის *ალ-მასჯიდ-ალ-ქაბა*, ხოლო მედინაში – *ალ-მასჯიდ-ალ-ნაბაუი* (წინასწარმეტყველის მეჩეთი).

უნდა ითქვას, რომ ვანდალური პოლიტიკა იცვლება. 2016 წლიდან საუდის არაბეთის ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებათა კვალდაკვალ ამ სახელმწიფოში იგეგმება, შეიქმნას "ისტორიული პარკი", სადაც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება გადარჩენილი ისლამური და წინა-ისლამური ძეგლები (საუდის არაბეთის ახალ "კულტურულ პოლიტიკაზე" იხ. III ტომში).

საუდის არაბეთის გარეთ ვაჰაბიტები მრავლად არიან სპარსეთის ყურის სახელმწიფოებში. კატარის ადგილობრივ სუნიტურ მოსახლეობაში ისინი უმრავლესობას შეადგენენ.

ვაჰაბიტური მოძღვრების მკაცრი მოთხოვნები მუსლიმებისადმია მიმართული. სხვა სარწმუნოებათა მიმდევრებს ეს მოთხოვნები უშუალოდ არ ეხება, თუმცა საუდის არაბეთში ქცევის გარკვეული წესების დაცვა არამუსლიმებსაც მოეთხოვებათ: მაგალითად, ქუჩაში ყოფნისას უცხოელ ქალს სხეულის ყველა ნაწილი შებურული უნდა ჰქონდეთ და თავშალი ატარონ. შესაძლოა, ეს მოთხოვნა მომავალში შემსუბუქდეს ;

ამასთან, ფუნდამენტალისტი მუსლიმების წრეში შეიძლება მოინახოს ხალხი, ვინც მზად იქნება აწარმოოს *ჯიჰადი*, საღვთო ომი, "ურწმუნოების" წინააღმდეგ.

სუნიტურ ისლამში ვაჰაბიზმი არაა ერთადერთი ფუნდამენტალისტური მიმდინარეობა (ანუ ისეთი, რომელიც ადრეული ისლამის საფუძვლებს, "ფუნდამენტს", ეყრდნობა). მაგალითად, ავღანეთის *თალიბები*, რომლებიც ასევე ამკვიდრებენ ყურანისა და სუნას ძირეულ მცნებებს, ეკუთვნიან ე.წ. *დეობანდის* მიმართულებას, რომელიც ჰანაფიტურ მაზჰაბზეა დაფუძნებული.

ისლამში არსებობს ფუნდამენტალისტური, პურიტანული მიმდინარეობა *სალაფიზმი* (არაბულად *სალაფია*, რაც მომდინარეობს "წინაპრების" აღმნიშვნელი არაბული სიტყვიდან: იგულისხმებიან *მუჰამმადის* თაობა და მისი მომდევნო ორი თაობა, რომლებიც "ჭეშმარიტ ისლამს" მისდევდნენ). სალაფიტების კრედოა წინაპართა ამ თაობების ლოცვის მეთოდის, მანერების, ზნეობის, ღვთისმოსავობის, ქცევის გამეორება. სალაფიტები საკმაოდ გავრცელდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამის სუნიტური მიმართულებაა წარმოდგენილი. მაგალითად, ეგვიპტის "მუსლიმური ძმობა" ძირითადად სალაფიტურ იდეებს ეყრდნობა. მუსლიმი თეოლოგებისა და პოლიტოლოგების რიგი ამტკიცებს, რომ დასავლეთში გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, სალაფიტები არ არიან ტერორიზმის მომხრენი და მზად არიან მოარიგონ ისლამი თანამედროვეობასთან, რაც ცოტა საეჭვოდ მეჩვენება.

ტერამინები *ვაჰაბიზმი* (*უაჰაბია*) და *სალაფიზმი* (*სალაფია*) 1970-იანი წლებიდან პრაქტიკულ სინონიმებად გამოიყენება. მაგრამ სალაფიტები, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან *აბდალ-უაჰაბის* მოძღვრებას, უარყოფენ სრულ მსგავსებას და ამტკიცებენ, რომ *ვაჰაბიზმი* არის ცალკე, ულტრა-კონსერვატიული მიმართულება *სალაფიზმის* წიაღში.

ისლამის მეორე მთავარი მიმართულებაა **შ ი ი ტ ო ბ ა**. მსოფლიოს ყველა მუსლიმის 10 პროცენტამდე შიიტია (შიიტობის წარმოშობაზე ლაპარაკია მე-8 თავში). ისინი დიდ უმრავლესობას შეადგენენ ირანში, ერაყსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში შიიტები მუსლიმთა შორის უდიდეს თემად იქცნენ ლიბანში. ისინი საკმაო რაოდენობითაა საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბაჰრეინსა და იემენში. თურქეთის მოსახლეობის თითქმის მეხუთედს შიიტად (*ალევი*) მიიჩნევენ, თუმცა თურქეთის სეკულარული რესპუბლიკის ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრების რაოდენობას და ეს შეფასება მხოლოდ ვარაუდია.

შიიტურ ფუნდამენტალიზმს, რომელიც ბატონობს ირანში, არაფერი აქვს საერთო ვაჰაბიზმთან ან დეობანდიზმთან, რომელთაც ის გმობს. სხვათა შორის, შიიტები არ მიმართავენ ისეთ ვანდალიზმს,

როგორსაც სუნიტი ვაჰაბიტები.

შიიტები თემის ლიდერს უწოდებენ **იმამს**, რომელიც მათთვის არის ერთდროულად სასულიერო და საერო ძალაუფლების განმახორციელებელი. სუნიტებისათვის კი იგივე ტერმინი (*იმამი)* აღნიშნავს რიგით სასულიერო პირს (მეჩეთის მოძღვარს), რომელიც ხშირად საერო ხელისუფლებას ექვემდებარება. **შიიტი კლირიკები უფრო გავლენიანი არიან თავის თემში, ვიდრე სუნიტური – საკუთარში**. ეს გარკვეულად განგვიმარტავს XX საუკუნის ირანში ისლამური რევოლუციის წარმატების მიზეზებს და იქ არსებული თეოკრატიის მდგრადობას.

შიიტებისათვის წმინდანის ტოლია **პირველი 12 იმამი** – ხალიფა *ალი*, მისი ვაჟები*ჰ ჰასანი* და *ჰუსაინი* და ამ უკანასკნელის პირდაპირი შთამომავლობა.

შიიტობა თავიდანვე გამოირჩეოდა მისტიციზმით (მაგალითად, მას სჯერა *მე*-12*, გაუჩინარებული იმამის*, ხელახალი მოვლინებისა *მაჰდის,* ანუ მესიის როლში) და ყურანისადმი მტკიცე ერთგულებით. ყურანის გარდაყ ისლამის სხვა წმინდა წიგნებს, მაგალითად *სუნას,*შიიტები არ ცნობენ.

არსებობს შიიტობის რამდენიმე განშტოება (ზაიდიზმი, ისმაილიტობა და სხვ.). თურქეთის შიიტებს **ალევიებს უწოდებენ (ბევრი მათგანი ენობრივად ქურთია)**, რომლებიც არ უნდა ავურიოთ **ალავიტებში**[17] (თუმცა ორივე ტერმინის ძირი არის "*ალი*", მეოთხე ხალიფას სახელი).

ალავიტობას საკმაოდ მრავალი მიმდევარი (1,5-2 მილიონამდე) ჰყავს სირიის ჩრდილო-დასავლეთ მთიან რაიონებში, ნაწილობრივ – თურქეთსა (ჰათაის ილში) და ჩრდილოეთ ლიბანში. ალავიტები ავითარებენ აზრს, რომ ხალიფა ალი, მუჰამადის ბიძაშვილი და, ერთდროულსდ, სიძე, მოციქულის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო. სხვა შიიტებისაგან ალავიტებს განასხვავებს მათი რიტუალები, რომლებიც ზოროასტრულ და ქრისტიანულ ელემენტებს შეიცავს. მათი დოგმატე-ბისა და რიტუალების ნაწილი სხვებისგან საიდუმლოდაა დაცული, რის გამოც ზოგიერთი სუნიტი *ულამა** ალავიტებს საერთოდ ისლამის გარეთ ხედავს, თუმცა სირიაში ისინი ოფიციალურად ცნეს მუსლიმებად.

მართალია, *ალავიტობა* შიიტობის ფორმაა, მაგრამ წმინდა პოლიტიკური მიზეზის გამო სირიელი ალავიტები ცდილობენ არ გაუსვან ამას ხაზი. საქმე ისაა, რომ ალავიტებს განეკუთვნება სირიის პო-ლიტიკური და სამხედრო ელიტის საგრძნობი ნაწილი. ადრე დისკრიმინირებული რელიგიური უმცირესობის, ალავიტების, ჩართვა სამხედრო სამსახურში დაიწყო ფრანგების ბატონობის დროს, 1920-იანი წლებიდან. 1940-იან წლებში, სირიაზე ფრანგული მანდატის დამთავრებისას, ბევრი ალავიტი აღმოჩნდა მაღალ თანამდებობაზე, განსაკუთრებით არმიაში. ალავიტები აქტიურად ჩაერთვნენ პარტია "***ბაას***"-ის[18] საქმიანობაში, რომელმაც 1963 წელს ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ნახევარ საუკუნეზე მეტია, ერთპარტიული სისტემით მართავს სირიას. სირიის პრეზიდენტი 1971-2000 წლებში *ჰაფიზ* ალ-ასადი ალავიტი იყო, ისევე, როგორც მისი მემკვიდრე პრეზიდენტის პოსტზე, მისივე ვაჟი *ბაშარ ალ-ასადი,* 2000 წლიდან დღემდე. მათ ნათესავებსა და კლანის წევრებს უჭირავთ მმართველი პოზიციები პარტიაში, არმიასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში.

სხვა რელიგიები:
ზოროასტრიზმი, იეზიდიზმი, დრუზობა, ბაჰაიზმი

გარდა სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიისა, ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილია

---

[17]. სახელი *ალავიტი* საყოველთაოდ დამკვიდრდა სირიაზე ფრანგული მანდატის დროიდან: იქამდე სხვა მუსლიმები მათ *ნუსეირის, ნამირის* ან *ანსარის* უწოდებდნენ.

[18]. "ბაას" არის "არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის" შემოკლებული სახელი. ეს არის სეკულარული, არარელიგიური პოლიტიკური ორგანიზაცია.

ამჟამად ნაკლებ გავლენიანი სხვა რელიგიებიც, შედარებით მცირერიცხოვანი მიმდევრებით. მათ შორის რამდენიმეს განხილვა საჭიროდ მივიჩნიე.

რეგიონში ჩამოყალიბდა და კარგა ხანს გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკის იარაღი, ამჟამად კი უმნიშვნელო რელიგია – **ზოროასტრიზმი.** მისი სინონიმებია *ზარათუშთრას სარწმუნოება, მაზდეანობა, მაზდაიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა.* შესაძლოა, უფრო სწორი სახელი იყოს *მაზდაიზმი*, რადგან თავის ღმერთს ისინი ***აჰურა მაზდას*** უწოდებდნენ.მის უმთავრეს წინასწარმეტყველად მიჩნეულია *ზართოშთი* (ესაა მისი სახელი სპარსულად, ბერძნულად კი გამოითქმოდა *ზოროასტრეს*), რომლის მოღვაწეობის ეპოქას მეცნიერები ძვ.წ. X ან VIII საუკუნეში ვარაუდობენ).

სახელი *ცეცხლთაყვანისმცემლობა* ამ რელიგიისათვის სხვებისაგანაა შერქმეული: მისი მიმდევრები ცეცხლს კი არ სცემდნენ თაყვანს, არამედ ის მათთვის იყო ღმერთის სახე დედამიწაზე.

ძვ. წ. VI საუკუნეში ზოროასტრიზმი იქცა ირანის აქამანიანთა იმპერიის ფაქტობრივ სახელმწიფო რელიგიად და ფართოდ გავრცელდა. ირანის ტერიტორიაზე არსებული პართიისა და სასანიანთა მონარქიის ეპოქებშიც ზოროასტრიზმს აღიარებდნენ, თუმცა სხვა რწმენებიც არსებობდა, განსაკუთრებით პართიის ეპოქაში.

არსებობს განსხვავება აქამანიანთა ირანის, პართიისა და სასანიანთა ეპოქის ზოროასტრიზმში, მაგრამ ეს მაინც ერთი რელიგიის განვითარების სტადიებია.

ზოროასტრელებს ჰქონდა თავისი წმინდა **წიგნი (ავესტა**). მიიჩნევენ, რომ ავესტას ადრეულმა ვარიანტებმა გავლენა მოახდინა იუდაიზმის ფორმირებაზე და, მოგვიანებით – ქრისტიანობაზეც. ტექნიკურად ზოროასტრიზმი მონოთეისტური რელიგია იყო, ან "*ახლოს იდგა მონოთეიზმის იდეასთან"*, თუმცა სამყაროს დუალისტური პოზიციიდან განიხილავდა, სადაც სიკეთის განსახიერება ღმერთი *აჰურა მაზდა* ადამიანის სულებისათვის ებრძოდა ბოროტებას (სიცრუეს), რომელსაც *არიმანი* განასახიერებდა. სხვათა შორის, *ზოროასტრიზმი უარყოფდა სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ველურ პრაქტიკას.*

ზოროასტრიზმი ეწეოდა პროზელიტიზმს, თუმცა მისი მოძღვრები (სპასულად – *მობედ,* ქართულად – *მოგვი*), რომელთაც *ათეშგა*-ში (ტაძარში) მუდმივი ცეცხლის შენარჩუნება ევალებოდათ, ირანული წარმოშობის კასტიდან უნდა ყოფილიყვნენ. ეს გარემოება აფერხებდა მის გავრცელებას არაირანულ ტერიტორიაზე და ამანვე, როგორც ჩანს, შეუწყო ხელი რელიგიის დაკნინებას, როდესაც მას სხვა ძლიერი რელიგიები დაუპირისპირდა. ირანული წარმოშობის *მობედების* დაღუპვა ცეცხლის ჩაქრობას მოასწავებდა. ქრისტიანობაში და ისლამში კი არ არის რაიმე ეთნიკური შეზღუდვა სასულიერო პირთათვის.

გარდა ამისა, ბევრი სხვა ხალხი, რომელიც საკუთარ მიცვალებულს დიდი პატივით კრძალავდა, რადგან საიქიო ცხოვრებისა სჯეროდა, ვერ ეგუებოდა ზოროასტრიზმის დამოკიდებულებას მათივე მიცვალებულთა, თუნდაც ბრძოლის ველზე დაღუპულთა, მიმართ, რომელთა დასაფლავებას ან კრემაციას (რაც რომაელთა წესი იყო) ეს რელიგია კრძალავდა მიწის, ცეცხლის, წყლის წაბილწვის თავიდან აცილების საბაბით. ზოროასტრელები თავიანთ მკვდრებს საგანგებო "დუმილის კოშკებში" ტოვებდნენ სვავების საჯიჯგნად.

ზოროასტრიზმმა ვერ გაუწია სათანადო მეტოქეობა ახალ, აქტიურ მონოთეისტურ რელიგიებს. მას შეუბრალებლად ებრძოდა ჯერ ქრისტიანობა, ხოლო ისლამმა საერთოდ ბოლო მოუღო.

სამხრეთ კავკასიის ძველი ისტორიისათვის ზოროასტრიზმის როლის უგულებელყოფა ძნელია. ქრისტიანობის მიღებამდე ქართლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ამ რწმენაზე იდგა. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ *აჰურა მაზდა* ჩვენი წინაპრებისათვის *არმაზი* იყო, თუმცა არსებობს ისეთი აზრიც, რომ *არმაზი* ხეთური ღვთაების სახელი იყო.

დღევანდელ ირანში ზოროასტრიზმის მცირერიცხოვანი მიმდევრები დარჩნენ (2011 წლის

აღწერით მათი თემი 25 ათას ადამიანს ითვლიდა, უმეტესად ქალაქ *იაზდში*). *რეზა შაჰ* და *მოჰამად რეზა შაჰ* ფეჰლევის დროს (1925-1979) ზოროასტრელებს ირანული ნაციონალიზმის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და მეტნაკლებად პატივით ეპყრობოდნენ. მათ არ დევნის არც ისლამური ხელისუფლება: ირანის მეჯლისში (პარლამენტში) გარანტირებულია ერთი ადგილი ზოროასტრელისათვის.

"პარსების" სახელით ცნობილი ზოროასტრელების საკმაო ნაწილი (100 ათასამდე) ინდოეთში ცხოვრობს, სადაც მათი ცენტრია ქალაქი *მუმბაი* (ბომბეი).

***

რეგიონის ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა **იეზიდიზმი,** რომელიც ძირითადად ერაყში, სირიასა და დასავლეთ ირანშია გავრცელებული. ადრე (1915 წლამდე) ის დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეც იყო წარმოდგენილი. საქართველოს ქალაქებში (უპირატესად – თბილისში) XXი საუკუნემდე 35-45 ათასი იეზიდი ცხოვრობდა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში 1915 წელს და მომდევნო წლებში შემოვიდნენ, როგორც ლტოლვილი ოსმალეთიდან. ბოლო ათწლეულებში მათი საკმაო ნაწილი საქართველოდან რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გადასახლდა. 25 ათასამდე იეზიდია სომხეთშიც, სადაც მათ რამდენიმე სოფელი აქვთ. სომხეთიდანაც იეზიდების ემიგრაცია ხდება.

როგორც ჩანს, იეზიდების სარწმუნოება უძველეს ხანაში (იქნებ ზოროასტრიზმამდეც კი?) წარმოიშვა დასავლეთ ირანის ინდოირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებში. მათი რელიგია მონოთეისტურადაა მიჩნეული.

იეზიდები მკაცრ ენდოგამიას მისდევენ: უცხოტომელთან ქორწინება თემიდან გასვლას მოასწავებს. ისინი არც პროზელიტიზმს ეწევიან.

იეზიდიზმის მიმდევრები ქურთული ენის ქურმანჯის დიალექტზე მეტყველებენ და წერენ, ამიტომაც მათ ქურთებს მიათვლიან ხოლმე, რასაც თავად იეზიდები არ ეთანხმებიან.

"ისლამური სახელმწიფო" 2014-16 წლებში განსაკუთრებით სდევნიდა იეზიდებს, როგორც "წარმართებს", რამაც აიძულა ისინი, ემიგრაციაში წასულიყვნენ. ამჟამად იეზიდების დიდი ნაწილი (ზუსტი რაოდენობა უცნობია) ევროპაშია წასული, ძირითადად გერმანიაში.

***

დრუზების რელიგიასისლამის ნაირსახეობად მიიჩნევენ, რაც აღარ არის სწორი. მათი რელიგია საკმაოდ დაშორდა ისლამის ძირითად დოგმებს და მისგან ცალკე უნდა განიხილებოდეს. თვით არაბულენოვანი დრუზები თავს მუსლიმებისაგან განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფად მიიჩნევენ.

XI საუკუნეში *დრუზობა*, თავიდან როგორც მუსლიმური სექტა, გამოეყო *ისმაილიტობას* (შიიტობის ნაირსახეობას) და ჩამოყალიბდა ფატიმიანი ხალიფა *ალ-ჰაქიმ ბი ამრ-ილაჰის* გარშემო: დრუზები მას დღემდე მიიჩნევენ ღვთიური სულის განსახიერებად.

თანამედროვე დრუზები არ ასრულებენ ჰაჯს მექაში, არ ასრულებენ ნამაზს (დღეში ხუთჯერ ლოცვას), არ იცავენ სხვა ისლამურ წესებსაც. ამის გამო სუნიტი მუსლიმები დრუზებს მწვალებლებად მიიჩნევდნენ და მკაცრად სდევნიდნენ მათ.

დევნის გამო დრუზები იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინათ ჯერ *ხერმონის მთის* ხეობებში (ამჟამად მთის ახლომდებარე ტერიტორია – *გოლანის მაღლობი* – ისრაელის მიერაა ოკუპირებული) და შემდეგ – *ლიბანის მთების* სამხრეთ ნაწილში. მთიან მხარეში, მრავალ მტერთან ბრძოლის პროცესში, დრუზებმა გამოიმუშავეს მკაცრი თემობრივი სოლიდარობა (ქორწინება უცხოტომელთან აკრძალულია) და კარგ მეომრებად ჩამოყალიბდნენ.

ჯამში ერთ მილიონზე მეტი დრუზი ცხოვრობს ლიბანში, სირიაში, ისრაელსა და იორდანიაში. ლიბანში ისინი გარკვეული პოლიტიკური გავლენით სარგებლობენ მთიან რაიონებში, მაგრამ

მთლიანად ქვეყანაში მათი როლი დიდი არაა. სირიაში ისინი მოსახლეობის 3-4 პროცენტს შეადგენენ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ სირიაში, *ჯაბალ ალ-დურუზის* (დრუზების მთის) რაიონში – 80 პროცენტს, სადაც ფაქტობრივი კულტურული ავტონომია აქვთ.

ისრაელის მიერ 1981 წელს ანექსირებული გოლანის მაღლობის დრუზთა ოთხი სოფლის 20 ათასამდე მცხოვრები დღემდე უარს აცხადებს ისრაელის მოქალაქეობის მიღებაზე და სირიისადმი ლოიალობას იჩენს, იმ იმედით, რომ ეს მიწა სირიას დაუბრუნდება.

ამის საპირისპიროდ, საკუთრივ ისრაელის 17 სოფელში მცხოვრები დრუზები (ჯამში 120 ათასამდე) ისრაელის სახელმწიფოს ერთგულია. ისინი იბრძოდნენ ებრაელების მხარეს 1948-1949 წლების ომში, დღემდე მსახურობენ ისრაელის არმიაში და მაღალ თანამდებობებსაც აღწევენ.

***

ისრაელის ქალაქ ხაიფაში მდებარეობს ყველაზე ახალგაზრდა მონოთეისტური რელიგიის – **ბაჰაიზმის** – ცენტრი. ბაჰაიზმი, მართალია, ირანში იღებს სათავეს, მაგრამ იქ და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში, ცოტა მიმდევარი ჰყავს: მისი მიმდევრები (რამდენიმე მილიონი) გაფანტულები არიან ამერიკიდან პაპუა-ახალ გვინეამდე. მას საქართველოშიც კი ჰყავს მიმდევრები.

ბაჰაიზმს შეცდომით მიიჩნევენ ისლამის განშტოებად. მართალია, ის ისლამის წიაღში ჩაისახა, მაგრამ ამჟამად სავსებით დამოუკიდებელი რელიგიაა. შედარებისათვის: ქრისტიანობაც თავდაპირველად იუდაიზმის განშტოებად აღიქმებოდა (მათ შორის, რომაელთა მიერ), მაგრამ, საბოლოოდ, ცალკე რელიგიად ჩამოყალიბდა.

თემა 8
დემოკრატიზაციის გამოწვევები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

დემოკრატიის ინდექსი, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს ორგანიზაცია The Economist Intelligence Unit 10-ბალიანი სისტემით აფასებს 167 სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობას ხუთი მაჩვენებლის მიხედვით: ესენია საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური კულტურა, სამოქალაქო თავისუფლებები. ამ მაჩვენებლების ერთობლიობით 2017 წელს „სრული დემოკრატიის" კატეგორიაში ყოფნა დაიმსახურა მხოლოდ 19 ქვეყანამ: ესენია სკანდინავიის, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ახლო აღმოსავლეთიდან ამ კატეგორიაში არცერთი ქვეყანა არ ხვდება ხოლმე.

იმავე წლის მონაცემებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მხოლოდ ისრაელი და კვიპროსი მოხვდნენ მეორე, „არასრულფასოვანი დემოკრატიის" (Flawed democracy) კატეგორიაში, სხვათა შორის, აშშ-სთან ერთად, რომელიც იქ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ პირველი კატეგორიიდან ჩამოქვეითდა.

თურქეთი, ლიბანი, პალესტინის ტერიტორიები და ერაყი „ჰიბრიდული რეჟიმის" მქონე ქვეყნებად დასახელდა. 2017 წელს ამ კატეგორიის ქვეყნების პირველ სამეულში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე ბევრად წინ (სრულ სიაში თურქეთი მე-100) იყო საქართველო (სრულ სიაში – 79-ე), რომელსაც ბოლო წლებში დემოკრატიის შკალაზე საკმაოდ დიდი აღმასვლა ჰქონდა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დანარჩენი ათი ქვეყანა ბოლო, „ავტორიტარული რეჟიმის", კატეგორიაში მოხვდა (ჩინეთთან, რუსეთის ფედერაციასთან, აზერბაიჯანთან ერთად).

საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი იორდანიასა და ეგვიპტეში შეფასდა 3,58 ქულით 10 შესაძლებლიდან, ბაჰრეინში – 0,83 ქულით, კატარში, ომანში, გას-ში, ირანში, იემენში, საუდის არაბეთში, სირიაში – 0 ქულით.

ცხრილ 1.1-ში მოცემულია რეგიონის ქვეყნების რიგითი ადგილი დემოკრატიის განვითარებისა და მასმედიის თავისუფლების დონის ინდექსებში.

დემოკრატიის დონით რეგიონის არაბულ ქვეყნებს შორის ყველაზე წინწასული ქვეყანა – ლიბანი – მსოფლიოში 104-ე ადგილზეა. დანარჩენი არაბული ქვეყნებიც სიის მეორე ასეულში აღმოჩნდნენ, ხოლო დემოკრატიული დასავლეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი რეგიონში, საუდის არაბეთი, 159-ე ადგილზეა 167 ქვეყანას შორის.

ცხრილი 1.1.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რიგითი ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის დემოკრატიის განვითარებისა და მასმედიის თავისუფლების დონით

ქვეყანა	დემოკრატიის დონე (167 ქვეყანას შორის, 2017)	მასმედიის თავისუფლების დონე (180 ქვეყანას შორის, 2018)
ისრაელი	30	87
კვიპროსი	35	25
თურქეთი	100	154
ლიბანი	104	100
პალესტინის ტერიტ.	108	134
ერაყი	112	160
იორდანია	117	132
ქუვეითი	119	105
ეგვიპტე	130	161
კატარი	133	125
ომანი	143	127
ბაჰრეინი	146	166
ირანი	150	164
იემენი	156	167
საუდის არაბეთი	159	169
სირია	166	177

წყაროები: The Economist Intelligence Unit: Democracy Index, 2017;
Reporters without Borders, 2018

რაც შეეხება პოლიტიკური პლურალიზმისა და პოლიტიკური კულტურისათვის აუცილებელ მოვლენას – მასმედიის (ბეჭდურისა და ელექტრონულის) თავისუფლებას, როგორც ცხრილიდან ჩანს, კვიპროსს თუ არ ჩავთვლით, რეგიონში ის ძალიან ჩამორჩება მაღალ მსოფლიო სტანდარტს.

შედარებისათვის: საქართველო ამ რეიტინგის 67-ე ადგილზე იყო, ანუ ისრაელზე მაღლა, ხოლო რუსეთის ფედერაცია 148-ე ადგილზე, ანუ კატარზე დაბლა.

თურქეთში ბოლო დრომდე არსებობდა თავისუფალი მედია, მაგრამ 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქი ჟურნალისტები მძიმე ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ, ბევრი მათგანი დააპატიმრეს და ქვეყანა მსოფლიო რეიტინგში 154-ე ადგილზე დაეშვა.

კატარი, საიდანაც მაუწყებლობს 1996 წელს დაარსებული ცნობილი ტელეარხი «ალ-ჯაზირა", მასმედიის თავისუფლებით მსოფლიოში 125-ე ადგილზეა. სინამდვილეში «ალ-ჯაზირას" არაბულენოვანი რედაქცია, რომელიც სხვა არაბული ქვეყნების მთავრობებს თამამად აკრიტიკებს, თავისი ქვეყნის ხელისუფლების კრიტიკას ვერ ბედავს.

2011 წლის «არაბული გაზაფხულის» დროს მოსახლეობის საპროტესტო მობილიზაციაში სოციალურმა ქსელებმა უდიდესი როლი ითამაშა. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი რეჟიმისათვის ასეთი საფრთხე, როგორც ჩანს, უკვე XX საუკუნის ბოლოს გახდა ნათელი. საუდის არაბეთი 2000 წლიდან ეწევა ინტერნეტის ინფორმაციის ფილტრაციას: სპეციალური სამსახური ბლოკავს ზოგიერთ ვებ-საიტს, და არა მარტო ისეთს, რომლებიც ასე თუ ისე უნივერსალური მორალის პოზი-ციიდანაც მიუღებელია (ვთქვათ, პორნოგრაფიული ხასიათისაა), არამედ ისეთსაც, რომლებსაც ხელისუფლება ისლამური კულტურისათვის მიუღებლად და საკუთარი თავისათვის სახიფათოდ მიიჩნევს. ისე, ამ ფილტრის გატეხვა არც თუ ძვირი ჯდება!

რეგიონის სხვა ქვეყნებშიც არის ასეთივე ფილტრაციის მცდელობა. 2016-2017 წლებში "ანტიტე-რორიზმისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ" მიღებულმა კანონებმა იორდანიისა და გას-ის მთავრობებს საბაბი მისცეს ინტერნეტით თავისუფალი საუბრის კრიმინალიზაცია მოეხდინათ.

მაგრამ სოციალური მედია – ფეისბუქი, ტვიტერი, სკაიპი და ა.შ. – ყველა ვერ დაიბლოკება! ინტერნეტი ახლა მასობრივად გამოიყენება და თითქმის ყველა-სათვის ხელმისაწვდომია.

დემოკრატიის დასავლურ მოდელს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად უახლოვდება **კვიპროსის რესპუბლიკა** (იგულისხმება კუნძულის სამხრეთი ნაწილი) და ისრაელის სახელმწიფო: ორივეგან მოქმედებს კანონის უზენაესობა. კვიპროსის რესპუბლიკა 2004 წლიდან ევროკავშირის წევრი გახდა.

ორივე ამ ქვეყნის შემთხვევაში შეუძლებელია გამოირიცხოს ბრიტანული გავლენა. კვიპროსი დიდხანს იყო დიდი ბრიტანეთის გვირგვინის კოლონია და იქ ინგლისური სამართალი (English Law) მოქმედებდა.

ბრიტანული მანდატის მეოთხედ საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე პალესტინაში, რომლის ტერიტორიაზეც 1948 წელს შეიქმნა ისრაელი, ერთდროულად ხდებოდა ბრიტანული დემოკრატიის მოდელის დანერგვა და ევროპიდან ებრაული მოსახლეობის მოდინება. ამ ხალხისათვის უფრო ადვილი აღმოჩნდა ევროპული ტიპის მმართველობის წესებთან შეგუება, ვიდრე ადგილობრივი არაბული მოსახლეობისათვის.

მაგრამ ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოც კი, როგორიც **ისრაელია**, სადაც არსებობს კანონის უზენაესობა და ტარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, მთლიანად ვერ ჯდება დემოკ-რატიის დასავლურ მოდელში. ისრაელს დღემდე არა აქვს ერთიანი, დაწერილი კონსტიტუცია (თუმცა მის ნაცვლად მოქმედებს 14 ორგანული კანონი); ის არ შეერთებია გაეროს «ადამიანის უფ-ლებათა საყოველთაო დეკლარაციას»; რელიგია ოფიციალურად არაა გამოყოფილი სახელმწი-ფოსაგან და რელიგიური პარტიების გავლენა ისრაელის პოლიტიკაში საკმაოდ დიდია; მისი «კანონი დაბრუნების შესახებ" ეთნოცენტრულია, ანუ ის მხოლოდ ერთ ეთნორელიგიურ ჯგუფს, ებრაელებს, ანიჭებს ქვეყანაში კანონიერი იმიგრაციის უფლებას: ისრაელში ამ კანონის არსებობას ლოგიკურად

ასაბუთებენ – ის ფაქტობრივად ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა და ეს კანონი აბათილებს ქვეყანაში არაბული უმრავლესობის წარმოქმნის საფრთხეს ("დემოგრაფიულ მეტოქეობაზე" იხ. თავი 5). 2018 წლის 19 ივლისს ქნესეთმა ეს ფაქტობრივი ვითარება დააკანონა და ოფიციალურად გამოაცხადა ისრაელი "ებრაულ სახელმწიფოდ", რომლის მიხედვითაც ეროვნული თვითგამორკვევის უფლება იქ მხოლოდ ებრაელ ხალხს აქვს. კანონმა ებრაული, როგორც ოფიციალური ენა, არაბულ ენაზე მაღლა დააყენა (იქამდე, ფორმალურად მაინც, ორივე ენა თანაბარ დონეზე იდგა). ამ კანონის მიღებამ ძალიან გააღიზიანა ისრაელის არაბული უმცირესობა, რომელიც მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს, ხოლო ევროკავშირმა შეშფოთება გამოხატა.

თურქეთს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ევროპული დემოკრატიის მოდელთან დასაახლოვებლად. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. თურქეთის რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტი, გაიმიჯნა ხელისუფლების შტოები. კანონის უზენაესობის პრინციპი ძირითადად დაცულია. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლიდან არმიის ხელმძღვანელობამ "სეკულარიზმის პრინციპებისათვის ღალატის" საბაბით ოთხი მთავრობა გადააყენა, ამ გადატრიალებებმა, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, ქვეყნის მოდერნიზაცია არსებითად ვერ შეაფერხა. 2011 წლიდან კი არმიის გენერალიტეტი საბოლოოდ დაექვემდებარა სამოქალაქო ხელისუფლებას. თურქეთში ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება.

მაგრამ რეგიონის ისლამურ ქვეყნებში ყველაზე მოდერნიზებული და ვესტერნიზებული თურქეთიც კი, რომელსაც ევროკავშირში გაერთიანება სურს, ჯერ ვერ იქცა «ნამდვილ ევროპად" (სტამბოლიდან აღმოსავლეთით მაინც!). ბოლო წლებში (განსაკუთრებით, 2014 წლიდან) მიმდინარე პროცესები მიგვითითებს ავტორიტარული ხელისუფლების განმტკიცებაზე და კანონის უზენაესობის ერთგვარ ეროზიაზე. 2016 წლის ივლისიდან ადამიანის უფლებების დაცვა იქ დაბალ დონეზე დავიდა, იმედი ვიქონიოთ -- დროებით (იხ. თემა 19 "თურქეთი").

ისლამურ რესპუბლიკა ირანში ტარდება ფორმალურად კონკურენტული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და არსებობს გარეგნულად დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგრამ ქვეყანაში არის თეოკრატია: არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ხელისუფლებაზე მაღლა კონსტიტუციურად დგას აიათოლების ვიწრო წრის მიერ უვადოდ არჩეული ქვეყნის უმაღლესი სულიერი ლიდერის (რაჰბარის) ხელისუფლება.

ირანის შემთხვევაში ძნელია ლაპარაკი რეალურ დემოკრატიაზე, როდესაც არჩევნების წინ იცხრილება კანდიდატთა სია, ან ადამიანის უფლებათა პრიმატზე, როდესაც დადგენილია და მკაცრად იცავენ ქალის ტანსაცმლის ნორმებს. სასამართლო ხელმძღვანელობს VII-VIII საუკუნეში ჩამოყალიბებული შარიათის* წესებით. მართალია, შარიათის ყველაზე ოდიოზურ წესებს იქ ნაკლებად იცავენ, მაგრამ დამნაშავისათვის თავის მოკვეთის ნაცვლად (რასაც საუდის არაბეთში დღემდე ახორციელებენ) ჩამოხრჩობის გამოყენება დიდი ვერაფერი შეღავათია.

ირანის მოსახლეობა, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების ახალგაზრდობა, მზადაა ცვლილებებისათვის, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ირანის დემოკრატიზაციის პროცესი სეკულარული მოდელით წარიმართოს (შაჰის დროს სეკულარიზმი კი იყო, მაგრამ დემოკრატია – არა). ამ სახელმწიფოს შინაგანი სტაბილურობა, განსაკუთრებით კი წონასწორობა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სფეროში, დამოკიდებულია შიიტური ისლამის გამაერთიანებელ ფაქტორზე. ამიტომაც ლიბერალიზაციის პროცესები უახლოეს მომავალში, ალბათ, არ გასცდება რელიგიურ ჩარჩოებს.

რაც შეეხება **არაბულ ქვეყნებს,** აქ ერთი გამოცდილი ბრიტანელი დიპ-ლომატის მოსაზრებას მოვიშველიებ. სერ ჯეიმზ კრეგი, რომელიც ელჩად მუშაობდა რამდენიმე არაბულ ქვეყანაში, XX საუკუნის დამდეგს წერდა:

> «1945 წელს არაბულ სამყაროში დემოკრატია საერთოდ არ იყო, ახლაც ის პრაქტიკულად არ არსებობს, თუ აქა-იქ მის რაღაც ციმციმს არ ვიგულისხმებთ. არაბულ ქვეყნებში ხდებოდა რევოლუციები და ჩნდებოდა ე.წ. „პროგრესული რეჟიმები", რომლებიც არაფრით სჯობდა ტრადიციულ რეჟიმებს. სირიისა და ერაყის რევოლუციათა წყებით გამოწვეული ახალი ჩაგვრა და თვალთმაქცობა სხვა ქვეყნებში ცვლილებების დაწყების ხალისს აქრობდა.
> დასავლური დემოკრატია, რასაკვირველია, პანაცეა არ არის, მით უმეტეს ახლო აღმოსავლეთში..... მაგრამ დასავლეთში არის თავისუფალი პრესა: თუნდაც ზედაპირული და ვულგარული, ის მაინც იმას ამ¬ბობს, რასაც ფიქრობს. ამის საპირისპიროდ, არაბული პრესა მორჩილი და თავაზიანია. ის ან ოფიციალურ ცენზურას ექვემდებარება, ანდა თვითცენზურას ეწევა. ხალხი მიჩვეულია, რომ გაზეთის მოწინავე ან სატელევიზიო ახალი ამბების პირველი ინფორმაცია უნდა მიეძღვნას პრეზიდენტის მიერ ახალი ხიდის გახსნას. დასავლეთში რიგით ადამიანს ემსახურება სასამართლო, პრესა, ომბუდსმენი, პარლამენტის წევრი. არაბულ სამყაროში კი დაჩაგრული კაცის ერთად¬ერთი იმედია საჩივრის დაწერა უფროსის სახელზე. ეს სისტემა კი არასაიმედოა. ბოლო 50 წელიწადში ცოტა რამ შეიცვალა. პოლიტიკური ოპონენტების თვითნებური დაპატიმრება ჩვეულებრივი პრაქტიკაა ბევრ ქვეყანაში».

სერ ჯეიმზის მიერ თითქმის ორი ათეული წლის წინ გამოთქმული მო¬საზ¬რე-ბები ჯერაც ძალაში რჩება. არაბულ მონარქიებში დემორატიად აცხადებენ არჩევნების ჩატარებას, რაც დემოკრატი-ზაციის პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმია, ხოლო იმ სახით, როგორც ეს "არჩევნები" ტარდება, დემოკრატია ამ რეგიონში დიდხანს ვერ გაიფურჩქნება!

თავისებურ "საპარლამენტო არჩევნებს" ატარებენ **ომანი, ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი, იორდანია, გაერთიანებული არაბული საამიროები** (*გას*-ი). არც ერთ მათგანში არჩევნების გზით მთავრობა არ იცვლება.

საინტერესო მაგალითია ***გას***-ი, სადაც 2011 წლის სექტემბერში საკონსულტაციო ფუნქციის მქონე *ფედერალური ეროვნული საბჭოს* 20 წევრის არაპირდაპირ, საარჩევნო კოლეგიების მეშვეობით, არჩევნებში მონაწოლეობის მისაღებად (ასამბლეის დანარჩენი 20 წევრი მმართველი ამირების მიერ ინიშნება!) დაუშვეს 129 274 ადამიანი. ეს დიდ პროგრესად იქნა მიჩნეული: 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ 6 ათასი ადამიანი შეარჩიეს!

2015 წელს არჩევნებში 224 279 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მაშინ როდესაც *გას*-ში იმ წელს 9 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. მართალია, მათი უმეტესობა შრომითი მიგრანტი, რომელ-თაც სამოქალაქო უფლებები არ ჰქონდათ, არც აქვთ და არც ექნებათ. მაგრამ ადგილობრივი ელექ-ტორატიც კი რიცხობრივად ხუთ-ექვსჯერ სჭარბობს იმათ, ვისაც შეზღუდული «პარლამენტის" არჩევას ანდობენ.

სხვა ქვეყნებში საარჩევნო გარემო დიდად განსხვავებული არაა.

საუდის არაბეთში, სადაც პოლიტიკური პარტიები არც არსებობს, საპარლამენტო არჩევნები არასოდეს ჩატარებულა: იქ არ თვალთმაქცობენ მაინც! მუნიციპალურ არჩევნებში კი მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. როდესაც 2016 წელს ქალებსაც მისცეს მუნიციპალურ არჩევნებში პასიური მონაწილეობის უფლება, ანუ მათაც შეეძლოთ ეყარათ კენჭი და არჩევის შემთხვევაში შესულიყვნენ მუნიციპალურ საბჭოებში, ამომრჩეველთან შეხვედრის უფლება ამ გამბედავ ქალებს არ დართეს: მათ ნაცვლად საარჩევნო კამპანია ნდობით აღჭურვილ მამაკაცებს უნდა ეტარებინათ.

დემოკრატიის გაშარჟების გარდა სხვა სახელს ამ ვითარებას ვერ მოუძებნი! მაგრამ, საუდის არაბეთის შემთხვევაში ესეც კი დიდ პროგრესად იქნა მიჩნეული.

არაბულ რესპუბლიკებში არჩევნები უმეტესწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს. არჩევნები, როგორც პოლიტიკურ პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება, იქ ფიქციაა. მაგალითად, 2002 წელს **ერაყის** საპრეზიდენტო არჩევნებში სადამ ჰუსეინმა ხმების 100 (ასი!) პროცენტი მიიღო! მართალია, 21-ე საუკუნეში ის შედარებით უფრო სამართლიანი არჩევნები ტარდება.

2018 წელს **ეგვიპტეში** ძალიან საინტერესო "არჩევნები" ჩატარდა: ინკუმბენტი (მოქმედი) პრეზიდენტის აბდ ელ-ფათაჰ სისის ერთად¬ერთი კონკურენტი თავს მოქმედი პრეზიდენტის მომხრედ აცხადებდა!

ლიბანის შემთხვევაში არჩევნებს თემობრივი ხასიათი აქვს: ამ სახელმწიფოში განსაზღვრულია რელიგიური თემის წარმომადგენლობა პარლამენტში; პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და ა.შ. წინასწარ დადგენილ სარწმუნოებას უნდა წარმოადგენდეს.

არაბული წარმოშობის ამერიკელმა პოლიტოლოგმა **შადი ჰამიდმა** ჟურნალ «Foreign Policy"-ში 2010 წელს გამოაქვეყნა სტატია საგულისხმო სათაურით *«არაბული არჩევნები: თავისუფალი, რაღაცით სამართლიანი... და უაზრო"* [Hamid, 2010]. ის განიხილავდა იმ წლის არჩევნებს ბაჰრეინში, იორდანიასა და ეგვიპტეში და მიდიოდა დასკვნამდე, რომ არჩევნები არის მხოლოდ ფასადი იმისათვის, რომ დასავლეთს თავი მოაწონონ: ოპოზიციის წარმატების შემთხვევაშიც კი გადამწყვეტი სიტყვა დესპოტურ აღმასრულებელ ხელისუფლებას დარჩება-ო.

ჰამიდმა მაგალითად მოიყვანა **ბაჰრეინი**, სადაც, ჩემი მხრიდან დავძენ, საპარლამენტო არჩევნები 2002 წლიდან ტარდება; არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებსაც აქვთ, მათ შორის პასიური უფლებაც კი; ბაჰრეინის ამირამ, რომელმაც იმავე 2002 წელს თავი კონსტიტუციურ მონარქად გამოაცხადა, გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, მოიწვია მამამისის დროს განდევნილი პოლიტიკური ოპოზიცია.

ისე გამოდის, რომ კოლექტიურ "დასავლეთს" ბაჰრეინი «დემოკრატიის შუქურად" უნდა გამოეცხადებინა!

რეალობა კი ცოტა სხვაა. 2010 წლის ბაჰრეინის საპარლამენტო არჩევნების შესახებ შადი ჰამიდი წერდა:

> «კენჭისყრა საკმაოდ თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდა, მონაწილეობდა ელექტორატის 67 პროცენტი, ოპოზიციამ მოიპოვა საპარლამენტო ადგილების 45 პროცენტი. ჟღერს, როგორც ნამდვილი დემოკრატია… მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპოზიციას გამარჯვების საშუალებას მისცემენ, საფუძ-ვლები არ შეიცვლება. საპარლამენტო კანონმდებლობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრეინი და იორდანია, შეიძლება დაიბლოკოს დანიშნული ზედა პალატის მიერ. და თუ ამანაც არ გაჭრა, მეფეს *[სხვა ქვეყნებში – პრეზიდენტს: რ.გ.]* და მის მინისტრებს – მეფის მიერვე დანიშნულებს – შეუძლიათ ჩაკლან მათთვის სახიფათო კანონი".

იმავე ბაჰრეინში, 2011 წლის «არაბული გაზაფხულის" დროს, მოსახლეობის დიდი ნაწილის (ისინი შიიტები არიან) გამოსვლები მმართველმა რეჟიმმა (ის სუნიტებს წარმოადგენს) ჩაახშო უხეში ძალის გამოყენებით და საუდის არაბეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით.

დასავლეთის რეაქცია კი დემოკრატიული გამოხატვის ძალადობრივად ჩახშობაზე მეტის¬მეტად თავშეკავებული იყო, რაც მარტივად აიხსნება გეოპოლიტიკის მოშველიებით: სახალხო გამოსვ-

ლების უკან დასავლეთმა (უპირველესად, ვაშინგტონმა) დაინახა ირანის აიათოლების ხელი და, რაც მთავარია, ბაჰრეინში მდებარეობს აშშ-ის მე-5 ფლოტის ბაზა.

საერთაშორისო საზოგადოების ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ 2016 წელს ბაჰრეინის მთავრობამ დაშალა მთავარი ოპოზიციური ჯგუფი, დააპატიმრა ადამიანის უფლებათა დამცველნი, შეუზღუდა ანტიკორუფციულ აქტივისტებს საზღვარგარეთ მგზავრობის უფლება, ან სულაც მოქალაქეობა ჩამოართა მათ. 2018 წელს გამოგონილი საბაბით სამუდამო პატიმრობა მიესაჯა სამ პირს.

ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ახლო აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში შეიძლება მოასწავებდეს რადიკალური ისლამისტური პარტიების გამარჯვებას, რაც არც ადგილობრივი საზოგადოების სეკულარულ წრეებს უქადის მშვიდ ცხოვრებას და რასაც არც დასავლეთში ელიან დიდი სიხარულით. ასე მოხდა, მაგალითად, ეგვიპტეში 2011 წელს.

არჩევნებში წარმატების შედეგად რელიგიურ პარტიებსა და მოძრაობებს მართლაც შეუძლიათ დაამკვიდრონ სამართლიანობა და მაღალი ზნეობა, მაგრამ VII-VIII საუკუნეების ნორმებით. ევროპული ტიპის დემოკრატიულ ფასეულობებთან საერთო მათ არაფერი ექნებათ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიზაციის პროცესის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია. აუცილებელია ხელისუფლების შტოების მკაფიო გამიჯვნა, განსაკუთრებით კი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. საჭიროა ადამიანის უფლებათა სრული სპექტრის დაცვა (ქალის უფლებებს შარიათი ძალიან თავისებურად «იცავს"). არანაკლებ აუცილებელია კანონის უზენაესობა ყველა-სათვის, მათ შორის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის, ხელისუფლების ტრანს-არანტულობა (გამჭვირვალობა), მისი ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე. რეალურად ასეთი რამ ახასიათებს მხოლოდ ისრაელსა და კვიპროსს. ბოლო დრომდე, ეს თურქეთისთვისაც იყო დამახასიათებელი, თუმცა 2017 წლის რეფერენდუმის შემდეგ, რომელმაც უზომოდ გაზარდა პრეზი-დენტის ძალაუფლება, ძნელია თქმა, ასე დარჩება თუ არა: უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

მონარქიებში, სადაც მონარქი მინიმალურად ან საერთოდ არაა შეზღუდული, ასეთი კი რეგიონში შვიდია, ხელისუფლების შტოების გამიჯვნაზე მსჯელობას აზრი არა აქვს. სირია «მემკვიდრეობითი რესპუბლიკაა" და დიდად არ განსხვავდება მონარქიისაგან.

დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთის უდიდეს ნაწილში გაჭირდება, რადგან იქ არსებობს ერთპიროვნული მართვისადმი, ქვეყნის მეთაურის (მეფის, სულტნის, ამირას, შეიხის, პრეზიდენტის, უზენაესი სულიერი ლიდერის) სიტყვისადმი მორჩილების ძვალსა და რბილში გამჯდარი ტრადიცია. ისრაელის, კვიპროსისა და, ბოლო დრომდე, თურქეთის გარდა, ყველგან წინასწარ შეიძლება განისაზღვროს – ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში. ირანში არჩევნები ტარდება, მაგრამ, როგორც ითქვა, რელიგიური საბჭო წინასწარ ცხრილავს არჩევნებში (როგორც მეჯლისში/პარლამენტში, ისე პრეზიდენტის პოსტზე) მონაწილე კანდიდატების სიას.

ამიტომაც აღმოჩნდა გარდაუვალი სახალხო გამოსვლები არაბული დესპოტური რეჟიმების შესაცვლელად, თუმცა მალე ყველაფერი ისევ ძველ მოდელს დაუბრუნდა

«მომავალი არჩევნების მოლოდინი" მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებშია შესაძლებელი, სადაც ხალხს საშუალება აქვს საარჩევნო ყუთთან უთხრას უარი მთავრობას, რომელიც არ მოსწონს.

დემოკრატია გარედან არ მკვიდრდება, ის მხოლოდ შინაგანი განვი-თარების შედეგი შეიძლება იყოს. რეჟიმის ლიბერალიზაციის ცალკეული ფაქტები ვერ შექმნის ევროპული ტიპის დემოკრატიას რომელიმე ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში.

თუკი ადამიანები არ არიან მომზადებული თვითონ აიღონ ხელში საკუთარი საზოგადოების მართვა, დემოკრატიის გარედან დანერგვის ცდა უნაყოფოა. ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელნი, მის კმაყოფაზე არ უნდა იმყოფებოდნენ. ეს ნიშნავს საშუალო კლასის არსებობას, რომელიც არც ოლიგარქიას განეკუთვნება და არც პროლეტარიატს.

საშუალო კლასი კი ახლო აღმოსავლეთში ძალიან მცირერიცხოვანია და მისი ბევრი წარმომადგენელიც კი რელიგიური დოგმატების ტყვეობას ვერ სცდება.

თემა 9

შიდარეგიონული დაპირისპირების სოციო-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები (საუდის არაბეთისა და ირანის კონფლიქტის მაგალითზე)

ლიტერატურა: ბრიტანული მაუწყებლის -- ბი-ბი-სის -- მასალები (იხ. ქვემოთ)

Why Saudi Arabia and Iran are bitter rivals

By Jonathan Marcus, Defence and diplomatic correspondent
18 November 2017

Image copyrightREUTERS/EPAImage captionIran's Ayatollah Ali Khamenei (L) and Saudi Crown Prince Mohammed bin Salman

Saudi Arabia and Iran are at loggerheads. They have long been rivals, but it's all recently got a lot more tense. Here's why.

How come Saudi Arabia and Iran don't get along?

Saudi Arabia and Iran - two powerful neighbours - are locked in a fierce struggle for regional dominance. The decades-old feud between them is exacerbated by religious differences. They each follow one of the two main sects in Islam - Iran is largely Shia Muslim, while Saudi Arabia sees itself as the leading Sunni Muslim power.



This religious schism is reflected in the wider map of the Middle East, where other countries have Sunni or Shia majorities, some of whom look towards Iran or Saudi Arabia for support or guidance.
Historically Saudi Arabia, a monarchy and home to the birthplace of Islam, saw itself as the leader of the Muslim world. However this was challenged in 1979 by the Islamic revolution in Iran which created a new type of state in the region - a kind of theocracy - that had an explicit goal of exporting this model beyond its own borders.

In the past 15 years in particular, the differences between Saudi Arabia and Iran have been sharpened by a series of events.
The 2003 US-led invasion of Iraq overthrew Saddam Hussein, a Sunni Arab who had been a major Iranian adversary. This removed a crucial military counter-weight to Iranian influence in Iraq, which has been rising since then.

How have things suddenly got worse?

The strategic rivalry is heating up because Iran is in many ways winning the regional struggle.

In Syria, Iranian (and Russian) support for President Bashar al-Assad has largely routed rebel group groups backed by Saudi Arabia.

Saudi Arabia is trying desperately to contain rising Iranian influence and the militaristic adventurism of the kingdom's young and impulsive Crown Prince Mohammed bin Salman - the country's de facto ruler - is exacerbating regional tensions.

He is waging a war against rebels in Saudi Arabia's southern neighbour, Yemen, in part to stem perceived Iranian influence there, but after nearly three years this is proving a costly gamble.

Meanwhile in Lebanon, many observers believe the Saudis put pressure on the prime minister to resign in order to destabilise a country where Iran's ally, Shia militia group Hezbollah, leads a politically powerful bloc and controls a huge, heavily armed fighting force.

There are also external forces at play. Saudi Arabia has been emboldened by support from the Trump administration while Israel, which sees Iran as a mortal threat, is in a sense “backing” the Saudi effort to contain Iran.

The Jewish state is fearful of the encroachment of pro-Iranian fighters in Syria ever closer to its border.

Israel and Saudi Arabia were the two countries most resolutely opposed to the 2015 international agreement limiting Iran's nuclear programme, insisting that it did not go far enough to roll back any chance of Iran obtaining the bomb.

Who are their regional allies?

Broadly speaking the strategic map of the Middle East reflects the Shia-Sunni divide.



In the pro-Saudi camp are the other major Sunni actors in the Gulf - the UAE, Kuwait and Bahrain, as well as Egypt and Jordan.
In the Iranian camp is Syria's government, which has been strongly backed by Iran, and where pro-Iranian Shia militia groups, including the Lebanon-based Hezbollah, have played a prominent role in fighting predominantly Sunni rebel groups.
The Shia-dominated Iraqi government is also a close ally of Iran, though paradoxically it also retains a close relationship with Washington on whom it has depended for help in the struggle against so-called Islamic State.

How is the Saudi-Iranian rivalry being played out?

This is in many ways a regional equivalent of the Cold War, which pitted the US against the Soviet Union in a tense military standoff for many years.
Iran and Saudi Arabia are not directly fighting but they are engaged in a variety of proxy wars around the region.
Syria is an obvious example while in Yemen Saudi Arabia has accused Iran of supplying ballistic missiles fired at Saudi territory by the Shia Houthi rebel movement - **an incident which heightened the war of words between the two countries**.
But having become bogged down in Yemen and essentially defeated in Syria, Saudi Arabia seems to have its eye on Lebanon as the next proxy battlefield.
Lebanon risks being tipped into Syria-like chaos but few analysts see Saudi interests prevailing there.
Conflict in Lebanon could so easily draw in Israel in opposition to Hezbollah and this could lead to a third Israel-Lebanon war far more devastating than any of the previous encounters.
Some cynics wonder if the Saudi crown prince's game plan is to trigger a war between Israel and Hezbollah and deliver a heavy blow to the group this way!

Are we heading towards a direct war between Saudi Arabia and Iran?

So far Tehran and Riyadh have fought via proxies. Neither is really geared up for a direct war with the other but one successful rocket attack on the Saudi capital from Yemen could upset the apple cart.

Media captionWill Saudi Arabia go to war with Iran?

One obvious area where they could come into direct conflict is in the waters of the Gulf, where they face each other across a maritime border.
But here too fighting could risk a much broader conflict. For the US and other Western powers, freedom of navigation in the Gulf is essential and any conflict that sought to block the waterway - vital for international shipping and oil transportation - could easily draw in US naval and air forces.

Military might

	Iran	Saudi Arabia
Armed forces	563,000	251,500
Battle tanks	1,513	900
Artillery	6,798	761
Combat air	336 (Ageing fleet in need of repairs)	338 (Modern fleet inc 64 Typhoon jets)
Patrol boats	194	11
Submarines	21	-
Destroyers/ frigates	-	7

Source: IISS Military Balance 2017 BBC

For a long time the US and its allies have seen Iran as a destabilising force in the Middle East. The Saudi leadership increasingly sees Iran as an existential threat and the crown prince seems willing to take whatever action he sees necessary, wherever he deems it necessary, to confront Tehran's rising influence.
The danger is that Saudi Arabia's new activism is fast making it a further source of volatility in the region.

თემა 10
სამხედრო ბალანსი თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში

გერმანიის ქალაქ ბონში განლაგებულმა ერთმა კვლევითმა ცენტრმა – Bonn International Centre of Conversion – საკუთარი კრიტერიუმების გამოყენებით გამოთვალა გლობალური მილიტარიზაციის ინდექსი 2014 წლისათვის. მასში პირველ ადგილზე ისრაელი აღმოჩნდა, მეოთხეზე – იორდანია.

ახლო აღმოსავლეთის არცერთი სახელმწიფო ამ ინდექსში 26-ე ადგილს არ ჩამოსცილებია! სხვათა შორის, გერმანია ამ სიაში 97-ე ადგილზე აღმოჩნდა!
ახლო აღმოსავლეთის მილიტარიზაცია მართლაც თვალსაჩინოა და ეს სხვა წყაროებშიც ჩანს.

რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ხარჯები, ადგილი ამ ხარჯების მსოფლიო რეიტინგში და ამ ხარჯების წილი ქვეყნის მშპ-ში (2017 წ.)

ქვეყანა	სამხედრო ხარჯები მლრდ აშშ დოლარი	ადგილი მსოფლიო რეიტინგში	ხარჯების წილი მშპ-ში (%)
საუდის არაბეთი	69,4	3	10,0
თურქეთი	18,2	15	2,2
ისრაელი	16,5	16	4,7
ირანი	14,6	18	3,1
ომანი	8,7	26	12,1
ერაყი	7,4	28	3,9
ქუვეითი	6,8	29	5,8

წყარო: SIPRI 2018 FACT SHEET. Military expenditures 2017

ცხრილში არ მოხვდა გას-ი, რომლის სამხედრო ბიუჯეტი, SIPRI-ის (Stockhom International Peace Research Institute) შეფასებით, 25-28 მილიარდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ინფორმაცია მის შესახებ 2014 წლის შემდეგ მიუწვდომელია. არასანდოდ იქნა მიჩნეული მონაცემები კატარის, სირიისა და იემენის შესახებაც.

მშპ-ის 4,8 პროცენტს ხარჯავდა თავდაცვის მიზნისათვის იორდანია, 4,5 პროცენტს – ლიბანი, 4,1 პროცენტს – ბაჰრეინი. ეს ეროვნული პროდუქტის ძალიან დიდი წილი იყო, ხოლო ომანის 12,1 პროცენტი საერთოდ "მსოფლიო რეკორდს" წარმოადგენდა 2017 წელს!

ცხრილ 2.3-ში ვხედავთ, რომ ნატო-ს წევრი თურქეთი სავსებით აკმაყოფილებს ამ ორგანიზაციის მოთხოვნას – სამხედრო ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე ნაკლები არ ჰქონდეს. მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად ხმარდება ეს ბიუჯეტი ნატო-ს გაძლიერებას, როდესაც თურქეთს ბოლო წლებში გახშირებული კინკლაობა აქვს ნატო-ს წამყვან წევრ ქვეყნებთან – აშშ-სთან და გერმანიასთან; პერმანენტული დაძაბულობაა ნატო-ს წევრებს – საბერძნეთსა და თურქეთს – შორის; თურქეთი ატარებს სამხედრო ოპე¬რაციებს სირიაში, სადაც ამერიკის ინტერესებთან შეუთანხმებლობა აქვს; ანკარა გაურიგდა ნატო-ს სტანდარტებთან შეუთავსებელი S-400 ტიპის ანტისაჰაერო/ანტისარაკეტო სისტემების შეძენაზე ნატო-ს მთავარ მოწინააღმდეგეს – რუსეთს და ა.შ.

რეგიონში დღესაც არ არის გარანტირებული მშვიდობა. ასე მაგალითად,:

- ირანი განუწყვეტლივ და დაუფარავად ემუქრება ისრაელს;
- ისრაელი მეტს ხარჯავს შეიარაღებაზე, ვიდრე ირანი, რომელსაც თითქმის ათჯერ მეტი მოსახლეობა ჰყავს;
- საუდის არაბეთი და ირანი უპირისპირდებიან ერთიმეორეს;
- სირიაში 2011 წლიდან სამოქალაქო ომია, რომელშიც პირდაპირ ჩართულnი არიან თურქეთი, ირანი, რუსეთი, ხოლო არაპირდაპირ – აშშ, საუდის არაბეთი, კატარი;

- საუდის არაბეთი, გას-ი და ბაჰრეინი სამხედრო ოპერაციას ატარებენ სამოქალაქო ომში ჩაფლულ იემენში, სადაც, როგორც ჩანს, მათ წინააღმდეგ ირანული იარაღიც გამოიყენება;
- საუდის არაბეთი, გას-ი, ბაჰრეინი და ეგვიპტე უპირისპირდებიან კატარს, ჯერჯერობით მხოლოდ იარაღის ჟღარუნის ფონზე და ა.შ.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში, სადაც ისტორიულადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ძალას, არმიის შენახვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრეს ფუნქციად იქცა.

იმას, რომ ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვაზე ზრუნვა ზედმეტი არაა, ადასტურებს XX და XXI საუკუნეებში ამ რეგიონში გადახდილი მრავალი ომი.

ყველაზე ხშირი იყო **შ ი დ ა რ ე გ ი ო ნ უ ლ ი ო მ ე ბ ი** ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის: მათ იომეს 1948-1949, 1956, 1967, 1973, 1982 წლებში.

ცალკე ომად მიიჩნევენ 1967-1970 წლების «ომს გამოფიტვაზე" (War of Attrition), როდესაც ისრაელი და ეგვიპტე ერთიმეორეს საარტილერიო და სარაკეტო ზალპებს უცვლიდნენ სუეცის არხის გასწვრივ, რომელიც მაშინ ფაქტობრივი მიჯნა იყო საომარ მდგომარეობაში მყოფ მხარეებს შორის. იყო სპორადული საჰაერო და საზღვაო ბრძოლები, მაგრამ სახმელეთო შეტევაზე არც ერთი მხარე არ გადასულა. იმ დროს ეგვიპტეს საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა.

ისრაელის არმია 2000-2005 წლებში ებრძოდა პალესტინელთა «ალ-აკსას ინთიფადას» (აჯანყებას) «დასავლეთ ნაპირსა» და ღაზის სექტორში: იმ დროს ისრაელში ძალიან ბევრი ტერორისტული აქტი მოხდა პალესტინელი თვითმკვლელების თვითაფეთქების გზით.

2006 წელს ისრაელის არმია შეიჭრა ლიბანში შიიტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ჰეზბოლა-ს განადგურების მიზნით, მაგრამ იძულებული გახდა გამოსულიყო, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ჰეზბოლა-ს სრული განადგურება ლიბანის განადგურებასაც მოითხოვდა. გარდა ამისა, ჰეზბოლა-ს აღმოაჩნდა რაკეტები საკუთრივ ისრაელის ტერიტორიის დასაზიანებლად.

1980-1988 წლებში ხანგრძლივი ომი იყო ერაყსა და ირანს შორის.

1990 წელს ერაყი თავს დაესხა ქუვეითს და დაიპყრო ის, როგორც მალე გაირკვა – დროებით (იხ. ქვემოთ).

1975-1990 წლებში სამოქალაქო ომი იყო ლიბანში.

2014 წლიდან ერაყსა და სირიაში გამოცხადდა ე.წ. "ისლამური სახელმწიფო" რომელმაც ბრძოლით დაიკავა ამ ქვეყნების დიდი ტერიტორია და იქ ტერორის რეჟიმი შექმნა. ამ ტერორისტული წარმონაქმნის განადგურებაში რეგიონსგარე სახელმწიფოებიც ჩაერთვნენ.

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რამდენიმე შემთხვევაში რეგიონში ადგილი ჰქონდა **რ ე გ ი ო ნ ს-გ ა რ ე ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი** ს ინტერვენციას, თუნდაც "კეთილი მიზნებით" და არა ქვეყნის დაპყრობის მიზნით.

1991 წელს საერთაშორისო კოალიციამ აშშ-ის ხელმძღვანელობით და არაბული ქვეყნების მონაწილეობით ოპერაცია «უდაბნოს ქარიშხლის" მეშვეობით გაათავისუფლა ქუვეითი ერაყის ოკუპაციისაგან. ეს ოპერაცია აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1990 წელს ერაყმა, სადამ ჰუსეინის ხელმძღვანელობით, ერთ დღეში დაიპყრო ქუვეითი და მოახდინა მისი ანექსირება. აშშ-ში მიიჩნიეს, რომ არსებობს უფრო სამხრეთით, ანუ საუდის არაბეთში ერაყის შემდგომი ექსპანსიის დიდი რისკი. ერაყის არმია კოალიციამ დაამარცხა და მისი ძალები ერაყშიც შეიჭრენ, მაგრამ მალევე გამოვიდნენ იქიდან.

2003 წლის მარტში ამერიკულმა და ბრიტანულმა არმიებმა სხვა 30 ქვეყნის ძალების, ძირითადად სიმბოლური, მონაწილეობით, დაიწყეს ოპერაცია «თავისუფლება ერაყს!" და სამ კვირაში დაამხეს ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი. ამერიკულმა სამხედრო კონტიგენტმა ერაყი მხოლოდ 2011 წელს დატოვა, თუმცა ამერიკელი სამხედრო მრჩევლები იქ ისევ რჩებიან.

2011 წლიდან სირიის ხელისუფლება სამხედრო ძალით ახშობდა თავისი მოქალაქეების სახალხო გამოსვლას, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. სირიის კონფლიქტში აქტიურად ჩაერთნენ თურქეთი და ირანი, ხოლო 2015 წლიდან რეგიონს გარედან სირიის მთავრობის მიერ მოწვეული რუსეთის სამხედრო ნაწილები.

2014 წლიდან ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე "ისლამურ სახელმწიფოს" ებრძვის ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების კოალიციის ავიაცია და სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც ერაყის ტერიტორიაზე მოქმედებენ ამ ქვეყნის მთავრობის მოწვევით.

***

რაც შეეხება არმიების პირადი შემადგენლობისა და რეზერვის რიცხობრივ მაჩვენებლებს, მათ შესახებ მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 2.4

ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის არმიის რიცხოვნობა (ათასებში)

ქვეყანა	მუდმივი არმია	რეზერვი	რიგი სამხედრო ძალის რანჟირში
ეგვიპტე	450,0	254,0	12
ერაყი	273,2	_	47
თურქეთი	421,0	379,0	9
იორდანია	100,7	60,0	76
ირანი	540,0	350,0	13
ისრაელი	176,5	445,0	16
ლიბანი	61,4	15,0	106
საუდის არაბეთი	214,5	_	26
სირია	304,0	314,5	49
ქუვეითი	15,5	24,0	88

წყაროები: Military Threats to Israel. Middle East Military Balance (Updated: August 2013); Intelligence on Iran: 2018 Military Strength Ranking

ცხრილის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიები (იგულისხმება, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობა) აქვთ ირანს, ეგვიპტეს და თურქეთს. სირიის არმიაც საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზე რჩება ის რიცხვობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ცხრილ 2.4-შია მოყვანილი და 2013 წელს განეკუთვნება (მას შემდგომ განვლილ 5-6 წელიწადში არსებითად ისინი არც შეიცვლებოდა). არმიების სიდიდე წინასწარ დადგენილი მაჩვენებელია, მაგრამ მათი დაკომპლექტება ყველგან თანაბარი ეფექტიანობით არ ხდება. არმიების მითითებული რეზერვიც (ისრაელის გარდა) რეალურად ნაკლებია.

სამხედრო ბალანსის შეფასებისას რიცხვობრივ მაჩვენებლებზე უფრო მნიშვნელოვანი ხშირად არის საბრძოლო ტექნიკის ხარისხობრივი მახასიათებლები, სამხედრო პერსონალის გაწვრთნის დონე, არმიის მოტივაცია და საბრძოლო სულისკვეთება, რაც ცხრილებში ძნელად თუ აისახება.

ასე მაგალითად, 2003 წელს ერაყის რიცხობრივად დიდმა არმიამ ვერ გაუძლო ამერიკის უფრო მცირე არმიის უზუსტესი სამხედრო ტექნიკის შეტევას და პრაქტიკულად უბრძოლველად დაიშალა: რიგითმა შემადგენლობამ და ოფიცრების უმრავლესობამ სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა და მოსახლეობაში გაიფანტა. სხვა საქმეა, რომ ერაყის არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნაწილი პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება და, მოგვიანებით, "ისლამურ სახელმწიფოს" შეუერთდა.

რაც შეეხება ამავე ცხრილში 2.4 მოყვანილ "რიგს სამხედრო ძალის ინდექსში", ესაა ორგანიზაცია Global Firepower-ის მიერ 55 ინდივიდუალური ფაქტორის გამოყენებით 136 სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის გათვლილი რიგითი ადგილი 2018 წლისათვის [https://www.globalfirepower.com. countries listing.asp].

ბუნებრივია, მსოფლიოში პირველ სამ ადგილს დიდი უპირატესობით ფლობენ აშშ, ჩინეთი და რუსეთი.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, სამხედრო ძალით იქ პირველია თურქეთი (მსოფლიოში ინდექსში ის მე-9 ადგილზეა), მე-2 – ეგვიპტე (მსოფლიოში მე-12), მე-3 ირანი (მსოფლიოში მე-13), მე-4 ისრაელი (მსოფლიოში მე-16), რაც ამ პატარა ქვეყნის დიდი მიღწევების მაჩვენებელია. საუდის არაბეთი რეგიონში მე-5 ადგილზეა (მსოფლიოში 26-ე). დანარჩენი ქვეყნები მსოფლიო ინდექსში 47-106 ადგილებზე აღმოჩნდნენ. შედარებისათვის: სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ინდექსით აზერბაიჯანი 53-ე ადგილზეა, საქართველო 82-ეა, სომხეთი 84-ე.

ცხრილი 2.5 იძლევა ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო შეიარაღების რაოდენობრივი შედარების საშუალებას.

ცხრილი 2.5 ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო შეიარაღება

	ისრაელი	ეგვიპტე	თურქეთი	საუდ. არაბ.	გას-ი	ერაყი	კატარი
საბრძ.თვითმფ.	278	397	274	305	121	48	9
სატრანს.თვითმფ.	27	58	79	38	24	12	10
საბრძ. შვეულმფრ.	45	100	75	48	89	82	19
საჰაერო დაცვ. ბატ.	14	4	[?]	2	2	24	10
წყალქვეშა ნავი	5	4	13	0	0	0	0
წყალზედა ხომალდი	41	52	49	20	35	1	3
არტილერია	350	565	455	161	165	24	22
ტანკი	1030	1050	1280	833	502	255	70
ქვეითთა საბრძ.მანქ.	385	[300?]	4000+	1850	682	1000+	188

ცხრილი 2.5 შედგენილია აშშ კონგრესის კვლევითი სამსახურის ერთ ანალიზურ მასალაში მოყვანილ სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით [Thomas, 2017]. "თომასის მასალას" ეფუძნება სამხედრო ბალანსის საკითხზე ქვემოთ მოტანილი თითქმის ყველა რაოდენობრივი ინფორმაცია.

"თომასის მასალა", თავის მხრივ, მრავალ წყაროს ეფუძნებოდა, რომელიც, ხშირად, შეფასებითია: ზოგი ტიპის იარაღი, რომელიც ქვეყნებს რეალურად აქვთ, ღია წყაროებში არც არის წარმოდგენილი.

თომასის ანალიზურ მასალაში არ არის ინფორმაცია ირანის შესახებ და ირანის შეირაღებაზე სხვა წყაროებზე დაყრდნობით ვისაუბრებ.

ცხრილი 2.5 გვაძლევს საშუალებას გარკვეულად შევადაროთ რეგიონის შვიდი, ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალის მქონე, ქვეყნის შეიარაღება 2016-2017 წლებში.

მაგალითად, ვხედავთ, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებს და ერაყს არა აქვთ წყალქვეშა ნავები (ჯერჯერობით?); მათვე ნაკლები აქვთ ტანკები. შეიძლება შედარდეს არტილერია, რადგან რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანა (თურქეთის გარდა) შეიარაღებულია 150 მმ-იანი თვითმოძრავი ამერიკული ჰაუბიცებით.

მაგრამ საბრძოლო თვითმფრინავებისა და საჰაერო თავდაცვის ბატარეების რაოდენობის შედარებამ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს. მაგალითად, ისრაელს აქვს ყველაზე სრულყოფილი და თანამედროვე ავიაცია და საჰაერო თავდაცვა (რომელთა ბატარეების რაოდენობა უცნობია) და, რაც მთავარია, საუკეთესო მფრინავები, მაშინ როცა სხვა ქვეყნებს შეიძლება მეტი თვითმფრინავი ჰქონდეთ, მაგრამ კარგი მფრინავები აკლდეთ.

რეგიონის სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ცხრილში არ მოხვდნენ, საგრძნობ სამხედრო ძალას ფლობს სირია. დანარჩენი ქვეყნების სამხედრო პერსონალი და შეიარაღება შედარებით მცირეა.

ცხრილში 2.5 ასახული არაა, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ომის პირობებში მკვეთრად იზრდება სარაკეტო ტექნიკის მნიშვნელობა. ამის გამო ზოგიერთი ტერიტორია თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას კარგავს.

მაგალითად, 2000 წელს ისრაელის მთავრობა, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გამოცდილი გენერალი ეჰუდ ბარაკი, სავსებით სერიოზულად აწარმოებდა არაპირდაპირ (ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონის მეშვეობით) მოლაპარაკებას სირიელებთან მათთვის გოლანის მაღლობის დაბრუნების თაობაზე. ისრაელის პრესაში გამოდიოდნენ ავტორიტეტული სამხედრო პირები, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ გოლანის მაღლობს აღარა აქვს სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ბევრად უფრო ეფექტიანია დაკვირვება კოსმოსიდან «ჯაშუში თანამგზავრების" მეშვეობით, ხოლო მომავალ ომებში გადამწყვეტი უპირატესობა ექნება რაკეტულ ძალებს. რაკეტა კი გოლანის მაღლობის წინაღობას ადვილად გადაუვლის.

საბოლოო ჯამში, ეს მოსაზრებები მხედველობაში არ იქნა მიღებული და ისრაელი განაგრძობს გოლანის მაღლობის ოკუპაციას, რადგან მისი შენარჩუნება ისრაელს უპირატესობას ანიჭებს: აქედან ადვილია სირიის არმიის გადაადგილებაზე დაკვირვება, ხოლო დამასკომდე სულ 70 კილომეტრია.

ძვირადღირებული უცხოური სამხედრო ტექნიკის შეძენა ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ არმია ძლიერდება: ტექნიკას ესაჭიროება მოვლა და, რაც მთავარია, სწორი ექსპლუატაცია კარგად გაწვრთნილი და თავდადებული სპეციალისტების მიერ. რამდენად «თავდადებული" იქნება დაქირავებული უცხოელი მფრინავი? რეგიონის ზოგ მცირე, მაგრამ კარგად შეიარაღებულ ქვეყანაში კი მაღალი კლასის მფრინავები და მერაკეტეები თითზე ჩამოსათვლელი ჰყავთ. არის ცნობა, რომ 2018-2019 წლებში კატარი თავის სამხედრო-საჰაერო ფლოტს 9 თვითმფრინავიდან ზრდის ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული წარმოების უახლესი მოდელების 80 ან მეტ ავიაგამანადგურებლამდე. ერთი ჟურნალისტი კი სწორ შეკითხვას სვამს: "ვინ უნდა მართოს ეს სამხედრო ტექნიკა?"

სამხედრო ტექნიკა ყოველთვის ვერ თამაშობს შემაკავებელი ფაქტორისა და «საფრთხობელას» როლს უფრო ძლიერი მეტოქისათვის. ერაყმა 1990 წლის აგვისტოს ერთ დღეში დაიკავა ქუვეითი, რომელსაც უხვად ჰქონდა იმ დროს საუკეთესო საბრძოლო თვითმფრინავები და სხვა საბრძოლო ტექნიკა, მაგრამ ვერ გამოიყენა ის.

სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი ქვეყნები ყიდულობენ ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკას ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, ჩინეთში, რაც მწარმოებელი ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში დასაქმებას და კარგ საექსპორტო შემოსავალს უზრუნველყოფს.

ამერიკაში სამხედრო საჭურვლის შეძენისათვის ძირითადი შეზღუდვა არაბულ ქვეყნებს ექნებათ ის, რომ ზოგიერთი უახლესი ტიპის პროდუქციას აშშ ამ რეგიონში ექსკლუზიურად მიჰყიდის მხოლოდ ისრაელს.

სამხედრო ტექნიკა სწრაფად ძველდება, განსაკუთრებით მორალურად: ყოველწლიურად ჩნდება უკეთესი ტექნიკა, რომელიც ძველ იარაღს უსუსურად აქცევს. ახალი ტექნიკის საზღვარგარეთ შესაძენად საჭიროა ბევრი ფული, ანდა დიდი კაპიტალდაბანდება სამამულო სამხედრო მრეწველობასა და სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში.

შეიარაღებით თვითუზრუნველყოფის ერთადერთი სწორი გზით წავიდა **ი ს რ ა ე ლ ი,** რომელმაც თავისი დაარსების დღიდან (1948 წ.) გააკეთა აქცენტი ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიის შექმნაზე. იგი არ ზოგავდა სახსრებსა და ენერგიას შესაბამისი სამეცნიერო-ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად. შედეგიც სათანადოა: ყველა ომში, რომელიც ისრაელს უწარმოებია თავის მეზოლებ-თან, მისი ტექნიკური უპირატესობა აშკარა იყო. საკუთარ არმიას ისრაელის სამხედრო მრეწველობა უზრუნველყოფს თითქმის ყველა ტიპის უახლესი მაღალხარისხოვანი იარაღით – პისტოლეტიდან ტანკამდე, უპილოტო თვითმფრინავიდან ბალისტიკურ რაკეტამდე.

1950-იანი წლების დასაწყისიდან ისრაელის არმიის ფეხზე დასაყენებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ გერმანიის რეპარაციებსა და საფრანგეთის ტექნიკურ დახმარებას. ამერიკული სამხედრო დახმარება 1960-იან წლებში დაიწყო და 2010-იან წლებში წლიურად 3,1 მილიარდი აშშ დოლარს უდრის.

ისრაელი ეწევა შეიარაღების ცალკეული სახეობის (მაგალითად, წყალქვეშა ნავების, უახლესი ავიატექნიკის) იმპორტს, მათ შორის მხოლოდ ამერიკიდან შემოაქვს სამხედრო ავიაციისა და სარაკეტო/ანტისარაკეტო ტექნოლოგია. 1984 წლიდან ისრაელს, ერთადერთს იმ სახელმწიფოებს შორის, ვინც ღებულობს სამხედრო დაფინანსებას აშშ-საგან, აქვს უფლება გამოიყენოს ამ დაფი-ნანსების ნაწილი საკუთარ ქვეყანაში შეიარაღების წარმოებისთვის. ამერიკული დახმარების მიმღები ყველა სხვა სახელმწიფო კი ვალდებულია ეს დახმარება მთლიანად დახარჯოს ამერიკაშივე წარმოებულ პროდუქციაზე. ისრაელის კომპანიები არიან ამერიკული ავიამრეწველობის ერთ-ერთი გიგანტის, Lockheed Martin-ის, პარტნიორები უახლესი ტექნოლოგიის, მეხუთე თაობის F-35 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავის განვითარებაში. აშშ-ის არმიის შემდეგ ისრაელის არმია მეორეა, რომელმაც შეიარაღებაში მიიღო ასეთი თვითმფრინავები და 2018 წელს უკვე გამოსცადა ისინი სირიის ციდან ირანული სამხედრო ბაზების განადგურებისას.

ამავე დროს, ისრაელი საკუთარი სამხედრო ნაწარმის 60 პროცენტს საზღვარგარეთ ყიდის და სამხედრო პროდუქციის ექსპორტით მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შედის. 2008-2015 წლებში მან დადო 12,8 მილიარდი დოლარის კონტრაქტები თავისი იარაღის ექსპორტზე, ძირითა-დად ინდოეთში. ის აწვდის იარაღს აზერბაიჯანსაც.

ისრაელის არმიაში სავალდებულო სამწლიან სამხედრო სამსახურს გადის 18 წელს მიღწეული მამრობითი სქესის ყველა ებრაელი მოქალაქე: არაბ მოქალაქეებს არმიაში არ იწვევენ, თუმცა დრუზებსა და ნეგევის უდაბნოს არაბ ბედუინებს შეუძლიათ ნებაყოფლობით შეუერთდნენ არმიის

გარკვეულ (არა მაღალტექნოლოგიურ) ნაწილებს. ულტრაორთოდოქსი ებრაული ოჯახების შვილები ბოლო დრომდე სამხედრო სამსახურისაგან თავისუფლდებოდნენ.

სავალდებული ორწლიან სამსახურს ისრაელის არმიაში ებრაელი ქალებიც გა-დიან. მართალია, მათი საგრძნობი ნაწილი არმიაში საკანცელარიო სამუშაოს ასრულებს, მაგრამ ესეც აუცილებელი საქმეა.

ისრაელის მუდმივი არმია დიდი არაა: მასზე უფრო მრავალრიცხოვანი არმიები ჰყავთ თურქეთს, ირანს, ეგვიპტეს, სირიას, ერაყს. მაგრამ ისრაელის არმიის რეზერვი მუდმივ შემადგენლობაზე სამჯერ მეტია: ყველა მამაკაცი რეზერვისტი (საბრძოლო ნაწილებში 49 წლამდე, ზურგის ნაწილებში – 54 წლამდე) ყოველწლიურად 3-6 კვირის განმავლობაში გადის წვრთნას და მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებშიც.

ნატო-ს წევრი **თ უ რ ქ ე თ ი ს** არმია პირადი შემადგენლობის სიდიდით ამ ბლოკის არმიებს შორის მეორეა ამერიკულის შემდეგ. რეგიონში ის რიცხობრივად მესამე ადგილზეა, ირანისა და ეგვიპტის არმიების შემდეგ, მაგრამ შეიარაღებისა და გაწვრთნილობის დონით უძლიერესი. თურქი ოფიცრები და გენერლები ხშირად სამხედრო პირების ოჯახებიდან არიან გამოსულნი და მათთვის ჯარში სამსახური მემკვიდრეობითი საქმეა. სამხედრო სამსახური ამ ქვეყანაში ძალიან პრესტიჟულ საქმიანობად ითვლება.

უკვე 1920-30-იან წლებში თურქეთში დაიწყო სამხედრო მრეწველობის შექმნა. 1952 წელს ნატო-ში შესვლამ შეაფერხა ეს პროცესი, რადგან ქვეყანა გადადიოდა ნატო-ს სტანდარტზე და მისი არმია ძირითადად მარაგდებოდა ამერიკული ან დასავლეთევროპული სამხედრო საჭურვლით.

მკვეთრი შემობრუნება სამამულო ტექნიკის წარმოებისაკენ 1974 წელს დაიწყო. იმ წელს თურქეთის არმიამ ნატო-ს მოკავშირეების დაუკითხავად მოახდინა კვიპროსის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაცია, რასაც მოჰყვა აშშ კონგრესის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია და ემბარგო თურქეთისათვის იარაღისა და სათადარიგო ნაწილების მიყიდვაზე. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საგარეო გამოწვევამ შიდა მობილიზაცია გააძლიერა. 1979 წელს, თურქეთში ყოფნისას, ამ სტრიქონების ავტორს ერთმა თურქმა ინჟინერმა უამბო, რომ 1974 წელს სამხედრო საწარმოების სპეციალისტები შეიკრიბნენ და გაარკვიეს, რომ თურქეთში შეუძლიათ ტანკებისა და თვითმფრინავებისათვის ბევრი ისეთი სათადარიგო ნაწილის დამზადება, რომლებსაც იქამდე ამერიკიდან ღებულობდნენ. თუმცა ამერიკული ემბარგო საკმაოდ მალე მოიხსნა, თურქეთმა დააჩქარა ადგილობრივი სამხედრო მრეწველობის განვითარება, ჯერ სახელმწიფო სექტორში, მოგვიანებით კი კერძო სექტორშიც.

1985 წელს დაარსებული "თავდაცვითი მრეწველობის ქვესამდივნო" კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს თურქეთის ასობით კომპანიას, რომლებიც სამხედრო დანიშნულების პროდუქციას ქმნიან. ქვეყანა ახლა აწარმოებს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო პლატფორმებს ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების (ქსმ), თვითმფრინავების, შვეულმფრენების, უპილოტო საფრენი აპარატების (დრონების), სამხედრო ხომალდებისათვის. იწარმოება სარაკეტო ტექნიკა, ვითარდება სამხედრო დანიშნულების ელექტრონიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. თურქეთი იარაღის საკმაოდ მსხვილი ექსპორტიორიც კი გახდა სპარსეთის ყურის ქვეყნებში (საუდის არაბეთი, გას-ი, კატარი), აზერბაიჯანსა და თურქმენეთში, მალაიზიასა და პაკისტანში.

2016 წლიდან სირიაში სამხედრო ოპერაციების ნატო-სთან და, კონკრეტულად, აშშ-სთან შეუთანხმებლად ჩატარება თურქეთს გაუჭირდებოდა, მას რომ საკუთარი სამხედრო მრეწველობაც არ ჰქონდეს, თუმცა მისი ავიაცია ძირითადად ამერიკულია, ხოლო საუკეთესო ტანკები – გერმანული.

2017 წელს თურქეთის არმიას შეიარაღებაში ჰქონდა 238 ცალი F-16 და 36 ცალი F-4 ამერიკული თვითმფრინავი, 55 ცალი ამერიკული "კობრა"-ს ტიპის და 20 თურქული წარმოების შვეულმფრენი, თურქულ-გერმანული წარმოების 13 წყალქვეშა ნავი, 17 ფრეგატი და 23 სწრაფშემტევი კატარღა, ფრანგულ-თურქული წარმოების 9 რაკეტმზიდი კორვეტი, 1280 გერმანული და ამერიკული ტანკი და 4 ათასზე მეტი თურქული, ბრიტანული და რუსული ქსმ და ჯავშანტრანსპორტიორი. მისი თვითმოძრავი არტილერია ადგილობრივი და სამხრეთ კორეული წარმოებისაა.

ირანის შეიარაღებული ძალები რეგიონში რიცხობრივად ყველაზე დიდია. ის შედგება რეგულარული არმიისაგან (დაახლოებით 350 ათასი მოსამსახურე სახმელეთო ნაწილებში, 18 ათასი – ფლოტში და 30 ათასი – საჰაერო ძალებში) და "ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსისაგან" (125 ათასი სახმელეთო ნაწილებში, 20 ათასი – ფლოტში და უცნობი რაოდენობა – საჰაერო და სარაკეტო ძალებში). "ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსი" (ფაქტობრივად – გვარდია), წარმოადგენს ელიტურ ნაწილს და უშუალოდ ემორჩილება უმაღლეს რელიგიურ ხელმძღვანელობას. გვარდია აკონტროლებს მუდმივად მოქმედ 100 ათას მოხალისესაც – "ბასიჯი"-ებს [Katzman, 2018].

ისლამურ რევოლუციამდე (1979 წ.) ირანის არმიის შეიარაღების უდიდესი ნაწილი ამერიკული ან ევროპული იყო. რევოლუციასთან ერთად ჩაიშალა მცდელობა დაეწყოთ რაკეტების ერთობლივი წარმოება ისრაელთან ერთად, რომელსაც შაჰის დროინდელ ირანთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

თეირანის ისლამური ხელისუფლების მიერ ამერიკისა და ისრაელის ძირითად მტრებად გამოცხადებამ და ერაყ-ირანის ომმა (1980-1988) აიძულა ირანი დაეჩქარებინა ადგილობრივი სამხედრო შეიარაღების წარმოება. მისი ნაწილი საბჭოთა და ჩინური იარაღის ასლებს წარმოადგენდა.

"ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსს" დაევალა ირანის სამხედრო მრეწველობის რეორგანიზაცია. ახლა ეს ქვეყანა ძირითადად აკმაყოფილებს საკუთარი არმიის მოთხოვნილებას და აწარმოებს საკუთარ ტანკებს, ჯავშანტექნიკას, წყალქვეშა ნავებს, ბალისტიკურ რაკეტებს. 2018 წლის 21 აგვისტოს "თავდაცვითი მრეწველობის დღისადმი" მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე ირანმა წარმოადგინა საკუთარი წარმოების ავიაგამანადგურებელი "ქოუსარი", რომელიც ძალიან წააგავს 1970-იანი წლების ამერიკულ F-5-ს.

ირანის შეიარაღებაში 2017 წელს იყო 1650 ტანკი (მათ შორის 420 რუსული წარმოების T-72; ძირითად საბრძოლო ტანკ "Zulfikar"-ს რუსული წარმოების ძრავები აქვს); 100-ზე მეტი მცურავი საშუალება, მათ შორის 4 კორვეტი, წყალქვეშა ნავები; 330 თვითმფრინავი და შვეულმფრენი და სხვ. [Katzman, 2018].

2003 წლიდან ირანის არმიის (უფრო ზუსტად, "რევოლუციის მცველთა კორპუსის") შეიარაღებაშია ჩრდილო-კორეული რაკეტის პროტოტიპზე შექმნილი ადგილობრივი წარმოების ორსაფეხუროვანი რაკეტა «შაჰაბ-3", რომლის საოპერაციო რადიუსია 1280 კმ. მომდევნო წლებში შეიქმნა რაკეტის გაუმჯობესებული ვარიანტები და მათ ირანი ბოლო წლებში ცდიდა. ირანში შეიქმნა შორსმოქმედი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებიც, რომლებიც რეალურ საფრთხეს შეუქმნიან სპარსეთის ყურესა

და ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში შემოსულ უცხო ქვეყნების ავიამზიდებს. 2017 წლის 27 ივლისს ირანულმა რაკეტა "სიმორგ"-მა დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაიყვანა ხელოვნური თანამგზავრი.

უახლეს სამხედრო ტექნიკას დასავლეთში ირანი ვერ ყიდულობს, რადგან მისთვის სამხედრო დახმარებას უკვე ორმოციოდე წელია კრძალავს ამერიკის ადმინისტრაცია. 2006-2015 წლებში ის საერთაშორისო სანქციების ქვეშაც იმყოფებოდა და რუსეთმაც კი შეაჩერა მისთვის S-300 ანტი-საჰაერო/ანტისარაკეტო სისტემების მიწოდება. როდესაც 2015 წელს გადა-წყდა ირანისათვის სანქციების მოხსნა, რუსეთმა დაუყოვნებლივ განაახლა სამხედრო კონტაქტები მასთან და 2018 წლი-სათვის მიაწოდა ზემოხსენებული სისტემები.

ეგვიპტეს გამოკვეთილი მოწინააღმდეგე რეგიონში არა ჰყავს: ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულება 1979 წლიდან მოქმედებს და მის დარღვევას არცერთი მხრიდან არ უნდა ველოდეთ. მიუხედავად ამისა, ეგვიპტის არმიის ზომა (450 ათასი ჯარისკაცი) და შეიარაღება თვალსაჩინოა.

მის სამხედრო ავიაციას შეადგენს 28 ცალი ამერიკული F-4, 210 ცალი ამერიკული F-16, 6 ფრანგული ღაფალე, 63 ფრანგული Mirage, 38 რუსული MiG-21 და სხვ. მისი ოთხივე წყალქვეშა ნავი საბჭოთა წარმოებისაა; Mistral-ის ტიპის ორი უახლესი შვეულმფრენმზიდი საფრანგეთში აშენდა. ათასზე მეტი მისი ტანკი ამერიკულია. ეგვიპტეს აქვს საკუთარი სამხედრო მრეწველობაც.

2008-2015 წლებში ეგვიპტემ დადო 30 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტები სამხედრო შეიარაღების შეძენაზე, ძირითადად ამერიკულ კომპანიებთან, თუმცა ამას გარკვეული პრობლემებიც ახლდა თან. 2015 წელს ამერიკამ განუახლა მას 1,3 მილიარდი დოლარის ღირებულების ყოველწლიური სამხედრო დახმარება, რომელიც 2013 წლიდან დაბლოკილი იყო. ეგვიპტემ იმავე წელს მიიღო ამერიკაში ადრე შეკვეთილი 8 ცალი F-16 ტიპის ავიაგამანადგურებელი და მეტს ელოდება.

საუდის არაბეთში 2017 წელს დაარსდა Saudi Arabian Military Industries (SAMI), რომელმაც, მთავრობის განცხადებით, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვითი შეიარაღების ნახევრის წარმოება 2030 წლისათვის.

ამასთან, ფაქტია, რომ რეგიონში იარაღის უდიდესი იმპორტიორი საუდის არაბეთია. 2009-2017 წლებში პრეზიდენტების ობამას და ტრამპის ადმინისტრაციებმა აცნობეს აშშ კონგრესს (რომელმაც უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი სერიოზული საგარეო-სავაჭრო შეთანხმება, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში) საუდის არაბეთისათვის ჯამში 120 მილიარდი დოლარის შეიარაღების მი-ყიდვის განზრახვის შესახებ. 2017 წელს თავისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი პრეზიდენტმა ტრამპმა დაიწყო საუდის არაბეთში და იქ დიდი ზარზეიმით აღინიშნა, რომ ამერიკა ჯამში 110 მილიარდი დოლარის შეიარაღებას მიჰყიდის არ-რიადს. რეალურად ეს უფრო პიარ-კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა, რადგან ხსენებული თანხა მოიცავდა ადრე დადებულ კონტრაქტებსაც.

საუდის არაბეთი მართლაც დიდძალ თანხას ხარჯავს სამხედრო შეია-რაღებაზე. გარდა ამერიკული იარაღის მწარმოებელი კომპანიებისა, რომლებისთვისაც საუდის არაბეთი გასაღების ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია, ამ, ნავთობით მდიდარი, ქვეყნის მთავრობის მილიტარისტული განწყობით სარგებლობენ ევროპული (განსაკუთრებით, ბრიტანული), რუსული, კანადური და ჩინური კომპა-ნიებიც. მაგალითად, 2017 წელს საუდიანთა მეფე სალმან ბინ აბდულაზიზის პეკინში ვიზიტისას ხელმოწერილი იქნა 60 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტები, მათ შორის

სამეფოში ჩინური ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც მაღალი ხარისხის უსა-ს (დრონებს) გამოუშვებს. სხვათა შორის, ამერიკამ უარი უთხრა საუდის არაბეთს უახლესი ტექნოლოგიის დრონების ტექნოლოგიის გადაცემაზე.

სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნებიც იარაღდებიან. ეს განსაკუთრებით ითქმის **გაერთიანებულ არაბულ საამიროებზე** და **კატარზე**.

გას-ში 2014 წლიდან მოქმედებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამხედრო საწარმოების კონგლომერატი Emirates Defence Industries Company (EDIC) და მას აქვს იმედი მნიშვნელოვანწილად დააკმაყოფილოს საკუთარი არმიის მოთხოვნილება საჭურველზე.

ამასთან საამიროები უახლესი სამხედრო ტექნიკის დიდი იმპორტიორია. 2014 წელს საამიროები რეგიონში მეორე ადგილზე იყო სამხედრო ხარჯებით (24,4 მილიარდი აშშ დოლარი) საუდის არაბეთის შემდეგ. მულტიმილიარდიანი ხარჯების ტენდენცია გრძელდება.

იმის გამო, რომ აშშ-ში მოქმედებს კანონები ისრაელის სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებაზე, ვაშინგტონმა უარი უთხრა გას-ს უახლესი ამერიკული F-35 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავის მიყიდვაზე. საამიროებმა ასევე ვერ მიაღწია იარაღით აღჭურვილი უსა-ს (drones) მიღებას ამერიკიდან. ამიტომაც საამიროები რუსული და ჩინური კომპანიების მიმართ შებრუნდნენ: გას-ის არმიის შეიარაღებაში უკვე არის ჩინური წარმოების სადაზვერვო დრონები, რომლებიც ადგილზე აღჭურვეს რაკეტებით.

გას-ისათვის იარაღის მთავარი მიმწოდებელი ჯერჯერობით მაინც ამერიკაა. საამიროების შეიარაღებაშია 79 ამერიკული F-16 და 47 ფრანგული Mirage-ის ტიპის თვითმფრინავები, ასამდე ამერიკული და ევროპული შვეულმფრენი, 502 ფრანგული და იტალიური საბრძოლო ტანკი, თურქული, ფრანგული, ესპანური და ფინურ-პოლონური წარმოების 682 ქსმ და ა.შ.

გას-ის არმია საგარეო სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობს, კერძოდ იემენში, თავის მოკავშირე საუდის არაბეთთან და ბაჰრეინთან ერთად.

პატარა **კატარი,** რომელიც ორ მძლავრ და ერთმანეთთან დაპირისპირებულ სახელმწიფოს – ირანსა და საუდის არაბეთს – შორის მდებარეობს, ამჯობინებს უფრო შორეული ზესახელმწიფოს, ამერიკის, გარანტიებს დაეყრდნოს. სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება აშშ-სთან კატარმა 1992 წელს დადო და 2013 წელს ის 10 წლით გააგრძელა. კატარში მდებარეობს ამერიკის ალ-უდეიდის საავიაციო ბაზა. კატარშია განლაგებული აშშ ცენტრალური სარდლობის კომბინირებული საჰაერო ოპერაციების ცენტრი. სწორედ ასეთი მფარველობა აძლევს კატარს საშუალებას მეტნაკლებად თანაბარ დონეზე ესაუბროს საუდის არაბეთის სამეფოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას.

ქვეყნის მცირე ზომის მიუხედავად ფინანსურად მდიდარი კატარის სამხედრო შეიარაღება საკმაოდ შთამბეჭდავი ხდება. 2018-2019 წლებში მას უნდა მიეღო 36 ცალი Boeing F-15QA ტიპის ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების პირველი პარტია. გარდა ამისა, შეკვეთილი იყო ბრიტანული Typhoon-ის ტიპის 24 ავიაგამანადგურებელი, უახლესი ფრანგული Dassault Rafale-ის ტიპის 12 თვითმფრინავი, ოთხი კორვეტი (სამხედრო ხომალდი) – იტალიაში და სხვ.

თემა 11
მასობრივი განადგურების იარაღი ახლო აღმოსავლეთში

მასობრივი განადგურების იარაღის (მგი), ანუ ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და ზოგი სხვა ტიპის იარაღის რეგიონში გავრცელების შესახებ ბევრი იწერებოდა.

2003 წლის დამდეგს, ერაყში ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ოპერაციის წინ, მსოფლიო მედიაში მრავლად ქვეყნდებოდა მასალა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მგი-ს არსებობის ან მათი წარმოების შესაძლებლობის შესახებ. როდესაც დასავლეთის პრესა აქვეყნებდა იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთაც ჰქონდათ, აქტიურად ავითარებდნენ ან გააჩნდათ საშუალება, ეწარმოებინათ ბირთვული იარაღი, რეგიონის ქვეყნებს შორის ახსენებდნენ ისრაელს, ირანსა და ერაყს; ქიმიური იარაღის შემთხვევაში – ისრაელს, ირანს, ერაყს, ეგვიპტესა და სირიას; ბიოლოგიური იარაღის შემთხვევაში – ისრაელს, ირანს, ერაყსა და ეგვიპტეს.

ქვეყნის შეტანა ასეთ «შავ სიაში» არ ნიშნავს, რომ მას მართლაც აქვს, ანდა ის მზადაა აწარმოოს *მგი.*

ფაქტია, რომ ერაყ-ირანის 1980-1988 წლების ომის დროს ერაყის დიქტატორს სადამ ჰუსეინს ნამდვილად გააჩნდა ქიმიური იარაღი, რომელიც მან ბარბაროსულად გამოიყენა ირანის არმიისა და საკუთარი ქვეყნის ეთნიკურად ქურთი მოქალაქეების წინააღმდეგ.

მაგრამ 2003 წელს ზემოხსენებული "შავი სიიდან" ერაყი უნდა გამოერიცხათ, რადგან 1998 წელს მას ოფიციალურად დაუდასტურდა ქიმიური იარაღის სრული განადგურება და იმ დროისათვის არ გააჩნდა არც ბირთვული და არც ბიოლოგიური იარაღი: დეტალური შემოწმების შემდეგ 2003 წლის დასაწყისში ეს დაადასტურეს გაეროს ექსპერტებმა 2005 წელს აშშ-ცა და ბრიტანეთიც იძულებული გახდნენ ეცნოთ, რომ "ერაყს მგი მართლაც არ ჰქონია!" მაგრამ 2003 წელს ჯორჯ ბუშმა (უმცრ.) და ტონი ბლერმა სამხედრო მოქმედება ერაყის წინააღმდეგ დაიწყეს იმ საბაბით, რომ "ერაყში მგი დანამდვილებით არსებობს".

"შავ სიაში" რჩებიან ისრაელი, ირანი, ეგვიპტე და, ბოლო დრომდე, სირია, რომელსაც მართლაც ჰქონდა ქიმიური იარაღი. 2013 წელს სირიის მთავრობა შეუერთდა ქიმიური იარაღის კონვენციას და გასანადგურებლად გადასცა მისი მარაგი. 2017 წლის აპრილში და 2018 წელსაც სირიის მიმართ არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ მისმა სამთავრობო არმიამ შეინარჩუნა ქიმიური იარაღის ნაწილი და პერიოდულად იყენებს მას, მაგრამ დანამდვილებით ამის დამტკიცება გაძნელდა.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას (ძალაშია 1970 წლიდან) რეგიონის ქვეყნებიდან არ შეერთებია მხოლოდ ისრაელი. ირანი ამ ხელშეკრულების წევრია.

ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენციას (ძალაშია 1975 წლიდან) ეგვიპტემ და სირიამ ხელი მოაწერეს, მაგრამ მისი რატიფიკაცია არ მოუხდენიათ, ისრაელი კი კონვენციას არ შეერთებია.

ქიმიური იარაღის კონვენციას (ძალაშია 1997 წლიდან) ჯერ არ შეერთებია მხოლოდ ეგვიპტე.

რეგიონის ყველა სხვა სახელმწიფო სამივე კონვენციის წევრია.

ის ქვეყნები, რომლებიც არ შეუერთდნენ ზემოხსენებულ შეთანხმებებს, არც მიიჩნევენ აუცილებლად მათ შესრულებას. ზოგი ქვეყნის შემთხვევაში კი, კონვენციებზე ხელმოწერის მიუხედავად, არსებობს ეჭვი, რომ ის ფარულად არღვევს მათ.

მგი-ს ფლობა ანიჭებს სახელმწიფოს სამხედრო უპირატესობას იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც ეს იარაღი არა აქვთ, ანდა აყენებს თანაბარ დონეზე ასეთი იარაღის მფლობელ სახელმწიფოსთან. **ბირთვული იარაღი შემაკავებელ როლს ასრულებს.** ასე მაგალითად, ბირთვული იარაღის ფლობაში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაახლოებითი რაოდენობ-რივი თანასწორობა (პარიტეტი) ის შემაკავებელი საშუალება აღმოჩნდა, რომლის გამოც «ცივი ომი" არ გადაზრდილა «ცხელ ომში".

ბირთვული იარაღის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური ელექტროსადგურის (აეს-ი) მიერ ნახმარი საწვავი. ამიტომაც აეს-ებისა და თუნდაც სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ბირთვული რეაქტორების მშენებლობას მეტოქე ქვეყნებში გაფაციცებით ადევნებენ თვალს.

ისრაელის ერთ გაზეთში გამოქვეყნდა 1967 წლის «ექვსდღიანი ომის» დაწყების ყურადსაღები ვერსია:

«1964 წელს ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი აფრთხილებდა ამერიკის ადმინისტრაციას, რომ 'ისრაელის ბირთვული პოტენციალის განვითარება შეიძლება გახდეს დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომის მიზეზი რეგიონში'. ამერიკელებმა დაამშვიდეს ეგვიპტის დიქტატორი: ისრაელი არ ავითარებს და არ აწარმოებს სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ იარაღს [რაც, სამწუხაროდ, სიცრუე აღმოჩნდა: რ.გ.].

ამის შემდეგ გაფრთხილება და მუქარა ნასერის მხრიდან შეწყდა, მაგრამ განგაში დიმონას ბირთვული ცენტრის გამო ისრაელის მთავრობის თავისებურ ფობიად იქცა. ყველასთვის ნათელი იყო: ბირთვული ცენტრი მოწყვლადია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ის შედარებით ახლოს მდებარეობს ეგვიპტის საზღვართან.

ეს შიში (მით უმეტეს, რომ დიმონაზე ეგვიპტის თავდასხმის ალბათობა ძალიან დიდად იქნა მიჩნეული) გახდა ისრაელის მიერ წინმსწრები დარტყმის განხორციელების ძირითადი საფუძველი" [Хаимович, 2002, 3].

ისრაელს აქვს ასეთი პრობლემის წინმსწრები სამხედრო მეთოდით გადაწყვეტის გამოცდილება. 1981 წლის 7 ივნისს მისმა საბრძოლო თვითმფრინავებმა გადაუფრინეს იორდანიას, დაბომბეს ერაყში, ქ. ბაღდადთან, ფრანგების მიერ მშენებარე მსუბუქი წყლის ბირთვული რეაქტორის მქონე აეს-ი და უკან უდანაკარგოდ დაბრუნდნენ. ერაყში, რომელიც ირანთან ომში იყო ჩაბმული, თავიდან ეს ირანის ავიაციის თავდასხმად მიიჩნიეს!

ერაყმა ვეღარ შეძლო აეს-ის აღდგენა. ზოგი ისრაელელი პოლიტოლოგი ამტკიცებს, რომ სწორედ ამის გამო, ათი წლის შემდეგ, ერაყთან საერთაშორისო კოალიციის ომის დროს, ერაყის რეჟიმი არ აღმოჩნდა აღჭურვილი ბირთვული იარაღით.

ანალოგიური რამ ისრაელმა გააკეთა სირიის შემთხვევაში, როდესაც 2007 წლის 6 სექტემბერს დაბომბა მის აღმოსავლეთ პროვინციაში მდებარე დიდი ობიექტი: დასავლეთის მედიამ ეს ობიექტი მშენებარე რეაქტორად გამოაცხადა, რომელსაც ბირთული საწვავის წარმოება შეეძლებოდა. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ დაადასტურა, რომ ობიექტის ნანგრევებში რადიოაქტიურობა აღმოჩნდა, თუმცა სირია ამას უარყოფდა.

ისრაელის მთავრობამ მხოლოდ 2018 წელს აღიარა, რომ მის არმიას ეკუთვნოდა ის "უცნობი თვითმფრინავები", რომლებმაც მთელ სირიას შეუფერხებლად გადაუფრინეს და მიწასთან გაასწორეს ობიექტი. ამ აღიარების გარეშეც ნათელი ნათელი იყო, თუ ვის შეეძლო სირიისათვის

ასეთი დამამცირებელი დარტყმის მიყენება! ისრაელმა ინფორმაციის თავდაპირველად გაასაიდუმლოა იმისათვის, რომ არ მიეცა ფორმალური საბაბი სირიის საპასუხო ქმედებისათვის.

ბ ი რ თ ვ უ ლ ი ა რ ა ღ თ ა ნ დაკავშირებით რეგიონში ჩვეულებრივ ორ ქვეყანას ახსენებენ – ისრაელსა და ირანს.

ისრაელის მთავრობას ოფიციალურად არასოდეს უღიარებია ბირ¬თ¬ვული იარაღის ფლობა, თუმცა 2007 წელს ისრაელის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა თავისი ერთ-ერთი გამოსვლისას არაპირდაპირ დაადასტურა ეს. ისრაელის გაზეთები კი ხალისით ბეჭდავენ ხოლმე საზღვარგარეთულ ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის ბირთვული პოტენციალის შესახებ. ისრაელელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები თავიანთ პუბლიკაციებში საკმაოდ თავისუფლად მსჯელობენ ისრაელის ბირთვულ პოტენციალზე, მაგრამ ამას ყოველთვის უცხოური წყაროების დამოწმებით აკეთებენ.

ის, რომ ისრაელს 1960-იანი წლებიდან გააჩნია ბირთვული იარაღი, კარგა ხანია აღარ არის საიდუ-მლო: ასეთი ინფორმაციის მიღება თავისუფლად შეიძლება ინტერნეტის მეშვეობით. ამას გარდა, ბრიტანულმა ყოველკვირეულმა The Sunday Times-მა 1986 წელს გამოაქვეყნა ისრაელელი დისი-დენტის, ადრე დიმონას ბირთვული კვლევის ცენტრში მომუშავე ტექნიკოსის, მორდეხაი ვანუნუს, ინფორმაცია, რომ ისრაელს აქვს ატომური ბომბი. ისრაელის სასამართლომ ვანუნუს 18-წლიანი პატიმრობა შეუფარდა, რაც მან მთლიანად მოიხადა.

ისრაელის ბირთვული პროგრამის ეფექტიანი ორგანიზატორი 1950-იან წლებში იყო ცნობილი პოლიტიკოსი *შიმონ პერესი,* რომლის სახელიც 2018 წელს მიენიჭა დიმონას ბირთვული კვლევების ცენტრს.

2018 წელს ისრაელის ატომური ენერგიის კომისიის ხელმძღვანელმა ზეევ სნირმა ახალი ამბების სააგენტო "როიტერსთან" ინტერვიუში აღნიშნა:

"ჩვენ არ შეგვიძლია უგულვებელვყოთ განმეორებადი და მკაფიო საფრთხე, რომელსაც ქმნიან ირანი და მისი მოკავშირეები ისრაელის ბირთვულ ობიექტებზე შეტევის თვალსაზრისით. ეს რეალური საფრთხე მოითხოვს ისრაელისაგან მიიღოს ზომები და გააძლიეროს თავისი ბირთვული ობიექტების დაცვა" [Landau, 2018].

ის გულისხმობდა დიმონასა და ნახალ სორეკის ბირთვული რეაქტორების დაცვას ირანის ან "ჰეზბოლას" თეორიულად შესაძლო სარაკეტო დარტყმისაგან. ასეთი ობიექტები რომ არსებობს, საიდუმლო არაა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ არაერთხელ მიმართა ისრაელს – შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას. მოწოდება დღემდე უპასუხოდ რჩება.

ამერიკულ გაზეთ :The Washington Post"-ის 2002 წლის 15 ივნისის პუბლიკაციაზე დაყრდნობით ისრაელის თითქმის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოიტანა ინფორმაცია, რომ ისრაელის «დელფინის" ტიპის დიზელისძრავიანი სამი ახალი წყალქვეშა ნავი, რომლებიც მან საჩუქრად მიიღო გერმანიისაგან, აღიჭურვა ადგილობრივი წარმოების ფრთოსანი რაკეტებით, რომელთაც ატომური ქობინის ტარება შეუძლიათ. ინდოეთის ოკეანეში წარმატებული გამოცდით დადასტურდა, რომ ამ რაკეტებს 1450 კილომეტრზე შეუძლიათ ფრენა. გაზეთების ცნობით, ეს წყალქვეშა ნავები საშუალებას მისცემს ისრაელს მძლავრი დარტყმა მიაყენოს ირანს მისი ტერიტორიული წყლების სიახლოვიდან. ისრაელის ავიაციაც შეიძლება აღიჭურვოს ატომური ბომბებით.

ცნობილია ისიც, რომ ისრაელს აქვს საშუალება საკუთარი წარმოების რაკეტით ორბიტაზე გაიყვანოს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ეს კი იმის დასტურია, რომ ქვეყანას აქვს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიღწევადობის მქონე ბალისტიკური რაკეტა.

ისრაელის დაზვერვამ უკვე 1995 წელს გამოიტანა დასკვნა, რომ ირანს აქვს განზრახვა შექმნას ბირთვული იარაღი. ისრაელის მთავრობამ და ლობისტურმა ჯგუფებმა შესაბამისი პოლიტიკური განწყობა შექმნეს მსოფლიოში, განსაკუთრებით, ვაშინგტონში.

ბუნებრივია, რომ მსოფლიო არ არის დაინტერესებული კიდევ ერთი ბირთვული სახელმწიფოს წარმოშობაში. მითუმეტეს, ეს ეწინააღმდეგება ამერიკისა და ისრაელის ინტერესებს, როდესაც თეირანის რეჟიმი დაუფარავად აცხადებს მათ თავის მტრებად და განადგურებით ემუქრება ისრაელს.

1974 წელს, ჯერ კიდევ შაჰის რეჟიმის პირობებში, ირანის სამხრეთში, სპარსეთის ყურის სანავსადგურო ქალაქ ბუშეჰრთან (Bushehr) გერმანულმა კომპანიამ დაიწყო ატომური ელექტროსადგურის (აეს) მშენებლობა. 1980-იანი წლების შუა ხანებში, ირან-ერაყის ომის დროს, ერაყის ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა მშენებარე აეს-ი. გერმანელი კონტრაქტორები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ.

1995 წელს აეს-ის მშენებლობა განახლდა რუსეთის ფედერაციასთან დადებული 800 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტით. 2011 წელს აეს-ი ექსპლუატაციაში შევიდა.

ირანი ამტკიცებს, რომ ბუშეჰრის აეს-ის მსუბუქი წყლის რეაქტორი მხოლოდ მშვიდობიანი ენერგიის საწარმოებლადაა გამიზნული და რომ გამოყენებული საწვავი ვერ გამოდგება ბირთვული იარაღის საწარმოებლად. ზოგადად კი აეს-ის საწვავის ნარჩენებიდან შეიძლება გამოყოფილ იქნას სამხედრო დანიშნულების პლუტონიუმი.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები სისტემურად ამოწმებდნენ ბუშეჰრის აეს-ს მშენებლობის მიმდინარეობას და მისი დასრულების შემდეგაც საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

ამასთან, «მშვიდობიანი ატომისათვის" ირანს არ სჭირდება ურანიუმის გამდიდრება ან მძიმე წყლის წარმოება, რასაც ის უკვე ახორციელებს. გაჩნდა სხვადასხვა არაპირდაპირ მონაცემებზე დაფუძნებული ინფორმაცია ირანის ბირთვული პროგრამის ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე გეოგრაფიული განფენილობის შესახებ, რასაც სამხედროსტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება (იხ. ნახ.).

ირანის ბირთვული პროგრამის გეოგრაფიული განფენილობა

ასე მაგალითად, ურანიუმის გამამდიდრებელი ერთი საწარმო მდებარეობს ქ. ისფაჰანთან, სხვა – ფორდოში; 1996 წლიდან მძიმე წყლის წარმოება ხდება არაქში, ქ. თეირანის სამხრეთით 150 კილომეტრში; მეორე ასეთივე საწარმო აშენდა ნათანზში, ქ. ქაშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 კილომეტრში. არის ცნობა, რომ თეირანის გარეუბან ლავიზანში ასევე მუშაობს სამხედრო ქარხანა, ხოლო დედაქალაქიდან 30 კილომეტრში განლაგებულია ფარჩინის სამხედრო კომპლექსი. ბირთული ტექნოლოგიის ცენტრები – კვლევითი რეაქტორები – განლაგებულია თეირანში, რამსარში, ბონაბში.

ურანიუმის მოპოვება ხდება საღანდის, იაზდის და გაჩინის ახლოს მდებარე მაღაროებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული რუსეთიდან შემოტანილ ბირთვულ საწვავზე, რომლითაც დღემდე მარაგდება ბუშეჰრის აეს-ი. ასეთ შემთხვევაში, აეს-ის საწვავის ნარჩენების რუსეთში გატანაც აღარ იქნება აუცილებელი, რაც დღემდე ხდება.

ამერიკის დაზვერვა თავიდან ამტკიცებდა, რომ ირანს აქვს ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა და ასეთი იარაღი მას 2009 წლამდე ექნებოდა. ის 2018 წელსაც არ იყო შექმნილი.

თუმცა პრობლემა სულაც არაა მოხსნილი. ამერიკის ყველა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ისრაელის ყველა მთავრობა კვლავაც ხედავს ბირთვულ საფრთხეს (თუნდაც გადავადებულს) ირანისაგან. საერთაშორისო სანქციების, მათი მოხსნისა და განახლების შესახებ საუბარია თემა 20-ში "ირანი".

ისრაელისა და ირანის "ბირთვული შეჯიბრი" სცდება ორი ქვეყნის პრობლემატიკას. თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ ირანს ექნება ბირთვული იარაღი, თითქმის დაუყოვნებელ რეაქციას უნდა ველოდეთ ირანის სტრატეგიული მეტოქე საუდის არაბეთისაგან: ამჟამინდელმა ტახტის მემკვიდრე მუჰამედ ბინ სალმანმა 2018 წელს განაცხადა კიდეც, რომ ასეთ შემთხვევაში მისი სამეფოც იზრუნებს ბირთვული იარაღის შექმნაზე. მის შემდეგ კი იქნებ რეგიონის სხვა დიდ ქვეყნებსაც გაუჩნდეთ ანალოგიური ამბიცია?

თემა 12

კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის (სიონიზმის წარმოშობა და მისი წარმატების მიზეზები; დაპირისპირება არაბულ ნაციონალიზმთან)

XIX საუკუნის ევროპაში ნაციონალიზმის (ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით) ზრდა – «ერების გამოღვიძება" – გამოიხატა პოლონეთის აჯანყებებში, ჰაბსბურგთა იმპერიაში უნგრეთის აღმასვლაში, იტალიისა და გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოების შექმნაში, ირლანდიის ბრძოლაში ჰოუმრულისათვის (ავტონომიისათვის) და ა.შ. ამ პროცესმა გავლენა მოახდინა სხვა ერებზეც. საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი ლამის საყოველთაო გახდა. ევროპელმა და რუსეთის ებრაელობამ კი აღმოაჩინა, რომ ყველა სხვა ერს, მათ გარდა, შეუძლია ევროპის გარკვეულ ტერიტორიაზე ჰქონდეს პრეტენზია. ამიტომაც მათ თვალი მიაპყრეს პალესტინას.

1881 წელი გარკვეული ათვლის წერტილია პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციისა და, ერთდროულად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაწყებისთვისაც. იმ წლის 1 მარტს რუსული რადიკალური ორგანიზაცია "ნაროდნაია ვოლიას" ტერორისტული აქტის შედეგად მოკლულ იქნა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრ II, კაცი, რომელმაც სახელი გაითქვა ბატონყმობის გაუქმებით, ლიბერალური – საუნივერსიტეტო, სასკოლო, პრესის, სათემო, სასამართლო, სამხედრო – რეფორმებით. ტერორიზმის ამ აქტზე რეაქცია იყო რუსეთში რეფორმების შეწყვეტა, ცარისტული რეჟიმის გამკაცრება .

იმ საბაბით, რომ *ნაროდნაია ვოლიას* წევრებს შორის რამდენიმე ებრაელიც ერია, რუსეთში დაიწყო ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ებრაელთა პოგრომები (დარბევა). ამან უბიძგა რუსეთის იმპერიის პოლონურ, უკრაინულ, ბესარაბიულ გუბერნიებში მცხოვრებ ბევრ ებრაელს დასავლეთის ქვეყნებში, უპირველესად, აშშ-ში, ემიგრაციისაკენ. ებრაელთა ნაწილმა კი იერუსალიმისკენ აიღო გეზი.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში გაძლიერებულმა ანტისემიტიზმმა ევროპის ებრაელთა წრეები აიძულა დაეწყოთ სერიოზული მსჯელობა, თუ სად შეიძლებოდა შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო. ერთხანს ლაპარაკი იყო უგანდაზე, იემენზეც კი. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე – პალესტინაში, რომელიც ებრაელებისათვის იყო სიონი.

სიონიზმის , როგორც ებრაელთა ეროვნული მოძრაობის, დაფუძნება მოხდა 1897 წელს ქ. ბაზელში ჩატარებულ პირველ სიონისტურ კონგრესზე, რომლის მოწვევის ინიციატორი იყო **თეოდორ ჰერცლი** (1860-1904). ის იყო ავსტრიელი ჟურნალისტი, პრაქტიკულად ასიმილირებული ებრაელი (მან საკუთარ ვაჟს, ჰანსს, წინადაცვეთაც კი არ გაუკეთა).

ჰერცლს სიონიზმის იდეების პროპაგანდისაკენ უბიძგა ერთი ფრანგი ოფიცრის, რელიგიით ებრაელი ალფრედ დრეიფუსის, წინააღმდეგ 1894 წელს სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაწყებულმა სასამართლო პროცესმა. საბოლოოდ, 1906 წელს დრეიფუსი გაამართლეს, მაგრამ პროცესს და მასზე ფრანგული პრესის ნაწილის გამოხმაურებას ანტისემიტიზმის სუნი უდიოდა.

1896 წელს ჰერცლმა თავის წიგნში, «სახელმწიფო, დახატა მომავალი ებრაული ქვეყნის სურათი პალესტინაში. მისი ოცნება, რომ ნახევარ საუკუნეში ასეთი სახელმწიფო შეიქმნებოდა, მართლაც ახდა.

სიონიზმი შეიქმნა, როგორც სეკულარული, არარელიგიური მოძრაობა. მაგრამ «ძველი ახალი მიწის" (Altneuland: ეს კომპოზიტი ჰერცლმა გამოიყენა 1902 წელს გამოსულ თავის წიგნში) ასარჩევად გამოყენებული იქნა რელიგიური არგუმენტი – ის, რომ თორას თანახმად, ებრაელთა ღმერთმა იაჰვემ (იეღოვამ) თავის რჩეულ ხალხს აღუთქვა ქანაანი, რომელიც ტერიტორიულად პალესტინას ემთხვევა.

პალესტინაში ებრაელთა მასობრივ იმიგრაციას (ალიას*) ესაჭიროებოდა ეკონომიკური და იურიდიული ბაზა.

სიონიზმისათვის ეკონომიკური ბაზის შექმნა შედარებით ადვილი საქმე იყო: ბევრი მდიდარი ებრაელი დათანხმდა, გაეღო თანხა ამ მიზნით. 1901 წელს შექმნილმა ებრაულმა «მიწის ფონდმა" [კერენ კაიემეთ], რომელიც შემოწირულობებით არსებობდა, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, 1948 წლამდე, პალესტინაში შეიძინა 96 ათასი ჰექტარი მიწა, რაც ებრაელი ხალხის განუყოფელ ქონებად ითვლება. ჯერ კიდევ «წინასიონისტურ» პერიოდში, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, მდიდარ ებრაელ როტშილდთა ფრანგული შტოს წარმომადგენელი ბარონი ედმონ როტშილდი და ზოგი სხვა მსხვილი ებრაელი ფინანსისტი ყიდულობდა მიწას პალესტინაში და ცდილობდა ებრაული იმიგრაციის წახალისებას. ასე გაჩნდა დასახლებები ზიხრონ-იაკოვი, ფეთახ-თიკვა, რეხოვოთი, რიშონ-ლე-ციონი. 1909 წელს ქ. იაფოში მცხოვრებმა ებრაულმა თემმა რამდენიმე კილომეტრით ამ ქალაქის ჩრდილოეთით გადაინაცვლა და დააარსა დასახლება, რომელსაც უწოდა თელ ავივი (ებრაულად «გაზაფხულის ბორცვი»).

1903 წლისათვის პალესტინაში უკვე 25 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ძირითადად, რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან.

XX საუკუნის დამდეგიდან ებრაულმა იმიგრაციამ პალესტინაში იმატა. ამ პერიოდის ე.წ. «მეორე ალიას" დიდი ნაწილი შეადგინეს ერთდროულად სოციალისტური და სიონისტური იდეებით შეპყრობილმა ახალგაზრდა ებრაელებმა აღმოსავლეთ ევროპიდან (უპირატესად, რუსეთის იმპერიიდან და რუმინეთიდან). ისინი პალესტინაში აარსებდნენ კიბუცებს* – სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აბსოლუტურად ყველაფრის კოლექტიური საკუთრებით. ეს შრომისმოყვარე, სეკულარული კიბუცნიკები, რომლებსაც ერთ ხელში თოხი ეჭირათ და მეორეში თოფი, იყვნენ ის პიონერები, რომლებიც ქმნიდნენ მომავალი ებრაული სახელმწიფოს ხერხემალს. კიბუცების მიწა დღემდე კოლექტიური საკუთრებაა, თუმცა XX საუკუნის ბოლოსათვის კიბუციზმის იდეოლოგია გაცვდა: ახლა მინდორში იდეური კიბუცნიკების ნაცვლად დაქირავებულ ტაილანდელ მუშებს უფრო იხილავთ .

ვიდრე პალესტინა ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ებრაელთა ჩასახლება უფრო ადგილობრივი ოსმალო მოხელის ნება-სურვილზე (ან, უფრო ზუსტად, მისი კორუმპირებულობის დონეზე) იყო დამოკიდებული. ვითარება შეიცვალა, როდესაც ეს მხარე ევროპული იმპერიის – დიდი ბრიტანეთის – ხელში აღმოჩნდა.

ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა «ბალფურის დეკლარაცია», სადაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა მხარდაჭერას სიონისტური მიზნისათვის.

როგორც ისრაელელი ავტორი ტომ სეგევი წერს:

> «ბრიტანელებმა შეუსრულეს დაპირება სიონისტებს. მათ გაუხსნეს გზა მასობრივ ებრაულ იმიგრაციას: 1948 წლისათვის ებრაული მოსახლეობა გაათმაგდა. ებრაელებს ნება დაერთოთ ეყიდათ მიწა, განევითარებინათ სოფლის მეურ-ნეობა, დაეარსებინათ საწარმოები და ბანკები. ბრიტანელებმა მათ ნება დართეს შეექმნათ ასობით დასახლება, მათ შორის რამდენიმე ქალაქი. ებრაელებმა შექმნეს სასკოლო სისტემა და არმია; დააარსეს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და არჩევითი ინსტიტუტები; ამის შედეგად მათ [ებრაელებმა] საბოლოოდ დაამარცხეს არაბები. ყველაფერი ბრიტანული სპონსორობით კეთდებოდა, 1917 წლის დაპირების შესაბამისად. წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული აზრისა, თითქოს ბრიტანეთი პროარაბული იყო, სინამდვილეში ბრიტანეთის ქმედება საგრძნობლად უწყობდა ხელს სიონისტურ წამოწყებას" [Segev, 2002, 5].

მაგრამ სეგევი აღწერს იმასაც, თუ როგორ არ უსრულებდა ლონდონი სიონისტებს ყველა დანაპირებს. ფაქტია, რომ, ისრაელელი ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობა მანდატისდროინდელ დიდ ბრიტანეთს ებრაელებისადმი არამეგობრულ ძალად სახავს. ეს კი საზოგადოებრივ აზრს ქმნის.

1917 წლიდან დიდი ბრიტანეთი პალესტინაში ფაქტობრივად მართავდა «მტრისაგან ოკუპირებულ ტერიტორიას", 1922-1947 წლებში ეს იყო ერთა ლიგის მანდატით დიდი ბრიტანეთისათვის სამართავად გადაცემული ტერიტორია.

დიდ ბრიტანეთს პალესტინაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა. მას სჭირდებოდა ხაიფას ნავსადგური, რომელიც ბრიტანული ფლოტის მსხვილ ბაზად იქცა. ფლოტს კი უნდა დაეცვა სუეცის არხი. სერიოზული ეკონომიკური ინტერესი კი ბრიტანეთს პალესტინაში არ ჰქონია. როგორც ბრიტანული ადმინისტრაციის ერთი-ერთი წარმომადგენელი თავის მოგონებებში წერდა,

> «პალესტინა ჩვენი უმრავლესობისათვის უფრო ემოცია იყო, ვიდრე რეალობა"

ლონდონს, როგორც ჩანს, თავიდან იმედი ჰქონდა, რომ პალესტინაში ებრაული იმიგრაციის წახალისებით გარკვეულად დაბალანსებდა არაბი ლიდერების მისწრაფებას, შეექმნათ ერთიანი არაბული სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს შექმნა ლონდონის ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც შეუწყო მან ხელი იორდანიასა და ერაყში სხვადასხვა სახელმწიფოს შექმნას და იქ

ჰაშიმიანთა საგვარეულოს ორი შტოს გაბატონებას, რომლებიც მექადან განდევნა მეტოქე საუდიანთა საგვარეულომ.

ლონდონის კაბინეტებში რამდენიმე ჯენტლმენმა გადაწყვიტა, რომ ევროპელი ებრაელების იმიგრაცია პალესტინაში ინდოეთამდე იმპერიული გზის დამატებითი დაცვისა და ეგვიპტესა და სუდანში ბრიტანული ჰეგემონიის გამაძლიერებელი ფაქტორი გახდებოდა.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე პოლიტიკაში, პაიკებად გათვალის-წინებული ფიგურები თვითონ იქცევიან ხოლმე მოთამაშეებად და დიდოსტატს მათთვის ანგარიშის გაწევა უხდება.

I მსოფლიო ომის დროინდელ ლონდონში, სადაც წყდებოდა პალესტინის ბედი, პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, სერიოზულად არ აღიქვამდნენ სიონისტურ ოცნებას – შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო პალესტინაში. დაუნინგ-სტრიტზე კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ იმ საშიშროებაზე, რაც ახლო აღმოსავლეთში ახალი ეთნიკური კონფლიქტური კერის შექმნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ასეთი კერა კი გაჩნდა.

პალესტინის გაყოფის მიზეზი

პალესტინაში ებრაელების დასახლებისაკენ თავიანთ მოწოდებაში პირველი სიონისტები იყენებდნენ მოხდენილ ფორმულას «ხალხი მიწის გარეშე, მიწა ხალხის გარეშე».

სამწუხაროდ, ისინი არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ: პალესტინა არ იყო «მიწა ხალხის გარეშე».

თეოდორ ჰერცლს, ვინც ზემოაღნიშნული ფორმულა პირველმა გამოიყენა, იმის გამო, რომ თვითონ მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი პალესტინაში, რატომღაც მიაჩნდა, რომ ადგილობრივი (მისი აზრით, მცირერიცხოვანი) არაბები უნდა მისალმებოდნენ ებრაელების დასახლებას, რადგან მათ უფრო მაღალი სამეურნეო კულტურა მოჰქონდათ პალესტინაში. ასე აღწერა მან ეთნოსთაშორისი "ბედნიერი თანაცხოვრება" თავის უტოპიურ რომანში Altneuland.

სინამდვილეში პალესტინაში იყო არცთუ მცირერიცხოვანი არაბული მოსახლეობა. «პალესტინისათვის ებრაული სააგენტოს" (სოხნუთის) 1947 წლის მემორანდუმის თანახმად 1919 წელს არაბული მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე შეადგენდა 515 ათასს, 1944 წლისათვის კი მისი რაოდენობა გაორმაგდა და 1064 ათასს მიაღწია, რაც ბუნებრივი მატების შედეგად მოხდა [СИО, I, 2000, 204]. XX საუკუნის დამდეგს არაბული მოსახლეობა 300-400 ათასი მაინც იქნებოდა: მიწა ხალხის გარეშე არ ყოფილა!

მიწის მეტ ნაწილს კონკრეტული პატრონი ჰყავდა, უმეტესწილად გაფორმებული ოსმალური «თაფუ"-თი (მიწის ფლობის დოკუმენტით), და მას კერძო პირები, ძირითადად, არაბები ფლობდნენ. მათგან შესყიდულ მიწებზე იქმნებოდა ებრაული დასახლებები. მიწის ნაწილი, განსაკუთრებით იერუსალიმსა და სხვა ადგილებში, რომლებიც იესო ქრისტესთან იყო დაკავშირებული (ნაზარეთი, ბეთლემი, გალილეის ზღვის, იმავე კინერეთის/ტიბერიადის ტბის, მიდამოები და ა.შ.), შეიძინეს სხვადასხვა ქრისტიანულმა ეკლესიებმა: ეს ხომ წმინდა მიწა იყო!

თავიდან, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს პალესტინელი არაბების უმრავლესობა შედარებით ინდიფერენტულად იყო განწყობილი ებრაული იმიგრაციის მიმართ. ზოგმა მდიდარმა მიწათმფლობელმა, რომლებიც ბეირუთში ან სხვაგან ცხოვრობდნენ, მიწა მიჰყიდეს კერენ კაიემეთს

და კერძო ებრაელ ფინანსისტებს. იყო ლოკალური დაპირისპირება, მაგრამ მასობრივ გამოსვლებში ეს არ გადაზრდილა.

XX საუკუნის მეორე დეკადიდან კი არაბულ-ებრაული ურთიერთობა მკვეთრ გაუარესებას იწყებს. სამანდატო პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციის მზარდმა მასშტაბმა არაბთა მრავალი ლოკალური კონფლიქტი, ხოლო 1936-1939 წლებში დიდი ანტიბრიტანული აჯანყებაც კი გამოიწვია.

პალესტინის გაყოფის ბრიტანული გეგმები

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, რომელიც 1922 წლიდან ოფიციალურად მართავდა პალესტინას, სპეციალური კომისია შექმნა ლორდ რობერტ პილის თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის «თეთრ წიგნში» (1937 წ.) მდგომარეობის განსამუხტავად შესთავაზა მანდატის დასრულება, პალესტინაში არაბული და ებრაული მოსახლეობის გამიჯვნა ინგლისის კონტროლქვეშ დასატოვებელი მომცრო ზონით (ქ. იერუსალიმი, ზღვაზე გასასვლელით ქ. იაფოში) და სამანდატო ტერიტორიის მომზადება იქ ორი – ებრაული და არაბული – სახელმწიფოს შესაქმნელად.

პილის კომისიის წინადადებები მიუღებელი აღმოჩნდა ორივე მხარისათ-ვის, განსაკუთრებით არაბებისათვის, თუმცა ლონდონი მათ პალესტინის ტერიტორიის 60 პროცენტზე მეტს სთავაზობდა. არაბები კი მთელ პალესტინას მოითხოვდნენ.

სენტ-ჯეიმზის კონფერენციაზე (ის ჩატარდა ლონდონში 1939 წლის თებერვალ-მარტში) «პალესტინი-სათვის ებრაულ სააგენტოსთან" (ისრაელის პროტომთავრობასთან) ერთად პალესტინელი არაბე-ბის, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ტრანსიორდანიის, იემენის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი. კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა. ბრიტანული წინადადებები ამჯერად ებრაელებისათვის აღმოჩნდა მიუღებელი.

ახლოვდებოდა II მსოფლიო ომი. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ცდილობდ-ნენ გაემაგრებინათ საკმაოდ არასაიმედო ზურგი ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთი წავიდა დათმობაზე თურქეთის მიმართ და გადასცა მას სამანდატო სირიაში შემავალი ალექსანდრეტას სანჯაყი (იხ. ტომი 1, თავი 10). დიდი ბრიტანეთი კი დაინტერესებული იყო არაბებისაგან «ეყიდა მშვიდობა» პალესტინაში.

ამიტომაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 1939 წლის მაისში გამოაქვეყნა მორიგი "თეთრი წიგნი", რომელშიც სენტ-ჯეიმზის კონფერენციაზე წარდგენილი თავისი გეგმა გამოამზეურა. საბოლოო მიზნად იქნა გამოცხადებული 10 წლის შემდეგ დამოუკიდებელი ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, ხოლო მიმდინარე ამოცანად – ებრაული იმიგრაციის ისე შეზღუდვა (ხუთი წლის განმავლობაში არა უმეტეს 75 ათასისა), რომ ებრაელთა რაოდენობას ქვეყნის საერთო მოსახ-ლეობის 1/3-სათვის არ გადაეჭარბებინა. ებრაელების მიერ მიწის შეძენა ზოგ რაიონში აიკრძალა, ზოგან – შეიზღუდა.

ლონდონის გეგმამ გარკვეულწილად დააკმაყოფილა პალესტინის არაბები. მათი აჯანყება ჩაცხრა, თუმცა არაბული ელიტის ანტიბრიტანული და, ამის საპირისპიროდ, პროგერმანული განწყობა ძნელი დასამალი იყო.

«თეთრმა წიგნმა" გამოიწვია სიონისტების დიდი აღშფოთება: ნაციზმის წინსვლა ევროპაში და უკვე დაწყებული მისი ანტისემიტური ქმედებები დაუცველად და მიუსაფრად ტოვებდა მილიონობით ებრაელს. ამიტომაც ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1948 წ. 14 მაისი) მისი მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი აქტი იყო 1939 წლის «თეთრი წიგნით" ებრაული იმიგრაციისათვის დაწესებული შეზღუდვების გაუქმება.

მაგრამ II მსოფლიო ომის პერიოდში სიონისტებს ესმოდათ, რომ დიდი ბრიტანეთის მტერი ერთდროულად მათი დაუძინებელი მტერიცაა. ბევრი ებრაელი იბრძოდა ბრიტანული არმიის შემადგენლობაში, რამაც მათ სათანადო სამხედრო წვრთნა მისცა და ეს ძალიან მალე გამოადგათ კიდეც. ჯამში კი, II მსოფლიო ომის დროს, პალესტინაში სიწყნარე იყო.

სამაგიეროდ, როგორც კი მსოფლიო ომი დამთავრდა, ბრიტანულ ადმინისტრაციას მოუხდა ბრძოლა ებრაულთა არალეგალურ შეიარაღებულ ჯგუფებთან, რომლებიც ტერორიზმსაც არ ერიდებოდნენ. 1946 წელს აქ საინსპექციოდ ჩამოსულმა ფელდმარშალმა მონტგომერიმ, ელ-ალამეინის გმირმა, კატეგორიულად მოითხოვა «ებრაული ტერორიზმის ამოძირკვა" სამხედრო ძალის გამოყენებითაც. მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძალის ჭარბმა გამოყენებამ უკურეაქცია გამოიწვია და წინააღმდეგობა გაამძაფრა.

არაბული ტერორიზმი იმ დროს რომც ყოფილიყო, როგორც ჩანს, ბრიტანეთის მთავრობას ის ნაკლებ საშიშად მიაჩნდა.

მიუხედავად 1939 წელს ბრიტანელების მიერ დაწესებული შეზღუდვებისა, II მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგაც პალესტინაში გრძელდებოდა ებრაელთა არალეგალური იმიგრაცია. თუ 1920 წელს აქ ცხოვრობდა 67 ათასი ებრაელი, 1947 წლისათვის მათმა რაოდენობამ 600 ათასს მიაღწია [СИО, I, 2000, 204]. მათი უმრავლესობა იყო ნაცისტებს გადარჩენილი ადამიანები, რომლებიც თავიანთ უკანასკნელ თავშესაფარს ხედავდნენ პალესტინაში.

პროგრესული სამყარო მაქსიმალურ თანაგრძნობას გამოხატავდა ებრაელი ხალხის მიმართ, რომელმაც ნაცისტური პოლიტიკის გამო დაკარგა ექვს მილიონამდე ადამიანი. ევროპელ ებრაელთა ამ კატასტროფას «ჰოლოკოსტ"-ს უწოდებენ, ხოლო ებრაულად – «შოა"-ს.

1947 წლის თებერვალში დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ აღიარა, რომ აღარ შე¬უძლია შეასრულოს პალესტინაზე მანდატით აღებული ვალდებულებები. პალესტინის მართვა დიდ ბრიტანეთს მხოლოდ თავის ტკივილს უჩენდა. ამიტომაც მისმა მთავრობამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მანდატზე და პალესტინის პრობლემის მოგვარება ახალშექმნილი გაერო-სათვის მიენდო.

პალესტინის გაყოფის გეგმა გაეროს მიხედვით

გაეროს სპეციალურმა კომისიამ წინასწარ მოინახულა პალესტინა და დაადგინა, რომ ერთ სახელმწიფოში არაბებისა და ებრაელების თანაარსებობა შეუძლებელია. შედგა პალესტინის გაყო-ფის გეგმა, რომელიც გარკვეულწილად ემთხვეოდა «პილის კომისიის» (1937 წ.) რეკომენდაციებს: ყველაზე არსებითი განსხვავება ის იყო, რომ პილის კომისია პალესტინის სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნოს მომავალი არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში ტო-ვებდა, ხოლო გაეროს კომისია იმავე ტერიტორიას მომავალ ებრაულ სახელმწიფოს აძლევდა.

1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 181 (II), რომლითაც რეკომენდაცია მისცა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას და იერუსალიმის ცალკე რაიონად გამოყოფას. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლქვეშ მყოფი ქალაქი. რო-გორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილისაგან შედგებო-და და ანკლავები*ან ექსკლავები* უნდა ჰქონოდა. უწყვეტი ხაზით ორი სახელმწიფოს გამიჯვნა ვერ ხერხდებოდა.

გაეროს რეზოლუციის თანახმად, ებრაულ სახელმწიფოს რჩებოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 56,47 პროცენტი, სადაც ცხოვრობდა 498 ათასი ებრაელი და 325 ათასი არაბი. ამ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი ქ. ის¬დუ¬დის

(დღევანდელი აშდოდი) ჩრდილოეთით ქ. ხაიფამდე; სანაპირო ქ. ჯაფა (დღევანდელი იაფო) არაბული ანკლავი უნდა გამხდარიყო. ებრაულ სახელმწიფოს ეძლეოდა ზემო გალილეის დიდი ნაწილი, თითქმის მთელი ნეგევი (არაბებით დასახლებული ქ. ბირ-საბას, დღევანდელი ბეერ-შევას, გარეშე) და გასასვლელი აკაბას ყურეში.

არაბულ სახელმწიფოს უნდა დარჩენოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 43,53 პროცენტი, სადაც ცხოვრობდა 807 ათასი არაბი და 10 ათასი ებრაელი. ამ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ორმონაკვეთიანი გასასვლელი ზღვაზე, ერთი ჩრდილოეთით, – ქ. აკოდან ლიბანის საზღვრამდე, და მეორე, სამხრეთით – ქ. ისდუდი, ქ. მაჯდალი (დღევანდელი აშკელონი) და ქ. ღაზა ეგვიპტის საზღვრამდე; არაბული სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო დასავლეთ გალილეა ქ. ნაზარეთითურთ, ქ. რამლა, ქ. ლიდა (დღევანდელი ლოდი), აგრეთვე ის ტერიტორია, რომელსაც ახდა "დასავლეთ ნაპირს" უწოდებენ, სადაც არაბები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ.

იერუსალიმის რაიონში (რომლის ფარგლებში უნდა შესულიყო თვით ქ. იერუსალიმი, სოფელი აბუ დისი აღმოსავლეთით, სოფელი შუაფათი – ჩრდილოეთით, სოფელი ეინ კერემი – დასავლეთით, ქ. ბეთლემი და სოფელი ბეით-ჯალა – სამხრეთით) იმ პერიოდში ცხოვრობდა 105 ათასი არაბი და 100 ათასი ებრაელი. ეს ტერიტორია საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნას მხარს უჭერდა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით აშშ, ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის უბედურება და ტანჯვა, რაც ევროპის ებრაელობამ გადაიტანა II მსოფლიო ომის დროს.

ევროპის ქვეყნებში დიდხანს არსებობდა «დანაშაულის კომპლექსი» ჰოლოკოსტთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ანტიებრაულ აქციებში გერმანელ ნაცისტებთან ერთად სხვა ევროპული სახელმწიფოების ნაციონალისტურ წრეებსაც ერიათ ხელი. ებრაული სახელმწიფოს შექმნისათვის მხარდაჭერით ევროპის დემოკრატიულ რეჟიმებს უნდოდათ, ერთგვარად მოენანიებინათ თავიანთი ავისმქმნელი თანამემამულეების ცოდვა.

პალესტინის გაყოფას, ანუ არაბულთან ერთად ებრაული სახელმწიფოს შექმნას, საკმაოდ მოულოდნელად მხარი დაუჭირა და გაეროს რეზოლუციას ხმა მისცა საბჭოთა კავშირმაც, რომელიც 1947 წლამდე მოითხოვდა პალესტინაზე ბრიტანული მანდატის გაუქმებას და იქ "ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს" შექმნას.

იმდროინდელი დიპლომატიური მიმოწერის [СИО, 2000] გაცნობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა კავშირს იმ დროს არ ჰქონდა გამოკვეთილი პოლიტიკა რეგიონში. საბჭოთა დიპლომატები სტალინის გულის მოგებას ბრიტანული იმპერიალიზმის "დამცირებით» ცდილობდნენ, ვინაიდან საბჭოეთის ბელადს მთავარ მტრად ძველებურად მიაჩნდა დიდი ბრიტანეთი.

კრემლში, როგორც ჩანს, ვერ ასწრებდნენ იმის გაანალიზებას, თუ რა სისწრაფით ამბობდა უარს დიდი ბრიტანეთი თავის კოლონიურ იმპერიაზე (იმავე 1947 წელს მან დატოვა «გვირგვინის უდიდესი ბრილიანტი" – ინდოსტანის სუბკონტინენტი) და რა იოლად უთმობდა «თეთრი ადამიანის ტვირთს» თავისსავე ენაზე მოლაპარაკე, ოკეანისგაღმელ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ვერ გათვალეს კრემლში ისიც, რომ ებრაულ სახელმწიფოს აარსებდნენ თუნდაც სოციალისტური იდეებით ნაკვები, მაგრამ პატრიოტული სულისკვეთებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სულაც არ აპირებდნენ ეთამაშათ მათთვის განსაზღვრული კრემლის მარიონეტის როლი.

თემა 13

კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის (კონფლიქტის ტერიტორიული განზომილება)

1949 წლის 11 მაისს ისრაელი გაეროს წევრი გახდა და მის საზღვრად სწორედ 1949 წლის დაზავების ხაზი იქნა მიჩნეული. 1967 წლამდე ეს ხაზი ასრულებდა სახელმწიფო საზღვრის როლს იორდანიასთან და ეგვიპტის კონტროლქვეშ მყოფ ღაზის სექტორთან. საერთაშორისო საზოგადოება თანდათან მიეჩვია ამ რეალურ მდგომარეობას.

იორდანიასთან დაზავების ე.წ. «მწვანე ხაზი» არ მისდევდა რაიმე ეთნიკურ ან ფიზიოგრაფიულ მიჯნას, რადგანაც ის ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის იყო ფიქსირებული. რეალურად, ის არასოდეს ყოფილა დემარკირებული (მიწაზე მონიშნული), ხოლო წვრილმასშტაბიან რუკაზე მწვანე ფერის ფანქრით გავლებული სქელი ხაზი მიწაზე 60 მეტრს უდრის! ისრაელის (1967 წლამდე – არც იორდანიის) მთავრობას არ უცდია ზუსტი საზღვრის დადგენა. ისრაელში გამოცემულ ოფიციალურ რუკებზე «მწვანე ხაზი" აღნიშნული არაა, სხვა ქვეყნებში გამოცემულ რუკებზე კი მას უთითებენ

1967 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც ისრაელმა მოახდინა „დასავლეთ ნაპირის" ოკუპაცია, ის ცდი¬ლობს საერთოდ წაშალოს საკუთარი მოქალაქეების მეხსიერებიდან რაიმე "მწვანე ხაზის" მოგონება. მეორე მხრივ, თუკი პალესტინელს სურს შესვლა ისრაელის ტერიტორიაზე, მას ამ "ხაზის" არსებობას შეახსენებენ და უამრავ პრობლემას შეუქმნიან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ისრაელს მაინც უხდება „მწვანე ხაზის", როგორც მიჯნის, ფაქტობრივი ცნობა, მაგალითად, რეგიონული და საქალაქო საზღვრების დადგენისას. როდესაც 1990-იან წლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პალესტინის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, «მწვანე ხაზი" ყოველთვის რაღაცა ფორმით ფიგურირებდა. კემპ-დევიდის (2000 წ.) მოლაპარაკებისას ამ ხაზის დიდი მონაკვეთების სახელმწიფო საზღვრად ქცევის საკითხი იდგა.

1967 წლის "ექვსდღიანი ომის" შედეგად ისრაელმა მთელი «ყოფილი სამანდატო პალესტინა" დაიკავა. მაგრამ მის არც ერთ მთავრობას დღემდე არ უცდია «მწვანე ხაზს» მიღმა მდებარე ოკუპირებული ტერიტორიის *de jure* ანექსირება (გარდა იმ ფართობისა, რაც 1967 წელსვე შეიტანეს გაერთიანებული იერუსალიმის ახალ საზღვრებში, რასაც საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ ცნობს).

რასაკვირველია, «მწვანე ხაზს" მიღმა მდებარე მიწაზე ებრაული ახალშენების შექმნა, ისრაელის მიერ იქ გზებისა და სხვა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა დე ფაცტო ანექსირებას უდრის, მაგრამ, როგორც ისრაელელი გეოგრაფი წერს,

> «იურიდიული თვალსაზრისით – არა მარტო საერთაშორისო სამართლის, არამედ, ისრაელის კანონმდებლობის მიხედვითაც – ეს ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად ან ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ მყოფად» [Newman, 2002].

1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის «დეკლარაცია [პალესტინის] საშუალედო თვითმმართველობის მოწყობის პრინციპების შესახებ". ამ დოკუმენტის ხელმოწერას წინ უძღოდა ხანგრძლივი ფარული მოლაპარაკება ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, რის გამოც მას «ოსლოს შეთანხმებებს" უწოდეს, ხოლო მის განხორციელებას – "ოსლოს პროცესი".

ზემოხსენებული «დეკლარაციის” მიზანი იყო პალესტინის დროებითი თვითმმართველობის ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის დაწესება, რომლის შემდეგაც უნდა შექმნილიყო პალესტინის სახელმწიფო.
“ოსლოს შეთანხმებები” დროებითი და არასრული იყო. ისინი მარტივ საკითხებს წყვეტდა, ხოლო რთული საკითხები “მომავლისათვის” გადაჰქონდა. ეს «მომავალი” კი კარგა ხანია გავიდა. განუსაზღვრელი დარჩა, მაგალითად, იერუსალიმის სტატუსი, პალესტინელი ლტოლვილების, ებრაული ახალშენების საკითხები. დაუდგენელი დარჩა საზღვარი ისრაელსა და მომავალ პალესტინურ სახელმწიფოს შორის.

«ოსლოს შეთანხმებებმა» შექმნა სამშვიდობო პროცესის ილუზია. ნო-ბელის მშვიდობის პრემიების მიმნიჭებელმა კომისიამ იჩქარა დაეჯილდოებინა ორივე მხარის უმაღლესი პირები – იცხაკ რაბინი, შიმონ პერესი და იასირ არაფათი.

არაფათის ადმინისტრაციამ ოფიციალურად აღიარა ისრაელის უფლება იარსებოს «სამანდატო პალესტინის» ტერიტორიის 78 პროცენტზე, ე.ი. 1949 წლის დაზავებით ისრაელის კონტროლქვეშ აღმოჩენილ ფართობზე. 1998 წელს პალესტინის პარლამენტმა დაადასტურა ეს ქალაქ ღაზაში სპეციალურად ჩასული ამერიკის პრეზიდენტ კლინტონის წინაშე. ამიტომ პალესტინელებს გაუჩნდათ აზრი, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე უფლება აქვთ «სამანდატო პალესტინის» დანარჩენ 22 პროცენტზე, მცირედი სასაზღვრო ცვლილებებით.

მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ისრაელი 1949 წელს მიღებულ ტერიტორიას საკუთრად მიიჩნევს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას – სადავოდ. 2000 წლის ივლის-აგვისტოში ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონის შუამავლობით კემპ-დევიდში გაიმართა, როგორც ახლა ირკვევა, საკმაოდ მოუმზადებელი მოლაპარაკება. კლინტონი ჩქარობდა თავისი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მიეღწია თვალსაჩინო შედეგისათვის, მაგრამ ვერ გაითვალისწინა კარდინალური სხვაობა ორი მხარის მიდგომაში.

კემპ-დევიდში მხარეები ვერ მივიდნენ ტერიტორიულ კომპრომისამდე. პალესტინელები მოითხოვ-დნენ ისრაელის მიერ 1967 წლის საზღვრის ცნობას, რაც გულისხმობდა იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილის (ძველი ქალაქითურთ) მომავალი პალესტინური სახელმწიფოსათვის გადაცემას. ისრაელის მთავრობა არ თანხმდებოდა იერუსალიმის გაყოფას, მაგრამ თითქოს მზად იყო გადაეცა “დასავლეთ ნაპირის” ტერიტორიის 9/10 (სხვადასხვა ვერსიით, 91-დან 96 პრო-ცენტამდე) და დამატებით მიეცა ცოტაოდენი ტერიტორიული კომპენსაცია. ვინაიდან საქმე ეხება მცირე ფართობს («დასავლეთ ნაპირს” აღმოსავლეთ იერუსალიმთან ერთად სულ 5612 კმ2 უჭირავს), თითოეულ კვადრატულ კილომეტრს მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, ისრაელის მხარე კატეგორიულად უარყოფდა ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების უფლებას.

მოლაპარაკება ფორმალურად ჩაშალა პალესტინის ხელმძღვანელობის უარმა, მიეღო ის ტერიტო-რიული კომპრომისი, რასაც მათ შუამავალი, პრეზიდენტი კლინტონი, სთავაზობდა ისრაელის მთავ-რობასთან შეთანხმებით.

გამოცდილი ინგლისელი დიპლომატი წერდა:

> «ორივე მხარეს ესაჭიროება კომპრომისი და რეალიზმი. მაგრამ თითოეული მხარე მზადაა კომპრომისზე და რეალისტურად უყურებს საქმეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ სუსტია, და უარყოფს კომპრომისსა და რეალიზმს, როდესაც თვითონ ძლიერია. 1967 წლამდე ისრაელი მზად იყო, დათანხმებოდა ისეთ სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც მისცემდა თანაცხოვრების საშუალებას როგორც ისრაელის, ისე

პალესტინის სახელმწიფოებს. მაგრამ არაბებმა არ შესთავაზეს ასეთი მშვიდობა ისრაელს. ახლა არაბები ბევრად მეტი დათმობისთვის არიან მზად, მაგრამ ამჯერად ისრაელია უარზე... ნამდვილად არსებობს პრობლემის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტა ორი მხარისათვის სულ სხვადასხვა დროს ჩნდება. არსებობს ასეთი ინგლისური ანდაზა: ნახევარი პური ჯობია უპურობას. ერთ დროს ასეთი იყო სიონისტების პოლიტიკა, მაგრამ ახლა აღარ არის. არაბები კი ნახევარ პურზე ყოველთვის უარს ამბობდნენ" [Craig, 2001].

მხოლოდ 2002 წელს განაცხადა პალესტინის ადმინისტრაციამ, რომ თანახმაა კლინტონის გეგმაზე თანხმობამ ორი წლით დაიგვიანა.

ისევ გამართლდა ცნობილი დიპლომატის, ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, *აბა ებანის* დიდი ხნის წინ ნათქვამი და მას შემდეგ მრავალჯერ გამეორებული სიტყვები:

«არაბები არასოდეს გაუშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, გაუშვან ხელიდან შესაძლებლობა!"

იგულისხმება, რომ მათ უარი თქვეს ლორდ პილის კომისიის რეკომენდაციაზე (1937 წ.), რომელიც არაბებს უტოვებდა სამანდატო პალესტინის 60 პროცენტზე მეტს, პალესტინის გაყოფის გაეროს გეგმაზე (1947 წ.), რომელიც არაბებს ტერიტორიის 43 პროცენტს ჰპირდებოდა, პრეზიდენტ კლინტონის წინადადებაზე (2000 წ.), რაც მათ იმავე ტერიტორიის 22-23 პროცენტს მოუტანდა.

ისრაელელი პოლიტოლოგი ბარუხ კიმერლინგი ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ეჰუდ ბარაკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის კომენტირებისას წერს:

«შვიდი წლის უსარგებლო მოლაპარაკების შემდეგ, რომელმაც სულაც არ წასწია წინ პალესტინელთა საქმე, უნდა გვეკითხა არა რატომ, არამედ როდის და რა ფორმით იფეთქებდა რისხვა და ძალადობა. პალესტინელებს საკმაოდ კარგად ესმოდათ ისრაელთან მათი ძალთა ბალანსის ასიმეტრიულობა. მაგრამ მათ პარადიგმა შეცვალეს. ნაცვლად მცდელობისა, დაემთავრებინათ ოკუპაცია და მიეღწიათ დამოუკიდებლობისათვის ებრაელთა კეთილი ნებით, ისინი გადავიდნენ დამოუკიდებლობისათვის ომზე, რომელშიც ხალხი მზად უნდა იყოს გაიღოს მაღალი პირადი და კოლექტიური საფასური იმისათვის, რათა მიაღწიოს იმას, რასაც უზენაეს მიზნად მიიჩნევს».

კემპ-დევიდის მოლაპარაკების ჩაშლას მოჰყვა 2000 წლის 28 სექტემბერს დაწყებული პალესტინური აჯანყება («ალ-აკსას ინთიფადა"). აჯანყება ძალადობასა და სასტიკ ტერორიზმში გადაიზარდა. მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, დახოცვა თვითმკვლელი პალესტინელი ტერორისტების მიერ მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდ აღშფოთებას იწვევდა და სულაც არ ჰმატებდა სიმპათიას პალესტინელთა საქმეს. ტერორიზმმა ისრაელის საზოგადოების რადიკა-ლიზაციას შეუწყო ხელი: ისინი, ვინც პალესტინელების მიმართ დათმობისათვის იყვნენ მზად, აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

«ოსლოს პროცესი" ჩაკვდა.

მეორე მხრივ, ისრაელის არმია მკაცრ ზომებს მიმართავს ტერორიზმის ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად. ეს ზომები მოიცავს პალესტინური დასახ-ლებული პუნქტების ბლოკირებას, დღეში 10-12-საათიან «საკომენდანტო საათს", ტერორისტების ოჯახების სახლების დანგრევას, ნარგავების მოთხრას, ტერორიზმში ეჭვმიტანილების განადგურებას ჰაერიდან ნასროლი რაკეტებით, რასაც სამოქალაქო პირებიც, მათ შორის, ბავშვები, ეწირებიან ხოლმე. ისრაელის არმიის ამ ზომებს აკრიტიკებენ საერთაშორისო დონეზე, მეტადრე ისლამურ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ისრაელისა და პალესტინელების ტერიტორიული კონფლიქტის მოწესრიგების კიდევ ერთ ცდას წარმოადგენდა ე.წ. «კვარტეტის» (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო) მიერ შემუშავებული გეგმა,

რომელსაც «საგზაო რუკა” ეწოდა. ეს გეგმა ოფიციალურად 2003 წლის 29 აპრილს იქნა წარდგენილი. ის გულისხმობდა 2005 წლამდე პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას, ზოგიერთი წინას-წარი პირობის დაცვით. ამ პირობების არსი მოკლედ ასეთი იყო: პალესტინის მხარეს მოეთხოვებოდა ტერორიზმის აღმოფხვრა, თავისუფალი არჩევნებისა და პოლიტიკური რეფორმების ჩატარება, კონსტიტუციის შექმნა; ისრაელის მხარეს კი – სამხედრო ნაწილების გაყვანა პალესტინური ტერიტორიებიდან, ჯერ უკანონოდ დაარსებული ფორპოსტების მოშლა, მერე კი საახალშენო საქმიანობის შეწყვეტა. პალესტინის საბოლოო საზღვრები საერთაშორისო კონფერენციას უნდა დაედგინა.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ძალიან იყვნენ მოწადინებული, რათა ეს გეგმა განხორციელებულიყო. ამით მათ უნდოდათ ეჩვენებინათ თავიანთი მიუკერძოებლობა არაბული სამყაროსათვის, რომელიც ერაყში ცალმხრივი, გაეროს მხარდაჭერის გარეშე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ (2003 წ.), საკმაოდ სკეპტიკურად განეწყო ზოგადად «დასავლეთის” მიმართ.

პალესტინის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შენიშვნების გარეშე ღებულობს «საგზაო რუკას». მაგრამ რადიკალურმა პალესტინურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ისრაელის არსებობის უფლებასაც კი არ ცნობენ, უპირველესად, პარტია ჰამას-მა, ეს გეგმა უარყვეს, როგორც «დათმობა ისრაელისათვის».

ისრაელის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა *არიელ შარონმა,* რომელიც ადრე არც მალავდა, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია, ამჯობინა «საგზაო რუკისათვის” მხარის დაჭერა, მაშინ, როცა [იმ დროს] მისი პარტია «ლიქუდის» წევრთა უმრავლესობა «საგზაო რუკას» პალესტინელებისათვის დათმობად მიიჩნევდა.

ისრაელის ერთმა გაზეთმა ასე განმარტა პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულება «კვარტეტის” გეგმის მიმართ:

> «შარონი ძირეულად არ შეცვლილა, მაგრამ მან აირჩია ჭკვიანური ტაქტიკა, რათა დრო მოგვაგებინოს. რა საჭიროა ცუდ კაცად თავის ჩვენება, ბუშის მცდელობის ჩიხში შეყვანა, ამით ევროპელების გახარება და მდრტვინავი არაბების წახალისება. ის დააცდის, რათა აბუ მაზენმა *[პალესტინის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის მაჰმუდ აბასის მეტსახელი: რ.გ.*] მარცხი განიცადოს. ამ დროისათვის ამერიკა ჩაეფლობა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში, რაც გაუძნელებს მას მძიმე ზეწოლას ისრაელზე. ამასობაში კი, ვინ იცის, რა მოხდება».

ეს ტაქტიკა თითქოს ჟურნალისტურ ვარაუდს ჰგავდა, მაგრამ რეალურად ასეც მოხდა.

«საგზაო რუკის” განხორციელება ვერ მოხერხდა.

დასავლეთის (უპირველესად – აშშ-ის) ძალისხმევა ისრაელ-პალესტინის პრობლემის დასარეგულირებლად პერიოდულად ძლიერდება ხოლმე. სამწუხაროა, რომ ყველა მცდელობა მხოლოდ «კეთილ განზრახვად» რჩება.

რასაკვირველია, ორივე მხარეს არსებობს პრაგმატული ხელმძღვანელობა, რომელიც ხვდება, რომ უსასრულო კონფრონტაციას წერტილი უნდა დაესვას. მაგრამ ეს “წერტილი” სადღაც ჰორიზონტს გადაღმაა! ისრაელის ელიტა და საზოგადოება ვერ მონახავს ძალას, რომ შეწყვიტოს საახალშენო საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამის გარეშე კი კომპრომისი შეუძლებელი ჩანს.

* * *

ცალკე უნდა ვახსენოთ **იერუსალიმის სადედაქალაქო ფუნქცია.**

1950 წლის 23 იანვარს ისრაელის მთავრობა თელ-ავივიდან დასავლეთ იერუსალიმში გადავიდა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ ცნო ეს, ხოლო ოცმა სახელმწიფომ საელჩოც კი გახსნა დასავლეთ იერუსალიმში.

1967 წელს ისრაელმა მოახდინა იქამდე იორდანიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ იერუსალიმი, ხოლო 1980 წლის 30 ივლისს ისრაელის ქნესეთმა გაერთიანებული იერუსალიმი გამოაცხადა თავის დედაქალაქად. ამავე დროს, გაეროს ადრე მიღებული რეზოლუციების თანახმად, აღმოსავლეთი იერუსალიმი ოკუპირებულ ტერიტორიად იყო მიჩნეული.

1980 წლის 20 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ 15-დან 14 ხმით (თავი შეიკავა ამერიკამ) მიიღო რეზოლუცია 478, რომელშიც დაგმო ისრაელის ქნესეთის აქტი, როგორც საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევა და "ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის" ჟენევის 1949 წლის კონვენციის საწინააღმდეგო ქმედება. აღმოსავლეთი იერუსალიმი დღემდე იურიდიულად წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას. რეზოლუცია 478 ჯერაც ძალაშია.

გაეროს უშიშროების საბჭომ მოსთხოვა გაეროს წევრ-სახელმწიფოებს საელჩოები იერუსალიმიდან სხვაგან გადაეტანათ. მსოფლიო ოფიციალურად არ ცნობს იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად. ამიტომაცაა განლაგებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოების აბსოლუტური უმრავლესობა თელ-ავივსა და მის მიმდებარე ქალაქებში (რამათ-განი, ჰერცლია, იაფო).

1995 წლის 24 ოქტომბერს აშშ კონგრესმა დაავალა პრეზიდენტის ადმინისტრაციას 1999 წლის მაისამდე ამერიკის საელჩოს გადატანა იერუსალიმში. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი იყო იმ დროს თითქოს სწრაფად მიმდინარე სამშვიდობო პროცესი: 1998 წლისათვის ელოდებოდნენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. მაგრამ რეალობა უფრო მძიმე გამოდგა, მალე დაიწყო "მეორე ინტიფადა".

ამერიკაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელია პრეზიდენტი და არა კონგრესი. ამიტომაც ყველა მოქმედი პრეზიდენტი (დონალდ ტრამპამდე) ითვალისწინებდა იმ გართულებას, რაც მოჰყვებოდა აშშ-ის დიპლომატიისათვის იერუსალიმში საელჩოს გადატანას. ამერიკის ყველა პრეზიდენტი, ბილ კლინტონიდან მოყოლებული, ყოველ ექვს თვეში დროებითი, 6-თვიანი, ვეტოს გზით, გადაავადებდა ხოლმე 1995 წლის კანონის ამოქმედებას.

როგორც მე-3 თავში აღინიშნა, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2017 წელს აღარ მოაწერა ხელი 6-თვიანი ვეტოთი 1995 წლის კანონის გადავადებას და ის ძალაში შევიდა.

2018 წლის 14 მაისს, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 70 წლისთავზე, ამერიკის საელჩოს ნაწილი სიმბოლურად გადავიდა იერუსალიმში, დროებით – ამერიკის საკონსულოს შენობაში. შემდეგში იგეგმება საელჩოსათვის სპეციალური შენობის აშენება.

ისრაელის ხელისუფლებამ აშშ საელჩოს დიდხანს ნანატრი გადასვლა იერუსალიმში დიდი ზარზეიმით აღნიშნა. იმავე დღეებში ღაზის პალესტინელთა დემონსტრაციას, რაც მხოლოდ საელჩოს გადატანასთან დაკავშირებული არ იყო, ისრაელის არმიის მიერ გახსნილი ცეცხლი მოჰყვა: დაიღუპა 60-მდე პალესტინელი და ორი ათასამდე დაიჭრა.

მიუხედავად ისლამური სამყაროს მკვეთრად უარყოფითი რეაქციისა, ტრამპის ანალოგიურ ნაბიჯს, როგორც ჩანს, გადადგამს რამდენიმე სახელმწიფო, თუმცა ევროპული ქვეყნები გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ჩვეულებრივ, მხედველობაში იღებენ ხოლმე.

თემა 14

კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის („დემოგრაფიული მეტოქეობა”)

ის, რომ დემოგრაფია და პოლიტიკა მჭიდროდაა გადახლართული, ნათლად ჩანს არაბულ-ებრაულ ურთიერთობებში.

მანდატის პერიოდის პალესტინაში იქმნებოდა ახალი ებრაული ქალაქები, კიბუცები და სხვა დასახლებები: 1917 წელს აქ იყო 43 ებრაული დასახლება, 1947 წელს კი – 320.

ებრაული დასახლებების განლაგების გეოგრაფია შემთხვევითი არ იყო: ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ამოცანად ჰქონდა დასახული მომავალი ებრაული სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალური ფართობი მოეხვედრებინა. მაგალითად, ცნობილი სიონისტი მოღვაწე (შემდგომში ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი) დავიდ ბენ-გურიონი აუცილებლად მიიჩნევდა სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნოს ნაკლებ ნაყოფიერ მიწაზეც შექმნილიყო ახალშენები, რათა ებრაელებს დასაბუთებული პრეტენზია ჰქონოდათ ნეგევზეც.

მართლაც, 1943 წელს ნეგევის უდაბნოში დაარსებულმა სამმა კიბუცმა (რევივიმი, გვულოთი, ბეთ-ეშელი) გადაწყვიტა მომავალი ებრაული სახელმწიფოსათვის ნეგევის უდაბნოს, ქვეყნის ამჟამინდელი ფართობის ნახევრის, მიკუთვნება (რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო ისრაელის გასვლა წითელ ზღვაზე). როდესაც 1947 წელს პალესტინის გაყოფასთან დაკავშირებით ჩამოსულ სპეციალურ საერთაშორისო კომისიას უჩვენეს უდაბნოში მდებარე კარგად მოვლილი კიბუცი რევივიმი, ამ ვიზიტმა განაპირობა კომისიის რეკომენდაცია ტერიტორიული გადანაწილების შესახებ.

არაბები ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელების იმიგრაციას პალესტინაში, ვინაიდან ეშინოდათ მათი დემოგრაფიული უპირატესობის შექმნისა. უკვე 1920-იანი წლებიდან ეთნიკური ინტერესების კარდინალური დაპირისპირება კარგად ესმოდათ სიონისტ ლიდერებს, მაგალითად, *ვლადიმირ (ზეევ) ჟაბოტინსკის*, რომელთაც არაბთა წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროდ მიაჩნდათ სერიოზული სამხედრო ძალის შექმნა.

ვ. ჟაბოტინსკის იდეები, გამოქვეყნებული 1923 წლის 4 ნოემბერს, თითქმის საუკუნის შემდეგაც თანამედროვედ ჟღერს. ქვემოთ მოყვანილია მისი სტატიის “რკინის კედლის შესახებ” მოზრდილი ნაწყვეტის თარგმანი:

ჟაბოტინსკი რკინის კედლის შესახებ

„ნებაყოფლობით შერიგებაზე პალესტინელ არაბებსა და ჩვენ შორის არავითარი ლაპარაკიც არ უნდა იყოს, არც ახლა და არც თვალმისაწვდომ მომავალში. გამოვთქვამ ამ რწმენას ასეთი მკვეთრი ფორმით არა იმიტომ, რომ კეთილი ადამიანებისათვის გულის ტკენა მომწონს, არამედ იმიტომ, რომ მათ არ ეტკინებათ გული. ყველა ამ კეთილმა ადამიანმა, გარდა ბრმადშობილებისა, უკვე კარგა ხანია გაიგეს, რომ შეუძლებელია პალესტინელი არაბების ნებაყოფლობითი თანხმობის მიღება პალესტინის გადაქცევაზე არაბული ქვეყნიდან ებრაული უმრავლესობის მქონე ქვეყნად.

ზოგი ჩვენში ისევ გულუბრყვილოდ ფიქრობს, თითქოს მოხდა რაღაც გაუგებრობა, არაბებმა ჩვენ ვერ გაგვიგეს და მხოლოდ ამიტომ არიან ჩვენი წინააღმდეგი; აი, რომ შეგვძლებოდა მათთვის იმის განმარტება, თუ რა მოკრძალებული განზრახვა გვაქვს, მაშინ ისინი ხელს გამოგვიწვდიდნენო. ეს არის უკვე მრავალგზის დამტკიცებული შეცდომა. შეგახსენებთ მრავალთაგან ერთ შემთხვევას. სამიოდე წლის წინ ბ-ნი ნაუმ

სოკოლოვი *[მემარცხენე-ლიბერალური მიმართულების ცნობილი სიონისტი: რ.ვ.]*, პალესტინაში ყოფნისას გამოვიდა დიდი სიტყვით სწორედ ამ გაუგებრობის შესახებ. მან ნათლად დაამტკიცა, თუ როგორ სასტიკად ცდებიან არაბები, თუკი ფიქრობენ, რომ თითქოს ჩვენ გვინდა მათ წავართვათ მათი საკუთრება, ან გავასახლოთ ისინი, ან ვჩაგროთ ისინი; ჩვენ ებრაული მთავრობაც კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა მხოლოდ მთავრობა, რომელიც ***ერთა ლიგას*** წარმოადგენს.

სოკოლოვის ამ გამოსვლას არაბულმა გაზეთმა "კარმელმა" უპასუხა მოწინავე წერილით, რომლის არსსაც მახსოვრობით, მაგრამ ზუსტად გადმოვცემ. სიონისტები ტყუილად ღელავენ, არავითარი გაუგებრობა არ არის. ბ-ნი სოკოლოვი სიმართლეს ამბობს, მაგრამ არაბებს მის გარეშეც მშვენივრად ესმით ეს. რასაკვირველია, ამჟამად სიონისტებს არ შეუძლიათ იოცნებონ არც არაბების გასახლებაზე, არც არაბების ჩაგვრაზე, არც ებრაულ მთავრობაზე; რასაკვირველია, ამჟამად მათ უნდათ მხოლოდ ერთი რამ – რომ არაბები არ უშლიდნენ ხელს მათ იმიგრაციას [პალესტინაში]. სიონისტები გვაჯერებენ, რომ ისინი ჩამოსახლდებიან მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რის შესაძლებლობასაც იძლევა პალესტინის ეკონომიკური ტევადობა. მაგრამ არაბებს ამაში ეჭვი არასოდეს ეპარებოდათ: ეს ხომ ტრუიზმია, სხვანაირად ხომ იმიგრაცია შეუძლებელი იქნებოდა. არაბი რედაქტორი მზადაა ხალისით დაეთანხმოს, რომ პალესტინის პოტენციური ტევადობა ძალიან დიდია, ანუ ქვეყანაში შეიძლება ჩასახლდეს რამდენიც გინდა ებრაელი და არც ერთი არაბი არ განიდევნოს. სიონისტებს უნდათ "მხოლოდ ეს", და "სწორედ ეს" არ უნდათ არაბებს. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ებრაელები იქცევიან უმრავლესობად, და მაშინ თავისთავად გამოვა ებრაული მთავრობა, და მაშინ არაბული უმცირესობის ბედი დამოკიდებული იქნება ებრაელების კეთილ ნებაზე; ის კი, რომ უმცირესობაში ყოფნა ძალიან წამგებიანია, ამის შესახებ თვით ებრაელები ძალიან მჭერმეტყველად ყვებიან. ამიტომაც არავითარი გაუგებრობა არ არის. ებრაელებს უნდათ მხოლოდ ერთი – იმიგრაციის [*პალესტინაში შესვლის*] თავისუფლება; არაბებს კი სწორედ ეს ებრაული იმიგრაცია არ უნდათ.

არაბი რედაქტორის ეს მსჯელობა იმდენად მარტივი და ნათელია, რომ ის ზეპირად უნდა დავისწავლოთ და საფუძვლად დავუდოთ არაბულ საკითხზე ყველა ჩვენ მომდევნო ფიქრს... კოლონიზაციას თავისთავად მოაქვს ახსნა, ერთადერთი, განუყოფელი და გასაგები ყველა ჯანმრთელი ებრაელისა და ყველა ჯანმრთელი არაბისათვის. კოლონიზაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი; პალესტინელი არაბებისათვის ეს მიზანი მიუღებელია; ყველაფერი ეს მოვლენათა ბუნებაშია და ამ ბუნების შეცვლა შეუძლებელია.

ვერც პალესტინელებს, ვერც სხვა არაბებს ვერავითარ კომპენსაციას პალესტინისათვის ჩვენ ვერ შევთავაზებთ. ამიტომაც ნებაყოფლობითი შეთანხმება წარმოუდგენელია. ამიტომაც იმ ხალხმა, ვინც ასეთ შეთანხმებას მიიჩნევს სიონიზმის conditio sine qua non [*აუცილებელი პირობა: რვ*], ახლავე შეუძლიათ თქვან non და განაცხადონ უარი სიონიზმზე. ჩვენი კოლონიზაცია ან უნდა შეწყდეს, ან უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს მხოლოდ ძალისმიერი დაცვით, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ადგილობრივ მოსახლეობაზე, იმ რკინის კედლის მეშვეობით, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გაანგრევს.

ამაში მდგომარეობს მთელი ჩვენი არაბული პოლიტიკა: არა მხოლოდ "უნდა მდგომარეობდეს", არამედ მართლაც მდგომარეობს, რამდენსაც უნდა ვპირფერობდეთ. რისთვისაა ბალფურის დეკლარაცია? რისთვისაა მანდატი? მათი არსი ჩვენთვის არის ის, რომ გარეშე ძალამ [*დიდმა ბრიტანეთმა: რ.ვ.*] აიღო თავის თავზე ვალდებულება შექმნას ქვეყანაში ისეთი მართვისა და დაცვის პირობები, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა, დიდი სურვილის მიუხედავად, მოკლებული იქნება შესაძლებლობას ადმინისტრაციულად ან ფიზიკურად ხელი შეგვიშალოს კოლონიზაციაში. და ჩვენ ყველა, გამონაკლისის გარეშე, ყოველდღიურად მოვითხოვთ ამ გარეშე ძალისაგან, რათა იგი თავის ამ როლს ასრულებდეს მტკიცედ და უშეღავათოდ. ამ თვალსაზრისით ჩვენს "მილიტარისტებსა" და ჩვენს "ვეგეტერიანელებს" შორის არავითარი არსებითი განსხვავება არაა. პირველებს ურჩევნიათ რკინის კედელი ებრაული ხიშტებისაგან, სხვებს – ბრიტანულისაგან; მესამენი, ბაღდადთან [*დიდ ბრიტანეთს იმ დროს ჰქონდა მანდატი ერაყის მართვაზეც: რ.ვ*] შეთანხმების მომხრენი, მზად არიან დაკმაყოფილდნენ ბაღდადური ხიშტებით (უცნაური და სარისკო გემოვნებაა); მაგრამ ჩვენ ყველანი დღე და ღამე ვირჯებით რკინის კედლისათვის. ამასთანავე, ჩვენ თვითონვე რატომღაც ვიფუჭებთ საქმეს განცხადებებით შეთანხმების შესახებ, და ჩავაგონებთ

მანდატორ სახელმწიფოს, თითქოს საქმე რკინის კედელში კი არაა, არამედ კიდევ ახალ-ახალ ლაპარაკში. ჩვენს საქმეს ღუპავს ეს განცხადებები: ამიტომაც მათი დისკრედიტაცია, მათი ფანტასტიკურობისა და არაგულწრფელობის ჩვენება – არა მარტო სიამოვნებაა, არამედ ჩვენი ვალდებულებაცაა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გავაკეთო კიდევ ორი შენიშვნა.

პირველი, გაცვეთილ საყვედურზე, თითქოს ზემოაღნიშნული თვალსაზრისი არაეთიკურია, ვპასუხობ – ეს ტყუილია. ორიდან ერთია: სიონიზმი ან მორალურია, ან ის მორალური არაა. ეს საკითხი ჩვენ უნდა ჩვენშივე გადაგვეწყვიტა იქამდე, ვიდრე პირველ შეკელს [*ებრაული ვალუტა: რგ*] ავიღებდით ხელში. და ის დადებითად გადავწყვიტეთ. ხოლო თუ სიონიზმი მორალურია, ე.ი სამართლიანია, მაშინ სამართლიანობა ცხოვრებაში უნდა გატარდეს, ვისიც გინდა უთანხმოებისა ან უარის მიუხედავად. და თუკი A, B, ან C მოინდომებენ ძალით შეუშალონ ხელი სამართლიანობის განხორციელებას, იმის გამო, რომ ამას თავისა-თვის არახელსაყრელად მიიჩნევენ, მაშინ მათ ჩვენ უნდა შევუშალოთ ხელი, ისევ და ისევ ძალის გამოყენე-ბით.

ესაა მორალური; სხვა არანაირი მორალურობა არ არსებობს.

მეორე, ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ *რ ა ი მ ე* შეთანხმება არაბებთან წარმოუდგენელია. შეუძლებელია მხოლოდ მათი მხრიდან *ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი* შეთანხმება. იქამდე, ვიდრე არაბებს ექნებათ თუნდაც იმედის ნაპერწკალი, რომ თავიდან მოგვიშორებენ, ისინი ამ იმედს არ გაყიდიან არავითარ ტკბილ სიტყვებზე და არავითარ ნოყიერ ბუტერბროდებზე, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ვიგინდარები კი არ არიან, არამედ ხალხია, თუნდაც ჩამორჩენილი, მაგრამ ცოცხალი. ცოცხალი ხალხი კი მიდის დათმობაზე ასეთ უზარმაზარ, ფატალურ საკითხებში მხოლოდ მაშინ, როცა არავითარი იმედი აღარ რჩება, როცა რკინის კედელში არ ჩანს არც ერთი ხვრელი. მხოლოდ მაშინ კარგავენ თავის ხიბლს უკიდურესი ჯგუფები, რომელთა ლოზუნგია "არავითარ შემთხვევაში", და მაშინ გავლენა გადადის ზომიერ ჯგუფებთან. მხოლოდ მაშინ მოვლენ ჩვენთან ეს ზომიერი ჯგუფები ურთიერთდათმობის წინადადებით; მხოლოდ მაშინ დაიწყებენ ისინი ჩვენთან პატიოსნად ვაჭრობას ისეთ პრაქტიკულ საკითხებზე, როგორიცაა გარანტია განდევნის წინააღმდეგ, ან თანასწორობა, ან ეროვნული თვითმყოფადობა; და მჯერა და ვიმედოვნებ, რომ მაშინ ჩვენ შევძლებთ მივცეთ მათ ისეთი გარანტიები, რომლებიც მათ დაამშვიდებს, და ორივე ხალხი შეძლებს გვერდიგვერდ მშვიდობიანად და წესიერად იცხოვროს. მაგრამ ერთადერთი გზა ასეთი შეთანხმებისაკენ არის რკინის კედელი, ანუ პალესტინაში ისეთი ძალაუფლების განმტკიცება, რომელიც შეუღწეველი იქნება ნებისმიერი არაბული გავლენისათვის, ანუ სწორედ ისეთი ძალაუფლება, რომელსაც ებრძვიან არაბები.

სხვა სიტყვებით, ჩვენთვის არსებობს ერთადერთი გზა მომავალი შეთანხმებისათვის: ეს არის შეთანხმების მიღწევის ყველანაირ ცდაზე ამჟამად აბსოლუტური უარის თქმა [ციტატის დასასრული].

პალესტინელ არაბებს აუხდათ ებრაელთა დემოგრაფიული უპირატესობის შექმნის შიში. 1948-49 წწ. ომში ისრაელის გამარჯვების შემდეგ «სამანდატო პალესტინის" ტერიტორიაზე არაბთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა: მათი უმეტესობა ლტოლვილად იქცა.

უკვე 1948 წლის ბოლოს ებრაელებმა დიდი უმრავლესობა (86 პროცენტი) შეადგინეს პალესტინის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ დარჩათ, ანუ ისრაელის სახელმწიფოში (იხ. ცხრილი 5.1). ამის შემდეგ ისრაელის ამოცანად იქცა ის, რომ არ დაეშვა იმავე ტერიტორიაზე არაბული უმრავლესობის ხელახალი შექმნა.

ბოლო დროის დემოგრაფიული რეალობა კი გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის შესრულება სულ უფრო ძნელი ხდება.

XX საუკუნის პირველ ნახევარში და უფრო ადრეც, მაღალი სიკვდილიანობის გამო (განსაკუთრებით ახალშობილთა და ბავშვთა შორის) არაბთა რაოდენობა შედარებით ნელა იზრდებოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი ოდნავ დაკლებული შობადობის პირობებში, მაგრამ მკვეთრად შემცი-

რებული სიკვდილიანობის გამო, არაბების ბუნებრივი მატების კოეფიციენტი გაიზარდა და დიდად გადააჭარბა ებრაელების ბუნებრივ ნამატს.

ისრაელის მოსახლეობა 1948-2016 წლებში რელიგიების მიხედვით
(აბსოლუტური რიცხოვნობა ათასებში და წილი პროცენტებში)

წელი		სულ	ებრაელები	მუსლიმები	ქრისტიანები	დრუზები	დაუდგენელი*
1948	აბს.	1173,9	1013,9	111,5	34,0	14,5	...
	%	100,0	86,4	9,5	2,9	1,2	...
1961	აბს.	2234,2	1981,7	174,9	51,3	26,3	...
	%	100,0	88,7	7,8	2,3	1,2	...
1972	აბს.	3225,0	2752,7	360,6	73,8	37,8	...
	%	100,0	85,3	11,2	2,3	1,2	...
1983	აბს.	4118,6	3412,5	542,2	95,9	68,0	...
	%	100,0	82,9	13,2	2,3	1,6	...
1995	აბს.	5612,3	4522,3	811,2	120,6	92,2	66,0
	%	100,0	80,6	14,5	2,1	1,6	1,2
2001	აბს.	6508,8	5025,0	1004,6	138,5	106,3	230,9
	%	100,0	77,2	15,5	2,1	1,6	3,6
2010	აბს.	7552,0	5703,7	1286,5	151,7	125,3	285,5
	%	100,0	75,5	17,0	2,0	1,7	3,8
2016	აბს.	8628,6	6446,1	1524,0	168,3	139,3	350,0
	%	100,0	74,7	17,7	1,9	1,6	4,1

წყარო: State of Israel. Central Bureau of Statistics. 2017
(1961, 1972, 1983 და 1995 წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემები და
მიმდინარე სტატისტიკა 1948, 2001, 2010 და 2016 წლებისათვის)
* 1995 წლამდე «დაუდგენელი რელიგიის" პირებს ქრისტიანებს მიათვლიდნენ.

ცხრილში რელიგია გამოყენებულია, როგორც მკაფიო განმასხვავებელი, რადგან ისრაელში დემოგრაფიული სხვაობა რელიგიური ნიშნით უკეთ ჩანს, ვიდრე ეთნიკური ნიშნით: მაგალითად, ქრისტიან არაბებსა და მუსლიმ არაბებს მკვეთრად განსხვავებული დემოგრაფიული ქცევა ახასიათებთ. გარდა ამისა, "ებრაელობა" ერთდროულად რელიგიაცაა და ეთნიკურობაც: ებრაელი და იუდეველი აღინიშნება ერთი სიტყვით "იუდი". საკუთარი რელიგიის გამო არაბულენოვანი დრუზები თავს მიიჩნევენ ცალკე ეთნო-რელიგიურ ჯგუფად.

აქვე უნდა ითქვას, რომ "რელიგიური კუთვნილება" არ ნიშნავს, რომ ადამიანები მართლაც მორწმუნეები არიან. მართალია, მუსლიმების უმეტესობა და ყველა ორთოდოქსი ებრაელი რელიგიურ წესებს ერთგულად იცავს, მაგრამ ებრაელების დიდი ნაწილი (ხოლო "დაუდგენელი" რელიგიის ადამიანების უმრავლესობა) სეკულარულია და რელიგიურ რიტუალებს მხოლოდ ტრადიციის გამო აღასრულებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ისრაელის მოსახლეობის დინამიკა 1948 წლიდან ძალიან სწრაფი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა.

ეთნორელიგიური ჯგუფების დინამიკის მაჩვენებლები განსხვავებულია.

- ისრაელში, რომელიც ორგანული კანონის თანახმად, «ებრაული სახელმწიფოა", ებრაული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ებრაელთა რიცხოვ-ნობა 1948-2016 წლებში 6,4-ჯერ გაიზარდა. ამჟამად ისრაელი მსოფლიოში პირველი სახელმწიფოა ებრაელთა რაოდენობის მხრივ: 2016 წელს იქ ცხოვრობდა 6,5 მილიონი ებრაელი, ანუ მსოფლიო ებრაელობის 44 პროცენტი. ებრაელთა რაოდენობით მეორე ადგილზეა აშშ, სადაც მათ რიცხოვნობას 5,7 მილიონად მიიჩნევენ. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი პირობითია, რადგან ამერიკაში ინტენსიურად ხდება ებრაელების შერევა არა-ებრაელებთან: ბევრია ისეთი, ვინც წინაპართა რელიგიას, იუდაიზმს, აღარ მისდევს და თავს ებრაელად/იუდეველად აღარ მიიჩნევს.
- მუსლიმების რიცხოვნობა 1948 წლიდან 2016 წლამდე 1367 (!) პროცენტით გაიზარდა. მუსლიმთა რიცხვის 13-ნახევარჯერ მატებაზე იმოქმედა ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიამ 1967 წელს: ისრაელის სახელმწიფოში მუსლიმთა რიცხოვნობამ იმ წელიწადს 30 პროცენტით მოიმატა. მაგრამ მხოლოდ ეს მექანიკური ნამატი არ გამხდარა ასეთი ზრდის ფაქტორი. გადამწყვეტი იყო და არის ძალიან დიდი ბუნებრივი ნამატი (წლიურად 3,0 პროცენტამდე). არაბი მუსლიმი ქალების მაღალი ნაყოფიერების წყალობით მხოლოდ1972 წლიდან 2016 წლამდე განვლილ 44 წელიწადში (ამ პერიოდში ისრაელში მუსლიმი მოსახლეობის შემოსვლა არ მომხდარა) მუსლიმების რიცხოვნობამ 423 პროცენტით იმატა. შედარებისათვის, იმავე პერიოდში ისრაელის ებრაული მოსახლეობა გაიზარდა "სულ" 234 პროცენტით, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს დაფიქსირდა დიდი იმიგრაცია, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.
- ქრისტიანების რიცხოვნობა 1948-2016 წწ. პერიოდში ხუთჯერ გაიზარდა. ამაზე იმოქმედა 1990-იან წლებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იმიგრაციამაც. 2016 წელს ყველა ისრაელელ ქრისტიანს შორის არაარაბული წარმოშობისა იყო 21 პროცენტი; მათ შორის ადგილობრივი ქრისტიანი სომხები და ბერძნები ჯამში 3 ათასზე ნაკლები იყვნენ, ხოლო დანარჩენი ყოფილი საბ-ჭოთა კავშირიდან შემოვიდა, როგორც ებრაული ოჯახების არა-ებრაელი (ან არა-იუდეველი, რაც ერთი და იგივეა) წევრი. ეს უკანასკნელნი "ქრისტიანებად" პირობითად არიან მიჩნეული: სინამდვილეში, მათ უმეტესობას რელიგიის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვს.

ქრისტიან არაბებს (ყველა ქრისტიანის 79 პროცენტს), რომელთაც მუსლიმ არაბებთან შედარებით განათლების უფრო მაღალი დონე და უფრო მცირე ოჯახები აქვთ, ახასიათებთ საზღვარგარეთ ემიგრაციის უფრო გამოკვეთილი ტენდენცია.

საერთო ჯამში, ქრისტიანების რიცხოვნობა ისრაელში ყველაზე ნელა იზრდებოდა, ხოლო მათი ხვედრითი წილი მცირდებოდა: 1948 წელს ისინი მთელი მოსახლეობის 2,9 პროცენტს შეადგენდნენ, 2016 წელს კი – 1,9 პროცენტს.

- დრუზების რიცხოვნობა იმავე პერიოდში ცხრანახევარჯერ გაიზარდა. ყველაზე არსებითი ნახტომი მათი რაოდენობის ზრდაში – 25,4 პროცენტი ერთი წლის განმავლობაში – აღინიშნა 1983 წლის მოსახლეობის აღწერისას: ამის მიზეზი იყო ის, რომ 1981 წელს ისრაელმა მოახდინა გოლანის მაღლობის ანექსირება და აღრიცხა იქ მცხოვრები დრუზები, რომელთაც მოქალაქეობის მიღების უფლება მისცა. დრუზების მეტმა ნაწილმა ამ უფლებით არ ისარგე-ბლა: ისინი ამჯობინებენ ისრაელში მუდმივი მცხოვრების სტატუსი ჰქონდეთ, რადგან იმედი აქვთ, რომ მათი სოფლები როდესმე სირიას დაუბრუნდება. დრუზების მატების ძირითადი ფაქტორი მაღალი შობადობაა.
- ისრაელის ე.წ. «დაუდგენელი რელიგიის» მოსახლეობაა ებრაული ოჯახის არაებრაელი წევრები, ანდა მხოლოდ მამით ებრაელები: ჰალახას [ებრაული კანონის] თანახმად, ეს უკანასკნელნი ებრაელებად არ ითვლებიან. მათი უმრავლესობა ლეგალურად შემოვიდა ისრაელში და, თეორიულად, ებრაელთა რაოდენობის მატების რეზერვი შეიძლება გახდეს, ვინაიდან

სოციალურ-კულტურული გარემო მათი ებრაელებთან ასიმილაციის წინაპირობას ქმნის. მაგრამ ისრაელის ულტრაორთოდოქსული იუდაისტური პარტიები „დაუდგენელი რელიგიის» პირებისაგან მტრის ხატს ქმნიან.

ისრაელში ებრაული მოსახლეობის მასობრივი იმიგრაციაც არ აღმოჩნდა საკმარისი ეთნო-რელიგიური ბალანსის შესანარჩუნებლად. თუ 1961 წელს (ეს ყველაზე ხელსაყრელი წელი იყო ებრაელობისათვის მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონის თვალსაზრისით) არა-ებრაელები მთელი მოსახლეობის 11,3 პროცენტს შეადგენდნენ, 2016 წელს ეს მაჩვენებელი მოსახლეობის მეოთხედს აჭარბებს. ებრაელების წილი, რომელიც 1961 წელს თითქმის მთელი მოსახლეობის 89 პროცენტს შეადგენდა, 2016 წლისათვის 74,7 პროცენტამდე ჩამოვიდა.

ისრაელელი დემოგრაფების აზრით, თუკი ებრაული იმიგრაცია მკვეთრად არ გაიზარდა (ძირითად რეზერვად კი რჩება მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების, უპირველესად აშშ-ის, ებრაული დიასპორა), რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ჯერ კიდევ XXI საუკუნეში, არაბების რიცხოვნობამ შეიძლება გადააჭარბოს ებრაელებისას.

ასეთ ვითარებაში გასაგები ხდება ისრაელის ულტრანაციონალისტური წრეების ოცნება პალესტინელი არაბების «ტრანსფერის" (სხვა არაბულ ქვეყნებში მათი «ნებაყოფლობით" გასახლების) შესახებ. მაგრამ არაბთა ტრანსფერის პრაქტიკული განხორციელება მშვიდობიანი მეთოდებით შეუძლებელია, ხოლო ძალადობრივ ეთნიკურ წმენდას არ დათანხმდება საერთაშორისო საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით არაბული ქვეყნები. ეს კარგად ესმის პასუხისმგებლობის მქონე ისრაელის პოლიტიკურ ელიტასაც. დემოგრაფიული პრობლემის სერიოზულობის შეგრძნება აიძულებს ისრაელის შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს, იფიქრონ ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნების პოლიტიკის კორექციაზე.

დემოგრაფიულ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს სხვა აზრიც, რომ არაბების შობადობის მაჩვენებელი შემცირდება და პერსპექტივა ისრაელისათვის არც ისე ტრაგიკულია.

იქმნება ისეთი რამ, რასაც შეიძლება დაერქვას «დემოგრაფიული მეტოქეობა ტერიტორიის ფლობისათვის».

ისრაელში სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ მაქსიმალური რაოდენობის ებრაელი რეპატრიანტის მოზიდვას. ეს პრობლემა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებამდეც იდგა. ამ თვალსაზრისით ძირითადი რეზერვუარი იყო საბჭოთა კავშირი და ცენტრალური ევროპა, სადაც რამდენიმე მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. მაგრამ ჰოლოკოსტმა გაანადგურა ებრაელთა გენოფონდის დიდი ნაწილი ცენტრალურ ევროპაში.

საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა საგრძნობი ემიგრაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1960-იანი წლების მიწურულიდან. სხვათა შორის, დასაბამი ამას მისცა 18 ქართველი ებრაელის მიერ 1968 წელს გაგზავნილმა წერილმა გაეროს გენერალური მდივნის სახელზე. სიონიზმის მიმართ საბჭოთა ებრაელობის მკვეთრი შემობრუნება განაპირობა ისრაელის გამარჯვებამ «ექვსდღიან ომში».

1971-89 წლებში 150 ათასმა ებრაელმა მოახდინა *ალია* [იმიგრაცია] საბჭოთა კავშირიდან ისრაელში, მათ შორის 40 ათასმა – საქართველოდან: ამის გამო ებრაელებისაგან პრაქტიკულად დაიცალა ისეთი ქალაქები და დაბები, როგორებიცაა კულაში, სურამი, ონი, სენაკი, ცხინვალი, სადაც ისინი მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, ზოგან უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ.

ჯამში, 2000 წლამდე, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში წავიდა 1,1 მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის შეფასებით 200 ათასამდე იყო ოჯახის წევრი არაიუდეველი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ისრაელში რეპატრირებული ყოფილი საბჭოთა ებრაელობა საგრძნობი ინტელექტუალური შენაძენი აღმოჩნდა მათი ისტორიული სამშობლოსათვის, რადგან მათ შორის მრავლად იყო ექიმი, მეცნიერი, ინჟინერი, ხელოვანი. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას იმპულსი მისცა იმანაც, რომ ახალმა იმიგრანტებმა შექმნეს დამატებითი მოთხოვნილება საბინაო ფონდზე, მომსახურებაზე.

2003 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში წასული ე.წ. "რუსები" (ასე უწოდებენ მათ ისრაელში!) ქვეყნის მთელი ებრაული მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენდნენ. რუსულენოვანი თემი ყველაზე დიდი გახდა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულთა შორის. "რუსების" სრული აბსორბცია ისრაელმა დღემდე ვერ შეძლო: მათი დიდი ნაწილი ოჯახშიც კი რუსულად საუბრობს, კითხულობს ადგილობრივ რუსულ გაზეთებს (ისრაელში მათ ყველაზე დიდი ტირაჟი აქვთ) და უყურებს ადგილობრივ რუსულ ტელეარხებს. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა ისრაელის ლოიალური მოქალაქეა. ბევრი მათგანი გამოირჩევა უკიდურესად მემარჯვენე-ნაციონალისტური იდეებით.

ამავე დროს, ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს 2017 წლის მონაცემებით, რომელთაც იმოწმებს თბილისში გამომავალი ებრაული გაზეთი "მენორა", ყოფილი საბჭოთა კავშირიდან 1990-იან წლებში ისრაელს ჩასულ რეპატრიანტთა 17-მა პროცენტმა დატოვა ისრაელი და ძირითადად აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში გადასახლდა ან თავისი ძველი განსახლების ქვეყანას დაუბრუნდა. გამოირკვა, რომ ისრაელს რუსულენოვანი ახალგაზრდები უფრო სტოვებენ, ვიდრე ადგილობ-რივნი, ან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები. ისრაელიდან წასვლას ეს ადამიანები ხსნიან ამ სახელმწი-ფოში ცხოვრების სიძვირით, უსაფრთხოების პრობლემებით, რელიგიის აქტიური ჩარევით მათ პირად ცხოვრებაში.

ისრაელი ცდილობს წაახალისოს რეპატრიაცია არგენტინიდან, საფრანგეთიდან, აშშ-იდან, სადაც საგრძნობი ებრაული დიასპორებია. მაგრამ სულ უფრო ძნელი ხდება ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მდიდარი და მშვიდი ქვეყნების ებრაელობის დაყოლიება, მოახდინონ ალია* ისრაელში. დსთ-ის ქვეყნებში დარჩენილი ებრაელების დიდი ნაწილიც ისრაელში მუდმივად დასახლების სურვილს ნაკლებად ამჟღავნებს.

«დემოგრაფიული მეტოქეობის» კომპონენტები ებრაელთა მხრიდან არის დიასპორის ებრაელთა რეპატრიაციის წახალისება, ისრაელის ებრაული მოსახლეობის შობადობის ზრდაზე ზრუნვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული ახალშენების გაფართოება.

«დემოგრაფიული მეტოქეობის" კომპონენტები არაბთა მხრიდან არის პალესტინელი ლტოლვი-ლების დაბრუნების მოთხოვნა, ადგილობრივი არაბი მოსახლეობის (როგორც ისრაელის მოქალა-ქეებისა, ისე «დასავლეთ ნაპირზე" და ღაზის სექტორში მცხოვრებთა) შობადობის მაღალი დონის შენარჩუნება.

ქვემოთ მეტი დეტალიზაციით განხილულია ამ მეტოქეობის ორი საკითხი, რომელთაც აშკარად აქვთ გეოგრაფიული განზომილება: ესაა პალესტინელი ლტოლვილები და ებრაული ახალშენები.

პალესტინელი ლტოლვილები

1948 წელს ისრაელის წარმატებას არაბულ ქვეყნებთან ომში მოჰყვა ადგილობრივი არაბული მოსახლეობის მასობრივი განდევნა (ამნონ რაზ-კრაკოცკინი ბენ-გურიონის სახელობის უნივერსიტე-ტიდან იყენებს ტერმინს «ეთნიკური წმენდა").

ლტოლვილად იქცა ასეულობით ათასი კაცი. მათი რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვაა: ისრაელი მიიჩნევს, რომ ლტოლვილად იქცა 538 ათასი ადამიანი; პალესტინელები ასახელებენ 850 ათასს; გაეროს შეფასებაა 720 ათასი. პალესტინის არაბული (უპირატესად მუსლიმი) მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი გაჰყვა უკანდახეულ არაბულ არმიებს იმ, როგორც მალე გაირკვა, ფუჭი იმედით, რომ ცოტა ხანში დაუბრუნდებოდა თავის სახლს. ამ ხალხს აღარ მიეცა უკან დაბრუნების საშუალება: ისრაელის არმია ეფექტიანად იცავდა ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას არაბი «ინფილტრატორე-ბისაგან».

ბევრი პალესტინელი არაბი გაიქცა 1949 წლის დაზავებით ეგვიპტის კონტროლქვეშ მოქცეულ ღაზის სექტორში (საკუთრივ ეგვიპტეში ლტოლვილები არ მიიღეს), ან იორდანიის მიერ ანექსირებულ "დასავლეთ ნაპირსა" და აღმოსავლეთ იერუსალიმში. ლტოლვილ პალესტინელთა საგრძნობი ნაწილი გადავიდა მდინარე იორდანეზე და საკუთრივ იორდანიაში დასახლდა, სადაც ამჟამად მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს.

მუსლიმი არაბების დაბრუნების მცდელობას ებრაული სახელმწიფო ყველანაირად აღკვეთდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ მასობრივი დაბრუნება, მათი მაღალი შობადობის გათვალისწინებით, მკვეთრად შეცვლიდა ისრაელის დემოგრაფიულ სტრუქტურას. ისრაელის ხელისუფლება ნაკლებ საშიშად მიიჩნევდა ქრისტიან არაბებს. ამის გათვალისწინებით, გალილეის ზოგი სოფლის მუსლიმმა მოსახლეობამ, იმის შიშით, რომ მას ქვეყნიდან წასვლისაკენ უბიძგებენ, 1948 წელსვე ამჯობინა იმ დროს თითქმის მთლიანად ქრისტიანულ ქალაქ ნაზარეთში გადასვლა, რომელიც 1949 წლის დაზავების შემდეგ ისრაელის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ამ ქალაქს შეკედლებული თითქმის ყველა მუსლიმი ადგილზე დარჩა. მიზეზთა შორის უკანასკნელი არ იყო ევროპის ქვეყნებისა და ვატიკანის შედარებით მეტი ყურადღება ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი ქალაქის მიმართ (იესო ნაზარეთელი იყო). ამჟამად ქ. ნაზარეთის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, ქრისტიანი არაბი იქ ბევრად ნაკლებია. ერთდროულად, გალილეაში შენარჩუნდა არაბ მუსლიმთა ზოგი სოფელიც.

1967 წელს, «ექვსდღიან ომში" გამარჯვების შემდეგ, ისრაელის კონტროლქვეშ მოექცა მთელი «სამანდატო პალესტინა", ეგვიპტის სინას ნახევარკუნძული და სირიის გოლანის მაღლობი. არაბ ლტოლვილთა ახალმა ტალღამ დატოვა სახლები და მეზობელ არაბულ ქვეყნებში გაიქცა. სირიისათვის 1967 წელს ჩამორთმეული გოლანის მაღლობიდან სირიაში წავიდა მთელი იქაური მუსლიმი მოსახლეობა, დარჩნენ მხოლოდ დრუზები.

მაგრამ ლტოლვილ არაბთა ტალღა 1967 წელს გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1948 წელს: «დასავლეთ ნაპირზე", აღმოსავლეთ იერუსალიმსა და ღაზის სექტორში 1948 წელს შესულ ლტოლვილთა დიდი ნაწილი 1967 წლის შემდეგ იქვე დარჩა.

ისრაელის მიერ 1967 წლიდან ოკუპირებულ სინას ნახევარკუნძულზე დიდი დემოგრაფიული ძვრა არ ყოფილა, თუმცა გარკვეული ებრაული იმიგრაცია აღინიშნებოდა და ერთი მოზრდილი ახალშენი შეიქმნა კიდეც . 15 წლის შემდეგ კი სინას ნახევარკუნძული ეგვიპტეს მთლიანად დაუბრუნდა, ხოლო ებრაელი მოახალშენეები ისრაელში დაბრუნდნენ.

ლტოლვილ პალესტინელთა ბანაკებში, სადაც უმუშევრობა და სიღარიბე ძალიან დიდ მასშტაბს აღ-წევს, ადვილად ვრცელდება რადიკალური, მათ შორის რევანშისტული, იდეები. სწორედ ეს ბანაკები იქცა ნოყიერ ნიადაგად ისლამური ფუნდამენტალიზმის, რადიკალიზმის, ტერორიზმის აღმოსაცენებ-ლად.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ღაზის სექტორის ლტოლვილთა რვა ბანაკში (ახლა ისინი ქალაქებად იქცნენ) მცხოვრები ლტოლვილები: ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე, უმუშევრობა და სიღარიბეა.

ისრაელელ ჟურნალისტს, დანი რუბინშტაინს, სტატიაში, სადაც იგი აღწერდა პალესტინელი ლტოლვილების მდგომარეობას ღაზის სექტორში XXI საუკუნის დასაწყისში, მოაქვს გენერალ მოშე დაიანის გამონათქვამი 1956 წელს, როდესაც იგი ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსი იყო. იმ წელს, ღაზის საზღვრის ახლოს, პალესტინელებმა მინდორში მუშაობისას მოკლეს დაიანის პირადი მეგობარი. თავის სამგლოვიარო სიტყვაში, ჟურნალისტის მიხედვით, დაიანს უთქვამს, რომ ის ხშირად გადაჰყურებდა ღაზის სექტორში მდებარე ლტოლვილთა ბანაკებს და იქვე დაუმატებია:

> «როგორ შეგვიძლია ვემდუროდეთ ღაზელების სიძულვილს ჩვენ მიმართ? უკვე რვა წელია ისინი სხედან ლტოლვილთა ბანაკებში, მაშინ, როდესაც მათ თვალწინ მათი წინაპრების მიწასა და სოფლებს ჩვენს საკუთარ სახლად ვაქცევთ».

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ განვლილ 60-ზე მეტ წელიწადში არაფერი შეცვლილა ლტოლვილთა მდგომარეობაში. არ შეცვლილა არც მათი დამოკიდებულება ისრაელის მიმართ. ღაზის სექტორში მოსახლეობის მსოფლიოში უდიდესი სიმჭიდროვეა. ეს მასა განუწყვეტლივ კვებავს ყველაზე რადიკალურ ისლამურ ორგანიზაციებს (მაგალითად, ჰამას-ს).

არც ერთმა არაბულმა ქვეყანამ, გარდა იორდანიისა, არ ისურვა პალესტინელი ლტოლვილების სამოქალაქო უფლებებში გათანაბრება ადგილობრივ მოსახლეობასთან (თუმცა ცალკეული პირების მიმართ გამონაკლისი დაუშვეს).

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ პალესტინელი ლტოლვილები და მათი ორგანიზაციები ხშირად შედიოდნენ კონფლიქტში იმ არაბული ქვეყნების ხელისუფლებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც ისინი შეიკედლეს. ასე მაგალითად,

- 1970 წელს იორდანიაში პალესტინელი ლტოლვილების ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად აუჯანყა ისინი იორდანიის მთავრობას და ამ უკანასკნელის არმიას აჯანყების სისხლში ჩახრჩობა მოუხდა; პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გასამხედროებულ ნაწილებს იორდანიის დატოვება მოუხდათ;
- 1975 წელს ლიბანის სამოქალაქო ომი დაიწყო დაპირისპირებით პალესტინელებსა და ადგილობრივ მარონიტთა ქრისტიანულ თემს შორის;
- 1990 წელს პალესტინელთა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ერაყის აგრესიას ქუვეითის წინააღმდეგ: ამ უკანასკნელის განთავისუფლების შემდეგ კი პალესტინელებს ქუვეითში აღარ დაედგომებოდათ.

პალესტინელი ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთში (2018 წ.)

ქვეყანა/ტერიტორია	ლტოლვილი (ათასი)	წილი ლტოლვილთა ჯამურ რიცხოვნობაში (%)
იორდანია	2 175	41,0
ლიბანი	450	8,5
სირია	526	9,9
“დასავ. ნაპირი”	800	15,2
ღაზის სექტორი	1 300	24,5
ეგვიპტე	50	0.9
ერთად	5 301	100,0

წყარო: UN Relief and Works Agency for Paletinian Refugees in the Near East (UNRWA), 2018

პალესტინელი ლტოლვილების რაოდენობა ზუსტად 5,3 მილიონი რომც არ იყოს, ის რამდენიმე მილიონს მართლაც შეადგენს. ლტოლვილების თუნდაც ნაწილის დაბრუნება ისრაელში რადიკალურად შეცვლის იქ არსებულ დემოგრაფიულ ბალანსს და საკმაოდ მალე ეჭვქვეშ დააყენებს ებრაული სახელმწიფოს ეთნიკურ ხასიათს.

ამიტომაც, ბუნებრივია, ისრაელის არც ერთი მთავრობა არ დათანხმდება პალესტინელი ლტოლვილების უკან მიღებას. პალესტინელთა და არაბული ქვეყნების ლიდერებიც ახლა უფრო ხშირად მოითხოვენ «ლტოლვილების პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას", რაშიც, ალბათ, გულისხმობენ ლტოლვილთათვის კომპენსაციის მიცემას და განსახლების ქვეყნებში მათ აბსორბირებას* (თუმცა ლიბანი პალესტინელების ნატურალიზაციას არასოდეს დათანხმდება).

რეალურად, უკვე 70 წელია არავითარი "გადაწყვეტა" ლტოლვილების პრობლემაში არ ჩანს.

ებრაული ახალშენები

1967 წლის შემდეგ, როდესაც «ექვსდღიანი ომის» შედეგად ისრაელმა კონტროლი დაუწესა მთელი «სამანდატო პალესტინის ტერიტორიას» და დაიპყრო გოლანის მაღლობი, თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყო ამ ტერიტორიების მიზანმიმართული ათვისება ებრაელი მოახალშენეების მიერ. ეს დაიწყო ე.წ. «მემარცხენე» (შედარებით ლიბერალური) პარტია «მაარახ"-ის («ავოდა"-ს, ანუ შრომის პარტიის წინამორბედის) მთავრობის დროს. 1977 წლისათვის, როდესაც ისრაელის სათავეში პირველად მოექცა ე.წ. «მემარჯვენე» (კონსერვატიულ-ნაციონალისტური) მთავრობა, დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში უკვე 4500 მოახალშენე ცხოვრობდა. ამის შემდეგ ახალშენების მშენებლობა მკვეთრად დაჩქარდა, ვინაიდან ნაციონალისტური და რელიგიური პარტიები დაუფარავად უჭერენ მხარს მათ ზრდას.

ახალშენების გაფართოება არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როდესაც 1993 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ისრაელსა და "პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას" შორის. 1993-2016 წლებში მოახალშენეთა რაოდენობა 125 ათასიდან 400 ათასამდე გაიზარდა. «დასავლეთ ნაპირის" ებრაული მოსახლეობა საშუალოდ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საკუთრივ ისრაელში. ისრაელის მთავრობა აგრძელებს ახალშენების დაარსებას ან მათ გაფართოებას.

"დასავლეთ ნაპირზე" 2018 წლისათვის არსებობდა 210 ებრაული ახალშენი. მათგან 130-ს ისრაელის მთავრობა ოფიციალურად აღიარებს და იცავს კიდეც. სირიისაგან დაპყრობილ გოლანის მაღლობზე 41 ებრაული დასახლებაა, სადაც 2010 წელს 20 ათასი მცხოვრები იყო.

გარდა ისრაელის მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარებული ახალშენებისა, «დასავლეთ ნაპირზე» (ებრაელებისათვის ესაა ისტორიული სამარია და იუდეა) განსაკუთრებით ნაციონალისტურად განწყობილი პირები პერიოდულად ქმნიან "ფორპოსტებს" (მათი რაოდენობა 80-100-ის ფარგლებში მერყეობს). ოფიციალურად რეგისტრირებულ ახალშენებთან ახლომდებარე ან ცოტა დაშორებული ბორცვების მწვერვალებზე სახლდება რამდენიმე ფანატიკოსი. ისრაელის მთავრობა "ფორპოსტებს" უკანონოდ აცხადებს და ცდილობს ზოგიერთი მათგანის მოშლას. იარაღის გამოუყენებლად წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ისრაელის არმია ანგრევს ხოლმე რომელიმე "ფორპოსტის" დროებით ნაგებობებს და ფრთხილად გაჰყავს იქიდან ფანატიკოსი მოახალშენეები. მაგრამ მომდევნო დღეებში ახალი "ფორპოსტი" ჩნდება სხვა ბორცვზე, რომელთა შექმნის მიზანია გაზარდოს მოახალშენეთა კონტროლქვეშ მყოფი ფართობი.

2016 წელს 200 ათასზე მეტი ებრაელი ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც 1967 წელს ანექსირებულ იქნა ქ. იერუსალიმის მუნიციპალური საზღვრების გასაფართოებლად: იქ აშენდა იერუსალიმის 12 უბანი ახალი უბანი – *ნევე იააკოვი, პისგათ ზეევი, რამოთ ალონი, გილო, ტალპიოთ მიზრახი, ხარ ხომა* და სხვ. მათ შედარებით იშვიათად ახსენებენ ხოლმე «ოკუპირებულ ტერიტორიებს» შორის.

საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ჟენევის მეოთხე კონვენ-ციის 49-ე მუხლი, რომლის თანახმად «ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა ჩაასახლოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობა იმ ტერიტორიაზე, რომლის ოკუპირებაც მან მოახდინა", ვრცელდება ისრაელის მიერ ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და გოლანის მაღლობზე და ოკუპირებულ «დასავლეთ ნაპირსა» და ღაზის სექტორზე .

ისრაელის ოფიციალური იურიდიული კონტრარგუმენტი არის ის, რომ «დასავლეთ ნაპირი" და ღაზის სექტორი ოკუპირებული კი არაა, არამედ სადავო ტერიტორიებია.

ისრაელის აზრით, საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ოკუპირებულ მიწას ეხება, არ მიესადაგება "დასავლეთ ნაპირსა" და აღმოსავლეთ იერუსალიმს: იორდანიამ 1950 წელს მათი ანექსირება ცალმხრივად მოახდინა და ეს აქტი არ იყო საერთაშორისო დონეზე აღიარებული; ამიტომაც, 1967 წელს ეს ტერიტორია არ იყო რომელიმე ქვეყნის ლეგიტიმური სუვერენიტეტის ქვეშ.

თუკი ამ კონტრარგუმენტს სამართლიანად მივიჩნევთ, მაშინ ის ვერ ფარავს ისრაელის მიერ ცალმხრივად ანექსირებულ გოლანის მაღლობს, რომელიც 1967 წლამდე სირიის ლეგიტიმური სუვერენიტეტის ქვეშ იყო!

ძირითადი **რელიგიური არგუმენტი** «დასავლეთ ნაპირზე» ებრაული ახალშენების შექმნისათვის არის ის, რომ იქ ჩასახლებული, უპირატესად რელიგიური ებრაელების, ოჯახები ამ ტერიტორიას, ისტორიულ იუდეასა და სამარიას, მიიჩნევენ მათივე ღმერთის (იაჰვეს) მიერ ისრაელის შვილებისათვის "აღთქმულ მიწად".

პრაგმატული არგუმენტია, რომ «დასავლეთ ნაპირსა" და გოლანის მაღლობზე შექმნილი ტერიტორიული ფაქტები (არაბთა მიწის კონფისკაცია, ებრაული ახალშენების მშენებლობა, ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების ინფრასტრუქტურის შექმნა, ინდუსტრიული ზონების, ლანდშაფტური პარკების დაარსება) ისრაელის სახელმწიფო ინტერესების დაცვის გარანტიაა. ისრაელში ასევე მიიჩნევენ, რომ ამ ტერიტორიებს გეოსტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სახელმწიფოსათვის: სანაპირო ქალაქ ნათანიადან «მწვანე ხაზამდე" სულ 15 კილომეტრია, ხოლო თელ-ავივიდან – 18 კილომეტრი. გარდა ამისა, ისრაელისათვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს იუდეისა და სამარიის მთებში მდებარე წყალშემკრებ აუზებს, რომლებიც ისრაელის წყალმომარაგების საკმაო ნაწილს უზრუნველყოფს (თუმცა ახლა წყალმომარაგებას ემსახურება ზღვის წყლის გამამტკნარებელი ორი ქარხანა).

თავდაპირველად, 1967 წელს, ისრაელის იმდროინდელმა მთავრობამ, როგორც ჩანს, წამოიწყო ებრაული ახალშენების მშენებლობა იმ მიზნითაც, რომ «გასაცვლელი საგანი" (bargaining chip) ჰქონოდა იმ შემთხვევისათვის, თუკი საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად აუცილებელი გახდებოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და ტერიტორიული მოწესრიგება.

მაგრამ მოახალშენეებს, რომელთაგან ზოგიერთი იქ უკვე ნახევარი საუკუნეა ცხოვრობს, ამ მიწაზე, რომელსაც ისინი ისტორიულ სამშობლოდ მიიჩნევენ, გაუჩნდათ შვილები და შვილიშვილები. მათ სულაც არ უნდათ «გასაცვლელ საგნად» ქცევა. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნიც არიან და კარ-

გად შეიარაღებულნიც საიმისოდ, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გასწიონ, თუკი ისრაელის მთავრობა იძულებული გახდება მიმართოს ძალას მათი გაყვანისათვის. ასეთი «სამოქალაქო ომის" საფრთხე ისრაელის მთავრობისათვის დამატებითი არგუმენტია ახალშენების დიდი ნაწილის შესანარჩუნებლად.

ახალშენების ინფრასტრუქტურის განვითარებას ათობით მილიარდი დოლარი მოხმარდა. «დასავ-ლეთ ნაპირზე" აშენებულ ქალაქებში – *მაალე ადუმიმი, არიელი, გივათ ზეევი, კირიათ სეფერი, ბეიტარ ილითი, კარნე შომრონი, ეფრათა* – თითოეულში 10-50 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მათი დემონტაჟი, ანდა პალესტინის იურისდიქციისათვის დაქვემდებარება მოვლენათა განვითარების რეალისტურ პროგნოზში ვერ ჯდება. მით უმეტეს, შეუძლებელი იქნება იერუსალიმის მუნიციპალურ საზღვრებში 1967 წელს შეტანილი ტერიტორიის დაცლა. რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემას შექმნის მომცრო ახალშენების ევაკუაციაც კი.

პალესტინელებს საპირისპირო აზრი აქვთ. ისინი მოახალშენეებს, რომლებიც შეიარაღებული არიან, «ოკუპანტებად» მიიჩნევენ. რადიკალური პალესტინური ჯგუფები მოახალშენეებს, რომლებიც მათ მიწაზე დასახლდნენ, «კანონიერ სამიზნედ" მიიჩნევენ. ტერორისტული აქტები მოახალშენეების მიმართ საპასუხო რეაქციას იწვევს ისრაელის არმიის მხრიდან (მათ შორის ერთ-ერთია ტერორისტის ოჯახის კუთვნილი სახლი პირწმინდად დანგრევა) და სისხლიანი კონფლიქტი ტერიტორიისათვის არ მთავრდება.

2005 წლის აგვისტოში ისრაელის პრაგმატულად მოაზროვნე პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის ინიციატივითა და ზეწოლით, რაც გულისხმობდა ნაციონალისტურ-რელიგიური წრეების წინააღმდეგობის დაძლევას და თვით შარონის მშობლიურ პარტია «ლიქუდ»-ში განხეთქილების შეტანას, მოხერხდა ღაზის სექტორში მცხოვრები რვა ათასამდე მოახალშენის გამოყვანა ღაზის სექტორიდან და იქ რვა ებრაული ახალშენის ლიკვიდაცია.

ბიბლიას თუ მივყვებით, ღაზა არ იყო ისრაელის შვილებისათვის იაჰვეს მიერ «აღთქმული მიწის" ნაწილი. ამიტომაც გამოსვლა ღაზის სექტორიდან, სადაც პირველი ებრაელი XX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა, ისრაელში მძაფრი პოლიტიკურ-რელიგიური დაპირისპირების მიზეზი არ გამხდარა.

ისრაელის პრაგმატულად განწყობილმა პოლიტიკოსებმა გამოთვალეს, რომ უმჯობესია ღაზიდან გასვლა და ამით მსოფლიოს თვალში «მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი აქციის" მოხდენა, სანაცვლოდ კი ოკუპირებულ «დასავლეთ ნაპირზე" უფრო დიდი და სიცოცხლისუნარიანი ებრაული ახალშენების შენარჩუნება. «დასავლეთ ნაპირის" ახალშენების ირგვლივ იმ დროს უკვე შენდებოდა მაღალი კედელი, რომელსაც უნდა შეექმნა ფიზიკური საზღვარი ისრაელსა და პალესტინის მომავალ სახელმწიფოს შორის.

პალესტინელებისაგან სრული *განცალკევების* (ებრაულად *ჰიფარდუთ*) მისაღწევად და ტერორისტების შემოსვლის აღსაკვეთად 720-ზე მეტი კილომეტრი სიგრძის «უშიშროების ღობის" (ბევრგან, რეალურად, 8 მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლის) მშენებლობა 2002 წლის ივნისში დაიწყო. "ღობის" ნახევარზე მეტი 2011 წლისათვის უკვე აშენდა, მაგრამ ბოლომდე დასრულებული ის 2018 წელსაც არ იყო. "ღობის" ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიმეტრის საგრძნობი ნაწილი «მწვანე ხაზს» მისდევს. მაგრამ ბევრ მონაკვეთზე, განსაკუთრებით იერუსალიმის გარშემო, "ღობე" შეჭრილია ამ ხაზის მიღმა, თეორიულად შესაძლებელი პალესტინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ზოგან 24 კილომეტრის სიღრმეზეც კი. ამის გამო პალესტინელები კარგავენ "დასავლეთ ნაპირის» ისედაც მცირე ფართობის დაახლოებით 10 პროცენტს, რადგან მათ მიწაზე

აშენებულ მსხვილ ებრაულ ახალშენებს ან მათ ბლოკებს «უშიშროების ღობე» ისრაელის მხარეს ტოვებს. «ღობე" ბევრი არაბული სოფლის მცხოვრებთათვის მიუღწეველს ხდის საკუთარ სახნავ-სათესს, ზეთისხილის კორომებს, წყლის წყაროებს.

ბეტონის კედლის, მიმდებარე მავთულხლართებიანი დამცავი ზოლით (ცალკეულ მონაკვეთზე ღობე ელექტროსენსორულია) თითო კილომეტრის მშენებლობა თავიდან საშუალოდ 1,6 მილიონი დოლარი ჯდებოდა, ახლა კი ბევრად მეტი. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ძვირადღირებული საინჟინრო ნაგებობა არ შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ დროებით ფუნქციას. როგორც ჩანს, ისრაელი ამ "ღობეს" (ან მის უდიდეს ნაწილს) მომავალში პოლიტიკური საზღვრის ფუნქციას დააკისრებს.

პალესტინური მხარეც ხვდება, რომ ამ საინჟინრო ნაგებობის მეშვეობით, რომელსაც ის «საოკუპაციო კედელს" უწოდებს, მომავალი პოლიტიკური გამიჯვნისათვის «ტერიტორიული ფაქტის" დაფიქსირება ხდება.

ამასთანავე, ეს მშენებლობა კედელსმიღმა, უშუალოდ არაბული სოფლების გარემოცვაში დარჩენილი ებრაელი მოახალშენეების არანაკლებ აღშფოთებას იწვევს, ვიდრე პალესტინელებისა: მოახალშენეები მიიჩნევენ, რომ «მათ უღალატეს და მიატოვეს".

«დემოგრაფიული მეტოქეობა» კი ისევ ძალაში რჩება.

თემა 15
საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში

რეგიონის ყველა ქვეყანა შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შემადგენლობაში. მათ შორის შვიდი სახელმწიფო – თურქეთი, ირანი, ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ერაყი და საუდის არაბეთი – 1945 წელს გაერო-ს დამაარსებელთა შორის იყო. 2012 წელს პალესტინა გახდა გაერო-ს "არა-წევრი სახელმწიფო", რომელსაც არა აქვს ხმის უფლება გენერალური ასამბლეის სხდომებისას. მაგრამ *დე ფაქტო* ის სახელმწიფოდ ცნეს.

გაეროს მიზანი ახლო აღმოსავლეთში, ისევე, როგორც ზოგადად მსოფლიოში, არის მშვიდობის შენარჩუნება და კონფლიქტების თავიდან აცილება. სხვა საქმეა, რომ თავისი მიზნის მიღწევას ის ეფექტიანად ვერ ახერხებს.

გაეროს მშვიდობისმყოფელთა ძალები კონტროლს უწევენ ბუფერულ ზონას კ. კვიპროსზე, რომელიც 1974 წლიდან ერთიმეორისაგან მიჯნავს თურქეთის არმიას და კვიპროსის ეროვნულ გვარდიას (გამყოფი, ე.წ. "მწვანე ხაზი", უკვე 1964 წლიდან არსებობდა).

გაეროს სამი სადამკვირვებლო ჯგუფი იმყოფება სამხრეთ ლიბანში, გოლანის მაღლობზე და სინას ნახევარკუნძულზე.

ყველაზე ხანგრძლივვადიან პროექტს რეგიონში გაერო ახორციელებს 1949 წლის დეკემბერში შექმნილი "ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების შემწეობისა და დასაქმების სააგენტოს" (UNRWA) მეშვეობით. სააგენტო დღემდე მუშაობს რეგიონის იმ ქვეყნებში), სადაც მის მიერ რეგისტრირებულია პალესტინიდან განდევნილი 720 ათასი ადამიანის შთამომავლობა – 5,3 მილიონი ლტოლვილი, კერძოდ იორდანიაში, სირიასა და ლიბანში (ეგვიპტეში სააგენტო არ

მუშაობს). ლიბანში UNRWA-ს როლი განსაკუთრებით დიდია: პალესტინელ ლტოლვილებს თითქმის მთლიანად უხდებათ მის იმედზე ყოფნა, რადგან ამ ქვეყნის მთავრობა მათ უარს ეუბნება ძირითად სამოქალაქო უფლებებზე, მაგალითად ჯანდაცვასა და განათლებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2018 პრეზიდენტმა ტრამპმა შეუწყვიტა ამერიკული დაფინანსება UNRWA-ს, რაც მისი ბიუჯეტის თითქმის მესამედს შეადგენდა. ამის გარკვეული კომპენსაციას შექმნის გერმანიის, ზოგადად ევროკავშირის, კატარის გაზრდილი შენატანი სააგენტოს ბიუჯეტში.

ევროპული კავშირის პოლიტიკური აქტივობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დიდად არ იგრძნობა. შეუძლებელია ევროპის 27 სახელმწიფოს ერთნაირი პოლიტიკური ინტერესი ჰქონდეს სხვა რეგიონის 17 ქვეყნის მიმართ.

ფორმალურად ევროკავშირი გამოდის, როგორც «ერთი ხმა", მხოლოდ ე.წ. «ახლო აღმოსავლეთის კვარტეტში», რომელიც 2002 წელს შეიქმნა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოსაგვარებლად: მისი დანარჩენი წევრები არიან აშშ, რუსეთი და გაერო. «კვარტეტი", რომელიც თეორიულად ახლაც არსებობს, პრაქტიკულად კმაყოფილდება ხოლმე ლიტონი განცხადებებით, რადგან არ შეუძლია კოლექტიური ზემოქმედება კონფლიქტის მონაწილეებზე: აშშ-ს პოზიცია ყოველთვის პროისრაელურია, მაშინ, როცა «კვარტეტის" დანარჩენი მონაწილეებისა – უფრო დაბალანსებული.

"ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის" ძირითადი სუბიექტები – ისრაელი და პალესტინა თავის მხარდამჭერ არაბულ ქვეყნებთან ერთად – ევროკავშირის როლს კონფლიქტის მოგვარებაში სხვადასხვა პოზიციიდან უყურებენ.

ისრაელი ევროკავშირის ქვეყნებს «პროარაბულა" მიიჩნევს (განსაკუთრებით ბელგიას, დანიას, შვეიცას, ირლანდიას, სადაც ადამიანის უფლებების დაცვას სრული სერიოზულობით ეკიდებიან) და არ ენდობა მას, რადგან ევროკავშირი, ჩვეულებრივ, «შეშფოთებას გამოთქვამს" ხოლმე ისრაელის ქმედებების მიმართ, როდესაც საქმე ეხება პალესტინელების უფლებების დარღვე-ვას.

არაბული ქვეყნები, პირიქით, ამჯობინებენ ევროკავშირის როლის გაზრდას ზემოაღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში, რაც პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

ამავე დროს, ევროკავშირს აქვს სერიოზული ეკონომიკური ინტერესები რეგიონში: დასავლეთ ევროპის ქვეყნები ნავთობით ძირითადად ახლო აღმოსავლეთიდან მარაგდება; ევროკავშირი რეგიონის ქვეყნების უმეტესობისთვის ძირითადი ეკონომიკური პარტნიორია, სამრეწველო საქონლის მთავარი მიმწოდებელი; ევროკავშირი წამყვანი ფინანსური დონორია პალესტინის ადმინისტრაციისათვის.

2017 წელს უდიდესი სავაჭრო ბრუნვა მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ჰქონდა ევროკავშირთან (რომელიც მაშინ 28 ქვეყანას ითვლიდა, რადგან დიდი ბრიტანეთი ჯერ არ იყო საბოლოოდ გასული კავშირიდან), ჩინეთი და აშშ კი ევროკავშირს ჩამორჩებოდა. ევროკავშირი ძირითადი ეკონომიკური პარტნიორია თურქეთის, ისრაელისა და ეგვიპტისათვის: იგულისხმება ვაჭრობა როგორც სა-ქონლით, ისე მომსახურებით. ევროკავშირის მოქალაქეებისათვის საკმაოდ მიმზიდველია ტურიზმი და დასვენება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში, კერძოდ თურქეთში, ეგვიპტეში, კვიპროსზე, გას-ში (იქ, უპირველესად, დუბაი იგულისხმება).

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირი, განსხვავებით ამერიკის პრეზი-დენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციისაგან, 2018 წელს ცდილობდა შეენარჩუნებინა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ირანთან.

ნატო რეგიონში წარმოდგენილია მხოლოდ თურქეთით, რომელიც 1952 წელს მიიღეს ამ ორგანიზაციაში.

ამავე დროს, ნატო გარკვეულად მუშაობს ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც. 2018 წლის 12 ივლისს ქ. ბრიუსელში ჩატარებულ ნატო-ს სამიტზე გაითვალისწინეს ერაყის მთავრობის თხოვნა და მიიღეს გადაწყვეტილება ერაყში ნატო-ს ახალი საწვრთნელი მისიის დაწყების შესახებ, რომელსაც კანადა უხელმძღვანელებს. საერთო ჯამში ამ მისიაში იქნება რამდენიმე ასეული ინსტრუქტორი ნატო-ს ქვეყნებიდან, რომლებიც ახალ სამხედრო სკოლებსა და აკადემიებში ერაყელ ოფიცრებს მოამზადებენ.

ტერორიზმთან ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაში ნატო ასევე ეხმარება იორდანიას.

2014 წლიდან ერაყის ბრძოლაში ტერორისტული წარმონაქმნის,"ისლამური სახელმწიფოს", წინააღმდეგ გადამწყვეტი იყო ნატო-ს ქვეყნების კოალიციის დახმარება, რომლის უმთავრესი მონაწილე იყო აშშ თავისი სამხედრო ავიაციითა და სამხედრო მრჩევლებით.

***

განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესებისა და, ხშირად, მწვავე ურთიერთდაპირისპირების გამო რეგიონში ვერ შეიქმნა ევროკავშირის ან ნატო-ს ტიპის რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ დააკავშირებდა ახლო აღ-მოსავლეთის ქვეყნებს.

რეგიონის ყველა ქვეყანა, გარდა ისრაელისა და კვიპროსისა, შედის **ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციაში** (Organizatin of Islamic Cooperatio; **ითო). ითო** დაარსდა 1969 წელს და იგი აერთიანებს მსოფლიოს 57 სახელმწიფოს უპირატესად მუსლიმური მოსახლეობით. 2018 წლის 1 მარტიდან საქართველოსაც ჰყავს წარმომადგენელი ამ ორგანიზაციაში, რომელსაც დამკვირვებლის ფუნქცია ეკისრება.

ითო მოწოდებულია ერთიან ორგანიზმად შეინარჩუნოს [მუსლიმთა] უმმა*, იქონიოს კონსულტა-ციური და თანამშრომლური ურთიერთობა გაერო-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა დაიცვას მსოფლიოს 1,5 მილიარდი მუსლიმის ინტერესები, მოაგვაროს კონფლიქტები და დავები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. რეალობაში კი, სოლიდარობა ითო-ს წევრ ქვეყნებს შორის ხშირად დგება ხოლმე კითხვის ნიშნის ქვეშ. კონსენსუსი ძნელად მისაღწევია. ერთადერთი, რაც **ითო**-ს თითქმის ყველა წევრ-ქვეყანას აერთიანებს, ესაა მტრული განწყობა ისრაელის მიმართ. მაგრამ ნეგატიური განწყობა კონსოლიდირებული მოქმედების გარანტია სულაც არაა.

არაბულენოვანი ქვეყნები გაერთიანებული არიან **არაბული სახელმწიფოების ლიგაში** (League of Arab States). 1945 წელს ლიგა შექმნა იმ დროს დამოუკიდებელმა ექვსმა არაბულმა სახელმწიფომ. ამჟამად მასში შედის 22 სახელმწიფო, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის 13 არაბული ქვე-ყანა, პალესტინის ჩათვლით. არც ეს ორგანიზაცია გამოირჩევა სოლიდარობით: მასში ხშირია ურთიერთდაპირისპირება. ყოველწლიურ სამიტებზე ერთად შეკრებილი მონარქებისა და პრეზიდენ-ტების ფართო ღიმილისა და ძმური ურთიერთგაგების შესახებ ხმამაღალი მოწოდებების უკან დგას რეალური მეტოქეობა და ხანდახან, პიროვნული სიძულვილიც კი. 1979-1989 წლებში ლიგის წევ-რობა შეუჩერდა ეგვიპტეს მის მიერ ისრაელთან დადებული სამშვიდობო შეთანხმების გამო; სირიის ადგილი 2011 წლიდან 2014 წლამდე დამასკოში მყოფი მთავრობის ადგილი ეჭირა ოპოზიციურ "სირიის ეროვნულ კოალიციას" (რომელიც, არსებითად, დაშლილია). 2014 წლიდან კი, იქამდე სანამ ოპოზიცია თავის ინსტიტუტებს ჩამოაყალიბებს, სირიის ადგილი ლიგაში ვაკანტურია; ლიგის სულ ცოტა სამი წევრი ქვეყანა – საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და გას-ი – კატარს უკიჟინებს რადიკალური

ორგანიზაციების დაფინანსებას და, ამ დროს, თვითონაც აფინანსებს, თუნდაც სხვა, რადიკალურ მოძრაობებს.

მხოლოდ რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოქმედებს "ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო" (Cooperation Council for the Arab States of the Gulf), რომელსაც შემოკლებული სახელით მოიხსენიებენ, როგორც **"ყურის თანამშრომლობის საბჭოს"** (Gulf Cooperation Council, GCC). 1981 წელს ის დააარსა სპარსეთის ყურის ექვსმა არაბულმა ქვეყანამ – საუდის არაბეთმა, კატარმა, ბაჰრეინმა, ქუვეითმა, გას-მა და ომანმა. ერაყმაც ითხოვა "საბჭოში" გაერთიანება (ყურეში ისიც გადის), მაგრამ სხვა წევრები ამის წინააღმდეგი წავიდნენ. 2001 წლიდან "საბჭომ" მიზნად დაისახა შეექმნა საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი და ერთიანი ვალუტა. ეს მიზნები ნაწილობრივ მიღწეული იყო, თუმცა ერთიანი ვალუტის შექმნა ვერ მოხერხდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე არაბულ სამყაროში, GCC-ში და წინააღმდეგობებითაა აღსავსე. მის წევრ ქვეყნებს შორის არსებობს საკმაოდ ღრმა კონფლიქტი, რომელმაც 2017 წელს ზედაპირზე ამოხეთქა, რაც მის მუშაობას აფერხებს.

თემა 16
დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკა რეგიონში

XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთს ახლო აღმოსავლეთში ჰქონდა ნათლად გამოკვეთილი გეოპოლიტიკური მიზნები. მას ესაჭიროებოდა საზღვაო გზების კონტროლი და სტრატეგიულად განლაგებული ნავსადგურები. XX საუკუნის დასაწყისიდან მას გეოეკონომიკური ინტერესიც გაუჩნდა – ნავთობი!

ბრიტანელების მიერ ირანში ნავთობის აღმოჩენამდე (1908 წ.) ყველაზე დიდი შემოსავალი ბრიტანეთისათვის ინდოსტანის ნახევარკუნძულს მოჰქონდა. ამიტომ ლონდონს ესაჭიროებოდა კონტროლი ინდოეთის ოკეანისაკენ მიმავალ სატრანსპორტო არტერიებზე: ახლო აღმოსავლეთში ეს იყო სუეცის არხი, ბაბ-ალ-მანდაბის და ჰორმუზის სრუტეები. ამ გზების დასაცავად დაარსდა ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ბაზები ადენში, კ. კვიპროსზე, მოგვიანებით – ხაიფაში.

ბრიტანეთი ასრულებდა რეგიონის ჰეგემონის როლს XIX საუკუნის დიდი პერიოდის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ დეკადებში. ახლო აღმოსავლეთში თავის მეტოქედ ბრიტანეთი მიიჩნევდა ჯერ რუსეთის, ხოლო 1890-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე – გერმანიის იმპერიას.

XIX საუკუნეში ბრიტანეთის ინტერესის ერთ-ერთი საგანი ამ რეგიონში იყო ის, რომ შავი ზღვის სრუტეები რუსეთის იმპერიას არ ჩავარდნოდა ხელში და, ამიტომაც, ლონდონი ყველანაირად იცავდა დასუსტებული ოსმალეთის სუვერენიტეტს ამ სრუტეებზე. 1829 და 1878 წლებში დიპლომატიური ხერხებით, და ერთხელ, სამხედრო გზითაც კი (1853-1856 წლების «ყირიმის ომი»), ის არ აძლევდა საშუალებას რუსეთს, სრულად დაემარცხებინა ოსმალეთი და ხელთ ეგდო სტამბოლი და სრუტეები.

1839 წლიდან ბრიტანეთი გამაგრდა ადენის ყურეში და თანდათან მთელი სამხრეთ იემენი დაიქვემდებარა, როგორც ადენის პროტექტორატი.

1868 წელს ბრიტანეთის მფარველობაში ოფიციალურად შევიდა ბაჰრეინის შეიხი. ახლა «ბაჰრეინ-ბრიტანეთის მეგობრობას" 1816 წლიდან ახსენებენ ხოლმე, როდესაც ამ კუნძულთან პირველად

გამოჩნდნენ ინგლისური სამხედრო ხომალდები. ბრიტანეთის მთავრველობა ბაჰრეინის შეიხისათვის შვება იყო: ამუამინდელი მეფის წინაპრის სამფლობელოზე პრეტენზია ჰქონდა (და დღემდე აქვს) ირანს, რომელიც XIX საუკუნემდე ორასიოდე წელი ფლობდა ან აკონტროლებდა კუნძულ ბაჰრეინს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას დღემდე შეადგენენ ირანული წარმოშობის შიიტები, მაშინ როცა მმართველი დინასტია და ელიტა არაბულია და სუნიტური.

XIX საუკუნის განმავლობაში სპარსეთისა და ომანის ყურეების ნაპირებთან მდებარე კატარი, შვიდი პატარა საშეიხო, რომელთაც შეთანხმებითი ომანი ეწოდა (ინგლისელები მას ადრე იცნობდნენ "მეკობრეთა ნაპირის" – Pirate Coast – სახელით) და ომანი (მასკატთან ერთად) ასევე იქცნენ ბრიტანულ პროტექტორატებად.

გერმანიის ინტერესების წინმსწრები გაბათილების მიზნით, სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში, ქუვეითის ღრმა უბეში, ბრიტანული კრეისერები 1899 წლიდანვე დადგნენ და ქუვეითის შეიხმა თავის პროტექტორად ცნო დედოფალი ვიქტორია.

I მსოფლიო ომის დამთავრებიდან დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბრიტანეთი პრაქტიკულად მეტოქის გარეშე დომინირებდა თითქმის მთელ რეგიონში (სირიასა და ლიბანში საკუთარი საგამგებლო «ნიშა" ჰქონდა საფრანგეთს). II მსოფლიო ომის დროს და უშუალოდ ომის შემდეგ, 1941-1946 წლებში, **ირანში** ბრიტანეთი გავლენას იყოფდა საბჭოთა კავშირთან, როდესაც მათი არმიები განლაგდნენ ჩრდილოეთ ირანში (საბჭოთა ზონა) და სამხრეთ ირანში (ბრიტანული ზონა).

როგორც თავის ყველა კოლონიურ სამფლობელოში, ბრიტანეთი ამ რეგიონშიც მინიმალურად იყენებდა ძალას და, შეძლებისდაგვარად ცდილობდა მოეხდინა ხარჯების მინიმიზაციაც.

იმ დროს სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფ ბრიტანულ კომპანიებს (და, შესაბამისად, ბრიტანეთის ბიუჯეტს) – Anglo-Persian Oil Company (შემდგომში ის გარდაიქმნა British Petroleum-ად) და Iraq Petroleum Company ახლო აღმოსავლეთში შემოსავალს აძლევდა მხოლოდ ირანსა და ერაყში არსებული ნავთობის საბადოები. დანარჩენ რეგიონს, სპარსეთის ყურის პროტექტორატებს (სანამ იქ ნავთობი აღმოჩნდებოდა), პალესტინას, ტრანსიორდანიას, ეგვიპტეს მხოლოდ ხარჯი მოჰქონდათ ბრიტანეთისათვის, თუმცა ეს ხარჯი მათი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის საფასური იყო (ეგვიპტეში მდებარეობს სუეცის არხი!).

როდესაც ნათელი გახდა, რომ სამანდატო ტერიტორიების მართვა ეკონომიკურად წამგებიანია, ხოლო პოლიტიკური დივიდენდები მათგან – მინიმალური, ბრიტანეთმა ახლო აღმოსავლეთიდან წასვლა დაგეგმა. 1932 წელს მან უარი თქვა **ერაყის**, 1946 წელს – **ტრანსიორდანიისა** და 1947 წელს – **პალესტინის** მართვის მანდატზე. ეგვიპტეზე გავლენა ბრიტანეთმა საბოლოოდ 1956 წელს დაკარგა. 1960-1971 წლებში ის გავიდა სხვა კოლონიებიდან და პროტექტორატებიდან – კვიპროსიდან (1960 წელს; იქ მან შეინარჩუნა სამხედრო ბაზები), **ქუვეითიდან** (1961), **სამხრეთ იემენიდან/ადენიდან** (1967). **ადენის** ყოფილი **პროტექტორატი** ჯერ დამოუკიდებელი გახდა, 1990 წელს კი გაერთიანდა იემენის რესპუბლიკასთან.

რეგიონის უკანასკნელი ტერიტორიები, რომელთაც 1971 წელს სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბრიტანეთისაგან იყო ასზე მეტი წლის განმავლობაში მასზე დამოკიდებული პროტექტორატები – **ომანი, კატარი, ბაჰრეინი და შეთანხმებითი ომანის** შვიდი საშეიხო (შვიდივემ ერთიანი სახელმწიფო შექმნა – გაერთიანებული არაბული საამიროები).

ამ ტერიტორიებზე აღმოცენდა, ძირითადად, იმავე სახელის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოები: გამონაკლისია **პალესტინა**, რომლის დიდ ნაწილზე 1948 წელს შეიქმნა **ისრაელი**;

არაბი ნაციონალისტები ბრიტანეთს დანაშაულად უთვლიან, რომ მან "დაანგრია არაბთა ერთიანობა" და ხელი შეუწყო "არაბული სამყაროს დანაწევრებას მრავალ სახელმწიფოდ".

პირველი ბრალდება უსაფუძვლოა (არაბთა ერთიანობა უკვე IX-X საუკუნეებიდან აღარ არსებობდა). მეორე ბრალდება ძირითადად სწორია.

მაგრამ, სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ, არაბეთის ნახევარკუნძულის მცირე ქვეყნების ამჟამინდელ მმართველ ელიტებს არ ექნებოდათ გადარჩენის არავითარი შანსი (მათ შორის, არც სიცოცხლის შენარჩუნებისა!), თუკი მათ ქვეყნებს შეიერთებდა უძლიერესი არაბი მმართველი აბდულაზიზ ას-საუდი (1875-1953), რომელსაც 1914-1927 წლებში იგივე ლონდონი უწევდა ფინანსურ დახმარებას. აბდულაზიზმა 1932 წელს შექმნა საუდის არაბეთის სამეფო, სადაც სახელმწიფო რელიგია ვაჰაბიზმია.

1960-იანი წლების დასაწყისში ეგვიპტის ნაციონალისტი პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მცდელობა – დაეწყო არაბული ქვეყნების გაერთიანება, ჩაიშალა ბრიტანეთის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

არაბული სამყაროს ძალისმიერად გაერთიანების დაწყებას მოჰყვებოდა დიდი სისხლისღვრა და ამ პროცესში აუცილებლად ჩაერეოდნენ რეგიონსგარე ძალები. ამის კარგი მაგალითია ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის მიერ ქუვეითის ანექსია 1990 წელს, რასაც მომდევნო წელს მოჰყვა საერთაშორისო კოალიციის მიერ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალი".

ბრიტანეთმა კი უსისხლოდ მიიყვანა დამოუკიდებლობასთან არაბული ქვეყნების საკმაო ნაწილი, ზოგიერთ შემთხვევაში – ლამის მათი სურვილის წინააღმდეგ. მაგალითად, ცნობილია, რომ 1968 წელს აბუ-დაბისა და დუბაის შეიხებისათვის ძალიან უსიამოვნო სიახლე გამოდგა ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობის განზრახვა შეეწყვიტა მფარველობის ხელშეკრულების მოქმედება: შეიხებს საუდის არაბეთი და ირანი უფრო აშინებდათ, ვიდრე ბრიტანეთი.

მართლაც, როგორც კი ბრიტანეთი 1971 წელს გავიდა, ირანის შაჰმა მაშინვე მიიტაცა სპარსეთის ყურეში სტრატეგიულად განლაგებული სამი კუნძული, რომელთაც შეიხები თავისად მიიჩნევდნენ; საუდის არაბეთმა ტერიტორიის ნაწილი ჩამოართვა აბუ-დაბის შეიხს, თუნდაც ეს "შეთანხმებად" და რაღაც სოფლების "გაცვლად" გაფორმებულიყო .

ბრიტანეთის რეგიონში ყოფნის პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან დაამკვიდრა ადმინისტრაციული მმართველობის წესები, რომელიც ბევრგან დღემდე შემორჩა. მეორე მხრივ, ინგლისური ტიპის დემოკრატიამ, რომელიც, მაგალითად, ინდოეთსა და კვიპროსში დაინერგა, ისლამურ ახლო აღმოსავლეთში შესაბამისი ნიადაგი ვერ ჰპოვა.

ბრიტანული პოლიტიკა ყველაზე ორაზროვანი იყო პალესტინაში, სადაც ბრიტანელები 1917 წელს შევიდნენ და 1922 წლიდან 1948 წლის მაისამდე მართავდნენ მას, როგორც სამანდატო ტერიტორიას. II მსოფლიო ომის შემდეგ ლონდონმა უარი განაცხადა პალესტინის საბოლოო პოლიტიკურ-ტერიტორიულ მოწყობაზე და ეს საკითხი გაეროს გადასცა, ფაქტობრივად კი სერიოზული პრობლემა ადგილობრივ ელიტებს შეატოვა. ვერ მოხერხდა გაეროს რეზოლუციის შესრულება პალესტინაში ორი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რაშიც ბრალი მიუძღვის ბრიტანეთის იმდროინდელი ლეიბორისტულ მთავრობასაც. სიონისტებმა კი პოლიტიკურ-ტერიტორიული

მოწყობა თავის სასარგებლოდ განახორციელეს. ამას მოჰყვა, სხვადასხვა შეფასებით, 550-750 ათასი პალესტინელი არაბი ლტოლვილის გაჩენა, რომელთა შთამომავლობის რიცხოვნობა ახლა ხუთ მილიონზე მეტად ანგარიშობენ, თუმცა ისრაელში ამტკიცებენ, რომ ეს რიცხვი ძალიან გაბერილია.

ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ფიასკო განიცადეს 1956 წლის სუეცის კრიზისის დროს, როდესაც ბრიტანულ-ფრანგულმა კოალიციამ, ისრაელთან ერთად, განახორციელა ინტერევენცია ეგვიპტეში, რომლის მთავრობამ ცალმხრივი აქტით მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რომლის ძირითადი აქციონერები დასავლეთ ევროპის ქვეყნები იყვნენ. საბოლოოდ, ინტერვენტებს მოუხდათ ეგვიპტიდან გასვლა, რამაც მკვეთრად დასცა ბრიტანეთისა და საფრანგეთის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

1956 წელი წყალგამყოფია ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთის აქტიურ საგარეო პოლიტიკასა და, ძირითადად, ბიზნეს-ინტერესებით განპირობებულ მომდევნო პოლიტიკას შორის.

1971 წელს ახლო აღმოსავლეთში საბოლოოდ დასრულდა თითქმის საუკუნენახევრიანი Pax Britannica. ამის შემდეგ დიდი ბრიტანეთი, თუკი მონაწილეობს რაიმე სამხედრო ოპერაციაში რეგიონში (მაგალითად, 1991 წელს – ქუვეითის განთავისუფლების დროს, 2003-2011 წლებში – ერაყში), ამას მხოლოდ ამერიკასთან თანამშრომლობით აკეთებს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის ბრიტანეთი ფინანსურად ყველაზე მეტად ეხმარებოდა სამოქალაქო ომის დროს დიდ განსაცდელში ჩავარდნილ სირიელ მოსახლეობას, მაგრამ ეს სირიის პრობლემას ვერ მოაგვარებდა.

ახლო აღმოსავლეთში ბოლო პერიოდში განვითარებულმა სერიოზულმა მოვლენებმა საკმაო კორექტივები შეიტანა და მომავალშიც შეიძლება შეიტანოს ბრიტანეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში.

მას შემდეგ, რაც 2016 წელს ირანს მოეხსნა საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები ლონდონს, რომელსაც თეირანთან ურთიერთობის დიდი (თუმცა არცთუ ყოველთვის პოზიტიური) ტრადიცია აქვს, გაუჩნდა ეკონომიკური კონტაქტების გაცხოველების პერსპექტივა. მალევე დაფიქსირდა მსხვილი ბრიტანული კომპანიების წარმომადგენელთა ვიზიტები ირანში. 2015 წელს ირანმა დანიშნა საქმეთა დროებითი რწმუნებული ლონდონში, ხოლო 2016 წლის სექტემბერში ბრიტანეთმა თეირანში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. მაგრამ 2018 წლიდან აშშ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ირანისათვის სანქციების ცალმხრივ აღდგენას უკვე შეაქვს ცვლილებები ბრიტანული კომპანიების ბიზნეს-ინტერესებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სპარსეთის ყურის ქვეყნები და ერაყი მნიშვნელოვანია ბრიტანეთი-სათვის, ერთი მხრივ, როგორც ნახშირწყალბადოვანი რესურსების სტაბილური მომწოდებელი, და, მეორე მხრივ, როგორც ბრიტანული სამხედრო მრეწველობის პროდუქციის გასაღების ბაზარი.

2018 წლის მარტში საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე მუჰამედ ბინ სალმანმა განახორციელა ვიზიტი ლონდონში, სადაც მას ჰქონდა ლანჩი დედოფალ ელიზაბეთთან, სადილი – ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინც ჩარლზთან და მის ვაჟიშვილთან კემბრიჯის ჰერცოგ უილიამთან. ბრიტანეთის სამეფო ოჯახის გულუხვი მასპინძლობა განსაკუთრებული პატივის მაჩვენებელია და ასეთი რამ ტყუილუბრალოდ არ ხდება ხოლმე! მართლაც, ლონდონმა და არ-რიადმა შექმნეს "სტრატეგიული პარტნიორობის საბჭო" და მომავალი ათი წლის განმავლობაში ბრიტანეთი ელოდე-ბა 100 მილიარდი დოლარის ინვესტიციებს საუდის არაბეთიდან და იქ დიდძალი ბრიტანული საქონლის გაყიდვას.

რას გაყიდის ბრიტანეთი საუდის არაბეთში?

უპირველესად, რასაკვირველია, საბრძოლო ტექნიკას და სხვა შეიარაღებას, რომლის შემძენებს შორის უდიდესი წილი მოდის არაბეთის ნახევარკუნძულის მდიდარ სახელმწიფოებზე. საუდის არაბეთის გარდა ესენია კატარი, გას-ი, ქუვეითი, ბაჰრეინი, ომანი. ლონდონში ზემოაღნიშნული ვიზიტის დროს საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრემ დააანონსა 46 უახლესი ავიაგამანადგურებლის შეძენა, რამაც რამდენიმე მილიარდ პაუნდ სტერლინგი შეიძლება მოუტანოს ბრიტანეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს.

ნავთობისა და გაზის ექსპორტით გამდიდრებულ აბსოლუტურ მონარქებს აქვთ სახსრები, რათა შეიძინონ ათობით მილიარდი პაუნდ სტერლინგის ღირებულების ბრიტანული თვითმფრინავები, სამხედრო ხომალდები, ჯავშანმანქანები, ქვემეხები, ყუმბარები, რაკეტები. ეს, ერთი მხრივ, უნარჩუნებს სამუშაო ადგილებს სამხედრო მრეწველობის ქარხნებს დიდ ბრიტანეთში და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მზარდ მილიტარიზაციას ახლო აღმოსავლეთში.

არაბულ აღმოსავლეთში ტრადიციულად ძალიან ფასობს ყველაფერი ბრიტანული: ლუქს-კლასის ავტომობილების – *როლს-როისის, ბენტლის, ასტონ მარტინის, რეინჯროვერის* – მთავარ მომხმარებელთა შორის არიან რეგიონის მდიდარი შეიხები და პრინცები.

ამავე დროს ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ბრიტანეთში შემოდის დიდძალი ინვესტიციები, მათ შორის, დაბანდებული ლონდონის უძრავ ქონებაში. ლონდონის ბანკების სეიფებში ინახება რეგიონის ქვეყნების ოქროსა და ვალუტის მარაგის საგრძნობი ნაწილი.

კატარი, რომლის ეკონომიკაც ნახევარი საუკუნის წინ ზღვის ფსკერზე მარგალიტის მოპოვებას ეფუძნებოდა და ძლივს ირჩენდა თავს, საოცრად გამდიდრდა ბუნებრივი გაზის მოპოვების ხარჯზე. კატარის საინვესტიციო სამმართველომ (Qatar Investment Authority) გამოაცხადა 30 მილიარდი ბრიტანული პაუნდის ინვესტირება ბრიტანეთის ეკონომიკაში. ის ფლობს, მაგალითად, ლონდონის პრესტიჟულ სავაჭრო სახლ Harrods-ს (რომლის დიზაინი და საქონლის ასორტიმენტი უკვე მიუახლოვდა მდიდარი არაბი მყიდველების გემოვნების დონეს: ინგლისის დედოფალი იქ აღარ ყიდულობს თავის აქსესუარებს!); კატარი თანამფლობელია ლონდონში აშენებული, ევროპაში ყველაზე მაღალი, 310 მეტრი სიმაღლის ექსტრავაგანტური ცათამბჯენისა (The Shard) და ა.შ.

გაერთიანებული არაბული საამიროების აბუ-დაბის საინვესტიციო სამმართველო (Abu Dhabi Investment Authority) მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. 2016 წელს მას, შეფასებით, 800 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალი ჰქონდა. ბრიტანეთში აბუ-დაბის კაპიტალს ეკუთვნის სასტუმროების ქსელი, ლონდონის დიდი ავანპორტი (სანავსადგურო კომპლექსი). 2008 წლის სექტემბერში Abu Dhabi United Group-მა შეიძინა იმ დროს საშუალო დონის საფეხბურთო კლუბი "მანჩესტერ სიტი", დიდი კაპიტალდაბანდებით აქცია ის ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად და ახლა მისგან შემოსავალსაც ღებულობს.

სწორედ ეკონომიკური ინტერესები ზღუდავს ბრიტანეთის მთავრობის აქტიურ რეაგირებას ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალრიცხოვან ფაქტზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთ შემთხვევაში უაიტჰოლს, ჩვეულებრივ, ავიწყდება «ბრიტანული ფასეულობები" და დიპლომატიურად უკან იხევს ხოლმე. ასე იყო მარგარეტ თეთჩერის პრემიერ-მინისტრობის დროს 1980-იან წლებში, როდესაც ის საუდის არაბეთის რეჟიმის კრიტიკას უკრძალავდა თავისი მთავრობის მინისტრებსა და პარლამენტის კონსერვატორ წევრებს. ასეა XXI საუკუნეშიც.

თემა 17

ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკა რეგიონში

ამერიკული მძიმე კრეისერი "ქუინზი" (USS Quincy) ისტორიაში შევიდა: მისი სახელი, Quincy House, ჰქვია ამერიკის საელჩოს შენობას საუდის არაბეთის დედაქალაქ არ-რიადში. 1945 წლის 14 თებერვალს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, სუეცის არხის შუაში მდებარე დიდ ტბაში გაჩერებებულ კრეისერ "ქუინზის" გემბანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამერიკის პრეზიდენტი – ეს იყო ფრანკლინ დელანო რუზველტი და საუდის არაბეთის მეფე – ეს იყო სამეფოს დამაარსებელი აბდულაზიზ ას-საუდი. ამ კრეისერზე გაფორმდა საიდუმლო შეთანხმება (რომელიც ახლა აღარაა საიდუმლო!), რომლითაც ნავთობის სტაბილური მოწოდების სანაცვლოდ დემოკრატიის უმთავრესმა ბასტიონმა უსაფრთხოების გარანტია მისცა შუა საუკუნეების დესპოტიზმში ჩარჩენილ სამეფოს, სადაც 1964 წლამდე ოფიციალურად არსებობდა მონობა. ადამიანის უფლებათა ზოგიერთი დამცველი შეთანხმებას "ეშმაკისეულ გარიგებას" უწოდებდა.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ახლო აღმოსავლეთის ჰეგემონის როლში დიდ ბრიტანეთს საკმაოდ უმტკივნეულოდ ჩაენაცვლა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ძირითადი მეტოქე გახდა საბჭოთა კავშირი.

ამერიკამ სწორედ ახლო აღმოსავლეთში 1956 წელს გამოიყენა "ეკონომიკური ომის" ელემენტები ნატო-ში საკუთარი მოკავშირის, დიდი ბრიტანეთის, წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთთან და ისრაელთან ერთად შეიჭრა ეგვიპტეში (ე. წ. "სუეცის კრიზისი"). როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა დუაით აიზენჰაუერმა ვერ მოახერხა ევროპელი მოკავშირეების დაყოლიება ნებაყოფლობით დაეტოვებინათ ეგვიპტე, სადაც ისინი ბრძოლით შევიდნენ და ცდილობდნენ არსებული ხელისუფლების შეცვლას, მან დაუბლოკა დიდ ბრიტანეთს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 561 მილიონი დოლარის კრედიტის გამოყოფა და აკრძალა მისთვის 600 მილიონი დოლარის ამერიკული კრედიტის გაცემა. ლონდონს, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ უხდიდა II მსოფლიო ომისდროინდელ ვალს აშშ-ს და თანამეგობრობის (Commonwealth) ქვეყნებს, მოუხდა ეგვიპტის დატოვება. მასთან ერთად გავიდნენ საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო ნაწილებიც. მართალია, ეგვიპტიდან ევროპის "იმპერიალისტური ქვეყნების" გასვლით მაშინ ისარგებლა არა ამერიკამ, არამედ საბჭოთა კავშირმა. მაგრამ 1970-იან წლებში ვაშინგტონმა ეგვიპტეშიც მოიპოვა უპირატესო-ბა.

ამერიკა დღესაც რჩება რეგიონის უმნიშვნელოვანეს "დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ", თუმცა XXI საუკუნის დასაწყისიდან მისი ავტორიტეტი შესუსტების ნიშნებს ამჟღავნებს.

«ცივი ომის" პერიოდში, როდესაც უნივერსალურად ქცეული დაპირისპირება «კრემლი თეთრი სახლის წინააღმდეგ» მთელ მსოფლიოს მოიცავდა, ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში განსაზღვრავდა სამი რამ – *ისრაელი, ნავთობი და კომუნიზმის შეჩერება.*

1990-იანი წლების დამდეგიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგიდან მოიხსნა «კომუნიზმის შეჩერების" მიზანი: ამერიკისათვის ის გულისხმობდა "პროსაბჭოთა" რეჟიმების დასუსტებას, რომლებიც არც იყო კომუნისტური, რადგან ათეისტურ კომუნისტურ იდეოლოგიას ისლამურ ქვეყნებში რეალური დასაყრდენი არც არასოდეს ჰქონდა. საბჭოთა კავშირთან ერთად გაქრა რეჟიმების "პროსაბჭოურობა". თუმცა, როგორც გაირკვა, სულ მეოთხედი საუკუნის შემდეგ

აღმოცენებას იწყებს სირიის “პრორუსული რეჟიმი”! სხვა საქმეა, თუ რამდენად მდგრადი იქნება რეჟიმის “პრორუსულობა”?

ამერიკის “სანავთობო ინტერესები” რეგიონში ახლა შედარებით მეორე პლანზეა გადასული. ამერიკული კომპანიები 1930-იანი წლებიდან ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ ნავთობის მოპოვებაში ახლო აღმოსავლეთში და უზარმაზარ მოგებასაც ნახულობდნენ. მაგრამ ამ კომპანიების წილი ნავთობმწარმოებელ ქვეყნებში თანდათან შემცირდა: საბადოები ნაციონალიზებულია, გამოჩნდნენ სხვა ქვეყნების დიდი კომპანიებიც. თანაც, ამერიკას სულ უფრო ნაკლებად ესაჭიროება არაბული ნავთობი.

2016 წელს ამერიკის ნავთობის იმპორტის მხოლოდ 18 პროცენტი მოდიოდა ახლო აღმოსავლეთზე (ცალკე საუდის არაბეთზე – 11 პროცენტი), მაშინ, როცა ოცი წლით ადრე ეს მაჩვენებლები ერთისამად მეტი იყო. ამ რეგიონიდან გაზის (გათხევადებული, LNG-ის, სახით) შემოტანა ამერიკას არც სჭირდება: მას ჰყოფნის საკუთარი არაკონვენციური შეილგაზი (თიხაფიქლებიდან მოპოვე-ბული გაზი). აშშ-ს უფრო იაფი უჯდება ნავთობისა და გაზის იმპორტი ახლომდებარე ქვეყნებიდან – კანადიდან, მექსიკიდან, ვენესუელადან, აგრეთვე -- ნიგერიიდან.

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის “სანავთობო ინტერესები” ირიბად ვლინდება სხვა საკითხებში, რომლებსაც ამერიკისათვის მაინც აქვთ სასიცოცხლო მნიშვნელობა.

ამერიკის ინტერესებშია, რომ ნავთობი მხოლოდ აშშ დოლარებში იყიდებოდეს. 2003 წელს, ერაყში ომის დაწყებამდე, ბრიტანული ყოველკვირეული The Observer ერთ სტატიაში იმოწმებდა აშშ კონგრესში საკომიტეტო მოსმენისას საუდის არაბეთში ამერიკის ყოფილი ელჩის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს:

> «ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რაც საუდიელებმა [*ჩვენ სასარგებლოდ*] გააკეთეს, ესაა მათი დაჟინება, რომ ნავთობით ვაჭრობა დოლარებში გაგრძელდეს. ამიტომაც ამერიკას შეუძლია ბეჭდოს ფული და იყიდოს ნავთობი. ამგვარ უპირატესობას არც ერთი სხვა ქვეყანა არ ფლობს”.

ნავთობის მსოფლიო ფასი დღემდე მხოლოდ აშშ დოლარებში განისაზღვრება. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ გაუფასურდებიდა ამერიკული დოლარი, რომელიც ახლა ტრილიონობითაა დაგროვილი სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში და ტრიალებს ამერიკის ფარ¬გ¬ლებს გა¬რეთ, თუკი ნავთობი სხვა ვალუტაზე(ც) გაიყიდება.

XXI საუკუნის დამდეგს ერთიანი ევროპული ვალუტის, ევროს, გამოჩენამ ერთხანს მცირე პანიკა წარმოქმნა: ხომ არ ჩაანაცვლებდა «პეტროდოლარებს» «პეტროევროები”?

ჯერჯერობით ეს გამორიცხულია, თუმცა ნავთობით ვაჭრობისას დოლარის ჩანაცვლების საკითხს ხანდახან აყენებენ ირანი და რუსეთი. რუსეთთან ურთიერთვაჭრობაში ჩინეთი თან¬და¬თან გადადის ჩინურ იუანებსა და რუსულ რუბლებზე.

2019 წლიდან რუსეთი თურქეთს მიაწვდის ორ მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ღირებულების სარაკეტო სისტემებს S-400 და ორმა ქვეყანამ გამოაცხადა, რომ ანგარიშსწორებას ეროვნულ ვალუ-ტებში განახორციელებს. უცნობია, რამდენად მომგებიანი იქნება ასეთი ფინანსური ოპერაცია ინფლაციური პრობლემების მქონე ორივე ქვეყნისათვის.

საერთო ჯამში, ეს მცდელობები ჯერჯერობით ვერ შეარყევს ამერიკული დოლა-რის, როგორც მსოფლიო ვალუტის, როლს.

საუდის არაბეთი, და მასთან ერთად სპარსეთის ყურის ყველა არაბული ქვეყანა მტკიცედ იცავს "ერთგულებას აშშ დოლარისადმი", ანუ ნავთობსა და გაზს მხოლოდ ამერიკულ ვალუტაში ჰყიდის. ეს აიხსნება არა მარტო ეკონომიკური მიზეზით (ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მრავალმლიარდიანი რეზერვები ძირითადად დოლარებში ინახება), არამედ რეგიონის ავტოკრატიული რეჟიმების მადლიერებითაც ვაშინგტონის მიმართ, რომელიც, ჩვეულებრივ, ლმობიერებას იჩენს არაბული მონარქიების მიმართ – დემოკრატიზაციის მოთხოვნა მსუბუქ ფორმაში ხდება!

ამერიკის 1970-1980-იანი წლების ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ამოცანებიდან XXI საუკუნის მესამე ათწლეულში შემორჩება მხოლოდ ისრაელის ინტერესების დაცვა.

ამერიკელი პუბლიცისტი ტომ ფრიდმენი წერდა:

> «ცივი ომის დამთავრების შემდეგ... ამერიკას სურდა, შენარჩუნებულიყო ნავთობის სტაბილური მოწოდება და ისრაელის უსაფრთხოება. ამერიკა განაგრძობდა *სტატუს ქუო-ს* შენარჩუნებას და მხარდაჭერას ნებისმიერი არაბული ქვეყნისათვის, რომელიც ამ *სტატუს ქუო-ს* დაიცავდა».

ნახევარ საუკუნეზე მეტია ამერიკის გეოპოლიტიკურ კოდში ჩადებულია ისრაელის უსაფრთხოების სრული დაცვა. ამას ვაშინგტონის ყველა ადმინისტრაციას დაჟინებით შეახსენებს ხოლმე ამერიკის ებრაული ლობი.

მხედველობაშია მისაღები, რომ შეერთებული შტატები იმიგრანტთა ქვეყანაა. აშშ-ის მოქალაქეთა ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს, და თუ კარგადაა ორგანიზებული, ახერხებს კიდეც, მოახდინოს გავლენა თავისი «ახალი სამშობლოს" საგარეო პოლიტიკაზე თავისი «ძველი სამშობლოს» სასარგებლოდ (ბრჭყალები შეგნებულად გამოვიყენე, რადგან სამშობლო მხოლოდ ერთია).

ამ თვალსაზრისით, ამერიკის ეთნიკურ (ეთნო-რელიგიურ) ჯგუფებს შორის ყველაზე წარმატებულია ებრაული თემი. შეერთებული შტატები მეორე ადგილზეა მსოფლიოში ებრაელების რიცხოვნობით (პირველ ადგილზე XXI საუკუნეში გადავიდა ისრაელი), თუმცა ისინი აშშ-ის მოსახლეობის 2 პროცენტსაც არ შეადგენენ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკელი ებრაელების საგრძნობი ნაწილი ეკონომიკურად წარმატებულია. 2018 წლის დასაწყისში ისრაელში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მსოფლიოს 12 უმდიდრესი ებრაელიდან ათი ამერიკის მოქალაქეა (დანარჩენი ორი – რუსეთისა). ამ ათი ადამიანის საერთო ქონება 306 მილიარდს აშშ დო¬ლარს უდრიდა. თანაც, მათ გარდა, ამერიკაში კიდევ ასამდე ებრაული წარმოშობის მილიარდერია. ლაპარაკი არაა ათი ათასობით მილიონერზე!

მრავალი ამერიკელი ებრაელის ქველმოქმედება ხმარდება უშუალოდ ისრაელის დახმარებას სხვადასხვა ფონდებში შენატანების სახით. მათ აგრეთვე ლეგალურად შეუძლიათ ამერიკელი პოლიტიკოსების (არა აუცილებლად – ებრაელების) საარჩევნო კამპანიის საგრძნობი დაფინანსება: ეს ბევრ რამეს განმარტავს.

დღემდე ძალაშია 2002 წელს ინგლისურ The Economist-ში მოცემული შეფასება:

> «***ეიპაკი*** ნამდვილი ლეგენდაა ამერიკელ ლობისტებს შორის; ის ფენომენალურად მოქმედებს, როდესაც საქმე ეხება სენატორების დარაზმვას, ისრაელის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ორკესტრირებას და გავლენიანი პოლიტიკოსების გაგზავნას ისრაელში... ებრაელები მარტო არ არიან თავიანთი ეთნიკური ინტერესების ლობირებისას: ამერიკაში მცხოვრები სხვა ეთ¬ნიკური ჯგუფებიც ცდილობენ იგივე გააკეთონ (ცნობილია გავლენიანი სომხური ლობი). ამერიკელი ებრაელები მარტო არ არიან არც იმაში, რომ ხანდახან ეთნიკურ ინტერესებს ამერიკის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. სხვებიც ცდილობენ იმავეს გაკეთებას: მაგალითად, სომხურმა ლობიმ კინაღამ დაუპირისპირა აშშ თავის უმნიშვნელოვანეს

> მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში, თურქეთს, როდესაც თითქმის მიაღწია სომხების გენოციდის აღიარებას ამერიკის კონგრესის მიერ.
>
> მაგრამ ებრაული ლობი მართლაც უჩვეულოა მრავალი თვალსაზრისით. ის საშუალე-ბას აძლევს ებრაელებს, რომლებიც ამერიკის მოსახლეობის 2 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, არაპროპორციულად დიდი გავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკაზე. ებრაული ლობი, სხვებისაგან განსხვავებით, მძაფრადაა ფოკუსირებული საგარეო პოლიტიკაზე და, განსაკუთრებით, ისრაელისათვის სამხედრო დახმარების მიწოდებაზე. ამ ლობის უამრავი მოკავშირე გააჩნია ამერიკის მასმედიასა და პოლიტიკაში"

1970-იანი წლებიდან აშშ-ის დახმარება ისრაელისათვის წლიურად საშუალოდ სამ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რომელშიც სამხედრო და ეკონომიკური დახმარების წილი ნახევარ-ნახევარი იყო. 2007 წლიდან კონგრესმა შეუწყვიტა ეკონომიკური დახმარება ისრაელს, რომელიც ამასობაში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნად იქცა, და მხოლოდ სამხედრო დახმარებას უწევს მას, რამაც 2018 წელს 3,1 მილიარდი დოლარი შეადგინა. ნახევარი საუკუნეა, რაც ისრაელი პირველ ადგილზეა ამერიკული დახმარების მიმღები ქვეყნების სიაში.

ამ დახმარებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ პატარა ისრაელი სამხედრო გიგანტად იქცა. 1967 წელს ისრაელის თავდაცვის ხარჯები ეგვიპტის, სირიის, იორდანიისა და ერაყის ერთობლივი სამხედრო ხარჯების ნახევარზე ნაკლებს შეადგენდა, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი ისრაელისათვის იმავე წელს დაემარცხებინა არაბული ქვეყნების ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედი კოალიცია. 2018 წელს კი ისრაელის თავდაცვითი ხარჯები 15,5 მილიარდი დოლარი იყო და 11 პროცენტით აღემატებოდა იმავე ოთხი ქვეყნის ჯამურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტესთან და იორდანიასთან ისრაელს ურთიერთობა მოგვარებული აქვს და იქიდან აგრესიას არც ელის.

აშშ დიპლომატიურადაც ეხმარება ისრაელს. 1972 წელს ამერიკამ პირველად დაადო ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუციის პროექტს, რომელიც ისრაელის წინააღმდეგ იყო მიმართული. მას შემდეგ, 2018 წლამდე, ამერიკამ კიდევ 39-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება ისრაელის წინააღმდეგ გამოტანილი რეზოლუციების დასაბლოკად.

XXI საუკუნეში ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ამერიკამ არ დაადო ვეტო (თავი შეიკავა) გაეროს უშიშროების საბჭოში 14 ხმით 0-ის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც მოითხოვდა ისრაელისაგან ყველანაირი საახალშენო საქმიანობის შეწყვეტას ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე. ეს მოხდა 2016 წლის 23 დეკემბერს. მაშინ ჯერ კიდევ მოქმედებდა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია, თუმცა პრეზიდენტად უკვე არჩეული იყო დონალდ ტრამპი, რომელიც არ მალავდა პროისრაელურ განწყობას.

თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულება გაეროს წევრი ქვეყნისათვის სავალდებულოა, ისრაელმა განაცხადა, რომ უგულვებელჰყოფს მას და რეზოლუციის მიღება ბარაკ ობამას სუბიექტურ განწყობას მიაწერა, რომლის საქმიანობას ისრაელში ისედაც ძალიან უარყოფით შეფასებას აძლევდნენ. აღსანიშნავია, რომ ბარაკ ობამა არც არაბ ლიდერებს უყვარდათ.

არაბულ ქვეყნებში არსებობს მყარი საზოგადოებრივი აზრი, რომ შეერთებული შტატები მიკერძოებულია ისრაელის მიმართ. გასაკვირი არაა, რომ ამერიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ყველაზე მძაფრი კრიტიკა არაბულ ქვეყნებში ისმის. XXI საუკუნის დასაწყისში კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორმა *აბდელ მონემ საიდმა* ჩამოაყალიბა ამერიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის შეფასების არაბული ვერსია:

> “ამერიკა ყოფს ახლო აღმოსავლეთს ცალ-ცალკე პრობლემად და თითოეულს პატარა ყუთში ათავსებს: ირანი, ერაყი, პალესტინელები და ისრაელი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი. არაბისათვის კი ყველა ეს პრობლემა ურიერთდაკავშირებულია. შეერთებულმა შტატებმა უნდა მოახდინოს კონცენტრირება პრობლემაზე, რომლის გადაჭრაც ყველა სხვა პრობლემას მოაგვარებს... ესაა პალესტინელთა საკითხი, რომლის მოგვარებას აქვს საუკეთესო პოტენციალი, დადებითი გავლენა მოახდინოს რეგიონზე და მის გარეთ”.

მეორე მხრივ, ამერიკელი აღმოსავლეთ (წარმოშობით ლიბანელის), *ედვარდ საიდის* სიტყვებით,

> «თუ ეს შეერთებულ შტატებს ეხება, ოდნავი გადაჭარბება იქნება თუ ვიტყვი, რომ მუსლიმები და არაბები იქ არსებითად აღიქმებიან ან როგორც ნავთობის მომწოდებლები ან როგორც პოტენციური ტერორისტები».

ჩვეულებრივ, ამერიკის პრეზიდენტებს უხდებათ რეგიონში არსებული ძალიან განსხვავებული განწ-ყობების გათვალისწინება და ბოლო დროის ყველა პრეზიდენტი (დონალდ ტრამპამდე) ცდილობდა მეტნაკლებად თანაბარი მიდგომა ეჩვენებინა რეგიონის პრობლემების მიმართ, რომელთა შორის უმთავრესია ისრაელ-პალესტინის ეთნოტერიტორიული კონფლიქტი.

რას აკეთებს ამერიკა ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად? პრაქტიკულად ვერაფერს.

2010 წელს ზბიგნიევ ბჟეზინსკი წერდა:

> “მოდაში არაა ვილაპარაკოთ ასე, მაგრამ აშკარად სწორია, რომ – დამსახურებულად თუ არა – ამერიკის მიმართ მტრული დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთსა და მთლიანად ისლამურ სამყაროში განპირობებულია იმ სისხლისღვრითა და ტანჯვით, რომელიც ამ გაუთავებელმა კონფლიქტმა წარმოქმნა. «9/11”-ის მოწყობისათვის ოსამა ბინ ლადენის სათავისო გამართლება იმის შეხსენებაა, რომ შეერთებული შტატები თვითონაც არის ისრაელ-პალესტინის თავსატეხის მსხვერპლი.
>
> ახლა, ისრაელის მიერ დასავლეთ ნაპირის 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ოკუპაციისა და სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებიდან 30 წლის შემდეგ, სავსებით ნათელია, რომ თუკი მათ პირისპირ დავტოვებთ, ვერც ისრაელელები და ვერც პალესტინელები ვერ მოაგვარებენ კონფლიქტს.
>
> ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პალესტინელები ძალიან დანაწევრებულები და ძალიან სუსტები არიან იმისათვის, რომ სამშვიდობო პროცესი წინ წასწიონ, ხოლო ისრაელელები ძალიან დანაწევრებულები და ძალიან ძლიერები იმისათვის, რომ იგივე გააკეთონ. ამის გამო საჭიროა მტკიცე ინიციატივა გარედან, რომ ორ მხარეს შორის სერიოზული მოლაპარაკება დაიწყოს. ეს ინიციატივა მხოლოდ შეერთებული შტატებისაგან შეიძლება მოდიოდეს».

ბჟეზინსკის რჩევა გონივრულია, მაგრამ მისი განხორციელება ამერიკის პრეზიდენტების შესაძლებ-ლობას აღემატება. მათთვის ეს მეტისმეტად მძიმე ტვირთია.

მაგალითად, 2002 წ. 24 ივნისს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცრ.) თქვა, რომ

> «პერმანენტული ოკუპაცია საფრთხეს უქმნის ისრაელის თვითმყოფადობასა და დემოკრატიას... ისრაელის საახალშენო საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა შეწყდეს»

2011 წლის 18 მაისს პრეზიდენტი ბარაკ ობამა უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ

> “ისრაელისა და პალესტინის საზღვრები უნდა დაეფუძნოს 1967 წლის ხაზს, ერთმანეთთან შეთანხმე-ბული ტერიტორიული გაცვლით».

ამერიკის ყველა პრეზიდენტი კმაყოფილდება ხოლმე ასეთი რიტორიკული გამოსვლით, რასაც ისრაელის ყველა მთავრობა უგულვებელყოფს და განაგრძობს «დასავლეთ ნაპირზე” და აღმო-სავლეთ იერუსალიმში ებრაული ახალშენების გამალებულ მშენებლობას.

მაგალითად, 2011 წლის მაისში პრეზიდენტმა ობამამ დაითანხმა პალესტინელების ხელმძღვანელობა უარი ეთქვათ რადიკალურ პრეტენზიაზე მთელი პალესტინის მიმართ და დათანხმებულიყო, რომ ისრაელს დარჩენოდა «ყოფილი სამანდატო პალესტინის" 78 პროცენტი (რომელიც 1967 წლის "ექვსდღიანი ომის" შემდეგ ისრაელს ისედაც უკავია).

მაგრამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუსაგან ამერიკის პრეზიდენტმა მოისმინა ძალიან მტკიცე (რომ არა ვთქვათ – უკმეხი) უარი წინადადებაზე დაეკანონებინათ პალესტინელი არაბებისათვის «სამანდატო პალესტინის" 22 პროცენტი "ერთმანეთთან შეთანხმებული ტერიტორიული გაცვლით" ებრაული ახალშენების რეალობის გათვალისწინებით. ნეთანიაჰუ და მისი მემარჯვენე მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ "დასავლეთი ნაპირი" არის ისტორიული იუდეა და სამარია და ებრაელ მოახალშენეებს იქ ულიმიტო გაფართოების უფლება აქვთ.

გავლენიან ამერიკულ გაზეთებში კი მაშინვე გაჩნდა მასალები რიტორიკული კითხვით – ხომ არ შეამცირებს ამერიკის ებრაული ლობი ობამას მხარდაჭერას 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას?

აქვე შევნიშნავ, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ობამამ დამაჯერებლად მოიგო.

რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელიც 2017 წლის 20 იანვრიდან ჩაუდგა სათავეში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოს, ის არ მალავს თავის პროისრაელურ განწყობას. ამასთან, ცნობილია, რომ ამერიკელი ებრაელების თითქმის 70 პროცენტმა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მხარი დაუჭირა ტრამპის მეტოქეს – დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ჰილარი კლინტონს: ამერიკელი ებრაელების უმეტესობა ლიბერალური დემოკრატიის მომხრეა.

ტრამპმა შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირება, არ გადაავადა დროებითი (6-თვიანი) ვეტოს მეშვეობით 1995 წელს ამერიკის კონგრესის მიერ იერუსალიმში ამერიკის საელჩოს გადატანის შესახებ მიღებული რეზოლუციის შესრულება (რასაც იქამდე, 22 წლის განმავლობაში, აკეთებდა აშშ ყველა პრეზიდენტი). 2017 წლის დეკემბერში ტრამპმა გადაწყვიტა ამერიკის საელჩოს გადატანა იერუსალიმში და 2018 წლის 14 მაისს, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 70 წლისთავზე გააკეთა კიდეც ეს. ჯერჯერობით ამერიკის საელჩოს მხოლოდ ნაწილი გადავიდა თელ-ავივიდან, რადგან იერუსალიმში საელჩოს ახალი შენობის აგებასა და აღჭურვას მეტი დრო ესაჭიროება.

ამ აქტით ამერიკამ არაპირდაპირ ცნო ერთიანი იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად, რასაც 1980 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ გაეროს წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა არ აკეთებს: გაერო კვლავაც მიიჩნევს აღმოსავლეთ იერუსალიმს ოკუპირებულ ტერიტორიად.

ისრაელის შეიარაღების საკითხში აშშ 1967 წლიდან ჩაერთო, როდესაც ამ უკანასკნელმა "ექვსდღიან ომში" დაამარცხა თავისი მეზობელი არაბული ქვეყნები ფრანგული ტექნიკის, მათ შორის "მირაჟის" ტიპის სამხედრო თვითმფრინავების, გამოყენებით. ისრაელისათვის ამერიკულ დახმარებას ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა პოლიტიკამ, რომელიც აიარაღებდა ისრაელის მოწინააღმდეგე არაბულ ქვეყნებს, განსაკუთრებით, ეგვიპტესა და სირიას.

აშშ პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა უზრუნველჰყო, რომ უკვე 1968 წელს ისრაელს ეყიდა მაშინ ყველაზე მოწინავე ამერიკული F-4 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავები. თანაც იმ პერიოდისათვის ამერიკაში მკვეთრად გაიზარდა ისრაელის მხარდამჭერი ლობისტური ჯგუფების ორგანიზებულობა და ეფექტიანობა.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით 2019-2028 წლებში ისრაელი ამერიკისგან მიიღებს ჯამში 38 მილიარდი აშშ დოლარის სამხედრო დახმარებას. ამერიკის სამხედრო-ფინანსური დახმარების მიმღებ ქვეყნებს შორის ისრაელი ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც 1984 წლიდან უფლება აქვს ამერიკული დახმარების ნაწილი საკუთარ სამხედრო მრეწველობას მოახმაროს.

ისრაელის მხარდაჭერის გარდა, აშშ-ს, რასაკვირველია, აქვს სხვა გეოპოლიტიკური ინტერესებიც ახლო აღმოსავლეთში.

სპარსეთის ყურის ნავთობზე ამერიკა აღარ არის დამოკიდებული, მაგრამ მისთვის ჯერაც იმპერატი-ვია ყურის ქვეყნების სანავთობო პოლიტიკაზე თუნდაც არაპირდაპირი კონტროლის შენარჩუნება.

აშშ ინარჩუნებს რეგიონში თავის სამხედრო ყოფნას: მისი ბაზები განლაგებულია ბაჰრეინში, ომანში, ქუვეითში, კატარში. *ალ-უდეიდის* სამხედრო-საჰაერო ბაზაში (კატარი) თავმოყრილია ამ რეგიონში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დიდი ნაწილი. *მინა სალმანის* ნავსადგური (ბაჰრეინი) არის ამერიკის მე-5 ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზა. იორდანიაში ამერიკელებმა ააშენეს მსოფლიო კლასის ცენტრი სპეცდანიშნულების რაზმების საწვრთნელად.

ამერიკის ბიზნეს-ინტერესებშია ამ რეგიონში საკუთარი სამხედრო დანიშნულების საქონლის გაყიდვა.

XXI საუკუნეში, პრეზიდენტ *ჯორჯ ბუშის* (უმცროსი) დროს (2001-2009) ამერიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახელდებოდა "რეგიონის დემოკრატიზაცია", რასაც ცოტა პროპაგანდისტული ელფერი დაჰკრავდა. თითქმის იგივე მიზანი ჰქონდა პრეზიდენტ ბარაკ ობამას (2009-2017), თუმცა თავისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში ის, როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ მიზანი მიუღ-წეველია.

ისე ჩანს, რომ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა (2017 წლიდან) თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რეალიზმისაკენ შეაბრუნა და "რეგიონის დემოკრატიზაციას" მიზნად აღარც ისახავს.

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სპეციალისტმა ***სტივენ კუკმა*** მარტივად ჩამოაყალიბა თუ რა შედის ამერიკის ინტერესებში. მისი აზრით, აშშ-სათვის ამ რეგიონში მნიშვნელოვანია:

> "ირანის შეჩერება, ტერორისტებთან ბრძოლა, ისრაელის უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა და უზრუნველყოფა, რომ არც ერთი ქვეყანა არ დომინირებდეს რეგიონში".

"ირანის შეჩერებაში" იგულისხმება როგორც მისი შესაძლო ბირთვული ამბიციების დაოკება, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებში (სირია, იემენი, ერაყი, ლიბანი) ირანის გავლენის შემცირება.

"ტერორისტებთან ბრძოლა" ძალიან ფართო ცნებაა. ნათელია, რომ ტერორისტული წარმონაქმნი "დაიშ"-ი გლობალური საფრთხეა და მასთან ბრძოლა ამერიკის პოლიტიკის ამოცანაა. მაგრამ როდესაც ერთი ქვეყანა "ტერორისტულ ორგანიზაციის" სახელს ანიჭებს რომელიმე, მტრულად მიჩნეულ, ჯგუფს (პარტიას და ა.შ.), სხვა ქვეყანა შეიძლება ანალოგიურად არ იქცეოდეს. სულ ბოლო წლებში (2014-2018) ამის კარგი მაგალითია სირიელი ქურთების პარტია PYD, რომელსაც ანკარა "ტერორისტების" იარლიყს აწებებს, ხოლო ვაშინგტონი, პირიქით, ეხმარება მას.

იმის "*უზრუნველყოფა, რომ არც ერთი ქვეყანა არ დომინირებდეს რეგიონში"* გულისხმობს რეგიონში რუსული გავლენის გამყარების წინააღმდეგ რაღაც ზომების მიღებას. რეგიონში ჩინეთის ეკონომიკური შეღწევაც თანდათან წინააღმდეგობაში მოდის ამერიკის ინტერესებთან.

"*ისრაელის უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობის"* ამოცანა ზემოთაა ნახსენები.

ამერიკული პოლიტიკა ისრაელის მიმართ უცვლელია, რეგიონის სხვა ქვეყნების მიმართ კი -- ცვალებადი.

«ცივი ომის" პერიოდში **თურქეთი** იყო ამერიკის მთავარი პარტნიორი ნატოს სამხრეთ ფლანგზე. მიუხედავად 2015-2018 წლებში სახელმწიფოს მეთაურებისა და უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე ერთგვარად გაცივებული გრძნობებისა, ნატო-ს მნიშვნელოვან წევრთან ურთიერთობა ვაშინგტონისათვის კვლავაც ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას.

მონარქიულ ირანთან (1979 წლამდე) ამერიკას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა შაჰი სულაც არ იყო „დემოკრატიის შუქურა» და მისთვის დემოკრატიული ამერიკის მხარდაჭერა წმინდა წყლის პრაგმატული "realpolitik"-ი იყო.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ " მძევალთა კრიზისმა" (როდესაც თეირანში ამერიკის საელჩოს დიპლომატები წელიწადნახევრის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ ფანატიკოსებს) ძალიან გაამწვავა ურთიერთობა ირანსა და აშშ-ს შორის. 1995 წლიდან ვაშინგტონმა ეკონომიკური სანქციები დაუწესა ირანს, რისი მიზეზიც გახდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს უკანასკნელი ბირთვული იარაღის დამზადებას გეგმავდა.

XXI საუკუნეში რესპუბლიკელი პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა (უმცრ.) და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციები ირანის ამჟამინდელ რეჟიმს ისრაელისათვის და აშშ-სათვის საშიშ მტრად მიიჩნევენ. პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია (2009-2017) ირანის მიმართ სანქციების პოლიტიკას აგრძელებდა, მაგრამ ცდილობდა ურთიერთობათა ნორმალიზაციისაკენ ნაბიჯების გადადგმას. 2015 წელს გაფორმდა მრავალმხრივი ხელშეკრულება ირანთან და 2016 წელს ამ უკანასკნელს მოეხსნა საერთაშორისო სანქციების დიდი ნაწილი.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კი თავისი ინაუგურაციის დროიდანვე (2017 წ. იანვარი) სკეპტიკურად იყო განწყობილი ირანისათვის სანქციების მოხსნის მიმართ და 2018 წლის მაისში აღადგინა ისინი. ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც გააგრძელებენ ირანში საქმიანობას, ვეღარ შეძლებენ ამერიკაში ინვესტირებას. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის, რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელთაც სანქციების განახლება არ სურთ, აშშ დამოუკიდებლად იმოქმედებს.

ომი ირანთან ვაშინგტონს არ სჭირდება. პენტაგონში კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ასეთი ომი ბევრად მეტ პრობლემას შეუქმნის ამერიკას, ვიდრე ინტერვენცია ერაყში.

საკითხავია, შეძლებს თუ არა აშშ თავისი სანქციებით ისე დაასუსტოს ირანის აიათოლების რეჟიმი, რომ მისი ძალაუფლება შეარყიოს ან უფრო დამთმობი გახადოს ის?

ეგვიპტე 1970-იანი წლების ბოლოდან ამერიკის ერთ-ერთ უმთავრესი დასაყრდენი იყო ახლო აღმოსავლეთში. 1979 წელს კაირომ ვაშინგტონის აქტიური მხარდაჭერით დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან და საზღვარი მასთან უხიფათო გახადა. ეგვიპტე დღემდე არის დიდი ამერიკული დახმარების მიმღები ქვეყანა.

2011 წლის თებერვალში სახალხო რევოლუციის შედეგად გადააყენეს და დააპატიმრეს აშშ-ის დიდი ხნის მოკავშირე, ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი. პრეზიდენტად დემოკრატიული გზით აირჩიეს ისლამისტი მოჰამედ მორსი და ისლამისტური უმრავლესობის მქონე პარლამენტი. 2013 წლის ივლისში ეგვიპტის გენერალიტეტმა აბდელ ფათაჰ ელ-სისის მეთაურობით მოახდინა კონტრრევოლუცია, დაამხო და დააპატიმრა პრეზიდენტი მორსი.

ვაშინგტონის "ეგვიპტურ პოლიტიკას" რთული დილემა შეექმნა: ერთი მხრივ, მორსი დემოკრატიულად იყო პრეზიდენტად არჩეული; მეორე მხრივ, ის და მისი მხარდამჭერები ისლამიზმის (შესაძლოა, რადიკალურის) მომხრენი იყვნენ.

წერტილი ამ ყოყმანს დაუსვა აშშ პრეზიდენტმა ტრამპმა, რომელმაც 2017 წელს თეთრ სახლში გულთბილად მიიღო ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი *აბდელ ფათაჰ ელ-სისი* და მხარდაჭერა აღუთქვა მას.

ერაყში სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი სავსებით მისაღები იყო ვაშინგტონისათვის მანამ, სანამ ის 1990 წელს ქუვეითს დაესხმოდა თავს.

2003 წელს ამერიკულ-ბრიტანულმა კოალიციამ განახორციელა სამხედრო ოპერაცია "თავისუფლება ერაყს!", რომელიც, შეიძლება ითქვას, საკვანძო მოვლენა აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარების გასაუარესებლად. დაგეგმილი "ხანმოკლე გასეირნების" ნაცვლად ამერიკის არმიას რვა წელზე მეტ ხანს მოუწია დარჩენა ერაყში; ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი სუნიტებსა და შიიტებს შორის, რომელიც ფაქტობრივად დღემდე არ დამთავრებულა; ერაყის მოქალაქეების (და, აგრეთვე, იქ აკრედიტებული უცხოელი დიპლომატების) უსაფრთხოება უდაბლეს დონეზე დავიდა; ირანის მტრის, სადამ ჰუსეინის, დამხობამ ერაყში გამოაცოცხლა პროირანული ძალები; ირანის გავლენა მთელ რეგიონში გაიზარდა; ერაყის არმიის უსამსახუროდ დარჩენილი ოფიცრები დაეხმარნენ 2014 წელს გამოცხადებულ ტერორისტულ წარმონაქმნს "დაიშ"-ს სწრაფ სამხედრო წარმატებაში; «დაიშ"-ის" სახიფათო ნარჩენებს ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე ამერიკული ავიაცია 2018 წელსაც ებრძოდა.

2003 წლის ომმა ერაყში ისიც აჩვენა, თუ როგორ მკვეთრად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება "ცივი ომის" შემდეგ, როდესაც გლობალური დაპირისპირება არსებობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკებს, ნატო-სა და "ვარშავის პაქტს" შორის. 2003 წლის დასაწყისში კი, როდესაც აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცრ.) თავისი ადმინისტრაციის კვერის დამკვრელ თანამშრომლებთან ერთად გეგმავდა ერაყში ინტერვენციას (ისე, რომ მოსალოდნელ შედეგებს თეთრ სახლში არც ითვლიდნენ), მის პოლიტიკას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა არა იმ დროისათვის გაუქმებული "ვარშავის პაქტი", არამედ ნატო-ს გავლენიანი წევრები – საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, თურქეთი. ერთადერთი, ვინც პრეზიდენტ ბუშს სრულად დაუჭირა მხარი, იყო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი.

ბრიტანეთის პარლამენტის მიერ შექმნილმა "ჩილკოტის კომისიამ" 2017 წელს საბოლოოდ დაადგინა, რომ ბლერის მხრიდან ერაყში შეჭრისათვის მხარდაჭერა იყო უპასუხისმგებლობის გამოვლინება. გაეროს უშიშროების საბჭოს ამ შეჭრაზე სანქცია არ გაუცია და ოპერაციას საერთაშორისო ლეგიტიმაცია არ ჰქონდა.

ომის ფინანსურმა ხარჯმა სულ ცოტა 1,9 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ომში დაღუპულ ამერიკელებს 4,5 ათასამდე ანგარიშობენ. ერაყელთა შორის დაიღუპა, მათ შორის შიდა სექტარული ძალადობის შედეგად, რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი, აბსოლუტური უმრავლესობა – სამოქალაქო პირი.

ერაყის ბოლოდროინდელი, ძირითადადად შიიტებით დაკომპლექტებული, მთავრობების პოლიტიკა ამერიკის მიმართ დეკლარაციულ დონეზე, შეიძლება სულაც არ იყოს მეგობრული, მაგრამ რეალურად მათ ესაჭიროებოდათ ამერიკის დახმარება რეგიონის უაღრესად რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერაყისა

და სირიის ტერრიტორიაშე "დაიშ"-ის" წინააღმდეგ მებრძოლ ერაყის სამთავრობო ძალებთან და ერაყისა და სირიის ქურთების გასამხედროებულ ნაწილებთან. მათ ეხმარებოდა ამერიკული სამხედრო ავიაცია.

სირიაში 2011 წლის თებერვალში დაწყებული დემოკრატიული გამოსვლების პირველ თვენახევარს ამერიკას გაურკვეველი პოზიცია ეჭირა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მიმართ, რომელიც მეამბოხეებსა და ისლამისტურ ძალებს ებრძოდა. მაგრამ, საბოლოოდ, როდესაც ნათელი გახდა, რომ სირიის მმართველ რეჟიმს მხარს უჭერენ ირანი და ლიბანის "ჰეზბოლა" (ამ უკანასკნელს ისრაელში და აშშ-ში ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ), ვაშინგტონის პოზიცია დამასკოს მმართველი რეჟიმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი გახდა და ასეთად რჩება.

ცნობილმა დიპლომატმა ა. ვერშბოუმ აღნიშნა 2018 წლის 25 სექტემბერს გაეროში დონალდ ტრამპის გამოსვლის კომენტირებისას აღნიშნა:

> "რუსეთი, თურქეთი და ირანი განაგრძობენ სირიაში პოლიტიკური გადაწყვეტილების ძიებას აშშ-ის მონაწილეობის გარეშე" .

ის, რომ სირიის მოვლენებზე კონტროლი ამერიკამ დაკარგა, ჯერ კიდევ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლამდე გახდა ნათელი. ტრამპის დროს კი აშშ ფაქტობრივად არც ცდილობს იქ თავისი გავლენის აღდგენას. თურქეთი არ ახდენს ამერიკასთან თავის ნაბიჯების კოორდინაციას ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებისას. რუსეთი და ირანი კი ამ რეჟიმს მხარს უჭერენ.

საუდის არაბეთის აბსოლუტური მონარქია, სადაც ვაჰაბიტური ისლამი სახელმწიფო რელიგიაა და შარიათის მკაცრ ნორმებს იცავენ, სავსებით აკმაყოფილებს ვაშინგტონს, რამდენადაც ეს სამეფო არის მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მთავარი მიმწოდებებელი და ძირითადად მასზეა დამოკიდებული მსოფლიო ფასების განსაზღვრა ამ ნედლეუზე. ერთდროულად, საუდის არაბეთი მიჩნეულია საპირწონედ ირანისათვის.

ერთიანი არაბული ლობი ვაშინგტონში არ არსებობს: ასეთ ჰიპოთეტურ ერთიან ლობის ახლო აღმოსავლეთის 12 არაბული ქვეყნის მკვეთრად განსხვავებული და, ხანდახან, დაპირისპირებული ინტერესები უნდა დაეცვა! სინამდვილეში, ყველა არაბულ ქვეყანას საკუთარი ლობისტები ჰყავს. მათგან ყველაზე გავლენიანია საუდის არაბეთის ლობი.

იქნებ ამ ლობისტების დამსახურებაა, რომ ურთიერთობა ამ ქვეყანასა და ამერიკას შორის, თუნდაც ერთგვარად გაცივებული, არსებულ დიპლომატიურ დონეზე იქნა შენარჩუნებული, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე ტერორისტული თავდასხმის ჩამდენთა უმრავლესობა საუდის არაბეთის მოქალაქე იყო?

სპარსეთის ყურის პატარა, ნავთობით მდიდარი, **მონარქიული ქვეყნები** აშშ-ს მიმართ პოზიტიურად არიან განწყობილი და ცდილობენ შეინარჩუნონ ვაშინგტონის კეთილგანწყობა.

ვაშინგტონს რთული დილემა აქვს **ქურთების პრობლემასთან** დაკავშირებით.

1990-იან წლებში ერაყის ქურთები უპირისპირდებოდნენ სადამ ჰუსეინს და სარგებლობდნენ აშშ-ის მხარდაჭერით. 2014-2018 წლებში "დაიშ"-ის წინააღმდეგ აშშ-ის მეთაურობით მებრძოლ საერთაშორისო კოალიციას სირიელმა ქურთებმა უაღრესად ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს. ვაშინგტონს კი, რომელიც ქურთების მადლობელია, უხდება გაითვალისწინოს ნატო-ში თავის მოკავშირე თურქეთისა და, აგრეთვე, ერაყის მთავრობის მკვეთრად უარყოფითი განწყობა ქურთების თუნდაც კვაზი-სახელმწიფოებრიობის შექმნის მიმართ.

პრეზიდენტი ტრამპი არ მალავს, რომ მისი სურვილია, რაც შეიძლება მალე გამოეთიშოს სირიის კონფლიქტს. ტრამპს ასევე არ უნდა გააგრძელოს ამერიკის საშუამავლო როლი ისრაელ-პალესტინელთა რთულ ურთიერთობაში.

შეერთებული შტატების, როგორც ახლო აღმოსავლეთში დომინანტი ძალის როლი ბოლო პერიოდში ერთგვარად ფერმკმკრთალდება. რუსეთი და, უფრო შორს, -- ჩინეთი უკვე აჩენენ საკუთარ კლანჭებს.

მაგრამ, მიუხედავად არც თუ მსუბუქი ტვირთისა, ძლიერი მეტოქე ამერიკას ამ რეგიონში ჯერჯერობით არ ჰყავს. უფრო შორეული მომავალი კი გარკვეულ ცვლილებებს გვპირდება.

თემა 17
რუსეთის გეოპოლიტიკა რეგიონში

1947-1948 წლებში, როდესაც გაეროში განიხილებოდა ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიის, პალესტინის, ბედ-იღბალი, საბჭოთა კავშირმა დიპლომატიური დახმარება აღმოუჩინა მომავალ ისრაელის სახელმწიფოს, როდესაც მხარი დაუჭირა პალესტინის ტერიტორიის ორ – ებრაულ და არაბულ – ნაწილად გაყოფას.

კრემლის იმდროინდელ ერთპიროვნულ მმართველს, იოსებ სტალინს (1879-1953), როგორც ჩანს, ამოძრავებდა რუსეთისათვის ტრადიციული ანტიბრიტანული განწყობა. სტალინი მზად იყო დაეჭირა მხარი ყველაფრისათვის, რაც ლონდონის საწინააღმდეგო იქნებოდა. ლონდონი კი თითქოს ყოყმანობდა პალესტინის გაყოფის საკითხში. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვის დიპლომატებმა ასე დაინახეს ლონდონის პოზიცია და მიაწოდეს ცნობა კრემლის ბელადს.

რუსი აღმოსავლეთმცოდნე ალექსეი ვასილიევი, რომელმაც რეგიონში 30 წელზე მეტი იმუშავა, წერდა:

> «მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც საბჭოთა კავშირის 'მეგობარი' ხდებოდა დიდი ბრიტანეთის ნებისმიერი მტერი ახლო და შუა აღმოსავლეთში, ვინც გინდა ყოფილიყო იგი: ანტიბრიტანულად განწყობილი სიონისტები პალესტინაში, თუ შუასაუკუნეობრივი თეოკრატიული დესპოტია პატარა, შორეულ და ჩამორჩენილ იემენში" .

სტალინი, როგორც ჩანს, იმასაც ფიქრობდა, რომ ახლო აღმოსავლეთში საბჭოეთის სატელიტად აქცევდა 1948 წელს შექმნილ ისრაელის სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირმა პირველმა de facto ცნო ისრაელი და არსებითი დახმარება აღმოუჩინა მას მაშინვე დაწყებულ ომში არაბულ სახელმწიფოებთან: იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიის, კრემლისადმი მორჩილ, მთავრობას დაევალა ისრაელისათვის მიეყიდა 30 საუკეთესო სამხედრო თვითმფრინავი, არტილერია და სხვა იარაღი. სწორედ ამ შეიარაღების გამოყენებით მოუგო ომი ისრაელმა არაბულ ქვეყნებს და დაეპატრონა ყოფილი სამანდატო პალესტინის ტერიტორიის 78 პროცენტს.

კრემლში მალე მიხვდნენ, რომ ფუჭი იყო "პროსაბჭოთა ისრაელის" შექმნის იმედი. ამიტომაც საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ისრაელთან ჯერ ნელთბილი გახდა, ხოლო 1967 წელს, "ექვს-დღიანი ომის" შემდეგ, რომელშიც საბჭოთა კავშირის მხარდაჭერილმა არაბულმა ქვეყნებმა სასტიკი

მარცხი განიცადეს, კრემლმა საერთოდ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ისრაელთან მხოლოდ 1990 წელს აღდგა.

რეგიონში საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ისეთი გამოკვეთილი ეკონომიკური ინტერესები, რომლებმაც თავის დროზე რეგიონში მოიყვანა დიდი ბრიტანეთი (სატრანსპორტო კომუნიკაციების და ნავთობის საბადოების კონტროლი) და ამერიკა (კონტროლი ნავთობის მოპოვებაზე).

საბჭოთა კავშირს რეგიონში ძირითადად გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. ამოცანად დასახული იყო რეგიონში "იმპერიალისტური ქვეყნების" პოზიციის დასუსტება და თავისთვის სამხედრო-პოლიტიკური საყრდენის მოპოვება. ამისათვის საბჭოთა კავშირი მზად იყო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების დიდი ხარჯი გაეღო.

სტალინის შემდეგ მოსული კრემლის კომუნისტური ხელმძღვანელობა ხშირად თვალს ხუჭავდა როდესაც დიქტატორული, მაგრამ "ანტიიმპერიალტური" რეჟიმის მქონე რომელიმე ქვეყანაში (მაგალითად, რესპუბლიკურ ეგვიპტეში, 1958 წლიდან – რესპუბლიკურ ერაყში) სასტიკად სდევნიდნენ ადგილობრივ კომუნისტებს.

კრემლი, რასაკვირველია, ამჯობინებდა, რომ მისი "კლიენტი ქვეყნის" სათავეში კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ პოზიტიურად განწყობილი ძალა მოსულიყო. მაგრამ რეგიონში ასეთი ერთადერთი შემთხვევა აღმოჩნდა, როდესაც 1969 წელს სამხრეთ იემენის რესპუბლიკის სათავეში ძალისმიერად მოვიდა (ისიც დროებით) რადიკალური მარქსისტული დაჯგუფება, რომელმაც სახელმწიფოსაც კი გამოუცვალა სახელი და ის "იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად" (ისდრ) გამოაცხადა. საბჭოთა კავშირმა დახმარების სანაცვლოდ ისდრ-ს მოსთხოვა ადენის ნავსადგური საბჭოთა სამხედრო ფლოტის გასაჩერებლად, თუმცა ის სრულფასოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად არ უქცევია.

1956 წ. სუეცის კრიზისის ეგვიპტის სასარგებლოდ გადაწყვეტა (იხ. ქვეთავი "ეგვიპტე") საბჭოთა კავშირმა არაბულ ქვეყნებს მხოლოდ თავის დამსახურებად მიასაღა (რეალურად, დიდი წვლილი მიუძღოდა ამერიკის პრეზიდენტ აიზენჰაუერს). იმ წელს საბჭოთა კავშირის პრესტიჟი არაბულ ქვეყნებში მანამდე არნახულ სიმაღლეზე ავიდა.

სამი ათეული წლის განმავლობაში არაბული ქვეყნები და პალესტინელები თავიანთ მთავარ "მეგობარსა და იმედს" კრემლში ხედავდნენ. მაგრამ ისრაელის იგნორირებით ისრაელ-არაბთა კონფლიქტში საბჭოთა კავშირმა ნებაყოფლობით დათმო "სამართლიანი მედიატორის ნიშა", რომელიც ადვილად შეავსო ამერიკამ. ასეთი ცალმხრივი პოლიტიკით კრემლმა კარგი საბაბი მისცა ამერიკას მკვეთრად პროისრაელური გამხდარიყო.

რეალური მოკავშირე საბჭოთა კავშირს ახლო აღმოსავლეთში არ ჰყოლია. ეგვიპტეც კი, რომელსაც 1973 წლამდე საბჭოთა კავშირი აიარაღებდა, არ გამხდარა მისი ისეთივე სტრატეგიული მოკავშირე, როგორიც იყო და არის ისრაელი ამერიკისათვის. ამ ორ უკანასკნელს კი საერთო აქვს არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესებიც და, გარკვეულად, მსგავსი აქვთ მსოფლმხედველობითი ფასეულობებიც.

საბჭოთა კავშირის ყველა კლიენტს – ადგილობრივ მმართველებს – კი მხოლოდ ტაქტიკური მიზნები ამოძრავებდათ, მიეღოთ საბჭოეთის დახმარება, რომლითაც გაზრდიდნენ თავის სამხედრო ძალას და შეინარჩუნებდნენ ხელისუფლებას.

უკვე 1970-იან წლებში არაბულ ქვეყნებში, მათ შორის, უპირველესად, ეგვიპტეში, ამერიკულმა გავლენამ მკვეთრად დაჯაბნა საბჭოთა გავლენა.

1991 წლიდან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის – რუსეთის ფედერაციის – პოლიტიკური გავლენა რეგიონში არ ასულა საბჭოთა კავშირის დროინდელ დონეზე.

თუმცა ამჟამინდელი კრემლის საგარეო პოლიტიკა აღარ არის დამძიმებული კომუნისტური იდეოლოგიის დოგმებით, მას არ გააჩნია ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომ რეგიონში გავლენისათვის რეალური კონკურენცია გაუწიოს ამერიკას.

ვაშინგტონისა და ნატო-ს სტრატეგებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მოსკოვს შეუძლია თავისი აგრესიული ძალის გამოჩენა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა), მაგრამ უფრო შორს ის ვერ იმოქმედებს.

ამიტომაც იქცა მათთვის უსიამოვნო სიურპრიზად, როდესაც რუსეთის ფედერაცია 2015 წლის 30 სექტემბერს თავისი საჰაერო-კოსმოსური ძალების მეშვეობით მოულოდნელად ჩაერთო სირიის კონფლიქტში და პრაქტიკულად გადაარჩინა ბაშარ ალ-ასადის რეპრესიული რეჟიმი თითქმის გარდაუვალი კრახისაგან. იმ მომენტისათვის ასადის ძალები სირიის ტერიტორიის მცირე ნაწილსღა აკონტროლებდნენ, ძირითადად დედაქალაქ დამასკოს და ქ. ლათაკიის მიმდებარე, ალავიტებით დასახლებულ, რაიონებს.

რუსეთი დაეხმარა ბაშარ ალ-ასადს სხვადასხვა მეამბოხე ისლამისტური ჯგუფების განდევნაში ქვეყნის უდიდეს ქალაქ ალეპოდან, ისტორიულ ქალაქ პალმირადან, სადაც *"დაიში"* ანადგურებდა ძვირფას ისტორიულ მემკვიდრეობას, ნავთობმოპოვების ცენტრ დეირ ეზ-ზორიდან და სხვ. თუმცა სირიის კონფლიქტი ამოწურული არაა, ასადის რეჟიმის გადარჩენა ახლა სავსებით მოსალოდნელი ჩანს.

ახლო აღმოსავლეთის ექსპერტმა სტივენ კუკმა ასე დააჯამა რუსეთის ქმედების მიმართ ამერიკაში და, ზოგადად, დასავლეთში შექმნილი ექსპერტული აზრი:

> „ანალიტიკოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ძალის დემონსტრაცია არის მკაფიო ინდიკატორი, რომ გლობალური მეტოქეობა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მხოლოდ წარსული კი არაა, არამედ აწმყოც და მომავალიც; მაგრამ ექსპერტების მცირე ნაწილი – რუსეთის მკვლევრები, ამერიკელი დიპლომატები, ჟურნალისტები – მიიჩნევს, რომ რუსეთი სუსტია, ფინანსურად შეზღუდული და სირიის პრობლემაში ჩაფლობა მას ცუდ შედეგს მოუტანს".

თუმცა უმცირესობის აზრიც ხანდახან არაა რეალობას აცდენილი, ამერიკელი ექსპერტი (სტივენ კუკი) მაინც უმრავლესობის აზრს ემხრობა და მიაჩნია, რომ რუსეთს გააჩნია როგორც სტრატეგია, ისე საკმარისი ძალაც:

> "სირიაში რუსებმა მოახდინეს პოლიტიკური ნებისა და გამძლეობის დემონსტრაცია. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთის ეკონომიკის ზომა, რასაც იყენებენ მისი სისუსტის ინდიკატორად. იმის დაჯერება, რომ რუსეთის ძალა ეფემერულია, შეიცავს რისკს, შეგვექმნას ისეთი წარმოდგენა მსოფლიოს შესახებ, რომელიც თვითდამშვიდებას წარმოშობს... რუსები არ აპირებენ წასვლას, მათ აქვთ დასავლეთის დასუსტების სტრატეგია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში იწყება"

რუსეთი ჩართვა სირიის კონფლიქტში, რასაკვირველია, არ იქნებოდა სტიქიურად მიღებული გადაწყვეტილება. ამისათვის ის სერიოზულად მოემზადა. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ სირიაში სამხედრო მოქმედების დაწყებით რუსეთს უნდოდა მსოფლიოს ყურადღების გადატანა ერთი წლით ადრე უკრაინაში მის მიერვე განხორციელებული აგრესიისაგან (ყირიმის ანექსია, აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატიზმის მხარდაჭერა).

ფორმალურად, რუსეთი სირიაში მივიდა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის თხოვნით, ტერორისტულ წარმონაქმნ "დაიშ"-თან საბრძოლველად, რომელიც იმ დროს მართლაც წარმოადგენდა დიდ საფრთხეს მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის და არა მარტო ამ რეგიონისათვის. ამ საფრთხეს დასავლეთის ქვეყნების კოალიციაც ებრძოდა.

მაგრამ "დაიშ"-ის პოზიციების დაბომბვის პარალელურად, და უფრო გამეტებითაც კი, რუსულმა ავიაციამ გაანადგურა ასადის მოწინააღმდეგე ძალიან ჭრელი ოპოზიცია, რომელსაც, თავის მხრივ, აიარაღებდნენ ამერიკა, თურქეთი, სპარსეთის ყურის ზოგი არაბული სახელმწიფო.

სირიის კონფლიქტში ჩართვა კრემლის შორსმიმავალი გეოპოლიტიკური მიზნის ნაწილად მოჩანს: მას უნდა სამხედრო თვალსაზრისით დამკვიდრდეს ხმელთაშუა ზღვის აუზში.

ბოსფორის და დარდანელის სრუტეებით გავლას რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ვერავინ აუკრძალავს, თუ ის უშუალოდ არ იქნება ჩართული სამხედრო კონფლიქტში თურქეთთან. მაგრამ რუსეთს ურჩევნია ხმელთაშუა ზღვაში მუდმივად იყოლიოს სამხედრო ფლოტი, რომელსაც ესაჭიროება სანაპირო ბაზა.

ამ თვალსაზრისით, 2015 წელს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დამასკო უფრო დამთმობი იქნებო-და, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს მთავრობა. რუსული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, ბაშარ ალ-ასადმა უვადოდ დაუთმო ტარტუსის ნავსადგურის ნაწილი ხმელთაშუა ზღვაზე, სადაც თანდათან შეიქმნება რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა და ხმეიმიმის აეროდრომი, სადაც უკვე დაფუძნდა და კეთილმოეწყო რუსული სამხედრო-საჰაერო ბაზა.

რუსეთის დიდ გავლენას სირიის რეჟიმზე მოწმობს ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს სეპარა-ტისტული რეგიონების "დამოუკიდებლობის" ცნობა 2018 წელს, რაც მხოლოდ კრემლის საამებლად (ამ მისი ზეწოლის შედეგად) გადადგმული გაუაზრებელი ნაბიჯია. ის დამასკოს არავითარ ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს და პოლიტიკურადაც წამგებიანია.

სირიის სამხედრო კონფლიქტში რუსეთს საშუალება აქვს გამოსცადოს თავისი ყველანაირი შეიარაღება (გარდა ბირთვულისა) და რეალურ საბრძოლო პირობებში გაწვრთნას თავისი არმიისა და ფლოტის ოფიცრები და რიგითი შემადგენლობა.

2018 წლის 22 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავის ოფიციალურ არხზე Youtube-ში განათავსა სირიაში თითქმის სამწლიანი სამხედრო ოპერაციის შედეგები [Военная операция ВС РФ в Сирийской Арабской Республике – итоги в цифрах]. მონაცემები, რომელთა გადამოწმება შეუძლებელია, როგორც ჩანს, გათვლილია საგარეო პროპაგანდისტულ ეფექტზე და რუსეთის მოქალაქეებსაც უნდა უჩვენოს მათი "დერჟავის" სამხედრო სიძლიერე.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სირიის ოპერაციაში 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აგვისტომდე მონაწილეობა მიიღო რუსეთის 63013 სამხედრო მოსამსახურემ, მათ შორის 434 გენერალმა და 25738 ოფიცერმა (უმეტესობას სამთვიანი როტაცია ჰქონდა); რუსეთის ყველა სამ-ხედრო ოლქის მეთაურმა და მათი შტაბის კოლექტივმა გაიარა წვრთნა სირიაში; ოპერაციას ძირითადად სამხედრო-საჰაერო ძალები ახორციელებდნენ და ჯამში 39 ათასი გაფრენაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის საარმიო ავიაციის ეკიპაჟების 91 პროცენტმა, სამხედრო-სატრანს-პორტო ავიაციის – 97 პროცენტმა და სტრატეგიული ავიაციის – 60 პროცენტმა, ანუ რუსი მფრინა-ვების უმეტესობამ გაიარა საბრძოლო წვრთნა სირიის ცაში (თუმცა მათ არ ჰქონიათ საქმე მოწინააღმდეგის ავიაციასთან, რომელიც არც "დაიშ-ს" და არც ისლამისტ მეამბოხეებს არა აქვთ);

სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ხმელთაშუა ზღვაში და კასპიის ზღვაში მყოფი ხომალდებიდან; გამოიცადა შეიარაღების 231 ახალი სახეობა და ა.შ.

თუმცა რუსეთის ხელმძღვანელობა ერიდება გამოიყენოს სიტყვა "პოლიგონი", მაგრამ რუსეთის არმიისათვის სირია რეალურად იყო სამხედრო პერსონალის წვრთნისა და ახალი იარაღის გამოცდის ადგილი, რასაც, ჩვეულებრივ, "სამხედრო პოლიგონს" უწოდებენ ხოლმე!

იმავე ცნობის თანახმად სირიაში ლიკვიდირებული იქნა 86 ათასი "ბოევიკი" (მათ შორის 4,5 ათასი წასული რუსეთიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან) და მათი 830 ლიდერი.

ჰაერიდან, ალბათ, ძნელი გასარჩევი იქნებოდა ვინ არის ამ ათეულ ათასობით დაღუპულთა შორის "ბოევიკი" (კიდევ უფრო ძნელი – მათი წარმოშობის დადგენა!) და ვინ – სირიის მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალი და ბავშვი? მაგრამ მამაც რუს მფრინავებსა და ბაშარ ალ-ასადს ეს პრობ-ლემა საერთოდ არ შეაწუხებდა!

რუსეთი არ კმაყოფილდება მხოლოდ სირიაში გავლენის მოპოვებით. ის რეგიონის სხვა ქვეყნებშიც ეძებს და პოულობს გარკვეული შეხების წერტილებს, თუნდაც დროებითი კავშირებისათვის.

სირიაში რუსეთის სიტუაციური მოკავშირე აღმოჩნდა შიიტური ირანი, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ებრძოდა იმავე მტერს – სუნიტი მუსლიმების მიერ ორგანიზებულ "დაიშ"-ს და ასადის მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს. ირანის არმიისა და "ისლამური რევოლუციის მცველთა" ნაწილების მხარდამხარ სირიაში იბრძვიან შიიტი მოხალისეები ავღანეთიდან, პაკის-ტანიდან და ერაყიდან.

თუმცა რუსეთისა და ირანის რაიმე ფორმალური შეთანხმება საჯარო არ გამხდარა, სამხედრო დონეზე რაღაც კოორდინაცია მათ შორის უნდა არსებობდეს.

ირანიცა და რუსეთიც ეხმარება სირიის მმართველ რეჟიმს, თუმცა ამოცანები და მიზნები მათ სხვადასხვა აქვთ:

- ირანისათვის მნიშვნელოვანია ლიბანის ნავსადგურებამდე უწყვეტი სატრანსპორტო წვდომის მიღება და ამისათვის ის მჭიდროდ თანამშრომლობს ლიბანის შიიტურ ორგანიზაცია "ჰეზბოლასთან", რომლისთვისაც, ისევე, როგორც ირანისათვის, ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ისრაელიც არის. მართალია, როგორც ირანი, ისე "ჰეზბოლა" და დამასკოს ხელისუფლება მაინც ერიდება ისრაელის პირდაპირ პროვოცირებას.
- რუსეთს უნდა შეინარჩუნოს სირიის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები. დამასკოში მას ესაჭიროება მოსკოვზე დამოკიდებული რეჟიმი. ისრაელს კი რუსეთი მტრად არ მიიჩნევს.

ისრაელსა და რუსეთის ფედერაციას ჩამოუყალიბდათ პრაგმატული ურთიერ-თობა ერთმანეთთან. 2010-იან წლებში ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ უცხო ქვეყნების მეთაურებიდან ყველაზე ხშირად ხვდებოდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს და განუწყვეტლივ უჩიოდა ირანის გააქტიურებას მეზობელ სირიაში. 2013 წელს ისრაელის თხოვნის საფუძველზე რუსეთმა შეაჩერა სირიისათვის S-300 საზენიტო-სარაკეტო სისტემების გადაცემა.

თუმცა რუსეთს 2015 წლის ბოლოდან ექსკლუზიური გავლენა აქვს სირიაში, რუსეთის ხელმძღვა-ნელობა ამტკიცებს, რომ მის ძალებს აღემატება ირანის დაყოლიება სირიიდან მისი სამხედრო (სახმელეთო) ნაწილების გაყვანაზე. თანაც, რუსეთის არმიას, რომელიც, ძირითადად, ავიაციის

გამოყენებით იბრძვის სირიაში, თითონ ესაჭიროება სახმელეთო ნაწილების დახმარება, რასაც ირანი უზრუნველყოფს.

2015 წლის შემოდგომაზე რუსეთმა შექმნა ისრაელთან კომუნიკაციის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევდა მხარეებს თავიდან აეცილებინათ შემთხვევითი შეტაკება ერთიმეორესთან სირიაში. რუსეთი თვალს ხუჭავდა ისრაელის ავიაციის მიერ სირიაში განხორციელებულ ოპერაციებზე, რომელთა მიზანი იყო არ დაეშვა იქ ირანის სამხედრო ბაზების დამკვიდრება. ისრაელის ავიაცია ხშირად ბომბავდა ირანულ ობიექტებს (პარალელურად – სირიის არმიისასაც): 2017-2018 წლებში 200-ზე მეტი ასეთი დაბომბვა განხორციელდა.

ვითარება მკვეთრად დაძაბა 2018 წლის 17 სექტემბრის ინციდენტმა, როდესაც ისრაელის ოთხმა ავიაგამანადგურებელმა ელვისებური იერიში მიიტანა სირიაში განლაგებულ სამხედრო ობიექტზე ისე, რომ ვერ მოესწრო იმავე საჰაერო სექტორში მყოფი რუსული მზვერავი თვითმფრინავის ИЛ-20-ის კურსის შეცვლა. სირიის რაკეტებმა, რომლებიც ისრაელის ავიაციის წინააღმდეგ გაუშვეს, ჩამოაგდეს ИЛ-20: დაიღუპა 15 რუსი სამხედრო მოსამსახურე.

მოსკოვმა დაადანაშაულა ისრაელის მხარე იმაში, რომ მან საჰაერო იერიშის დაწყებამდე წუთზე ნაკლებ დროში გააფრთხილა რუსული მხარე, რის გამოც ИЛ-20-მა ვერ მოასწრო სროლის ზონიდან გასვლა. რუსეთის აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად კრემლმა ფართოდ გააშუქა ადრე შეჩერებული S-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების სირიისათვის დაუყოვნებელი მიწოდება. ექსპერტების აზრით ეს სისტემები მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეუზღუდავს ისრაელის ავიაციას სირიაში განლაგებული ირანული სამხედრო ობიექტების დაბობვას.

მაგრამ ისრაელი მოერიდება საკუთრივ სარაკეტო სისტემების განადგურებას, თუ მათ სამართავ პულტთან რუსი სპეციალისტები იქნებიან. კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე კი გაიზარდა.

თურქეთმა ძალიან მტკივნეულად აღიქვა რუსეთის ჩართვა სირიის პრობლემებში, რადგან, მოსკოვის პოზიციის საპირისპიროდ, სირიის პრობლემების სათავედ და თავის ძირითად მტრად ანკარა აცხადებდა ბაშარ ალ-ასადს.

2015 წლის 24 ნოემბერს ორმა თურქულმა F-16 ავიაგამანადგურებელმა ჩამოაგდო რუსული სამხედრო თვითმფრინავი СУ-24, პროთურქულ მებრძოლთა ჯგუფმა კი (ისინი სირიელი თურქმენები იყვნენ) კატაპულტირებული ერთი რუსი პილოტი მოკლა. თურქეთის მხარე ცდილობდა გადაებრალებინა ინციდენტი რუსეთის მხარისათვის და ბოდიშს არ იხდიდა. ამას მოჰყვა მოსკოვის მძაფრი რეაქცია ეკონომიკური სანქციების სახით, როდესაც აიკრძალა თურქული პროდუქციის იმპორტი, დაიწყო რუსეთში მოქმედი თურქული სამშენებლო კომპანიების გაძევება, რუს ტურისტებს მოსკოვმა აუკრძალა თურქეთის კურორტებზე გამგზავრება და ა.შ. რამდენიმე თვეში თურქეთის მატერიალურმა ზარალმა დაახლოებით ექვსი მილიარდი დოლარი შეადგინა. გარკვეულად, დაზარალდა რუსეთიც.

ინციდენტის შემდეგ განვლილი შვიდი თვის შემდეგ, 2016 წლის ივნისში, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი იძულებული გახდა გამოეხატა წუხილი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებისა და რუსი პილოტის დაღუპვის გამო. კრემლმა ეს ხალისით აღიქვა "ბოდიშის მოხდად" და გაუუქმა სანქციები თურქეთს. ურთიერთობა აღდგა.

რეალურად, ორივე მხარე ეძებდა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ისე, რომ "სახე არ დაეკარგა». უფრო მეტიც, როდესაც 2016 წლის 19 დეკემბერს თურქმა პოლიციელმა ანკარაში ზურგში

გასროლით მუხანათურად მოკლა რუსეთის ელჩი, კრემლმა ამჯობინა მისი დიპლომატის მკვლელობის ამაზრზენი ფაქტისათვის დიდი პოლიტიკური დატვირთვა არ მიეცა.

სირიის კონფლიქტში კი ეს ორი ქვეყანა ჯერაც საპირისპირო მხარეს დგას:

- ანკარა თავის მთავარ მტრად სახავს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს, აიარაღებს მის მოწინააღმდეგე რადიკალურ-ისლამისტურ ძალებს და სახმელეთო სამხედრო ოპერაციებს ახორციელებს სირიის ტერიტორიაზე, ძირითადად, სირიელი ქურთების წინააღმდეგ (იხ. თემა 29 "ქურთები");
- მოსკოვი, პირიქით, 2015 წელს სწორედ ბაშარ ალ-ასადის ფორმალური თხოვნის საფუძ-ველზე შევიდა სირიაში და მისი მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ ორივე მხარე ერიდება უშუალო კონფრონტაციას. მაგალითად, ოპერაცია "ზეთისხილის რტოს" დროს, 2018 წელს, როდესაც თურქულმა არმიამ ბრძოლით დაიკავა ჩრდილოეთ სირიის ქალაქი აფრინი და მისი რაიონი და გაწმინდა ის ქურთებისაგან, რუსეთმა "არ შეამჩნია" ეს ოპერაცია, თუმცა იმავე რაიონში მათი სამხედროებიც იმყოფებოდნენ.

რუსეთი, ირანი და თურქეთი თანამშრომლობენ სირიის საკითხების მოგვარებაში, ბუნებრივია საკუთარი განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე.

2018 წლის სექტემბერში, როდესაც სირიის სამთავრობო არმია რუსეთთთან და ირანთან ერთად ემზადებოდა ოპოზიციური ძალებისა და რადიკალური ისლამისტური ძალების უკანასკნელი თავშე-საფრის, *იდლიბის მუჰაფაზის*,* ასაღებად, თურქეთის პრეზიდენტმა მოახერხა რუსეთის პრეზიდენტის დაყოლიება ოპერაციის შესაჩერებლად და იდლიბში "ნეიტრალური ზონის" შესაქმნელად, რომელსაც რუსეთისა და თურქეთის სამხედრო ნაწილები გააკონტროლებენ. სირიის არმიას კი იქ შესვლა აეკრძალა, რაც არ შეიძლება მოეწონოს დამასკოს რეჟიმს, რომელიც ეშურება სამოქალაქო ომის დამთავრებას მთელ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, მოწინააღმდეგე ძალების დამარცხების გზით. კონფლიქტი იდლიბში "დროში გადადებულად" შეიძლება მივიჩნიოთ.

რუსეთს და თურქეთს აქვთ საერთო ეკონომიკური ინტერესები. 2014 წელს გაფორმდა ურთიერთ-გაგების მემორანდუმი, 2017 წელს კი – სამთავრობოთაშორისო შეთანხმება გაზსადენ "თურქული ნაკადის" (TurkStream) გაყვანის შესახებ თურქეთის ევროპული ნაწილის (კერძოდ, ქ. ლიულებურგა-ზის) მიმართულებით, რომლის 910 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთი შავი ზღვის ფსკერზე გადის, მათ შორის 2200 მეტრის სიღრმეზე. იმავე 2017 წელს რუსეთმა დაიწყო ამ მილსადენის მშენებლობა, რომლითაც გაზს მიიღებს თურქეთი და იქიდან ტრანზიტით – ევროპის ქვეყნები. ერთდროულად, ახალი მილსადენის გაყვანის ირიბი პოლიტიკური ეფექტი რუსეთისათვის იქნება უკრაინის დაზარალება, რადგან რუსულ კომპანია "გაზპრომს" საშუალება მიეცემა შეამციროს ევროპაში გაზის ტრანზიტი უკრაინის ტერიტორიის გავლით. ამით ზიანი მიადგება კიევს, რომელსაც მოსკოვი თავის მტრად სახავს.

2018 წლის აპრილში ატომური ენერგიის რუსულმა სახელმწიფო კორპორაცია "როსატომმა", 2010 წელს ხელმოწერილი 20 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტის თანახმად, დაიწყო სამხრეთ თურქეთში, მერსინის ილში, აქქუიუ-ს (Akkuyu) ატომური ელექტროსადგურის (აეს) მშენებლობა, რომლის პირველი ორი ბლოკი 2023 წელს უნდა ჩადგეს მწყობრში.

ენერგეტიკული პოლიტიკა კარგა ხანია არის რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი მიმართულება, მისი საგარეო პოლიტიკის "რბილი ძალის" მძლავრი ელემენტი. თურქეთი სანახევ-როდ ან მეტად დამოკიდებულია რუსული გაზის იმპორტზე. ახლა ის ატომური ენერგეტიკითაც

დაუკავშირდება რუსეთს, რადგან ბირთვული საწვავის შემოტანა რუსეთიდან მოხდება და რუსეთშივე გაიტანენ გამოყენებული საწვავის ნარჩენებს. *აქქუიუს* აეს-ის მთავარი აქციონერია "როსენერგოატომი".

ამავე დროს, ფაქტია, რომ ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის რეგიონშიც თურქეთი და რუსეთი გეოპოლიტიკურ მეტოქეებად რჩებიან. თურქეთი არ ცნობს ყირიმის ანექსიას რუსეთის მიერ; მას სულაც არ ახარებს რუსეთის მკვეთრი გააქტიურება შავი ზღვის რეგიონში და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

მართლმადიდებელი ბერძნებით დასახლებულ [სამხრეთ] კვიპროსში რუსეთს დიდი მხარდაჭერა აქვს, მაშინ, როდესაც თურქეთს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა კვიპროსის ამ ნა¬წილ¬თან და მსოფლიოს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას" ცნობს.

სირიაში სამხედრო ყოფნა რუსეთს უკვე იძულებულს ხდის მონაწილეობა მიიღოს ისეთ სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც მას ნაკლებად სჭირდება. მაგალითად, პრესაში გახმაურდა 2018 წლის თებერვალში ბაშარ ალ-ასადის არმიის ნაწილებისა და რუს მოქირავნეთა უშედეგო მცდელობა დაეკავებინათ მდ. ევფრატის ნაპირზე მდებარე, სირიელი ქურთების კონტროლის ქვეშ მყოფი, ნავთობარეწები და *ნგქ.* ქურთების მხარემ სასწრაფოდ მიმართა ამერიკელებს, რომელთა სამხედრო ნაწილებმა სარაკეტო და საავიაციო დარტყმებით გაანადგურეს შეტევის მონაწილეთა დიდი ნაწილი და მათი ჯავშანტექნიკა. კრემლმა გაასაიდუმლოა დაღუპული რუსების რაოდენობა (როგორც ჩანს, არც თუ მცირე), რადგან საბრძოლო შეხლამდე, ამერიკელებთან სატელეფონო საუბარში, რუსეთის არმიის წარმომადგენელი დაჟინებით უარყოფდა რუსეთის მოქალაქეების რაიმე მონაწილეობას ამ ავანტურაში.

რუსეთმა სამხედრო თვალსაზრისით შეაღწია ახლო აღმოსავლეთში, დააარსა თავისი სამხედრო ბაზები ხმელთაშუაზღვისპირეთში და გეგმავს იქ დიდი ხნის განმავლობაში დარჩენას, როგორც სერიოზული გეოპოლიტიკური მოთამაშე.

მაგრამ სირიაში ომის დამთავრების შემდეგ საჭირო გახდება ქვეყნის აღდგენა. ევროკავშირს და ამერიკას ეკონომიკური სანქციები აქვთ დაწესებული ბაშარ ას-ასადის რეჟიმისათვის და მათი კომპანიები სირიის რეკონსტრუქციაში ვერ ჩაერთვებიან. თუ რუსეთს მართლაც უნდა კონკურენცია გაუწიოს ამერიკას და, ზოგადად, დასავლეთს, მან სამხედრო მეთოდების გარდა ეკონომიკური მეთოდებიც უნდა გამოიყენოს. რუსეთის ეკონომიკა კი ვერ გასწვდება დანგრეული სირიის აღდგენას, ხოლო მოსკოვის მცდელობა, ამ მიზნით მოიზიდოს სხვა ქვეყნების კომპანიები, მისივე სისუსტის მაჩვენებელი იქნება რეგიონის ელიტებისთვის.

საბოლოოდ კი, აღმოჩნდება, რომ რუსეთის ჩართვა სირიის კონფლიქტში უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე იქიდან გამოსვლა იქნება.

თემა 19

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა

1920-იანი წლებიდან თურქეთი ვითარდებოდა, როგორც სეკულარული სახელმწიფო, თუმცა იგი სრულად არ გამოსულა და ვერც გამოვა ისლამის გავლენის სფეროდან.

თურქმა ინტელექტუალმა, ადრე – მარქსისტმა, შემდგომში კი – ისლამისტმა *ისმეთ ოზელმა,* მოსწრებულად თქვა:

«თურქეთში სოციალიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა, შესაძლებელია, თურქიზმი [*თურქული ეთნიკური ნაციონალიზმი: რ.ბ*] მოსალოდნელია, ისლამი – უეჭველია".

დღეისათვის ქვეყანა პოლიტიკურ-გეოგრაფიულად პოლარიზებულია.

მოსახლეობის ნახევარზე ცოტა მეტისათვის – უპირატესად ცენტრალური, აღმოსავლეთი ანატოლიის, შავიზღვისპირეთის ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთა უმეტესობისათვის (და სხვაგანაც, თუნდაც მოსახლეობის ნაკლები წილისათვის) – ცხოვრების წესს განსაზღვრავს ისლამი. ეს ხალხი სეკულარიზმს ადრეც ალმაცერად უყურებდა, თუმცა არც უკიდურეს ისლამურ ფუნდამენტალიზმს უჭერდა მხარს. ეს არის რელიგიურ-კონსერვატიული ელემენტი, რომლისთვისაც "ქრისტიანული ევროპა" იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის მდიდარია, აძლევს მათ (ან 1963 წლიდან მისცა მათ უშუალო წინაპრებს) გერმანიაში და ზოგ სხვა ქვეყანაში დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის შექმნის საშუალებას. მაგრამ ევროპა მათთვის მაინც "უცხოა".

მოსახლეობის ეს ნაწილი უზრუნველყოფს იმას, რომ 2002 წლიდან ქვეყანას უცვლელად უდგას სათავეში «სამართლიანობისა და განვითარების პარტია" (სგპ; თურქულად, Adalet ve Kalkınma Partisi, AKP), რომელსაც ე. წ. "ზომიერი ისლამიზმი" ახასიათებს. სგპ-ის ლიდერის, 2003-2014 წლებში პრემიერ-მინისტრის, ხოლო 2014 წლიდან პრეზიდენტის – *რეჯეფ თაიიფ ერდოღანის* – და მისი პარტიის წარმატებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, საგარეო ურთიერთობებში მტკიცე პოზიციამ მოსახლეობის ზემოხსენებული ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა და განაპირობა ის, რომ *სგპ*-მ მოიგო 2003, 2007, 2011 წლების, 2015 წელს ორჯერ ჩატარებული და 2018 წლის საპარლამენტო არჩევნები. პირადად ერდოღანმა კი მოიგო 2014 და 2018 წლების საპრეზიდენტო არჩევნები

ამავე დროს, დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიის, ევროპული თურქეთის, უდიდესი ქალაქების – სტამბოლის, ანკარისა და იზმირის – მცხოვრებთა უმეტესობა (და სხვაგანაც, თუნდაც მოსახლეობის ნაკლები წილი), ჯამში კი თურქეთის მოსახლეობის ნახევარზე ცოტა ნაკლები, რესპუბლიკის დამაარსებლის – ქემალ ათათურქის – სეკულარული იდეოლოგიის მომხრეა. ამ ხალხს არ მოსწონს თურქეთის საშუალო სკოლების სულ უფრო მზარდი რაოდენობის გადაქცევა Imam Hatip Lisesi-დ, ანუ რელიგიური გაკვეთილების მქონე სკოლა-ლიცეუმებად, სადაც იმამი (მუსლიმი სასულიერო პირი) ყურანს ასწავლის. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მათ ქვეყანაში ხდება სეკულარიზმის ეროზია.

მოსახლეობის ამ ნაწილს შედარებით ლიბერალური (თუმცა, ამავე დროს, ნაციონალ-პატრიოტული) პოლიტიკური შეხედულებები აქვს. თუ ცივილიზაციურად არა, კულტურულად მაინც, ის უფრო ევროპისაკენ იხრება და ამყარებს (ან, ბოლო დრომდე ამყარებდა) იმედს, რომ თურქეთი ევროპული კავშირის წევრი გახდება. რესპუბლიკის დამაარსებლის, ქემალ ათათურქის 1920-იანი წლების ლოზუნგი "Garba doğru!" ("დასავლეთისაკენ": იგულისხმებოდა ევროპისაკენ კულტურული შებრუნება), შეიძლება მოძველებულად ჩანდეს, მაგრამ თურქების ამ ნაწილისათვის მას აზრი ჯერაც არ დაუკარგავს.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური ან ფარდობითი უმრავლესობა ეთნიკურად ქურთია, სგპ ატარებდა გარკვეულად შემრიგებლურ პოლიტიკას. რესპუბლიკის დაარსების დროიდან (1923 წ.) არც ერთი სეკულარული მთავრობა არ ცნობდა

თურქეთში ეთნიკური უმცირესობების არსებობას (ცნობდნენ მხოლოდ "რელიგიურ უმცირესობებს" – ებრაელებსა და გრიგორიან სომხებს). ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ერთ-ერთ ენაზე მეტყველ ქურთებსაც კი ათათურქის დროიდან "მთიელ თურქებს" უწოდებდნენ, უკრძალავდენ მათ საკუთარ ენაზე საუბარსაც კი!

სგპ-ის მთავრობამ კი ცნო ქურთული უმცირესობის არსებობა ქვეყანაში, ქურთულ ენაზე სწავლების, ტელეგადაცემების წარმოების, მათი განსახლების არეალში ქურთულ ენაზე საგზაო წარწერების გაკეთების ნება დართო.

მაგრამ "ქურთისტანის მუშათა პარტია" (ქურთულად Partya Karkerên Kurdistanê, შემოკლებით PKK), რომელიც თურქეთში, ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ ტერორისტულადაა მიჩნეული (მაგრამ გაეროს, რუსეთს, ჩინეთს, ინდოეთს, შვეიცარიას ის ასეთად არ უცვნიათ), აგრძელებს პარტიზანულ ბრძოლას. 2013-2015 წლებში დაზავება მოქმედებდა, შემდეგ კი ამბოხება განახლდა. PKK-ს მიზნად აქვს დასახული, სულ ცოტა, ავტონომიის შექმნა ქურთებისათვის თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ბრძოლას უკვე შეეწირა 40 ათასამდე ადამიანი, როგორც ტერორისტები, ისე თურქი ჯარისკაცები და ჟანდარმები, მეტი წილი კი – სამოქალაქო პირი.

ბრძოლის სისასტიკე ხელს უწყობს ეთნოსთაშორისი გაუცხოების შენარჩუნებას.

სგპ-ის მთავრობამ თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნია ევროკავშირის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქვეყნის *ეროვნული უშიშროების საბჭოს* ფუნქციების მკვეთრი შეკვეცის შესახებ. 1960 წელს ქვეყნის სეკულარული ხასიათის დაცვის საბაბით თურქეთის არმიის ხელმძღვანელობამ სამხედრო გადატრიალება მოაწყო. 1961 წლის კონსტიტუციით შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭო, სადაც გენერლები დომინირებდნენ. 1971,1980,1997 წლებში გენერალიტეტმა ჩამოაშორა ხელისუფლებას იმ დროს მმართველი პარტიები, რომლებიც, მისი აზრით, ღალატობდნენ ათათურქის მიერ დამკვიდრებული სეკულარიზმის პრინციპებს.

2010 წლის საყოველთაო რეფერენდუმზე მოსახლეობის 58 პროცენტმა მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო რეფორმას, რომლის თანახმადაც მოხდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციების შემცირება და სამხედრო პირების დაქვემდებარება სამოქალაქო სასამართლოსადმი. 2011 წლის 29 ივლისს თურქეთის არმიის უკმაყოფილო უმაღლესი ხელმძღვანელობა გადადგა, პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა კი დაუყოვნებლივ დანიშნა გადამდგარი სარდლების ადგილზე მის მიმართ უფრო ლოიალური გენერლები.

2014 წლამდე, თურქეთის რესპუბლიკის ყველა ადრეული კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს ყოველთვის ირჩევდა ერთპალატიანი "დიდი ეროვნული კრება" (Türkiye Büyük Millet Meclisi), ანუ პარლამენტი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთის პრეზიდენტებს ძირითადად ცერემონიული ფუნქციის შესრულება ევალებოდათ.

2014 წლის აგვისტოში კი, პირველად თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა საყოველთაო კენჭისყრით. გაიმარჯვა ერდოღანმა, რომელმაც პირადი ავტორიტეტით გაზარდა პრეზიდენტის პოსტის მნიშვნელობა და ისეთი საკითხების გადაწყვეტაში ჩაერთო, რომლებიც იქამდე შედიოდა მთავრობის მეთაურის, პრემიერ-მინისტრის, ფუნქციაში.

ერდოღანმა მოისურვა კონსტიტუციის ისე შეცვლა, რომ თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკად ქცეულიყო და 2017 წლის16 აპრილის საყოველთაო რეფერენდუმის გზით მიზანს მიაღწია: ელექტორატის 51,2 პროცენტმა დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებას, წინააღმდეგი კი 48, 8 პროცენტი

წავიდა. არჩევნების შედეგების გეოგრაფიული განსხვავება ამ თემის დასაწყისში ხსენებული პოლარიზაციის ხაზს მიჰყვებოდა.

ეუთო-ს სადმკვირვებლო მისიამ დაასკვნა, რომ რეფერენდუმი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს: ის ჩატარდა საგანგებო მდგომარეობისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა შეზღუდ-ვის პირობებში. მაგრამ ხმების გადათვლა არ მომხდარა.

საკონსტიტუციო რეფორმის თანახმად თურქეთის მმართველობა საპრეზიდენტო ფორმაზე გადავიდა; პრეზიდენტი შეიძლება ზედიზედ აირჩიონ ორი ხუთწლიანი ვადით (ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 24 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებიდან, როდესაც ამ პოსტზე აირჩიეს რეჯეფ თაიიფ ერდოღანი); პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია; პრემიერ-მინისტრის პოსტი გაუქმდა; პრეზიდენტი ამზადებს ბიუჯეტს; ის არჩევს უმაღლესი თანამდებობის მოსამართლეებს; ის გამოსცემს კანონებს ბრძანებულების სახით; მხო-ლოდ პრეზიდენტს შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და დაითხოვოს პარლამენტი; პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ძალიან გართულებულია და ა.შ.

ძნელია დაეთანხმო თურქეთის პირველი პირის მოსაზრებას, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მის ქვეყანას ისეთივე ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი ჰყავს, როგორც აშშ-ს ან საფრანგეთს. სინამდვილეში, არც ამერიკის და არც საფრანგეთის პრეზიდენტს არა აქვს კონგრესის ან ეროვნული კრების დათხოვნის უფლება. დასავლეთის ორივე ამ ქვეყანაში არსებობს ხელისუფ-ლების შტოების ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმები (checks and balances), რომლებიც თურქეთში ისედაც სუსტი იყო და რეფორმის შემდეგ საერთოდ დაკნინდა.

თურქეთის თანამედროვე განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობამ. თურქეთის შეიარაღებული ძალების მცირე ნაწილმა სცადა დაემხო არსებული ხელისუფლება.

პუტჩი, რომელსაც 250-მდე ადამიანი შეეწირა, თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული – მას არ ჰქონდა მასობრივი მხარდაჭერა, მათ შორის არც არმიაში.

ხელისუფლებას კი გაეხსნა ხელი მოწინააღმდეგეების დასათრგუნავად. გადატრიალების მცდელო-ბიდან მეორე დღესვე მთავრობას აღმოაჩნდა შეთქმულთა ვრცელი სიები და დაიწყო მათი რეპრესი-რების კამპანია.

გადატრიალების ინსპირატორად გამოცხადდა მუსლიმი მქადაგებელი ფეთჰულაჰ გიულენი, რომე-ლიც ორი ათეული წელია ცხოვრობს ამერიკაში, პენსილვენიის შტატში. მას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყოლია თურქეთში.

2013 წლამდე გიულენსა და ერდოღანს მეტნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, უფრო ადრე კი თანამშრომლობდნენ კიდეც. 2013 წლის დეკემბერში კი თურქეთის პოლიციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული გამოძიება, რომელშიც ეჭვმიტანილები აღმოჩნდნენ სგპ-ის მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები: დააპატიმრეს ერდოღანის მთავრობის სამი მინისტრის ვაჟიშვილები. ამ გამოძიების ორკესტრირებაში ერდოღანმა გიულენი დაადანაშაულა. მთავრობის მოთხოვნით ანტიკორუფციული გამოძიება შეწყდა. ურთიერთობა გიულენსა და ერდოღანს შორის მკვეთრად გამწვავდა.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით, 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობიდან 2017 წლის მარტის ბოლომდე გიულენთან და მის ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით დააპატიმრეს 47155 ადამიანი, მათ შორის 168 გენერალი, 2574 პროკურორი და

მოსამართლე,10 ათასზე მეტი პოლიციელი და ჟანდარმერიის თანამშრომელი და ა.შ. სამსახურიდან დაითხოვეს 100 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის მეცნიერერები, პედაგოგები, მწერლები, ჟურნალისტები. დაიხურა ბევრი პერიოდული გამოცემა.

ზოგმა დიპლომატმა და სამხედრო პირმა ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

თურქეთში ორი წლით შეჩერებული იყო "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მოქმედება და გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა.

***

თურქეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით რამდენიმე ტენდენცია უნდა ვახსენოთ.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში თურქეთში გაჩნდა ***ევრაზიულობის*** გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომ თურქეთი – ესაა ევრაზიის გეოგრაფიულად ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული იმისათვის, რომ გაავრცელოს ტრანსკონტინენტული გავლენები. ლაპარაკი იყო თურქეთის ცენტრალურობაზე მსოფლიო პოლიტიკაშიც კი. თურქეთი თავის თავს ხედავდა «ღერძულ ქვეყნად», როგორც ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მასტაბილიზებელ ძალას თავის საზღვრებთან (იგულისხმებოდა, უპირველესად, კავკასია და ახლო აღმოსავლეთი).

1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთის ქვეყნებში, უპირველესად, აშშ-ში სეკულარულ, დემოკრატიულ და, ამავე დროს, ისლამურ თურქეთს მიიჩნევდნენ მისაბაძ მოდელად საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი რესპუბლიკებისათვის ცენტრალურ აზიაში და აზერბაიჯანისათვის, სადაც ხალხის მასებზე ზემოქმედ კულტურულ ფაქტორად ისლამი რჩებოდა.

რეალობა ნაკლებ დამაიმედებელი აღმოჩნდა. ზემოხსენებულ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში თავიდანვე ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმები, სადაც სიტყვა "დემოკრატიას" მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა მიენიჭა.

2002 წელს თურქეთის სათავეში მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტია, თავისი "ზომიერი ისლამიზმით" ამერიკამ ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებისთვის ***"დემოკრატიზაციის მოდელად***" მიიჩნია.

მაგრამ XXI საუკუნის პირველ დეკადებში არაბულ ქვეყნებში სულ სხვა ტენდენციები წარმოიშვა.

XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთმა სცადა თავისი საგარეო პოლიტიკის გადახალისება და მიზნად დაისახა თავისი საზღვრების პერიმეტრზე ***«მეგობრული სახელმწიფოების რკალ***ის» შექმნა.

ლოზუნგი – ***«ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან»*** -- ეკუთვნის პროფესორ *აჰმეთ დავუთოღლუს*, რომელიც 2003-2009 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, 2009-2014 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 2014-2016 წლებში – პრემიერ-მინისტრი.

2001 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში "***სტრატეგიული სიღრმე"*** დავუთოთლუმ ჩამოაყალიბა თეორია, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ნაცვლად იმისა, რომ იყოს ნატო-ს აღმოსავლეთი ფლანგი, თურქეთი უნდა გახდეს "ცენტრალური ქვეყანა" (Merkez ülke) ძალაუფლების კონცენტრიულ წრეებში. ამ "კონცენტრიულ წრეებში" შედის ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, ბალკანეთი, კავკასია, ცენტრალური აზია. ისინი ქმნიან "სტრატეგიულ სიღრმეს" თურქეთისათვის.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თურქეთი მართლაც ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან – ბულგარეთთან, საბერძნეთთან, ირანთან, საქართველოსთან, სირიასთან,

ერაყთან და ზოგადად არაბულ სამყაროსთან, აგრეთვე ისრაელთან და რუსეთთან. ბევრ შემთხვევაში, მაგალითად, საქართველოსთან, სირიასთან, ისრაელთან, ირანთან თვალსაჩინო შედეგიც იქნა მიღწეული.

2008-2009 წლებში იყო სომხეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის მცდელობა, რომელთანაც თურქეთს დღემდე არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა: ამ საქმეში საერთაშორისო საზოგადოებაც ჩაერთო, მაგრამ რეალური შედეგი არ დამდგარა.

თურქმა და უცხოელმა მიმომხილველებმა დავუთოღლუს პოლიტიკური თეორია ***"ნეო-ოსმანიზმად***" (neo-Ottomanism) მონათლეს. ისინი გულისხმობდნენ, რომ სტამბოლში მჯდომი ოსმალო სულტნის ძალაუფლება XVI-XVII საუკუნეებში სწორედ ზემოხსენებული "კონცენტრიულ წრეების" სივრცეს წვდებოდა (ცენტრალური აზიისა და ირანის გარეშე; სამაგიეროდ სულტნის ნომინალური ძალაუფლება ვრცელდებოდა დღევანდელ სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებიც დავუთოღლუს "კონცენტრიულ წრეებში" არ შედიოდა).

დავუთოღლუ გადაჭრით უარყოფდა მისი თეორიისათვის "ნეოოსმანიზმის" კლიშეს მიკერების ლოგიკას. მაგრამ 2009 წელს მან დასაშვებად მიიჩნია ტერმინ ***Pax Ottomana***-ს გამოყენება (Pax Romana-ს ანალოგიით) თურქეთის მიმდებარე ქვეყნების მიმართ, რაც თითქმის ემთხვევა "პოსტ-ოსმალურ სივრცეს".

დავუთოღლუს "სტრატეგიული სიღრმის" იდეა არ გულისხმობდა თურქეთის ტერიტორიულ ექსპანსიას, არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მკვეთრ გაზრდას "პოსტ-ოსმალურ სივრცეში", იქ ანკარის "სიტყვის საბოლოობას".

პრაქტიკაში ეს იდეა ვერ განხორციელდებოდა, რადგან რეგიონში არსებობს სხვა ძალების ინტერესებიც, რომლებიც ანკარის პრეტენზიებს აბათილებენ.

მაგრამ ზოგი მეზობელი ქვეყნისათვის თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წონის ზრდა ერთგვარი საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს .

ფაქტია, რომ გეოპოლიტიკურმა რეალობამ "მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების" ნაცვლად მრავალი პრობლემა წარმოშვა.

ეს განაპირობა როგორც თურქეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკამ, ისე მეზობელი ქვეყნების განსხვავებულმა მიდგომებმა და ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებულმა მოვლენებმა.

«არაბულმა გაზაფხულმა" (იხ. თემა 25) ბიძგი მისცა თურქეთის მთავრობის მიერ, როგორც შემდგომში გაირკვა, საგარეო პოლიტიკის არასწორი სტრატეგიის არჩევას. სგპ-ის რელიგიურად აღტკინებულმა ლიდერებმა ვერ გაუძლეს ცდუნებას – წაეხალისებინათ ისლამისტური (სუნიტური) მოძრაობა სხვა ქვეყნებში. 2011 წელს ერდოღანი ესტუმრა ეგვიპტის ახალარჩეულ ისლამისტ პრეზიდენტ მოჰამედ მორსის. ეგვიპტის გენერალიტეტმა კი მორსი და მისი მომხრე "მუსლიმი ძმების" პოლიტიკური ორგანიზაცია სეკულარიზმისათვის სახიფათოდ მიიჩნია, 2013 წელს მორსი გადააყენა და «მუსლიმი ძმების» დევნა დაიწყო. ამის გამო, თურქეთს კარგა ხნით გაუფუჭდა ურთიერთობა ეგვიპტის ახალ მთავრობასთან.

2011 წლამდე ანკარა და დამასკო ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ. 2011 წელს კი «არაბული გაზაფხულის» ცეცხლი სირიასაც გადაედო, სადაც მთავრობას დაუპირისპირდა სირიის სამთავრობო

არმიის დეზერტირებით დაკომპლექტებული "სირიის თავისუფალი არმია" და სხვადასხვა ისლამისტური დაჯგუფებები.

თურქეთი ჩაერთო სირიის შიდა კონფლიქტში და დაუჭირა მხარი ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ აჯანყებულ ძალებს. ანკარა აიარაღებდა და წვრთნიდა სხვადასხვა ოპოზიციურ, ხშირად, ისლამისტურ, დაჯგუფებას და მოითხოვდა ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან წასვლას. ამან სამოქალაქო ომი გაახანგრძლივა. რეალურად, თურქეთი თვითონაც გახდა სირიის სამოქალაქო ომის მსხვერპლი, რადგან მილიონობით ლტოლვილმა სირიელმა მის ტერიტორიას მიაშურა, რომელთაგან თითქმის 3,5 მილიონი იქ დღემდე რჩება. 2015 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიაწყდა მილიონამდე სირიელი (მათ სხვა ქვეყნებიდანაც შეუერთდნენ ევროპაში დასახლების მსურველები), რამაც დიდი "მიგრაციული კრიზისი" გამოიწვია. 2016 წელს ევროკავშირთან გაფორმებულმა შეთანხმებამ შეამცირა სირიიდან მიგრანტების ნაკადი, რადგან თურქეთი შეუთანხმდა ევროკავშირს, რომ თავის ტერიტორიაზე ლტოლვილების დატოვებისათვის საგრძნობ ფინანსურ კომპენსაციას მიიღებდა. მაგრამ ეს ტვირთი თურქეთისათვის მაინც ძალიან მძიმეა.

საგარეო პოლიტიკური ჩავარდნები პრემიერ-მინისტრ აჰმეთ დავუთოღლუს დაბრალდა. თურქმა ექსპერტმა ქემალ ქირიშჯიმ 2016 წლის 11 ივლისს (თურქეთში სამხედრო პუტჩის მცდელობამდე რამდენიმე დღით ადრე!) ასე შეაჯამა იმ დროისათვის შექმნილი ვითარება:

> «დავუთოღლუს რწმენამ, რომ «არაბული გაზაფხული" თურქეთს აძლევდა ხელსაყრელ შემთხვევას, სათავეში ჩასდგომოდა ახალ წესრიგს ახლო აღმოსავლეთში, სახელმწიფო გადაიყვანა სულ სხვა ტრაექტორიაზე. «იმპერიული ფანტაზიის» მიღწევის მიზნით და ახლო აღმოსავლეთში «მუსლიმი ძმების" მიმართ იდეოლოგიურმა პასუხისმგებლობამ გვერდით გადასდო პრაგმატიზმი. როდესაც «არაბული გაზაფხული" სროლასა და სამოქალაქო ომებში გადაიზარდა, თურქეთი ჩათრეული აღმოჩნდა ბაჰრეინის, ეგვიპტის, ერაყის, ლიბიის, სირიისა და იემენის საშინაო საქმეებში. სიტუაციამ სირიაში – კერძოდ, საერთაშორისო საზოგადოების ბრძოლამ «ისლამურ სახელმწიფოსთან" და განსხვავებულმა თვალსაზრისებმა სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის მომავლის შესახებ, მძაფრად დააპირისპირა თურქეთი თავის ტრადიციულ მოკავშირეებთან... უფრო მეტიც, ქაოსმა სირიაში გამოიწვია სამ მილიონზე მეტი ლტოლვილის ტალღა თურქეთში და დრამატულად გააუარესა თურქეთის შიდა უსაფრთხოება».

არ შეწყვეტილა თურქეთის განუწყვეტელი "ხახუნი" ნატო-ს სხვა წევრთან – საბერძნეთთან, რომელსაც 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულების თანახმად ეკუთვნის თითქმის ყველა კუნძული ეგეოსის ზღვაში, რომლის ფსკერქვეშ, შესაძლოა, იყო ნავთობი და გაზი. თურქეთი და საბერძნეთი არ აძლევენ ერთმანეთს საშუალებას ჩატარდეს გეოლოგიური კვლევა-ძიება ამ ზღვის აკვატორიაში.

1990-იან წლებში დაწყებულ **თურქეთ-ისრაელის** დაახლოებას არაბულ სამყაროში დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდნენ. XXI საუკუნის დამდეგს პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ინტენსიობის თვალსაზრისით ისრაელისათვის თურქეთი მეორე ადგილზე იყო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, რამაც ერთ ავტორს საფუძველი მისცა ამ ურთიერთობისათვის *«ისრაელ-თურქეთის ანტანტა»* ეწოდებინა.

მაგრამ ამ ქვეყნების ურთიერთობაში საკმაოდ მალე სხვა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა იძალა.

ანკარის უარყოფით რეაქციას იწვევს თურქეთს გარეთ – ერაყში, სირიაში – **მცხოვრები ქურთების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ** ან თუნდაც ფართო ავტონომიისაკენ, რასაც ისრაელი ღიად უჭერს მხარს. 2017 წლის სექტემბერში ერაყის ქურთისტანში დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებულ რეფერენდუმს რეგიონის ქვეყნებიდან მხოლოდ ისრაელმა დაუჭირა მხარი, რასაც ანკარის დაუფარავი უკმაყოფილება მოჰყვა.

თავის მხრივ, არაბულ სამყაროში საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად თურქეთის მთავრობა ჩაერთო პალესტინელების ინტერესების დაცვის საქმეში და, ბუნებრივია, ისრაელის მხრიდან უარყოფით რეაქციას წააწყდა.

2010 წლის 31 მაისს ისრაელის სპეცრაზმმა საერთაშორისო წყლებში შეაჩერა თურქეთის დროშით მცურავი გემი "Mavi Marmara" და თანმხლები პატარა ფლოტილია, რომელსაც ისრაელის მიერ ბლოკირებულ ღაზის სექტორში ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდა. სპეცრაზმელებთან დაპირის-პირებისას დაიღუპა "Mavi Marmara"-ზე მყოფი ცხრა სამოქალაქო პირი, მათ შორის თურქეთის რვა მოქალაქე. ამას მოჰყვა თურქეთის მძაფრი რეაქცია, ანკარიდან ისრაელის ელჩის გაძევება, დიპ-ლომატიური ურთიერთობების დონის დადაბლება, სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტა, თურქეთში ისრაელელი ტურისტების ნაკადის მკვეთრი კლება.

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები 2016 წელს აღდგა, მაგრამ ძველი გული-თადობა მათ აღარ ახლავს. 2018 წელს ამერიკის მიერ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის ცნობისა და ისრაელის "ებრაულ სახელმწიფოდ" ოფიციალური გამოცხადების ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი კრიტიკოსი თურქეთის პრეზიდენტი იყო.

ცვლილებები ხდება **თურქეთ-ამერიკის** ურთიერთობაში.

2016 წლის ივლისიდან თურქეთი დაჟინებით მოითხოვს აშშ-ისაგან ფეთჰულაჰ გიულენის ექსტრა-დიციას. ამერიკული მართლმსაჯულება კი ელოდება მისი ტერორიზმში ჩართულობის დამაჯერებელ მასალას, რადგან მიღებული დოკუმენტაცია, ამერიკელი იურისტების აზრით, ასეთ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს.

გამაღიზიანებელი ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობაში არის ამერიკის გავლენიანი სომხური ლობის მრავალწლიანი მცდელობა, მიაღებინოს აშშ-ის კონგრესს რეზოლუცია 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი მოვლენების «სომეხთა გენოციდად» აღიარების შესახებ. სომხურ დიასპორას მიაჩნია, რომ აშშ-ის კონგრესის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვევს ანალოგიური რეზოლუციების კასკადს მსოფლიოში და იმოქმედებს თურქეთის საგარეო-პოლიტიკურ იმიჯზე. კონგრესში ამ რეზოლუციის მსვლელობას აჩერებს ხოლმე აშშ-ის ყველა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზეწოლა, მაგრამ ის მაინც ერთგვარ «დამოკლეს მახვილად" ჰკიდია ორი ქვეყნის ურთიერთობაზე.

უკვე XXI საუკუნის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ურთიერთობას აშშ-სა და თურქეთს შორის ძველი გულითადობა შემოაკლდა. სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებდა, რომ თურქების სულ 10-15 პროცენტი თუ იყო პოზიტიურად განწყობილი ამერიკის მიმართ. ეკონომიკურად მოძლიერე-ბულმა თურქეთმა მიიჩნია, რომ შეუძლია გაატაროს საკუთარი პოლიტიკა და ნაკლები ანგარიში გაუწიოს თავის სტრატეგიულ მოკავშირეს.

ვაშინგტონისა და ანკარის მკვეთრად განსხვავებული მიდგომები იერუსალიმის ისრაელის დედაქა-ლაქად ცნობის საკითხში მხოლოდ სიღრმისეულ უთანხმოებათა აისბერგის მწვერვალია. განსხვავებული მიდგომა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი ასევე დაძლევადია.

ანკარას უფრო სერიოზულად აშფოთებს ამერიკის დაუფარავი დახმარება სირიელი ქურთებისათვის და ერთგვარად შეფარული – ერაყელი ქურთებისათვის. ამ საკითხში ნატო-ს წევრ ორ ქვეყანას პოლიტიკური პრობლემები შეექმნათ ჯერ კიდევ ტრამპის გაპრეზიდენტებამდე. თურქეთი მოითხოვს ამერიკისგან შეუწყვიტოს მფარველობა და შეიარაღების მიწოდება ქურთებს, კერძოდ სირიელი ქურთების «დემოკრატიული გაერთიანების პარტიის" (PYD) შეიარაღებულ ნაწილებს (YPG).

2018 წლის შუაგულისთვის ვაშინგტონსა და ანკარას მკვეთრად დაეძაბათ ურთიერთობა. მათ ერთიმეორისათვის ეკონომიკური სანქციების შემოღებაც კი დაიწყეს, რამაც უფრო მეტად თურქეთი დააზიანა და ეს თურქულ ლირას დაეტყო კიდეც: ის მკვეთრად გაუფასურდა, თუმცა ფინანსურ კრიზისს თურქეთში სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

ამასთან, სრული განხეთქილება ნატო-ს წევრებს შორის ნაკლებ მოსალოდნელია. ფაქტობრივად რამდენიმე თვეში ურთიერთობა თითქმის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა.

ანკარას მაინც ესაჭიროება ძლიერი მოკავშირე: მიუხედავად შთამბეჭდავი სამხედრო ძალისა, სრული უშიშროება მას გარანტირებული არა აქვს.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამერიკისათვის. ვაშინგტონს არ უნდა რუსეთს დაუტოვოს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და შავი ზღვის სრული კონტროლი.

გეოპოლიტიკური იმპერატივი საბოლოოდ მაინც აიძულებს ორივე მხარეს გამონახოს თანამშრომ-ლობის modus operandi*.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა პრაგმატულ ხასიათს ატარებს.

სრულდება საუკუნე, რაც რუსეთს/საბჭოთა კავშირს და თურქეთს შორის მშვიდობიანი ურთიერ-თობაა. XVII საუკუნიდან XX საუკუნის პირველ დეკადებამდე კი რუსეთი და ოსმალეთი თითქმის ყოველთვის მტრებად განიხილავდნენ ერთიმეორეს და ხშირად ომობდნენ.

“მშვიდობიანი ურთიერთობა” აქ ნიშნავს, რომ ქვეყნებს “ცხელი ომი” არ ჰქონდათ, თორემ ორივე მონაწილეობდა ურთიერთდაპირისპირებულ “ცივ ომში”. ურთიერთობათა ისტორიაში არსებობს 1945-1953 წლების ეპიზოდიც, როდესაც სტალინს ჰქონდა უშედეგო მცდელობა (მხოლოდ დიპლო-მატიურ დონეზე, სამხედრო კონფლიქტამდე საქმე არ მისულა), ტერიტორიულად შეევიწროებინა თურქეთი. კრემლის მხრიდან ასეთი “ბულინგის” რეალური შედეგი თურქეთისათვის ის იყო, რომ 1952 წელს ის ნატო-ს წევრი და მისი სამხრეთი ფლანგის საყრდენი გახდა. საბჭოთა არმიის გენერა-ლურ შტაბში თურქეთს პოტენციურ სამხედრო მოწინააღმდეგედ განიხილავდნენ.

1991 წლიდან კი პირველად თითქმის ორი საუკუნის მანძილზე რუსეთსა და თურქეთს არა აქვთ საერთო სახმელეთო საზღვარი, რომლის არსებობაც თურქეთისათვის უფრო იყო საფრთხე. ახლა მათ შორის დამოუკიდებელი საქართველო მდებარეობს.

XXI საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა პარტნიორულ ხასიათს ატარებს. თურქეთის მხარე ტერმინ “სტრატეგიულ პარტნიორობასაც” კი იყენებს.

თურქეთსა და რუსეთს მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ:

- თურქეთში მოხმარებული გაზის ნახევარზე მეტი რუსეთიდან შედის, მათ შორის შავი ზღვის ფსკერზე ნოვოროსიისკიდან სამსუნამდე 2002 წელს გაყვანილი მილსადენით, რომელსაც “ცისფერი ნაკადი” დაერქვა. 2019 წლიდან მწყობრში დგება ახალი წყალქვეშა გაზსადენი – “თურქეთის ნაკადი”;
- რუსეთი თურქეთისათვის არის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო სამრეწველო პროდუქციის გასაღების მეორე უმსხვილესი ბაზარი, ევროკავშირის შემდეგ;
- თურქული სამშენებლო კომპანიები ძალიან აქტიურობენ რუსეთში;
- რუსეთი თურქეთში აშენებს აეს-ს;

- თურქეთის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კურორტების კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რუსი ტურისტების მოზღვავებაზე და ა.შ.

რუსეთმა არ დააყოვნა ესარგებლა ანკარა-ვაშინგტონის გართულებული ურთიერთობით და 2017 წელს დააკმაყოფილა თურქეთის თხოვნა მისთვის S-400 სარაკეტო სისტემების 2,1 მილიარდ დოლარად მიყიდვის შესახებ: ეს სისტემა არათავსებადია ნატოს სტანდარტის სისტემებთან, რომლებიც თურქეთში უკვე დგას. გარიგება ამერიკისათვის იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ კონგრესმა შეაჩერა თურქეთისათვის უახლესი, Stealth-ის ტექნოლოგიით შექმნილი, საბრძოლო თვითმფრინავების Lockheed Martin F-35-ის გადაცემა, რისთვისაც თურქეთს 900 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი და მფრინავებიც კი მოამზადა.

ეს უკანასკნელი პრობლემა, საბოლოოდ მოგვარდება: ამერიკა, ალბათ, დაუთმობს!

ის, რაც ამსგავსებს თურქეთს და რუსეთს, ეს არის ორივე მათგანის აღქმა, რომ გარშემორტყმულია მტრული სახელმწიფოებით, რომელთაც მისი დანაწევრება სურთ. 1918 წელს ეს შიში რუსეთს აუხდა, როდესაც გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან დადებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მან ტერიტორიის 780 ათასი კვ. კმ დაკარგა, თუმცა ამ ზავმა სულ რვა თვეს იმოქმედა. 1940 წლამდე რუსეთმა აღიდგინა იმპერიის დროინდელი საზღვრები და 1945 წელს გაფართოვდა კიდეც. მაგრამ 1991 წლის ბოლოს რუსეთმა საკუთარი ინიციატივით დაშალა საბჭოთა კავშირი.

1920 წლის "სევრის ხელშეკრულებით" დანაწევრების საფრთხე ელოდა თურქეთსაც.

1920-იანი წლების დასაწყისში ორივე ქვეყანას დასჭირდა სერიოზული ბრძოლა თავისი (არსებითად, იმპერიული) ტერიტორიის აღსადგენად. 1921 წელს სამხრეთ კავკასიაში ისინი ერთდროულად იყვნენ მეტოქეებიც და სიტუაციური მოკავშირეებიც.

XXI საუკუნეშიც ორივე ქვეყანას, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით ბევრად გაძლიერებულს, ისეთივე შიში აწუხებს: ორივეს აქვს "ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის" შეგრძნება, თუმცა არც თურქეთს და არც რუსეთს რეალური სამხედრო საფრთხე მეზობლებისაგან არ ელის .

ერთგვარი მსგავსებაა იმაშიც, რომ ერთი მათგანი თითქოს "პოსტ-ოსმალურ სივრცეს" მისტირის, მეორე კი, რეალურად – "პოსტ-საბჭოთა სივრცეს". რუსეთი აღარც მალავს, რომ მისი უმთავრესი ამბიციაა თავის გავლენის სივრცეში იყოლიოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები.

ზემოხსენებული სისტემური მსგავსება არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს საზიარო პრობლემები აქვთ. უფრო პირიქით.

თურქეთ-რუსეთის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც კი საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე აზრის ერთგვაროვნების გარანტია არ არის.

თურქეთი არ ცნობს 2014 წელს ანექსირებულ ყირიმს რუსეთის ნაწილად. ის ეჭვის თვალით უყურებს რუსეთის აქტიობას სირიაში და მოუთმენლად ელოდება მის გასვლას იქიდან, რაც ახლო მომავალში, როგორც ჩანს, არ მოხდება.

რუსეთს, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერს, არ შეიძლება არ აწუხებდეს თავის თიურქულენოვან ან მუსლიმებით დასახლებულ ავტონომიებში და თიურქულ რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია) თურქეთის კულტურული და ეკონომიკური გავლენა.

სამხრეთ კავკასიაში არსებობს თურქეთ-რუსეთის, გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ რეალური მეტოქეობა. ეს ეხება არა მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას კასპიის ზღვიპირეთიდან ნავთობ-

და გაზსადენების გაყვანის მიმართულებასთან დაკავშირებით, არამედ პოლიტიკური გავლენების გეოგრაფიასაც. სომხეთის მიერ ოკუპირებულ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით ორივე მხარეს განსხვავებული მიდგომა აქვს: თურქეთი აზერბაიჯანის ინტერესებს მიიჩნევს გადამწყვეტად, რუსეთი – კონფლიქტის "გაყინვის" მომხრეა. თურქეთი არ ცნობს საქართველოს ნაწილების – აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" რუსეთის მიერ აღიარებულ "დამოუკიდებლობას".

«ცივი ომის" დამთავრებამ და თურქეთისათვის უმთავრესი საფრთხის, საბჭოთა კავშირის, პოლიტიკური რუკიდან გაქრობამ, თურქეთს უნიკალური შანსი მისცა ეკისრა რეგიონული ლიდერის როლი. 1992 წლიდან თურქეთმა დაიწყო თავისი სამომხმარებლო საქონლითა და სურსათით სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და უკრაინის იმ დროისათვის დაცარიელებული ბაზრების ათვისება.

ამის შედეგად, მაგალითად, განვითარება დაიწყო საქართველოს მიმდებარე, თურქეთის ადრე ყველაზე ჩაკეტილმა, მიყრუებულმა, ეკონომიკურად ჩამორჩენილმა მხარეებმა – ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიამ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთმა. ისინი გამოაცოცხლა სატრანზიტო ფუნქციამ, რადგან სწორედ ამ პროვინციებზე და საქართველოზე გავლით თურქეთი უკავშირდება აზერბაიჯანს, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და სომხეთსაც კი, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს.

***

საკმაოდ დიდხანს თურქეთში არსებობდა იმედი, რომ ის შევიდოდა ევროპულ კავშირში. 1963 წელს თურქეთი გახდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ამჟამად – ევროპული კავშირის) ასოცირებული წევრი, 1996 წლიდან საბაჟო კავშირშია მასთან. 1987 წლიდან თურქეთს შეტანილი აქვს განაცხადი ევროკავშირის სრულ წევრობაზე, თუმცა ის ჯერაც ვერ ეღირსა ამას და საეჭვოა თვალმისაწვდომ მომავალში გახდეს "ევროპის ნაწილი". თურქეთის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს აღარც აქვს ამის იმედი და სურვილიც კი გაუქრა.

ევროპულ კავშირშიც გაიზარდა სკეპტიციზმი თურქეთის გაწევრიანების მიმართ. ბრიუსელის, სადაც ევროკავშირის შტაბ-ბინაა განლაგებული, ოფიციალური აზრით, თურქეთი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი მოთხოვნების (ე.წ «კოპენჰაგენის კრიტერიუმების") საგრძნობ ნაწილს.

თურქეთში კი ბევრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მეტისმეტად მომთხოვნი მიდგომა მათი ქვეყნის მიმართ მიკერძოებულია და განპირობებულია უფრო კულტურული განსხვავებებით ("ევროკავშირი ქრისტიანული კლუბია!"), ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების საჭიროებით.

ევროპას მართლაც აშინებს თურქეთის დიდი დემოგრაფიული პოტენციალი და მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების საგრძნობ ნაწილს დეპოპულაცია და მოსახლეობის დაბერება ახასიათებს.

საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა *ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა* მკაფიოდ გამოხატა ბევრი სკეპტიკოსის აზრი, როდესაც 2002 წელს თქვა, რომ

> „თურქეთი ეკუთვნის დიდ, მაგრამ სხვა ცივილიზაციას. ის არ განეკუთვნება ევროპას... თუკი თურქეთს მივიღებთ ევროკავშირში, მას შეიძლება მოჰყვნენ მაროკო და სხვა არაევროპული ქვეყნებიც, ისეთი, როგორიცაა ლიბანი ან ისრაელი. შედეგი კი იქნება ევროპული კავშირის აღსასრული".

საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები სთავაზობენ თურქეთს «პრივილეგირებულ პარტნიორობას ევროკავშირთან", ნაცვლად სრული წევრობისა. ანკარისათვის კი ასეთი შეთავაზება მიუღებელია.

თემა 20

ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური პრობლემები და გეპოლიტიკა

1951 წლის მარტში ირანის პარლამენტმა (მაჯლისმა) მიიღო კანონი "ანგლო-ირანული ნავთობის კომპანიის" (AIOC, მომავალი British Petroleum) ნაციონალიზაციის შესახებ, რითაც ირანი დაუპირისპირა ბრიტანული ნავთობკომპანიის მფარველ მძლავრ პოლიტიკურ ძალებს. საპასუხო სასჯელის სახით აშშ-მა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მკვეთრად შეამცირეს ირანული ნავთობის შეძენა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა აბადანის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. ქვეყანაში გამძაფრდა ეკო-ნომიკური კრიზისი.

1953 წლის აგვისტოში თეირანში მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომელშიც თითქმის დაუფარავად მოჩანდა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო უწყებების ხელი. ირანის პოლიციამ დააპატიმრა ნავთობმოპოვების ნაციონალიზაციის ინიციატორი, პრემიერ-მინისტრი ***მოჰამედ მოსადეყი.*** ქვეყნის მართვა ხელში აიღო უშუალოდ შაჰმა მოჰამედ რეზამ. AIOC-ის ნაციონალიზაცია მან ძალაში დატოვა, მაგრამ კომპენსაციითა და უფრო ხელსაყრელი პირობებით უცხოური კაპიტალისათვის.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად შაჰის რეჟიმი პროდასავლური იყო, მაგრამ ვესტერნიზაცია («გადასავლურება") უფრო გარეგან ფორმებში ჩანდა. შაჰის დროს ირანელ ქალებს, თეი¬რანში მაინც, ემანსიპირებულად შეეძლოთ ეგრძნოთ თავი, მინი-კაბითაც კი ევლოთ. ხელისუფლება თვალს ხუჭავდა «დასავლური ქცევის» ზოგ სხვა ელემენტზეც, მაგალითად, ალკოჰოლის მოხმარებაზე. ასეთი გარეგნული ვესტერნიზაცია იმსახურებდა ირანის ტრადიციონალისტური უმრავლესობის ბოროტ მზერასა და ჩუმ წყევლა-კრულვას.

ნავთობის ექსპორტით მიღებული მზარდი შემოსავალი, განსაკუთრებით 1973 წლის "ნავთობის ფასების რევოლუციის" შემდეგ ირანის ეკონომიკური წინსვლის საფუძველი გახდა. მაგრამ ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მძიმდებოდა. ბიუროკრატიის კორუმპირებულობა და ფარული პოლიციის (SAVAK) რეპრესიები ოპოზიციის მიმართ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ამერიკის პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ადმინისტრაცია 1977 წლიდან უკმაყოფილებას გამოთქვამდა ირანში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

1979 წლის თებერვალში შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმი დაემხო. ეს მოხდა, როგორც ამერიკელი პოლიტოლოგები წერდნენ,

> "მრავალკლასობრივი აჯანყების შედეგად, როდესაც დაბალმა კლასებმა და ახალწარმოშობილმა საშუალო კლასებმა გააერთიანეს ძალები ფეჰლევის პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ».

ძალაუფლებადაკარგული ლიდერები თავიანთ ფიასკოს ყოველთვის აბრალებენ ხოლმე გარეშე ძალებს და თვითკრიტიკული არ არიან. სოციალურ ფსიქოლოგიაში ამას ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას (Fundamental attribution error ან correspondence bias) უწოდებენ: ესაა მიდრეკილება ახსნან სხვების ქცევა და ქმედება მათი ცუდი თვისებებით, ხოლო საკუთარი ქცევა – მხოლოდ დამოუკიდებელი გარემოებებით

ყოფილი შაჰიც თავის უკანასკნელ წიგნში "პასუხი ისტორიას", ყველაფერს, რაც მის ქვეყანაში ცუდად წავიდა, აბრალებდა სხვებს – პრემიერ-მინისტრს, SAVAK-ს, ბრიტანელებს. თურმე ამერიკელები მის ზურგსუკან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ირანის არმიის ხელმძღვანელებთან და ა.შ.

ირანში მოხდა ნამდვილი რევოლუცია, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სრული შეცვლით და არა სამხედრო ან სასახლის გადატრიალება, რაც დამახასიათებელი იყო რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნისათვის.

დაარსდა **ისლამური რესპუბლიკა ირანი** (**ირი**; სპარსულად – Jomhuri-ye Islami-ye Iran), სადაც სახელმწიფოს რეალური მეთაურია არა არჩეული პრეზიდენტი, არამედ კონსტიტუციურად მასზე უფრო მაღლა მდგომი, ხალხის მიერ აურჩეველი, სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი (რაჰბარი).

პირველი რაჰბარი გახდა აიათოლა* რუჰოლა მუსავი ხომეინი (1902-1989). 1989 წლიდან დღემდე რაჰბარია აიათოლა ალი ჰოსეინი ხამენეი (დაბ.1939).

რესპუბლიკური ირანის სადავეები ხელში აიღეს შიიტმა რელიგიურმა ლიდერებ-მა (დასავლეთში ხშირად მათ კრებითად აიათოლებს უწოდებენ, თუმცა ყველა მათგანი ამ წოდებას არ ფლობს), რომლებმაც რევოლუციის მაორგანიზებელი ძალის ფუნქცია შეასრულეს.

ისლამური რეჟიმის რეპრესიული ხასიათი შაჰისას არ ჩამოუვარდება. არსებობს კორუფციაც. რევოლუციის შემდეგ ხალხის მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა, მაგრამ ყოფილი «ხალხის მტარვალებისა» ნამდვილად სავალალო აღმოჩნდა: შაჰისდროინდელი ბევრი ბიუროკრატი და გენერალი სიკვდილით დასაჯეს, უფრო მეტი საზღვარგარეთ გაიქცა. ირანელ ქალებს მოსთხოვეს თხემიდან ტერფამდე სხეულის ჰიჯაბით შებურვა, თუმცა, განსხვავებით ზოგი არაბული ქვეყნისაგან, ნიკაბით (ჩადრით) სახის დაფარვას ირანელ ქალებს მკაცრად არ სთხოვენ. ალკოჰოლის მოხმარება სასტიკად აიკრძალა.

მართალია, განვლილ ათწლეულებში მოხდა რელიგიური რეჟიმის გარკვეული შერბილება. ირანის პოლიტიკური მომავლის პოზიტიურ ფაქტორად მიიჩნევენ ე.წ. «მესამე თაობას", ისლამური რევოლუციის შემდეგ სიმწიფის ასაკში შესულ ათეულობით მილიონ ახალგაზრდა ადამიანს, რომელთა შორის ძალიან ბევრს სრული ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს. ახალგაზრდობისა და ირანელი ქალების სპორადული პროტესტები მოქმედი რეჟიმის მიმართ მოწმობს მზარდ მოთხოვნილებას თავისუფლებაზე, იმას, რომ ადამიანებს აღარ სურს ცხოვრება მკაცრი რელიგიური ზედამხედველობის ქვეშ.

ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული საგარეო ფაქტორზე: ჭარბმა ზეწოლამ დასავლეთის მხრიდან შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მოიტანოს, გააძლიეროს ირანის იზოლაციონიზმი და რელიგიური რადიკალიზმი.

ისლამურმა რევოლუციამ შეცვალა ქვეყნის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები. აშშ-სა და ისრაელისაგან «დიდი" და «პატარა სატანას" მტრული ხატის შექმნა, ეჭვს არ ტოვებდა, რომ შაჰისდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ვექტორი მკვეთრად იცვლებოდა.

ირი-ს ურთიერთობა დანარჩენ მსოფლიოსთან სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა.

უკვე 1979 წელს ისლამური რევოლუციის ექსპორტის დაუფარავმა ზრახვამ ირი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. რევოლუციის შიიტურ იდეალებს ძნელად ვინმე თუ მიიჩნევდა ზოგადისლამურად და,

მით უმეტეს, ზოგადსაკაცობრიოდ. მსოფლიოს ვერც ერთ რეგიონში, თვით ისლამურ სამყაროშიც კი, ისლამური რევოლუციის ექსპორტის იდეამ ოფიციალური მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

არც ერთ დიდ სახელმწიფოს და არც გაეროს არ გამოუხატავს პროტესტი აშკარა აგრესიის გამო, როდესაც 1980 წელს სადამ ჰუსეინის დროინდელმა ერაყმა გამოგონილი საბაBბით (სასაზღვრო დავა) და ფარული ზრახვით (ნავთობით მდიდარი, არაბებით დასახლებული სამხრეთ-დასავლეთ ირანის ხუზესთანის ოსთანის* ანექსია), ომი დაუწყო ირანს. მიუხედავად უზარმაზარი მსხვერპლისა (ორივე მხარემ მილიონამდე ჯარისკაცი დაკარგა, დაჭრილ-დასახიჩრებული ბევრად მეტი იყო) და დანგრეული ეკონომიკებისა, ომი 1988 წელს ნულოვანი ტერიტორიული შედეგით დასრულდა, status quo*-ს აღდგენით.

ერაყის ინიციატივით ირანთან მისი დიპლომატიური ურთიერთობა 1990 წელს აღდგა, თუმცა ირანში ვერ ივიწყებენ, რომ მეზობელი ქვეყანა მათ თავს დაესხა.

სადამ ჰუსეინის დროინდელი სეკულარული (მაგრამ სუნიტური უმცირესობის მთავრობის მქონე) ერაყი შიიტური ირი-ს პოტენციურ მეტოქედ რჩებოდა 2003 წლამდე. იმ წელს კი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცრ.) მიერ მოწყობილმა სამხედრო ოპერაციამ "თავისუფლება ერაყს!" ძალაუფლებას ჩამოაშორა სადამ ჰუსეინი და მმართველი "ბაას"-ის პარტია. ობიექტურად ეს ირანისათვის სასარგებლო აღმოჩნდა. უკვე 2005 წელს თავისუფალმა არჩევნებმა ერაყის სათავეში მოიყვანა მოსახლეობის შიიტური უმრავლესობის წარმომადგენლები, რომლებიც ასევე შიიტური ირანის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილნი აღმოჩნდნენ.

ბუშის ადმინისტრაციის გეგმაში ერაყის ასეთი განვითარება, ალბათ, არ შედიოდა?

თანამედროვე ირანი ცდილობს ითამაშოს რეგიონის ერთ-ერთი ლიდერის როლი და ამის ობიექ-ტურ საფუძვლად მიაჩნია ქვეყნის დიდი ტერიტორია, მდიდარი ბუნებრივი რესურსები (მათ შორის ნავთობი, გაზი, ურანი), დიდი და საკმაოდ განათლებული მოსახლეობა, სამხედრო პოტენციალი.

ირანის ურთიერთობაში მეზობლებთან იგრძნობა ტრადიციული გეოპოლიტიკის ელემენტები. ისე, როგორც გვიან შუა საუკუნეებში, მთელ რეგიონში ირანის ფაქტობრივი (ფორმალურად ურთიერ-თობა "კეთილმეზობლურია") მეტოქე არის თურქეთი. საგარეოპოლიტიკური ინტერესები ორ ქვეყა-ნას ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო აქვს. სირიის სამოქალაქო ომში ისინი დაპირისპირებულ ძა-ლებს უჭერენ მხარს: ირანი სირიის მოქმედ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის აქტიური მხარდაჭერია, თურქეთი კი მასთან მებრძოლი დაჯგუფებებისა. ამავე დროს, ორი ქვეყანა სოლიდარულია თავის პოლიტიკაში ქურთების სახელმწიფოს აღმოცენების წინააღმდეგ; მათ არა აქვს ერთმანეთთან რაიმე სასაზღვრო პრობლემა; ქვეყნები საგრძნობ (თუმცა, არასაკმარის) ეკონომიკურ კავშირებს ავითარებენ: ამჟამად ირანი გაზზე თურქეთის მოთხოვნილების მხოლოდ 5 პროცენტს აკმაყოფილებს, თეორიულად კი შეუძლია ბევრად მეტი მიაწოდოს.

1990 წელს ირანმა სცადა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან კონტაქტის ხელახალი დამყარება. ირანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წელს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საუდის არაბეთთან, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მეგობრულისაგან ძალიან შორსაა და დიპლომატიური ურთიერთობა 2017 წლიდან ისევ გაწყდა.

არაბული კოალიცია – საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და გას-ი – ირანის მიმართ მტრულადაა განწყობი-ლი. საამიროები დღემდე მიიჩნევენ, რომ ირანი ძალით დაეუფლა მათ კუთვნილ სამ კუნძულს სპარსეთის ყურეში. საუდის არაბეთი და ბაჰრეინი ირანს ადანაშაულებენ თავიანთი შიიტური

მოსახლეობის (ბაჰრეინში ის უმრავლესობაა) ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზაციაში. ირან-სა და ზემოხსენებულ არაბულ კოალიციას მძაფრი დაპირისპირება აქვთ სამოქალაქო ომში ჩათრეულ იემენში.

სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ირანს ნორმალური ურთიერთობა აქვს ქუვეითთან და, ბოლო დროს, კატართან.

საბჭოთა კავშირისა და ირანის ურთიერთობა 1950-იანი წლების შუაგულიდან პრაგმატულ ეკონომიკურ ინტერესებს ეფუძნებოდა. კრემლის კომუნისტური ხელისუფლება შაჰის ირანის პროდასავლურობას თავისთვის სახიფათოდ მიიჩნევდა. ირანს, თავის მხრივ, მეზობლად მდებარე კომუნისტური გიგანტის შიში ჰქონდა: იქ ახსოვდათ, რომ 1945-1946 წლებში სტალინს ირანის დანაწევრების გეგმა ჰქონდა.

1979 წლიდან ირანის ისლამურ ხელისუფლებას თავიდან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ 1980-იანი წლების შუაგულიდან ურთიერთობა გამოსწორდა, რაც საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის, დამ-სახურება იყო.

დღევანდელი ირანისათვის ყველაზე მისაღები მეზობელია რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც მას არა აქვს საერთო სახმელეთო საზღვარი: 1991 წლიდან მათ შორის მდებარეობს პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები და ისინი კასპიის ზღვის მეშვეობით «მეზობლობენ”. რუსეთი და ირანი დაინტერესებული არიან შეიქმნას ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორი (უმოკლესი გზა აზერბაიჯანზე გადის); ორივე სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში თავის სტრატე-გიულ პარტნიორად მიიჩნევს სომხეთის რესპუბლიკას; სირიაში ორივე ქვეყანა ბაშარ ალ-ასადის მხარეს გამოდის; სხვათა შორის, ირი არავითარ დახმარებას არ უწევდა ისლამის დროშით მებრძოლ ჩეჩენ სეპარატისტებს სამხრეთ რუსეთში.

რუსეთის ფედერაცია გარკვეულ სარგებელს ნახულობდა ირანისა და დასავლეთის მკვეთრი დაპი-რისპირებისაგან. XX საუკუნის ბოლოდან რუსეთმა გაზარდა ირანთან ეკონომიკური თანამშრომ-ლობის სფერო, მათ შორის ბირთვული ენერგეტიკის განვითარებაში, სამხედრო დანიშნულების საქონლით ვაჭრობაში. რუსეთი აწვდის ირანს S-300 მოდელის ჰაერ- და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს.

როდესაც რუსეთმა 1995 წელს ირანში დაიწყო ბუშეჰრის აეს-ის მშენებლობა, ამან ძალიან შეაშფოთა ისრაელი და აშშ (იხ. ქვემოთ).

“ისლამური რევოლუციის ექსპორტი” პოსტსაბჭოთა ისლამურ რესპუბლიკებში შიიტურ ირანს არც უცდია: ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში სეკულარული ავტორიტა-რული რეჟიმებია და იქ სუნიტური ისლამია გავრცელებული.

სამხრეთ კავკასიასთან ირანს ისტორიული ურთიერთობა ჰქონდა. XIX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიას სპარსეთის შაჰები მიიჩნევდნენ ან ვასალურად (ქრისტიანული მოსახლეობის მქონე ქართლ-კახეთის სამეფო) ან თავისი სამფლობელოს უშუალო ნაწილებად (დღევანდელი აზერ-ბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ადრე მდებარე სახანოები ძირითადად შიიტური მოსახლეობით და სამხრეთ დაღესტანი -- დარუბანდის სახანო).

ახლა კი ირანს საქმე აქვს სამ დამოუკიდებელ და განსხვავებული ინტერესების მქონე პოლიტიკურ სუბიექტთან კავკასიაში.

საქართველო უშუალოდ არ ესაზღვრება ირანს. მათ შორის ურთიერთობა ეკონომიკურ სარგებლიანობას ეყრდნობა. საქართველო დაინტერესებულია მოიზიდოს ირანელი ტურისტები. ირანული ინვესტიციები უფრო სათუო საქმეა, რადგან ირანი იყო და, როგორც ჩანს, კიდევ იქნება ამერიკული სანქციების ობიექტი. ნორმალურ პირობებში კი ირანს, ალბათ დააინტერესებს საქართველოს ნავსადგურები, როგორც ევროკავშირის ბაზრისაკენ გახსნილი კარიბჭე. ირანისა და აზერბაიჯანის რკინიგზების დაკავშირება გააადვილებს ფოთის, ბათუმის, ახლო მომავალში, ანაკლიის წვდომას ევროპაში ირანიდან ან ევროპიდან ირანში მიმავალი საქონლისათვის.

ირანში ერთხანს გარკვეული ეიფორია სუფევდა საქართველოში ბინადრობის უფლების იოლი მიღების გამო. 2016 წლიდან არსებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წყალობით, 2017 წელს საქართველოს 300 ათასზე მეტი ირანის მოქალაქე ესტუმრა. ზოგმა მათგანმა საქართველოში უძრავი ქონება შეიძინა და იმედი ჰქონდა, რომ ჯერ ბინადრობის უფლებისა და შემდეგ საქართველოს მო-ქალაქეობის მიღების გზით მიეცემოდა ევროკავშირში შეღწევის საშუალება. რეალურად კი, საქართველოს პარლამენტმა 2018 წლიდან გაამკაცრა ბინადრობის უფლების მიღების პროცედურა.

ისლამურ ირანს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული დასაყრდენი **აზერბაიჯანის რესპუბლიკის** ადგილობრივ შიიტებს შორის. მაგრამ ბაქოს ავტორიტარული და სეკულარული ხელისუფლება არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გავლენის გავრცელებას, მით უმეტეს რელიგიური ფაქტორის გამოყენებით. პირიქით, ბაქოს თვითონ შეუძლია ირანის მიმართ ირედენტისტული* გრძნობების გაღვივება, რადგან ჩრდილოეთ ირანში ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის ორ ოსთანს (პროვინციას) ეწოდება "დასავლეთი აზერბაიჯანი" და "აღმოსავლეთი აზერბაიჯანი", იქვეა "არდაბილის ოსთანიც". მთელ ამ რეგიონს საუკუნეების განმავ-ლობაში ერქვა აზერბაიჯანი (ქართულ ისტორიულ წყაროებში – "ადარბადაგანი"). მდ. არაქსის ჩრდილოეთით, ყოფილი რუსეთის იმპერიის ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების ფარგლებში, 1918 წელს შექმნილ რესპუბლიკას "აზერბაიჯანი" ოფიციალურად მხოლოდ იმ წლიდან ეწოდა (ისტორიულ ქართულ წყაროებში იმავე ტერიტორიას "რანი და შირვანი" ერქვა). მაგრამ ფაქტია, რომ მდ. არაქსის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მონათესავე ხალხი ცხოვრობს, ძირითადად – შიიტები.

ეთნიკური სპარსელები ირანის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, მეხუთედზე მეტი – აზერბაიჯანელია. ირი-ში ცხოვრობს მრავალი სხვა ეთნოსიც. ამ სახელმწიფოს სისხლხორცეულად ესაჭიროება შეინარჩუნოს ეთნოსთაშორისი მშვიდობა.

1991-1992 წლებში ბაქოში აზერბაიჯანული ირედენტიზმის* იდეის წამოწევა მრავალეროვან ირანს ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა. ახლაც, "ორი აზერბაიჯანის" გაერთიანების იდეა პერიოდულად წამოტივტივდება ხოლმე, ჩვეულებრივ, ბაქოს ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე. რეალურად, ორივე ქვეყანა ცდილობს არ გაამწვავოს ურთიერთობა.

სომხეთის რესპუბლიკაში ირანს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავენ. მაგრამ ირან-სომხეთის ურთიერთობას მესამე ძალა ყურადღებით ადევნებს თვალს. რუსული "გაზპრომ"-ის ზეწოლით არ იქნა გაყვანილი თავიდან დაგეგმილი ორჯერ მეტი დიამეტრის (1500 მმ) ირან-სომხეთის გაზსადენი (2007 წლიდან მოქმედი გაზსადენის დიამეტრი 750 მმ-ია), რომლის გაგრძელებით ირანს შეეძლებოდა გაზის გატანა საქართველოს გავლით შავ ზღვამდე და იქიდან – ევროპაში. ამას რუსეთი არ დაუშვებდა!

საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურ დოგმებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები დგას ხოლმე. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საომარი ფაზის დროს (1988-1994) შიიტური ირანი უფრო მეტად თანაუგრძნობდა და ეკონომიკურად ეხმარებოდა [უპირატესად ქრისტიანული მოსახლეობის მქონე] სომხეთის რესპუბლიკას, ვიდრე [უპირატესად მუსლიმი, თანაც შიიტი მოსახლეობის მქონე] აზერბაიჯანის რესპუბლიკას.

ამ შემთხვევაში წმინდა გეოპოლიტიკური ლოგიკა მოქმედებდა.

ირანის დაპირისპირება ისრაელთან მარტივ გეოპოლიტიკურ ლოგიკაში არ ჯდება: მათ არა აქვთ საერთო საზღვარი და, ამდენად, რაიმე სადავო ტერიტორია. მათ შორის ორი არაბული ქვეყანა მდებარეობს. ირანსა და ისრაელს გასაყოფი თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ!

1979 წლამდე ირანს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ისრაელთან. ქვეყნებს შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობა არ დამყარებულა, მაგრამ 1950 წელს ირანი იყო ერთადერთი ისლამური სახელმწიფო, რომელმაც თავისი საკონსულო გახსნა თელ-ავივში. ისრაელი ეხმარებოდა ირანს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სადაზვერვო საქმიანობაში და სხვ.

1979 წლიდან კი, ირი-ს ოფიციალური ტერმინოლოგიით, ისრაელი არის "სიონისტური წარმონაქმნი", რომლის ადგილი ახლო აღმოსავლეთში არაა. 2005-2013 წლებში ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი ისრაელს პოტენციურად გასანადგურებელ პოლიტიკურ ერთეულად სახავდა. ირანის პოზიციას ფორმალურად განსაზღვრავს პალესტინელების ჩაგვრა ისრაელის მიერ.

ისრაელში მშვენივრად ხედავენ, რომ ირი დაუფარავად ეხმარება ისრაელთან მძაფრად დაპირისპირებულ არაბულ დაჯგუფებებს – ლიბანელი შიიტების "ჰეზბოლას" და პალესტინის სუნიტების "ჰამასს" – რომელთაც ისრაელი, აშშ და ზოგიერთი ევროპული ქვეყანა ტერორისტულად მიიჩნევს.

ისრაელის პოზიციაა რეგიონში სხვა ბირთვული სახელმწიფოს შექმნის დაუშ-ვებლობა, რაც, მისი აზრით, ირანის შემთხვევაში 1995 წლიდან სულ უფრო რეალური ხდება. ისრაელი საკუთარი არსებობის საფრთხეს ხედავს: თუ ირანი ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო გახდება, ის გააბათილებს ისრაელის ბირთვული იარაღის შემაკავებელ ფუნქციას. მცირე ტერიტორიის გამო ისრაელი ბევრად უფრო მოწყვლადი გახდება.

ისრაელის ხელისუფლებას ესმის, რომ ვერ შეძლებს სამხედრო გზით ირანის ბრთვული პროგრამის ნეიტრალიზაციას და დაინტერესებულია გააძლიეროს ირანის რეჟიმზე ვაშინგტონის ზეწოლა, რომელსაც განუწყვეტლივ აწვდის სადაზვერვო ინფორმაციას ირანის შესახებ.

ამავე დროს ირანი უარყოფს, რომ მისი ბირთვული პროგრამა რაიმე სამხედრო მიზანს ემსახურება.

ირანს ძალიან რთული ურთიერთობა აქვს აშშ-სთან.

ისლამურმა რევოლუციამ ნულამდე დაიყვანა 1950-იანი წლებიდან ირანში არსებული დიდი ამერიკული გავლენა.

პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, შიდაპოლიტიკური მიზეზით, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებული გახდა 1979 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად დევნილი ირანის ყოფილი შაჰისათვის მიეცა უფლება ემკურნალა ამერიკაში (მას კიბო ჰქონდა). ამ ფაქტმა საბაბი მისცა ირანის ახალგაზრდა ექსტრემისტებს იმისათვის, რომ 1979 წლის 4 ნოემბერს შეჭრილიყვნენ თეირანში გან-ლაგებულ ამერიკის საელჩოში. ექსტრემისტებს 444 დღის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ აყვანილი 52 ამერიკელი დიპლომატი, რაც საერთაშორისო სამართლის შეუწყნარებელი დარღვევაა. 1980 წლის

7 აპრილს ამერიკამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ირი-სთან, რომელიც ოთხი ათეული წლის შემდეგაც არ იყო აღდგენილი.

1995 წლიდან უკვე მესამედი საუკუნეა, რაც ამერიკა ირანის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს ახორციელებს. 2002 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცრ.) ირანი, ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად, "ბოროტების ღერძის" შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. უნდა ითქვას, რომ "ბუშის დოქტრინა" გაუგებრობას ეფუძნებოდა: იმ დროისათვის ერაყსა და ირანს არც თუ მეგობ-რული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან და ჰიპოთეტური "ღერძის" წევრები ისინი ვერ იქნებოდნენ!

ბუშმა ირანს ბრალი დასდო ტერორიზმის ხელშეწყობაში, კერძოდ, დახმარებაში ლიბანის შიიტურ ორგანიზაცია ჰეზბოლა-სა და ალ-კაიდასათვის: ჰეზბოლა-სათვის დახმარება მართლაც ხდებოდა, მაგრამ ალ-კაიდა სუნიტების ორგანიზაციაა და შიიტური ირანის მოკავშირე ის ვერ იქნებოდა.

ბუში განსაკუთრებით ადანაშაულებდა ირანს მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისაკენ სწრაფვის გამო.

ირანი არ მალავდა, რომ ახორციელებდა ბირთვული ენერგეტიკის პროგრამას და აცხადებდა, რომ მას მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი ექნებოდა. მაგრამ ირანის ბირთვულ პროგრამაში სამხედრო შემადგენლის არსებობის ალბათობის გამორიცხვა შეუძლებელი იყო.

2006 წლიდან ამერიკის ზეწოლით ირანის წინააღმდეგ გაეროს მიერ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს შეუერთდა ევროკავშირი და, გარკვეული დათქმებით, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა: ეს ორი ქვეყანა ერიდებოდა ირანთან ხიდების სრულ დაწვას.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 2015 წლის 14 ივლისს, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), გერმანიისა და ევროკავ-შირის მიერ ხელი მოეწერა ირანთან შეთანხმებას, რომელსაც დაერქვა "ერთობლივი მოქმედების ყოვლისმომცველი გეგმა".

შეთანხმების თანახმად, საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების მოხსნის სანაცვლოდ ირანი დათანხმა გაენადგურებინა საშუალოდ გამდიდრებული ურანიუმის მთელი მარაგი, 98 პროცენტით შეემცირებინა დაბალგამდიდრებული ურანიუმის მოცულობა და ორი მესამედით – გაზზე მოქ-მედი ცენტრიფუგების რაოდენობა. 2030 წლამდე ირანი გაამდიდრებდა ურანიუმს მხოლოდ 3,67 პროცენტამდე და იმავე პერიოდში არ ააშენებდა მძიმე წყლის მწარმოებელ ობიექტებს.

ამ პირობების შესრულების შემოწმება დაევალა "ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს" (IAEA), რომელსაც ყველა ბირთვულ ობიექტზე შესვლის უფლება მიეცა და მომდევნო წლებ¬ში ახორციელებდა კიდეც კონტროლს. 2018 წლის მარტში IAEA-ს დირექტორ *იუკია ამანოს* განცხადე-ბით ირანი ასრულებდა შეთანხმების ყველა პირობას.

2016 წელს სანქციების საგრძნობი ნაწილი მოიხსნა კიდეც. უმსხვილესი ევროპული კომპანიები ჩქარობდნენ დაედოთ მომგებიანი კონტრაქტები ირანთან. ირანმა გაზარდა ნავთობის მოპოვება და ექსპორტი. ბევრი მოელოდა, რომ ირანში შიდა ცვლილებებიც დაიწყებოდა.

საქართველომ გააუქმა ირანელებისათვის სავიზო რეჟიმი და უამრავი ტურისტი წამოვიდა თბილისში და შავი ზღვის ნაპირზე.

მაგრამ ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რომელიც მძაფრად აკრიტიკებდა ყვე-ლაფერს, რაც მისმა წინამორბედმა ბარაკ ობამამ გააკეთა და ცდილობდა ზუსტად საწინააღმდეგო

გაეკეთებინა, არ მოაწერა ხელი შეთანხმების მოქმედების გაგრძელებას: ამერიკის შიდა რეგულაცია მოითხოვს პრეზიდენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის პერიოდულ განახლებას.

2018 წლის 8 მაისს აშშ ცალმხრივად გამოვიდა „შეთანხმებიდან". ამის საბაბად ტრამპმა გამოიყენა ისრაელიდან მოწოდებული ინფორმაცია, რომ ირანი ადრე მალავდა თავის საქმიანობას ბირთვულ სფეროში და რომ ირანი განაგრძობს რაკეტების გამოცდას (ამის შეზღუდვა შეთანხმებაში ნახსენები არც ყოფილა).

2018 წლის 5 ნოემბრიდან ვაშინგტონმა განუახლა ეკონომიკური სანქციები ირანს და აამოქმედა საკუთარი კანონმდებლობა, რომლითაც კომპანიები, რომლებიც არ დაემორჩილებიან სანქციებს,

ტრანსნაციონალურმა და მსხვილმა ევროპულმა კომპანიებმა, რომელთაც დიდი ეკონომიკური ინ-ტერესები აქვთ აშშ-ში, ირანიდან გამოსვლა დაიწყეს. ძალიან ბევრი კონტრაქტი დაირღვა. რუსული და ჩინური კომპანიები კი აგრძელებენ საქმიანობას ირანში.

2018 წელს ირანის ეკონომიკას უმძიმესი ვითარება შეექმნა. მკვეთრად შემცირდა ნავთობის ექსპორტი. დაიწყო ინფლაცია. ეკონომიკური ვარდნა უფრო თვალსაჩინო გამოდგა იმის გამო, რომ წინა თითქმის ორი წელი ირანში "ეკონომიკური ბუმის" ეიფორია იყო.

თემა 21

საუდის არაბეთის პოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა

1925 წლის 19 დეკემბერს არაბეთის ნახევარკუნძულის შუაგულში მდებარე ნაჯდის სულტანმა, საუდიანთა დინასტიის წარმომადგენელმა, აბდულაზიზ ას-საუდმა დაიპყრო ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰიჯაზის სამეფო, აიღო მისი დედაქალაქი მექა, და გააძევა იქიდან ჰაშიმიანთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე ალი ბინ ჰუსაინი.

ჰიჯაზი ერთა ლიგის წევრი იყო და, თავისი წესდების თანახმად, ლიგას უნდა დაეცვა წევრი ქვეყანა გარეშე ძალის თავდასხმისაგან. სხვათა შორის, ერთა ლიგის წესდების ზუსტად ამ მუხლის ამოქმედება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საბოლოოდ ამაო, მცდელობის მიზეზი 1920 წელს შესულიყო ერთა ლიგაში. თბილისს აშინებდა ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პოტენციური აგრესორების შეტევა. 1921 წელს ეს შიში, სამწუხა-როდ, მას აუხდა.

მაგრამ, როგორც ჰიჯაზის მაგალითი გვიჩვენებს, ერთა ლიგა არც იყო სანდო ორგანიზაცია. 1925 წელს ლიგას, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის იმდროინდელ ჰეგემონს, დიდ ბრიტანეთს, არ შეუშლია ხელი ნაჯდის სულტნის აგრესიისათვის ევროპისათვის შორეულ და, იმ დროს სრულებით არასაინტერესო ჰიჯაზში.

აბდულაზიზ ას-საუდი ნაჯდისა და ჰიჯაზის მეფე გახდა. 1932 წელს მან ფორმალურადაც გააერთიანა თავისი ორი სამფლობელო და ერთიან სამეფო სახელად დაარქვა *საუდის არაბეთი.*

1930-იან წლებში სამეფოს აღმოსავლეთ პროვინცია ალ-ჰასაში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადოები, სადაც 1938 წელს ამერიკულმა კომპანიებმა დაიწყეს ნავთობის სამრეწველო მოპოვება. ამით ჩაეყარა საფუძველი საუდიანთა დინასტიის ზღაპრულ გამდიდრებას.

1953 წელს გარდაცვლილ აბდალაზიზს 22 კანონიერი ცოლისა და მრავალი მხევლისაგან დარჩა 45 ვაჟიშვილი და უცნობი რაოდენობის ქალიშვილი. აბდალაზიზი არაბული ტომების ბელადების ქალიშვილებს ირთავდა ცოლად და ნათესაური კავშირით მათ ერთგულებას ყიდულობდა. შარიათის წესის თანახმად, მუსლიმ მამაკაცს ერთდროულად ოთხი კანონიერი ცოლი შეიძლება ჰყავდეს, მაგრამ ის ვალდებულია ზრუნავდეს გაყრილი ცოლების შვილებზეც. მხევლისაგან გაჩენილ შვილსაც ისლამი კანონიერად მიიჩნევს.

1992 წელს მეფის მიერ გამოცემული ძირითადი კანონის შესაბამისად, საუდის არა¬ბეთი არის მონარქია, რომელსაც მართავენ მეფე აბდალაზიზ ას-საუდის შვილები და შვილიშვილები, ქვეყნის კონსტიტუცია არის წმინდა ყურანი და ქვეყანა იმართება შარიათის საფუძველზე.

საუდიანთა დინასტია (იგულისხმებიან აბდალაზიზის შვილები და მისი ძმებისა და დების შთამომავლობა) გამრავლდა და მისი წევრების რაოდენობას ახლა 15 ათასად ანგარიშობენ, მათგან ორი ათასამდე არის რეალური ელიტა, რომელსაც უჭირავს ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, სახელმწიფო პოსტი საუდის არაბეთში. აბდალაზიზის ყველა შთამომავალი ღებულობს ყო-ველთვიურ სახელმწიფო შემწეობას რამდენიმე ათასიდან მილიონ დოლარამდე – იმის შესაბამისად, თუ დინასტიის დამაარსებლის რომელი რიგის მემკვიდრეა იგი.

ას-საუდის დინასტია საკმაოდ განშრევებულია, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლა მაღალი თანამდებობებისათვის.

აბდალაზიზ ას-საუდის ანდერძით მის ყველა ვაჟიშვილს ჰქონდა უფლება ტახტზე. ამის გამო დღემდე მეფობს დინასტიის მეორე თაობა. ყველა მეფე თვითონ ასახელებდა მემკვიდრეს თავისი ძმებიდან, თუმცა ფორმალურად მათ საოჯახო საბჭო ამტკიცებდა. 1953-2015 წლებში იმეფა აბდალაზიზის ხუთმა ვაჟიშვილმა. 2015 წელს ტახტზე ავიდა მეექვსე ძმა, იმ დროს უკვე 80 წლის სალმან ბინ აბდალაზიზი. მისი "ძმებისა და ნახევარძმების რესურსი" თითქმის ამოწურულია. 2017 წლისათვის აბდალაზიზის ცოცხლად დარჩენილი შვიდი ვაჟიშვილი ძალიან დაბერებული იყო: მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა 1945 წელს იყო დაბადებული და ისიც ავადმყოფობდა.

ამიტომაც, **მეფე სალმანმა 2017 წელს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა საკუთარი ვაჟიშვილი, 1985 წელს დაბადებული მოჰამად ბინ სალმანი,** რომელსაც 2015 წლიდანვე პრაქტიკულად ჩააბარა ქვეყნის მართვა. ბოლოს და ბოლოს, დადგა აბდალაზიზის მემკვიდრეთა მესამე თაობის რიგი!

ამბიციური ახალგაზრდა უფლისწული დაუყოვნებლივ შეუდგა ენერგიული პოლიტიკის გატარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ ახალგაზრდა უფლისწული ჯერჯერობით წარმატებით ვერ დაიკვეხნის. 2015 წელსვე **საუდის არაბეთი აქტიურად ჩაერთო იემენის სამოქალაქო ომში** განდევნილ პრეზიდენტ ჰადის მხარეს შიიტი მეამბოხე ჰუთიტების წინააღმდეგ. საბაბად არ-რიადმა გამოიყენა ამ უკანასკნელთათვის შიიტური ირანის მიერ დახმარების გაწევა. მაგრამ იემენის საავიაციო დაბომბვამ, იქ სატანკო ძალების შეგზავნამ საუდიელებს სასურველი შედეგი არ მოუტანა. საუდიელთა ავიაციის უსისტემო შეტევების გამო ათასობით მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა, რასაც დასავლეთის პრესა არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც აშუქებდა.

2017 წელს საუდის არაბეთი მკვეთრად დაუპირისპირდა **კატარს**, რომლის დედაქალაქ დოჰაში განლაგებულია არ-რიადის მიმართ კრიტიკული ტელევიზია "ალ-ჯაზირას" ცენტრა¬ლუ¬რი ოფისი. კატარის ამირა საკუთარ პოლიტიკას ატარებს რეგიონში, მას უკეთესი ურთიერთობა აქვს ირანთან,

და ბოლო დროს – თურქეთთან, მაშინ როცა საუდის არაბეთი ირანს პირ¬და¬პირ მტრად მიიჩნევს, ხოლო თურქეთს – მეტოქედ ახლო აღმოსავლეთში დომინირების საკითხში.

საკუთარ ქვეყანაში მუჰამედ ბინ სალმანმა მიზნად დაისახა ისეთი რეფორმების ჩატარება, რომლებიც შეარბილებდა საუდის არაბეთის კონსერვატიულ იმიჯს მსოფლიოში. მაგალითად, 2018 წლიდან ქვეყანაში გაიხსნა კინოთეატრები, რომლებიც იქ 30-იოდე წლის წინ დახურეს; იმავე წლის ზაფხულში საუდიელ ქალებს პირველად მიეცათ უფლება მართონ ავტომანქანა; ცოტა დააოკეს ზნეობის პოლიცია, რომელიც მეტისმეტი გულმოდგინებით ადევნებდა თვალს ქალების ჩაცმულობას და მათ ქცევას.

ამავე დროს მსოფლიომ ერთგვარი გაკვირვებით აღიქვა საუდის არაბეთის ბიუჯეტის შევსება ნუვორიშების ფაქტობრივად მძევლად აყვანის მეთოდით. უფლისწულის ბრძანებით მდიდარი ადამიანები, მათ შორის სამეფო საგვარეულოს წევრები, რამდენიმე კვირით გამოკეტეს ერთ ლუქს-სასტუმროში იქამდე, სანამ ისინი ჯამში რამდენიმე მილიარდ დოლარს არ შეიტანდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში. ეჭვგარეშეა, რომ ეს ფული მათ უკანონო ოპერაციებისა ან პირდა-პირი კორუფციის გზით ჰქონდათ მოპოვებული. მაგრამ არავინ მოიწონა მათი დასჯა სამართლებლივი მეთოდების გამოუყენებლად,

საუდის არაბეთის მმართველი დინასტიისათვის ძალიან წამგებიანი აღმოჩნდა 2018 წლის ოქტომბერში **"ჯამალ ხაშოგის ინციდენტი",** როდესაც სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოს შენობაში მოკლეს საუდიელი ჟურნალისტი, რომელმაც გაბედა მმართველი უფლისწულის კრიტიკ,. ამ ფაქტს საერთაშორისო რეზონანსი მიეცა, რადგან ხაშოგის ამერიკაში ბინადრობის უფლება ჰქონდა და ის წერდა გავლენიანი ამერიკული გაზეთი "ვაშინგტონ პოსტისათვის". თითქმის სამი კვირის განმავლობაში 2-დან 20 ოქტომბრამდე, საუდის არაბეთის მთავრობა ცრუობდა, თითქოს მკვლელობა არ მომხდარა. ბოლოს კი, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, აღიარა ჟურნალისტის ძალადობრივი სიკვდილი.

საერთო ჯამში მუჰამედ ბინ სალმანს ავტორიტეტი ძალიან შეელახა და მისი "რეფორმები" აღარ ფასობს, თუნდაც საუდის არაბეთის მიმართ სოლიდარული იყვნენ გას-ი, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ქუვეითი.

საუდის არაბეთში დღემდე ბატონობს შუა საუკუნეების დროინდელი კანონები და ადამიანის საყოველთაო უფლებები ნაკლებადაა დაცული, ვიდრე ყველა სხვა, თუნდაც ავტირიტარულ, არაბულ ქვეყანაში.

მსოფლიოში უდიდესი ნავთობის რეზერვების მფლობელი საუდის არაბეთის კეთილდღეობა პრაქტიკულად მთლიანად არის დამოკიდებული ამ ენერგეტიკულ ნედლეულზე. ნავთობი იძლევა მისი საექსპორტო შემოსავლის 90-95 პროცენტს და საბიუჯეტო შემოსავლის 75 პროცენტს. ეს ქვეყანას საშუალებას აძლევს, შეინახოს დიდი სახელმწიფო აპარატი, უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობა და კარგად შეაიარაღოს არმია.

უფასო განათლების სისტემამ საუდის არაბეთის ბევრ მოქალაქეს მისცა საკმარისი განათლება. ქვეყანაში საკმაოდ დიდია ევროპასა და ამერიკაში განათლებამიღებულთა რიცხვიც. მათ სხვანაირი ცხოვრება აქვთ ნანახი, რომელსაც, მართალია, სამშობლოში სრულად ვერ დანერგავენ, მაგრამ რაღაც სიახლის ელემენტის შეტანას ცდილობენ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სამშობლოში არა აქვთ თავისი განათლების ცენზის შესაბამისი სამუშაო.

ბევრი რადიკალური ისლამური დაჯგუფება ან საუდის არაბეთის ტერიტორიაზე შეიქმნა, ან აქ გაიფურჩქნა. 1928 წელს ეგვიპტეში წარმოშობილი რადიკალური "მუსლიმი ძმების ასოციაციის"

(ჯამიიათ ალ-იხვან ალ მუსლიმინ) აქტივისტები, რომელთაც ეგვიპტეში სდევნიდნენ, საუდის არაბეთში პოულობდნენ თავშესაფარს, თუმცა ახლა მათ აქაც ტერორისტებად მიიჩნევენ და იქ აღარ დაედგომებათ. უსამა ბინ-ლადენი, ვინც 1980-იან წლებში შექმნა ტერორისტული ქსელი ალ-კაიდა (არაბულად "ბაზისი, ფუნდამენტი"), არ-რიადში დაიბადა (თუმცა მამამისი წარმოშობით იემენიდან იყო).

ეს არ ნიშნავს, რომ საუდის არაბეთი ტერორიზმს მხარს უჭირს. პირიქით, არ-რიადის ხელისუფლება ალ-კაიდას "ისლამის მტრების" სიაში ჰქონდა შეტანილი. ტერორისტულ აქტებს ალ-კაიდა ახორციელებდა არა მარტო ამერიკასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, არამედ საუდის არაბეთის ტერიტორიაზეც.

ამავე დროს, საერთაშორისო პოლიტიკაში პრაგმატიზმი მძლავრობს. 2008 წლის დამდეგს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცრ.) საუდის არაბეთი რეგიონში ირანის გამაწონასწორებელ ძალად გამოაცხადა.

დონალდ ტრამპმა თავისი, როგორც პრეზიდენტის, პირველი საგარეო ვიზიტი 2017 წლის მაისში დაიწყო საუდის არაბეთიდან, სადაც ის სამეფო პატივით მიიღეს (მაგალითად, მეფე სალმანთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო რიტუალურ "ხმლებით ცეკვაში"), რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ერთი წლით ადრე პრეზიდენტ ბარაკ ობამას შედარებით ნელთბილ მიღებასთან იმავე არ-რიადში.
საუდის არაბეთში ტრამპის ვიზიტისას ხელმოწერილ იქნა ამერიკის ისტორიაში უმსხვილესი კონტრაქტი 110 მილიარდი დოლარის ღირებულების ამერიკული სამხედრო საჭურვლის მიწოდებაზე: ის გულისხმობს საუდის არაბეთის არმიისა და ფლოტის სრულ მოდერნიზაციას, უახლესი სამხედრო ტექნიკის მიწოდებას და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ლიცენზიებით შეიარაღების ნაწილის წარმოებასაც კი. გარიგებათა საერთო თანხამ 10 წლის განმავლობაში შეიძლება 380 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს. გარდა ამისა, საუდიელები დაპირდნენ ტრამპს 40 მილიარდი დოლარის ინვესტირებას ამერიკის ეკონომიკაში.

საუდის არაბეთი არაა ის ქვეყანა, რომელიც ადვილად შეიძლება დაისაჯოს ან უგულებელყოფილ იქნას. "ჯამალ ხაშოგის ინციდენტიც" კი, რომელიც პრეზიდენტმა ტრამპმა მკაცრად დაგმო, ვერ გამოიწვევს ეკონომიკურ სანქციებს ვაშინგტონისაგან: ეკონომიკური კავშირები ძალიან დიდია.

ამერიკა საუდის არაბეთში ყიდის ბევრად მეტს, ვიდრე ყიდულობს. ამერიკის სამხედრო მრეწველობაში დასაქმებული ასობით ათასი მუშა-მოსამსახურე დაკარგავს სამუშაოს, თუკი ამერიკა უარს იტყვის მიჰყიდოს არ-რიადს სამხედრო საჭურველი და ტექნიკა. სანქციები გამოიწვევს არ-რიადის უკურეაქციას, მაგალითად, მის მიერ ნავთობის მოპოვების შემცი-რებას, რაც სწრაფად გაზრდის მსოფლიო ფასს, სავარაუდოდ,150 დოლარამდე ბარელისათვის (მით უმეტეს, რომ ამერიკამ უკვე დაუწესა სანქციები ირანს და შეზღუდა იქიდან ნავთობის გატანა). ეს სასარგებლო იქნება რუსეთისათვის, დასავლეთ ევროპაში კი რეცესია შეიძლება გამოიწვიოს.

ნებისმიერი დესტაბილიზაცია რეგიონში ტერიტორიით უდიდეს სახელმწიფოში მსოფლიოსათვის სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

დამატებითი ლიტერატურა:

Saudi Arabia: Is this the end of Mohammed Bin Salman's honeymoon?

By Frank Gardner BBC security correspondent

15 October 2018 BBC News

Image copyrightBANDAR ALGALOUD / SAUDI ROYAL COUNCIL / HANDOUT

When President Trump chose Saudi Arabia for his first overseas presidential visit in May 2017 most Saudis were delighted. They hadn't much cared for his predecessor, Barack Obama. He was never that interested in the Middle East, they reckoned, and his legacy nuclear deal with Iran was a bad one in their eyes.

But Donald Trump was a man they could do business with. He lifted the Obama-era curbs on weapons sales for the war in Yemen, he refrained from lecturing them on human rights and he seemed happy for his son-in-law Jared Kushner to forge an exceptionally close working relationship with Saudi Arabia's all powerful Crown Prince Mohammed Bin Salman.

A return visit by MBS as he is known, to the White House, the Pentagon and Hollywood ensued. MBS was similarly welcomed in London, despite anti-war protests that his prosecution of the conflict in Yemen was fuelling a humanitarian tragedy there.

Journalist Jamal Khashoggi's disappearance has brought criticism of the Saudi Crown Prince (L).

At home in Saudi Arabia, Western diplomats hailed MBS's modernising reforms as the long overdue breath of fresh air the country needed. He lifted the ban on women driving, reintroduced public entertainment and curbed the power of the unpopular religious police.

At the same time he announced staggeringly ambitious plans to wean the country off its dependence on oil income by building a $500 billion futuristic city in the desert. Saudi Arabia under MBS was going places and this time last year the world beat a path to his door, flocking to attend his inaugural Future Investment Initiative in Riyadh.

A lot has changed. The warning signs that MBS may not be quite the liberal reformer the West had hoped for came when he arbitrarily locked up dozens of princes and business figures last year in a luxury hotel,

accusing them of corruption. He briefly detained Lebanon's Prime Minister Saad Hariri, allegedly forcing him to resign. He also ordered the arrest of anyone who dared to question his reform agenda, even with just a simple tweet.

But it was the deeply suspicious disappearance inside the Saudi consulate on 2 October of his most prominent critic, Jamal Khashoggi, that has caused even his close ally Donald Trump to talk of "severe punishment" if Saudi government guilt is proven. We can retaliate in kind, came the Saudi response on Sunday, reminding the world of their decisive role in the oil market.

Encouraged by the state-controlled media, many Saudis have rallied round their leadership. There is even a popular rumour that what happened in Istanbul is all a plot by Qatar and Turkey to discredit the blameless Saudi kingdom. But privately, others are now questioning whether the 33-year old prince, the man once hailed as a visionary saviour of Saudi Arabia, has gone too far.

He has pitched his country into a costly and seemingly unwinnable war in Yemen. He is embroiled in a damaging dispute with neighbouring Qatar, he has quarrelled with Canada over human rights and he has locked up dozens for peaceful protest while alienating many in royal and business circles. More conservative Saudis may well be hankering for quieter times.

Jamal Khashoggi death: UK, France and Germany challenge Saudis

BBC news 21 October 2018

The UK, France and Germany have denounced writer Jamal Khashoggi's killing, demanding urgent clarification from Saudi Arabia over his death.

A joint statement said the explanation that Mr Khashoggi died after a "fist fight" in the consulate in Istanbul needed "to be backed by facts to be considered credible".

President Donald Trump earlier said he was "not satisfied" with the account.

And Turkey's president on Sunday vowed to reveal the truth about the death.

Recep Tayyip Erdogan said he would make a statement on the matter in parliament on Tuesday.

"We are looking for justice here and this will be revealed in all its naked truth," he told a rally in Istanbul.

Mr Khashoggi entered the consulate on 2 October to sort out divorce papers. Saudi Arabia initially said he had left shortly afterwards but has now admitted he died inside the building.

What is in the joint statement?

The UK, France and Germany expressed shock at the death, saying: "Nothing can justify this killing and we condemn it in the strongest possible terms."

They said they noted the Saudi explanation, but added: "There remains an urgent need for clarification of exactly what happened... beyond the hypotheses that have been raised so far in the Saudi investigation, which need to be backed by facts to be considered credible."

The nations said they would not make a judgement until further explanation had been detailed.

They said: "We therefore ask for the investigation to be carried out thoroughly until responsibilities are clearly established and that there is proper accountability and due process for any crimes committed."

Media captionCCTV footage shows missing Saudi journalist Jamal Khashoggi entering the Saudi consulate in Istanbul

What have other nations and groups said?

On Saturday, Mr Trump said: “I'm not satisfied until we find the answer.”
But the US president said that, although sanctions were a possibility, halting an arms deal would “hurt us more than it would hurt them”.
US Treasury Secretary Steven Mnuchin repeated that on Sunday, saying talk of sanctions was “premature”.
Canadian Foreign Minister Chrystia Freeland said the Saudi “explanations offered to date lack consistency and credibility” while Australian PM Scott Morrison said: “This cannot stand. This will not do.”
Amnesty International has called the Saudi explanation a whitewash of “an appalling assassination”.
The Washington Post, which published articles by Mr Khashoggi, said the Saudi government had “shamefully and repeatedly offered one lie after another”.

> “The Government of Saudi Arabia has shamefully and repeatedly offered one lie after another in the nearly three weeks since Jamal Khashoggi disappeared in their Istanbul consulate. Offering no proof, and contrary to all available evidence, they now expect the world to believe that Jamal died in a fight following a discussion. This is not an explanation; it is a coverup. President Trump, Congress and leaders of the civilized world should demand to see verifiable evidence. The Saudis cannot be allowed to fabricate a face-saving solution to an atrocity that appears to have been directed by the highest levels of their government.” — Fred Ryan, Publisher and CEO, The Washington Post

What's the latest from the Saudis?

Saudi Arabia's Foreign Minister Adel al-Jubeir spoke to Fox News on Sunday.
He suggested individuals had attempted to cover up the killing to his government and that it did not know the details.
“The individuals who did this did this outside the scope of their authority. There obviously was a tremendous mistake made, and what compounded the mistake was the attempt to try to cover up,” Mr Jubeir said.
He added: “We want to make sure that those who are responsible are punished.”
Mr Jubeir also said: “We don't know where the body is.”
So far Saudi Arabia says it has arrested 18 people, sacked two aides of Crown Prince Mohammed bin Salman and set up a body, under his leadership, to reform the intelligence agency.

Do the Saudis have support?

Yes, from a number of regional neighbours.
On Sunday, Kuwait was the latest ally to praise King Salman for his handling of the case, saying it showed “the kingdom's keenness and commitment to establish the truth and its respect for legal principles to bring to account those behind this regretful event”.
Egypt, Bahrain and the United Arab Emirates have been among those reflecting similar praise.
Saudi media on Sunday echoed this. The al-Riyadh newspaper reported a “wide welcome” of the government's “justice and firmness”.

Where is the investigation now?

Turkey on Saturday said it would release all the details and that it would not allow a cover up.
Mr Erdogan's planned statement will be eagerly anticipated.
Although Turkey has so far stopped short of officially blaming Saudi Arabia for the killing, investigators have said they have audio and video evidence which shows Mr Khashoggi, was killed by a team of Saudi agents inside the consulate.

Police have searched the nearby Belgrad forest in Istanbul where they believe the body may have been taken and one official was hopeful its fate would be known “before long”.
Both the consulate and the residence of the Saudi consul have been searched too.
Reuters reported on Sunday it had spoken to a Saudi official who said Mr Khashoggi had died in a chokehold after resisting attempts to return him to Saudi Arabia. His body was then rolled in a rug and given to a local “co-operator” to dispose of.
A Saudi operative then reportedly donned Mr Khashoggi's clothes and left the consulate.
The official said Saudi statements had changed because of “false information reported internally at the time”.

Saudi Arabia: Five reasons why Gulf kingdom matters to the West

15 October 2018

US President Donald Trump has threatened to inflict “severe punishment” on Saudi Arabia if it is found to have killed the prominent Saudi journalist Jamal Khashoggi, who disappeared while visiting the Saudi consulate in Istanbul.
Saudi Arabia, which has dismissed as “lies” claims by Turkish officials that Mr Khashoggi was murdered by Saudi agents, has vowed to respond to any punitive action by Western powers “with greater action”.
But what are the possible implications?

1. Oil supply and prices

Saudi Arabia possess about 18% of the world's proven oil reserves and is the world's biggest oil exporter, according to the Organization of the Petroleum Exporting Countries (Opec).
This gives the country significant power and influence on the global stage.
If, for example, sanctions were imposed by the US or other countries, the Saudi government could respond by cutting its oil production, which would push up global prices unless other exporters made up the shortfall.
In an editorial published on Sunday, **the general manager of Saudi-owned Al Arabiya TV, Turki Aldakhil, said that imposing sanctions on the kingdom would result in an “an economic disaster that would rock the entire world”**.
“If the price of oil reaching $80 (£61) angered President Trump, no one should rule out the price jumping to $100 (£76), or $200 (£152), or even double that figure,” he wrote.
Any increases would trickle down to consumers, increasing prices at petrol pumps.

2. Military contracts

Saudi Arabia had the third-largest defence budget in the world in 2017, according to the Stockholm International Peace Research Institute (Sipri).
That year the country signed a $110bn (£84bn) arms deal with the US, with options running as high as $350bn over 10 years. The deal was described by the White House as the single biggest in US history.

Where does Saudi Arabia import arms from?

(2013 - 2017)



Source: Sipri BBC

Other countries supplying weapons to Saudi Arabia include the UK, France and Germany.
Mr Aldakhil's editorial suggested that as a counter-measure to any sanctions, Riyadh could possibly look to China and Russia to fulfil its military needs.

3. Security and terrorism
Western powers have stressed that Saudi Arabia plays a crucial role in maintaining security in the Middle East and combating extremism and terrorism.
UK Prime Minister Theresa May has defended maintaining a close relationship with Saudi Arabia despite its forces being accused of war crimes in the conflict in Yemen by insisting it "has helped keep people on the streets of Britain safe".
The kingdom, which is the birthplace of Islam, is a member of the US-led global coalition battling the Islamic State (IS) group and last year formed an Islamic Military Counter Terrorism Coalition with 40 other Muslim states.
Mr Aldakhil speculated that the "trusted exchange of information between Riyadh and America and Western countries will be a thing of the past" if measures are taken in response to the disappearance of Mr Khashoggi.

4. Regional alliances
Saudi Arabia has worked closely with the US to counter the influence of Iran.
The Sunni and Shia Muslim powers have engaged in proxy conflicts across the Middle East for decades.In Syria, Saudi Arabia has backed rebel factions trying to overthrow President Bashar al-Assad, while Iran has, along with Russia, helped turn the tide of the war decisively in his favour.
In his editorial, Mr Aldakhil warned that improved relations between Saudi Arabia and Russia as a result of US sanctions and new arms deals could "lead to a closeness to Iran and maybe even a reconciliation with it".

5. Trade and investment
The Al Arabiya general manager also said US companies could be "deprived" of access to the Saudi market.
US goods and services trade with Saudi Arabia totalled $46bn in 2017, with the US enjoying a trade surplus of $5bn. The US commerce department estimated that the bilateral trade supported an estimated 165,000 jobs in the US in 2015.

Where does Saudi Arabia import its goods from?



Source: UN Comtrade database (2016) BBC

In August, Saudi Arabia froze all new trade with Canada over its "interference" in the kingdom's domestic affairs, describing Ottawa's call to release detained civil society and women's rights activists a violation of Saudi sovereignty.
The kingdom also blocked imports of Canadian grain and decided to order home thousands of Saudis on government-funded scholarships at Canadian universities.

თემა 22

ეგვიპტის პოლიტიკური პრობლემები

1952 წელს ახალგაზრდა ოფიცრებმა ეგვიპტეში რევოლუცია მოახდინეს. 1953 წელს მონარქია გაუქმდა და მოჰამედ ნაგიბის ხანმოკლე პრეზიდენტობის შემდეგ, 1954 წლიდან, რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა მეორე პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. 1956 წელს ნასერმა ცალმხრივი აქტით მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რის საბაბად გამოიყენა დასავლეთის ქვეყნების უარი, დაეფინანსებინათ მდინარე ნილოსზე ასუანის მაღლივი კაშხლის მშენებლობა.

სუეცის არხის ნაციონალიზაციის საპასუხოდ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომელთაც არხის აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ, ისრაელთან ერთად განახორციელეს სამხედრო აქცია, რაც მათი მხრიდან "ქვემეხიანი ნავების დიპლომატიის" უკანასკნელი და წარუმატებელი დემონსტრაცია აღმოჩნდა.

ოპერაცია დაიწყო ისრაელის ტანკების შეჭრით სინას ნახევარკუნძულზე და მათი სწრაფი გასვლით სუეცის არხის ზონაში.

ამერიკამ, რომელთანაც წინასწარი კონსულტაცია ლონდონმა და პარიზმა არ ჩაატარეს, და საბჭოთა კავშირმა, გაეროს უშიშროების საბჭოში შეიტანეს ერთობლივი რეზოლუცია ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის დაუყოვნებლივი გასვლის მოთხოვნით.

გაეროს ისტორიაში პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ამერიკის მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადეს მისივე მოკავშირეებმა – საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. აშშ-ის აღშფოთებულმა პრეზიდენტმა დუაით აიზენჰაუერმა რეზოლუცია გაე-როს გენერალურ ასამბლეაზე გაიტანა, სადაც ვეტოს უფლება არ მოქმედებს, და ხმათა დიდი უმრავლესობა მიიღო. მეორე მხრივ, გენერალური ასამბლეის დადგენილება შესასრულებლად აუცილებელი არაა. ამიტომ აიზენჰაუერი ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა ბრიტანეთს, ხოლო საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენებით დაიმუქრა, რაც, რასაკვირველია, ბლეფი იყო, მაგრამ ეფექტიანი!

"სუეცის კრიზისი" პარიზსა და ლონდონში მთავრობების შეცვლით დამთავრდა. ისრაელი თავის საზღვრებს დაუბრუნდა. ეგვიპტის ქარიზმატული პრეზიდენტი *გამალ აბდელ ნასერი,* მიუხედავად დაბომბილი ქალაქებისა და ისრაელის მიერ მისი სატანკო დივიზიების განადგურებისა, გამარჯვებას ზეიმობდა. ეგვიპტე აღიარეს არაბული ნაციონალიზმის წინამძღოლად.

კრემლმა დაიწყო კაიროსათვის უშუალო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა, რასაც მანამდე თავისი სატელიტის, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის, მეშვეობით აკეთებდა. ეგვიპტის არმია აღიჭურვა საბჭოთა ტანკებითა და ავიაციით; ეგვიპტელი ოფიცრები გაიწვრთნა საბჭოთა სამ-ხედრო აკადემიებში. საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა ასუანის მაღლივი კაშხალი და ჰიდროტექნიკური კომპლექსი, მეტალურგიული ქარხანა ხელუანში, რომელიც დღემდე აწარმოებს სამხედრო დანიშნულების ფოლადს და სხვ.

1958 წელს ეგვიპტემ სირიასთან ერთად შექმნა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა (*აგრ*). თითქოს იწყებოდა არაბული ქვეყნების გაერთიანება და ხორცი ესხმებოდა პანარაბიზმის იდეას.

მაგრამ ადგილობრივი ელიტების ინტერესები მძაფრ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა პანარაბიზმის იდეალებთან. 1961 წლის სექტემბერში სირიელმა ოფიცრებმა, რომელთაც დაინახეს, რომ ერთიან სახელმწიფოში ეგვიპტელებმა გაბატონებული პოზიციები დაიკავეს, მათი როლი კი მეორერეხარისხოვანი გახდა, ხელში აიღეს ძალაუფლება დამასკოში და გამოიყვანეს სირია *აგრ*-ის შემადგენლობიდან.

გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის" სახელს მარტო დარჩენილი ეგვიპტე 1971 წლამდე ინარჩუნებდა, იმ იმედით, რომ არაბული ქვეყნების გაერთიანება ისევ დაიწყებოდა. იმედი ამაო გამოდგა. მართალია, 1963 წელს *აგრ*-ის აღდგენის სურვილი გამოთქვა ერაყმა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი მას არ გადაუდგამს.

ხანმოკლე არაბული ერთობის ერთადერთ მოგონებად დარჩა ეგვიპტის, სირიის, ერაყის, იემენისა და სუდანის "პანარაბული" დროშის ერთნაირი ფერები, დამატებითი ნიშნებით.

ეგვიპტის მოსახლეობა პრაქტიკულად მონოეთნიკურია, მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი იქ არაბულენოვანი სუნიტი მუსლიმია. ქრისტიანი კოპტებიც არაბულად ლაპარაკობენ და მათაც ეგვიპტური თვითშეგნება აქვთ. ბოლო პერიოდში გახშირდა შიდა კონფლიქტები კონფესიურ ნიადაგზე, თუმცა მთავრობა ამას ებრძვის.

უდაბნოებით გარშემორტყმული ეგვიპტე ოდითგანვე ინარჩუნებდა ერთგვარ იზოლაციას გარესამყაროსაგან. ეგვიპტეს მინიმალური პრობლემები აქვს თავის სამ მეზობელთან, რომლებთანაც საზღვრები 1920-იან წლებში სახაზავით გაავლეს ლონდონსა და რომში: დასავლეთით მდებარე ლიბია 1911 წლიდან იტალიის კოლონია იყო, პალესტინა (რომლის ტერიტორიაზეც შეიქმნა ისრაელი) – 1922 წლიდან ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია, ხოლო სამხრეთით მდებარე სუდანი – მისივე პროტექტორატი.

ერთადერთი სახიფათო მეზობელი, ისრაელი, რომელთანაც ეგვიპტემ 1948-1973 წლებში რამდენჯერმე იომა, 1979 წლიდან "მშვიდობიანი მეზობელი" გახდა. იმ წელს, ისრაელთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ეგვიპტემ, პირველმა არაბულ ქვეყნებს შორის, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ფაქტობრივად განხორციელდა ფორმულა „მიწა მშვიდობის სანაცვლოდ": 1982 წელს ისრაელმა მთლიანად დაუბრუნა ეგვიპტეს 1967 წლიდან ოკუპირებული სინას ნახევარკუნძული და ეგვიპტისაგან სანაცვლოდ მიიღო მშვიდობა, თუნდაც „ცივი". სინას ნახეევარკუძული ეგვიპტე-ისრაელის საზღვრიდან სუეცის არხამდე დემიტარიზებულია. ტერიტორიული დავა მოგვარდა და ომის ალბათობა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის მინიმუმამდე დავიდა.

1979 წელს კი სხვა არაბულმა ქვეყნებმა, რომლებიც დღემდე არ ცნობენ ისრაელს, ეგვიპტეს ბოიკოტი გამოუცხადეს: ის გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან, კაიროდან გამოიწვიეს არაბული და ბევრი სხვა ისლამური ქვეყნის ელჩები, ნავთობმომპოვებელმა არაბულმა ქვეყნებმა შეუწყვიტეს მას ფინანსური დახმარება.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში ეგვიპტემ მკვეთრი გეოპოლიტიკური ბრუნი გააკეთა.

"ცივი ომის" პერიოდში, როდესაც ზესახელმწიფოების მეტოქეობა მესამე გზის არჩევას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა, "პროსაბჭოთა" საგარეოპოლიტიკური ვექტორი მხოლოდ "პროამერიკულით" შეიძლებოდა შეცვლილიყო. ეგვიპტემ ეს უკანასკნელი არჩია. 1976 წელს ეგვიპტის მესამე პრეზიდენტმა ანვარ სადათმა (1971-1981) მოახდინა "მეგობრობისა და თა-ნამშრომლობის საბჭოთა-ეგვიპტური ხელშეკრულების" დენონსაცია, 1981 წელს კი კაიროდან გააძევა საბჭოთა ელჩი. დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ეგვიპტემ აღადგინა 1984 წელს, მეოთხე პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის დროს (1981-2011).

1989 წელს არაბული ქვეყნების ლიგამ მოუხსნა სადამსჯელო სანქციები ეგვიპტეს: პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში შეიცვალა, "ცივი ომი" მთავრდებოდა და სანქციებს აზრი დაეკარგა.

ეგვიპტის პროამერიკული კურსის რეალური საყრდენი გახდა ყოველწლიური ამერიკული ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, რომელიც ბოლო პერიოდში მილიარდნახევარ დოლარს აჭარბებს. ეგვიპტე ამერიკული იარაღის მსხვილი იმპორტიორი გახდა.

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ეგვიპტე იყო მეორე ქვეყანა, რომელსაც 2011 წელს "გადაედო არაბული გაზაფხული". ეგვიპტის არმიის მიერ ქვეყნის მეხუთე პრეზიდენტის, მოჰამედ მორსის, დამხობას 2013 წელს მოჰყვა შეერთებული შტატების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია. ვაშინგტონმა ნაწილობრივი ემბარგო დაადო ეგვიპტისათვის სამხედრო ტექნიკის მიწოდებას. ამერიკული კომპანიების წილი ეგვიპტის იარაღის იმპორტში, რომელიც 2008-2011 წლებში საშუალოდ 76 პროცენტს შეადგენდა, 2012-2015 წლებში 49 პროცენტამდე შემცირდა.

ეგვიპტეში წარმოქმნილი "იარაღის ვაკუუმი" სწრაფად შეავსეს მიმწოდებლებმა დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან. ასეთმა კონკურენციამ დააფიქრა აშშ ადმინისტრაცია. ეგვიპტეს მოეხსნა ამერიკული ემბარგო და უკვე 2015 წლის მარტში მან მიიღო ათზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი F-16, რისი ფასიც ადრე გადახდილი ჰქონდა.

იმ მიზნით, რომ აღარ ყოფილიყო დამოკიდებული ერთი ქვეყნის ლიდერების "ლიბერალურ გუნებაგანწყობაზე" და მოეხდინა მიმწოდებლების დივერსიფიკაცია, 2015 წელს ეგვიპტემ დასდო 5,2 მილიარდი დოლარის სამხედრო კონტრაქტი საფრანგეთთან 24 Rafale-ის ტიპის ავიაგამანადგურებლის შესაძენად.

იმავე წლის სექტემბერში ეგვიპტემ საფრანგეთისაგან შეიძინა Mistral-ის ტიპის ორი უახლესი შვეულმფრენმზიდი ეს სამხედრო ხომალდები საფრანგეთმა რუსეთის დაკვეთით ააშენა. მათ შეეძლოთ მკვეთრად გაეზარდათ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოტენციალი, მათ შორის შავ ზღვაში. საფრანგეთის მთავრობის თანხმობამ ამ კონტრაქტის შესრულებაზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ნატო-ს სხვა ქვეყნებში. საბოლოოდ, რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიამ აიძულა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი შეეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება. პარიზმა გადაიხადა პირგასამტეხლო, არ გადასცა შვეულმფრენმზიდები რუსეთს და ორივე ხომალდი ეგვიპტეს. მიჰყიდა

2017 წელს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საერთოდ შეცვალა პოლიტიკა ეგვიპტის მიმართ, გულთბილად მიიღო 2013 წელს სამხედრო გადატრიალების მომწყობი, იმჟამად უკვე პრეზიდენტად არჩეული აბდელ ფათაჰ ელ-სისი. ამერიკამ განუახლა ეგვიპტეს როგორც სამხედრო დახმარება, ისე სამხედრო საჭურვლის შეძენის არხები.

ეგვიპტეში ავტორიტარული მმართველობის ხანგრძლივი ტრადიციაა. 1953 წლიდან, რაც ეგვიპტე რესპუბლიკაა, იქ სულ ექვსი პრეზიდენტი ჰყავდათ: მეექვსე ახლა მართავს. ყველა მათგანი უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობდა და პოსტს ტოვებდა ან სიკვდილის გამო (ნასერი, სადათი: ეს უკანასკნელი ტერორისტულ აქტს შეეწირა 1981 წელს), ან გადატრიალების შედეგად (ნაგიბი, მუბარაქი, მორსი).

მეექვსე პრეზიდენტი ელ-სისი უკვე შეუდგა რკინის ხელით ქვეყნის მართვას. დისიდენტები ციხეში გაამწესეს. ზოგიერთი სიკვდილით დასაჯეს.

სუეცის არხის გაფართოება ელ-სისის ბრძანებით რეკორდულ დროში განხორციელდა. კაიროს აღმოსავლეთით შენდება მთელი ახალი სამთავრობო კომპლექსი. ორივე პროექტი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მართალია, სუეცის არხს შემოსავალი მოაქვს, მაგრამ ეგვიპტის ეკონომიკური განვითარება ფეხს ვერ უბამს უზარმაზარ დემოგრაფიულ დაწოლას – მოსახლეობის ზრდას წლიუ-

რად თითქმის ორი მილიონი ადამიანით. პერიოდული ტერორისტული აქტები ეგვიპტეს სახელს უტეხენ და მის ტურისტულ ბიზნესს დიდ პრობლემას უქმნიან.

ბოლო წლებში ხმელთაშუა ზღვის შელფზე აღმოჩენილმა გაზის დიდმა საბადომ ჩასახა იმედი, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება ერთგვარად გამოსწორდეს.

მაგრამ შიდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება უკეთესობისაკენ თითქმის არ იცვლება.

თემა 23
ერაყის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა

მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის ტერიტორიაზე – შუამდინარეთში – განლაგებული, ნავთობითა და გაზით მდიდარი ერაყი, ბოლო 60 წელზე მეტია განუწყვეტლივ არის სხვადასხვა სერიოზული პრობლემების ეპიცენტრში.

1958 წლამდე ერაყის სამეფო იყო პროდასავლური რეჟიმის მქონე "ზომიერი საპოლიციო სახელმწიფო", სადაც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ბრიტანელებმა 1920 წელს გაამეფეს მექის ჰაშიმიანი შერიფ ალის მემკვიდრეთა ერთი შტო (მეორე – ჯერაც მეფობს იორდანიაში).ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ხანაში (ხვიი საუკუნიდან 1918 წლამდე) და ბრიტანული მანდატის დროსაც (1922-1932) მრავალკონფესიურ და მრავალეთნიკურ ქვეყანას მართავდა უმცირესობის – სუნიტი არაბების – ელიტა.

1958 წელს ერაყის არმიის რადიკალურმა ოფიცრებმა მოახდინეს რევოლუცია, მოკლეს ახალგარდა მეფე *ფაისალ* II, ჩამოახრჩეს პრემიერ-მინისტრი *ნური ას-საიდი,* გამოაცხადეს რესპუბლიკა და გამოიყვანეს "კომუნიზმის გავრცელების" წინააღმდეგ შექმნილი "ბაღდადის პაქტის" შემადგენლობიდან ერაყი, რომელშიც ის შედიოდა თურქეთთან, ირანთან, პაკისტანთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად.

ერაყის რესპუბლიკის ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან მკვეთრად გაფუჭდა, რითაც ისარგებლა საბჭოთა კავშირმა და დაიწყო "ანტი-იმპერიალისტურ" ბაზაზე თანამშრომლობა ბაღდადის ცვალებად რეჟიმებთან.

რესპუბლიკურ ერაყში პოლიტიკური არასტაბილურობა ლამის ნორმა იყო, ხშირად ხდებოდა სამხედრო გადატრიალებები. ავტონომიის მოთხოვნით ჯანყდებოდნენ ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთები. ხელმზღვანელობის ძალადობრივი შეცვლა ხდებოდა 1968 წელს ერაყის მმართველობაში მოსულ პარტია *ბაას*-ის შიგნითაც კი (იხ. ჩანართი). ქვეყნის (და პარტიის) ყველა ახალი ლიდერი სუნიტი არაბი იყო: ხელისუფლებაში წარმოდგენილი არ იყვნენ შიიტი არაბები, რომლებიც ცხოვრობენ ერაყის სამხრეთში, და ქურთები.

პარტია ბაას-ის შესახებ

არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია (შემოკლებით, ბაას-ი, რაც არაბულად "აღორძინებას" ნიშნავს) შეიქმნა სირიაში 1947 წელს. მიჩნეულია, რომ ის დააარსეს *მიშელ აფლაკმა, რომელიც სირიელი მართლმადიდებელი ქრისტიანის ოჯახში დაიბადა* და *სალაჰ ად-დინ ალ-ბითარმა*: ის სუნიტი მუსლიმის ოჯახიდან იყო (მათ გარდა, სხვა მოღვაწეებსაც ახსენებენ). ამ სეკულარული პარტიის იდეოლოგია ეკლექტურია: ის ემყარება არაბული ნაციონალიზმის, პან-არაბიზმის, "არაბული სოციალიზმისა" და ანტიიმპერიალისტური იდეების ნარევს. *ბაას*-ი ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნის მომხრეა. პარტიას აქვს რეგიონული ორგანიზაციები სირიაში,

ერაყში, ლიბანში, იორდანიაში, ლიბიაში. ბაას-ი 1963 წლიდან მართავს სირიას. 1968 წლიდან 2003 წლის აპრილამდე ეს პარტია მართავდა ერაყს.

ამავე დროს, პარტიის სირიისა და ერაყის რეგიონული ორგანიზაციები ერთმანეთთან მზაფრად მეტოქეობდნენ.

სამხედრო გადატრიალებების სერია დამთავრდა 1979 წელს *სადამ ჰუსეინის* რეჟიმის დამყარებით, რომელმაც 2003 წლამდე დიქტატორული მეთოდებით მართა ერაყი.

სადამის მმართველობის პირველ წლებში, ნავთობზე ფასების მატების წყალობით, ერაყში, რომელიც ნავთობის დიდ მარაგს ფლობს, აღინიშნებოდა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, უმჯობესდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, საბინაო პირობები. სახელმწიფო მოხელეთა ხელფასები და მოხუცებულთა პენსია სიდიდით ევროპული ქვეყნებისას მიუახლოვდა.

მაგრამ იმავე სადამმა ჩაითრია ქვეყანა საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურებში.

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყი თავს დაესხა მეზობელ ირანს. საბაბად სადამ ჰუსეინმა გამოიყენა ირანის უარი *აღდგენილიყო საზღვარი მდ. შატ ალ-არაბის ზონაში.* სულ ხუთი წლით ადრე, 1975 წელს, ერაყმა და ირანმა ხელი მოაწერეს საზღვრის ამ მონაკვეთის ახალიდელიმიტაციის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საზღვარი მდინარის *ტალვეგს* (შუახაზს) უნდა გაჰყოლოდა. მანამდე, ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრის დელიმიტაციის 1913 წლის კონსტანტინოპოლის პროტოკოლით, საზღვარი ძალიან არახელსაყრელი იყო ირანისათვის, რადგან ის უშუალოდ მიუყვებოდა *მდ. შატ ალ-არაბის მარცხენა*, ირანულ, ნაპირს.

სადამ ჰუსეინმა კი ძველი საზღვრის აღდგენა მოითხოვა. მან გადაწყვიტა ესარგებლა ირანის ფარდობითი დასუსტებით: იქ წლინახევრით ადრე მომხდარი ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის არმია დემორალიზებული იყო. სადამ ჰუსეინის ცუდად შეფარული მიზანი იყო ირანის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე, ნავთობით მდიდარი, ძირითადად შიიტი არაბებითაა დასახლებული, *ხუზესთანის ოსთანის* დაპყრობა და ანექსირება.

ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988) ბაღდადის რეჟიმმა რამდენჯერმე გამოიყენა 1925 წლის *ჟენევის პროტოკოლით* აკრძალული ქიმიური იარაღი, როგორც ირანის არმიის, ისე საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ: ფართოდ გახმაურდა პატარა ქალაქ *ჰალაბჯას* (ერაყის ქურთისტანი) მთელი მოსახლეობის მომწამლავი გაზით განადგურება 1988 წელს.

მოგვიანებით გამოაშკარავებული საიდუმლო დოკუმენტები მოწმობს, რომ 1982 წლიდან, როდესაც ირანმა ძალები მოიკრიბა და ერაყის წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა, დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც ირანის ისლამისტურ რეჟიმს არ სწყალობდნენ, დაეხმარნენ ერაყს სადაძვერვო ინფორმაციით და, სულ ცოტა, ხელი არ შეუშალეს შეეძინა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტები. ამ ომის პერიოდში, 1983 წელს, ამერიკამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა ერაყთან და მომდევნო წელს დანიშნა ელჩი ბაღდადში.

მიდგომა ტრადიციული realpolitik*-ის პოზიციიდან – "*ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია*" – დასავლეთს საბაბს აძლევდა თვალი დაეხუჭა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის ქცევაზე ქვეყნის გარეთ და შიგნით, რადგან კიდევ უფრო საშიშად მიაჩნდა ისლამური ირანის რეჟიმი.

როგორც მაშინდელმა ამერიკის ელჩმა *დევიდ ნიუტონმა* მოგვიანებით მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

> "ჩვენ დაინტერესებული ვიყავით, რომ ერაყს არ წაეგო ომი ირანთან, რათა ამას არ შეექმნა საფრთხე საუდის არაბეთისა და [*სპარსეთის*] ყურის ქვეყნებისათვის. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სადამის მთავრობა ნაკლებ რეპრესიული და უფრო პასუხისმგებელი გახდებოდა".

1982 წლიდან საბჭოთა კავშირმაც განუახლა საგრძნობი სამხედრო დახმარება ერაყს. მოსკოვს დიდი ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა ერაყის ნავთობმოპოვებით მრეწველობაში. 2003 წელს, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო, ერაყის ვალი საბჭოთა კავშირის/რუსეთისათვის რვა მილიარდ დოლარს შეადგენდა (პროცენტების გარეშე).

ერაყ-ირანის რვაწლიანი ომი 1988 წელს დამთავრდა. აღდგა status quo ante bellum: ომამდელი საზღვარი უცვლელი დარჩა. მილიონზე მეტი მოკლული ადამიანის სისხლი უქმად დაღვრილი აღმოჩნდა.

1984 წლისათვის ერაყის ფინანსური მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესდა. იმ დროს საუდის არაბეთმა და ქუვეითმა უხვი ფინანსური დახმარება გაუწიეს *"მოძმე ერაყს".* მაგრამ ძალიან მალე სადამ ჰუსეინმა "მოძმე ქუვეითის" მიმართ უმადურობა გამოიჩინა.

1970-იანი წლებიდან ერაყი აცხადებდა პრეტენზია ქუვეითის სუვერენულ მფლობელობაში მყოფი, შატ ალ-არაბის შესართავთან მდებარე კუნძულების, *ბუბიანისა* და *ვარბას* მიმართ.

1990 წლის 2 აგვისტოს ერაყი თავს დაესხა ქუვეითს, ერთ დღეში დაიპყრო ის და გამოაცხადა "ერაყის მე-19 მუჰაფაზად*" (პროვინციად).

თავის გეგმაზე ქუვეითთან დაკავშირებით სადამ ჰუსეინი წინასწარ ესაუბრა ამერიკის ელჩს ბაღდადში და მისი ორჭოფული პასუხი მხარდაჭერად მიიჩნია. ფაქტია, რომ თეთრმა სახლმა არ მოახდინა დროული დიპლომატიური რეაგირება სადამის განზრახვაზე, არ ურჩია ხელი აეღო ქუვეითის დაპყრობაზე.

ქუვეითზე ერაყის თავდასხმისთანავე კი დასავლეთის ადრე გულკეთილი დამოკიდებულება სადამ ჰუსეინის მიმართ რადიკალურად შეიცვალა.

საერთაშორისო არენაზე სადამ ჰუსეინის ქცევა აჩენდა ეჭვს, რომ მისი აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ შეიზლებოდა გამხდარიყო სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნების დაპყრობისპრელუდია. დასავლეთში, უპირველესად, ვაშინგტონში, გაჩნდა შიში, რომ ერაყის მმართველი შეეცდებოდა ნავთობის მთავარი მიმწოდებლის, საუდის არაბეთის, დაპყრობასაც. სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნების დაპყრობას ის, ალბათ, სულაც უომრად მოახერხებდა. ეს კი სადამ ჰუსეინს დედამიწის ნავთობის მარაგის ნახევრის გამგებლად გახდიდა.მსოფლიო ეკონომიკის ცენტრებისათვის ეს უდიდეს გამოწვევად მოჩანდა.

ძირითადად ასეთი პერსპექტივის საფრთხე და არა *"დაჩაგრული ქუვეითის განთავისუფლების"* ალტრუისტული წყურვილი ამოძრავებდა დასავლეთისა და არაბული ქვეყნების მთავრობებს.

უკვე 1990 წლის აგვისტოში *ამერიკის შეერთებულმა შტატებმა* შედარებით ადვილად შექმნა დიდი კოალიცია, რომელშიც ინდუსტრიული ქვეყნების გარდა *ბევრი არაბული ქვეყანაც* შევიდა. საუდის არაბეთმა, სულ ცოტა ხნით ადრე ერაყის მხარდამჭერმა, ყთავისი ტერიტორია დაუთმო ანტი-ერაყული კოალიციის სამხედრო ბაზებს.

თურქეთის მონაწილეობა კოალიციაში უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ არ დაეშვა დასავლეთის ძალების მეტისმეტი შეტოპვა და ერაყის დაშლა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ქურთისტანის სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა.

პოლიტიკურ კრიზისში მყოფი *საბჭოთა კავშირი* არ შეუერთდა სამხედრო კოალიციას, მაგრამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და არ შეუშალა ხელი ერაყის წინააღმდეგ ზომების მიღებას.

ცივი ომის *დროს,* ანუ 1946-1989 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაპირისპირება პერიოდულად უახლოვდებოდა ხოლმე ბირთვული ომის მიჯნას, სადამ ჰუსეინს მეტი შანსი ექნებოდა მიეღო თავისი ავანტიურის მხარდაჭერა ჩრდილოეთიდან.

აშშ-ის დაჟინებული მოთხოვნით *ისრაელმა* არ მიიღო მონაწილეობა ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში, რადგან ეს გამოიწვევდა არაბული ქვეყნების გასვლას კოალიციიდან: იმ

დროს ისრაელს მხოლოდ ეგვიპტე სცნობდა.

1991 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულმა ოპერაცია "*უდაბნოს ქარიშხალმა*" სწრაფად გაათავისუფლა ქუვეითი ("[სპარსეთის] ყურის ომსაც" – უწოდებენ). მაგრამ ერაყში შეჭრილი კოალიციის არმია ბაღდადიდან დაშორებით შეჩერდა და მალე გავიდა კიდეც. ამას ერთადერთი ლოგიკური ახსნა აქვს: ამერიკის 41-ე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უფროსს) **არ უნდოდა რეგიონში მომხდარიყო მკვეთრი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება:** ბაღდადის აღებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ერაყის დაშლა და სხვა გაუთვალისწინებელი შედეგები.

იმავე 1991 წელს გაერომ ერაყს დაუწესა ეკონომიკური სანქციები. ჩრდილოეთის განედის 33-ე პარალელის სამხრეთით და 36-ე პარალელის ჩრდილოეთით ერაყის სამხედრო ავიაციას აეკრძალა ფრენა. ეს გაკეთდა ბაღდადის რეჟიმის მიმართ ოპოზიციური ქურთებისა და სამხრეთში მცხოვრები შიიტი არაბების (მეტსახელად "ჭაობის არაბების") ჰაერიდან დასაცავად. მაგრამ სახმელეთო ოპერაციებს ამ რეგიონებში გაერო ვერ აკონტროლებდა. ამიტომაც ქურთებისა და "ჭაობის არაბების" აჯანყებები სადამ ჰუსეინმა ადვილად ჩაახშო.

2003 წლის გაზაფხულზე ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ოპერაციის – "*თავისუფლება ერაყს*" – ჩატარებისას მოკავშირეებს უკვირდათ, თუ რატომ არ ხვდებიან მათ ყვავილებით ხელში სამხრეთ ერაყის "განთავისუფლებული" შიიტი არაბები. ამის ასახსნელად ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნე *ბერნარდ ლიუისმა* გაიხსენა 1991 წლის ამბები:

> "არა აქვს გამართლება – თუმცა ზოგი ცდილობს ამას – იმ ხალხის მიტოვებას, ვინც ჩვენ თვითონ წავაქეზეთ ასაჯანყებლად. ჩვენმა ერაყელმა მეგობრებმა ეს ღალატად მიიჩნიეს. ამან დატოვა, სულ ცოტა, უნდობლობისა და ეჭვის მემკვიდრეობა".

გაეროს სანქციებმა საგრძნობლად დაასუსტა ერაყის სამხედრო პოტენციალი და მისი საფრთხე რეგიონისათვის შემცირდა. ამასთან, არსებობდა ეჭვი, რომ რეჟიმი ცდილობს სამხედრო ძლიერების აღდგენას, მათ შორის *მასობრივი განადგურების იარაღის* (*მგი*) შექმნითაც. სადამ ჰუსეინის უპასუხისმგებლო საომარი რიტორიკა, უპირველესად გათვლილი "შიდა მოხმარებაზე", ასეთ ეჭვებს აძლიერებდა.

2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ისლამისტური ტერორისტული ქსელის "ალ-კაიდას" მიერ ორგანიზებული უპრეცედენტო თავდასხმა ამერიკის ქალაქებზე – ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე. საკმაოდ მალე "ალ-კაიდას" ტერორიზმის მსხვერპლად იქცა სხვა ქვეყნების (ინგლისი, ესპანეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე,თურქეთი) მშვიდობიანი მოსახლეობა, იქ ჩასული ტურისტები.

ამერიკის 43-ე პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უმცროსი) მიერ გამოცხადებული "ომი ტერორიზმთან" სავსებით გასაგები რეაქცია იყო. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში გაგებით იქნა აღქმული "ალ-კაიდას" ხელმძღვანელების დევნა ავღანეთის ტერიტორიაზე და მათი მხარდამჭერი *თალიბების* რეჟიმის გაძევება დედაქალაქ ქაბულიდან 2001 წლის ბოლოს.

2002 წელს ამერიკის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცრ.) ამერიკისა და მსოფლიოს მტრებად დასახა ის ქვეყნები, სადაც, მისთვის მიწოდებული სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, ტარდებოდა მუშაობა *მგი*-ს საწარმოებლად და რომლებიც ხელს უწყობდნენ საერთაშორისო ტერორიზმს. "**ბოროტების ღერძად**"ამერიკის პრეზიდენტმა დაასახელა ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა, რაც "გეოპოლიტიკური ნონსენსი" იყო: ერაყი და ირანი ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ქვეყნებად რჩებოდნენ და ვერავითარ "ღერძს" (ანუ კავშირს) ვერც შექმნიდნენ.

აშშ-ის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ *მგი*-ს ფლობით ან მისი წარმოებისათვის მზადებით, ერაყის დიქტატორული რეჟიმი ემუქრებოდა როგორც რეგიონის სახელმწიფოების, ისე ამერიკის

უსაფრთხოებას.

2002 წლის 8 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 1441-ე დადგენილება, რომლის თანახმადაც ერაყში *მგი*-ს საცავების აღმოსაჩენად გაიგზავნა ექსპერტების ჯგუფი *ჰანს ბლიქსის* ხელმძღვანელობით. ოთხთვიანმა ინსპექციამ **არ დაადასტურა ერაყში** *მგი*-**ს არსებობა**.

მაგრამ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცრ.) იმდენად იყო დაინტერესებული ერაყში ომით, რომ კონტრარგუმენტებს არც უსმენდა. ამერიკულმა პროპაგანდამ დაარწმუნა ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა, რომ "9/11"-ის ტერორისტული აქტები ერაყში მზადდებოდა (სინამდვილეში ტერორისტები წარმოშობით საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან იყვნენ). პრეზიდენტმა ბუშმა და პრემიერ-მინისტრმა ბლერმაისე წარმოადგინეს სადამ ჰუსეინის რეჟიმის საფრთხე მსოფლიოსათვის, რომ სამხედრო წესით მისი მოშორება დასაშვები გამოჩენილიყო. ამერიკული და ბრიტანული ძალები ძირითად როლს თამაშობდნენ ანტიერაყულ კოალიციაში, რომელსაც, ძირითადად სიმბოლური ძალებით,შეუერთდა 30-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, ქუვეითი, კატარი და სხვ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან კოალიციას შეუერთდნენ *სუუამ*-ის ქვეყნები – საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა (უზბეკეთი მალე გამოეთიშა კოალიციას და გავიდა *სუუამ*-იდან: ამიტომაც დარჩა *სუამი*). მოგვიანებით კოალიციას შეურთდა სომხეთი.

ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭო, გაყოფილი აღმოჩნდა. საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, ჩინეთის, თურქეთის, არაბული ქვეყნების უმრავლესობის მთავრობებმა და მოსახლეობამაც ერაყში ინტერვენცია მიუღებლად მიიჩნიეს.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: სადამ ჰუსეინს, ვისი წასვლაც ქვეყნის სათავიდან ერაყელების უმრავლესობასაც კი არ დაამწუხრებდა, ფაქტობრივად მხარში ამოუდგა პაციფისტურად განწყობილი მასა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშიც, იმართებოდა"უკანონო ომის" საწინააღმდეგო დემონსტრაციები, ზოგან ერთდროულად მილიონამდე ადამიანის მონაწილეობით.

როდესაც პოლიტოლოგები ომის წინ მსჯელობდნენ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციის განხორციელებაზე, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ერაყის არაჩვეულებრივ სიმდიდრეს ნავთობის რესურსებით, რომლის კონტროლი დიდ გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ უპირატესობას იზლევა. არაბულ ქვეყნებში ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ერაყში ომის ძირითადი მიზანი იყო ნავთობის რესურსების ხელში ჩაგდება (იორდანიაში, მაგალითად, ასე ფიქრობდა მოსახლეობის 83 პროცენტი.

ერაყში შესული მოკავშირეთა არმიები ძალიან ზრუნავდნენ, რათა არ დაზიანებულიყო ნავთობსარეწი და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. ნაკლები ყურადღება ექცეოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ომის დროს ადგილობრივმა მარაოდიორებმა გაძარცვეს მსოფლიო ისტორიისათვის უნიკალური მნიშვნელობის მქონე ბაღდადის მუზეუმი, დაწვეს ბაღდადის ცნობილი ბიბლიოთეკა და სხვ.

ფაქტია ისიც, რომ დანგრეულის აღსადგენად გამოყოფილი ათობით მილიარდი დოლარის ათვისებისას და ბუნებრივი რესურსების გადანაწილებისას ყველაზე დიდი მოგება ამერიკულმა კომპანიებმა ნახეს.

ამასთან, ზოგი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ამერიკის რეალური გეგმის პირველი ნაწილი იყო "ბოროტების ღერძიდან" უსუსტესი რგოლის ამოგდება, რეგიონისათვის თავისი პოლიტიკური ნებისა და სამხედრო ძალის დემონსტრირება და, შემდეგ, "ირანის პრობლემის მოგვარება".

პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა (*უმცრ.) დაუჯერა, როგორც პრესა უწოდებდა, "ერაყის ომის არქიტექტორს", აშშ თავდაცვის მდივნის (მინისტრის) იმდროინდელ მოადგილეს *პოლ*

ვოლფოვიცსა და მის თანამზრახველებს, რომელთაც აშფოთებდათ ირანის მოსალოდნელი ბირთ-ვული საფრთხე ისრაელისათვის და, ამიტომაც, ირანსა და ისრაელს შორის ამერიკული არმიის ჩადგომა სურდათ.

ისრაელის ხელისუფლება არც მალავდა, რომ მის ინტერესებში იყო ამერიკელების მიერ ერაყის ოკუპაციის "მარტივი ოპერაციის" შემდეგ ირანის მიმართ სამხედრო სანქციების გატარება. ისრაელის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა *არიელ შარონმა* წამყვან ინგლისურ გაზეთში პირდაპირ მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას

> "ერაყთან ომის დამთავრების შემდეგ კონცენტრირება მოახდინოს ირანზე... მისი ხელმძღვანელობა ძალას არ იშურებს, რომ მასობრივი განადგურების იარაღს დაეუფლოს. ეს საფრთხეს უქმნის არა მარტო ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ ევროპასაც" .

სამხედრო ოპერაციას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა *საფრანგეთი*: ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საფრთხე ემუქრებოდა ფრანგული კომპანიების დიდ ინტერესებს ერაყში. გაეროს უშიშროების საბჭოში ერაყში ინტერვენციის საკითხზე კენჭისყრისას საფრანგეთის მოსალოდნელი ვეტო (ის, რომ რუსეთი და ჩინეთი ვეტოს უფლებას გამოიყენებდნენ, ისედაც ნათელი იყო) ამერიკამ და ბრიტანეთმა გამოიყენეს საბაბად, რათა აღარ გაეტანათ *უშიშროების საბჭოზე* რეზოლუციის პროექტი, რომლის სასარგებლოდ საბჭოს 15 წევრი ქვეყნის კვალიციფიური უმრავლესობის, ანუ 9 ხმის, მიღებაც კი საეჭვო ჩანდა.

საერთაშორისო სამართლის პოზიციიდან ერაყში ომის წამოწყება უკანონო იყო.

ის, რომ ერაყში შეჭრა ამერიკის ადმინისტრაციის ისტორიული შეცდომა იყო, მრავალჯერ ითქვა. პრეზიდენტმა *ბარაკ ობამამ* კაიროში 2009 წლის 4 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში სინანულით აღნიშნა, რომ

> "ერაყში ომი ამერიკის არჩევანი იყო და მან წარმოქმნა ძალიან განსხვავებული მოსაზრებები ჩემს ქვეყანასა და მსოფლიოში... ერაყის მოვლენებმა გაახსენა ამერიკას თავისი პრობლემების გადასაჭრელად დიპლომატიის გამოყენებისა და საერთაშორისო კონსენსუსის შექმნის საჭიროება ".

საკმაოდ რბილადაა ნათქვამი თავისი წინამორბედის პოლიტიკის შესახებ!

ერაყს, რომელიც მართლაც იმართებოდა სასტიკი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის მიერ (ერაყის სასამართლოს განაჩენით ის 2006 წლის 31 დეკემბერს ჩამოახრჩეს), დაბრალდა მასობრივი განად-გურების იარაღისა და მათი გადასატანი საშუალებების – რაკეტების – ქონა, თუმცა გაეროს ინსპექტორების ჯგუფმა საგულდაგულო კვლევის შემდეგ უარყო ეს ბრალდებები.

მოგვიანებით, 2005 წლის აპრილში *აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ* აღიარა, რომ ***სადამის დროინდელ ერაყს არ ჰქონდა მგი.*** ერაყის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი გაბათილდა. ამ არგუმენტის უსუსურობა უკვე 2003 წლის დამდეგსვე იყო ცნობილი. მაგრამ იმ დროს ომისათვის ყველაფერი მზად იყო, ჯარები – მობილიზებული, იარაღი – შემოზიდული. ვიღაც მეცნიერთა დასკვნის გამო ახლო აღმოსავლეთიდან უკან ხომ არ წაიყვანდნენ ავიამზიდებს! ეს ხომ ამერიკის პრესტიჟს მიწასთან გაასწორებდა! თანაც საქმე მარტივი ჩანდა: ერაყის განთავისუფლებას დიქტატურისაგან ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით უნდა შეხვედროდა, ხოლო ბაღდადიდან თეირანამდე სულ ხუთასიოდე კილომეტრი დარჩებოდა!

2003 წლის 20 მარტს კოალიციის ამერიკულ-ბრიტანულმა ნაწილებმა დაიწყეს სამხედრო მოქ-მედება ერაყში, დაამარცხეს მისი არმია, აიღეს ბაღდადი და სამი კვირის შემდეგ სამხედრო კონტროლი დაუწესეს მთელ ქვეყანას.

კოალიციამ ერაყში თავიდან საკუთარი დროებითი ადმინისტრაცია შექმნა. აიკრძალა *ბაას*-ის პარტია, ხოლო პარტიის წევრები (ასეთი კი მილიონზე მეტი იყო, რადგან სადამის დროს მხოლოდ

პარტიის წევრობა იძლეოდა სამსახურეობრივი წინსვლის საშუალებას) საჯარო სამსახურიდან დაითხოვეს: პროფესორები, მასწავლებლები, ექიმები, მოხელეები უმუშევრად დარჩნენ, რამაც სოციალური პროტესტი გაზარდა.

ერაყში 2003-2011 წლებში დაიღუპა, დასახიჩრდა და დაიჭრა მეოთხედ მილიონზე მეტი ადამიანი. რამდენიმე მილიონი ადამიანი ქვეყნიდან გაიხიზნა (დიდი ნაწილი დაბრუნდა). სადამ ჰუსეინის რეჟიმი, რაოდენ ტირანულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ასეთი რაოდენობის მსხვერპლს არ ითხოვდა, თანაც მანამდე ადამიანებს შიში მხოლოდ მთავრობის მიმართ ჰქონდათ, 2003 წლიდან კი საფრთხე ყველა მხრიდან გახდა მოსალოდნელი.

სადამ ჰუსეინი მართლაც ახორციელებდა ტერორს საკუთარი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ საერთაშორისო (მათ შორის "ალ-კაიდას") ტერორისტები ერაყში ვერ გაიჭაჭანებდნენ. 2003 წლიდან კი ერაყში ტერორიზმმა თავი აიშვა.

ერაყის ახალი მთავრობის შექმნა ძალიან გაჭირდა. საბოლოოდ, ის შეიქმნა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის – შიიტი არაბების – დომინაციით. ახალი კონსტიტუცია მოსახლეობამ მოიწონა 2005 წლის 15 ოქტომბრის რეფერენდუმზე.

2008 წელს, ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის დროს, აშშ და ერაყის ახალი ხელისუფლება, რომელიც შიიტი არაბებისა და ქურთების კოალიციას წარმოადგენდა, შეთანხმდნენ, რომ ამერიკის სამხედრო ნაწილები საბოლოოდ დატოვებენ ერაყს 2011 წლის 31 დეკემბრამდე. პრეზიდენტმა ობამამ ეს შეთანხმება შეასრულა.

2011 წლიდან ერაყის მთავრობა მეტნაკლებად მართავს მთელ ერაყს, თუმცა სექტარული ტერორიზმი არ შეწყვეტილა. ქვეყანა არ დაიშალა, თუმცა ერაყის ქურთისტანში ჩამოყალიბდა ავტონომიური მთავრობა, საკუთარი არმიითა და პოლიციით.

ერაყის შიიტური რეჟიმი ასევე შიიტური ირანის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილია.

2014 წელს ერაყის ტერიტორიაზე გაჩნდა "დაიშ"-ი ("ისლამური სახელმწიფო"., რომელმაც მალე დაიპყრო ერაყის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი და სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა ბაღდადს. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერაყს ძალიან დაეხმარა სწორედ ირანი

2017 წელს ერაყის სამთავრობო ჯარებმა შეძლეს მოსულის, ქვეყნის მეორე ქალაქის, "დაიშ"-ისაგან განთავისუფლება მხოლოდ ამერიკის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ავიაციისა და ირანის არმიის დახმარებით (თუმცა ამას მოჰყვა თითქმის მთელი ქალაქის ნანგრევებად ქცევა).

შეუძლია თუ არა ქვეყნის მთავრობას, რომელიც 2018 წლის არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვე იქმნებოდა, მოუტანოს მეტი ერთიანობა ქვეყანას? შეამციროს დაპირისპირება ქურთებსა და არაბებს, შიიტებსა და სუნიტებს შორის? ჩაატაროს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო რეფორმები? ებრძოლოს კორუფციას? მოუტანოს უსაფრთხოება ხალხს? საერთოდ, აღადგინოს დანგრეული ქვეყანა?

თემა 24
სირიის შიდაპოლიტიკური პრობლემები

არაბები მიიჩნევენ სირიას "არაბული სამყაროს გულად", მისი ისტორიისა და მდიდარი კულტურის გამო. დამასკო ოდესღაც იყო უმაიანთა სახალიფოს – მსოფლიო დონის იმპერიის – ცენტრი.

ქვეყანას საკვანძო მდებარეობა აქვს წინა აზიაში. მასზე ისტორიულად გადიოდა და ახლაც გადის მრავალი სატრანსპორტო კომუნიკაცია.

იქამდე, სანამ 2011 წელს სირიაში დაიწყებოდა ჯერაც დაუსრულებელი სამოქალაქო ომი, მისი მოსახლეობის მრავალეთნიკურობა და მრავალკონფესიურობა პრობლემას აქ ქმნიდა. სირიელების სამოქალაქო იდენტობა საკმაოდ ძლიერი ჩანდა: ყველა **სირიელი** იყო, მიუხედავად სარწმუნოებისა. ქვეყნის შიგნით ბოლო დრომდე თითქმის არ აღინიშნებოდა ეთნორელიგიური კონფლიქტები.

რადგან ბოლო პერიოდის მონაცემები არაა და სამოქალაქო ომმა უამრავი ლტოლვილი და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი წარმოშვა, ოპერირება გვიხდება XXი საუკუნის დასაწყისის მონაცემებით, როდესაც ქვეყანაში ჭარბობდნენ სუნიტები (მოსახლეობის 74 პროცენტი), 10 პროცენტზე მეტი ალავიტები იყვნენ, რომელთაც შიიტების ნაირსახეობად მიიჩნევენ. საკმაოდ იყო სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანი, უმეტესობა მართლმადიდებელი, ნაწილი –გრიგორიანი სომეხი.სირიის ზოგიერთ არაბულენოვან რელიგიურ ჯგუფს, კერძოდ ალავიტებს და დრუზებს გამოკვეთილი ტერიტორიული განსახლება ჰქონდათ (და დღემდე აქვთ), რაც საბაბს აძლევდა საფრანგეთს, რომელიც 1922-1943 წლებში ოფიციალურად ფლობდა სირიის მართვის მანდატს, შეექმნა დრუზებისა და ალავიტების ნახევრად-ავტონომიური რეგიონები.

დანარჩენი, ძირითადად არაბულენოვანი სირიელებისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან საკუთარ ენაზე მეტყველი ქურთები, თუმცა სარწმუნოებრივად ისინი უმრავლესობას – სუნიტ მუსლიმებს – წარმოადგენენ.

1940-იანი წლებიდან შუაგულიდან 1970 წლამდე დამოუკიდებელი სირია პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყანაიყო. სამხედრო გადატრიალებები იქ თითქმის პერმანენტულად ხდებოდა იქამდე, სანამ თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა *ჰაფიზ ალ-ასადმა* 1970 წლის გადატრიალების შემდეგ შექმნა მდგრადი ავტორიტარული რეჟიმი. 1971-2000 წლებში ის უცვლელი პრეზიდენტი იყო. შეიძლება ითქვას, რომ *ასადი* თანამედროვე სირიის შემქმნელია. ასადის მტკიცე მმართველობამ (რაც "დიქტატურის" ევფემიზმია, დემოკრატიაზე ლაპარაკიც ზედმეტია!) შექმნა სტაბილურობა იქამდე ძალიან ტურბულენტურ სირიაში. ასადის რეჟიმი ძირითადად ეყრდობოდა სირიელ *ალავიტებს* (ის თვითონაც ამ სექტას განეკუთვნებოდა), რომლებმაც ჯერ კიდევ ფრანგული მანდატის დროს მიაღწიეს მაღალ თანამდებობებს ადგილობრივ ადმინისტრაციაში (იხ. მე-2 თავი), ხოლო 1970-იანი წლებიდან შეადგინეს ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დიდი უმრავლესობა. უნდა ითქვას, რომ ასადის რეჟიმი სავსებით მისაღები იყო სირიელი ქრისტიანებისთვისაც.

ჰაფიზ ალ-ასადი თავის მემკვიდრედ ამზადებდა უფროს ვაჟს. მაგრამ 1994 წელს ის ავტოკასტროფაში დაიღუპა. ამიტომაც მემკვიდრედ იქცა უმცროსი ვაჟი, *ბაშარი*, რომელიც ლონდონში ოფტალმოლოგიას სწავლობდა. 2000 წელს, ჰაფეზ ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ,სირიის მმართველმა ელიტამ, რომელსაც თბილი ადგილების დაკარგვა არ უნდოდა, პრეზიდენტად *ბაშარ ალ-ასადი* "დასვა": ის რეფერენდუმის წესით, უკონკურენტოდ აირჩიეს პრეზიდენტად. ამისათვის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაც კი მოუხდათ: პრეზიდენტის ასარჩევი მინიმალური ასაკი 40-დან 34 წლამდე დასწიეს, რაც იმ დროს ზუსტად შეესაბამებოდა ბაშარის ასაკს.

თავიდან იქმნებოდა შთაბეჭდილებას, რომ ევროპულად რაფინირებული, ინგლისურად მოლაპარაკე ჯენტლმენი (მკვეთრი კონტრასტი ერაყის უხეშ დიქტატორ სადამ ჰუსეინთან, ირანელ აიათოლებთან და სხვადასხვა არაბ შეიხებთან!) თავის ქვეყანაში ლიბერალურ რეფორმებს გაატარებდა.

იმედები არ გამართლდა. პრეზიდენტის უშუალო გარემოცვა მეტისმეტად კონსერვატიული აღმოჩნდა, რომ სერიოზული რეფორმები დაეშვა, რაც მათ ოლიგარქიულ კეთილდღეობას

დაემუქრებოდა.

გარკვეული გარღვევები საგარეო პოლიტიკაში კი იყო.

2005 წელს სირიამ გაიყვანა თავისი არმიის ნაწილები ლიბანიდან, რომლებიც იქ 1976 წელს შევიდნენ ლიბანის სამოქალაქო ომში ქრისტიანი მარონიტების მხარდასაჭერად. 2008 წელს სირიამ გახსნა თავისი პირველი საელჩო ბეირუთში, 2009 წელს კი ლიბანმა – საელჩო დამასკოში. გაუმჯობესდა ურთიერთობა თურქეთთან: სავიზო რეჟიმი ორ ქვეყანას შორის გაუქმდა. სირიის პრეზიდენტი პირველად ესტუმრა ანკარა. სირია გაემიჯნა ქურთულ სეპარატიზმს, რომელიც პოტენციურად მისთვისაც საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. თურქეთი ერთხანს შუამავლობდა სირიასა და ისრაელს შორის მოლაპარაკებას გოლანის მაღლობთან დაკავშირებითა. აამერიკამ 2010 წლის თებერვალში დანიშნა თავისი ელჩი დამასკოში: პოსტი 2005 წლიდან ვაკანტური იყო. ისრაელთანაც კი, რომელსაც ანექსირებული აქვს სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობი, კონფლიქტი პრაქტიკულად გაყინული იყო. 2005-2006 და 2008 წლებში სირიას და ისრაელს არაპირდაპირი მოლაპარაკების მცდელობაც კი ჰქონდათ.

მაგრამ ეს ყველა პოზიტიური მომენტი წარსულში დარჩა.

2011 წლიდან სირიას გადაედო "არაბული გაზაფხული" და ის მსოფლიო მას მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა – ნეგატიური თვალსაზრისით.

ანტისამთავრობო დემონსტრაციები, რომელთაც მთავრობა უხეში ძალით ახშობდა, მალე სამოქალაქო ომში გადაიზარდა. რასაკვირველია, ვერ გამოვრიცხავთ გარეშე ძალების ჩარევას. თურქეთის მთავრობამ თითქმის თავიდანვე დაუჭირა მხარი ისლამისტურ ძალებს სირიაში. მათ ძირითადად კატარის მთავრობა აფინანსებდა. ვითარება ძალიან აიჭრა, გაჩნდა უამრავი ძალა, რომელთაც სხვადასხვა სპონსორები ჰყავდათ.

ბაშარ ალ ასადის სახელისუფლებო არმიას მოუხდა ბრძოლა "თავისუფალ სირიულ არმიასთან", რომელიც თავიდან სამთავრობო არმიის დეზერტირებით დაკომპლექტდა და შემდეგში მოხალისეებით შეივსო. ოპოზიციურ ძალებს წარმოადგენდნენ ისლამისტური დაჯგუფებები "განთავისუფლების ნაციონალური ფრონტი", "ისლამური ფრონტი", "ჯაიშ ალ-ისლამი", "თაჰრირ აშ-შამი", "ფრონტი ან-ნუსრა", „რელიგიის მცველთა ორგანიზაცია". ისინი ხანდახან ერთმანეთსაც ეომებოდნენ უცხოელი სპონსორებისაგან ფინანსური დახმარების მისაღებად.

2013 წლიდან სირიაში გამოჩნდა ტერორისტული ორგანიზაცია "დაიშ"-ი ("ისლამური სახელმწიფო"), რომელიც მთელი სირიის დაპყრობას გეგმავდა.

ცალკე დგას "ჩრდილოეთ სირიის დემოკრატიული ფედერაცია", რომელსაც ასევე იცნობენ, როგორც "**როჟავას**". წამყვან პოლიტიკურ პარტიას იქ წარმოადგენს 2003 წელს დაარსებული ქურთული უმცირესობის "დემოკრატიული ერთიანობის პარტია" (PYD). ამ პარტიის საბრძოლო ფრთას წარმოადგენს (YPG, რაც ქურთულ ენაზე ნიშნავს "ხალხის დაცვის ერთეულებს". 2012 წლიდან როჟავა ფაქტობრივად სირიელი ქურთების ავტონომიაა, თუმცა დამასკოს ეს არ უცვნია.

2012 წელს YPG-ს უკვე მოუხდა ბრძოლა ისლამისტ მეამბოხე ჯგუფებთან, მათ შორის "ალ-კაიდასთან" დაკავშირებულ "ან-ნუსრას ფრონტთან", 2014 წლიდან კი "დაიშ"-ისაგან თავის დაცვა დასჭირდა. იარაღით და ლოგისტიკით ქურთებს ამერიკა და კოალიციის სხვა წევრი ქვეყნები ამარაგებს.

2015 წლის შემოდგმაზე PYD-მა, ამერიკელების რჩევით, შექმნა "სირიის დემოკრატიული ძალები" (Syrian Democratic Forces, SDF), რამაც გაადვილა მასში ადგილობრივი არაბებისა და სხვა უმცირესობების, მათ შორის ასირიელების, წარმომადგენელთა ჩართვა: ეს აღარ არის მხოლოდ ქურთების ორგანიზაცია. 2017 წელს SDF-მა დაი'იშ"-ისგან გაათავისუფლა ქ. რაკა, რომელიც ისლამისტების de facto დედაქალაქი იყო.

ქურთები სირიის მთავრობას ფორმალურად არ უპირისპირდებიან, მაგრამ თავის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე უკვე აქვთ რაღაც "პროტო-სახელმწიფოს" მსგავსი ერთეული.

ძალიან მალე **სირიის სამოქალაქო ომში ჩაერთვნენ გარეშე ძალები**.

"თავისუფალ სირიულ არმიას" თავიდანვე აქტიურად დაუჭირა მხარი თურქეთმა, რომელიც ბაშარ ალ-ასადს მიიჩნევდა სისხლისღვის წამოწყებაში მთავარ დამნაშავედ და ხელისუფლებიდან მის წასვლას მოითხოვდა.

2016 წელს თურქეთმა განახორციელა პირველი სახმელეთო ოპერაცია სირიის ტერიტორიაზე ("ევფრატის ფარი"). 2018 წლის ოპერაცია "ზეთისხილის რტო" გამიზნული იყო სირიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარე ქურთული ანკლავის – აფრინის – გასანადგურებლად. ანკარისათვის ქურთების ნებისმიერი გასამხედროებული ძალები ტერორისტებია, რადგან მათ, სხვათა შორის არც თუ უსაფუძლოდ, მიიჩნევს თურქეთში მოქმედ ქურთების ორგანიზაცია PKK-სთან კავშირში მყოფად.

ამერიკელები ერთხანს ეხმარებოდნენ სირიის ანტისამთავრო ძალებს, მაგრამ მალე გაიგეს, რომ, მათი სამხედრო დახმარება რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებთან და თვით "დაიშ"-თან მიდიოდა. "დაიშ"-ის წინააღმდეგ ამერიკულ დახმარებას ყველაზე ეფექტიანად იყენებდნენ სირიელი ქურთები. ამერიკის დახმარება "ჩრდილოეთ სირიის დემოკრატიული ფედერაციისათვის" თურქეთის დიდი უკმაყოფილების საგანი იყო.

ბაშარ ალ-ასადს ეხმარებოდნენ ირანის "რევოლუციის მცველთა" ძალები და "ჰეზბოლა", რაც ისრაელისა და ამერიკის უკმაყოფილების საგანი იყო.

2015 წლის სექტემბრის ბოლოს ბაშარ ალ-ასადის ოფიციალური მოწვევით საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო რუსეთის ფედერაცია.

თითქმის რვაწლიანი ბრძოლების შემდეგ სირიის შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ ქვეყნის ტერიტორიის 62 პროცენტს, ქურთები – 27 პროცენტს (მდ. ევფრატის მარცხენა ნაპირიდან სირიის საზღვრებამდე თურქეთთან და ერაყთან: მცირე ფართობს ქ. მანბიჯის ირგვლივ, ევფრატის მარჯვენა ნაპირზეც), სხვადასხვა მეამბოხე ჯგუფები და მათი მფარველი თურქეთი – 10 პროცენტს (ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ სირიის იდლიბის მუჰაფაზაში*) და 0,6 პროცენტი რჩებოდა "დაიშ"-ის კონტროლქვეშ (ძირითადად ერაყის საზღვართან).

სირიის სამოქალაქო ომში უკვე დაიღუპა 400 ათასზე მეტი ადამიანი; 8 მილიონამდე ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირია, 8 მილიონზე მეტი – სხვა ქვეყნებში გაიხიზნა. ეკონომიკა გაპარტახებულია.

თუ 2015 წლის სექტემბერში მაქსიმალურად დასუსტებული *ბაშარ ალ-ასადი* ნებისმიერ დათმობაზე მიდიოდა თავისი რეჟიმის გადასარჩენად, 2018 წლისათვის მას გამარჯვების ილუზია გაუჩნდა და ის არავითარ კომპრომისზე არ მიდის ოპოზიციურ ძალებთან.

სამოქალაქო ომს ჯერჯერობით დამთავრების პირი არ უჩანს.

თემა 25

"არაბული გაზაფხული": კეთილი განზრახვა, მძიმე შედეგები

2011 წელს რეგიონში მოხდა მოვლენები, რომელთაც მსოფლიო მასმედიამ მალე გამოუნახა რომანტიკული სახელი – «არაბული გაზაფხული:.

მოვლენები კი ასე დაიწყო:

2010 წლის 17 დეკემბერს თუნისის ერთ პროვინციულ ქალაქში ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ახალგაზრდის მიმართ გამოჩენილი პოლიციური უსამართლობა (რაც არაბულ ქვეყნებში ლამის ჩვეულებრივი ამბავია) ტრაგიკულად დამთავრდა: პროტესტის ნიშნად ქალაქის მერიის წინ ახალგაზრდამ თავი დაიწვა. ინციდენტმა უკვალოდ არ ჩაიარა. ის ცნობილი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც მთელ თუნისში ააგორეს საპროტესტო ტალღა. ტელევიზიამ, მობილურმა ტელეფონმა, ინტერნეტის სოციალურმა ქსელებმა განაპირობეს პროტესტის მასობრივი ხასიათი. ხალხში წლების განმავლობაში გროვდებოდა რეჟიმით უკმაყოფილება. ახლა მან გამოსავალი იპოვა.

პოლიციის უხეშ მცდელობას დაეშალა დემონსტრაციები მოჰყვა 200-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა. ამან პროტესტი მკვეთრად გაამძაფრა. არმია კონფლიქტში არ ჩაება და ფაქტობრივად განუდგა პრეზიდენტ *ზინე ელ-აბიდინ ბენ ალის,* რომელიც იქამდე 23 წლის განმავლობაში რკინის ხელით მართავდა ქვეყანას. 2011 წლის14 იანვარს ბენ ალი ოჯახთან ერთად გაიქცა საუდის არაბეთში და, როგორც მერე გაირკვა, ხელს გააყოლა თუნისის სახელმწიფო ბანკის 1,5 ტონა ოქრო.

უნდა ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ თუნისის ახალი ხელისუფლება დემოკრატიული გზით აირჩიეს და იქ მართლაც გატარდა რეფორმები.

რადგან სატელევიზიო გადაცემები ყველა არაბულ ქვეყანაში სალიტერატურო არაბულ ენაზე მიმდინარეობს, თუნისის ამბებს სხვაგანაც ადევნებდნენ თვალს. კატარში ბაზირებულმა ტელეარხმა «ალ-ჯაზირამ" კი ეს ამბები მთელ მსოფლიოს მოსდო.

თუნისის რევოლუციის სწრაფმა წარმატებამ "დომინოს ეფექტით" ითამაშა საპროტესტო აფეთქების დეტონატორის როლი მრავალ არაბულ ქვეყანაში, სადაც ხალხი ასევე უკმაყოფილო იყო თავისი კორუმპირებული მთავრობით: «თუკი თუნისელებმა შეძლეს, ჩვენც შეგვიძლია მოვიშოროთ ჩვენი მტარვალები»! საყოველთაო ლოზუნგად იქცა "ხალხი მოითხოვს რეჟიმის დამხობას".

2011 წლის იანვარშივე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში, შემდეგ – სირიაში და ჩრდილოეთ აფრიკის არბულ ქვეყნებში.

2011 წლის 25 იანვარს მასობრივი გამოსვლები დაიწყო 30 წლის განმავლობაში ეგვიპტის უცვლელი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ. უშიშროების ორგანოებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს: სხვადასხვა ქალაქში ჯამში 840-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 6 ათასამდე დაიჭრა.

ისევე, როგორც თუნისში, ეგვიპტეშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა არმიის პოზიცია: გენერლებმა მხცოვან პრეზიდენტს გადადგომა მოსთხოვეს და 11 თებერვალს მან პოსტი დასტოვა. ეგვიპტის შეირაღებული ძალების ხელმძღვანელობამ დროებით ხელში აიღო ძალაუფლება, დაშლილად გამოაცხადა იქამდე სახელისუფლებო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ქვეყანაში ახალი არჩევნები დანიშნა.

დასავლეთის მასმედიამ 2011 წლის მოვლენებს სახელად "არაბული გაზაფხული" მიანიჭა, რადგან გაჩნდა იმედი, რომ "არაბმა ხალხებმა ზამთრის ძილისაგან გამოიღვიძეს, კორუფციას დაუპირის-პირდნენ, მალე დემოკრატიული გარდაქმნების მომსწრე გავხდებით!"

"არაბული გაზაფხულის" თავდაპირველი წარმატებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა შიდა პრობ-ლემები. მათ შორისაა ის, რომ არაბულ ქვეყნებში ახალგაზრდა ასაკის ადამიანთა ძალიან სწრაფად მზარდი რაოდენობა ვერ პოულობს დასაქმებას; ურბანიზაციის შედეგად სოციალური კონტროლი

შესუსტებულია; მოსახლეობის ინფორმირებულობა გაიზარდა; კულტურულმა მოთხოვნილებებმა მოიმატა; სოციალური მობილობის შეზღუდულობა უკმაყოფილებას იწვევს; ხელმძღვანელების უცვლელი მმართველობა ელიტარული კორუფციის საფუძველია; არჩევნები გაყალბებით ტარდება (თუ საერთოდ ტარდება!); ელიტებს დაუოკებელი მომხვეჭელობა ახასიათებთ და ა.შ.

ეს სავსებით საკმარისი ფაქტორებია დიდი სოციალური ძვრებისათვის.

გარდა ამისა, არაბული ქვეყნების განათლებულმა ნაწილმა "უკეთესი ცხოვრება" საზღვარგარეთ ყოფნისას ან ინტერნეტით ნახა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუაში ფრანგი პოლიტოლოგი *ალექსის დე ტოკვილი* სავსებით სამართლიანად წერდა,

> "რევოლუციები იმის გამო კი არ ხდება, რომ ადამიანები ცუდად ცხოვრობენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უკეთ ცხოვ¬რება უნდათ".

დასავლეთელი სპეციალისტებისათვის "არაბული გაზაფხული" სრული მოულოდნელობა აღ-მოჩნდა. მათ მიაჩნდათ, რომ ვაშინგტონის მოკავშირე ავტორიტარული არაბი ლიდერები სტაბილურობის საიმედო გარანტები არიან.

სამწუხარო რეალობაა, რომ თუნისის გარდა, რეალური შედეგი არსად გვაძლევს "არაბული გაზაფხულის" საბოლოო წარმატებაზე საუბრის უფლებას.

ამის თვალსაჩინო მაგალითებია ეგვიპტე, იემენი, სირია.

2011 წელს **ეგვიპტის** ისტორიაში პირველად დემოკრატიულად, კონკურენტულ გარემოში ჩატარე-ბულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა იქამდე დათრგუნულმა ისლამისტურმა პარტიამ "მუსლი-მურმა საძმომ", ხოლო პრეზიდენტად ეგვიპტელებმა აირჩიეს იმავე პარტიის მიერ მხარდაჭერილი *მოჰამედ მორსი.*

"ეგვიპტური დემოკრატია" დიდხანს არ გაგრძელებულა. რადიკალური ისლამიზმის განმტკიცების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით 2013 წელს ეგვიპტის არმიამ, თავდაცვის მინისტრის აბდელ-ფათაჰ ელ-სისის ხელმძღვანელობით, კონტრრევოლუცია მოაწყო. მოჰამედ მორსი დააპატიმრეს. ახალი პრეზიდენტი 2014 წელს ამომრჩეველთა 97 პროცენტის მხარდაჭერით გახდა ფელდმარშალი აბდელ-ფათაჰ ელ-სისი. "მუსლიმურ საძმოს" და იმავე მორსის ლიბერალურ ოპოზიციას კი ცუდი დღე დაუდგათ. ისე ჩანს, რომ ახალ რეჟიმთან შედარებით მუბარაქის ხანა ბევრს სანატრელი გაუხდება.

იემენში პრეზიდენტმა ალი აბდალაჰ სალეჰმა იმდენ ხანს გააჭიანურა თავისი დაპირების შესრულება გადადგომის შესახებ, სანამ ამას არ მოჰყვა სამოქალაქო ომი (რაც, სამწუხაროდ, იემენში ლამის ჩვეულებრივი ამბავია!).

განსაკუთრებული შემთხვევა გამოდგა **სირია,** რომლის შესახებ მსჯელობა ცალკეა. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ სახალხო პროტესტმა გამოიწვია სირიის არაჰომოგენური საზოგადოების გახლეჩა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ომი, რომელშიც გარეშე ძალებიც ჩაერიენ. ომი რვა წლის შემდეგაც არ იყო დამთავრებული.

ზოგიერთ არაბულ მონარქიაში (საუდის არაბეთი, ქუვეითი, კატარი, ომანი) თუნისისა და ეგვიპტის ამბების შემდეგ დაუყოვნებლივ მიიღეს წინმსწრები ზომები – სახელმწიფო მოხელეებს გაუზარდეს ხელფასი, რიგით მოქალაქეებს – პენსია ან შემწეობა. სხვა მონარქიებში კი (იორდანია, ომანი,

ბაჰრეინი), ეკონომიკური ზომების დამატებით, მინისტრების ნაწილი ან მთელი მთავრობაც კი შეცვალეს.

მდიდარი არაბული მონარქიების უმეტესობას "არაბულმა გაზაფხულმა" გვერდით ჩაუარა, რადგან ადგილობრივი მოქალაქეები არ იყვნენ დაინტერესებული შეერყიათ პოლიტიკური სისტემა, რომელიც მათ მატერიალურ კეთილდღეობას ასე თუ ისე უზრუნველყოფს. იმავე ქვეყნებში მყოფი, მრავალ ენაზე მეტყველი, უცხოელი მუშები და მომსახურე პერსონალი კი, ზოგან მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რომ შეადგენენ, პროტესტის ორგანიზებას ვერც შეძლებდნენ.

უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – იყო თუ არა არაბული რევოლუციები ინსპირირებული რეგიონის გარედან (იგულისხმება – "დასავლეთიდან")?

"წინასწარ დაგეგმილი შეთქმულების" კვალი არ ჩანს. დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში იყო პრიმიტიულ უვიცობაზე დაფუძნებული იმპულსური გადაწყვეტილებები, რაც სამწუხაროდ, დემოკრატიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაშიც ხდება ხოლმე.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის (პრეზიდენტი მაშინ ბარაკ ობამა იყო) რეაქცია ორაზროვანი იყო. ობამამ თავიდან პოზიტიური განწყობა გამოამჟღავნა ეგვიპტეში ცვლილებების მიმართ, თუმცა მუბარაქი პროამერიკული ლიდერი იყო. მაგრამ აშშ-სა და ისრაელისათვის არაბული ავტორიტარული რეჟიმები "შეჩვეული ჭირი" იყო.

სირიის რეჟიმის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმართ ამერიკასა და ევროკავშირს ერთხანს სათანადო რეაქცია არ ჰქონდათ და მხოლოდ მაშინ დაიწყეს დამასკოს დაგმობა, როდესაც ხოცვა-ჟლეტამ ფართო მასშტაბი შეიძინა. ამავე დროს, სირიის რეჟიმის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციების მიღებას ბლოკავდნენ რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც თავიანთი ინტერესები ჰქონდათ და აქვთ ბაშარ ალ-ასადის მთავრობასთან.

ქაოტური ვითარება ახლომდებარე ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში დღემდე ქმნის სერიოზულ პრობლემებს ევროპული კავშირისათვის.

არაბული ავტოკრატიული რეჟიმების მდგრადობა განპირობებული იყო დასავლეთის გეოპოლიტი-კური და გეოეკონომიკური ინტერესებით. ეს ინტერესები დღის წესრიგში რჩება.

"არაბული გაზაფხულის" წარმატება მხოლოდ არაბული ქვეყნების ლიბერალური ინტელიგენციის რომანტიკულ ოცნებებში დარჩა.

"არაბული გაზაფხულის" სტიქიურად დაწყებისას რელიგიური მომენტი ზედაპირზე არ ჩანდა. ბაჰრეინშიც კი, უკმაყოფილო შიიტური უმრავლესობა, რომელიც სუნიტური ელიტის მხრიდან ჩაგვრას უჩიოდა, რელიგიურ მომენტს მაქსიმალურად უვლიდა გვერდს.

მაგრამ რევოლუციის მეთაურობა იკისრეს შედარებით უკეთ ორგანიზებულმა ისლამურმა მოძრაო-ბებმა და პარტიებმა (ეგვიპტესა და სირიაში – "მუსლიმურმა საძმომ", იორდანიაში "ისლამური მოქმედების ფრონტმა"). ადრე, 1979 წელს, ასე მოხდა ირანში, სადაც მასების სოციალური უკმაყო-ფილებით ისარგებლეს შიიტურმა კლერიკალურმა წრეებმა და ისლამური რეჟიმი დაამყარეს.

თემა 26
"ისლამური სახელმწიფო"

2013 წლიდან ოთხიოდე წლის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო ახლო აღმოსავლეთში გამოცხადებული "ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო", ანუ "დაიშ"-ი. მისი ლიდერები, რომლებიც უკლებლივ განეკუთვნებოდნენ ისლამის სუნიტურ მიმართულებას, თავის საბოლოო მიზნად სახავდნენ ათასი წლის წინათ არსებული არაბული სახალიფოს აღდგენას, ცენტრით ბაღდადში და სახელმწიფოს მართვას შუა საუკენეების დროინდელი წესებით. ამ მიზნის მისაღწევად "დაიშ"-ი მიმართავდა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით ბრძოლას "ურწმუნოებთან" (ქაფირებთან/გიაურებთან, ანუ არა-მუსლიმებთან) და "მწვალებლებთან" (იგულისხმებოდნენ შიიტი მუსლიმები).

ეჭვგარეშეა, რომ მზადება "ისლამური სახელმწიფოს" შესაქმნელად წინასწარ დაიწყო. საკმაოდ მალე გაირკვა, რომ სამხედრო მომზადებასა და დაზვერვაში მას ეხმარებოდნენ სადამ ჰუსეინის დროინდელი ერაყის არმიის ოფიცრები, რომლების 2003 წელს შემოსულმა ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უმუშევრად დატოვა.

დაიშ"-ის მხარეს თავი მოიყარა უამრავმა ფანატიკოსმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ჩრდილოეთ აფრიკიდან, რუსეთიდან (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგისპირეთიდან) ცენტრალური აზიიდან და ჩინეთის სინძიანიდანაც კი. დასავლეთ ევროპიდან მას შეუერთდნენ ძირითადად ადგილობრივი მუსლიმები და ზოგიერთი, ისლამზე გადასული ევროპელიც. მათ ადვილად შეაღწიეს ერაყში ჩრდილოეთიდან – თურქეთის და სირიის გავლით, ან სამხრეთიდან – იორდანიის გავლით.

მოულოდნელობის ეფექტი ძალიან დიდი იყო. ორმილიონიანი ქალაქი მოსული, ჩრდილოეთ ერაყში, "დაიშ"- მა უსწრაფესად დაიკავა, თანაც ისე, რომ ხელში ჩაუვარდა იქ განლაგებული ერაყის არმიის სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება და ბანკებში შენახული ასობით მილიონი ადგილობრივი და ამერიკული ვალუტა. ერაყის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები უბრალოდ გაიქცნენ მოსულიდან ან ადგილობრივ მოსახლეობას შეერიენ. მოსული "დაიშ"-ის "დროებით დედაქალაქად" იქცა "ბაღდადის დაპყრობამდე", რომელსაც ისლამისტები ძალიან მალე მიუახლოვდნენ. მაგრამ აქ მათ დახვდათ ბრძოლისუნარიანი არმიის ნაწილები, რომელთაც. დახმარება აღმოუჩინა ამერიკულმა ავიაციამაც.

ადგილობრივი სუნიტური მოსახლეობა ახალ სახალიფოს ძალიან პასიურ წინააღმდეგობას უწევდა, იქ მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები კი (შიიტები, იეზიდები, ასირიელი და სხვა ქრისტიანები) კი უმძიმეს მდგომარეობაში, ფაქტობრივი გენოციდის წინაშე აღმოჩნდნენ. ფანატიკოსებმა როგორც „წარმართული" მოსპეს უძველესი ცივილიზაციების უამრავი ფასდაუ-დებელი ძეგლი, რომლებიც წინა ორი საუკუნის განმავლობაში აღმოაჩინეს და კაცობრიობას შემოუნახეს არქეოლოგებმა და სხვა მეცნიერებმა. მაგალითად, „დაიშ"-მა მიზანმიმართულად გაანადგურა ძველი ასირიის დედაქალაქი ნინევია, ანტიკური ქალაქი პალმირა, ქ. მოსულის შესანიშნავი მუზეუმის ექსპონატები.

შეიქმნა ტერიტორიულად გიგანტური ტერორისტული წარმონაქმნი, რომელიც თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებდა მომხრეების მოსაზიდად და სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტული აქტების ჩასადენად. გარკვეული თვალსაზრისით, „დაიშ"-მა შექმნა „ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მქონე შუა საუკუნეები". ათასწლეულების წინანდელი

ველური წესების გამოყენებით (ქვით ჩაქოლვა, თავის და კიდურების მოკვეთა, მონად წაყვანა) „დაიშ”-ი ებრძოდა არა-მუსლიმებს და არა-სუნიტებს.

მის მიერ დაპყრობილი ტერიტორია მიჰყვებოდა მთავარ საკომუნიკაციო ხაზებს და დასახლებულ ადგილებს, სადაც ჯამში 10 მილიონამდე მცხოვრები იყო. მხედველობაშია მისაღები, რომ სირიისა და ერაყის დიდი ნაწილი დაუსახლებელ უდაბნოს უჭირავს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მუსლიმების (მათ შორის სუნიტების) დიდი უმრავლესობა „დაიშ”-სა და მისი მოქმედების მეთოდებს მხარს არ უჭერდა. ამიტომაც მისი გაიგივება ყველა მუსლიმთან დიდი შეცდომაა. თუმცა ნამდვილად არსებობს ფანატიკურად განწყობილი უმცირესობა.

ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ დიდი ტერორისტული წარმონაქმნის წარმოშობა და თავდაპირველი თავბრუდამხვევი წარმატებები განაპირობა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში დასავლური კოალიციის მიერ ერაყში დაშვებულმა სტრატეგიულმა შეცდომებმა. ამ ექსპერტების აზრით, სადამ ჰუსეინის არმიის დაშლამ გააჩინა ბევრი უმუშევრად დარჩენილი, გაბოროტებული ოფიცერი და სამხედრო სპეციალისტი, რომლებიც დაეხმარნენ ფანატიკოს ისლამისტებს. ამრიგად, XXI საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში დაშვებული შეცდომები აისახა მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე.

„დაიშ”-ს ებრძვიან სირიის და ერაყის არმიები, ქურთების გასამხედროებული ნაწილები ერაყსა და სირიაში და, აგრეთვე, 2015 წლიდან, რუსეთისა და თურქეთის სამხედრო ნაწილები. დასავლური კოალიცია აშშ-ის ხელმძღვანელობით, ძირითადად ახორციელებს საავიაციო დარტყმებს დაიშ-ის ბაზებზე და ადგილზე წვრთნის ერაყის არმიას. მაგრამ თურქეთის არმია თავის მტრად მიიჩნევს და ებრძვის აგრეთვე სირიელი ქურთების „დემოკრატიული გაერთიანების პარტიის” შეიარაღებულ ნაწილებს, რომელთაც ამერიკა უმაგრებს ზურგს და აიარაღებს.

სამხედრო თვალსაზრისით, “დაიში”, პრაქტიკულად დამარცხებულია, მაგრამ მისი გავლენა საერთაშორისო ტერორიზმზე კიდევ დიდხანს საგრძნობი იქნება.

თემა 27
კვიპროსის გეოპოლიტიკური პრობლემები

1878-1960 წლებში კ. კვიპროსში ბრიტანული მმართველობა იყო. 1914 წლიდან კუნძული ბრიტანეთის გვირგვინის კოლონიას წარმოადგენდა, თუმცა იქ ვითარდებოდა თვითმმართველობა. იმ პერიოდშიც არსებობდა სუსტად გამოხატული თემთაშორისი დაპირისპირება ბერძნებსა (1960 წლისათვის მოსახლეობის 80 პროცენტი) და თურქებს (18 პროცენტი) შორის. 1950-იან წლებში ბერძნული პარტიზანული ორგანიზაციები ძირითადად ებრძოდნენ ბრიტანულ ადმინისტრაციას, ხანდახან, ტერორისტული მეთოდებითაც.

მიუხედავად შიდა კონფლიქტებისა, ქვეყანამ შედარებით მცირე სისხლით მოიპოვა დამოუკიდებ-ლობა, რომლის ოფიციალურ გარანტებად გამოდიოდნენ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. 1959 წლის 19 თებერვლის შეთანხმებით თითოეულს ამ სამი სახელმწიფოდან უფლება

ჰქონდა დამოუკიდებლად მიეღო ზომები, რათა დაეცვა ამავე შეთანხმებით დადგენილი პირობები, რომელთა შორის მთავარი იყო კვიპროსის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.1960 წელს კვიპროსი დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, რომლის კონსტიტუციით პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო ბერძენი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი – თურქი.

კვიპროსელ ბერძნებს შორის იყვნენ მთელი კუნძულის საბერძნეთთან შეერთების (*ენოსისის*) აქტიური მომხრეებიც. ამ მოტივით, 1974 წლის ივლისში ამბოხებულმა კვიპროსის ეროვნულმა გვარდიამ იმ დროს საბერძნეთის მმართველ სამხედრო ხუნტასთანნ (ე.წ. "შავი პოლკოვნიკები") შეთანხმებით გადააყენა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი და მთელი კუნძულის საბერძნეთის შემადგენლობაში შეყვანა გამოაცხადა. ეს იყო ნაციონალისტური ავანტიურა, მცდარი და თვით ბერძნებისათვის დიდად საზიანო ნაბიჯი.

გადატრიალებამ მოახდინა თურქეთის ინტერვენციის პროვოცირება. თურქეთის არმიამ იმავე 1974 წელს სასწრაფოდ დაიკავა კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, საერთო ფართობის 36,2 პროცენტი და დადგა იმ ე. წ."მწვანე ხაზზე", რომელიც ჯერ კიდევ ბრიტანელმა ოფიცრებმა გაავლეს თურქებისა და ბერძნების დასაშორიშორებლად.

თურქულ ინტერვენციას მოჰყვა მოსახლეობის იძულებითი გაცვლა: ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები 180-200 ათასი ბერძენი გაიქცა სამხრეთ ნაწილში, ხოლო სამხრეთით მცხოვრები 45-60 ათასი თურქი – თურქეთის არმიის მიერ ოკუპირებული კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც კუნძული გაყოფილია, მათ შორის დედაქალაქი, რომელსაც ბერძნულად ოფიციალურად ეწოდება *ლეფკოსია*, ხოლო თურქულად – *ლეფკოშა* (ნიკოსია ევროპული სახელია).

კუნძულის თურქული თემის ხელმძღვანელობამ 1983 წელს გამოაცხადა «ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" შექმნა, რომელსაც მხოლოდ ანკარა ცნობს. გაერომ ამ «რესპუბლიკას" საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

ჩრდილოეთ კვიპროსზე მრავლადაა ტურისტულად საინტერესო ძეგლები, იქ მდებარეობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სამხრეთზე უკეთესი კლიმატური პირობებია, თუმცა ის მაინც კუნძულის ჩამორჩენილ ნაწილად რჩება.

ამის საპირისპიროდ, კუნძულის სამხრეთი, მთაგორიანი ნაწილი ბევრად უფრო სწრაფად განვითარდა.

აღსანიშნავია, რომ ლტოლვილი ბერძნული მოსახლეობა ძირითადად სამხრეთის ქალაქებში დასახლდა. ამის გამო ქალაქი ლარნაკა კუნძულის სიდიდით მეორე ქალაქი გახდა, მაშინ როცა ოკუპაციამდე ხალხმრავლობით მეორე ქალაქი იყო ფამაგუსტა, ამჟამად თურქების კონტროლქვეშ მყოფი. სამხრეთ კვიპროსში მოსახლეობის 80 პროცენტი ახლა ქალაქად ცხოვრობს.

კუნძულის ამ ნაწილის ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა მას შემდეგ, რაც ის 2004 წელს ევროპულ კავშირში მიიღეს. მისი კეთილდღეობის წყაროა უცხოური ტურიზმი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ის ოფშორული ზონა გახდა. მრავალი, არცთუ ლეგალური გზით გამდიდრებული, რუსი ბიზნესმენი დასახლდა კვიპროსში. ლარნაკაში, პათოსში მთელი უბნებია, სადაც მხოლოდ რუსულად ლაპარაკობენ, გამოდის რუსული გაზეთები და მუშაობს რუსული რა-დიოარხი.

სამხრეთ კვიპროსიდან ლტოლვილი თურქები ჩრდილოეთ ნაწილის ბერძნულ ნასოფლარებში ჩასახლდნენ.

ჩრდილოეთ კვიპროსის ხელისუფლებამ გაატარა შეგნებული დემოგრაფიული პოლიტიკა, როდესაც მიიღო და განასახლა საკუთრივ თურქეთის 100 ათასზე მეტი მოქალაქე. შედეგად კუნძულზე ეთნიკური თურქების რიცხოვნობა თითქმის სამჯერ გაიზარდა. ასეთმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამრუდა ვითარების გამოსწორების გზა.

თურქეთის პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის ადგილობრივი თურქები უარყოფითად არიან განწყობილი ანატოლიიდან ჩამოსახლებულთა მიმართ და ამჯობინებენ სამხრეთ კვიპროსელ ბერძნებთან თანაცხოვრებას ერთ სახელმწიფოში.

2004 წლის აპრილში გაეროს ეგიდით ჩატარდა რეფერენდუმი კვიპროსის გაერთიანების შესახებ. გაერთიანებას მხარი დაუჭირა კვიპროსელი თურქების უმრავლესობამ, რომელთაც იტაცებდა ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა. კვიპროსელი ბერძნების უმეტესობამ კი გაერთიანებისათვის შეთავაზებული პირობები უსამართლოდ მიიჩნია, რადგან თურქეთის არმიის ნაწილს მაინც ეძლეო-და კვიპროსზე დარჩების უფლება. ამ პირობებით ადგილზე უნდა დარჩენილიყვნენ ანატოლიიდან ჩამოსახლებული თურქებიც. ამიტომაც ბერძნულენოვანი კვიპროსელების უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა რეფერენდუმის კითხვას "მხარს უჭერთ თუ არა კვიპროსის გაერთიანებას?

იმავე წლის მაისში ევროკავშირის წევრად მიღებული კვიპროსის რესპუბლიკა მხოლოდ კუნძულის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს. ჩრდილოეთი ნაწილი კვლავაც რჩება არაღიარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც ცნობს მხოლოდ თურქეთი.

კვიპროსის რესპუბლიკაში ჯერაც მოქმედებს 1960 წლის კონსტიტუცია, რომლის მუხლები, სადაც ლაპარაკია ბერძნებისა და თურქების უფლებებზე, პრაქტიკულად უმოქმედოა. ჩრდილოეთ კვიპროსს 1985 წლიდან საკუთარი კონსტიტუცია აქვს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოდელზეა აგებული. კუნძულის არც ერთი ნაწილის კონსტიტუციაში სახელმწიფო რელიგია ნახსენები არაა.

2003 წლიდან გაიხსნა ადრე ბლოკირებული გასასვლელი დედაქალაქ ნიკოსიაში (Ledra Palace Ceossing) და კვიპროსელ ბერძნებსა და თურქებს საშუალება აქვთ გადავიდნენ ადრე მათთვის აკრძალულ ტერიტორიებზე.

მაგრამ საბოლოო პოლიტიკური მოწესრიგება ჯერ კიდევ შორსაა.

თემა 28
სხვა არაბული ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები (ლიბანი და იორდანია)

ლიბანი: რელიგია, პოლიტიკა და საშიში მეზობლები

ლიბანის პატარა ზომის ტერიტორიაზე (10 ათასი კვ. კმ) მცხოვრები 4,5 მილიონიანი მოსახლეობა მრავალი რელიგიური ჯგუფისაგან შედგება: მათ შორის არიან დღეისათვის მოსახლეობის ყველაზე დიდ ჯგუფად ქცეული შიიტები, აგრეთვე სუნიტები, დრუზები, ქრისტიანობის 14 დენომინაციის

მომდევრები. ჩვეულებრივ, ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

1948-49 წლებში **ლიბანში** გაიხიზნა ისრაელიდან ლტოლვილი ათობით ათასი პალესტინელი, რომელთა რიცხოვნობა ახლა, შეფასებით, 400 ათასს აჭარბებსს. 1970-იანი წლებში ქ. ბეირუთში განლაგებული იყო ***პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის*** შტაბ-ბინა.

ლიბანმა არ მისცა მოქალაქეობა პალესტინელებს, რადგან დღემდე იმედი აქვს, რომ დააბრუნებს მათ ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პალესტინელთა უმეტესობა ახლაც ლტოლვილთა ბანაკებში ცხოვრობს და აქვს გარკვეული კონფლიქტი ადგილობრივ ლიბანელებთან. 1975 წელს ქვეყანაში დაიწყო ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, რომელსაც სათავე დაუდო პალესტინელებისა და *მარონიტი* ქრისტიანების გასამხედროებული ნაწილების, *ფალანგის*, შეტაკებებმა. 15-წლიანმა ომმა ლიბანის თითქმის ყველა რელიგიური ჯგუფი ჩაითრია, რომელთაც საკუთარი რაზმები შექმნეს. ქვეყანა გაპარტახდა.

სამოქალაქო ომმა საბაბი მისცა ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ საშიში მეზობლები – სირია და ისრაელი.

სირიამ თავისი არმია შეიყვანა ლიბანში, რომელიც იქიდან გამოვიდა მხოლოდ 25 წლის შემდეგ, 2005 წელს, ისიც დიდი საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ.

1982 წელს პალესტინურ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ლიბანში შეიჭრა ისრაელის არმიაც, რომელიც დროებით დადაქალაქ ბეირუთშიც კი შევიდა. ლიბანის აღმოსავლეთ ნაწილში სირიისა და ისრაელის სამხედრო ნაწილები პირისპირ შეეტაკნენ ერთმანეთს. იმავე წელს ისრაელის არმია გამაგრდა სამხრეთ ლიბანში, თავისი საზღვრის მიმდებარე ზოლში, სადაც შექმნა მარიონეტული "სამხრეთ ლიბანის არმია", რომელშიც ადგილობრივი ქრისტიანები და დრუზები მსახურობდნენ.

ისრელის საპირისპიროდ, ირანისა და სირიის მხარდაჭერით, ლიბანში გააქტიურდა რადიკალური შიიტური ორგანიზაცია "*ჰეზბოლა*". ისრაელის თვითმფრინავების ლიბანის საჰაერო სივრცეში შეჭრის საპასუხოდ "*ჰეზბოლა*" სარაკეტო დარტყმებს აყენებდა ჩრდილოეთ ისრაელის ქალაქებს, რაც იქ მუდმივი შიშის ატმოსფეროს ქმნიდა.

2000 წლის მაისში, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა *ეჰუდ ბარაკმა* გამოიჩინა სიმტკიცე და, მიუხედავად შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობისა, ცალმხრივად, ზავის დადების გარეშე, გამოიყვანა ლიბანიდან ისრაელის არმია. ამის შემდეგ ყოფილი ფრონტისპირეთი, ისრაელის ჩრდილოეთი საზღვარი, დამშვიდდა.

1989 წელს საუდის არაბეთის ქ. ტაიფში ლიბანის ჯერ კიდევ 1972 წლის მოწვევის *დეპუტატთა პალატის* (პარლამენტის) შემორჩენილმა წევრებმა დადეს შეთანხმება, რომლითაც სამოქალაქო ომია შეწყდა. შეთანხმება გარკვეულად ითვალისწინებდა 1926 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ მომხდარ დემოგრაფიულ ცვლილებებს: განვლილ პერიოდში ლიბანში ქრისტიანული უმრავლესობა მუსლიმმა უმრავლესობამ ჩაანაცვლა. მიუხედავად ამისა, მუსლიმები დათანხმდნენ, რომ ახალი პარლამენტის 128 წევრის არჩევისას ადგილების ნახევარი ქრისტიანებისათვის დაეთმოთ. უნდა გაუქმებულიყო „პოლიტიკური სექტარიზმი" (საკანონდებლო ორგანოში და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს დონეზე თანამდებობების განაწილება სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებისათვის წინასწარ დადგენილი კვოტებით), მაგრამ რა დროში უნდა მომხდარიყო ეს – "ტაიფის შეთანხმებაში" მითითებული არ ყოფილა.

თუმცა "ტაიფის შეთანხმება" ყველა პრობლემას არ წყვეტდა, მან საშუალება მისცა ქვეყანას,

დაბრუნებოდა მშვიდობიან განვითარებას. სამოქალაქო ომი 1990 წელს დამთავრდა და მას შემდეგ ლიბანი თანდათან იბრუნებს ახლო აღმოსავლეთის კულტურული, ფინანსური და ტურისტული ცენტრის ფუნქციებს.

საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც 2009 წლის შემდეგ 2013 წელს უნდა ჩატარებულიყო, სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო და მხოლოდ 2018 წლის მაისში ჩატარდა პროპორციული წარმომადგენლობის წესით, ფორმალურად პოლიტიკური სექტარიზმის გარეშე, მაგრამ ხმის მიცემა ძირითადად მაინც „თავისიანებისათვის“ ხდებოდა. პარლამენტში ცხრა პარტია შევიდა. ვერც ერთმა მათგანმა საგრძნობი უმრავლესობა ვერ მიიღო: ფორმალურად გამარჯვებულია და ყველაზე დიდი ფრაქცია აქვს “თავისუფალ პატრიოტულ მოძრაობას” – 29 ადგილი; “მომავლის მოძრაობას” (რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში მმართველი კოალიციის ყველაზე დიდ ფრაქციას ქმნიდა) – 20 ადგილი, “ამალს” – 17, “ჰეზბოლას” – 15 და ა. შ. ახალი მთავრობის დაკომპლექტება ძალიან გაჭირდა: “მომავლის მოძრაობის” ლიდერი *საად ჰარირი* 2018 წელსაც კი ასრულებდა პრემიერ-მინისტრის მოვალეობას

ლიბან-ისრაელის იმ საზღვარზე, რომელიც გაერომ საერთაშორისოდ ცნო, მაინც დარჩა მოუგვარებელი პრობლემა. მცირე ფართობის (20 კვ. კმ), მაგრამ *ისრაელისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი* ბორცვი *ხარ-დოვი* (ცნობილი აგრეთვე “*შებაას ფერმების*” სახელით) ისრაელმა შეინარჩუნა იმ ფორმალური საბაბით, რომ ეს ტერიტორია მან დაიპყრო 1967 წელს სირიასთან ომის შედეგად. სინამდვილეში, როგორც ისრაელელმა მეცნიერმა *აშერ კაუფმანმა* კარტოგრაფიული კვლევის შედეგად დაადგინა, ეს პრაქტიკულად დაუსახლებელი ტერიტორია ფრანგული მანდატის პერიოდში ნომინალურად მართლაც ყოფილა ლიბანის იურისდიქციის ქვეშ . მაშნ როცა ისრაელმა გადაწყვიტა *შებაას ფერმები* “სირიისაგან დაპყრობილად” გამოეცხადებინა, ლიბანში მიწის ამ ნაკვეთის დაბრუნება “ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენად” აღიქმება.

2006 წლის ზაფხულში ამ ადგილისათვის დავამ მოახდინა ლიბანში ისრაელის სამხედრო ოპერაციის პროვოცირება, როდესაც ხარ-დოვის ბორცვზე მდებარე ისრაელის საგუშაგოს თავს დაესხა “ჰეზბოლას” რაზმი. რამდენიმე ისრაელელი ჯარისკაცი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. საპასუხოდ ისრაელის არმია შეიჭრა ლიბანში, დაანგრია სამხრეთ ლიბანის მთელი ინფრასტრუქტურა – ხიდები, გზები, ენერგეტიკის ობიექტები, ქ. ბეირუთის სამხრეთი ნაწილიც კი. მაგრამ მისმა, იქამდე უძლეველად მიჩნეულმა, სატანკო ნაწილებმა მოულოდნელი ზარალი განიცადეს: სირიიდან მოწოდებული იარაღით “ჰეზბოლამ” ააფეთქა რამდენიმე ისრაელური “მერკავას” ტიპის ტანკი. *“ჰეზბოლამ”* თავისი რაკეტებით დაბომბა ჩრდილოეთ ისრაელის ქალაქებიც კი. იმავე წელს ისრაელი იძულებული გახდა ლიბანიდან გასულიყო.

ისრაელი კვლავაც მიიჩნევს“ჰეზბოლას” თავის ერთ-ერთ უმთავრეს მტრად, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იარაღდება ირანის მიერ. 2013 წლიდან “ჰეზბოლა” აქტიურად არის ჩაბმული სირიის სამოქალაქო ომში ბაშარ ალ-ასადის მხარეს.

იორდანია: სტაბილური ტურბულენტურ სამყაროში

1946 წლის 22 მარტს დასრულდა 1922 წლიდან არსებული ბრიტანეთის მანდატის მოქმედება ტრანსიორდანიაში, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დასდო ბრიტანეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება. იმავე წლის 25 მაისს *მეფედ გამოაცხადა* თავი ჰაშიმიანმა დინასტიის წარმომადგენელმა ***აბდულაჰ ბინ ჰუსეინმა***, რომელიც ტრანსიორდანიაში ამირად იჯდა 1921

წლიდან.

ბრიტანეთმა შეინარჩუნა საგრძნობი გავლენა ტრანსიორდანიაში. ახალი სამეფოს ერთადერთი ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი, "არაბული ლეგიონი", ინგლისელმა გენერალმა *ჯონ ბეგოთ გლაბმა* ("*გლაბ ფაშამ*") გაწვრთნა და მის მეთაურად დარჩა 1956 წლამდე.

ტრანსიორდანიის (1949 წლიდან, ოფიციალურად – **იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს**) სრული საერთაშორისო აღიარება და გაეროში მიღება მხოლოდ 1955 წლის დეკემბერში მოხდა. მანამდე ამას აბრკოლებდა საბჭოთა კავშირის მუდმივი ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოში[19].

იორდანიაში შეხიზნული პალესტინელების უმრავლესობას, თითქმის ორ მილიონს (გარდა 120 ათასი ადამიანისა, ვინც მოგვიანებით ღაზის სექტორიდან შევიდა), უკვე მიღებული აქვს იორდანიის მოქალაქეობა და ფორმალურად მათ დაკარგული აქვთ ლტოლვილის სტატუსი; ასეთად იორდანიაში მხოლოდ 370 ათასი რჩება, რომლებიც 10 ოფიციალურ (მათ UNRWA ინახავს) და სამ არაოფიციალურ ლტოლვილთა ბანაკშია განსახლებული.

1948-49 წლების ისრაელთან ომის შემდეგ ჰაშიმიანთა ხელში აღმოჩნდა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე პალესტინის ტერიტორია, აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით. ტრანსიორდანიამ ამ ტერიტორიის ანექსირება მოახდინა.

პალესტინის ნაწილის ტრანსიორდანიის მიერ ანექსიის აქტმა სხვა არაბულ ქვეყნებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: არც ერთმა მათგანმა არ ცნო ანექსია. ამ აქტის ნაცვლად მიწის თუნდაც ამ მცირე ნაწილზე (სულ 5612 კმ^2) პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ძირფესვიანად შეცვლიდა არაბულ-ებრაული კონფლიქტის პოლიტიკურ არსს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

როგორც ისრაელში მომზადებულ ენციკლოპედიაში წერენ:

> "ტრანსიორდანიის მეფე აბდულაჰს სურდა, რომ პალესტინის არაბული ნაწილი თავისთვის მიეღო და მზად იყო ეს გაეკეთებინა ებრაელებთან თანამშრომლობითაც კი, თუნდაც მათ სრული დამოუკიდებლობა ჰქონოდათ პალესტინის დანარჩენ ნაწილში. 1946-1947 წლებში მან მიაღწია არაფორ-მალურ და დაუწერელ ურთიერთგაგებას სიონისტ ლიდერებთან, რომელშიც არ იყო მითითებული არც დეტალური საზღვრები და არც იერუსალიმის სტატუსი. ამ შეთანხმებას ის საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მასზე ალაპარაკდნენ, რადგან სხვა არაბ ლიდერებს აბდულაჰი ეუბნებოდა, რომ იტოვებს 'მოქმედების თავისუფლებას' პალესტინაში, როდესაც იქ მანდატი დამთავრდება".

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე გადაუწყვეტელ პალესტინის საკითხში ბრალის თავისი წილი ტრანსიორდანიის მეფე აბდულაჰსაც მიუძღვის, რომელიც ყველა პალესტინელი არაბის ინტერესებს კი არ იცავდა, არამედ მხოლოდ საკუთარი სამფლობელოს გაფართოება სურდა. მას განსაკუთრებით უნდოდა ხელში ჩაეგდო იერუსალიმი (უფრო ზუსტად, ის ნაწილი, სადაც მდებარეობს მუსლიმთა ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე – ალ-აქსას მეჩეთი). ამის მიზეზად პიროვნულ ფაქტორსაც ვახსენებდი: როგორც ცნობილია, აბდულაჰის მამა და უფროსი ძმა, ჰაშიმიანთა დინასტიის წარმომადგენლები, ისლამის წმინდა ქალაქებს – მექასა და მედინას – განაგებდნენ 1925 წლამდე, სანამ მათ იქიდან განდევნიდა საუდიანთა დინასტიის

[19]. იორდანიის გაეროში მიღებაზე საბჭოთა ვეტო იყო საპასუხო რეაქცია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაეროს წევრად მიღებაზე II მსოფლიო ომის დროინდელი მოკავშირეების, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის, უარყოფით დამოკიდებულე-ბაზე.1944-1945 წლებში სტალინს სურდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, როგორც "სუვერენული სახელმწიფოების", გაეროში შეყვანა და ამით 16 გარანტირებული ხმის მიღება. დასავლეთის ქვეყნებში ადვილად მიხვდნენ სტალინის ჩანაფიქრს და დათანხმდნენ გაეროში საბჭოთა კავშირის გარდა მიეღოთ მხოლოდ უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ. იორდანიის მიღება გაეროში შესაძლებელი გახდა მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ.

დამაარსებელი აბდულაზიზ ას-საუდი. ამიტომაც, ისლამისათვის მესამე წმინდა ქალაქის, იერუსალიმის, დაუფლება აბდულაჰისათვის ერთგვარ მორალურ კომპენსაციას წარმოადგენდა.

ფაქტია, რომ 1948-1949 წლების ომის დროს ტრანსიორდანიის "არაბულმა ლეგიონმა" არ გადალახა ის საზღვარი "სამანდატო პალესტინის" ცენტრალურ ნაწილში, რომელიც გაეროს 1947 წლის გეგმით ებრაული სახელმწიფოსათვის იყო დარეზერვებული.

1953 წელს, როდესაც ტახტზე ადიოდა მეფე აბდულაჰის 17 წლის შვილიშვილი, *ჰუსეინი,* ამერიკულმა ჟურნალმა "თაიმმა" იორდანიას უწოდა

"ეკონომიკურიუაზრობა, ბრიტანული სტრატეგიული ინტერესებისათვის უაიტჰოლში შეკოწიწებული სახელმწიფო".

მაგრამ მეფე ჰუსეინმა, რომელმაც თითქმის 46 წლის განმავლობაში მართა ქვეყანა, უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებასა და ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების უქონლობის პირობებში მოახერხა სახელმწიფოს შენარჩუნება და მისი ფეხზე დაყენებაც კი.

1967 წლის "ექვსდღიანი ომის" შედეგად ისრაელმა დაიპყრო მდ. იორდანეს "დასავლეთ ნაპირი" და იორდანიის სამხედრო ნაწილებს მოუხდათ მისი და აღმოსავლეთ იერუსალიმის დაცლა. მხოლოდ 1988 წელს განაცხადა იორდანიის მეფემ, რომ მომავალი პალესტინის სახელმწიფოს სასარგებლოდ უარს ამბობს ამ ტერიტორიებზე, ანუ მთელ "დასავლეთ ნაპირზე", აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით.

განცხადებამ 40 წლით დააგვიანა!

იერუსალიმში მდებარე ისლამის წმინდა ადგილების (***ალ-ჰარამ აშ-შარიფის ვაკფი****) ფორმალურ მეურვედ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე რჩებოდა იორდანიის მონარქი. შემდეგ კი ამ *ვაკფის*ადმინისტრატორის დანიშვნის პრეროგატივაც პალესტინის ადმინისტრაციის ხელში გადავიდა.

1994 წელს დაიდო ***სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელსა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შორის*** და მათ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან. საზღვარი ისრაელსა და იორდანიას შორის აღდგენილ იქნა 1947 წლამდე ბრიტანულ პალესტინასა და ტრანსიორდანიის სამეფოს შორის არსებულ გამმიჯნავ ხაზზე (მკვდარი ზღვის შუახაზი და რიფტული ხეობის ყველაზე ღრმა წერტილებზე გამავალი ხაზი). ფაქტობრივი საზღვარია მდ. იორდანეც: თუმცა ფორმალურად ისრაელის იურისდიქცია არ ვრცელდება "დასავლეთ ნაპირზე", მაგრამ ისრაელი რეალურად აკონტროლებს მდ. იორდანეს დასავლეთით მდებარე ტერიტორიას და იქ დგას ისრაელის არმია.

1999 წელს ტახტზე ავიდა ჰუსეინის უფროსი ვაჟი **აბდულაჰ II**, რომლის დედა ინგლისელია და ის თვითონაც ევროპულად იყო აღზრდილი. თავის ლოზუნგად მან გამოაცხადა "იორდანია – უპირველეს ყოვლისა!"

პროდასავლურად განწყობილმა აბდულაჰ II-მ მოახერხა თავისი სამეფოში სიმშვიდის შენარჩუნება 2011 წლის "არაბული გაზაფხულის" დროს, ქვეყანაში ერაყიდან და სირიიდან უამრავი ლტოლვილის შემოდინების პირობებში (2015 წელს ქვეყანაში 1,4 მილიონი სირიელი ლტოლვილი აღირიცხა, მთელი მოსახლეობის 15 პროცენტი). ქვეყანაში შეიქმნა ექვსი "თავისუფალი ეკონომიკური ზონა". ბუნებრივი რესურსებით ძალიან ღარიბ, "უნავთობო" იორდანიაში განვითარდა მაღალი ტექნოლოგიების საწარმოები, ვითარდება ტურიზმი.

არაბული ქვეყნების კვალობაზე იორდანიის კონსტიტუციური მონარქია ყველაზე ტოლე-

რანტულია რელიგიური უმცირესობებისა და ქალების მიმართ: მისი პარლამენტის ქვედა, წარმომადგენელთა პალატაში 130 ადგილიდან სულ ცოტა 15 რეზერვირებულია ქალებისათვის (2016 წლის არჩევნების შედეგად დეპუტატებად აირჩიეს 20 ქალი), 9 ადგილი – ქრისტიანებისათვის, 3 ადგილი ჩერქესებისა და ჩეჩნებისათვის (რუსეთის იმპერიის მიერ მათი კავკასიიდან გამოდევნის შემდეგ ისინი შეიფარა და ამ ტერიტორიაზე 1860-იან წლებში დაასახლა ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ). იორდანია პირველი არაბული ქვეყანა იყო, რომელმაც პოლიციაში ქალების მიღება დაიწყო.

საერთო ჯამში, მეზობელი სირიის, ერაყის, პალესტინური ტერიტორიების ფონზე, XXI საუკუნის პირველ ორ ათწლეულში იორდანია იყო ერთგვარი "სტაბილურობის კუნძული გარშემო მღელვარე არაბულ ოკეანეში".

თემა 29
ქურთები რეგიონული გეოპოლიტიკის ფოკუსში

2014 წლიდან "დაიშთან" ყველაზე მამაცად იბრძოლეს სირიელმა ქურთებმა, რომელთაც ამერიკული სამხედრო დახმარება ბევრად უფრო ეფექტიანად გამოიყენეს, ვიდრე სხვადასხვა, ასადის რეჟიმს დაპირისპირებულმა, ოპოზიციურმა დაჯგუფებებმა, ხშირად ისლამისტებმა. ქურთები ასადის რეჟიმს არ დაუპირისპირდნენ, მაგრამ დაუწესეს კონტროლი თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიას, სირიის მთელი ფართობის თითქმის მეოთხედს. 2018 წელს საზღვარი მდინარე ევფრატი იყო, რომლის მარცხენა, აღმოსავლეთ, ნაპირზე ქურთები იდგნენ. მათ, როგორც ჩანს, სურთ თავისი ავტონომიური ერთეულის შექმნა სირიაში.

მაგრამ სწორედ ეს არ უნდა არც დამასკოს და არც ანკარას.

ახლო აღმოსავლეთის იმ ეთნოსთა შორის, რომელთაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნიათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ქურთები.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ქურთებთან დაკავშირებულ საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, საჭიროა გაკეთდეს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსი.

ქურთისტანს უწოდებენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიან მხარეს, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს მოიცავს. აღმოსავლეთიდან ქურთისტანს ემიჯნება *ურმიის ტბა* (ირანში), სამხრეთიდან – *ალ-ჯაზირა* (სირიასა და ერაყში) და *მარდინის დაბალმთიანეთი* (თურქეთში), დასავლეთიდან (თურქეთში) – *აღმოსავლეთ ტავროსის ქედი.* ჩრდილოეთით (თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში) ისტორიული ქურთისტანის საზღვარი ნაკლებ მკაფიოა. ერთსა და იმავე ტერიტორიას სხვადასხვა ისტორიულ წყაროში ხან "*არმენიას*" უწოდებდნენ, ხან "*თურქომანიას*", ხანაც "*ქურთისტანს":* ვახუშტი ბატონიშვილი ამ უკანასკნელ ტერმინს იყენებდა.

ამ მთიან მხარეში უხსოვარი დროიდან მოსახლე ქურთები, რომელთაც ადრე მიიღეს ისლამი, XX საუკუნის მეორე დეკადამდე ოსმალეთის იმპერიის *ერზერუმის, ერზინჯანის, ვანის, მუშის, ბითლისის* ვილაიეთებში შერეულად ცხოვრობდნენ ქრისტიან სომხებთან და ასირიელებთან, იეზიდ ქურთებთან და მუსლიმ თურქებთან ერთად. ოსმალეთის მთავრობის მიერ 1915-1918 წლებში განხორციელებული სომხების, აგრეთვე ასირიელებისა და იეზიდი ქურთების ეთნიკური წმენდის

შემდეგ, მუსლიმმა ქურთებმათურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში ფარდობითი უმრავლესობა შეადგინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში კი *(დიარბაქირის, მარდინის, სიირთის, ჰაქიარისა* და სხვა ილები) ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. ირანის დასავლეთ პროვინციებსა და ჩრდილოეთ ერაყშიც (ისტორიული *მოსულის ვილაიეთი*) ქურთები მოსახლეობის უმრავლესობაა.

ქურთების დიდი ნაწილი სუნიტია, თუმცა მათ შორის არიან შიიტები (ალევიები), იეზიდები და სექტა აჰლ-ი ჰაკის მიმდევრები (ე.წ. *ალი ილაჰი*).

ქურთების რაოდენობის ზუსტად დადგენა ჭირს იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური სტატისტიკა საერთოდ გვერდს უვლის ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ქურთების, არსებობის ფაქტს.

XX საუკუნის ბოლოს 24-27 მილიონ ქურთს ვარაუდობდნენ, მათ შორის 12-13 მილიონს თურქეთში (ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის 17-19 პროცენტი), 5-6 მილიონს ირანში (8-10 პროცენტი), 3,5 მილიონს ერაყში (15 პროცენტი), 800 ათასს სირიაში (5 პროცენტი)[მცდოწალლ, 1996, 6]. თუ ეს შეფასება სწორია, 20-25 წლის შემდეგ ქურთების რაოდენობას მკვეთრად უნდა გაზრდილიყო და 30-35 მილიონი შეედგინა.

საკმაოდ ბევრი ქურთი იმიგრანტია ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიასა და შვედეთში, სადაც მათი რაოდენობა მილიონს აჭარბებს.

მათი ძირითადი გამაერთიანებელია თვითსახელი - *"ქურთი"* - და არა ერთი ენა: ქურთები ლაპარაკობენ მრავალ, ერთმანეთისათვის გაუგებარ, დიალექტზე (ზოგი ლინგვისტი მათ *ქურთულ ენებადაც* კი მიიჩნევს).

ძირითადი დიალექტებია **ქურმანჯი** (ჩრდილოეთით), **სორანი** (სამხრეთით, მათ შორის ერაყის ქურთისტანსა და ირანში) და **ზაზა** (თურქეთის აღმოსავლეთში, დერსიმის რაიონში).ქურმანჯი, რომელზეც ქურთების სამი მეოთხედი ლაპარაკობს (თურქეეთში, სირიაში, ნაწილობრივ – ირანსა და ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში), ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ასრულებს საერთო-ქურთული ლიტერატურული ენის ფუნქციას, თუმცა ამაში მას კონკურენციას უწევს სორანი. ქურმანჯი და ზაზა იყენებენ ანბანს ლათინური გრაფიკის, ხოლო სორანი – არაბული გრაფიკის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქურთები ხშირად მოიხსენიებიან ისტორიულ ქრონიკებში, ხოლო "ქურთისტანი" მდგრადი გეოგრაფიული ტერმინია, ქურთებს არასოდეს შეუქმნიათ უმაღლესი დონის პოლიტიკური ერთეული – სახელმწიფო. ქურთების წრიდან გამოდიოდნენ ცნობილი პოლიტიკური ლიდერები. აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მხედართმთავარი, მუსლიმებისათვის საამაყო გმირი სალადინი (*სალაჰ ად-დინი*), რომელმაც ჯვაროსნებისაგან გაათავისუფლა იერუსალიმი, წარმოშობით ქურთი იყო. სალადინმა ეგვიპტესა და დასავლეთ აზიაში სამეფო დინასტიაც კი შექმნა (*აიუბიანები*). მაგრამ მასაც არ შეუქმნია "ქურთული სახელმწიფო".

ქურთისტანის გარშემო ყოველთვის არსებობდა ურთიერთდაპირისპირებული ზლიერი იმპერიები (რომი-პართია, ბიზანტია-ირანი, ბიზანტია-სახალიფო, ოსმალეთი-სპარსეთი), რომლებიც ქურთისტანის ტერიტორიაზეც ეხლებოდნენ ერთმანეთს და ხშირად იყენებდნენ კარგ მეომარ ქურთებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის. არც ერთ იმპერიას არ სჭირდებოდა აქ ახალი სახელმწიფოს წარმოშობა.

XX საუკუნეში იყო რამდენიმე მცდელობა სხვადასხვა ტერიტორიაზე შეექმნათ ქურთული "სამეფოები" და "რესპუბლიკები", მაგრამ ყველა მათგანი უდღეური გამოდგა.

ტომობრივ დონეზე ქურთების სუბეთნიკური იდენტობა XXი საუკუნის დამდეგსაც კი იგრზნობოდა, როდესაც შეიხებს/ტომის ბელადებს (ახლა ისინი თავს "პარტიის ლიდერს" უწოდებენ!) შეეძლოთ ერთიმეორის ჯიბრზე მოსისხლე მტრისათვის დაეჭირათ მხარი, დამდგარიყვნენ ხან ირანის, ხან ერაყის, ხან თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების მხარეს და მეტოქე ქურთული ტომის ("პარტიის") დამარცხებისათვის ხელი შეეწყოთ.

ქურთთა ბელადები ხშირად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას. ასე მაგალითად, 1980-1988 წწ. ირან-ერაყის ომის დროს ირანის მხარეს იდგა *ჯალალ ტალაბანის* "ქურთისტანის პატრიოტული კავშირი", რომელიც ერაყშივე მოქმედი "ქურთული დემოკრატიული პარტიის" წინააღმდეგ იბრძოდა. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობდა *მასუდ ბარზანი,* რომელიც, თავის მხრივ, პერიოდულად თანამშრომლობდა თურქეთთან.

შეიხები რელიგიურ საფუძველზე რაზმავდნენ თავიანთ ტომებს და თავს ხალიფას, სულტნის, შაჰის ნომინალურ ვასალად აცხადებდნენ. სიუზერენად ეს შეიხები ყოველთვის შორს მყოფ ხელისუფლებას ამჯობინებდნენ: შინაურ მღვდელს, როგორც ყველგან და ყოველთვის, შენდობა არც აქა აქვს!

ბოლო პერიოდის ურბანიზაცია, ქურთული ინტელიგენციის წარმოქმნა, რომელიც დასავლეთში განათლებამიღებულ საკმაოდ მრავალ პირსაც მოიცავს, უკეთეს პირობას ქმნის ერთიანი ეროვნული თვითშეგნებისა და ეთნონაციონალიზმის განვითარებისათვის, რაც შეიხების აქამდე ურყევი ავტორიტეტის შესუსტებასაც მოასწავებს.

ქურთებისათვის ყველაზე სერიოზული პრობლემაა მათი დანაწილება რამდენიმე ქვეყანაში.

პირველ მსოფლიო ომამდე ქურთები ორ სახელმწიფოში, ოსმალეთსა და სპარსეთში სახლობდნენ, ომის შემდეგ კი ისინი ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში – თურქეთში, ირანში, ერაყსა და სირიაში – აღმოჩნდნენ განაწილებული. ამ სახელმწიფოებს არ უნდათ (და საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არც შეუძლიათ დაუშვან) ქურთული სახელმწიფოს შექმნა, სხვა სახელმწიფოს ხარჯზეც კი, რათა მათთვის საშიში ირედენტიზმი* არ წარმოიშვას.

XX საუკუნეში ქურთები მრავალჯერ მოქცეულან მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში. ასე იყო XXი საუკუნის დამდეგსაც, როდესაც ამერიკის სამხედრო სარდლობამ ერაყში ომისათვის მზადებისას საჭიროდ მიიჩნია ჰყოლოდა შიდა მოკავშირე ერაყში. ამ თვალსაზრისით ამერიკის ბუნებრივ მოკავშირედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ მოსჩანდა ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთული უმცირესობა, რომელიც მუდმივად იჩაგრებოდა ბაღდადის მიერ და ჰქონდა სერიოზული საბაბი, ძალიან უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი მმართველი რეჟიმის მიმართ, შესაბამისად კი – ყველაზე პროამერიკული ყოფილიყო ერაყის ეთნო-რელიგიურ თემებს შორის.

მაგრამ ქურთების მოკავშირეობა ამერიკასთან არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ასეთი მოკავშირეობის პირობები მხოლოდ ორი მხარის გადასაწყვეტი არ ყოფილა. ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ საკითხში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოკავშირე რეგიონში – თურქეთის რესპუბლიკა, რომლისთვისაც "ქურთების პრობლემა" ძალიან მტკივნეული თემაა.

თურქეთში 1925 წელს სასტიკად ჩაახშეს ქურთების ამბოხება. ის მიმდინარეობდა ქემალისტების სეკულარული რეფორმების წინააღმდეგ მიმართული ისლამური რეაქციის დროშის ქვეშ (ყოველ შემთხვევაში, ასე წარმოადგინა ის თურქულმა პროპაგანდამ). ამიტომაც ქურთთა ეს გამოსვლა

ევროპაში სიმპათიით ვერ სარგებლობდა.

1984-1999 წლებში თურქეთის რესპუბლიკას მოუხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა "ქურთისტანის მუშათა პარტიის" (საერთაშორისო დონეზე მას ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ)სეპარატისტულ მოძრაობასთან *მუსტაფა ოჯალანის* მეთაურობით, რომლის დროსაც 30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

ანკარას მიაჩნდა, რომ ამ მოძრაობას, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიას ეყრდნობა, თანაუგრძნობდა და თავიდან ეხმარებოდა საბჭოთა კავშირი. ამას რუსული წყაროებიც ადასტურებდნენ.

ბოლო დრომდე თურქეთში ოფიციალურ დონეზე ქურთების სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა: ისინი ჯერ "*მთიელ თურქებად*", შემდეგ კი "*აღმოსავლეთის თურქებად*" იწოდებოდნენ.

2002 წლის 3 აგვისტოს *თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ* (პარლამენტმა) ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: შეარბილა აკრძალვა ქურთულ ენაზე სწავლებისა და რადიოსა და ტელევიზიაში გადაცემების შესახებ და ამით de facto ცნო ქურთული ენისა და, შესაბამისად, ქურთი ხალხის არსებობა თურქეთის ტერიტორიაზე. 2009 წელს თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიამ გახსნა 24-საათიანი ტელეარხი ქურთულ ენაზე. 2010 წლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ქურთები უმრავლესობაა, დაიწყეს ქურთულ-თურქულად შედგენილი ქორწინების მოწმობების გაცემა, დასახლებული პუნქტებისა და გზის მიმართულების ორ ენაზე მითითება. ეს თურქეთის მმართველი "*სამართლიანობისა და განვითარების პარტიის*" იმდროინდელი ლიბერალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო. მაგრამ ანკარა არ დაუშვებს ქურთების ტერიტორიულ ავტონომიას თავის ქვეყანაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის ფარული დახმარებით **ირანში** შეიქმნა "ირანის ქურთთა დემოკრატიული პარტია" და 1946 წლის იანვარში გამოცხადდა ქურთების რესპუბლიკა ქ. მეჰაბადში (ე.წ. "*მეჰაბადის რესპუბლიკა*"), რომელმაც მოითხოვა ავტონომია ირანის ფარგლებში. როდესაც საერთაშორისო ზეწოლამ აიძულა საბჭოთა კავშირი, 1946 წლის მაისში გასულიყო ირანიდან, შაჰის მთავრობამ სისხლში ჩაახრჩო "მეჰაბადის რესპუბლიკა", რომლის სამხედრო ძალების მეთაური *მუსტაფა ბარზანი* ორი ათას მებრძოლთან და მათ ოჯახებთან ერთად საბჭოთა კავშირში გაიქცა. 1950-იან წლებში *მუსტაფა ბარზანი* თავის რაზმთან ერთად, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა საბჭოთა კავშირში, გადაისროლეს ერაყში, სადაც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1958 წელს ერაყის მონარქიის დამხობაში, შემდეგ კი ერაყის ქურთისტანის ავტონომიისათვის იბრძოლა.

ირანის ისლამური რევოლუციის წინ, 1978 წელს, ***აიათოლა ხომეინი*** არაერთხელ იმეორებდა, რომ არ არსებობს განსხვავება შიიტებსა და სუნიტებს შორის, რაც ქმნიდა ილუზიას, რომ მომავალში იგი ყურს ათხოვებდა [სუნიტი] ქურთების პრობლემას ირანში.

თუმცა ხომეინი არასოდეს დაჰპირებია ქურთებს ავტონომიას, მათი ლიდერები, თავიანთი წვლილის გამო რევოლუციის გამარჯვებაში, მაინც ელოდნენ, რომ თეირანი მისცემდა მათ ეთნიკური ავტონომიის შექმნის უფლებას.

მაგრამ 1979 წლის კონსტიტუციით ირანის ისლამური რესპუბლიკა უნიტარულ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რამაც ქურთების დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

ამავე დროს, ირანის კონსტიტუციის მე-15 მუხლით

'ნებადართულია სპარსულ ენასთან დამატებით რეგიონული და ტომობრივი ენების გამოყენება

მასმედიის მიერ, ისევე, როგორც სკოლაში მათი ლიტერატურის სწავლებისათვის ".

სირიაში ქურთები (ამჟამად, სავარაუდოდ, 1,5 მილიონი) ტერიტორიულ ავტონომიაზე ხმამაღალ პრეტენზიას არ აცხადებდნენ. მათი მოთხოვნები დიდხანს არ სცდებოდა ფაქტობრივი სამოქალაქო თანასწორობის დამყარებას და ეთნიკურ საფუძველზე დისკრიმინაციის მოსპობას შესახებ: ქურთულ ენაზე საუბარიც კი სირიაში აკრძალული იყო. 2011 წელს სირიაში რევოლუციური გამოსვლების დროს, ქურთების მოთხოვნები მეტი პოლიტიკური უფლებების შესახებ უკვე დღის წესრიგში დადგა. დამასკომ მიანიჭა მოქალაქეობა დაახლოებით 100 ათას ქურთს, რასაც იქამდე არ აძლევდა მათ.

2012 წლიდან კი ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ქურთებმა შექმნეს ფაქტობრივი ავტონომია, რომელსაც „როჟავას" უწოდებენ, თუმცა სამოქალაქო ომში ჩართულ დამასკოს ის არ უცვნია.

1925 წლის დეკემბერში *ერთა ლიგის* საბჭომ **ერაყს** მიაკუთვნა *მოსულის ვილაიეთი* იმ პირობით, რომ ბაღდადის მთავრობა "აღიარებდა უმცირესობათა ეროვნულ განსხვავებულობასა და თვითშეგნებას".

ერაყის მმართველი რეჟიმები ბრიტანეთიდან, აშშ-დან, საბჭოთა კავშირიდან პერიოდული ზეწოლის გამო ცნობდნენ ხოლმე ჩრდილოეთ ერაყში ქურთული უმცირესობის სამოქალაქო უფლებებს. ერთდროულად ბაღდადი (ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინამდე და, კიდევ უფრო მეტად, მის დროს – 1979-2003 წლებში) ცდილობდა ამ ეთნიკური უმცირესობის დემოგრაფიული როლის დაკნინებას ქურთისტანის არაბიზაციის გზით: არაბები ჩაასახლეს *ქირქუკში, ხანაკინში, სინჯარში, მახმურში* და სხვა ქალაქებში.

XXI საუკუნის დამდეგის გეოპოლიტიკურ გათვლებში *ერაყის* ქურთებს სხვებზე მეტი ყურადღება ეთმობოდა. ქურთებმა ამ ტერიტორიაზე შექმნეს ფაქტობრივი ავტონომიური ერთეული. 2002 წლის სექტემბერში, ბაღდადის დაუკითხავად, იქ რეგიონული პარლამენტიც კი აღდგა. ქურთთა მეტოქე ფრაქციები შერიგდნენ და ფორმალური ავტონომიის უფლება მოითხოვეს, რამაც შეშფოთება გამოიწვია ანკარაში, სადაც კარგად ესმით, რომ "ავტონომიზაცია" თითქმის ყოველთვის არის "სუვერენიზაციის" პირველი ეტაპი.

ანკარას აშინებს, რომ ერაყში ქურთების ოფიციალური ავტონომიის შექმნა გადამდები მაგალითი იქნება თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონებში მცხოვრები მილიონობით ქურთისათვის. ანალოგიური შიში აქვს ირანსაც.

ერაყში ომისა და მისი ოკუპაციის პერიოდში აშშ-ის ადმინისტრაციას უხდებოდა თავისი ძველი და მეტად მნიშვნელოვანი მოკავშირის – თურქეთისა და ახალი მოკავშირის – ერაყელი ქურთების ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების გათვალისწინება. ამას *პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორიც* განაპირობებდა. 2003 წელს, ერაყში ომის დაწყებისას, ერაყის ქურთისტანთან დაკავშირება ამერიკელებს შეეძლოთ მხოლოდ თურქეთის გავლით (ამ ტერიტორიის სხვა მეზობლები არიან სირია და ირანი, რომლებთანაც აშშ-ს გართულებული ურთიერთობა აქვს). ანკარა დიდი ეჭვით უყურებდა ამერიკულ-ქურთულ ურთიერთობებს და აფრთხილებდა ვაშინგტონს, რომ ის არ დაუშვებდა ერაყის დაშლას და ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნას.

ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ძალების მიერ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ (2003 წ.), რაშიც ქურთებიც მონაწილეობდნენ, **ერაყის ქურთისტანში 40 ათას კვ. კმ ფართობზე შეიქმნა ფაქტობრივი ავტონომია ("ქურთისტანის რეგიონი") დედაქალაქით ერბილში** (ქურთულად – *ჰავლერ*), რომელიც ერაყში ყველაზე მოწესრიგებული მხარე გახდა. ქურთული სამხედრო ნაწილები (*ფეშმერგა*) საკმაოდ დიდია და დისციპლინირებული. ქურთები ღებულობენ ზომებს, რომ მოხდეს

ნავთობის საბადოების მქონე ქ. *ქირქუკისა* და მისი შემოგარენის ხელახალი "ქურთიზაცია", იქიდან არაბების გამოდევნის გზით.

ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ქურთისტანის რეგიონი არ ითხოვს დამოუკიდებლობას და ერთიანი ერაყის ნაწილად აცხადებს თავს. ქურთების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი *ჯალალ ტალაბანი* 2006 და 2010 წლებში ერაყის პრეზიდენტად აირჩიეს.

2017 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ ერაყში, ბაღდადთან შეუთანხმებლად ჩატარდა რეფერენ-დუმი ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის შესახებ, რასაც აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. მაგრამ მისი შედეგების ცხოვრებაში გატარება ვერ ხერხდება, რადგან ამის წინააღმდეგი არიან როგორც ბაღდადი, ისე ანკარა და თეირანი. პრაქტიკულად, ამას მხარს არ უჭერს არც ვაშინგტონი.

ერთადერთი ახლო აღმოსავლური სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად მიესალმა რეფერენდუმის შედეგებს, არის ისრაელი: მას ქურთისტანი მიაჩნია ბუნებრივ მოკავშირედ არაბული ქვეყნებთან და ირანთან თავის კონფრონტაციაში.

თემა 30
წმინდა ადგილის როლი პოლიტიკაში (იერუსალიმის მაგალითზე)

წმინდა ადგილები ახლო აღმოსავლეთში

ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის გეოგრაფიული სივრცის გარკვეული მონაკვეთი – *ადგილი* (მიწის ნაკვეთი, ქალაქი, ხანდახან მთელი ქვეყანა, რომელსაც ერთი სახელი აერთიანებს) "წმინდაა" იმიტომ, რომ ამ ჯგუფს აქვს განსაკუთრებული სიყვარული და მოწიწება მის მიმართ, ვთქვათ იმის გამო, რომ ამ *ადგილზე* განვლო მათმა ბავშვობამ, იქ არიან დამარხული მათი საყვარელი ადამია-ნები, იქ არის მათი სამშობლო.

უფრო ხშირად *ადგილს სიწმინდეს ანიჭებს ხოლმე რელიგიური ტრადიცია,* ვინაიდან იქ არის ისეთი რამ, რაც ამ რელიგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს შეიზლება იყოს წმინ-დანად მიჩნეული პირის საფლავი, ან ისეთი ნაგებობა (რელიგიური დანიშნულების შენობა), ხანდახან სულაც ქვები, რომელთაც მითოლოგია ღვთიური ენერგიის გამოვლინებას მიაწერს ხოლმე.

მითოლოგიას რომ პრაქტიკული გამოყენება აქვს, ამას მოწმობს ადამიანთა ის *დამოკიდებულება გეოგრაფიული სივრცის მიმართ*, რომლითაც ისინი შეიმეცნებენ და აყალიბებენ თავიანთი "სიწ-მინდის გრძნობას".

იმ *ადგილის* მნიშვნელობა, რომელიც რაიმე ნიშნით *წმინდაა* ადამიანთა ჯგუფისათვის, პოლიტიკაშიც საკმაოდ დიდია. ახლო აღმოსავლეთში *ადგილი* განსაკუთრებულ პოლიტიკურ როლს იძენს. სასულიერო და საერო ლიდერები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ზეგარდმო, ღვთიური ძალა კონკრეტულ სივრცეს *(ადგილს)* დაუკავშირონ: ეს მეტ ლეგიტიმურობას ანიჭებს მათ ხელისუფლებას.

ახლო აღმოსავლეთში ყველა რელიგიას აქვს თავისი *წმინდა ადგილი.*

იუდეველებისათვის წმინდაა მთელი ისრაელი, რომელიც, *თორას* მიხედვით, მათივე ღმერთმა

აღუთქვა. განსაკუთრებული სიწმინდე აქვს მათთვის ტაძრის მთას(*ხარ ჰა-ბაით*), სადაც ისინი არ/ვერ ადიან (იხ. ქვემოთ) და "დასავლეთ კედელს" (*კოტელ ჰა-მაარავი*), სადაც ისინი ლოცულობენ.

გარდა ამისა, ებრაელები პატივს მიაგებენ პატრიარქთა სამარეს (აბრაჰამის, იცხაკის, ია‌აკობის საფლავებს *მახპელას* მღვიმეში, ქალაქ ხებრონში); მატრიარქ რახელის საფლავს – ქალაქ *ბეთლემის* ახლოს; *იერუსალიმში, სიონის მთაზე* მდებარე საფლავს (მიიჩნევენ, რომ ის მეფე დავითს ეკუთვნის) და შუა საუკუნეების რამდენიმე რელიგიური მოღვაწის საფლავს.

ქრისტიანებისათვის *წმინდა მიწაა* პალესტინა/ისრაელის ტერიტორია, რამდენადაც იესო ქრისტე მხოლოდ აქ მოღვაწეობდა. ამ ტერიტორიაზე მდებარე 100-მდე ადგილი ქრისტიანებისათვის განსაკუთრებით წმინდად ითვლება. ისინი განლაგებულია უპირატესად *იერუსალიმში,ბეთლემში* (შობის ეკლესია), *ნაზარეთში* (წმ. გაბრიელის მართლმადიდებლური ეკლესია და ხარების კათოლიკური ბაზილიკა). რამდენიმე წმინდა ადგილია ქალაქ *კანაში, თაბორის მთაზე, გალილეის ტბის* ირგვლივ, *მდ. იორდანეზე* (იესოს ნათლობის ადგილი) და სხვ.

რელიგიური დატვირთვა აქვს ქრისტიანობასთან (მაგრამ არა თვით იესოსთან) დაკავშირებულ ახლო აღმოსავლეთის კიდევ რამდენიმე ადგილს (*ტარსუსი, ეფესი, სინას მთა, ანტიოქია* და ა.შ). ეს ადგილები ნაკლები რაოდენობის ქრისტიან პილიგრიმს იზიდავს, ვიდრე *წმინდა მიწა*.

მუსლიმებისათვის უწმინდესი ადგილია *მექა*, სადაც დაიბადა მოციქული და წინასწარმეტყველი მუჰამმადი და სადაც მდებარეობს *ალ-მასჯიდ ალ-ჰარამი* (იგივე *ქააბას* მიზგითი, რომლის ეზოშიც არის "შავი ქვა"). მექას მიდამოებშია სხვა წმინდა ადგილებიც – *მინა, მუზდალიფი, არაფათის ველი* და *არაფათის მთა*. ამ უკანასკნელზე (არაბულად – *ჯაბალ არაფათ*), ტრადიციის თანახმად, იბრაჰიმს მსხვერპლად უნდა შეეწირა თავისი ძე ისმაილი, მაგრამ ღმერთმა სანაცვლოდ კრავი გამოუგზავნა[20].

ისლამის ხუთი ძირითადი მოთხოვნიდან ერთ-ერთია მართლმორწმუნე მუსლიმის მიერ ცხოვრებაში ერთხელ მაინც *მექაში ჰაჯის* შესრულება: ისიწყება *ზულ-ჰიჯას* თვის მერვე დღეს და ექვს დღეს გრძელდება. ამ პილიგრიმობაში ყოველწლიურად მსოფლიოს ორ მილიონზე მეტი მუსლიმი მონაწილეობს, რის შემდეგ მას უფლება აქვს თავის სახელს წინ დაუმატოს *ჰაჯი*. არამუსლიმს მექაში ფეხის დადგმის უფლებაც არა აქვს.

მუსლიმებისათვის მეორე წმინდა ქალაქია *მედინა*, სადაც დაკრძალულია *მუჰამმადი*, ხოლო მესამე – *ალ-კუდს-ი* (იერუსალიმი), სადაც მდებარეობს [ბორცვი] *ალ-ჰარამ აშ-შარიფ-ი* ("წმინდა ნაკრძალი"); ებრაელები ზუსტად იმავე ადგილს *ხარ ჰა-ბაითს ("ტაძრის მთას")* უწოდებენ.

იერუსალიმი იყო *ყიბლა* (ლოცვის მიმართულება) მუჰამმადისათვის, ვიდრე იგი, მედინაში მყოფი, 623 წლიდან ყიბლად აქცევდა მექას და *ისლამში უპირველესი სიწმინდის მნიშვნელობას მიანიჭებდა მექაში მდებარე ქააბას*. ალ-კუდსში/იერუსალიმში, რომელიც მუსლიმებისათვის მესამე წმინდა ქალაქია, მათთვის მთავარი წმინდა ადგილებია *ალ-ჰარამ აშ-შარიფზე* მდებარე *ალ-აკსას* მიზგითი და *ალ-კუბბათ ას-სახრა* ("კლდის გუმბათი").

მუსლიმებისათვის ასევე წმინდაა ქალაქ *ალ-ხალილში* (იუდეველთათვის ეს ქალაქი *ხებრონია*) მდებარე პატრიარქთა სამარე, სადაც დაკრძალულია არაბთა მამამთავარი *იბრაჰიმი* (იუდეველებისათვის ის არის პატრიარქი *აბრაჰამი*): ამ ადგილზე VII საუკუნეში აშენდა მიზგითი *ალ-ჰარამ*

[20]. შდრ. *თორა*: იქ აბრაჰამს თავისი მეორე ძე, იცხაკი, აჰყავს სამსხვერპლოდ *მორიას მთაზე*, რომელსაც ებრაული ტრადიცია *ხარ ჰა-ბაითთან* (იერუსალიმის *ტაძრის მთასთან*) აიგივებს.

ალ-ხალილ-ი[21].

ისლამის ერთ-ერთი მიმართულების, შიიტობის, მიმდევრები, გარდა ზემოხსენებული წმინდა ადგილებისა, რომლებსაც ზოგადისლამური ხასიათი აქვს, მხოლოდ შიიტებისათვის წმინდა ქალაქებად მიიჩნევენ ერაყში მდებარე *ან-ნაჯაფსა* და *ქარბალას,* სადაც დაკრძალული არიან შესაბამისად *ალი* (მუჰამმადის სიძე, მეოთხე ხალიფა) და ალის ძე *ჰუსაინი,* აგრეთვე ერაყის ქალაქებს, *ალ-ყაძიმაინსა* და *სამარრას* და ირანის ქალაქებს – *მაშჰადსა* და *ყუმს*: იქ სხვა იმამები არიან დაკრძალული.

იმ შემთხვევაში, **თუკი ადგილი ტრადიციულად წმინდაა ერთი რელიგიისათვის, რელიგიათაშორისი პოლიტიკური პრობლემები მინიმალურია**. მაგალითად, მექის ფლობისათვის სხვადასხვა მმართველების (ყოველთვის – მუსლიმების) სისხლიანი მეტოქეობა არც თუ იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ისლამის გარდა არც ერთი სხვა რელიგია არ აცხადებს პრეტენზიას ამ *ადგილზე.*

მაგრამ, როდესაც *წმინდა ადგილზე* პრეტენზია ორ ან მეტ რელიგიას აქვს, მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია იქამდე, ვიდრე ამ **წმინდა ადგილზე ერთ-ერთი რელიგიის ექსკლუზიურ უფლებას სხვა რელიგიებიც ცნობენ,** თვითონ კი ურიგდებიან იმას, რომ მათაც აძლევენ იქ ლოცვის უფლებას. მაგრამ ამ *ექსკლუზიური უფლების შეცვლის მცდელობა* მძაფრ პროტესტს და ხანდახან სისხლიან დაპირისპირებასაც იწვევს.

მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქ *ხებრონში* მდებარე წმინდა ადგილზე ერთდროულად პრეტენზიას აცხადებს როგორც იუდაიზმი, ისე ისლამი.

ვიი საუკუნიდან ამ ადგილზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდა ისლამს. ერთდროულად, ქალაქში ყოველთვის ცხოვრობდა ებრაული მოსახლეობა და მის მიმართ მუსლიმური უმრავლესობა გარკვეულ ტოლერანტობას იჩენდა, ყოველ შემთხვევაში, უფლებას აძლევდა, შეესრულებინა საკუთარი რიტუალები.

რელიგიური კონფლიქტი XX საუკუნეში დაიწყო, როდესაც *ხებრონში/ალ-ხალილში* ისლამის ექსკლუზიური უფლების იუდაიზმით შეცვლის მცდელობა გაჩნდა. 1929 და 1936 წლებში მომხდარი ებრაელთა რბევის შემდეგ ამ უკანასკნელთ *ხებრონის* დატოვება მოუხდათ. ებრაელები იმავე ადგილზე დაბრუნდნენ მხოლოდ 1967 წლის შემდეგ, როდესაც ისრაელმა მოახდინა მთელი "დასავლეთ ნაპირის" ოკუპაცია. 1970-იანი წლებიდან იუდაისტ ფუნდამენტალისტთა მოზრდილი ჯგუფი სახლობს*ხებრონში* იმ მიზნით, რათა პატრიარქთა სამარეზე იუდაიზმის უპირატესი უფლება განამტკიცოს. ეს მუსლიმებისათვის მიუღებელია. ისრაელის არმია იძულებულია, დაიცვას ადგილობრივ არაბულ მოსახლეობასთან (150 ათასი) მუდმივ კონფლიქტში მყოფი 500-ოდე ებრაელი რელიგიური მოახალშენე.

რელიგიათაშორისი მეტოქეობის ყველაზე მკაფიო მაგალითია **იერუსალიმი** – წმინდა ქალაქი სამი რელიგიისათვის.

იერუსალიმი საკულტო ცენტრი იყო ათასწლეულით ადრე, ვიდრე მას ებრაელთა მეფე დავითი *იებუსელებისაგან* დაიპყრობდა (მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო ძვ. წ. XI

[21]. ისლამის რელიგიური დანიშნულების ამ და სხვა შენობების სიწმინდე და მათი მოლოცვა *ვაჰაბიტებისათვის,* ისლამის ფუნდამენტალისტური მიმართულების მიმდევრებისათვის, მიუღებელია და ისინი, ალბათ, მათ დაანგრევდნენ კიდეც, მაგრამ მათ პალესტინის ქალაქებამდე ვერ მიაღწიეს!

საუკუნის ბოლოს) და იუდეის რელიგიურ ცენტრად აქცევდა მას. გამაგრებულ დასახლებას… (ქალაქს) მაშინ პატარა ადგილი ეჭირა, მაგრამ იგი ფლობდა წყაროს (*გიხონ*), რაც წყალმცირე იუდეის მთებში მუდმივი დასახლების შექმნის ძირითადი პირობა და მისთვის მეტოქეობის მთავარი მიზეზი იყო.

დღევანდელი იერუსალიმის "ძველი ქალაქის" ტერიტორიას, რომელიც მოიცავს *წმინდა ადგილების* დიდ ნაწილს, განსაზღვრავს საფორტიფიკაციო ნაგებობა – 1539-1545 წლებში ოსმალეთის *სულტან სულეიმან*-ის ბრძანებით ევროპელთა (ძირითადად, ავსტრიელთა) შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად აგებული კედლები.

მათ მშენებელ ინჟინერს, რომელიც ამაგრებდა ჯვაროსანთა დროინდელ კედლებს, ან ცვლიდა მათ კონფიგურაციას თავდაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თავის სამუშაო გეგმაზე *წმინდა ქალაქს* საზღვრავდა. იმ დროს და XX საუკუნემდე ეს კედლები *მთელ ქალაქს* ერტყა გარს, რომლის ფართობი დღემდე არის სულ 0,87 კმ². XX საუკუნეში დასახლება შუა საუკუნეების კედლებს გასცდა და ქალაქი გაფართოვდა.

რადგანაც ამჟამინდელი რელიგიებიდან ყველაზე დიდი ხნის ისტორია იერუსალიმში იუდაიზმს აქვს, სწორი იქნება თუ თავდაპირველად განვიხილავთ იერუსალიმის, როგორც *ადგილის,* მნიშვნელობას ამ რელიგიისათვის[22].

იერუსალიმი და იუდაიზმი

პატრიარქების ეპოქაში, მანამ, სანამ ებრაელები იერუსალიმს დაეუფლებოდნენ, მათთვის საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა *შილოს, ბეთელს, შხემს* (არაბები ამ უკანასკნელს *ნაბლუსს* უწოდებენ, რაც ბერძნული *ნეაპოლისის,* ანუ *ახალი ქალაქის,* არაბული გამოთქმაა). საზოგადოდ მიჩნეულია, რომ მეფე დავითის შემდეგ იერუსალიმი იქცა იუდაიზმის სიმბოლოდ, ებრაელი ერისა და მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უდიდეს სტიმულად. როდესაც ებრაული სახელმწიფო (სახელმწიფოები) წყვეტდა ხოლმე არსებობას, იერუსალიმი თავის სიმბოლურ როლს ყოველთვის ინარჩუნებდა. ებრაელები თვლიან, რომ უფალმა აირჩია იერუსალიმი, ისევე, როგორც აირჩია მათი ერი.

თუმცა *თორაში* (მოსეს ხუთწიგნეულში) იერუსალიმი პირდაპირ ნახსენები არც ერთხელ არაა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სწორედ ის იგულისხმება, როდესაც თორაში მოიხსენიება ***შალემი:***

> *"მელქიცედეკმა,* ***შალემის*** *მეფემ, გამოიტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მოძღვარი. აკურთხა (აბრამი) და თქვა: კურთხეულია აბრამი უზენაესი ღმრთისა, ცისა და დედამიწის მეუფის მიერ"* [დაბადება 14: 18, 19].

პროფ. ვერბლოვსკის მიხედვით, ქალაქის სახელის მეცნიერული ეტიმოლოგიაა[23] "[ღვთაება] *შალემის საყუდარი"*.

იუდაისტური რწმენის თანახმად, პირველი და მეორე ტაძარი სწორედ იმ ბორცვზე (*მორიას მთაზე*) იყო აგებული, სადაც აბრაჰამმა აიყვანა თავისი ძე იცხაკი ღვთისათვის შესაწირად. ამ ბორცვს, რომელიც იერუსალიმის ძველ ქალაქში მდებარეობს, ებრაულად *"ხარ ჰა-ბაით"* (ტაძრის მთა) ეწოდება.

---

[22]. სხვადასხვა რელიგიისათვის იერუსალიმის მნიშვნელობის განხილვისას ფაქტობრივი მასალის წყაროდ გამოყენებულია ცვი ვერბლოვსკის შრომა [Werblowski, 1995].

[23]. იერუსალიმის (ებრაულად "*იერუშალაიმ*") არამეცნიერული, ხალხური ეტიმოლოგიაა "მშვიდობის ქალაქი" (*ირ ჰა-შალომ*), რაც არაზუსტია. ებრაულად, სადაც ყველა ასოს განლაგებას ენიჭება მნიშვნელობა, "შალომ", "შალემ" და "იერუშალაიმ" სხვადასხვანაირად იწერება.

პირველი ტაძარი (რომელიც, *თანახის* თანახმად, მეფე სოლომონმა ააგო ძვ. წ. მე-10 საუკუნეში) დაანგრიეს ბაბილონელებმა ძვ.წ. მე-6 საუკუნეში. ტაძარი აღადგინეს ძვ.წ. მე-6 საუკუნეშივე. მის ადგილზე ძვ. წ. პირველი საუკუნის ბოლოს, მეფე *ჰეროდეს* დროს, *მეორე ტაძარი* აშენდა, რომელიც რომაელებმა დაანგიეს ახ. წ. 70 წელს ებრაელთა აჯანყების ჩაქრობისას. სახარების მიხედვით, იესო ქრისტე სწორედ ამ *მეორე ტაძარში* შედიოდა.

იუდეველთა *მეორე ტაძრის ნაშთად*ისრაელში მიიჩნევენ მისი საძირკვლის შემორჩენილი საყრდენს – *ჰა-კოტელ ჰა-მაარავი-ს* ("დასავლეთი კედელი", უფრო ცნობილი, როგორც "გოდების კედელი"), რომელსაც იუდეველები თავიანთი სარწმუნოების ძირითად სალოცავად მიიჩნევენ.

ორთოდოქსული იუდაიზმი უკრძალავს ებრაელს *ხარ ჰა-ბაითზე* ასვლას, რადგან მას შეუძლია შემთხვევით დაადგას ფეხი და შებღალოს ის *ადგილი*, სადაც იმყოფებოდა ტაძრის *წმიდათა წმიდა.* მთავარი რაბინათი 1967 წლიდან საგანგებო წარწერითაც კი აფრთხილებს ამის შესახებ მორწმუნე ებრაელებს[24]. 20 საუკუნის წინ, როდესაც მეორე ტაძარი იდგა, *წმიდათა წმიდაში* შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ პირველმოძღვარს, ისიც წელიწადში ერთხელ – *იომ-ქიფურზე* (განკითხვის დღეს). ყველა დანარჩენ ებრაელს იქ შესვლა სიკვდილის შიშით ეკრძალებოდა. რადგანაც თითქმის ორი ათასწლეულია, რაც ტაძარი აღარ არსებობს, "წმიდათა წმიდის" ზუსტი მდებარეობა უცნობია.

მორწმუნე ებრაელებს სჯერათ, რომ მესამე ტაძარს აღმართავს ***მაშიახი*** (მესია, ღვთის მიერ მოვლენილი მხსნელი). მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან თვითონვე ააშენონ მესამე ტაძარი იმ *ადგილზე,* სადაც, მათი ვარაუდით, იდგა წინა ორი. ეს გულისხმობს იმავე *ადგილზე* მდგარი ისლამური სიწმინდის – *კლდის გუმბათის* – შემუსვრას. საღად მოაზროვნე ისრაელელ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ ასეთი რამის მცდელობაც კი უდიდეს საერთაშორისო პრობლემას შექმნის.

ებრაელისათვის (მათ შორის სეკულარული, არამორწმუნისათვისაც) "იერუსალიმი" და "სიონი"[25] (ებრაულად – "*ციონ*") სინონიმებია. ორივე სიტყვა გადატანით აღნიშნავს არა მარტო ქალაქს, არამედ ისრაელის მთელ მიწას (*ერეც-ისრაელ*). თანამედროვე ებრაულმა ნაციონალურმა მოძრაობამ "სიონიზმმა" (ებრაულად – "*ჰა-ციონუთ*") სახელი მიიღო არა ქვეყნისა ან ხალხის სახელიდან, არამედ *ადგილის* სახელიდან.

სიონისა და იერუსალიმის ასახვა, როგორც დაქვრივებული და მგლოვიარე დედისა, რომელიც ერთ დღესაც გაიხარებს და იზეიმებს, როდესაც მისი შვილები კვლავ შეიკრიბებიან მასთან, იყო ერთ-ერთი მთავარი მოტივი ტრადიციული ებრაული ხატოვნებისა. ორი ათასწლეულის მანძილზე ებრაელები მსოფლიოს ყველა კუთხეში ლოცულობდნენ იერუსალიმის მიმართულებით. მორწმუნე ებრაელი საჭმლის მიღების შემდგომ სამადლობელში დღემდე ახსენებს იერუსალიმის აღდგენასა და იქ დაბრუნებას.

იმის გამო, რომ იერუსალიმი საერთოდ სიწმინდის სიმბოლოა, იუდაიზმი ცნობს *ზეციურ იერუსალიმსაც.* მაგრამ ღვთისმოსავობა, რელიგიური სიმბოლიზმი და მესიანური იმედები (ხიხ-XXი

---

[24]. სეკულარული ებრაელები, რასაკვირველია, ამ აკრძალვას ყურად არ იღებენ. მაგრამ, ფაქტობრივად, *ალ-ჰარამ აშ-შარიფში* ყველა არამუსლიმს ეკრძალებოდა შესვლა 2000 წლის 28 სექტემბრიდან, იქ მომხდარი არეულობისა და სისხლისღვრის შემდეგ. 2003 წლის ივლისიდან ისრაელის მთავრობამ იქ ექსკურსიების ჩატარების ნება დართო (ისლამის წმინდა შენობებში შეუსვლელად).

[25]. *სიონს* (ებრაულად – *ციონ*) უწოდებენ ერთ-ერთ ბორცვს იერუსალიმში, რომელიც ძველი ქალაქის კედლებს გარეთ იმყოფება. შეიქმნა ლეგენდა, რომ იქ მდებარე შენობის პირველ სართულზე თითქოს არის მეფე დავითის საფლავი, ხოლო მეორე სართულზე – სათავსო, სადაც თითქოს შედგა იესოს უკანასკნელი (საიდუმლო) სერობა თავის მოციქულებთან ერთად. ეს *ადგილი* პილიგრიმებსა და ტურისტებს მრავლად იზიდავს. სპეციალისტების მტკიცებით, ეს შენობა აგებული უნდა იყოს jვაროსნების ეპოქაში, ანუ საიდუმლო სერობიდან ათასზე მეტი წლის შემდეგ და მეფე დავითის გარდაცვალებიდან ორი ათასი წლის შემდეგ.

საუკუნეებში – სეკულარული ფორმითაც) მიმართულია *მიწიერი იერუსალიმის* მიმართ, როგორც ებრაელთათვის მათივე ღმერთის (*იაჰვეს*) მიერ აღთქმული მიწისადმი.

იერუსალიმში ამჟამად არაა ებრაელი ხალხის უწმინდესი სალოცავი, ვინაიდან ტაძარი დანგრეულია. მაგრამ არც ერთ მორწმუნე ებრაელს ეჭვი არ ეპარება, რომ უფალმა მის ერს აღუთქვა ეს მიწა და აირჩია *ადგილი*, სადაც გამოგზავნის *მაშიახს* (მესიას) მესამე ტაძრის ასაგებად.

იერუსალიმი და ქრისტიანობა

ქრისტიანები *წმინდა მიწად* მიიჩნევენ იმ *ადგილს*, სადაც დაიბადა, მოღვაწეობდა და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო მაცხოვარმა, იესო ქრისტემ. გეოგრაფიულად ეს *ადგილი* მდებარეობს ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად არის ისრაელის სახელმწიფო და პალესტინის ადმინისტრაცია.

თეორიულად ქრისტიანობისათვის ზეციური იერუსალიმი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მიწიერი. ქრისტიანობისათვის ცენტრალურია არა "ფიზიკური" ტაძარი (როგორც იუდეველთათვის), არამედ მაცხოვარი, ქრისტე. ეკლესია თავს მიიჩნევს ქრისტეს სხეულად. მიწიერ იერუსალიმში მდებარე სალოცავები უნდა მოაგონებდეს ქრისტიანს იმ წმინდა მოვლენებს, რომლებიც ამ *ადგილზე* მოხდა. ამდენად, მიწიერი იერუსალიმიც ქრისტიანებისათვის ძვირფასია და იგი მოლოცვის (პილიგრიმობის) *ადგილია*. ქრისტიანობა უშვებს იმასაც, რომ "წმინდა მიწა" სხვაგანაც შეიძლება იქნეს წარმოსახული. ამიტომ გაჩნდა ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ეკლესია-მონასტრები სახელად "სიონი", "ბეთლემი", "ბეთანია", "გეთსემანია" და ა.შ. მოგვიანებით ეს სახელები დასახლებულ პუნქტებზეც გადავიდა.

ჩვ. წ. 135 წელს, ებრაელთა მორიგი აჯანყების შემდეგ, რომაელებმა ისინი ქალაქიდან განდევნეს (თუმცა არა მთელი პალესტინიდან). რომაელებმა ხელახლა ააშენეს ქალაქი, რომელსაც სახელიც კი გამოუცვალეს და მას *ელია კაპიტოლინა უწოდეს*, ხოლო იუდეველთა ნატაძრალზე აღმართეს *იუპიტერის ტაძარი*. არქეოლოგიური ნაშთების უმეტესობა იერუსალიმში სწორედ რომაელთა პერიოდს განეკუთვნება. ებრაელთა "გოდების კედელიც" კი, შესაძლოა, რომაელებმა ააგეს, როგორც საყრდენი "ტაძრის მთისათვის".

მე-4 საუკუნეში, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, ბიზანტიის ქრისტიანმა იმპერატორებმა წარმართული ტაძარი დაანგრიეს და იმ *ადგილზე* VII საუკუნემდე მხოლოდ იუპიტერის ტაძრის ნანგრევები რჩებოდა. ბორცვი ნაგავსაყრელად იქცა, ხოლო ქრისტიანული სიწმინდე გაჩნდა იერუსალიმის სხვა ადგილას, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას დაუკავშირდა. ბიზანტიელებმა ქალაქს სახელი კი აღუდგინეს, მაგრამ ებრაელებს იქ დაბრუნების უფლება მაინც არ მისცეს!

ქრისტიანებს იერუსალიმში აქვთ გამოკვეთილად *უწმინდესი ადგილი* – ტაძარი, რომელსაც მართლმადიდებლები უწოდებენ *აღდგომის ეკლესიას*, ხოლო კათოლიკეები – *წმინდა აკლდამის ეკლესიას*. ტაძრის შიგნით მდებარეობს *გოლგოთა* და *ქრისტეს საფლავი* (*აკლდამა*).

ქრისტიანობის სხვადასხვა განშტოებას ერთმანეთში ყოველთვის ჰქონდა დავა იერუსალიმში და მთლიანად ისტორიულ პალესტინაში მდებარე ეკლესია-მონასტრებზე სულიერი (და ეკონომიკური!) კონტროლისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ კათოლიკე ჯვაროსნებმა იერუსალიმის აღების შემდეგ (1099 წ.) *წმინდა აკლდამის ეკლესიიდან* გააძევეს მართლმადიდებლები, რომლებიც იქ დაბრუნდნენ მხოლოდ მუსლიმთა მიერ კათოლიკე ჯვაროსნების განდევნის შემდეგ (1187 წ.).

ამჟამად *წმინდა აკლდამის/აღდგომის ტაძარი გაყოფილი აქვთ* არც თუ ძმური ურთიერთდამოკიდებულების მქონე **იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ *საპატრიარქოს*** (ის ამტკიცებს, რომ წარმოადგენს მთელ მართლმადიდებლობას და არც ერთ სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ მისცემს უფლებას მოითხოვოსცალკე ადგილი ამ ტაძარში),

ფრანცისკანელთა ორდენს, რომელიც წმინდა მიწაზე კათოლიციზმს წარმოადგენს, *და* **იერუსალიმის სომხურ** *(გრიგორიანულ)* **საპატრიარქოს**.

იმავე ტაძარში პატარა ფართობს ფლობს კოპტური საპატრიარქო. ეთიოპურ და სირიულ საპატრიარქოებსაც ამ ეკლესიაში გარკვეული უფლებები შეუნარჩუნდათ. ამ სამივე მონოფიზიტური მიმართულების სამღვდელოებას, ოსმალეთის *სულტან აბდულ-მეჯიდის* 1852 წ. ფირმანის თანახმად, რომელიც ჯერაც ძალაშია, რელიგიურ პროცესიაში მხოლოდ მონოფიზიტ სომხებთან ერთად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში ოსმალეთის სულტანი ყველაზე მეტად სომხურ ეკლესიას მფარველობდა.

XVI-XVII საუკუნეებამდე იმავე ტაძარში წარმოდგენილი იყო აგრეთვე *ქართული მართლმადიდებელი, მარონიტული* და *ნესტორიანული* ეკლესიებიც. ქართველები უკვე 1050-იანი წლებიდან ფლობდნენ გოლგოთას ნაწილს. ასე იყო XIV-XVII საუკუნეებშიც. მაგრამ სამივე ზემოხსენებული ეკლესია ვერ უხდიდა დიდ გადასახადს ოსმალეთის მთავრობას და დაკარგა *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* ყოფნის უფლება.

***Status quo* იერუსალიმში**

ბერძენი მართლმადიდებლები, კათოლიკეები, სომეხი-გრიგორიანები, კოპტები გაუთავებლად კინკლაობდნენ *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* მათ მიერ დაკავებული ფართობის საკითხზე, იქამდე, ვიდრე კონფესიათაშორისი დავა არ გაყინა ოსმალეთის სულტან *აბდულ მეჯიდის* 1852 წლის ფირმანმა (ბრძანებულებამ), რომელმაც დაამკვიდრა status quo-ს პრინციპი: ყველა ქრისტიანულ მიმართულებას დარჩა *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* იმ მომენტისათვის მის ხელთ არსებული ქონება და უფლებები.

დღემდე მოქმედი ეს ბრძანებულება უშუალოდ ეხებოდა მხოლოდ იერუსალიმისა და ბეთლემის მთავარ ეკლესიებს. მაგრამ ყველა ქრისტიანული მიმართულება, რომლებიც 1852 წლამდე არსებობდა წმინდა მიწაზე, საჭიროდ მიიჩნევს განავრცოს ამ ბრძანებულების მოქმედება სხვა საკუთრებაზეც. წმინდა მიწის გამგებელი ყველა საერო ხელისუფალი (ოსმალეთის, ბრიტანეთის, იორდანიის, ისრაელის მთავრობები) ამჯობინებდა, რომ არ შეცვლილიყო status quo.

ეს არის ძირითადი მიზეზი, რაც ხელს უშლის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უფლების აღდგენას ქართველთა მიერ ოდესღაც აგებულ სალოცავებზე, მათ შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე.

იერუსალიმის, როგორც წმინდა *ადგილის* მიმართ *მთელი ქრისტიანობის* დამოკიდებულების შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ მისი პოლიტიკური ამბიციები არ დომინირებს სულიერ ინტერესებზე: ჯვაროსნების დრო დიდი ხანია წავიდა.

ამჟამად ქრისტიანულ სამყაროს არა აქვს იერუსალიმზე პოლიტიკური კონტროლის პრეტენზია. როდესაც პალესტინასა და იერუსალიმს 1917-1947 წლებში განაგებდა დიდი ბრიტანეთი, ამ უკანასკნელს არ ჰქონია იქ ქრისტიანული რელიგიის ჰეგემონიის აღდგენის მცდელობა.

მსოფლიო პოლიტიკისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იერუსალიმში ქრისტიანობის არც ერთი მიმართულება არ ედავება კონკრეტულ წმინდა *ადგილს* არც იუდაიზმს და არც ისლამს.

იერუსალიმი და ისლამი

როგორც აღინიშნა, იერუსალიმს მუსლიმებისათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არაბულად ამ ქალაქის სახელია *ალ-კუდს აშ-შარიფ*-ი (წმინდა დიდებული), შემოკლებით *ალ-კუდს*-ი.

637 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, *ხალიფა ომარმა* თანამებრძოლებთან ერთად საკუთარი ხელით გაწმინდა ნაგავსაყრელი ნატაძრალ ადგილზე და გამოაჩინა *კლდისპირი*, რომელიც ისლამმა თავის *წმინდა ადგილად* გამოაცხადა: იქიდან "მუჰამმადმა ზეცაში იმოგზაურა" (იხ. ქვემოთ).

სხვათა შორის, სწორედ ხალიფა ომარმა მისცა ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება და მუსლიმთა ბატონობის დროს იქ ყოველთვის იყო პატარა ებრაული თემი.

იერუსალიმში არსებული ქრისტიანული ეკლესიებისა და სხვა სალოცავების (რომლებიც დამპყრობელარაბებს არ დაუნგრევიათ) სიმრავლე ერთგვარი გამოწვევა იყო ახალი ბატონებისათვის: ამის მსგავსი მათ არაფერი გააჩნდათ!

ამიტომაც, როდესაც უმაიანი ხალიფები დამასკოში დამკვიდრდნენ და სახალიფო მსოფლიო იმპერიად გადაიქცა, ხალიფა *აბდ ალ მალიქ იბნ მარვანმა* დაახლოებით 691-692 წლებში იერუსალიმის ტაძრის მთაზე, სწორედ იმ კლდისპირის გარშემო, რომელიც ომარმა აღმოაჩინა, ააგო "კლდის გუმბათი" (*ალ-კუბბათ ას-სახრა;* მისი სხვა სახელია *ას-სახრა ალ-მუშარაფა*), რომელსაც ხშირად შეცდომით უწოდებენ "ომარის მიზგითს".

კლდის გუმბათი, რომელიც არქიტექტურული შედევრია (ის ბიზანტიელი ოსტატების მიერაა აგებული) და დღესაც დომინირებს იერუსალიმის ზეცის ფონზე[26], აიგო, როგორც ფიქრობენ, იუდეველთა ნატაძრალზე, იმ ბორცვზე, რომელიც ებრაელებისათვის არის *ხარ ჰა-ბაით*-ი, ხოლო არაბებისათვის *ალ-ჰარამ აშ-შარიფ*-ი ("წმინდა ნაკრძალი"). იმავე ბორცვის განაპირას VII საუკუნეშივე აიგო დიდი მიზგითი **ალ-აკსა**, რაც სიტყვასიტყვით "შორეულს" აღნიშნავს: **ის არის ისლამის მესამე უწმინდესი მიზგითი, მექასა და მედინას შემდეგ**.

არავითარი წყარო არ ადასტურებს იმას, რომ მუჰამმადი ოდესმე ყოფილა იერუსალიმში, მისი სიცოცხლის დროს ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანულ ქალაქში. ამას ზოგი არაბი მეცნიერიც აღიარებს.

ისევე, როგორც *თორაში*, იერუსალიმი არ*ცყურანშია* პირდაპირ მოხსენიებული: *ყურანის* მე-1 სურაში არის ბუნდოვანი მინიშნება "*ხელუხლებელი მიზგითიდან უშორეულეს მიზგითში"* მუჰამმადის ერთი ღამით გადაადგილების შესახებ. შემდგომში ეს "უშორეულესი მიზგითი" იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც იერუსალიმის *ალ-აკსა*.

მუსლიმთა რწმენის თანახმად, მუჰამმადმა ფრთოსანი არსების, *ბურაკის*, მეშვეობით სასწაულებრივად იმოგზაურა ერთ ღამეს მექადან იერუსალიმში (ამ ღამის მგზავრობას ეწოდება *ისრა*), საიდანაც მოახდინა ასვლა ზეცაში (ამ ასვლას ეწოდება *მირაჯი*)[27]. როგორც ცვი ვერბლოვსკიმ ერთგვარი ირონიით აღნიშნა:

"პირდაპირი ფრენა მექადან ზეცაში არ იყო, საჭირო იყო გადაჯდომა იერუსალიმში".

ისრასა და *მირაჯის* წყალობით ისლამმა თავი დაუკავშირა იერუსალიმის იმ განსაკუთრებულ სიწმინდეს, რომელიც უკვე მყარად იყო დამკვიდრებული იუდაიზმისა და ქრისტიანობისათვის და ეს

---

[26]. გუმბათი, რომელიც ამJამად იერუსალიმის მშვენებაა, ყოველთვის ოქროსი არ ყოფილა. ამჟამინდელი მისი ბრწყინვალება *იორდანიის მეფე ჰუსეინის* დამსახურებაა: მისი ბრძანებითა და საფასით დაიფარა გუმბათი სპილენძისა და ოქროს ფენით 1960-იან წლებში, როდესაც აღმოსავლეთ იერუსალიმი იორდანიის გამგებლობაში იყო.

[27]. მუჰამმადის ზეცაში მოგზაურობისას *ბურაკი* მიბმული იყო რომელიღაც *კედელზე*. თანამედროვე მუსლიმი *ულამას** თვალსაზრისით, ეს კედელი იგივეა, რაც ებრაელთა "გოდების კედელი" იერუსალიმში.

კულტურული მემკვიდრეობა საკუთარ რელიგიურ სისტემაში ჩართო.

წმინდა ადგილი და პოლიტიკა

ადგილის სიწმინდის ფორმირება ყოველთვის ერთნაირად არ ხდება. იერუსალიმის სიწმინდისადმი ორი მსოფლიო რელიგიის მიდგომის შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

- ქრისტიანობის შემთხვევაში ისტორიული (ანუ რეალურად დასაშვები) ფაქტები – იესოს ცხოვრება და სიკვდილი, ქმნიან რელიგიურ (ანუ რწმენით დასაშვებ) ფაქტებს – აღდგომასა და ამაღლებას. ჯერ ისტორიული და შემდეგ რელიგიური ფაქტები ერთად ქმნიან *ქრისტიანობის წმინდა ადგილს.*
- ისლამის შემთხვევაში თანამიმდევრობა ზუსტად საწინააღმდეგოა: რწმენა და ღვთისმოსავობა ქმნიან რელიგიურ ფაქტს – მუჰამმადის ასვლას ზეცაში; რელიგიური ფაქტი ქმნის "ისტორიულ" ფაქტს – მუჰამმადის ყოფნას იერუსალიმში. ჯერ რელიგიური ფაქტი და მისი მეშვეობით წარმოშობილი "ისტორიული" ფაქტი ერთად ქმნიან *ისლამის წმინდა ადგილს.*

ასე შექმნილი "ისტორიული" ფაქტი მუსლიმი თეოლოგის, კულტუროლოგისა და დასავლეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებული მუსლიმი პოლიტიკოსის მიერაც კი ისეთივე რეალობადაა მიჩნეული, როგორც დადასტურებული, თვალნათელი ფაქტი.

ისლამისათვის, რომელიც, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არ მიჯნავს ცხოვრების რელიგიურ და საერო სფეროს (ამ თვალსაზრისით ისლამი უფრო ახლოს დგას ტრადიციულ იუდაიზმთან), რელიგიურ ფაქტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რეალურ ისტორიულ ფაქტს. ლოგიკის პოზიციიდან, ისტორიული წყაროების მოხმობით მუსლიმთან კამათს არავითარი აზრი არა აქვს.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა რელიგიის ჭეშმარიტ მორწმუნეზე, ანუ ისეთზე, რომელსაც სწამს ფიზიკისა და ბიოლოგიის კანონების საწინააღმდეგო სასწაულებისა და ოდნავი ეჭვის შეტანაც არ უნდა საკუთარი სარწმუნოების სისწორეში. მორწმუნისათვის ერთადერთი ჭეშმარიტება მისივე რელიგიის წმინდა წიგნშია, რომელსაც მას მღვდელი, იმამი ან რაბინი განუმარტავს.

ის, რომ ალაჰის მოციქულისა და წინასწარმეტყველის, მუჰამმადის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია (რელიგიური ფაქტი) იერუსალიმს უკავშირდება, ამ კონკრეტულ *ადგილს* მუსლიმისათვის განსაკუთრებულ სიწმინდეს ანიჭებს.

ის რომ, ეს *ადგილი* არის *ალ-ჰარამ აშ-შარიფი*, ბუნებრივად გულისხმობს, რომ იგი *დარ ალ-ისლამის* ("ისლამის სახლის") ნაწილად უნდა დარჩეს, როგორც ათას ორასზე მეტი წლის განმავლობაში იყო კიდეც. მუსლიმი მიიჩნევს, რომ ეს *ადგილი* მისი სამყაროს პოლიტიკური სივრცეა.

არც თუ იშვიათად ხდება ისე, რომ **რელიგიურ განზომილებას არადანიშნულებისამებრ, პოლიტიკური ინტერესებისათვის, იყენებენ**. რელიგიური არგუმენტები და სიმბოლოები გამოიყენება სეკულარული მოძრაობების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ეს რელიგიურ დაპირისპირებას აღვივებს.

ყველა სარწმუნოებისათვის (ან მისი განშტოებისათვის) სხვა სარწმუნოების (ან სხვა განშტოების) მიმდევარი არის "ურწმუნო", "ურჯულო", "მწვალებელი". ძველი ბერძნისათვის ყველა არაელინი "*ბარბაროსი*" იყო. ებრაელისათვის ყველა არაებრაელი არის *გოი* (მრავლობითში *გოიმ*-ი: ეს სიტყვა აღნიშნავს "ხალხს", მაგრამ მას "უცხო ხალხის" მიმართ ხმარობენ). დაყოფა "ჩვენ" და "ისინი", სამწუხაროდ, უნივერსალურია.

იმის გამო, რომ იერუსალიმი იმთავითვე *წმინდა ქალაქი* იყო (ქალაქის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ყოველთვის ჩამორჩებოდა მისსავე რელიგიურ მნიშვნელობას), მას განუწყვეტლივ "ათავისუფლებდნენ" რელიგიური საბაბით. "განთავისუფლების აქციას" საერო

ხელისუფალი ახორციელებდა, რასაც დიდი სისხლისღვრა სდევდა თან.

ძვ. წ. XI საუკუნეში მეფე დავითი იერუსალიმს იებუსელებისაგან ათავისუფლებდა; ბაბილონელები (ძვ. წ. 586 წ.) – იუდეველებისაგან, ხოლო სპარსელები (ძვ. წ. 538 წ.)– ბაბილონელებისაგან; იუდეველი მაკაბელები (ძვ. წ. 142 წ.) – წარმართი ელინებისაგან; რომაელები (ახ. წ. 70 წ. და 135წ.) – მეამბოხე იუდეველებისაგან; ზოროასტრელი ირანელები (614 წ.) – ქრისტიანი ბიზანტიელებისაგან; მუსლიმი არაბები (638 წ.) – იმავე ბიზანტიელებისაგან; ქრისტიანი ჯვაროსნები (1099 წ.) – მუსლიმებისაგან (სხვათა შორის, კათოლიკე ჯვაროსნებმა მახვილს მისცეს არა მარტო დამარცხებული მუსლიმები, არამედ ადგილობრივი მართლმადიდებლებიცა და ებრაელებიც); მუსლიმი სალაჰ-ად-დინი (სალადინი; 1187 წ.) – ქრისტიანი ჯვაროსნებისაგან; ოსმალეთის სულტანი სელიმ იავუზი (1516 წ.) – მამლუქებისაგან; ინგლისელები (1917 წ.) – ოსმალებისაგან.

ებრაული იატაკქვეშა ორგანიზაციები 1945-48 წლებში ბრიტანელებისაგან ათავისუფლებდნენ იერუსალიმს. ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ ქვეყნებს შორის 1948-1949 წლებში წარმოებული ომის შედეგად იორდანიას დარჩა იერუსალიმის "ძველი ქალაქი", ის, რაც ებრაელთათვის ასე ფასობდა *სიწმინდის* გამო – მათი "დასავლეთი კედელი", იგივე "გოდების კედელი".

1967 წელს ძველი იერუსალიმი ისრაელმა გაათავისუფლა იორდანიელებისაგან. ახლა უკვე პალესტინელი არაბები ისახავენ თავიანთ მიზნად "*ალ-კუდსის განთავისუფლებას სიონისტებისაგან*".

1967 წლიდან ისრაელის სახელმწიფო, როგორც მისი ოპონენტები მიიჩნევენ – manu militari, ანუ სამხედრო ძალით, ფლობს იერუსალიმს. მაგრამ უშუალოდ *ხარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის* ტერიტორია (14,4 ჰექტარი) *ვაკფ**-ია, რომლის მეურვე (1990-იანი წლებიდან – პალესტინის ადმინისტრაცია, იქამდე – იორდანიის მეფე) არ ემორჩილება ისრაელის საერო ხელისუფლებას.

მუსლიმებსა და იუდეველებს ერთსა და იმავე *წმინდა ადგილზე* აქვთ პრეტენზია, რაც თითქმის უიმედოს ხდის მათი მორიგების ყველა მცდელობას. ორი რელიგიისათვის *წმინდა ადგილის* გეოგრაფიული თანხვედრა, რასაკვირველია, იდეოლოგიურ დაპირისპირებას ქმნის და ვერავითარი ეკონომიკური გარიგება (კომპენსაცია და ა.შ.) ვერ შეძლებს მის გადაჭრას.

რელიგიური დავა *ერთი და იმავე ადგილისათვის* პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს. იმავე *ჰარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის* მაგალითი გვარწმუნებს ამაში.

მოლაპარაკების დროს, რომელიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოსაგვარებლად აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით მიმდინარეობდა *კემპ-დევიდში* 2000 წელს, ერთ-ერთი დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა იმაზე შეთანხმება, თუ ვინ უნდა ფლობდეს de jure ზემოხსენებულ "ტაძრის მთას". ზოგი მიმომხილველი კი ამტკიცებს, რომ პრობლემა იყო, თუ ვინ უნდა განაგებდეს "ტაძრის მთის" მიწისქვეშეთს და მსჯელობდნენ ე.წ. "ვერტიკალური სუვერენიტეტის" შესახებაც კი: "ტაძრის მთის" ქვედა ფენა, ჰეროდეს დროინდელი კედლის ნაშთებამდე, ებრაელებს უნდა დაქვემდებარებოდა, ზედა ფენა კი, არაბების, მამლუქებისა და ოსმალების დროს ნაგები – პალესტინელებს!

სამწუხაროდ, ეს დავა სულაც არ იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებზე. როდესაც ზემოხსენებული მოლაპარაკება იმავე 2000 წელს ჩაიშალა, იგივე *ადგილი* ("ტაძრის მთა") იქცა პალესტინელთა მეორე აჯანყების, ე.წ. "ალ-აკსას ინთიფადის" სიმბოლოდ.

ამისათვის საბაბი შექმნა 2000 წლის 28 სექტემბერს ისრაელის ოპოზიციის იმდროინდელი ლიდერის (მომავალი პრემიერ-მინისტრის) *არიელ შარონის* (მისი თვალსაზრისით – გაცნობითმა, ხოლო პალესტინელების თვალსაზრისით – პროვოკაციულმა) ასვლამ "ტაძრის მთაზე" და იქ მდებარე, მუსლიმთა ერთ-ერთი უდიდესი სალოცავთან – *ალ-აკსას მიზგითთან* – მისვლამ. შარონი ავიდა იქ დიდძალი პოლიციის თანხლებით, მაგრამ *ვაკფ*-ის მეურვეების ფორმალური ნებართვის გარეშე. ამას მოჰყვა პალესტინელთა ხმაურიანი პროტესტი, ჯერ – ქვების, მერე – ტყვიის სროლა,

დახოცილები და პალესტინელთა აჯანყება, რომელიც მხოლოდ 2005 წელს დამთავრდა. მაგრამ კონფლიქტი ჯერაც არ დასრულებულა და, სამწუხაროდ, დასასრული მას არც უჩანს.

იერუსალიმის მაგალითზე ჩანს, რომ *წმინდა ადგილის* მნიშვნელობა პოლიტიკაში ხანდახან არანაკლებია, ვიდრე ისეთი ტერიტორიისა, რომელსაც ძირითადად ეკონომიკური ან სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა ეძლევა.

უფრო მეტიც, *წმინდა ადგილის* შემთხვევაშიკომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

სარჩევი

თემა 1
სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში (1-6)

თემა 2
საზღვრები ახლო აღმოსავლეთში (6-9)

თემა 3
საქართველო და ახლო აღმოსავლეთი (9-14)

თემა 4
ახლო აღმოსავლეთის წყალსატევებისა და საზღვაო გზების პოლიტიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობა (14-18)

თემა 5
ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ეკონომიკური წანამძღვრები: ნავთობი და გაზი (18-26)

თემა 6
ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სოციო-კულტურული წანამძღვრები: ლინგვოგეოგრაფია (26-31)

თემა 7
ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სოციო-კულტურული წანამძღვრები: რელიგიების გეოგრაფია (31-49)

თემა 8
დემოკრატიზაციის გამოწვევები რეგიონის ქვეყნებში (49-56)

თემა 9
შიდარეგიონული პოლიტიკური დაპირისპირების მაგალითი: საუდის არაბეთისა და ირანის კონფლიქტი (ინგლისურენოვანი მასალები) (56-60)

თემა 10

სამხედრო ბალანსი თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში (60-70)

თემა 11
მასობრივი განადგურების იარაღი ახლო აღმოსავლეთში (70-74)

თემა 12
კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის (სიონიზმის წარმოშობა და მისი დაპირისპირება არაბული ნაციონალიზმთან) (74-81)

თემა 13
კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის (კონფლიქტის ტერიტორიული განზომილება) (81-85)

თემა 14
კონფლიქტი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის („დემოგრაფიული მეტოქეობა“) (85-97)

თემა 15
საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში (97-100)

თემა 16
დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკა რეგიონში (100-104)

თემა 17
ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკა რეგიონში (104-114)

თემა 18
რუსეთის გეოპოლიტიკა რეგიონში (114-121)

თემა 19
თურქეთის რესპუბლიკის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა (121-131)

თემა 20
ირანის ისლამური რესპუბლიკის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა (131-138)

თემა 21
საუდის არაბეთის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა (დამატებითი მასალა ინგლისურად) (138-146)

თემა 22
ეგვიპტის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა (146-149)

თემა 23
ერაყის შიდაპოლიტიკური პრობლემები და გეოპოლიტიკა (149-156)

თემა 24
სირიის შიდაპოლიტიკური პრობლემები (156-159)
თემა 25
„არაბული გაზაფხული“: კეთილი განზრახვა, მძიმე შედეგები (159-161)
თემა 26
“ისლამური სახელმწიფო“ (161-163)
თემა 27
კვიპროსის გეოპოლიტიკური პრობლემები (163-165)
თემა 28
რეგიონის სხვა არაბული ქვეყნების (ლიბანი, იორდანია) პოლიტიკური პრობლემები (165-169)
თემა 29
ქურთები რეგიონული გეოპოლიტიკის ფოკუსში (169-174)
თემა 30
წმინდა ადგილის როლი პოლიტიკურ პრობლემებში (174-183)
(იერუსალიმის მაგალითზე)